კახაბერ სურგულაძე

# ძველი რომი

I



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კახაბერ სურგულაძე

# ძველი რომი
# (ტ. I)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი - 2019

SHOTA RUSTAVELI BATUMI STATE UNIVERSITY

KAKHABER SURGULADZE

# ANCIENT ROME
## (v. I)

Publishing House „Batumi Shota Rustaveli State University“
BATUMI - 2019

UDC 94(37)
ს-961

წინამდებარე პუბლიკაცია ძველი რომის ისტორიის შესახებ მიძღვნილი ტეტრალოგიის პირველი ტომია. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. 753-201 წლები.

ნაშრომში წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული საკითხების გარდა ნაჩვენებია მეფეთა ხანის და რომის ადრეული რესპუბლიკის ისტორიის საკვანძო საკითხები.

*რედაქტორი:*
პროფ. ომარ ნიშნიანიძე

*რეცენზენტი:*
ა/პროფ. ინგა აბრამიძე
ა/პროფ. იზოლდა ბელთაძე
ა/პროფ. ემზარ კახიძე

**აღიარებულია სახელმძღვანელოდ ბსუ-ს საგამომცემლო საბჭოს მიერ (ოქმი №3, 14.06.2019)**

**კახაბერ სურგულაძე, ძველი რომი (ტ. I): სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის [პროფ. ომარ ნიშნიანიძე, ბათ., 2019, 460 გვ.].**

© ISBN 978-9941-488-30-6
© კ. სურგულაძე, 2019
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ - 2019

*ვუძღვნი აბელ სურგულაძის ნათელ ხსოვნას*

## ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ

ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ძველი რომის ისტორიის შესწავლის ორ საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიციის მიუხედავად მკითხველი აუდიტორია არ არის განებივრებული მასზე ზოგადი ხასიათის ნაშრომების სიუხვით. ისტორიკოსთა არაერთი თაობა აღიზარდა ცნობილი მეცნიერის პროფ. ალექსანდრე წერეთლის (1889-1967 წწ.) ძველი რომის ისტორიის ორტომეულით (ტ. I-II, 1957-1961 წწ.). 1992 წელს მკითხველს მიეწოდა მათი შემოკლებული ვერსია.

25 წელი გავიდა აღნიშნული წიგნის გამოცემიდან და იგი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. ხარვეზის შევსება სცადა პროფ. გრანი ქავთარიამ, რომელმაც აღნიშნულ თემატიკაზე საზოგადოებას მიაწოდა სოლიდური ნაშრომი (ტ. I, თბ., 2016 წ.).

უდავოა, რომ ძველი რომის შესახებ ზოგადი ხასიათის სხვადასხვა ნაშრომების არსებობა მკითხველს უადვილებს მისი ისტორიის უკეთ გაცნობა-გააზრებაში. ეს მით უფრო აუცილებელია, როცა უახლესი ტექნოლოგიების პერიოდში, როდესაც სხვადასხვა საკითხებზე მკითხველს ინტენსიურად მიეწოდება ზღვა ინფორმაციები, ვფიქრობთ, რომ იგი საჭიროებს ისტორიოგრაფიული სიახლეებით და ტრადიციული ფაქტების ახლებური ინტერპრეტაციით გაჯერებული სახელმძღვანელოების არსებობას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ჩვენის მხრიდან აუდიტორიისთვის ძველი რომის ისტორიის შესახებ ზოგადი ხასიათის ნაშრომის მიწოდება გამართლებული არის.

წინამდებარე ნაშრომი ტეტრალოგიის სახით არის ჩაფიქრებული. პირველი ტომი დაეთმო ძველი რომის ისტორიის ამსახველი წყაროების და ისტორიოგრაფიის საკითხების წარმოჩენას. აპენინის ნახევარკუნძულის საისტორიო გეოგრაფიის ექსკურსის შემდეგ მოვლენების თხრობა იწყება ე.წ. რომამდელი პერიოდიდან. ნაშრომის ეს მხარე აგებულია არქეოლოგიური მონაცემებით. ნაჩვენებია ეტრუსკების წვლილი რომაული სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ყურადღება გამახვილებულია მეფეთა ხანის და ადრეული რესპუბლიკის პერიოდის საკვანძო საკითხებზე. რომი-პოლისის ჩამოყალიბების ფონზე საუბარია პატრიციუსებსა და

პლებეებს შორის მიმდინარე სოციალურ ბრძოლაზე. განმარტებულია რომაულ-იტალიკური ფედერაციის თავისებურება. ნაშრომის ბოლო აკორდია რომი-კართაგენის დაპირისპირების ისტორიის წარმოჩენა. ტომის ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. 753-201 წლები.

მეორე ტომი გვიანდელი რესპუბლიკური პერიოდის მიმოხილვას დაეთმობა. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. 201-45/4 წლები. მასში ერთიან კონტექსტში, ე.წ. ორმაგი დიპლომატიის ფონზე, ნაჩვენები იქნება რომის აღმოსავლური პოლიტიკის და ხმელთაშუაზღვისპირა რომაული სახელმწიფოს შექმნის ისტორია. ტომი დასრულდება ძვ.წ. I ს-ში მიმდინარე სამოქალაქო ომებზე საუბრით. განმარტებული იქნება კეისარიზმის არსი და ხაზი გაესმება ამ იდეოლოგიის მნიშვნელობას რომაული სახელმწიფოს შემდგომი არსებობის საქმეში.

მესამე ტომი დაეთმობა იმპერიის ხანის პრინციპატის და დომინატის პერიოდებს. მისი ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. 45/4-ახ.წ. 476 წლები. ტომში აისახება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე სისტემური ცვლილებები რამაც განაპირობა რომში რესპუბლიკური წყობის კრახი და იმპერიის დამყარება. I-III სს. მიმდინარე კრიზისები გააზრებული იქნება გლობალური პოლიტიკის კონტექსტში. განმარტებული იქნება დიოკლეტიანეს და კონსტანტინეს რეფორმების მნიშვნელობა იმპერიის რეიკარნაციის საქმეში. ნაჩვენები იქნება IV-V სს. იმპერიაში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, ყურადღება გამახვილდება ადრეული ქრისტიანობის და დას. რომის იმპერიის დაცემის საკითხებზე. დასასრულ, მსოფლიო ისტორიის კონტექსში შეჯამდება რომაული სახელმწიფოს მნიშვნელობა.

მეოთხე ტომი დაეთმობა რომის პროვინციალური ცხოვრების, რომაული კულტურის (ხელოვნება...), რელიგიის, იურისპუდენციის და სამხედრო საქმის ერთიანი სურათის სახით წარმოჩენას. ჩვენი ხედვით, ძველი რომის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა მკითხველს გაუადვილებს აღნიშნული საკითხების ერთიან სიბრტყეში გააზრებაში.

მასალის უკეთ აღქმის მიზნით თითოეული ტომი ილუსტრირებული არის სხვადასხვა სურათებით, რუკებით, ხოლო დანართის სახით შესაბამისი ტაბულებით და ცალკეული თავების გარშემო არსებული რეკომენდირებული ბიბლიოგრაფიის ნუსხით.

ასეთია წარმოდგენილი ტეტრალოგიის ავტორისეული არქიტექტონიკა. ვფიქრობთ, რომ იგი მკითხველისთვისაც მისაღები იქნება.

ჩვენ არ შევუდგებით სახელმძღვანელოში არსებულ სიახლეებზე საუბარს. დაე, ეს მკითხველმა განსაჯოს. დავსძენთ, რომ წიგნზე მუშაობისას შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა საისტორიო მეცნიერებაში ძველი რომის ისტორიის შესახებ არსებული ტრადიცია, რომელიც შევსებულია რიგი საკითხების ახლებური ინტერპრეტრაციით. ჩვენი მიზანი იყო, რომ წიგნში თავმოყრილი ყოფილიყო სამეცნიერო ლიტერატურიდან და ინტერნეტის სხვადასხვა ვებ-გვერდიდან მკითხველისთვის ძველი რომის ისტორიასთან დაკავშირებული  საჭირო მასალა, რათა მისთვის იოლი ყოფილიყო შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება. მკითხველი შეამჩნევს, რომ ნაშრომში ხშირად გვერდს ვუვლით სახელმძღვანელოსთვის დამახასიათებელ ლაკონურ და მკაცრ სტილს, მაგრამ ეს იმიტომ გაკეთდა, რომ წიგნი წასაკითხად მიმზიდველი ყოფილიყო.

დასასრულ ავღნიშნავთ, რომ მკითხველის მხრიდან გამოთქმული შენიშვნები მხედველობაში მიიღება შემდგომი ტომების გამოცემისას.

*ბათუმი, 5.05.2019*

## შესავალი

„დეე, რომი ტიბრმა წალეკოს და
ძირს დაემხოს ამ ძლიერი სამეფოს
ვრცელი კამარა...“

*უილიამ შექსპირი*

ძვ.წ. 753 წლის 21 აპრილს, ნახევრად მითიურმა რომულუსმა, აპენინის ნახევარკუნძულზე, მდ. ტიბრის მარჯვენა სანაპიროზე დაარსა ქალაქი, რომელსაც თავისი სიდიადის და არსებობის თორმეტ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიის გამო „მარადიული ქალაქის“ სტატუსი ერგო. გზა ერთი იყო ყველა რომაელის და ბარბაროსის შეგნებაში, რომელიც მიდიოდა მხოლოდ რომისკენ.

სახელწოდება „რომის“ არსი იცვლებოდა დროის სვლასთან ერთად. იმთავითვე მასში იგულისხმებოდა ქალაქიც და სახელმწიფოც. თუ ძვ.წ. VIII ს. ამ სიტყვაში მოიაზრებოდა მხოლოდ 7 ბორცვზე გაშენებული ქალაქი, იგივე პოლისი (ქალაქ-სახელმწიფო - კ.ს.), უკვე ძვ.წ. II ს. მასში გულისხმებდნენ საკუთრივ ქალაქს და დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში განფენილ სახელმწიფოს. ახ.წ. I-II სს. რომად იწოდებოდა მდ. ტიბრის სანაპიროზე მდებარე ქალაქი და ატლანტის ოკეანიდან დაწყებული დღევანდელ ერაყამდე და ჩრდილოეთის ზღვიდან აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე გადაჭიმული ვრცელი იმპერია, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 120 მილიონს (ედ. გიბონი).

ძველი რომი მიჩნეული არის მონათმფლობელური ურთიერთობის კლასიკური ტიპის სახელმწიფოდ. შესაბამისად, მისი ისტორიის შესწავლის არეალში შედის მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება, განვითარება და დაცემა თავდაპირველად აპენინის ნახევარკუნძულზე, ხოლო ძვ.წ. II ს-დან კი მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში.

მსოფლიო ისტორიული განვითარების ჭრილში ძველი რომის ისტორიის წვლილი განუზომელია. საქმე იმაშია, რომ ძველმა რომმა სხვადასხვა ფორმით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (ქალაქები, თეატრები...) დაგვიტოვა ძალიან მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, რომლებსაც მნახველი დღესაც აღტაცებაში მოჰყავს. ისინი გვაოცებენ არამარტო გრანდიოზულობით, კარგი ტექნიკით, ანდა რაციონალური არქიტექ-

ტურით, არამედ შესანიშნავი მოკაზმულობითაც. რომაული ცივილიზაცია ევროპულ კულტურის საფუძველია. ძველი რომის ერთ-ერთი მეხოტბე შენიშნავდა: „ისტორიის შესწავლის მიზანი წარსულის გაცნობა კი არ უნდა იყოს, არამედ გამოცდილების მიღება მომავალი ცხოვრებისათვის. ამიტომაც ყურადღება უნდა მიექცეს ძველი რომის ისტორიის შესწავლას, რომელიც სწორედ, რომ ამ კუთხით უდიდეს გამოცდილებას იძლევა“.

ძველი რომი მარტო ისტორიული წარსული ანდა კატეგორია არ იყო. რომის იმპერიის განადგურების შემდეგ რომაულ მემკვიდრეობაზე პრეტენზია ევროპის მონარქებში პოლიტიკური ინტრიგა-ვაჭრობის საგანი იყო. ძველი რომის კვალი იმდენად ღრმა იჯდა ცნობიერებაში, რომ საუკუნეების მანძილზე ლათინური ენა ევროპაში რჩებოდა საღვთისმეტყველო, საუნივერსიტეტო და ზოგადად საგანმანათლებლო ენად. რომაელი მწერლები ითვლებოდნენ პოპულარულ და მიმბაძველ ავტორებად, ხოლო რომაული სამართალი უმეტეს სახელმწიფოებში მიიჩნეოდა ერთადერთ კანონმდებლობად.

ნიშანდობლივია, რომ ძველი რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზია სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან შუა საუკუნეებში გეოპოლიტიკური გატაცება იყო. ბიზანტიის მხრიდან რომის მემკვიდრეობაზე განაცხადი არ იყო შემთხვევითი, რადგან იგი თვით იყო იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი და იმთავითვე მიიჩნეოდა მის ლოგიკურ გაგრძელებად. V-XV სს. ყოფილი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებლებისთვის ბიზანტიის სახელმწიფო გაურკვეველი წარმონაქმნი იყო. მათ მსგავსი სახელწოდების სახელმწიფო არ იცოდნენ და ისინი თავს რომის იმპერიის მცხოვრებლებად მიიჩნევდნენ.


*ჰიერონიმუს ვოლფი*

მაშასადამე, სახელწოდება „ბიზანტია“ ხელოვნურია და იგი 1557 წელს ხმარებაში შემოიღო გერმანელმა ჰუმანისტმა და ისტორიკოსმა ჰიერონიმუს ვოლფმა (1516-1580 წწ.). მართლაც, ისტორიის 395-1453 წლების მონაკვეთში აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელწოდებები იყო: „რომის იმპერია“ (ლათ. Imperium Romanum; ბერძ. βασιλεία τῶν Ῥωμαίων [basileia ton romaion]), „რომა-

ელების იმპერია“ (ლათ. Imperium Romanorum; ბერძ. Ἀρχὴ τῶν Ῥωμαί-ων), „რომანია“ (Ρωμανία), ანდა „რომაისი“ (Ρωμαΐς [Romais]). იმპერი-ის მცხოვრებლები თავს უწოდებდნენ „რომაიო“-ს-რომაელებს (Ρωμαίοι [romaioi]). მათ მართავდა რომის იმპერატორი - „ბასილე-ვსი“ (Βασιλεύς τῶν Ρωμαίων [basileus ton romaion]), ხოლო დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი მიიჩნეოდა „ახალ რომად“ (Νέα Ρώμη [Nea Ro-me]).

ბიზანტია ძველი რომის ლოგიკური გაგრძელებად მიაჩნდა ედუარდ გიბონს. ფუნდამენტურ ნაშრომში - „რომის იმპერიის და-კნინების და დაცემის ისტორია“-ში (ტ. I-VI, 1776-1789 წწ.), ინგლი-სელმა მეცნიერმა რომაული მატიანე ანტონინებიდან დაწყებული ოსმალების მხრიდან კონსტანტინოპოლის დაპყრობით (1453 წ.) დამთავრებული მოვლენების ერთ სიბრტყეში გადმოსცა.

მკითხველისთვის ნათელი, რომ იყო განსხვავება ძველ რო-მსა და ბიზანტიას შორის, მის ყურადღებას მივაქცევთ ერთ ნი-უანსს, რამაც სამეცნიერო წრეებში გამოიწვია მათი გამიჯნა. ეს იყო ენობრივი საკითხი. პარადოქსი იყო, მაგრამ იმპერია, რომელიც ძველი რომის მემკვიდრე-ობის პრეტენზიით გამოდიოდა, რომელსაც წი-ლად ერგო ყველა მისი ინსტიტუტები, მისი მო-სახლეობა არასდროს საუბრობდა ლათინურ ენა-ზე. არსებითად, ბიზანტიაში იყო რომაული ინ-სტიტუტების, ბერძნული კულტურის, ქრისტი-ანობის ნაზავი და ყოველივეს სინთეზი ხდებოდა ბერძნული ენის საფუძველზე.



*კარლოს დიდი (მონეტა)*



*ოტო 1 - საიმპერატორო ბეჭედი*

უნდა ითქვას, რომ ძველი რომის მემკვი-დრეობით სპეკულირება ამით არ ამოიწურება. პოლიტიკური მოტივებით IX ს-ში რომის იმპე-რიის აღდგენის იდეით გამოვიდა ფრანკთა მეფე კარლოს I დიდი (764 -814 წწ.). კაროლინგთა მიბა-ძვა რომზე და მეტოქეობა ბიზანტიასთან აისახა ფრანკთა არქიტე-ქტურასა და ხელოვნებაში. სამწუხაროდ, მათმა იმპერიულმა მი-სწრაფებამ ძველი რომის კანონიკურ მემკვიდრეობაზე კიდევ უფრო გააძლიერა გაუგებრობა ევროპის დასავლეთ და აღმოსა-ვლეთ სამყაროს შორის. X ს-ში ძველი რომის მემკვიდრეობას ჩე-მულობდა საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი ოტო I დიდი (912-

973 წწ.). მისი ტიტული - „რომაელების და ფრანკების იმპერატორი“ ამის დასტური იყო. რომის მემკვიდრეობაზე ასევე პრეტენზიას აცხადებდა მცირე აზიაში არსებული რუმის (იკონიის, 1077-1307 წწ.) სასულთნო. აკი, „რუმი“ სელჯუკთა ენაზე „რომს“ ნიშნავდა. დაბოლოს, რომის მემკვიდრეობის პრეტენზიით გამოვიდა რუსეთიც. ცნობილი სენტენცია - პირველი რომი რომია, მეორე კონსტანტინოპოლი, მესამე მოსკოვი და მეოთხე არასდროს იქნება – ძველი რომის მემკვიდრეობის მანიშნებელი იყო.

ცხადია, ინტერესს იწვევს ძველი რომის „მარადიულობის“ საიდუმლო. ისტორიულ-ფილოსოფიური ჭრილიდან მასზე სხვადასხვა, მათ შორის იდეალისტური პასუხებიც გაიცა. ერთ-ერთი პოზიციის მიხედვით მიჩნეულია, რომ რომაელებს შეეძლოთ ადამიანების და მათი სულების დაუფლება. რომის მოქალაქეობის მიღებით დროთა განმავლობაში დაპყრობილი ხალხები ხდებოდნენ რომაელებად. ამით მათ გზა ეხსნებოდათ სახელმწიფოებრივ იერარქიაში, რითაც სხვადასხვა ინსტიტუტებში უადვილებოდათ პოზიციების დაკავება. შემდგომში, ისინი რომს უკვე უყურებდნენ არა უცხო თვალით, არამედ, როგორც საკუთარ სამშობლოს და მისი დიდებისთვის იწყებდნენ ბრძოლას. ამ არგუმენტის გასამაგრებლად და უცხო ტომელების თანამემამულეებად გადაქცევის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს საბინელებთან, ეტრუსკებთან, გალებთან და სხვა ტომებთან რომაელების ურთიერთობები. საბინელები ერთი აქტით გახდნენ რომაელები. ეტრუსკები და გალები, რომლებიც „მგლის ნაშიერების“ დაუძინებელი მტრები იყვნენ, იმდენად შეერწყნენ რომაელებს, რომ დროთა განმავლობაში უკვე ისინი შეადგენდნენ რომაული სახელმწიფოს სიძლიერის ბირთვს.



*გერმანელი ერის წმინდა რომის საღვრთო იმპერია*

*ქრონოლოგია და პერიოდიზაცია*

ძვ.წ. IV ს-მდე რომაელებს გააზრებული არ ჰქონდათ რომის ისტორიის ქრონოლოგიის და პერიოდიზაციის საკითხები. თავდა-

პირველად რომაელებისთვის უცნობი იყო რომის ისტორიის დაწყების კონკრეტული თარიღი, ხოლო ქვეყანაში მიმდინარე ეპოქალური ცვლილებები, რაც გამოიხატა მეფეთა ხანის რესპუბლიკური პერიოდით ჩანაცვლებაში, ისინი მათთვის გაუგებარი იყო. რაც შეეხება ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული რომაული ერის დაწყებას „ქალაქის დაარსებიდან“, ანდა „რესპუბლიკის დამყარებიდან“, ისინი მოგვიანო პერიოდის ნიმუშებია.

ჩვენთვის უცნობია ის პრინციპები, რომლის საფუძველზე შემუშავდა რომაელების წარმოდგენები რომის ისტორიის მთავარ ისტორიულ და ქრონოლოგიურ საზღვრებზე. რომაელი საზოგადო მოღვაწის მარკუს ციცერონის (ძვ.წ. 106-43 წწ.) ცნობით, პონტიფიკების კოლეგიის უმაღლესი ქურუმი ყოველთვის აკეთებდა მნიშვნელოვანი მოვლენების წლიურ ჩანიშვნებს. ორატორის ამ ცნობაზე დაყრდნობით თ. მომზენმა ივარაუდა, რომ „დიადი ანალები“ გამოქვეყნებული იყო ძვ.წ. 120 წელს მთავარი პონტიფექსის პუბლიუს მუციუს სცევოლას (ძვ.წ. ?176-115 წწ.) მიერ.

„დიადი ანალების“ გარდა რომში ხმარებაში იყო ე.წ. „კაპიტოლიური სია“. ეს იყო სპეციალური დაფა, რომელზეც აღნიშნული იყო კონსულების ყოველწლიური სიები. სწორედ ანალები და სიები იყო ის მთავარი წყარო, რითაც ქრონოლოგიის საკითხებში რომაელი ისტორიკოსები სარგებლობდნენ.


*კონსულთა სია (ფრაგმენტი)*

ისტორიულ ქრონოლოგიას რომაელებმა პირველად ყურადღება მიაქციეს ძვ.წ. 304 წელს, როდესაც ედილმა გნეუს ფლავიუსმა (ძვ.წ. IV ს.) კალენდრის რეფორმის მიზნით ფორუმზე გამოკიდა ლითონის დაფა. მასში მითითებული იყო, რომ „თანხმობის ტაძარი“ აკურთხეს კაპიტოლიელი იუპიტერის ტაძრის კურთხევიდან 204 წლის (304+204=508) შემდეგ.

ეს იყო რომაელთა მხრიდან პირველი ცდა განესაზღვრათ რომის ისტორიის ქრონოლოგიის საზღვრები. იუპიტერის ტაძრის კურთხევის გარდა ძვ.წ. 508 წლით იწყებოდა რომში საკონსულო სიები. მაშასადამე, ძვ.წ. IV ს. რომაულ აზროვნებაში მთავარი იყო არა „მარადიული ქალაქის“ დაარსების თარიღი, ანდა სამეფო ხე-

ლისუფლების დამხობა-ცვლილება და „რესპუბლიკის დასაწყისის“ თაობაზე წარმოდგენები, არამედ ფლავიუსის მიერ დანერგილი ე.წ. „კაპიტოლიური ერა“. გამოდის, რომ ფლავიუსის წყალობით რომაელებმა ქრონოლოგიის ათვლა თავდაპირველად დაიწყეს ძვ.წ. 508 წლიდან, როდესაც იუპიტერის კულტის ამაღლების პარალელურად გატარდა კალენდრის რეფორმა.

პირველი ვინაც გაიაზრა რომის ისტორიის ერთიანი ქარგა ქალაქის დაარსებიდან ძვ.წ. 264 წლამდე იყო ტიმეიოსი (ძვ.წ. ?350-?260 წწ.). იგი სიცილიიდან ათენში დევნილი ბერძენი იყო. მისი დამსახურება გახლდათ ოლიმპიადების ათვლის საფუძველზე საერთო ბერძნული ქრონოლოგიის დამუშავება. ვინაიდან ათენის ისტორია წინამორბედი ისტორიკოსების (ჰეროდოტე...) წყალობით დეტალურად იყო ცნობილი, ამიტომაც ტიმეოსმა რომაული ისტორიის ქრონოლოგიის საკითხებში იგი მოდელად აიღო. მსგავსი თარიღების და ფაქტების შეჯერებით მან შექმნა ადრეული რომის ისტორიის ქარგა, რომელიც მოგვიანო პერიოდის ისტორიკოსების მხრიდან მუდმივად განახლებადი იყო.

ტიმეოსი პირველი იყო რომელმაც რომის დაარსების თარიღად განსაზღვრა ძვ.წ. 813 წელი. მისი აზრით, ტროას დაცემიდან რომის დაარსებამდე გავიდა 380 წელი (1193-80=813), ანუ, როგორც თვითონ თვლიდა 38 წლის ასაკის ათი თაობა. მეფეთა ხანას ისტორიკოსი უთმობდა 304 წელს. ნიშანდობლივია, რომ ქრონოლოგიურ საკითხებზე საუბრისას ტიმეოსს მხედველობაში ჰქონდა ე.წ. რომულუსის კალენდარი, სადაც წელი შესდგებოდა 10 თვის და 304 დღისგან.

საერთოდ, ანტიკური მწერლები ქ. რომის დაარსების სხვადასხვა თარიღს ასახელებდნენ. საქმე იმაშია, რომ ერთიანი თარიღის დასახელებას ხელს უშლიდა წინააღმდეგობები რომლებიც არსებობდა ეგვიპტურ, ბერძნულ და რომაულ კალენდრების მიხედვით სხვადასხვა ათვლის სისტემებში, წლის ხანგრძლივობაში, ახალი წლის დაწყების თარიღში და სხვა საკითხებში. მაგ., ფაბიუს პიქტორის (ძვ.წ. 254-201 წწ.) მიხედვით ქ. რომი დაარსდა ძვ.წ. 747 წელს. პოლიბიოსი (ძვ.წ. 206-124 წწ.) მას მეშვიდე ოლიმპიადის მეორე წლით (ძვ.წ. 750 წ.) ათარიღებდა. კატონ უფროსი (ძვ.წ. 234-149 წწ.) ძვ.წ. 751 წლით, ხოლო ტარუ(ნ)ტიუსი (ძვ.წ. ?-86 წწ.) ძვ.წ. 754 წლის 4 ოქტომბრით.

რაც შეეხება ქ. რომის დაარსების თარიღად ძვ.წ. 753 წლის 21 აპრილის მიჩნევას, იგი სამეცნიერო ლიტერატურაში რომაელი მეცნიერ-ენციკლოპედისტმა მარკუს ტერენციუს ვარონმა (ძვ.წ. 116-27 წწ.) დაამკვიდრა. სავარაუდოდ, გამოიყენა რა საკონსულო სიები, ვარონმა პირველი კონსულის წელს უწოდა „245 ab urbe condita“, რაც გადაღებული იყო დიონისე ჰალიკარნასელის (ძვ.წ. ?60-?7 წწ.) მეფეთა 244 წლიანი მმართველობის პერიოდიდან. უნდა ითქვას, რომ ქ. რომის დაარსების ვარონისეული თარიღი მოხერხებულად ჩაჯდა საიმპერატორო პროპაგანდის ჩარჩოში, რამაც იგი დომინირებული გახადა სამეცნიერო წრეებში. მაგ., იმპ. კლავდიუსმა (41-54 წწ.) 47 წელს ვარონისეული თარიღი გამოიყენა რომის დაარსების 800 წლის ზეიმისთვის, ხოლო იმპ. ფილიპე I არაბმა (244-249 წწ.) ამ თარიღით 248 წელს იზეიმა რომის ათასწლოვანი ისტორია.

ნულოვანი წლის არ არსებობამ ქრისტიანულ კალენდარში, დიონისე მცირეს (?470-?544 წწ.) მიერ ათვლის დაწყებამ ქრისტეს დაბადებიდან და ბენედიქტელი ბერის ბედა ღირსის (?672-735 წწ.) მეოხებით შუა საუკუნეების მატიანეებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიმოქცევაში შემოღებამ, რაც ევროპულ ქვეყნებში საბოლოოდ დამკვიდრდა XI ს., გვიანი პერიოდის ქრონოლოგებისგან განსაზღვრა, რომ ძველი რომის ისტორიის საწყისი 1 წელი შეესაბამებოდა გრიგორიანული კალენდრის ძვ.წ. 753 წელს. აქედან გამომდინარე სამეცნიერო წრეებში დამკვიდრდა ძველი რომის ისტორიის ქრონოლოგიის შემდეგი სისტემა:



*იმპ. კლავდიუსი (მონეტა)*



*იმპ. ფილიპე არაბი (მონეტა)*

1 ab urbe condita = ძვ.წ. 753 წ.;
2 ab urbe condita = ძვ.წ. 752 წ.;
3 ab urbe condita = ძვ.წ. 751 წ. და ა.შ.

ანტიკური ეპოქის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ძველი რომის ერთ-ერთი თავისებურება არის მისი ისტორიის საწყისი (ძვ.წ. 753 წლის 21 აპრილი) და დასასრულის (476 წლის 23 აგვისტო) კონკრეტული თარიღების ცოდნა. ასეთ ფონზე, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მისი ისტორიის ქრონოლოგიის სხვა თარიღები. თუ მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდს შორის ზღვარი - ძვ.წ.

509 წელი ნათელია, როდესაც რომიდან განდევნეს მეფეები და დამყარდა რესპუბლიკური წყობა, კამათს იწვევს რესპუბლიკიდან იმპერიისაკენ გადასვლის კონკრეტული თარიღი. ერთნი მას იწყებენ დიქტატორ სულადან (ძვ.წ. I ს. 80-ანი წწ.), მეორენი კეისრიდან, რომლის დროსაც ოფიციალურად გაფორმდა კეისარიზმის იდეოლოგია (ძვ.წ. 45/4 წწ.), ხოლო მესამენი ოქტავიანედან, რომელმაც დაასრულა სამოქალაქო ომი – ძვ.წ. 30 ან 27 წლის 16 იანვრიდან.

არსებობს ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაციის შესახებ სხვადასხვა ხედვა. ამ შემთხვევაში ამა თუ იმ მეცნიერისთვის ამოსავალი იყო ბაზისი, რაზეც ისინი აკეთებდნენ ქრონოლოგიის მორგებას. მაგ., რუსმა მეცნიერმა ს. კოვალიოვმა (1886-1960 წწ.) რომის ისტორიის პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო მონათმფლობელური ურთიერთობების საწარმოო საშუალებების განვითარების პრინციპი. მისი აზრით, პერიოდიზაციის ეს პრინციპი იძლეოდა მკვეთრ ნიშნებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იყო პერიოდებს განსხვავება. ძველი რომის ისტორიის კოვალიოვისეული ხედვა ასე გამოიყურებოდა:

1. მეფეთა ხანა (ძვ.წ. VIII-VI სს.) - გვიან გვაროვნული წყობის, ანდა „სამხედრო დემოკრატიის“ პერიოდი;
2. პატრიციუსთა არისტოკრატიული რესპუბლიკის და პატრიციებს და პლებეებს შორის ბრძოლის პერიოდი (ძვ.წ. V-III სს.) - რომის მონათმფლობელური პოლისის ფორმირება და იტალიის დაპყრობა;
3. ნობილიტეტის ოლიგარქიული რესპუბლიკის პერიოდი (ძვ.წ. III ს. დასაწყისი - II ს. 30-იანი წწ.) - რომაელთა დიდი დაპყრობების და იტალიაში მონათმფლობელური მეურნეობის გაფურჩქვნის პერიოდი;
4. სამოქალაქო ომების პერიოდი (ძვ.წ. II ს. 30-იანი და ძვ.წ. I ს. 30-იანი წწ.) - მონების და თავისუფალი ღარიბების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა. რომის მსოფლიო სახელმწიფოს წარმოქმნა. რესპუბლიკის დაცემა და იმპერიის წარმოქმნა;
5. ავგუსტუსის პრინციპატი (ძვ.წ. 30 წ. - ახ.წ. 14 წ.) - რეაქციის და იმპერიის ორგანიზაციული დასრულების პერიოდი;

6. ტერორისტული რეჟიმი და მისი დაცემის პერიოდი (14-69 წწ.) - იულიუს-კლავდიუსთა დინასტიის იმპერატორები. რესპუბლიკური ოპოზიციის ზრდა და ბრძოლა მათთან ტერორის მეთოდებით. 68-69 წლების სამოქალაქო ომი;
7. იმპერიის გაფურჩქვნა (69-161 წწ.) - ფლავიუსების და პირველი ანტონინების მმართველობა. იმპერატორთა სოციალური ბაზის გაფართოება და მისი განმტკიცება;
8. იმპერიის კრიზისი (161-284 წწ.) - უკანასკნელი ანტონინების მმართველობა და მათი დაცემა. 193 წლის სამოქალაქო ომი. სევერუსთა მმართველობა და იმპერიის გასამხედროებით კრიზისის შეჩერების ცდა. III ს-ის იმპერიის საერთო კრიზისი;
9. დიოკლეტიანეს და კონსტანტინეს დომინატი (284-337 წწ.) – კრიზისის დროებითი შენელება. სამხედრო-ბიუროკრატიული ბატონყმური მონარქიის პერიოდი;
10. იმპერიის დაცემა (IV ს. მიწურული - V ს. დასასრული) - მონათა რევოლუცია და ბარბაროსების დაპყრობები.

აშკარაა, რომ ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაციის ზემონახსენები სისტემა ჩახლართულია. მასზე შეინიშნება კლასობრივი იდეოლოგიის კვალი. არადა, ეკონომიკური პრინციპის გარდა არსებობს პოლიტიკური გარემოებებიც, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია და ყოველთვის კვალს ტოვებენ ქვეყნის საერთო განვითარებაზე.

რუსი მეცნიერი ნ. მაშკინის (1900-1950 წწ.) ხედვით ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაცია ასე გამოიყურება:

1. მეფეთა (ეტრუსკთა) ეპოქა (ძვ.წ. VIII-VI სს. მიწურული) – პირველყოფილი გვაროვნული წყობის დაშლის და სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი;
2. ადრეული რესპუბლიკის ეპოქა (ძვ.წ. VI ს. მიწურული – ძვ.წ. III ს. 60-იანი წწ.) – მონათმფლობელობის ფორმირება რომში. პატრიციუსებსა და პლებეებს შორის ბრძოლა. რესპუბლიკური წყობის განმტკიცება-განვითარება და აპენინის ნახევარკუნძულის დამორჩილება;
3. რომის მხრიდან ხმელთაშუაზღვისპირეთისთვის ბრძოლის პერიოდი (ძვ.წ. 264-146 წწ.) – სიცილიის, კართაგენის, საბერძნეთის, მაკედონიის და პერგამონის სამეფოების დამორჩილება. მონათა ნაკადის შედეგად მონათმფლობელობის განმტკიცება-განვითარება და სენატური ნობილიტეტის ბატონობა;

4. სამოქალაქო ომების ეპოქა (ძვ.წ. II ს. 30-იანი – ძვ.წ. I ს. 30-იანი წლების მიწურული) – მონათმფლობელებსა და მონებს, სამიწათმოქმედო (სენატური) და საფინანსო (მხედრები) დაჯგუფებებს შორის შეტაკებები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ძვ.წ. I ს. 40-30-იანი წლების სამოქალაქო ომები;
5. ადრეული იმპერიის ეპოქა (ძვ.წ. I ს. 20-იანი წლების დასაწყისი – ახ.წ. III ს. უკანასკნელი ათწლეული) – ეს არის პრინციპატის, არმიაზე დაფუძნებული საიმპერატორო ძალაუფლების, პროვინციებზე მონათმფლობელური წყობის გავრცელების, ქალაქების განვითარების, სენატის წინააღმდეგ მებრძოლი იმპერატორების, კოლონატის გაჩენის, პართიასთან და კავკასიურ ტომებთან შეტაკებების, ბოსფორზე რომაული გავლენის გავრცელების, ბარბაროსების შემოჭრის, აჯანყებების და სეპარატიზმის პერიოდი;
6. გვიანი იმპერიის ეპოქა (III ს. 80-იანი წწ. - 476 წ.) – დიოკლეტიანეს და კონსტანტინეს რეფორმები, მონათმფლობელური სისტემის კრიზისი, ფეოდალური ურთიერთობების ელემენტების ჩამოყალიბება (კოლონების მიწაზე მიმაგრება), „ბარბაროსული სამეფოების" წარმოშობა და აღმოსავლეთ რომის იმპერიის შენარჩუნება, სადაც ფეოდალიზაციის პროცესი თავისი გზით მიდიოდა.

ფაქტია, რომ მაშკინისეულ პერიოდიზაციასაც სიმარტივე აკლია. ასეთ ფონზე პ. ტარკოვმა (XX ს.) მოგვცა პერიოდიზაციის შედარებით მარტივი სქემა, რაც ემყარებოდა ძველი რომის ისტორის სამ პერიოდად და ქვეეტაპებად დაყოფის სქემას:

1. რომი - თემი (მონათმფლობელობის ჩასახვა.).
   ა) გვაროვნული ურთიერთობების დრო. ძვ.წ. II-I ათასწ. მიჯნა და რომის დაარსების ტრადიციული თარიღი – ძვ.წ. VIII ს. შუა ხანები.
   ბ) გვაროვნულ ურთიერთობების დაშლა – „სამხედრო დემოკრატია", ეტრუსკთა გავლენის ქვეშ არსებული მეფეთა პერიოდი (ძვ.წ. VIII ს. შუა ხანები – ძვ.წ. VI ს. მიწურული.).
2. რომი - მონათმფლობელური რესპუბლიკა.
   ა) შიდა კლასობრივ-თემობრივი ბრძოლით და იტალიის საგარეო პოლიტიკური კავშირით მონათმფლობელური ურთიერთობე-

ბის ჩამოყალიბება, რაც რომის მიერ აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობით დასრულდა (ძვ.წ. VI ს. დასასრ. - ძვ.წ. III ს. შუა ხანები.).

ბ) კლასთა ბრძოლის პირობებში მონათმფლობელური ურთიერთობის განვითარება, მისი გადაზრდა სამოქალაქო ომში და რომის ხმელთაშუაზღვისპირა სახელმწიფოდ გადაქცევა (ძვ.-წ. III ს. შუა ხანები - სამოქალაქო ომის დასასრული.).

3. რომი - მონათმფლობელური იმპერია (მონათმფლობელობის კვდომა).

ა) პრინციპატის დროს სამხედრო-მონათმფლობელური ურთიერთობების სტაბილიზაცია და მონათმფლობელობის საბოლოო ბრძოლისთვის პირობითი გარემოებების შექმნა.

ბ) დიოკლეტიანეს დროინდელი სამხედრო-მონათმფლობელური დიქტატურის გაძლიერების მიუხედავად მონათმფლობელური სისტემის კრიზისი და მისი კვდომა თავისუფალი და არათავისუფალი ღარიბობის მზარდი ბრძოლით რომის იმპერიის საზღვრებში შემოჭრილ ბარბაროსებთან ერთად.

ტარკოვის მიერ მოცემული ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაცია მართალია სამწვეროვანი დაყოფის და ფორმაციული პრინციპიდან ამოდიოდა, მაგრამ სამეცნიერო წრეებში მან პოპულარობა ვერ ჰპოვა.

რაც შეეხება ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიას, შევნიშნავთ, რომ მასში რუსული საისტორიო სკოლის გავლენით დამკვიდრებული არის ვ. კუზიშჩინისეული (1930-2013 წწ.) პერიოდიზაციის სისტემა:

1. ძვ.წ. VIII-VI სს. – იტალიის უძველესი პერიოდი. მისთვის დამახასიათებელია სამხ. იტალიაში ბერძნული კოლონიების, ეტრუსკების სახელმწიფოს და რომში მეფეთა პერიოდის არსებობა;
2. ძვ.წ. VI-III სს. – ადრეკლასობრივი საზოგადოება. მისი მახასიათებელია პატრიციუსებთან პლებეების ბრძოლა, რომის მიერ იტალიის დაპყრობა (იგივე ადრეული რესპუბლიკა);
3. ძვ.წ. II-I სს. – იტალიაში მონათმფლობელობის კლასიკური სისტემა. რომის ხმელთაშუაზღვისპირა სახელმწიფოს შექმნა (გვიანი რესპუბლიკა);
4. I-II სს. – ანტიკური ხმელთაშუაზღვისპირა ცივილიზაციის გაფურჩქვნა. ადრეული იმპერია (პრინციპატი);

5. III ს. – ანტიკური ცივილიზაციის ზოგადი კრიზისი. ხმელთაშუა-ზღვისპირა რომის იმპერიის დაშლის საშიშროება;
6. IV-V სს. – პროტოფეოდალური ურთიერთობების ფორმირება. რომის გვიანდელი იმპერია (დომინატი).

ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაციის თავისებური გაგება 1930 წელს მოგვცა ამერიკელმა მეცნიერმა ფ. კორნელიუსმა (1893-1976). მან უარყო რომის ისტორიის ტრადიციული დაყოფა მეფეთა, რესპუბლიკის და იმპერიის პერიოდებად და პერიოდიზაციას საფუძვლად დაუდო საგარეო ფაქტორები. მის მიერ მოცემული პერიოდიზაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. რომაელთა მიერ მსოფლიო ბატონობის ჩაგდებამდე (ძვ.წ. 164 წლამდე.);
2. მსოფლიო ბატონობა (ძვ.წ. 167-324 წწ.);
3. ბიზანტიური პერიოდი (324-1453 წწ.).

ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიოგრაფიაში ტრადიციად დამკვიდრდა მისი ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის პრინციპი, რომლის საფუძველია სახელმწიფოებრივი წყობის ცვლილებების პრინციპზე:

1. მეფეთა ხანა (ძვ.წ. 753-509 წწ.);
2. რესპუბლიკის ხანა (ძვ.წ. 509-30 (27) წწ.);
   ა) ადრეული რესპუბლიკა (ძვ.წ. 509-265 წწ.);
   ბ) გვიანი რესპუბლიკა (ძვ.წ. 264-30 წწ.);
3. იმპერიის ხანა (ძვ.წ. 30 (27)-ახ.წ. 476 წწ.).
   ა) ადრეული იმპერია, იგივე პრინციპატი (ძვ.წ. 30 (27) - 284 წწ.);
   ბ) გვიანი იმპერია, იგივე დომინატი (284-476 წწ.).

წინამდებარე ნაშრომი მცირეოდენი ცვლილებით ძველი რომის ისტორიის პერიოდიზაციის აღნიშნულ პრინციპს მისდევს. მკითხველისთვის გასაგები, რომ იყოს შევნიშნავთ, პერიოდიზაციის ყველა თარიღს თავისი დატვირთვა აქვს. მაგ., ძვ.წ. 753 და 509 წლები არის მეფეთა ხანის დასაწყისის და დასასრულის თარიღები. რაც შეეხება ძვ.წ. 265 წელს რომლითაც მიჯნავენ ადრეული და გვიანი რესპუბლიკის პერიოდებს, იგი არის რომის მხრიდან სამხრეთ იტალიის დაპყრობის დასრულების თარიღი. ძვ.წ. 30 (ან ძვ.წ. 27) წელი მიჩნეულია რესპუბლიკიდან იმპერიისკენ გადასვლის თარიღად, რადგანაც იმ წელს დაესვა წერტილი სამოქალაქო ომს და დამყარდა ე.წ. „Pax Romana“. რაც შეეხება 284 წელს, იგიც

ტრადიციული თარიღია და უკავშირდება იმპ. დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) სახელს. მისი მმართველობით რომის ისტორიაში დამყარდა სახელმწიფოებრივი მმართველობის სრულიად ახალი ფორმა - დომინატი, რომლის დროსაც დაიწყო საიმპერატორო ძალაუფლების აბსოლუტიზმის რანგში აყვანა, რამაც ძირეულად შეცვალა იმპერიის შინაარსი.

ძველი რომის ისტორიის ამ ტრადიციულ პერიოდიზაციაში მცირედი ცვლილებები შევიტანეთ. ჩვენი ხედვით, ადრეული და გვიანი რესპუბლიკას შორის გამყოფი ზღვარი უნდა იყოს არა ძვ.წ. 265 წელი, არამედ ძვ.წ. 201 წელი. მიგვაჩნია, რომ ძვ.წ. 265 წელს სამხ. იტალიის დაპყრობით ძირეული ცვლილებები ძველი რომის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში არ მომხდარა. მართალია იტალიის დაპყრობით შეიქმნა რომაულ-იტალიკური ფედერაცია, მაგრამ საუკუნეების მანძილზე ქ. რომის სტატუსი უცვლელი იყო და იგი რჩებოდა ისეთივე პოლისის შინაარსის და სტრუქტურის ქალაქად, როგორიც იყო VII-IV სს. მაშასადამე, ძვ.წ. 265 წელს რომი-პოლისით მოხდა მხოლოდ რომაულ-იტალიკური ფედერაციის შექმნა.



*შტანდარტი*

რაც შეეხება ძვ.წ. 201 წელს, იგი არის არა მარტო II პუნიკურ ომის დასრულების წელი, არამედ მიგვაჩნია, რომ ამ თარიღს რომისთვის და ზოგადად დანარჩენი ანტიკური სამყაროსთვის გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან სწორედ II პუნიკურ ომში გამარჯვებით ძველი რომის და ზოგადად ანტიკური ისტორიაში იწყება ახალი - ხმელთაშუაზღვისპირეთის დაპყრობის ეტაპი. რომაულ პოლიტიკაში ხმარებაში შემოდის „ორმაგი სტანდარტის“ დიპლომატია. მისი ფართო გამოყენებით იქმნება ევროპააზია-აფრიკის კონტინენტებზე გადაჭიმული სახელმწიფოს სასტარტო ბაზისი, რომელმაც შემდგომში საფუძველი დაუდო ძველი რომის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების პროცესს, ანუ დასაბამი დაედო ახალ, ე.წ. ხმელთაშუაზღვისპირა ცივილიზაციას.

რესპუბლიკიდან იმპერიისკენ გარდამავალ ზღვრულ თარიღად მივიჩნევთ არა ძვ.წ. 30 (27) წელს, არამედ ძვ.წ. 45/4 წლებს. ვთლით, რომ ძვ.წ. I ს. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არმიის გადამწყვეტმა როლმა და ასევე სამოქალაქო ომის დასრულებით

ქვეყანაში კეისარიზმის იდეოლოგიის რანგში გაფორმებამ, განსაზღვრა საიმპერატორო ხელისუფლების თავისებურებები ძველ რომში. რაც შეეხება II ტრიუმვირატს და ოქტავიანე-ანტონიუსის დაპირისპირებას, რომელიც ოქტავიანეს პრინციპატით დასრულდა, ჩვენი აზრით, ძვ.წ. 45/4 და ძვ.წ. 30 (27) წლებს შორის პერიოდი არსებითად იყო მხოლოდ კეისრის მემკვიდრეობისთვის ბრძოლის მონაკვეთი. ამიტომაც პერიოდიზაციის საკითხში სწორედ ძვ.წ. 45/4 წლებს ვანიჭებთ უპირატესობას.

მცირე ექსკურსის მხრივ დავსძენთ, რომ მეფეთა ხანა (Regnum Romanum, ძვ.წ. 753-510 წწ.) აღინიშნება შვიდ ბორცვზე ქ. რომის აღმოცენებით და მის გარშემო მსხვილი ფედერაციული კავშირის შექმნით. ძვ.წ. VII-VI სს. უკვე მიმდინარეობდა რომაული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, რაც გამოიხატა ქ. რომის პოლისად ჩამოყალიბებით, მისი მოსახლეობის ქონებრივ ცენზებად და გვაროვნულ ნაწილებად დაყოფით, რომის პირველ მოქალაქეების პატრიციუსებსა და პლებეებს შორის ბრძოლებით და ა.შ.

რესპუბლიკის ხანა (Res Publica Romana, ძვ.წ. 510-45/4 წწ.) აღინიშნება დიდი სოციალ-პოლიტიკური ბატალიებით. იგი გამოიხატა რომის მხრიდან იტალიის დაპყრობით და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში პირველობისათვის მიმდინარე ბრძოლებით. ამ პერიოდში იწყება რომის დაპირისპირება ელინისტურ სახელმწიფოებთან, შიდა კლასობრივი წინააღმდეგობები, მონათა აჯანყებები, სამოქალაქო ომები და მისი ლოგიკური დასასრული - რესპუბლიკის კრიზისი და მისი კრახი. მმართველობის პოლისური სისტემის არაეფექტურობამ და სხვა სოციალურმა გარემოებებმა ნიადაგი მოამზადეს ახალი პოლიტიკური რეჟიმის დამყარებისთვის.

იმპერიის ხანას (Imperium Romanum, ძვ.წ. 45/4-ახ.წ. 476 წწ.) ტრადიციულად ყოფენ პრინციპატად და დომინატად. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო თავდაპირველად მონათმფლობელური ურთიერთობების დროებითი სტაბილიზაცია. სულიერ სფეროში ხდება მენტალიტეტის ცვლილება, რაც გამოიხატა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით. იწყება საიმპერატორო ხელისუფლების აბსოლუტიზმის რანგში აყვანა, რასაც შემდგომში მოჰყვა ყველა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ღრმა კრიზისი. ამ პერიოდში დაკანონდა იმპერიის დასავლეთ და აღმო-

სავლეთ ნაწილებად დაყოფა, იწყება ხალხთა დიდი გადაადგილე-ბები და ისტორიის ბოლო აკორდი – დას. რომის იმპერიის განა-დგურება

ძველი რომის ისტორია ქართულ მეცნიერებაში მოიაზრება ცნება „ანტიკური ეპოქის“ ქვეშ, რაც რუსული საისტორიო სკო-ლის გავლენის შედეგია. საქმე იმაშია, რომ დასავლური ისტორი-ოგრაფია „Antique“ (ლათ. „Antiquus“, „Old“, „Ancient“) ფართო მნიშვ-ნელობას ანიჭებს და მის ქვეშ გულისხმობს ზოგადად მთელ ძველ სამყაროს (აღმოსავლეთი და საბერძნეთ-რომი). შესაბამისად, ისტორიის ანტიკური პერიოდი ჯდება გვაროვნულ საზოგადოებას და შუა საუკუნებს შორის მონაკვეთში. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ სამეცნიერო წრეებში დომინირებული ორივე მიდგომა მისა-ღებია. ამის განმარტება იმიტომ დაგვჭირდა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოში ტრადიციას მივყვებით და წიგნში ნახსენები ტერმინი „ანტი-კურის“ ქვეშ ვგულისხმობთ მხოლოდ ძველი სა-ბერძნეთის და რომის ცივილიზაციებს.


*ოდოაკრი (მონეტა)*


*იუსტინიანე II (მონეტა)*


*ფოკა (მონეტა)*

და მაინც, როგორია რომის ისტორიისთვის ანტიკური პერიოდის ქრონოლოგია. სამეცნიერო ლიტერატურაში მისი საწყისი ზღვარი ცალსახად განსაზღვრულია - ძვ.წ. VIII ს., როდესაც აპენინის ნახევარკუნძულზე აღმოცენდა ქ. რომი, გაჩნდა პირველი ბერძნული პოლისები და იწყება ელინე-ბს, ეტრუსკ და სხვა იტალიკ ტომებს შორის მჭი-დრო კონტაქტები.

გეოპოლიტიკური კონტექსტიდან გამომდი-ნარე ანტიკური პერიოდის ბოლო ზღვარი დასა-ვლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებისთვის სხვადასხვაა. დას. რომის იმპერიისთვის იგი მთა-ვრდება 476 წელს, როდესაც რომაული არმიის ბარბაროსი მოქირავნეების მეთაურმა ოდოაკრმა (433-493 წწ.) ვე-სტგუთების (410 წ.) და ვანდალების (455 წ.) კვალდაკვალ აიღო ქ. რომი. მისი მხრიდან საიმპერატორო მანტიის და რომულუსის დი-ადემის კონსტანტინოპოლში გაგზავნა ოფიციალური დას. რომის იმპერიის არსებობის შეწყვეტის მანიშნებელი იყო. რაც შეეხება აღმოსავლეთ რომის იმპერიას, იქ ანტიკური პერიოდის დასასრუ-ლის თაობაზე ერთი აზრი არ არის. ერთნისთვის იგი მთავრდება

527 წელს იმპ. იუსტინიანე I-ის (527-564 წწ.) გამეფებით, ანდა მისი სიკვდილით. სხვები მას უკავშირებენ იმპ. ფოკას (602-610 წწ.) 602 წლის გადატრიალებას, ანდა VII ს-ის 30-იანი წლების არაბთა ლაშქრობებს. თუ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვიაზრებთ მხოლოდ ქ. რომის დაარსების (ძვ.წ. 753 წ.) და ოდოაკრის მხრიდან „მარადიული ქალაქის" დაპყრობის ფაქტს (476 წ.), მაშინ გამოდის, რომ ძველი რომის მონაკვეთი მსოფლიო ისტორიის კონტექსტში თორმეტ საუკუნეზე მეტ პერიოდს გრძელდებოდა.

ბიოგრაფიის ბიბლიოთეკა

# თავი I
# ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

*ა) წყაროთმცოდნეობა*

წყაროთმცოდნეობა საისტორიო მეცნიერების დამხმარე დისციპლინაა, რომელსაც აქვთ თავისი კვლევის საგანი, მეთოდი და ა.შ. წყაროთმცოდნეობის ძირითადი საგანია ყველა ტიპის წერილობითი წყაროები, რომლების ხდება დაჯგუფება, სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია, ანალიზი, გამოცემა და თეორიის შემუშავება. წყაროთა კლასიფიკაცია კეთდება შინაარსის, წარმოშობის და სახეობების მიხედვით. წყაროთმცოდნეობის ზოგადი ამოცანები, მეთოდიკა და კვლევის ხერხები გამოიყენება ყველა პერიოდის საისტორიო წყაროს მიმართ. ამდენად იგი კომპლექსური დარგია და აერთიანებს სპეციალურ საისტორიო დისციპლინებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია საისტორიო წყაროების ექვს ჯგუფად დაყოფა. ძველი რომის ისტორიის შემთხვევაში მათგან მისაღებია მხოლოდ ოთხი:

1. წერილობითი წყაროები (ეპიგრაფიკული ძეგლები – ქვაზე, კერამიკაზე და ა.შ. არსებული ძველი წარწერები; შენობებზე დაფიქსირებული გრაფიტოები და ხელით ამოტვიფრული ტექსტები. ხელნაწერები პაპირუსზე, პერგამენტზე და ა.შ.);
2. ნივთიერი ძეგლები (შრომის იარაღები, ხელოსნობის ნაწარმი, ყოფითი ნივთები, იარაღები, მონეტები, არქიტექტურული ნაგებობები და ა.შ.);
3. ეთნოგრაფიული ძეგლები;
4. ლინგვისტური მასალა (გეოგრაფიული სახელწოდებები, პირადი სახელები და ა.შ.).

უნდა შევნიშნოთ, რომ საისტორიო პროცესის ყოველმხრივი და რეალური სურათის აღდგენა შესაძლებელი არის მხოლოდ ზემოჩამოთვლილი ყველა წყაროების ერთობლიობით.

მეცნიერების საერთო სისტემაში წყაროთმცოდნეობის ადგილის განსაზღვრის თაობაზე ორი მიდგომა არსებობს. ერთნი მას დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარებენ, ხოლო სხვები დამხმარე დისციპლინად მიიჩნევენ და ამ დროს პოლემიკაში გადაუჭრელი რჩება მთავარი - მისი დარგობრივი (ფილოლოგიური თუ ისტორიული) კუთვნილების საკითხი.

წყაროთმცოდნეობისთვის დამახასიათებელია ე.წ. „მარადიული პრობლემის“ არსებობა. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა მიმდინარე მომენტში ერთმნიშვნელად არ ხერხდება, ხოლო მეცნიერების განვითარების კვალობაზე ხდება ამ პრობლემის ხელმეორედ დაყენება. წყაროს მიმართ კამათი და აზრთა სხვადასხვაობა საბოლოო ჯამში იწვევს საისტორიო მეცნიერების პროგრესს.

წყაროთმცოდნეობა საისტორიო მეცნიერების აუცილებელი და ტრადიციული დარგიცაა. აუცილებელია, რადგან იგი საისტორიო კვლევის საფუძველს შეადგენს. წყაროს სიღრმისეული შესწავლა ქმნის მაღალხარისხოვანი საისტორიო ნაშრომის შექმნის საფუძველს. წყაროთმცოდნეობის ზოგად ამოცანებს, მეთოდიკას და კვლევის ხერხებს იყენებენ ყველა პერიოდის წყაროს მიმართ. საისტორიო წყაროების კრიტიკას სათავე დაუდო ბერძენმა ისტორიკოსმა თუკიდიდემ (ბერძ. Θουκυδίδης, ძვ.წ. 465/460-400/395 წწ.). ჰეროდოტესგან (ბერძ. Ἡρόδοτος, ძვ.წ. 484-425 წწ.) განსხვავებით თუკიდიდემ საისტორიო თხზულების მიზნად ჩათვალა „ჭეშმარიტების ძიება“. იგი წერდა: „ჩემი ნაშრომის მიზანია არა იმდენად, რომ მოცემულ მომენტში სიტყვიერი შეჯიბრის საგანი გახდეს, რამდენადაც იმისკენ, რომ დარჩეს სამარადისო ძეგლად“.


ჰეროდოტე


თუკიდიდე

თანადროული ამბების აღწერისას თუკიდიდეს პრინციპი იყო - „გაგონილს ნანახი მირჩევნია“. მაშასადამე, თუ ჰეროდოტემ თავის თხზულებაში შეიტანა ნანახი და გაგონილი ფაქტები, თუკიდიდემ ისინი გადაამოწმა. ამის გამო იყო, რომ XIX ს. რიგი გერმანელი მეცნიერები მას ჰეროდოტეზე მაღლა აყენებდნენ. ლიტერატურაში ცალსახად არის განსაზღვრული თუკიდიდეს და მისი მიმდევრების ადგილი ანტიკური ისტორიოგრაფიის სამეცნიერო, ანუ პრაგმატულ მიმდინარეობაში. რაც შეეხება ფაქტების მორალური და მხატვრული გაშუქების მომხრე მემატიანეებს, მათ

აჯგუფებენ რიტორიკულ, ანდა ისოკრატისეულ (ბერძნ. Ἰσοκράτ-ης,ძვ.წ. 436-338 წწ.) მიმართულებად.

ანტიკურ ისტორიოგრაფიაშივე (მხედველობაშია ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია) დაედო საფუძველი საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებს, რომლებმაც განვითარება ჰპოვეს მოგვიანო პერიოდის ევროპულ მეცნიერებაში. სწორედ ანტიკური პერიოდის მწერალ-ისტორიკოსების მხრიდან იყო ფორმულირებული და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი ისეთი ფუნდამენტური იდეები, როგორიც არის სოციალური პროგრესის თეორია, საისტორიო წყაროების მიმართ კრიტიკის აუცილებლობის თეზისი და ა.შ. სამწუხაროდ, ძველი რომის განადგურებით საისტორიო მეცნიერებაში დავიწყებას მიეცა ანტიკური ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევა, რის გამო ადრეულ შუა საუკუნეებში ანტიკური წყაროების კრიტიკული შესწავლა არ მიმდინარეობდა. პაპიზმის დოგმების საზოგადოებაში დომინირებული პოზიციის გამო ანტიკური ეპოქის ყველა წყარო წარმართულად გამოცხადდა და აიკრძალა მათი გამოყენება.



ისოკრატე

ანტიკურ წყაროთა კრიტიკის მხრივ ნათელი ფურცელი იწყება რენესანსის პერიოდიდან. ამ საქმეში უზომო იყო ჰუმანისტის ლორენცო ვალას (1407-1457 წწ.) წვლილი, რომლის კრიტიკულმა შენიშვნებმა არსებითად დაამსხვრია საისტორიო მეცნიერების მიმართ პაპიზმის დოქტრინა. რაც შეეხება XIX-XX სს., კარლ ლახმანის (1793-1851 წწ.), თეოდორ მომზენის (1817-1903 წწ.), ულრიხ ფონ ვილამოვიც-მოლენდორფის (1848-1931 წწ.) და სხვების წყალობით, ფილოლოგიის და ანტიკური ისტორიის სინთეზით, მოხერხდა წყაროთმცოდნეობითი კვლევის არეალის გაფართოება. შესაბამისად, თავისი კვლევის ობიექტით და სპეციფიკური მეთოდებით იგი ჩამოყალიბდა საისტორიო მეცნიერების დამხმარე დისციპლინად.

*    *    *

წინამდებარე თავი ორი ნაწილისგან შედგება. პირველში საუბარია წყაროთმცოდნეობის, ხოლო მეორეში ისტორიოგრაფიის

საკითხებზე. წყაროთმცოდნეობაზე საუბრისას ყურადღება გამახვილებულია პირველი ან მეორე ხარისხოვან იმ რომაელ და არარომაელ ისტორიკოსებზე, რომელთა თხზულებები ფასდაუდებელია ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეში. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა მკითხველს რომაული ისტორიის ამსახველი წყაროების ფართო სპექტრზე მისცემს სრულ სურათს. საისტორიო მწერლობაზე საუბრისას უპირველესად ვეხებით ისტორიკოსის ბიოგრაფიულ ცნობებს, ეპოქას და ვსაუბრობთ მათ შემოქმედებაზე. წარმოდგენილი მასალა დალაგებულია ისტორიკოსების ცხოვრების ქრონოლოგიური პრინციპის მიხედვით. რაც შეეხება ისტორიოგრაფიის საკითხებზე საუბარს, ამ შემთხვევაში აქცენტი გამახვილებული არის ცალკეულ სკოლებზე (იტალიური...) და იმ წონად მკვლევართა ნაშრომებზე, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს ძველი რომის ისტორიის შესწავლის მსოფლიო კარდინალური ხაზი.

*რომაული არქეოლოგია*

არქეოლოგია საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი სპეციალური დამხმარე დისციპლინაა. მისი მეშვეობით შესაძლებელი არის მიწის ქვეშ არსებული წარსული ისტორიის ამსახველი ნივთიერი წყაროების გამომზეურება და შესწავლა.

სიტყვა „ἀρχαιολογία" წარსული ისტორიის შინაარსით პირველად იხმარა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა (ბერძ. Πλάτων, ძვ.წ. 428/7-348/7 წწ.). აღნიშნული ტერმინის ფართო შინაარსით გამოიყენა ელინმა ისტორიკოსმა დიონისე ჰალიკარნასელმა, რომელმაც ნაშრომში - „რომაული სიძველეები", განსაზღვრა არქეოლოგიის საგანი და მიზანი. ისტორიკოსი წერდა: „ისტორიას ვიწყებ იმ უძველესი თქმულებებით, რომლებსაც წინამორბედები რთული ძიების გამო ტოვებდნენ... მე ვსაუბრობ რომაელი ხალხის ყველა ომებზე... და საუბარი მიმყავს I პუნიკურ ომამდე".

ბერძნებისგან განსხვავებით ძველი ისტორიის აღსანიშნავად რომაელები იყენებდნენ სიტყვა „Antiquitates". არადა, არქეოლოგიის მაშინდელ და დღევანდელ გაგებას შორის დიდი ზღვარია. საქმე იმაშია, რომ ემპირიული ცოდნიდან მან, თანდათან, სამეცნიერო სახე მიიღო. ფაქტია, მაგრამ არქეოლოგიას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის იმ მონაკვეთის შესწავლაზე, რომლების შესახებ წერილობითი ცნობები არ გვაქვს. მაშასადამე,

რომაული არქეოლოგიის მეშვებით შესაძლებელი არის საწყისი, ე.წ. „რომამდელი“ ისტორიის გაშუქება.

რენესანსის პერიოდში სათავე დაედო რომაულ არქეოლოგიას. მაშინ სიძველეების ძიებას რომის პაპებიდან დაწყებული მეფე-თავადებით დამთავრებული შეჯიბრის სახე ჰქონდა მიღებული. ამის გარდა, რომაული სიძველეების ძიება საზოგადოებაში ასევე ნიშნავდა პაპიზმის დოქტრინის მიმართ პროტესტის გამოხატვას. არსებითად, ის რაც ადრეულ შუა საუკუნეებში იყო აკრძალული, ინტერესს იწვევდა მომდევნო პერიოდის ევროპის საზოგადოებაში.

სიძველეებისადმი დაინტერესებამ თავისთავად მოითხოვა რომაული ნივთების შესანახი სპეციალური საცავეების შექმნა. მაგ., პაპი იულიუს II-მ (1503-1513 წწ.) 1506 წელს ვატიკანთან გახსნა ქანდაკებების შესანახი პირველი საცავი. XVII ს-დან პაპების მსგავსად ანტიკური ქანდაკებების საცავები ჰქონდათ კარდინალებსაც. მაგ., კარდინალმა ლუდოვიკო ლუდოვიზმა (პაპი გრიგოლ XV, 1621-1623 წწ.) შექმნა ცნობილი კოლექცია, რომელშიც შედიოდა: მომაკვდავი გალი (ძვ.წ. III ს.), ე.წ. „ლუდოვიზიის დიდი სარკოფაგი“ (III ს.), ჰერმესის (I ს.), იუნონას (I ს.) და სხვა ქანდაკებები.



*მომაკვდავი გალი*

ჰერკულანუმში (1711 წ.) და პომპეიში (1748 წ.) ჩატარებული გათხრებით საფუძველი ჩაეყარა რომაულ არქეოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას. არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებში ე.წ. „დილეტანტთა საზოგადოებების“ შექმნას. პირველად იგი დაფუძნდა 1733 წელს ლონდონში. საზოგადოება თავისი ხარჯებით აფინანსებდა მიმდინარე ექსპედიციებს. არქეოლოგიური ნივთების შეგროვებაში აქტიურად ჩაერთო ვატიკანიც. მაგ., პაპი ლეო X-მ (1513-1521 წწ.) ძველი ნივთების კონტროლი მიანდო დიდ იტალიელ ფერმწერ რაფაელს (1483-1520 წწ.). ვატიკანის საცავებში დღესაც ბევრი უნიკალური ნივთი ინახება.

მუზეუმებსა და საცავეებში არსებული რომაული სიძველეების ერთ-ერთი პირველი სისტემატიზაცია დაკავშირებული არის გერმანელი მეცნიერის იოჰან ვინკელმანის (1717-1768 წწ.) სახელთან. ნაშრომში - „ანტიკური ხელოვნების ისტორია“-ში (1764 წ.),

ვინკელმანმა მოახდინა იტალიის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში არსებული რომაული ისტორიის ამსახველი სხვადასხვა ნივთების სისტემატიზაცია.

რისორჯიმენტოს (გამოცოცხლება) წყალობით XIX ს. II ნახევარში იტალიაში ეროვნული საკითხის გადაჭრამ, საზოგადოებაში წამოწია რომის ისტორიის ცალკეული თემების პოპულარიზაციის საკითხი. ცხადი იყო, რომ ახლადშექმნილი სახელმწიფო ცდილობდა მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა მისი ეტრუსკულ-რომაული ცივილიზაციის მემკვიდრეობა. ამისთვის იტალიაში ინტენსიურად მიდიოდა სხვადასხვა არქეოლოგიური კვლევა-ძიებების დაფინანსება.

დღეისთვის ძველი რომის ისტორიის დიდი მონაკვეთი ცნობილი არის არქეოლოგიური წყაროებით იტალიის და ასევე ევროპა-აფრიკა-აზიის ტერიტორიებზე, ანუ, სადაც ოდესღაც გადაჭიმული იყო რომის იმპერია, ნაპოვნი არის არაერთი არქეოლოგიური ძეგლი. საკუთრივ იტალიაში მხედველობაში გვხვდება ეტრუსკული წარმოშობის ძეგლები. ეტრუსკები ძვ.წ. X-V სს. აპენინის ნახევარკუნძულზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. მოგვიანებით ისინი შეერწყნენ რომაელებს და დიდი გავლენა მოახდინეს მათ კულტურაზე. ეტრუსკული ძეგლების სიმრავლემ სათავე დაუდო ეტრუსკოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას.



*მუზეუმის ლოგო*

ეტრუსკოლოგიაში ბიძგის მიმცემი იყო თომას დემპსტერის (1579-1625 წწ.) ნაშრომი „შვიდი წიგნი სამეფო ეტრურიის შესახებ“ (1619 წ.). მასში ავტორმა ეტრუსკები წარმოსახა ძველი ეპოქის ერთ-ერთ კულტურულ ხალხად. წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა სამეცნიერო წრეებზე და მისი წყალობით დასაბამი დაედო ეტრუსკულ არქეოლოგიას. დღეისთვის იტალიის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილში ნაპოვნი არის მრავალი ეტრუსკული სამარხი და ნაქალაქარი. ეტრუსკული ნივთების კოლექციებმა მოითხოვეს შესაფერისი მუზეუმების შექმნა. ერთ-ერთი ასეთი წონადი მუზეუმია იტალიის ქ. კორტონაში მდებარე „ეტრუსკული აკადემია“ (1726 წ.).

ნახევარკუნძულის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია სხვადასხვა იტალიკ ტომთა და ბერძენ მოახალშენეთა

მატერიალური ცხოვრების კვალი. სწორედ ამ დასახლებებში ძვ.წ. VIII ს-დან გამოირჩეოდა ქ. რომი. რომაელთა მატერიალური კულტურის ნაშთები საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ რომაული და მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის ადრეული კულტურების ურთიერთგავლენებზე. სამარხეული ინვენტარით და პრიმიტიული მშენებლობების კვალით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იტალიკთა და რომაელთა ყოფაზე. ჩვენამდე შემორჩენილი მოგვიანო პერიოდის ტაძრები, საცხოვრებელი სახლები, აბანოები, ვილები, ტრიუმფალური თაღები და აშ., ძველ რომაულ მატერიალურ სამყაროზე გვაძლევს კონკრეტულ წარმოდგენებს.

ყოველივეს ემატება სამ კონტინენტზე (ევროპა-აზია-აფრიკა), ანუ ძველი რომის ყოფილი პროვინციების ტერიტორიაზე ნაპოვნი აურაცხელი კულტურული ძეგლის, ქალაქების და არქიტექტურის არაერთი ნანგრევები. მათგან შეგვიძლია დავასახელოთ ქ. ნიმში (სამხ. საფრანგეთი) არსებული რომაული ტაძარი - „Maison Carrée“ (კვადრატული სახლი), ქ. სპლიტში იმპ. დიოკლეტიანეს სასახლე (ხორვატია) და სხვა მრავალი ძეგლი, რომლებიც შესანიშნავად არიან შემონახული.



*„Maison Carrée“*

ყოველივეს თავი, რომ დავანებოთ, ძველრომაული გამოგონებები ფართოდ გამოიყენება დღევანდელობაში. რომაელების გამოგონებაა საამშენებლო ნაზავი – ბეტონი. თანამედროვე ანალოგთან შედარებით იგი უფრო მყარი იყო, რომელმაც ათასწლეულებს გაუძლო. ასევე წიგნები. მართალია მათი პროტოტიპები პაპირუსების გრაგნილის სახით გვხდება ეგვიპტეში, მაგრამ მხოლოდ რომში მოხდა მათი გამოყენება ე.წ. კოდექსების სახით, რომლებიც ფორმით ჰგავს თანამედროვე წიგნებს. რომაელებმა პირველებმა დაიწყეს გაზეთების გამოცემა. თავდაპირველად იგი იყო სენატორებისთვის განკუთვნილი სენატის კრებების აქტები. მოგვიანებით, კეისრის დროიდან, იგი ჩაანაცვლა ყოველდღიურმა გაზეთმა - „Acta diurna“. გამოგონებების რიცხვში შედის საზოგადოებრივ აბანოებში გათბობის სისტემების გამოყენება, აკვედუკების მეშვეობით ქალაქის წყლით მომარაგება, ფასტ-ფუდებით კვების პრობლემის გადაჭრის პრაქტიკის დანერგვა და ა.შ.

*რომაული არქეოლოგია*

რომაულ არქეოლოგიაზე საუბარისას ყურადღებას მივაქცევთ რამდენიმე მნიშვნელოვან ძეგლზე (პომპეი, ჰერკულანუმი, სტაბიუმი), რითაც, ვფიქრობთ, რომ საკითხის გარშემო მკითხველს შეექმნება ზოგადი წარმოდგენა.

პომპეი (ლათ. Pompeii) არის ღია ცისქვეშ მუზეუმის სტატუსის მქონე ქალაქი. იგი დაარსდა ძვ.წ. IV ს-ში. 79 წლის 24 აგვისტოს ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად პომპეი დაიმარხა ვულკანური გაზების, ფერფლის და ქვებით. ვულკანი, რომელმაც ათასობით ადამიანების სიცოცხლე შეიწირა, უნიკალური მატერიალური საუნჯე შეინახა. დადასტურებულია, რომ ამოფრქვევის მომენტში პიროკლასტური ნაკადის ტემპერატურა მერყეობდა ცელსიუსით 200-500$^0$ შორის და მისი სისწრაფე იყო საათში 290 კმ. ექსრემალური ტემპერატურის გარდა მოსახლეობა იღუპებოდა ე.წ. „სითბური შოკით“.



*ალკუბიერე*

მთელი 15 საუკუნის მანძილზე პომპეი მიწის ფენით იყო დაფარული. 1592 წელს მდ. სარნოდან არხის მშენებლობისას პირველად იპოვეს ქალაქის კედლები, მაგრამ მაშინ მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. 1689 წელს ნაპოვნი იქნა დანგრეული შენობა წარწერით „პომპეი“. ძეგლი კვლავ იგნორირებული იყო, რადგან წარწერა გაიგივდა რომაელი პოლიტიკოსის გნეუს პომპეუსის (ძვ.წ. 106-48 წწ.) საცხოვრებელ კომპლექსთან. 1748 წელს პომპეიში გათხრები წამოიწყო როკე იოაკინ დე ალკუბიერემ (1702-1780 წწ.). იგი იყო ნეაპოლიტანიის სამეფო კარზე მოღვაწე ესპანელი სამხედრო ინჟინერი. ალკუბიერე დარწმუნებული იყო, რომ თხრიდა სტაბიუმს. პრინციპში, მას მხოლოდ მხატვრული ღირებულების მქონე ნივთები აინტერესებდა, რომლებსაც აგზავნიდა იგი ნეაპოლიტანიის სამეფოს მუზეუმებში. ინჟინერი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ძველი ქალაქის ნანგრევებს. ამის გარდა, საშინელი იყო მის მიერ



*პომპეი – არქეოლოგიური გეგმა*

წარმოებული გათხრების მეთოდიკა. თავდაპირველად მიწაში კეთდებოდა გვირაბი და მხოლოდ საინტერესო მონაპოვარი იძლეოდა შემდგომი გათხრების პროცესის სტიმულირებას.

პომპეის გათხრებისადმი მეცნიერული მიდგომა უკავშირდება ესპანელი სამხედრო ინჟინრის და არქეოლოგის ფრანცისკო ლა ვეგას (1737-1815 წწ.) სახელს. იგი 1760-1804 წლებში ხელმძღვანელობდა გათხრებს. მის დროს დადგინდა, რომ ფერფლის ქვეშ მყოფი ქალაქი იყო პომპეი და არა სტაბიუმი. ვეგას დამსახურება იყო ისტორიული პომპეის ძირითადი ნაწილის გათხრა, ქალაქის სარესტავრაციო საქმეების წამოწყება, გათხრების დღიურის წარმოება, სხვადასხვა გამოფენა-ექსპოზიციების მოწყობა და ა.შ. მეცნიერმა სიახლეები შეიტანა გათხრების ტექნოლოგიაში. პირველ რიგში ქალაქის ტერიტორიიდან დაიწყეს განათხარი გრუნტის გატანა. მანვე მოაწყო ნეაპოლიტანიის სამეფო მუზეუმებისთვის დაწუნებული ნივთების გამოფენა და საფუძველი ჩაუყარა აღმოჩენილი ძეგლების თუ ნივთების რესტავრაციის საქმეს.

1870 წელს არქეოლოგმა ჯუზეპე ფიორელმა (1823-1896 წწ.) პომპეის გრუნტზე არსებულ სხვადასხვა უცნობ გამოსახულებებში ჩაასხა თაბაშირი და მათზე გაქვავებული მიწის ფენის მოშორებით მიიღო ქალაქის გარდაცვლილი მოქალაქეების სიკვდილის წინა მდგომარეობა. მეცნიერის დამსახურება იყო პომპეიში წარმოებული გათხრებისთვის სისტემური სახის მიცემა. მანვე შემოიღო ქალაქის შენობების ნუმერაციის სისტემა, რომელიც დღესაც ძალაშია.



*გარდაცვლილი პომპეელის აღდგენილი სახე*

დღეისთვის ისტორიული პომპეის დაახლ. 25% არის გათხრილი, რაც არ იძლევა საშუალებას მთლიანობაში აღვადგინოთ ქალაქის რეალური სურათი. აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიდან დავასახელებთ: ფორუმს (38X157 მ), იუპიტერის, იმპ. ვესპასიანეს სახელზე აგებულ ტაძარს, ძვ.წ. 80 წელს 20 ათას მაყურებელზე გათვალისწინებულ ამფითეატრს, საცხოვრებელ სახლებს, წყალმომარაგების სისტემებს და ა.შ.

სტაბიუმი (ლათ. Stabiae) მდებარეობდა ნეაპოლიტანიის ყურის სანაპიროზე, ვეზუვიდან 15 კმ დაშორებით, თანამედროვე პუ-

ნქტ კასტელამარე დი-სტაბიას მახლობლად. ქალაქის შესახებ მწირი ცნობები გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ მოკავშირეთა ომისას, ძვ.წ. 89 წელს, სულამ (ძვ.წ. 138-78 წწ.) იგი მიწასთან გაასწორა. ნგრევა იმდენად მასშტაბური ხასიათის იყო, რომ ქალაქი აღარ აღუდგენიათ. დროთა განმავლობაში სტაბიუმის რაიონი რომაელი არისტოკრატების დასასვენებელ ადგილად იქცა, რამაც იგი ნახევარკუნძულზე პოპულარულ კურორტად აქცია, მაგრამ ამ მხარის აღზევება დიდხანს არ გაგრძელდა. 79 წლის ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად იგი მიწაში დაიმარხა.

1749 წლიდან სტაბიუმში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა ალკუბიერე. მაშინდელი არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის გამო და საზოგადოების ყურადღების პოპეისკენ გადატანამ მისი მნიშვნელობა დააკნინა, რის გამოც ქალაქი მიივიწყეს. 1950 წელს სტაბიუმი ხელახლა აღმოაჩინეს. დღეისთვის ქალაქში ნაპოვნი ძეგლებიდან აღსანიშნავია 1967 წელს აღმოჩენილი ე.წ. „მწყემსის ვილა“, „წმინდა მარკოს“ (ფართობი – 11 000 მ.) ვილა და სხვ.



*სტაბიუმი – არქეოლოგიური გეგმა*

ჰერკულანუმი (ლათ. Herculaneum) შედარებით მომცრო ქალაქი იყო. გალავნის შიგნით მისი ფართობი 320X370 მ მოიცავდა. პომპეის და სტაბიუმის მსგავსად 79 წლის 24 აგვისტოს იგი ვულკანური მასის ქვეშ დაიმარხა. არქეოლოგიის წყალობით შესაძლებელი გახდა ქალაქის დაღუპვის რეალური სურათის აღდგენა. ჰერკულანუმი ვეზუვის დასავლეთით მდებარეობდა. ვულკანის ამოფრქვევის მომენტში ქარი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ქროდა, ამიტომაც პიროკლასტური მასით პომპეი და სტაბიუმი მეტად დაზარალდა. ფერფლის მასა იმდენად დიდი იყო, რომ იქ არსებული შენობების სახურავები ჩაინგრა. როდესაც ქარმა მიმართულება შეიცვალა და ფერფლი წაიღო ჰერკულანუმისკენ, ქალაქი უკვე დაფარული იყო ვულკანური მასის სქელი ფენით. სიმხურვალემ ლავის ქვეშ



*ჰერკულანუმი – არქეოლოგიური გეგმა*

მოხვედრილი შენობები გამოაშრო, რის წყალობითაც ჩვენამდე მოაღწია მატერიალური კულტურის არაერთმა ძეგლმა (პაპირუსების გრაგნილები, ხისგან ნაკეთი სხვადასხვა დანიშნულების ნივთები და ა.შ.).

ჰერკულანუმი 1710 წელს ჭის თხრისას შემთხვევით აღმოაჩინეს. ამის შემდეგ დაიწყო ქალაქის უსისტემო შესწავლა. მართალია კვლევას შედარებით მეცნიერული სახე 1738 წლიდან მიეცა, მაგრამ არქეოლოგიურ გათხრებს სისტემური ხასიათი მაინც არ ჰქონდათ. ამასთან, მოპოვებული მასალა ძირითადში ნეაპოლიტანიის მეფეების სასახლეში ხვდებოდა. 1758 წელს მახლობელ ქ. პორტიჩიში გაიხსნა ჰერკულანუმის მუზეუმი.

ამედეო მაიურის (1886-1963 წწ.) ჰერკულანუმის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელად დანიშვნით, 1924 წლიდან, ქალაქის კვლევას მიეცა სისტემური სახე. თანამედროვე ეტაპზე ჰერკულანუმის შესწავლის საქმეში სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ ისტორიული ქალაქის გარკვეული ნაწილზე გაშენებულია ქ. ერკოლანო.



*ამედეო მაიური*

2001 წლიდან ფუნქციონირებს ჰერკულანუმის გადარჩენის საერთაშორისო პროექტი. მისი მიზანი არის რესტავრაციის წარმოება, საქალაქო ნაგებობების ნგრევის მასშტაბების შემცირება, შენობების მოპირკეთებული ზედაპირის დაცვა ფრინველების ნარჩენებისგან, დოკუმენტაციის შედგენა და ობიექტის მთლიანი აღწერა.

*რომაული ნუმიზმატიკა*

ნუმიზმატიკა არის მეცნიერება მონეტების და მედლების შესახებ. იგი საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დამხმარე დისციპლინაა. მონეტები ავსებენ ძველი მწერლების ჩანაწერებს. მათზე მოთავსებული წარწერებით შესაძლებელია ზუსტად დავათარიღოთ ესა თუ ის მოვლენა, განვსაზღვროთ ქვეყნის პოლიტიკური წყობა, იდეოლოგია, იმდროინდელი ტექნიკის განვითარების დონე და ა.შ. იმავდროულად მონეტები არის ხელოვნების შედევრები.

მონეტების თანამედროვე მრგვალი ფორმა გაჩნდა დაახლ. ძვ.წ. 685 წლისთვის მცირე აზიაში, ლიდიაში. მოგვიანებით, მონეტები გაჩნდა ელინურ ქ. ეგინაში. ამის მიუხედავად, სახელწოდება „მონეტა“ რომაულია. იგი წარმოდგება ძვ.წ. I ს. ერთ-ერთი რომაული ვერცხლის მონეტისგან, რომლის შუბლზე გამოსახული იყო ქალღმერთი წარწერით - „მონეტა“. მიჩნეულია, რომ თავდაპირველად იგი იყო ქალღმერთ იუნონას ერთ-ერთი სახელწოდება. მაშასადამე, იუნონას სახელზე მოჭრილი ფული იწოდებოდა მონეტად. ნიშანდობლივია, რომ იუნონას ტაძრის მახლობლად კაპიტოლიუმზე იყო ზარაფხანა, რომელსაც ასევე „მონეტა“ ერქვა, სადაც მიდიოდა ლითონის ფულის ჭრა. მოგვიანებით, ეს სახელწოდება გავრცელდა სხვა ხალხებშიც.

ანტიკური სამყაროში მონეტების არსებობის მიუხედავად, ნუმიზმატიკა, როგორც ცალკე მეცნიერება აღმოცენდა XVIII ს. ზოგადად, მონეტების შესახებ პირველი კოლექციები შეიქმნა XIV-XV სს. იმ პერიოდისთვის ანტიკურობით გატაცება გამოიხატებოდა სხვადასხვა სახის მონეტების შეგროვებაში. მონეტების შესანიშნავი კოლექციები ჰქონდა პეტრარკას (1304-1374 წწ.), ფლორენციელ პოლიტიკოს და თავისი დროის ერთ-ერთ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწე კოზიმო დე' მედიჩის (1389-1464 წწ.), რომის პაპებს და ა.შ.



*სულა (მონეტა)*



*კეისარი (მონეტა)*

სხვადასხვა კოლექციების არსებობამ დღის წესრიგში დააყენა მონეტების მეცნიერული შესწავლა. თავდაპირველად ამას აკეთებდნენ კერძო კოლექციების მფლობელები. ისინი ქირაობდნენ მეცნიერებს, რომლებიც აღწერდნენ მონეტების ფორმებს, აღწერდნენ ავერსა თუ რევერსზე არსებულ წარწერებს, ადგენდნენ კატალოგებს და ეძებდნენ ანალოგებს კოლექციებში. თანდათან, ნუმიზმატიკაში გაჩნდა ემპირიული ხასიათის ზოგადი ნაშრომები. პირველი თაობის ნუმიზმატებს ძირითადში აინტერესებდათ მონეტებზე ცნობილ პირთა სახეების პოვნა. ამ საქმეში ზოგი მათგანი ანარქონიზმამდეც მივიდა, როდესაც კეისრების გარდა მონეტებზე პოულობდნენ ბიბლიური მოციქულების, მეფეების, ანდა პაპების პორტრეტებს.

ასეთ ფონზე, ნუმიზმატიკის „მამად“ მიჩნეულია ვენელი აბატი იოსებ ილარი ეკელი (1737-1798 წწ.). იგი იყო ვენის უნივერსიტეტის სიძველეთა და ნუმიზმატიკის პროფესორი. წლების მანძილზე მას ეკავა საიმპერატორო მიუნცკაბინეტის მცველის თანამდებობა. ეკელს ეკუთვნოდა ფუნდამენტური ნაშრომი „მეცნიერება ძველი მონეტების შესახებ“ (ტ. I-VIII, 1792-1798 წწ.).

ეკელმა მისთვის ცნობილი ანტიკური მონეტები დააწყო გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ავტონომიურ ქალაქებად, ცალკეულ ხალხებად და მეფეებად. ამასთან, რომაული მონეტები მან დაყო რესპუბლიკურ და საიმპერატოროდ, ხოლო უკანასკნელი დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიებად. რაც შეეხება რომის უღელქვეშ მყოფი ბერძნული ქალაქების მიერ კეისრების პორტრეტებით მოჭრილ მონეტებს, ეკელმა, ისინი გაანაწილა ელინურ კლასში. უნდა ითქვას, რომ ავსტრიელი მეცნიერის მიერ მიღებული მონეტების კლასიფიკაციის სისტემა დღესაც მოქმედებს ნუმიზმატიკაში.



*იოსებ ეკელი*

ინტერესი ძველი მონეტების მიმართ დღითიდღე იზრდებოდა, რადგანაც ნუმიზმატიკა დიდ დახმარებას უწევდა საისტორიო მეცნიერების სხვა დისციპლინებს და ავსებდა წერილობით წყაროებს. ედ. გიბონმა ნუმიზმატიკის მნიშვნელობაზე ხატოვნად შენიშნა: იმპ. ადრიანეს მოგზაურობის ყველა წერილობითი წყაროს დაკარგვის შემთხვევაში, მისი მგზავრობის შესახებ საუბარი შესაძლებელი იქნება შემორჩენილი მონუმენტების და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე.

ძვ.წ. I ს-დან რომაულ მონეტებზე პრაქტიკაში შემოვიდა ცნობილ პირთა სახეების გამოსახვა. პოლიტიკოსებიდან სულა და კეისარი ერთ-ერთი პირველები იყვნენ ვისი სახეებიც გამოსახეს მონეტებზე. პოლიტიკური პერსონების გარდა მონეტებზე გამოსახული იყო სცენები სხვადასხვა დღესასწაულებებიდან, სპორტული თამაშობებიდან, მითოლოგიიდან. ასევე არქიტექტურული ნაგებობები (კოლიზეუმი...) და ა.შ. რიგ შემთხვევაში ისტორიული მოვლენები მონეტებზე გამოსახული იყო ალეგორიული ფორმით.

არსებითად, მონეტები იძლევა არა მარტო ცნობებს რომის პოლი-ტიკური ისტორიიდან, არამედ ისინი დახმარებას უწევენ ხელო-ვნების ისტორიის მკვლევარებსაც.

*რომაული ეპიგრაფიკა*

რომაული ისტორიის შესწავლის საქმეში უმთავრესი არის მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები. ისინი არაერთგვარო-ვანია და დაწერილია სხვადასხვა ენაზე. მათგან უძველესია სამარ-ხისეული ტიპის ეტრუსკული წარწერები, რომელთა რაოდენობა დაახლ. 11 ათასამდეა.

ეტრუსკულის გარდა შემორჩენილია იტალიაში მოსახლე სხვა ხალხების წარწერებიც. მათი უმრავლესობა ლათინურ ენაზე არის შედგენილი. ისინი არაერთგვარი ხასიათის არის და იყოფა ოფიციალურ თუ კერძო წარწერებად. ოფიციალური წარწერები-დან შეიძლება დავასახელოთ ძვ.წ. 186 წლის სენატის დეკრეტი ვაკხანალიების აკრძალვის შესახებ და ა.შ. რესპუბლიკის დაცემის და იმპერიის დასაწყისისთვის საუკეთესო წყაროა ანკარაში (თუ-რქეთი) მდებარე რომაული ტაძრის კედელზე ამოტვიფრული ავ-ტობიოგრაფიული ტიპის ბილინგვა - „ღვთაებრივი ავგუსტუსის ქმედებები“.

საერთოდ, ძველი ტექსტები ძირითადში ამოტვიფრული იყო ქვაზე, ხის დაფაზე ანდა დაწერილი პაპირუსზე. ლათინურ ენაზე შესრულებული პაპირუსი ცოტაა შემორჩენილი. ყველაზე მეტად ცნობილი არის რომაული მფლობელობის პერიოდის აღმოსავლუ-რი ბერძნული პაპირუსები. ზოგი მათგანი აღწერდა ერთი რე-გიონის მდგომარეობას, მაგრამ ნაწილს საერთო რომაული მნი-შვნელობა აქვს. ასეთად უნდა ჩაითვალოს იმპ. კლავდიუსის (41-54 წწ.) მიერ ალექსანდრიელები-სთვის გაგზავნილი წერილი ქალაქში მომხდარი უწესრიგობის გა-მო. წერილით შესაძლებელი არის I ს-ის 40-იანი წლების რომაული პროვინციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მხარის გაშუქება.



*პლინიუს რუფუსის წარწერა, რომი*

რომაული პერიოდის პაპირუსები და პერგამენტები ნაპოვნი არის სირიაში, მდ. ევფრატთან მდებარე ქალაქ-სიმაგრის დურა-ევროპოსის გათხრებისას და ა.შ. 1947 წელს საინტერესო ხელნაწე-რები მიაკვლიეს მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროს მდებარე

გამოქვაბულში, რომლებიც დაწერილი იყო ლითონის ფირფიტაზე, პერგამენტზე და პაპირუსზე. რომის აღმოსავლეთ პროვინციების ისტორიისთვის საინტერესო არის 132-135 წლებში იუდეაში მიმდინარე ბარ-კოხბას აჯანყებაზე მიძღვნილი ჩანაწერები და ა.შ.

არქაული ლათინური ენის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ე.წ. პრენესტის საკინძე. იგი 1887 წელს საზოგადოებას წარუდგინა გერმანელმა მეცნიერმა ვოლფანგ ჰელბიგმა (1839-1915 წწ.). საკინძეს სიგრძე არის 10,7 სმ. იგი ნაკეთია ოქროსგან. 2011 წელს საკინძეს ჩაუტარდა ყოველმხრივი ანალიზი, რითაც დამტკიცდა მისი ნამდვილობა. გაირკვა საკინძეს შექმნის თარიღი – ძვ.წ. 600 წელი. საკინძეს განსაკუთრებულობად მიიჩნევა მასზე არქაულ ლათინურ ენაზე ამოტვიფრული მარჯვნიდან მარცხნივ შესრულებული გრავირებული წარწერა - „MANIOS MED FHEFHAKED NU MASIOI“.


*პრენესტის საკინძე*

დღეისთვის ლათინურ ეპიგრაფიკულ წარწერებზე მიძღვნილი პუბლიკაციების სრულ გამოცემად მიიჩნევა – „ლათინურ წარწერათა კრებული“ (ტ. I-XVII, 1853-1986 წწ.). საერთოდ, რომის იმპერიაში არსებულ ყველა ლათინურ წარწერების კრებულის გამოცემის იდეა ჩაისახა ბერლინის აკადემიაში და ამ გრანდიოზული ამოცანის შესრულების ორგანიზება დაევალა თ. მომზენს. მისი ხელმძღვანელობით წარწერათა პირველი ტომი გამოვიდა 1853 წელს. კრებულის ჰორიზონტი ფართოა. მასში შესული არის რესპუბლიკის, იმპერიის პერიოდის პროვინციების (ესპანეთი...) და ცალკეულ ქალაქებში (რომი, პომპეი...) აღმოჩენილი სხვადასხვა ტიპის 180 000-ზე მეტი წარწერა.

*საისტორიო მწერლობა*

რომაული ეპოქის საისტორიო ლიტერატურის ძეგლები ჩვენამდე შუა საუკუნეების გადამწერთა მეშვეობით მოაღწია. უნდა ითქვას, რომ ანტიკურ წყაროებში რომის ისტორიის ყველა პერიოდი ერთნაირად არ არის გაშუქებული. ამასთან, სანდოც არაა რიგი ისტორიკოსთა ცნობები. სირთულეს ისიც ქმნის, რომ უძველესი პერიოდის წყაროები თითქმის არ არის შემორჩენილი, ხოლო გვიანდელი პერიოდის ისტორიკოსებთან უკრიტიკოდ არის აღებული წინანდელი, დიდი ხნით ადრე შექმნილი საისტორიო ტრადიცია.

რომაული საისტორიო მწერლობის თავისებურებაა: 1. იგი ჩაისახა გვიან, I პუნიკური ომის დასრულებისას, დაახლ. ძვ.წ. 240 წლისთვის; 2. რომის წარსულზე მიძღვნილ პირველ ისტორიებს წერდნენ ბერძნები; 3. რომის სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია დაკავშირებულია ტროას ომის ციკლთან; 4. ეროვნული ისტორიისადმი ინტერესი რომაელებში გაჩნდა გვიან, მხოლოდ ძვ.წ. III ს. 30-იან წლებში; 5. ლათინურ ენაზე პირველად რომის ისტორია დაიწერა ძვ.წ. II ს.; 6. პირველი პროფესიონალი რომაელი ისტორიკოსი ჩნდება ძვ.წ. I ს. შუა წლებში; 7. ძვ.წ. II ს. II ნახევრიდან რომაულ მწერლობაში გვხვდება მემუარული ჟანრის და ვიწრო თემატური სახის მონოგრაფიები; 8. ბერძნულისგან განსხვავებით რომაულ საისტორიო მწერლობაში გვხვდება ეპისტოლარული და სხვა ჟანრები; 9. რომში წონადი ნაშრომები (ლივიუსი, ტაციტუსი...), რომლებიც ღირებულებით უტოლდებოდნენ ბერძნულ ისტორიოგრაფიის ნიმუშებს ჩნდება მხოლოდ იმპერიის ხანაში ახ.წ. I-II სს.; 10. ძვ.წ. I ს. გავრცელება ჰპოვა მთავარსარდლების და პოლიტიკოსების ე.წ. „ქმედებების“ აღწერა. III-IV სს. კრიზისების პერიოდში „ქმედებების“ ქვეშ უკვე მოიაზრებოდა მხოლოდ იმპერატორების ცხოვრების აღწერა; 11. ძველ რომაული საისტორიო მწერლობის ქრონოლოგიური ზღვარია ძვ.წ. III - ახ.წ. IV სს.; 12. ახ.წ. IV ს. მიწურულს რომაული ისტორიოგრაფია ჩაანაცვლა ლათინურმა ქრისტიანულმა მწერლობამ.



*პონტიფექს მაქსიმუსი*

უნდა შევნიშნოთ, რომ ადრეული პერიოდის რომის ისტორიის წყაროები, რომლებსაც მოგვიანებით იყენებდნენ ისტორიკოსები, იყო უმაღლესი თანამდებობების პირთა - მაგისტრატთა ყოველწლიური, კალენდარული ჩანიშვნები. ამ სიებს რომში „ფასტებს“ უწოდებდნენ. რომში წონადი იყო „საკონსულო სიები“, რადგან კონსულების სახელებით ხდებოდა წლების ათვლა. მართალია ეს წესი არსებობდა რესპუბლიკის დაწყებიდან, მაგრამ ოფიციალური სიები გამოჩნდა მხოლოდ ძვ.წ. IV ს. II ნახ. არსებითად, ქურუმ-პონტიფიკთა კალენდარულმა ქრონიკებმა განსაზღვრეს რომაული საისტორიო პროზის მიმართულება.

რომაულ საისტორიო მწერლობაში ყველაზე ადრეული ჟანრი იყო „მატიანე“. ამ ჟანრის წარმომადგენლებს ყოფენ უფროს და უმცროს მემატიანეებად. ანალებს აწარმოებდნენ პონტიფიკების ქურუმთა კოლეგიაში მაგისტრატთა ყოველწლიური სიებით და კალენდარული ჩანიშვნებით - ფასტებით. მთავარი პონტიფიკი ყოველი წლის დასასრულს აღნიშნავდა კონსულთა სახელებს და ქვეშ მიაწერდა მათი მმართველობისას მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს. ეს იყო მატიანის პირველი სახე. სახალხო გაცნობის მიზნით ძვ.წ. III ს. უმაღლესი ქურუმის პონტიფიკის სახლთან ხდებოდა ყოველწლიური სიების გამოკვრა. მათში აღნუსხული იყო დღესასწაულებიდან დაწყებული ომებით დამთავრებული მომხდარი ყველა ფაქტი. პრაქტიკაში მიღებული იყო ამ ტაბულების გადასინჯვა. ძვ.წ. 130-115 წლების უმაღლესმა ქურუმმა პუბლიუს მუციუს სცევოლამ (ლათ. Publius Mucius Scaevola) 80 წიგნად გამოსცა ე.წ. „დიადი მატიანეები“, რომლებშიც ფაქტების თხრობა გადმოცემული იყო ქ. რომის დაარსებიდან.

პონტიფიკთა მატიანეების გარდა, რომში არსებობდა მრავალი საგვარეულო დოკუმენტები და ანდერძები, რომლებიც თაობებს გადაეცემოდა. დაახლ. ძვ.წ. 130 წლიდან რომში იწყება ე.წ. უმცროსი მემატიანეთა პერიოდი. წინამორბედების მსგავსად ისინი აგრძელებდნენ პატრიოტულ ტრადიციებს, მაგრამ მათთან შეინიშნება რიგი ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია. სამწუხაროდ, უმცროსი მემატიანეთა ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ და ამიტომაც გვიჭირს მათზე რეალური საუბარი.

*ნევიუსი*

თავდაპირველად ძველი რომის ისტორიას აღწერდნენ პოეტები. გნეუს ნევიუსი (ლათ. Gnaeus Naevius, ძვ.წ. ?274-?200 წწ.) ერთ-ერთი მათგანი იყო. მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი იყო კამპანიელი პლებეი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო I პუნიკურ ომში. დაახლ. ძვ.წ. 235 წლისთვის რომში იწყება მისი სამწერლო კარიერა, რაც ოცდაათი წელი გაგრძელდა. ვარაუდობენ, რომ პოეტმა კომედიებში სატირული კომენტარებით გადაამლაშა სციპიონების და მეტელუსების კლანთან მიმართებაში. ამ დაპირისპირების შედეგად იგი საპყრობილეში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ, დაახლ. ძვ.წ. 204 წლისთვის, გაძევებული ქ. უტიკაში, სადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ნევიუსმა რომაულ მწერლობაში სათავე დაუდო პოეზიის ე.წ. „ნაციონალურ ჟანრს“. სხვადასხვა სატირული პოემების გარდა, რომლების მხოლოდ სათაურები არის ცნობილი, მას მიეწერება რომაულ მწერლობაში პირველი ორიგინალური ეპიკური პოემა „პუნიკური ომი“-ს შექმნა. მასში ავტორი მითოსის ფონზე გადმოსცემდა თანადროული ეპოქის ისტორიას. ეს იყო შვიდ წიგნად დაწერილი პოემა, რომელშიც თხრობა იწყებოდა მითიური ენეასის სიცილიური, კართაგენური და იტალიური თავგადასავლებიდან. პოემის ბოლო ნაწილში ქრონიკის სტილში გადმოცემული იყო I პუნიკური ომის ბატალიები. ნევიუსის კომენტარები შენიშნავენ, რომ პუნიკურ ომზე დაწერილმა მისმა პოემამ შემდგომში გავლენა იქონია ვერგილიუსის და სხვა მწერლების შემოქმედებაზე.



*ნევიუსი*

*ენიუსი*

რომაელი პოეტები ლუკრეციუსი, ვერგილიუსი და ოვიდიუსი რომაული ლიტერატურის „მამად“ მიიჩნევდნენ კვინტუს ენიუსს (ლათ. Quintus Ennius, ძვ.წ. 239-169 წწ.). წარმოშობით იგი იყო ბერძენი, სამხრეთ იტალიიდან, კალაბრიის მხარიდან. მას მიღებული ჰქონდა კარგი განათლება. იგი თანაბრად ფლობდა ბერძნულ და ლათინურ ენებს. ენიუსი მონაწილეობდა II პუნიკურ ომში. სახელგანთქმული კატონის პატრონაჟით იგი რომში გადადის სამუშაოდ, სადაც მას მასწავლებლის როლში ვხედავთ. მის შესახებ ვიცით, რომ ნევიუსისგან განსხვავებით, რომელიც რომაული საზოგადოების ფართო ფენების (პლებსის) განწყობას გამოხატავდა, ენიუსი დაახლოებული იყო სციპიონ აფრიკელის (ძვ.წ. 235-183 წწ.) მეთაურობით მყოფ რომის ნობილიტეტთან.




*ენიუსი (მოზაიკა)*

ძვ.წ. 189 წელს ენიუსმა მონაწილეობა მიიღო კონსულ მარკუს ფულვიუს ნობილიორის (ძვ.წ. II ს.) მიერ ეტოლიაში წარმოებულ სამხედრო კამპანიაში. თავისი მფარველის სამხედრო ოპე-

რაციების აღწერას მან მიუძღვნა ტრაგედია - „ამბრაკია“. ფულვიუსის განდიდების გამო, ძვ.წ. 184 წელს, ენიუსს მიეცა რომის მოქალაქეობა. ეს კი ნიშნავდა, რომ იგი რომაული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი იყო.

ენიუსის სახელს უკავშირდება სხვადასხვა ისტორიულ სიუჟეტებზე შექმნილი 22 ტრაგედიები („საბინელები“...), ორი კომედია და 18 წიგნად დაწერილი ეპიკური პოემა - „ანალები“. პოემაში აღწერილი იყო რომის ისტორია ლეგენდარული ენეასის იტალიაში მოსვლიდან ძვ.წ. 178-175 წლებამდე. ანალების I-III წიგნები მოიცავდა მეფეთა პერიოდს და პიროსთან ომს, VI-VII წიგნები I პუნიკურ ომის ამბებს, ხოლო VIII-IX წიგნები ჰანიბალურ ომს.

„ანალები“ ჰეკზამეტრულ სტილში დაწერილი თხზულება იყო. მასში ჰომეროსის ტრადიციები შერწყმული იყო ძველ რომაულ ქრონიკებთან. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ენიუსს ბერძნულ ლიტერატურასთან აახლოებდა მხოლოდ ფილოსოფიური განსჯა და მოხერხებულად დამუშავებული სხვადასხვა გმირთა სიტყვები. პოემა იწყებოდა მუზების მთაზე ნანახი სიზმრის აღწერით. თითქოს ენიუსთან გამოცხადა ჰომეროსი, რომელმაც აცნობა მისი სულის რომაელის მკერდში გადასვლის შესახებ. ამის შემდეგ, საუბარი იწყებოდა ნახევრად მითიური ენეასის ტროადან წამოსვლით. თხრობაში პოეტს შემოჰქონდა სხვადასხვა პასაჟები ადრეული რომაული ისტორიიდან, მოვლენები მეორე პუნიკური და პოეტის თანადროული მაკედონური თუ ისტრიის ომებზე. პოემის ცენტრში იყო სციპიონ აფრიკელის და ფულვიუს ნობილიორის საქმიანობის თხრობა. ენიუსი მაღალ შეფასებას აძლევდა ჰანიბალის წინააღმდეგ ომში ფაბიუს მაქსიმუსის (ძვ.წ. 280-203 წწ.) საბრძოლო ტაქტიკას. იმის მიუხედავად, რომ პოემა ძირითადში ომების სიუჟეტებზეა აგებული, ავტორი მაინც არ გვევლინება ომის პროპაგანდისტად. იგი მას ყველგან აძაგებს და სანაცვლოდ ცდილობს იქადაგოს ქველობა, სიბრძნე და ა.შ.

ენიუსის დანარჩენი ნაწარმოების მსგავსად „Annales“ ჩვენამდე ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. ვერგილიუსის „ენეიდას“ გამოჩენამდე იგი მიჩნეული იყო ტიპიურ რომაულ ნაციონალურ ეპოსად. საჯარო კითხვის პროგრამაში პოემის შეტანა ენიუსის თხზულების პოპულარობის მანიშნებელი იყო.

*პიქტორი*

კვინტუს ფაბიუს პიქტორს (ლათ. Quintus Fabius Pictor, ძვ.წ. 254-?201 წწ.) ეკუთვნის ბერძნულ ენაზე პროზაულად ძველი რომის ისტორიის აღწერა. ისტორიკოსის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ფაბიუსი სენატორთა ფენიდან იყო, ერთი პერიოდი კონსული და პონტიფიკი. იგი მონაწილეობდა ძვ.წ. 225 წელს გალების და ჰანიბალის წინააღმდეგ ომებში. უცნობია ჰანიბალურ ომში მისი როლი, მაგრამ კანეს ბრძოლის შემდეგ მას ვხედავთ დელფოს სამისნოში გაგზავნილი ელჩების შემადგენლობაში.

პიქტორის შემოქმედების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას ეკუთვნოდა თხზულება „მატიანე". მასში საუბარი იწყებოდა აპენინის ნახევარკუნძულზე ლეგენდარული ენეასის გამოჩენით და თხრობა მიყვანილი იყო II პუნიკური ომის ბატალიებამდე. ჩანს, პიქტორმა ოფიციალური ფასტებიდან ამოიღო კონსულთა მმართველობის წლები და მათ ქვეშ გადმოსცა მოვლენები, რომლებსაც დაურთო გამოუქვეყნებელი პონტიფექსთა მატიანეები, ზეპირი გადმოცემები, ფაბიუსთა გვარის ჩანაწერები და პირადი შთაბეჭდილებები.

უნდა ითქვას, რომ პიქტორის წყალობით რომაულ მწერლობაში დასაბამი დაედო მატიანეს ჟანრს. იგი და მისი უახლესი მიმდევრები იწოდებოდნენ უფროსი მემატიანეები. მათი მახასიათებელი იყო ნაწარმოებების გათვალისწინება მხოლოდ ვიწრო წრისთვის და მიზნად ისახავდნენ ბერძნული აუდიტორიისთვის რომის პოზიციის და სტატუსის აღწერას. ნიშანდობლივია, რომ ქ. რომის დაარსების თარიღად ისტორიკოსი მიიჩნევდა ძვ.წ. 747 წელს, მერვე ოლიმპიადის პირველ წელს. მართალია თარიღი არასწორია, მაგრამ იგი მიანიშნებს, რომ პიქტორი გათვითცნობიერებული იყო ბერძნულ წყაროებში და რომის ადრეული ისტორიის საკითხებში. პიქტორის ნაწარმოებს წყაროდ იყენებდნენ საისტორიო მწერლობის გრანდები – პოლიბიოსი, დიონისე ჰალიკარნასელი და ლივიუსი.

*კატონი*

უფროსი თაობის მემატიანეებისთვის დამახასიათებელი იყო რომის პანეგირიკა და მისთვის იმთავითვე იმ პოლიტიკური სტატუსის მინიჭება, რაც მას ჰქონდა ძვ.წ. III ს. ისტორიკოსების ამ თაობის წარმომადგენელია რომაელი პოლიტიკური მოღვაწე მარკუს პორციუს კატონ უფროსი (ლათ. Marcus Porcius Cato Major, ძვ.წ. 234-

149 წწ.). იგი საინტერესო ფიგურა იყო რომის ისტორიაში, ვინაიდან ერთდროულად იყო პოლიტიკოსი, მხედართმთავარი, ისტორიკოსი და ენციკლოპედისტი. ისტორიოგრაფიაში მის შესახებ არაერთგვარი შეფასება არსებობს. ერთნისთვის კატონი „მხნელ“ იტალიკთა კერპია (თ. მომზენი...), ხოლო სხვებისთვის (დ. კინასტი, 1925-2012 წწ.) იგი სენატის არისტოკრატიული პარტიის ლიდერი.

რომაულ ელიტაში კატონი „ახალი კაცი“ იყო, რომელიც საზოგადოებაში პირადი დამსახურებებით დაწინაურდა. მისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისი დაემთხვა II პუნიკურ ომს. კატონი სციპიონის პარტიის წევრი, შემდეგ თავმჯდომარე იყო, მაგრამ მას და აფრიკელს შორის რომის პოლიტიკის მიმართულებების შესახებ აზრთა სხვადასხვაობამ, სამუდამო მტრობა ჩამოაგდო ორ რომაელს შორის. საქმე იმაშია, რომ სციპიონი ღიად ატარებდა პროელინურ პოლიტიკას და ცდილობდა რომაული საზოგადოების დაახლოებას ბერძნულ კულტურასთან. კატონი და მისი მიმდევრები მხარს უჭერდნენ „ეროვნულ“ პოლიტიკას და რომის წამყვან როლს დაპყრობილ ხალხებზე. ყოველივეს გამო კატონი მიიჩნევა „იდეალური რომაელის“ სახედ და ელინური ცივილიზაციის მოძულედ.


მარკუს
კატონი

კატონის დამსახურება იყო საისტორიო მწერლობის დაწყება ლათინურ ენაზე. მას არ სურდა ფაქტების გადმოცემაში ყოფილიყო ანალისტი და ამიტომაც მისი ამოცანა იყო მოვლენათა აღწერა და წინაპართა ქება. კატონისთვის ორი მომენტი იყო ამოსავალი: 1. იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ რომით და გადმოსცემდა სხვადასხვა იტალიური თემების ისტორიას. სავარაუდოდ, აქედან მოდის მისი ნაწარმოების სათაური - „დასაბამი“ და 2. იგი ცდილობდა თავი შეიკავოს ცალკეულ პირთა სახელების დასახელებით და მათ მაგივრად მიუთითებდა დაკავებულ თანამდებობებს.

კატონმა დასაბამი დაუდო რომაულ ისტორიოგრაფიას. მას ეკუთვნოდა შვიდ წიგნად დაწერილი თხზულება „დასაბამი“. იგი იყო რამდენადმე დოკუმენტური ისტორია, რადგანაც დაიწერა ძველი ფასტებით, იტალიის სხვადასხვა ქალაქების ადგილობრივი მატიანეებით, ანუ იმ წყაროებით, რომლებსაც ნაკლებად იყენებდნენ შემდგომი თაობის ისტორიკოსები. თხზულებაში საუბარი

იყო რომის პირველი ექვსი საუკუნეების და იტალიის სხვადასხვა ქალაქების ისტორიის შესახებ. სიტყვების მსგავსად კატონის „დასაბამის“ მხოლოდ ფრაგმენტებმა მოაღწიეს.

შედარებით სრული სახით მოაღწია კატონის აგრარულმა ტრაქტატმა - „მიწათმოქმედების შესახებ“. იგი ხასიათდება, როგორც „ფერმერის ჩანაწერები“. მასში რომაულ ისტორიოგრაფიაში პირველად არის ცდა, რომ კამპანიის მაგალითზე სისტემატიზაცია და რეგლამენტი გაუკეთდეს სამიწათმოქმედო სამუშაოებს, მებაღეობას, მეცხოველეობას და ა.შ. თხზულებით კატონი იძლეოდა რიგ სასარგებლო რჩევებს. მაგ., როგორ შეეძინათ მამული და ეწარმოებინათ მეურნეობა. იგი წერდა: „იყიდე ის რაც აუცილებელია და არა საჭირო“. ანდა „კარგი მამაკაცია ის, რომელიც გამოცდილია მიწის დამუშავების საქმეში და რომლის იარაღები მუდამ ბრწყინავს“ და ა.შ.

კატონი იყო ორატორიც. პლუტარქე მას ადარებდა ბერძენ დემოსთენეს (ძვ.წ. 384-322 წწ.), ხოლო ციცერონი კი ლისიას (ძვ.წ. 445-380 წწ.). უკანასკნელის შეფასებით ორივესთვის დამახასიათებელი ყოფილა სიტყვის სიმძაფრე, ლაზათი და ლაკონურობა. სამწუხაროდ, კატონის მიერ წარმოთქმული სიტყვების მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებმა მოაღწიეს.

კატონის წერის ენა იყო მახვილი, ხოლო სტილი ლაკონური. ბერძნების მიმართ არასიმპატიის მიუხედავად, იგი, თავის შემოქმედებაში მაინც ვრცლად იყენებდა ელინისტურ ლიტერატურას.

*პოლიბიოსი*

ძვ.წ. 264-146 წლების რომის ისტორია აისახა პოლიბიოსის (ბერძ. Πολύβιος, ძვ.წ. ?201-120 წწ.) მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაშრომში. სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიბიოსი მიჩნეულია თავისუფალი საბერძნეთის უკანასკნელ და დამპყრობელ რომაელების პირველ ისტორიკოსად.

პოლიბიოსი წარმოშობით ქ. მეგალოპოლიდან, აქეის ლიგის სტრატეგოსის ოჯახიდან იყო. მომავალი ისტორიკოსი ადრიდანვე ჩანს პოლიტიკურ ასპარესზე. ძვ.წ. 183-181 წლებში იგი ხელმძღვანელობდა ელინთა ელჩობას ალექსანდრიაში. მესამე მაკედონიური ომის (ძვ.წ. 171-168 წწ.) დროს მას კავალერიის უფროსის რან-

გში ვხედავთ, მაგრამ მისი სამხედრო-პოლიტიკური კარიერა ნაადრევად დასრულდა. ძვ.წ. 167 წელს, როგორც აქეის ლიგის ერთ-ერთი მესვეური, მძევლის სახით უკვე რომშია.

ისტორიკოსის ცხოვრების რომაული პერიოდი 17 წელს გაგრძელდა. აქ იგი დაუახლოვდა სციპიონ აფრიკელ უმცროსს (ძვ.წ. 185-129 წწ.) და მისი ე.წ. „განათლებულ არისტოკრატთა“ წრის წევრიც გახდა. პოლიბიოსი კართაგენის დანგრევის მომსწრე იყო. იგი სციპიონს ახლდა ესპანეთში, ესწრებოდა ნუმანციის ალყას, იყო გალიაში, ეგვიპტეში და ა.შ. ხშირად მის მოგზაურობას სამეცნიერო ექსპედიციის ხასიათი ჰქონდა. მაგ., კართაგენის ალყისას სციპიონის ფლოტით მან მოახდინა აფრიკის სანაპიროს დაზვერვა და ა.შ.


*პოლიბიოსი*

პოლიბიოსი საკმაოდ ნაყოფიერი და მრავალმხრივი ისტორიკოსია. მისი ნაშრომია ბერძნულ ენაზე 40 წიგნად დაწერილი „მსოფლიოს ისტორია“, საიდანაც სრულად I-V, ხოლო დანარჩენი ციტატების, ანდა ბიზანტიელი კომპილატორების ვრცელი ამონარიდის სახით არის მოღწეული. თხზულებაში თხრობა იწყება I პუნიკური ომით და მთავრდება რომაელების მხრიდან კორინთოს დანგრევის (ძვ.წ. 146 წ.) ამბებით. შინაარსობრივად და მიზანდასახულობით პოლიბიოსის ნაშრომი მსოფლიო ისტორიის ტიპს განეკუთვნება. ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი და მომდევნო ხანის ისტორიკოსებისგან (დიოდორე სიცილიელი, დიონისე ჰალიკარნასელი...), რომლებიც თავიანთი ნაშრომებით დარჩნენ მხოლოდ მარჯვე კომპილატორებად. მათთვის უცხო იყო განსახილველი საკითხისადმი პოლიბიოსისეული ორიგინალური დამოკიდებულება.

პოლიბიოსის ისტორიის თეზაა: სამყაროს ცნობილი ნაწილი, როდის, როგორ და რატომ მოექცა რომის ძალაუფლების ქვეშ. ამ საკითხებს ეძღვნება ნაშრომის ძირითადი ნაწილი (III–XXX წიგნები, ძვ.წ. 220-168 წწ.), ხოლო 168-146 წლების ამბები მოთხრობილია ბოლო 10 წიგნში.

ისტორიკოსი თვლიდა, რომ განსაზღვრული დროის შემდეგ „მოხდება იტალიური და ლიბიური მოვლენების შერწყმა აზიურ-

ელინურთან", რასაც ისტორიკოსის აზრით მოჰყვებოდა რომაული დროშის ქვეშ ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა ხალხების დამორჩილება. რომაული სახელმწიფოს წყობა მას იდეალური მმართველობის ფორმად მიაჩნდა. არისტოტელეს ფორმულიდან გამომდინარე, პოლიბიოსის აზრით, რომში ერთდროულად შერწყმული იყო მონარქია, არისტოკრატია და დემოკრატია, რამაც განსაზღვრა რომაელთა წარმატებები.

ისტორიის წერისას პოლიბიოსისთვის დამახასიათებელი იყო წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. კიდეც ამბობდა: „თვალებს უფრო უნდა ენდო, ვიდრე ყურებსო". პოლიბიოსი პირველი იყო, რომელმაც „პრაგმატული ისტორიის" მნიშვნელობა შემოიტანა. მისი აზრით, ისტორია პრაქტიკულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და ეხმარებოდეს ხალხს მომავლის ხედვაში. მასთან მოვლენები ქრონოლოგიური პრინციპით არის გადმოცემული. ისტორიკოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცალკეული პიაროვნებების როლს (სციპიონი, ჰანიბალი...), რომლებიც მისი აზრით განსაზღვრავდნენ ქვეყანაში მიდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

რუსი მეცნიერი ვ. ბუზესკული (1858-1931 წწ.) შენიშნავდა, რომ ბერძნულ ისტორიოგრაფიაში ჰეროდოტე, ეფორე და პოლიბიოსი იყვნენ, რომელთა ნაწარმოებები მეტ-ნაკლებად უნივერსალური ხასიათის იყო. ჰეროდოტე იმ პერიოდის თანამედროვეა, როდესაც სპარსულ და ბერძნულ სამყაროს შორის შეტაკება იწყებოდა. იგი ალიზარდა მათი ბრძოლების მოგონებებზე. ეფორე ფილიპე მაკედონელის და ალექსანდრე დიდის მოღვაწეობის დასაწყისის თანამედროვე იყო, როდესაც მზადებოდა შერწყმა აღმოსავლეთთან, ხოლო პოლიბიოსი მოღვაწეობდა მაშინ, როდესაც დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთიანდებოდა. თუ ჰეროდოტესა და ეფორეს შესახებ შეიძლება კამათი, რომ იყვნენ თუ არა ისინი მსოფლიო ისტორიის ავტორები, პოლიბიოსის მიმართ ასეთი მსჯელობა არ ხდება, რადგანაც მისი ნაშრომი უდაოდ მსოფლიო ისტორიაა.

*პოსიდონიოსი*

ისტორიოგრაფიაში პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიის" გაგრძელებად მიჩნეულია პოსიდონიოსის (ბერძ. Ποσειδώνιος, ძვ.წ.

139/5-51/0 წწ.) „ისტორია“. იგი იყო ბერძენი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, გეოგრაფი და ასტრონომი. წარმოშობით ქ. აპამეადან. ერთი პერიოდი ისტორიკოსი რომში ცხოვრობდა, სადაც გაეცნო ციცერონს, ხოლო მისი მეშვეობით დაუახლოვდა გნეუს პომპეუსის წრეს.

დღეს ძნელია ვისაუბროთ პოსიდონიოსის შემოქმედების შესახებ, რადგან მისი თხზულებები მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. არადა, თავის დროზე, თანამედროვეებისთვის ისინი კარგად ნაცნობი იყო. ისინი ისტორიული და საბუნებისმეტყველო ჟანრის იყო. მათგან რომაულ თემატიკას ეხებოდა „ისტორია“ და „პომპეუსის ისტორია“. უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიბიოსის მსგავსად, პოსიდონიოსთანაც ძველი რომის მატიანე დაკავშირებული იყო ელინისტური სახელმწიფოების ისტორიასთან.

*აზელიონი*

ძველ რომაელი ისტორიკოსი და სამხედრო მოღვაწე პუბლიუს სემპრონიუს აზელიონის (ლათ. (Publius) Sempronius Asellio, ძვ.წ. 158-?91 წწ.) ცხოვრების შესახებ ვიცით, რომ სციპიონებთან სიახლოვემ განსაზღვრა ისტორიკოსის სამხედრო კარიერა. იგი სციპიონს ახლდა ქ. ნუმანციის ალყისას. ზოგი ისტორიკოსი მიიჩნევა, რომ აზელიონი იყო სციპიონის ლიტერატურული წრის წევრიც.

აზელიონს ეკუთვნის ლათინურ ენაზე შესრულებული ისტორიული თხზულება, რომლის სახელი უცნობია. სავარაუდოდ, მას ერქვა „ისტორია“. მასში მოთხრობილი იყო ისტორიკოსის თანადროული მოვლენები დაწყებული III პუნიკური ომიდან ძვ.წ. I ს. 90-იანი წლების ისტორიით დამთავრებული.

ანტიკურ ხანაში აზელიონი არ იყო პოპულარული. მის მიმართ იყო არაერთგვარი შეხედულებები. თუ პოლიბიოსი მას მაღალ შეფასებას აძლევდა, საპირისპირო აზრის იყო ციცერონი. ამის მიუხედავად, ერთი რამ უდავოა, რომ აზელიონმა რომაულ მწერლობაში შემოიტანა პრაგმატული ისტორიის გაგება. იგი არ იყო ანალისტი. მისთვის დამახასიათებელი იყო ფაქტების შეგროვება, ანალიზი და მოვლენების დრამატიზება. დღეისთვის აზელიონის ნაშრომის მხოლოდ 15 ფრაგმენტი ავლუს ჰელიუსის (?125-180 წწ.) წყალობით არის შემორჩენილი. არსებობს აზრი, რომ აზელიონის თხზულების გაგრძელებას წარმოადგენს სიზენას ისტორიული ნაშრომი.

*სიზენა*

ანტიკურ პერიოდში უაღრესად პოპულარული იყო ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ლუციუს კორნელიუს სიზენა (ლათ. Lucius Cornelius Sisenna, ძვ.წ. ?118-67 წწ.). ციცერონი ისტორიკოსზე მაღალი წარმოდგენის იყო, სამაგიეროდ მას მიიჩნევდა სუსტ ორატორად. ვარონს ტრაქტატში - „ისტორიის შესახებ“, სიზენა მთავარ პერსონაჟად ჰყავდა გამოყვანილი. სიზენას თხზულებას იცნობდნენ ლივიუსი, პატერკულუსი და სხვ.

პოპულარობის მიუხედავად სიზენას შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მწირია. ვიცით მხოლოდ, რომ იგი იყო კორნელიუსთა მძლავრი კლანის წარმომადგენელი, დიდაქტორ სულას მომხრე. ძვ.წ. 78 წლისთვის იგი პრეტორია. ვერესის ცნობილ პროცესზე სიზენა ბრალდებულის დამცველის როლში მონაწილეობდა. მეკობრეების წინააღმდეგ ომში, ძვ.წ. 67 წელს, იგი ლეგატის რანგში ახლდა გნეუს პომპეუსს.

სიზენა მიჩნეულია სულას ეპოქის მთავარ წყაროდ. მას ეკუთვნოდა 12 წიგნად (ზოგი ვერსიით 23 წიგნად) დაწერილი თხზულება „ისტორია“. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ 137 ფრაგმენტი არის მოღწეული. „ისტორია“-ში აღწერილი იყო ისტორიკოსის თანადროული ეპოქა. თხრობა იწყებოდა მოკავშირეთა ომთან დაკავშირებული მოვლენებით. ისტორიკოსის სტილი იყო - თხრობის პროცესში მითიური წარსულის ამსახველი ფაქტებთან სხვადასხვა ეთნოგრაფიული ექსკურსების ჩართვა და ა.შ.

ისტორიოგრაფიაში სიზენას თხზულების გაგრძელებად მიჩნეულია სალუსტიუსი. ერთ-ერთი კომენტარის შენიშვნით, სიზენას წერის მანერა წინამორბედ რომაელი მემატიანეებისგან განსხვავდებოდა გამოყენებული მასალის წყობით და ამაღლებული აზიური სტილით, ხოლო თანამედროვეებისგან არქაიზმებით და ნეოლოგიზმებით.

*ციცერონი*

რომის ისტორია საინტერესოდ არის წარმოდგენილი ორატორის და პოლიტიკოსის მარკუს ტულიუს ციცერონის (ლათ. Marcus Tullius Cicero, ძვ.წ. 106-43 წწ.) ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში. იგი გამორჩეული ფიგურაა რომის ისტორიაში, რომელიც სიცოცხლეშივე ორატორული ხელოვნების მე-

ტრად იქცა და მას ბაძავდნენ მომდევნო თაობები. ისტორიოგრაფიაში სწორად არის შენიშნული, რომ ციცერონის გარშემო მომუშავე ნებისმიერი მკვლევარი თავისებურად მისი აპოლოგეტიცაა. რომაელი ისტორიკოსი პატერკულუსი მასზე წერდა: „ციცერონის ხსოვნა მარადიულია. შესაძლოა კაცობრიობა უფრო ადრე გაქრეს ვიდრე მისი სახელი“.

ციცერონის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებები იყო. სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ მას აკრიტიკებდნენ და აქებდნენ პოლიტიკური მრწამსის თუ ორატორული სტილის გამო. ადრეულ შუა საუკუნეებში რიგი ქრისტიანი მღვდელთმსახურების მხრიდან კეთილგანწყობის წყალობით მისი ხელნაწერები ხშირად იყო გადამწერი ბერების ყურადღების ცენტრში. თუმცა, ორატორის წიგნების პოპულარობამ საეკლესიო იერარქიის მხრიდან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მაგ., რომის პაპი გრიგოლ I (590-604 წწ.) გამოვიდა ციცერონის თხზულებების განადგურების ინიციატივად და მიზეზად მან ბიბლიის კითხვიდან ახლგაზრდების ყურადღების სხვა თემებზე გადატანა მიიჩნია.


*მარკუს ციცერონი*

ასეთი დამოკიდებულებების გამო ციცერონისადმი ინტერესი მინელდა. უფრო მეტიც, IX ს. ზოგ ავტორს ციცერონი და ტულიუსი სხვადასხვა პიროვნებებად მიაჩნდათ. ორატორის რეაბილიტაცია იწყება რენესანსის პერიოდიდან და მას მიეცა რესპუბლიკის „უკანასკნელი მოჰიკანის“ თიკუნი. უარყოფითი შეხედულება ციცერონზე, როგორც პოლიტიკოსზე, ძირითადში გერმანული ისტორიოგაფიის გავლენით გავრცელდა. საქმე იმაშია, რომ გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში და შემდეგ, XIX ს. II ნახევარში, გერმანიაში დიდი პოპულარობა მოიპოვა ძლიერი ხელისუფალის თემამ, რაც კეისართან გაიგივდა. ასეთ ვითარებაში, ციცერონის პიროვნება გაფერმკრთალდა და ჩრდილში მოექცა. ვილჰელმ ვეგნერის (1800-1886 წწ.) შეფასებით: ციცერონს „ჰქონდა კეთილი გული, მაგრამ აკლდა კატონისებრი სიმტკიცე და ენერგია, რომლებიც ქმნიან დიდებულ მთავარსარდლებს და სახელმწიფო მოღვაწეებს“. ის შორს იყო გენიალობისგან და თავისი „მერყევი ხასიათით ჰგავდა არა მუხას, არამედ ლერწამს, რომელიც

ქარიანობისას ირხეოდა ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. მას ადგილი არ ჰქონდა იმ ადამიანებში, რომელთა ცნობილი საქმეები და დიადი იდეები გავლენას ახდენდნენ სახელმწიფოს განვითარებაზე“.

ასეთი შეფასების მიუხედავად, ციცერონი, უზომოდ პოპულარული იყო რევოლუციურ საფრანგეთში. არაიშვიათად იაკობინელთა ბელადს მაქსიმილიანე რობერსპიერს (1758-1794 წწ.) ციცერონს უწოდებდნენ. ორატორის მიმართ უარყოფითი შეფასება იმანაც განაპირობა, რომ იგი ერთდროულად ქადაგებდა არისტოკრატიულ-რესპუბლიკური, დემოკრატიული და მონარქიული სახელმწიფოს შექმნის იდეას.

ციცერონის მემკვიდრეობა მრავალფეროვანია. ორატორის სახელთან არის დაკავშირებული რომში ეპისტოლარული ჟანრის წარმოჩენა. ცნობილია მისი 800-ზე მეტი წერილი. ისინი აღმოაჩინა ჰუმანიზმის ეპოქის გამოჩენილმა მოღვაწემ და „ძველ ხელნაწერთა დაუღალავმა მონადირემ“ ფრანცისკო პეტრარკამ. წერილების გაცნობით პეტრარკა გაოცებული დარჩა, რადგან ციცერონი მის წინაშე წარსდგა, როგორც „მუდმივად მოუსვენარი ბრძენკაცი“, რომელმაც ხვედრად მიიღო „ბრძოლა და უნაყოფო შული“.

უცნაური ბედი ხვდა წილად ციცერონის წერილებს. მათი ნაწილი გამოქვეყნდა ავტორის სიცოცხლეშივე. მას იმოწმებდნენ ადრეულ შუა საუკუნეებშიც, მაგრამ XII ს-დან მათი ხსენება შეწყდა და ხელახლა აღმოაჩინეს XIV ს. 1345 წელს ვერონაში პეტრარკამ მიაკვლია ციცერონის მიერ ატიკუსისადმი, კვინტუსისადმი, ბრუტუსისადმი და ოქტავიანესადმი გაგზავნილი წერილები. მოგვიანებით, ვერჩელოში აღმოჩნდა წერილების ახალი შეკვრა, რომელიც გაერთიანებულია „Ad familiares“-ის სათაურის ქვეშ. აღნიშნული წერილები უძვირფასესი წყაროა ძვ.წ. I ს. რომის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული მომენტების გაანალიზებაში. ეს მით უფრო გასაგები ხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ციცერონის ნაწერებში ჩამოყალიბებული და განსაზღვრული იყო ამა თუ იმ საკითხებზე ოფიციალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. არსებითად, ძვ.წ. 68 წლიდან დაწყებული, ციცერონი მხედველობის არედან არ ტოვებდა რომის მრავალმხრივი ცხოვრების არც ერთ მომენტს.

იმის მიუხედავად, რომ ციცერონის ეპოქას გვაშორებს ოცი

საუკუნე, გვეჩვენება, რომ წერილებში აღწერილი მოვლენები უშუალოდ ჩვენს თვალწინ ხდება. მართალია, საკუთარი მიზნების შესაბამისად ციცერონი აზვიადებს ფაქტებთან თავის დამოკიდებულებას, მაგრამ მთლიანობაში იგი მართებულად აღწერს მოვლენებს. ეს მნიშვნელოვნად იმით იყო განპირობებული, რომ ციცერონი, როგორც კონსული, სენატორი, პროკონსული, უშუალოდ ტრიალებდა ძვ.წ. I ს. 60-40-იანი წლების რომის პოლიტიკური ცხოვრების სამზარეულოში. ამიტომაც არის, რომ რომში მიმდინარე ყველა მოვლენა მასთან დიდი ექსპრესიულობით არის გადმოცემული. ეს კი მის მონათხრობს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს. არსებითად, ის რაც არ ჩანს ანტიკური ისტორიკოსების (ლივიუსი...) ფუნდამენტურ შრომებში, ციცერონთან ისინი წარმოდგენილია ყოველგვარი გადახვევის გარეშე. ფაქტობრივად, იგი „რომაული ისტორიის ქრონიკაა“.

იგივე შეიძლება ითქვას ციცერონის სიტყვების შესახებაც, რომლებიც 2000 წელი ითვლება ლათინური სტილის ნიმუშად. ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ ციცერონის სიტყვები ის ცენტრია, რომლის გარშემო ჯგუფდებოდა მისი მრავალმხრივი ინტერესები, როგორც მეცნიერულ-ფილოსოფიური, ასევე პოლიტიკურიც. დიდი რომაელის 109 სიტყვიდან სრულად მოღწეულია 58, ფრაგმენტების სახითაა 18 და 33-ის მხოლოდ სახელწოდება ვიცით. ისინი არის სასამართლო პროცესზე, სენატში თუ სახალხო კრებაზე წარმოთქმული პოლიტიკური სიტყვების მთელი სერია, რომელშიც თვალნათლივ არის ნაჩვენები რომის გვიანდელი რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

ციცერონის სიტყვებიდან აღსანიშნავია: „მანილიუსის კანონთან დაკავშირებით“, „კატილინას წინააღმდეგ“ და „ფილიპიკები“. პირველი ორატორის ყველაზე ნათელ გამოსვლად ითვლება. საერთოდ, ციცერონს ჩაფიქრებული ჰქონდა კრებულის სახით გამოეცა კონსულობის დროინდელი ცამეტივე სიტყვა (ჩვენამდე მოაღწია სამი აგრარულმა და ოთხი კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმულმა). კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები კრებულში შესული იყო შემდეგი სახელწოდებით: „მეშვიდე სიტყვა რომლითაც შევძელი კატილინას განდევნა“ და ა.შ.

„ფილიპიკებში“ უკანასკნელად გამოვლინდა ციცერონის ყოველმხრივი ტალანტი. სულ წარმოითქვა 14 ფილიპიკა. სათაური

სიმბოლური შეირჩა. ასე ეძახდნენ სიტყვებს, რომლებიც ორატორმა დემოსთენემ წარმოთქვა მაკედონიის მეფე ფილიპე II-ის (ძვ.წ. 359-336 წწ.) წინააღმდეგ. „ფილიპიკებში“ საუკეთესოდ ითვლება მეორე. ვერესის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვების (პირველის გარდა) მსგავსად იგი სენატში არ გაჟღერებულა, თუმცა ისე არის დაწერილი, რომ მკითხველი მასში ეჭვს ვერ შეიტანს. ამიტომაც მეორე ფილიპიკას უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებად მიიჩნევა.

ზემონახსენები ნაწარმოებების გარდა ციცერონის კალამს მიეკუთვნება ფილოსოფიური ტრაქტატები: „სახელმწიფოს შესახებ“ (ძვ.წ. 54-51 წწ.), „მოვალეობების შესახებ“ (ძვ.წ. 44 წ.) და სხვა თხზულებები, რომლებშიც გადმოცემული არის რომის ისტორიის სხვადასხვა ასპექტები.

*კეისარი*

ანტიკური სამყაროს გამოჩენილი პოლიტიკოსის და სახელმწიფო მოღვაწე გაიუს იულიუს კეისარი (ლათ. Gaius Iulis Ceazar, ძვ.წ. 100-44 წწ.) თხზულებების მიმართ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უძვირფასესი წყარო არის ძვ.წ. I ს. რომის ისტორიის ცალკეული ფაქტების შესწავლის საქმეში.


*კეისარი (ლუვრი)*

აღორძინების ეპოქამდე კეისრის მიმართ სამეცნიერო და საზოგადოებრივი აზრი მაღალი იყო და მას სამართლიანი დამპყრობლის სახელი ჰქონდა. ჰუმანისტებმა შეცვალეს მის მიმართ წარმოდგენები შეიცვალა და იგი ტირანად განიხილეს. რაც შეეხება „იდეალური მოქალაქის“ ნიმუშს, ეს სტატუსი გადაეცა ციცერონს და კატონს. ამის მიუხედავად, კეისრის სახელი მაინც რჩებოდა მრავალი მეცნიერის შთაგონების წყაროდ. უდიდესმა დრამატურგმა შექსპირმა მას უძღვნა ტრაგედია „იულიუს კეისარი“ (1599 წ.). განსაკუთრებით კეისრის გაფეტიშება ხდებოდა გერმანიაში. დრუმანის და მომზენის წყალობით შეიქმნა „კეისრის მითი“. გერმანელი ისტორიკოსებისთვის კეისარი კი იყო დიქტატორი, მაგრამ ამავე დროს იგი მიიჩნეოდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოქალაქედ. ისტორიოგრაფიაში გერმანული სკოლის ტრადიციები იმდენად მყარი დარჩა, რომ სამეცნიერო წრეებში, დღესაც, კეისრის მიმართ

ორმაგი დამოკიდებულება დომინირებს.

კეისრის ლიტერატურული მოღვაწეობის მხარე მრავალმხრივი იყო. მის კალამს ეკუთვნის სიტყვები, წერილები და მემუარული ჟანრის ნაწარმოები – „დღიურები“, რომელშიც შესულია „ომი გალებთან“ (წ. I-VIII), დაუმთავრებელი „სამოქალაქო ომი“ (წ. I-III), „ალექსანდრიის ომი“ (უცნობი ავტორი) და „აფრიკის ომი“. „დღიურების“ ღირებულება ის არის, რომ მასში დოკუმენტური ფორმით არის გადმოცემული ძვ.წ. 50-40 წლების რომის პოლიტიკური ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტები. ავტორი მხატვრულად და ცოცხლად აღწერს აღნიშნული ომების ცალკეულ ეპიზოდებს, სარდლობის გეგმებს, ბრძოლის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ჩანაფიქრებს, საომარი კამპანიის დანაკარგებს, საერთო შედეგებს, ამ ომებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებებს და ა.შ. „დღიურები“ ტენდეციურია, რადგან კეისარი მისით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სამხედრო კამპანიისას იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფოებრივი ინტერესებით, იყო სამართლიანი, ქველი და ა.შ. ასევე კეისარი ცდილობს ჩამოირეცხოს სამოქალაქო ომის გაჩაღების ლაქა. ფაქტების თხრობას ავტორი ყოველთვის მესამე პირით აკეთებს. მისი წერის მანერა იყო გამოკვეთილი და ლაკონური. პროფ. ფ. ედკოკი (1886-1968 წწ.) შენიშნავდა, რომ კეისრის შრომებში პროპაგანდული ელემენტები უმთავრესი იყო, მაგრამ არადომინირებული. მეცნიერის აზრით, „ომი გალებთან“ მას სჭირდებოდა წარმატებებით სენატორების ინფორმირება და შესაბამისად მათზე გავლენის მოხდენისთვის.

სიტყვები კეისარმა წარმოთქვა სხვადასხვა დროს სენატსა და სასამართლოში. მაგ., ძვ.წ. 77 წელს სასამართლოში იგი გამოვიდა მაკედონიის პროკონსულის დოლაბელას წინააღმდეგ. სვეტონიუსის ცნობით, სიტყვებით კეისარი აღიარებული იქნა სასამართლო მჭერმეტყველების ბრწყინვალე წარმომადგენლად. სენატში წარმოთქმული ერთ-ერთი სიტყვის ფრანგმენტი დაცულია სალუსტიუსის „კატილინას შეთქმულებაში“. სამწუხაროდ, კეისრის მიერ სასამართლოში და სენატში წარმოთქმული ყველა სიტყვები დაკარგულია.

კეისრის წერილებიდან მოღწეულია მხოლოდ ციცერონისადმი გაგზავნილი რამდენიმე ეპისტოლე. მათი მეშვეობით ვგებულობთ ორი რომაელის ურთიერთობებს და ძვ.წ. 50-48 წლების რომის შიდა პოლიტიკურ ვითარებას.

მთლიანობაში, კეისრის მემკვიდრეობაზე საუბრისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ძვ.წ. I ს. შუა წლების რომის ისტორიის შესწავლისთვის, რადგან დაწერილია ამ ომების არამარტო მონაწილის, არამედ უშუალო ხელმძღვანელის და ორგანიზატორის მიერ. მართალია, რიგი მოვლენის შეფასებისას კეისარი იჩენს მიკერძოებას, განადიდებს დამსახურებებს, ჩქმალავს შეცდომებს თუ წარუმატებლობებს, ცდილობს მისთვის ხელსაყრელი პოზიციიდან შეაფასოს ესა თუ ის გადაწყვეტილებები და სხვ., მაგრამ მთლიანობაში იგი სრულ წარმოდგენას გვაძლევს რომის თანადროული ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების სურათის შესახებ.

*სალუსტიუსი*

ძვ.წ. I ს. შუა წლების რომის ისტორიის უაღრესად საინტერესო წყაროა გაიუს სალუსტიუს კრისპის (ლათ. Gaius Sallustius Crispus, ძვ.წ. 86-35 წწ.) თხზულებები. რომაულ ისტორიოგრაფიაში იგი პირველია, რომელიც ამბების მთხრობელის გარდა იყო მათი შემფასებელი და კომენტატორი. სალუსტიუსის გავლენა ჩანს მომდევნო ხანის ყველა ისტორიკოსზე, მათ შორის ისეთ გიგანტზეც, როგორიც იყვნენ ტაციტუსი და სხვ.


*სალუსტიუსი*

სალუსტიუსი კეისარიანელი იყო და იგი გამოდიოდა ციცერონის წინააღმდეგ. ორატორსა და მას შორის დაპირისპირება შესამჩნევი გახდა ძვ.წ. 52 წლიდან, როდესაც პლებეური ტრიბუნის რანგში სალუსტიუსი მილონის პროცესზე მისი დამცველის ციცერონის წინააღმდეგ ხალხს აქეზებდა. ძვ.წ. 49-45 წლების სამოქალაქო ომისას ისტორიკოსი ილირიაში ხელმძღვანელობდა პომპეუსელთა წინააღმდეგ საომარ ოპერაციებს, მაგრამ მან თავი ვერ გაართვა გენერლობას და სალონასთან დასრულდა მისი სამხედრო კარიერა.

სალუსტიუსის შემოქმედება ყოველთვის განიხილებოდა პოლიტიკური თვალსაზრისით. სიცოცხლეში და შემდგომ მის ნაწერებს პოლიტიკური ნიშნით, ანდა წერის მანერით აქებდნენ ან აკრიტიკებდნენ. კეისრის ყველა მოწინააღმდეგე მას უარყოფითად

ახასიათებდა. ლივიუსი სალუსტიუსს თუკიდიდეს ცუდ მიმბაძველად მიიჩნევდა. სენეკა (უფროსი) პირიქით, იწონებდა მის შემოქმედებას. პატერკულუსისთვის სალუსტიუსი თუკიდიდეს მეტოქეა, ხოლო მარცელინუსმა პირველი უწოდა რომაელ ისტორიკოსთა შორის. ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ფაქტია, რომ სალუსტიუსი ანალისტია, რომლის ნაშრომი გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა.

სალუსტიუსის მთავარი ნაშრომი არის „კატილინას შეთქმულება“ და „იუგურთას ომი“. ამის გარდა, მას ეკუთვნის: „კეისრისადმი ორი წერილი“, „ინვექტივა ციცერონის წინააღმდეგ“ და „ისტორია“. უკანასკნელი ფრაგმენტულია. მასში დაცულია მითრიდატე ევპატორის (ძვ.წ. 120-63 წწ.) წერილი, სენატში წარმოთქმული პომპეუსი სიტყვა და ა.შ. კეისრისადმი გაგზავნილი სალუსტიუსის წერილები ნაყალბევად მიიჩნეოდა, მაგრამ XX ს. დასაწყისში აღიარეს მათი ნამდვილობა. პირველი წერილი დაწერილია ძვ.წ. 51-50 წლებში, ხოლო მეორე სამოქალაქო ომის საწყის პერიოდში.

„კატილინას შეთქმულება“ დაიწერა კეისრის სიკვდილის შემდეგ, ძვ.წ. 44/43 წელს. მასში აღწერილია ძვ.წ. I ს. 60-იან წლებში მიმდინარე ლუციუს კატილინას (ძვ.წ. 108-62 წწ.) ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ავტორი გადმოსცემს კატილინას შეთქმულების მიზეზებს, ახასიათებს მის თანამებრძოლეებს, სენატის პოზიციას, ციცერონის კონსულობის დროინდელ ღონისძიებებს, ბრძოლას პისტორიასთან და ა.შ. მართალია, ეს ნაწარმოები დაიწერა ამ მოვლენიდან 20-ზე მეტი წლის შემდეგ და ისტორიკოსი გარკვეულად ანგარიშს უწევდა კატილინას შესახებ საზოგადოებაში არსებულ კრიტიკულ შენიშვნებს, მაგრამ მთლიანობაში, იგი ზუსტად გადმოსცემს შეთქმულების ისტორიას. საგულისხმოა, რომ ავტორი ქვეყნისთვის უარყოფით კონტექსტში აფასებდა კატილინას სწრაფვას დიქტატურისკენ.



იუგურთა
(მონეტა)

„იუგურთას ომში“ გადმოცემული არის ძვ.წ. 111-105 წლებში მიმდინარე რომი-ნუმიდიის ომის ბატალიები. სალუსტიუსის განსაკუთრებულობა იმაში გახლავთ, რომ თხზულებაში იგი არ ერიდება აჩვენოს რომაული ნობილიტეტის გახრწნის სურათი, რომლებსაც ისტორიკოსი უპირისპირებს პოპულარების წარმომა-

დგენლებს. ნაშრომით კარგად ჩანს თანადროული რომის საზოგადოებრივი აზრი და ავტორის სიმპატიები გაიუს მარიუსისადმი (ძვ.წ. 157-86 წწ.).

ისტორიკოსის ხედვით, რომის სახელმწიფომ გაიარა: 1 თავდაპირველი მდგომარეობა, როდესაც არ არსებობდა ქალაქი, კანონი და ძალაუფლება, როდესაც ყველანი იყვნენ თავისუფლები და 2. მიღწევების პერიოდი, რაშიც იგულისხმება ომი მეზობლებთან და ქველობის გამოვლენა. ისტორიკოსის პოლიტიკური იდეალია - „პოლიტიკური ძალაუფლებით" აღჭურვილი ზომიერი რომაული რესპუბლიკა.

სალუსტიუსი იყო მუნიციპალური არისტოკრატიის ტიპიური წარმომადგენელი. პოლიტიკურ ასპარეზზე იგი გამოვიდა როგორც პოპულარი და ამ ფენის ნაწილთან ერთად მხარში ედგა კეისარს. თუმცა კეისრის პოლიტიკურ მოწოდებებს იგი მეტწილად არ თანაუგრძნობდა. მაგ., თუ სალუსტიუსი ითხოვდა სენატის ავტორიტეტის ამაღლებას, კეისარი პირიქით, მის დასუსტებას ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერების პირობად მიიჩნევდა და სხვ. ამის და სხვა ფაქტების გამო, ბევრ მათგანზე, მოგვიანებით თავად სალუსტიუსმა გული აიყარა. „იდეალური სახელმწიფოებრივი წყობა", რასაც ისტორიკოსი წერილებით და „ისტორიით" სთავაზობდა კეისარს ძალზე შორეული ჩანდა. არსებითად, სალუსტიუსი მომხრე იყო ე.წ. „ოქროს საუკუნეში" არსებული სენატსა და ხალხს შორის თანხმობით. საუკეთესო პოლიტიკოსად მას მიაჩნდა არა კეისარი ანდა კატონი, არამედ ორივეს ღირსებებით გაერთიანებული რაღაც „სინთეზური გმირი".

*ვარონი*

რომაულ საისტორიო მწერლობაში მოკრძალებული ადგილი ეკავა მარკუს ტერენციუს ვარონს (ლათ. Marcus Terentius Varro, ძვ.წ. 116-27 წწ.). იგი იყო მეცნიერ-ენციკლოპედისტი და მწერალი. სახელმწიფო იერარქიაში მისი მწვერვალი იყო პრეტორობა. პოლიტიკური შეხედულებით ვარონი პომპეუსელია. ძვ.წ. 49-45 წლების სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ კეისარმა იგი შეიწყალა და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის უფროსად დანიშნა, საიდანაც პირადი მოტივით მოგვიანებით გაანთავისუფლა მარკუს ანტონიუსმა (ძვ.წ. 83-30 წწ.).

ვარონი უაღრესად პროდუქტული მკვლევარი იყო. მას 70-ზე მეტი ნაწარმოები მიეწერება და უნდა ითქვას, რომ ზოგი მათგანი მან 80 წლის ასაკში დაწერა. 150 წიგნად ვარონს დაწერილი ჰქონდა „მენიპური სატირები“, რომელიც ფრაგმენტების სახით არის ჩვენამდე მოღწეული. მასვე მიეწერება 76 წიგნად ფილოსოფიური დიალოგი „ლოგისტორიკები“, 41 წიგნად „ადამიანური და ღვთაებრივი სიძველეები, რომელიც დაკარგულია. თხზულება „სახეებში“ (წ. I-XV) შეტანილი ყოფილა 700 გამოჩენილი ბერძენ-რომაელის პორტრეტი.

ვარონის მრავალრიცხოვანი თხზულებებიდან ჩვენამდე შედარებით სრულად მოაღწია მხოლოდ „სოფლის მეურნეობის შესახებ“ (წ. I-III), ხოლო „ანბანის ისტორია“ და „ლათინური ენის წარმოშობა“ ფრაგმენტულია.

თხზულება „სოფლის მეურნეობის შესახებ“ არის ავტორის მიერ 80 წლის ასაკში, ძვ.წ. 37 წელს, შედგენილი დიდაქტიკური ნაშრომი. მასში ვარონი ცდილობს ყოველი კუთხით განიხილოს თანადროული ეპოქის სოფლის მეურნეობის საკითხები. აქვე დავსძენთ, რომ მარკუს კატონის „მიწათმოქმედების“ და ლუციუს კოლუმელას (4-70 წწ.) „სოფლის მეურნეობასთან“ ერთად იგი წარმოადგენს ძვ.წ. II-I სს. რომის სოფლის მეურნეობის ისტორიის შესწავლის უძვირფასეს წყაროს. ნაშრომის პირველი წიგნი დაეთმო მემინდვრეობას, მეორე მესაქონლეობას, ხოლო მესამე საკარმიდამო მეურნეობების აღწერას.


*ვარონი*

საერთოდ, ვარონი კომპილატორი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს მას უდიერად მოვექცეთ. მასთან დაცული არის მრავალი საინტერესო ფაქტები, რომლებიც სხვა წყაროებში მიჩქმალულია. თხზულებაში მანვე დიდი ყურადღება მიაქცია ქრონოლოგიის საკითხებს. სწორედ ვარონმა შემოიტანა ისტორიოგრაფიაში რომის დაარსების თარიღი – მეექვსე ოლიმპიადიდან მესამე წელი.

*ნეპოტი*

რომაელი ისტორიკოსის კორნელიუს ნეპოტის (ლათ. Cornelius Nepos, ძვ.წ. ?109-24 წწ.) ცხოვრების შესახებ ვიცით, რომ იგი ეკუთვნოდა მხედართა წრეს, ხოლო წარმოშობით იყო ჩრდ.იტალიიდან. ისტორიკოსმა ცხოვრების საუკეთესო წლები რომში, დედაქალაქის მწერლების და პოეტების გვერდით გაატარა. მისი ახლო

მეგობრები იყვნენ პოეტი გაიუს კატულუსი (ძვ.წ. 87-54 წწ.), ციცერონი და სხვ. ნეპოტის ლიტერატურული რეპუტაცია არც ისე შთამბეჭდავი იყო. ერთ-ერთ წერილში ციცერონი მას ნახევრად ხუმრობით „უკვდავს“ უწოდებდა. ნეპოტს ანტიკურ ხანაშივე ჰყავდა თაყვანისმცემლები. მაგ., ბიბლიის კანონიკური ლათინური ტექსტის შემქმნელი ნეტარე იერონე სტრიდონელი (342-419/420 წწ.) მას ცნობილ მწერლად მოიხსენიებდა.

ნეპოტს ეკუთვნის 16 წიგნად დაწერილი ნაშრომი - „ცნობილ ადამიანთა შესახებ“. მასში შეტანილი იყო გამოჩენილ რომაელთა და უცხოტომელთა პარალელური ბიოგრაფიები (მილტიადე, ჰამილკარი, ჰანიბალი, ატიკუსი და ა.შ.), სულ 23 პერსონის ცხოვრება. განსაკუთრებული სითბოთი ისტორიკოსი გადმოსცემს კატონის და ციცერონის მეგობრის და მეცენატის ატიკუსის ბიოგრაფიას.

ანტიკურ ხანაშივე შენიშნული იყო, რომ ნეპოტის თხზულებები არ ემთხვეოდა ტრადიციულ რომაულ სამამულო ისტორიოგრაფიას. კატულუსი მის შემოქმედებას გადაჭარბებულად აფასებდა და მასზე წერდა, რომ იგი რომაელებს შორის იყო პირველი, რომელმაც შექმნა მსოფლიო, მაშასადამე, ბერძნულ-რომაული ისტორია, რომლის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პოლიბიოსი.

გერმანულ ისტორიოგრაფიაში ნეპოტს პოლიტიკური ბიოგრაფიების გამომგონებლის თიკუნი ჰქონდა. ასევე შენიშნულია, რომ ისტორიკოსის გმირები არიან არა მეფეები, ანდა ელინისტური ეპოქის სარდლები, არამედ კლასიკური პერიოდის თავისუფალი ქალაქ-სახელმწიფოების გმირები. ამის გამო თვლიან, რომ ნეპოტის თხზულება ქარგა იყო პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიებისთვის. ნეპოტს მიეწერება ცნობილი ფრაზა - „გინდა მშვიდობა - ემზადე ომისთვის“.

*დიოდორე სიცილიელი*

რომის სისტემური ისტორია უძველესი დროიდან ძვ.წ. 60 წლამდე აღწერილი ჰქონდა დიოდორე სიცილიელს (ლათ. Diodorus Siculus, ძვ.წ. ?90-30 წწ.). იგი იყო სიცილიელი ბერძენი ისტორიკოსი და მითოლოგი. მან 30 წელი მოანდომა „ისტორიული ბიბლიოთეკის“ შექმნას.

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ სიცილია-იტალიის გა-

რდა, დიოდორე ნამყოფი იყო ალექსანდრიაში და რომში. „მარადიულ ქალაქში" კი მას შეეძლო მისი ნაშრომისთვის მოეძია ზღვა მასალა. პოლიბიოსის მიბაძვით დიოდორემ თავისი ნაშრომი 40 წიგნად და 3 ნაწილად დაჰყო. I-VI წიგნები დაეთმო ეგვიპტის, შუამდინარეთის, ინდოეთის და ევროპის გეოგრაფიას, ისტორიას და კულტურას. VII-XVII წიგნებში მსოფლიოს ისტორია გადმოცემული იყო ტროას ომიდან ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებამდე. მესამე ნაწილი ეხებოდა დიადოხოსების ეპოქას და თხრობა მიყვანილი იყო კეისრის გალურ კამპანიამდე.

დიოდორეს თხზულებიდან ჩვენამდე სრულად მოაღწია მხოლოდ I-V და XI-XX, ხოლო ფრაგმენტების სახით IX-X წიგნებმა. მათში მოცემული იყო ძვ.წ. 486-301 წლების მოვლენები. სხვა ფრაგმენტებში დაცული იყო ცნობები სიცილიის მონათა I და II აჯანყების შესახებ.

დიოდორეს მიერ გამოყენებული წყაროთა წრე ფართოა. ამის მიუხედავად, იგი გვევლინება არა კომპილიატორად, არამედ ორიგინალურ მოაზროვნედ. მისთვის არ იყო დამახასიათებელი ფაქტების ანალიზი, იგი მოვლენებს გადმოსცემდა მონოტონურად. მასთან შეინიშნება რომაულ ქრონოლოგიასთან დაკავშირებული რიგი უზუსტობები, რასაც ახსნაც ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ ძვ.წ. III ს-მდე არ არსებობდა ერთიანი ქრონოლოგიური სისტემა, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტების სინქრონიზაცია.

*დიონისე ჰალიკარნასელი*

ბერძენი ისტორიკოსის დიონისე ჰალიკარნასელის (ბერძ. Διονύσιος Ἁλικαρνασσεύς, ძვ.წ. ?60-ახ.წ. ?7 წწ.) ნაშრომი – „რომაული სიძველეები" უძვირფასესი წყაროა ძველი რომის ისტორიის ადრეული მონაკვეთის შესწავლისთვის. ისტორიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობის რომაული პერიოდი დაემთხვა რომში მიმდინარე სამოქალაქო ომების დასკვნით ეტაპს და იმპ. ავგუსტუსის მმართველობას. „მარადიულ ქალაქში" მისი ცხოვრების 22 წელი ძირითადში ლათინური ენის შესწავლას და ნაშრომისთვის სხვადასხვა მასალის შეგროვებას მოხმარდა.

ისტორიკოსი პროდუქტული მკვლევარი იყო. მისი თხზულებები რიტორიკული და ისტორიული ხასიათისაა. რიტორიკული ნაწარმოებებია: „ძველი ორატორების შესახებ", „დემოსთენეს მჭერმეტყველების ძალა", „წერილი გნეუს პომპეუსს", „თუკიდიდეს

შესახებ“ და ა.შ. მათ შესახებ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხზულებებში დომინირებს დიონისე პოზიცია მჭერმეტყველობის ატიკური სტილის პოპულარობის თაობაზე. მასთან ერთმანეთან შედარებული არის მჭერმეტყველების ატიკური და აზიური სტილი. ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიკოსი გადმოგვცემს მის დამოკიდებულებას აზიური სტილის მიმართ, რომელსაც იგი მიიჩნევდა ორატორული ხელოვნების დაცემის მანიშნებლად. დიონისე იყო დემოსთენეს გულმხურვალე მებაირახტრე, რომლის მჭერმეტყველების ატიკურ სტილს იგი ყველაზე სრულყოფილ ხელოვნებად მიიჩნევდა. ორატორულ ხელოვნებაში ატიკური სტილისკენ შემობრუნება დიონისე რომის დამსახურებად მიიჩნევდა. ისტორიკოსი წერდა „ასეთი ცვლილებების მიზეზი და დასაწყისი არის ყველაფრის ოსტატი რომი, რომელმაც მაღალი განათლების და კარგი გემოვნებით დაჯილდოებული ადამიანებით... ყველა აიძულა მისთვის მიებაძათ“. პრინციპში, მჭერმეტყველობის თაობაზე ისტორიკოსის პოზიცია რომში მიმდინარე კეისრის აზიური და ციცერონის ატიკური სტილის მიმდევრებს შორის პოლემიკის ანარეკლს გამოხატავდა.

დიონისეს თხზულებებიდან უდაოდ გამორჩეულია „რომაული სიძველეები“. იგი 20 წიგნისგან შესდგება, საიდანაც I-X სრულია, მე-XI ნაწილობრივი, ხოლო დანარჩენები ნაკლული. ისტორიის თხრობა ნაშრომში იწყება ტროას ომის პერიოდიდან და საუბარი მიყვანილია ძვ.წ. 264 წლის მოვლენებამდე. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წლის მოვლენებით იწყება პოლიბიოსის თხზულება. მაშასადამე, დიონისეს სურდა აღეწერა და შეევსო ისტორიის ის მონაკვეთი, რომელსაც პოლიბიოსი არ ეხებოდა.



*დიონისე, გრავიურა, XVI ს.*

„რომაული სიძველეები“-ს პირველ წიგნში დიონისე საუბარს იწყებს იმ გარემოებებზე რაც წინ უსწრებდა რომის დაარსებას. დეტალურად არის აღწერილი ძვ.წ. 442 წლის, დეცემვირთა მმართველობის დაცემამდელი ფაქტები, ხოლო XII-XX წიგნებში გადმოცემული იყო პუნიკური ომამდელი მოვლენები და ა.შ.

დიონისე ლივიუსის თანამედროვეა, მაგრამ აშკარად იკვეთება, რომ უკანასკნელისგან იგი მაინც დამოუკიდებელია. მართალია მისი „ისტორია“ მონოტონურია, მაგრამ იგი იკითხება ადვილად. მაგ., მეორე წიგნში იგი იყენებს თვით რომულუსის სიყვებს, მაგრამ ისტორიკოსს ეს სჭირდება, რომ წარმოაჩინოს საკუთარი ორატორული ხელოვნება. თხზულებაში არ ჩანს საისტორიო კრიტიკის კვალი. რაც შეეხება მითებს, რომ ისინი გადმოცემული არის რეალური ისტორიული მოვლენების ჭრილში. „რომაული სიძველეები“ ბერძნულ ენაზე შექმნილი ნაშრომია. ჩანს, ავტორის მიზანი იყო თანამემამულეებისთვის რომაული ცხოვრების გაცნობა. ამის გამო არის, რომ იგი ყურადღებას ამახვილებდა ისეთ წვრილმანებზე, რომლებიც ზოგადად სხვა რომაელი ისტორიკოსების თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა.

წერის მანერიდან გამომდინარე კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თხზულებით დიონისე უფრო რიტორია ვიდრე ისტორიკოსი. ისინი თვლიან, რომ თხზულებაში მოყვანილი ფაქტები შესაძლოა ავტორის ფანტაზიის ნაყოფიც ყოფილიყო. აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი მსჯელობა დიონისეს მიმართ რეალობას არ შეესაბამება. უფრო მეტიც, ისტორიკოსისთვის რიგ შემთხვევაში დამახასიათებელი იყო მისი ეპოქის ავტორიტეტების აზრის იგნორირება. მაგ., თუ ჰეროდოტე ამტკიცებდა ეტრუსკების ლიდიურ წარმომავლობას, დიონისე, ქსანტიპეს ნაშრომზე („ლიდიელთა ისტორია“) დაყრდნობით უარყოფდა მათ აზიურ წარმოშობას. მანვე შენიშნა, რომ მეფე ატისის ვაჟს ერქვა არა ტირენი, არამედ ტობერი (თობერი), ხოლო მამისგან გამოყოფილი ლიდიის ტერიტორიის ნაწილის მცხოვრებლები იწოდებოდნენ ტობერებად და არა ტირენებად ან ეტრუსკებად. მისი პოზიციის გასამტკიცებლად დიონისეს დამატებით არგუმენტად მოჰყავს ლიდიელებსა და ეტრუსკებს შორის სხვადასხვა ღმერთების არსებობა, სხვადასხვა ადათების და კანონების დაცვა და ა.შ. ამიტომაც ისტორიკოსი დასძენდა, რომ მართლები არიან ისინი ვინც მათ მიიჩნევდნენ ადგილობრივ და არა მოსულ მოსახლეობად.

ფაქტია, რომ ასეთი მსჯელობებით დიონისე წარმოგვიდგება, დამოუკიდებელ ისტორიკოსად. ლივიუსის ნაშრომთან შედარებით მისი თხზულება დაბალი ხარისხისაა, მაგრამ უკანასკნელისგან განსხვავებით დიონისეს უპირატესობაა რომაული ანალები-

დან მდიდარი მასალის გამოყენება, რის გამოც „რომაული სიძველეები“ შეიძლება დადგეს რომაელი გრანდების თხზულებების გვერდით.

*ლივიუსი*

რომაელ ისტორიკოსებში ტიტუს ლივიუსი (ლათ. Titus Livius, ძვ.წ. 59-ახ.წ. 17 წწ.) არის მიჩნეული ყველაზე წონად ფიგურად. ლივიუსი მწერალთა და ისტორიკოსთა იმ პლეადის წარმომადგენელია, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ძველ რომაული ლიტერატურის ე.წ. „ოქროს საუკუნეს“. იგი იყო ციცერონის, სალუსტიუსის და ვერგილიუსის (ძვ.წ. 70-19 წწ.) უმცროსი თანამედროვე. ლივიუსის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ ძვ.წ. 38 წელს იგი გადასახლდა რომში. მას თავისი ცხოვრების კრედო ჰქონდა. იგი განზე იდგა ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობისგან და მთელი არსებით ჩაფლული იყო რომაული ისტორიის წერაში.

ისტორიკოსის კალამს ეკუთვნის საზოგადოებრივ-ფილოსოფიური შინაარსის სხვადასხვა დიალოგები, ტრაქტატები რიტორიკაში და ა.შ. სამწუხაროდ, ყველა ისინი დაკარგულია. ლივიუსს დიდება მოუტანა 142 წიგნად დაწერილმა თხზულებამ - „ისტორია ქალაქის დაარსებიდან“ (ძვ.წ. 27-25 წწ.). სათაური პირობითია. ლიტერატურული თვალსაზრისით იგი უბადლო ნაწარმოებია, რომელშიც დიდი დრამატიზაციით არის გაცოცხლებული წარსულის სურათები. სამწუხაროდ წიგნი დაუსრულებულია, ნაკლულია და მისი დიდი ნაწილი დაკარგულია.



*ლივიუსი, გრავიურა - XVI ს.*

ლივიუსის ნაშრომში ფაქტების თხრობა იწყება ძვ.წ. 753 წლიდან რომულუსის მიერ ქ. რომის დაარსებიდან და მოვლენები მიყვანილია იმპ. ავგუსტუსის ეპოქამდე, ე.ი. ახ.წ. 9 წლამდე. სრულად ჩვენამდე მოაღწია 35 წიგნმა (წ. I-X; XXI-XV) და ორი მხოლოდ ფრაგმენტის (XCI და CXX) სახით. მათში მოცემული იყო რომის ისტორია დაარსებიდან ძვ.წ. 293 წლამდე და ძვ.წ. 218-167 წლების მოვლენები. რაც შეეხება ფრაგმენტებს, ისინი გადმოგვცემენ სერტორიუსთან ომს და ციცერონის სიკვდილის ამბებს. ტხზულე-

ბის შესავალში ლივიუსი ფორმულირებას უკეთებს ნაშრომის მიზანს - ერთის მხრივ ეს არის რომის დაცემის მიზეზების განმარტება და ამავე დროს დედამიწაზე მათი საგმირო საქმეების ჩვენება. ნაშრომში ისტორიკოსი აღწერს რომაულ ადათებს, მათ როლს გამარჯვებებში, ხაზს უსვამს ზნეობრივ და პატრიოტულ ელემენტებს და ა.შ.

სამეცნიერო წრეებში ლივიუსი მიჩნეულია სანდო ისტორიკოსად. მართლაც, მის მიერ გადმოცემული ფაქტები სანდო შთაბეჭდილებას ტოვებს. ხშირად იგი თვითონ აკრიტიკებს წინამორბედ წყაროებს. მაგ., რომის დაარსების ტრადიციულ ლეგენდის ნაცვლად ლივიუსი გვთავაზობს ისტორიულად უფრო მისაღებ ვერსიას და ა.შ.

ლივიუსის ნაშრომი გაჟღენთილია პატრიოტული პათოსით. იგი ახდენს წარსულის იდეალიზაციას და გმობს მისი თანამედროვეების მორალურ და ზნეობრივ დაცემულობას. ავტორის ასეთი სულისკვეთება და მორალიზმი ავგუსტუსის პოლიტიკას კარგად შეეფერებოდა. ისტორიკოსი აქცენტს აკეთებს ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებებზე, მათ საგმირო საქმეებზე და მორალურ თვისებებზე. დაწვრილებით აღწერს მათ საქმიანობას და ორატორულ გამოსვლებს. ეს სიტყვები ძალიან კარგადა არის დამუშავებული ლივიუსის მიერ. ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში 400-დე წარმოთქმულ სიტყვას ვხვდებით.

საისტორიო თხზულების გარდა ლივიუსს ჰქონდა ისტორიულ-ფილოსოფიური დიალოგები და რიტორიკული ხასიათის ნაწარმოები. სამწუხაროდ ისინი დაკარგულია.

საუკუნეების მანძილზე ლივიუსის მიმართ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ცვალებადი იყო. XIX ს. დასაწყისში იგი უდიდეს რომაელ ისტორიკოსად მიიჩნიეს. მისი ნაწარმოების დეტალური შესწავლით ბარტოლდ ნიბურმა ჩათვალა, რომ  რომის ადრეული რესპუბლიკის ამსახველი პირველწყაროები ისტორიკოსისთვის იყო ზეპირი ხალხური შემოქმედება. თეოდორ მომზენის აზრით ლივიუსმა თავისი დროის პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალიები მექანიკურად გადაიტანა მეფეთა ხანის და ადრეული რომის რესპუბლიკის მიმართ. XX ს. II ნახევარში ლივიუსის ნაშრომის შემსწავლელი ისტორიკოსები გადანაწილდნენ ტრადიციულ „ისტორიულ“ და „ლიტერატურულ“ სკოლებში. „ისტორიული“ სკოლის

წარმომადგენლებმა ისტორიკოსის ნაშრომი განიხილეს, როგორც ანალების დაკარგული შრომების მექანიკურ კომპილაციად. რაც შეეხება „ლიტერატურული“ სკოლის წარმომადგენლებს, თანამედროვე მიდგომებით და მეთოდოლოგიის მეოხებით, მათ, ლივიუსის „ისტორია“ დამოუკიდებელ თხზულებად მიიჩნიეს.

*პატერკულუსი*

მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის რომის ისტორია აღწერა გაიუს ველეუს პატერკულუსმა (ლათ. Velleius Paterculus, ძვ.წ. ?19-ახ.წ. ?31 წწ.). მისი ბიოგრაფიიდან ვიცით მხოლოდ, რომ პრეტორის რანგში იგი ახლდა იმპ. ტიბერიუს (14-37 წწ.) გერმანია-პანონიის ლაშქრობებში. პატერკულუსი არის ორ წიგნად დაწერილი „რომის ისტორიის“ ავტორი. თხზულების სათაური პირობითია, მაგრამ ერთ-ერთი კომენტატორის შენიშვნით, ისტორიკოსის ნაშრომი არსებითად მსოფლიო ისტორიაა, როლის ცენტრში გადმოცემულია საბერძნეთ-რომის ისტორიები. ნაშრომი იწყება ტროას ომიდან და მოკლე ფორმით მოვლენების თხრობა მიყვანილია ახ.წ. 30 წლამდე. პირველი წიგნი ნაწყვეტების სახითაა. რაც შეეხება მეორე წიგნს, მასში თხრობა უფრო დეტალურია და ავტორის თანადროულ ეპოქას ეხება.

რომის პირველხარისხოვან ისტორიკოსთა პლეადაში პატერკულუსი არ შედიოდა. ისტორიკოსისთვის დამახასიათებელი არ იყო ფაქტების თანმიმდევრული თხრობა. ამის გამო იგი ხშირად კრიტიკის ობიექტიც კი გამხდარა, მაგრამ ჩანს მემატიანეს მიზანი იყო არა რომაული ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც ჩაანაცვლებდა ლივიუსის ნაშრომს, არამედ წარსული დაენახა თანადროული საზოგადოების თვალით.

პატერკულუსის ნაშრომის ენა ლაკონურია. ისტორიკოსს თხრობის თავისი მანერა ჰქონდა. მასთან რომის ისტორია ოთხ პერიოდად არის დაყოფილი. პირველი პერიოდი მოიცავდა კართაგენის დანგრევიდან მოკავშირეთა ომის მონაკვეთს, მეორე – ციცერონის კონსულობამდელ, მესამე ავგუსტუსამდელ და მეოთხე – იმპ. ტიბერიუსის მმართველობას.

რომაულ მოვლენებზე საუბრით მემატიანე აშკარად გამოირჩევა სხვა ისტორიკოსებისგან. უფრო მეტიც, ხშირ მომენტში მისთვის დამახასიათებელი იყო ტრაციციების საპირისპირო მსჯელობები. მაგ., პატერკულუსი ერთადერთია, რომელმაც გამოჰყო

რომში სამოქალაქო ომების ეპოქა და მის მიმართ მკვეთრად დააფიქსირა თავისი პოზიცია. ისტორიკოსი უარყოფითად აფასებდა გრაკხუსების აგრარულ მოძრაობას და მას სახალხო ტრიბუნების ამბიციად მიიჩნევდა. იგი თვლიდა, რომ გრაკხუსებმა „დასაბამი დაუდეს მოქალაქეთა არეულობებს და დაუსჯელ მკვლელობებს". ისტორიკოსის სიმპატია იხრება ლივიუს დრუზუსის მიმართ, რომლის შესახებ წერდა, რომ ტრიბუნი აყენებდა გრაკხუსებს მიმსგავსებულ წინადადებებს, მაგრამ სინამდვილეში გამოდიოდა სენატის ინტერესებიდან. არადა, აპიანეს და ფლორუსის წყალობით დრუზუსის როლი ისტორიოგრაფიაში უარყოფითად არის შეფასებული.

მოკავშირეთა ომზე საუბრისას პატერკულუსი თანაუგრძნობდა აჯანყებულ იტალიკებს. პანონიელები მასთან გამოყვანილი არიან რომაელთა ღირსეულ მოწინააღმდეგებად. ისტორიკოსთან მაღალ შეფასებას აძლევდა პომპეუსს. იგივე განწყობით იგი არის კეისრის მიმართაც. რაც შეეხება მათ შორის მიმდინარე შინაომს, პატერკულუსი, მას გარეწარი ხალხის დამსახურებად თვლიდა. კეისრის შემდგომი მოღვაწეთაგან მისთვის მნიშვნელოვანია ავგუსტუსი. ისტორიკოსი მასზე წერდა, რომ მისი „მამა იყო არაპატრიციუსი, მაგრამ ცნობილი მხედართა ფენიდან". პროსკრიპციების თემაზე საუბარს პატერკულუსი გვერდს უვლის. მის მხრიდან ამის ახსნა მხოლოდ ერთია - ეს იყო თემა, რომელზეც ავგუსტუსის მმართველობისას ტაბუ იყო დადებული.

ასეთია პატერკულუსის რომის ისტორიის შინაარსი. რესპუბლიკის უკანასკნელი მონაკვეთის და იმპერიის პირველი წლების შესახებ იგი ფასდაუდებელ წყაროდ ითვლება.

*სტრაბონი*

რომის ისტორია ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხით „გეოგრაფიაში" აღწერილი ჰქონდა სტრაბონს (ბერძ. Στράβων, ძვ.წ. 64/3-ახ.წ. 23/4 წწ.). იგი უნიკალური მოვლენა გახლდათ რომაულ აზროვნებაში. მისი ცხოვრება-მოღვაწეობა დაემთხვა რომში მიმდინარე გრანდიოზულ ბატალიებს, რომლებიც დასრულდა ელინიზმის ეპოქის კრახით და იმპერიის შექმნის პროცესით.

წარმოშობით სტრაბონი პონტოს ამასიიდან იყო. მის წინაპრებს მაღალი თანამდებობები ეკავათ პონტოს სამეფოში. პრო-

რომაულმა ორიენტაციამ მის ოჯახს შესაძლებლობა შეენარჩუნებინათ გავლენები მისცა რომსა და პროვინციაში. სტრაბონს შესანიშნავი ფილოსოფიური განათლება ჰქონდა. პოლიბიოსის და სხვების მსგავსად მან სწორად განჭვრიტა რომის როლი, ამიტომაც განათლების დაუფლების მიზნით გარკვეული ხნით იგი „მარადიულ ქალაქში“ ცხოვრობდა. ძვ.წ. 29 წლიდან იწყება სტრაბონის ცხოვრების რომაული ეპოპეა. ნიშანდობლივია, რომ სტრაბონი თავს ფილოსოფოსად მიიჩნევდა, ხოლო გეოგრაფიას ფილოსოფიის ნაწილად.

სტრაბონის პირველ თხზულებად ითვლება „საისტორიო ჩანაწერები“. ავტორს ნაშრომი ჩაფიქრებული ჰქონდა პოლიბიოსის თხზულების გაგარძელებად. სავარაუდოდ, თხზულება 43 წიგნისგან შესდგებოდა. მასში რომის ისტორია გადმოცემული იყო კართაგენის დანგრევიდან (ძვ.წ. 146 წ.) აქციუმის ბრძოლამდე (ძვ.წ. 31 წ.). სამწუხაროდ ნაშრომი დაკარგულია. „საისტორიო ჩანაწერების“ გაგრძელებად ითვლება სტრაბონის „გეოგრაფია“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ მიეწოდა საზოგადოებას.

პოლიბიოსისთვის გეოგრაფია საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგი იყო, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო სამხედრო ლაშქრობების გაგება. ეპოქის მოთხოვნილებიდან გამომდინარე სტრაბონი პოლიბიოსის მიმდევარი იყო. მისთვის გეოგრაფია პრაქტიკული მეცნიერებაა, რომლის მიზანია მმართველებისთვის სარგებლის მიცემა. აქედან გამომდინარე იგი მიზნად ისახავდა „სახელმწიგოებრივი ინტერესების და ხალხისთვის სარგებლის კეთებას“.



*სტრაბონი, („ნიურნბერგის ქრონიკა“ - 1493)*

„გეოგრაფია“ შედარებით სრული სახით არის მოღწეული და შესდგება 17 წიგნისგან. I-II წიგნები ეხება ფიზიკურ-მათემატიკურ გეოგრაფიას, III-X წიგნებში საუბარია ევროპის, XI-XVI აზიის, ხოლო XVII-ში აფრიკის გეოგრაფიის შესახებ. სტრაბონის კვლევის ჰორიზონტი განსაცვიფრებელია. „გეოგრაფიაში“ გეოგრაფიულ-ისტორიულ ჭრილში ნაჩვენებია მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი. „გეოგრაფიის“ თითოეული წიგნი დაეთმო მაშინდელი სამყაროს ცნობილ ქვეყნების და ხალხების ამსახველ ფაქტების თხრობას. მაგ., წ. II ეხება

იბერიას (ესპანეთი), წ. IV – პელოპონესს და ა.შ. თხზულებაში მსოფლიოს გეოგრაფიულ-ისტორიული დახასიათება იწყება იბერიით (ესპანეთი) და ავტორის მზერა წვდება ეგვიპტე-ინდოეთს. მარტო საკითხის ასეთი გლობალური დაყენება აჩვენებს ავტორის ორიგინალობას. ნაშრომი ეპოქის გეოგრაფიული მეცნიერებით დონის თვალსაჩინო ნიმუშია.

თხზულების V-VI წიგნები დათმობილია იტალიის და სიცილიის დახასიათებას. ამ რეგიონზე საუბრისას სტრაბონის წყაროები იყო პოლიბიოსი, არტემიდორე (სანაპირო ზოლის აღწერა), ტიმეოსი, პოსიდონიოსი, ანტიოქე სირაკუზელი, ეფორე და თვით გეოგრაფის პირადი შტაბეჭდილებები. საუბარს სტრაბონი იწყებს ნახევარკუნძულის სახელწოდების ეტიმოლოგიით. შემდეგ, იგი დაწვრილებით აღწერს მას გეოგრაფიული კუთხით, ლოკალიზებას უკეთებს ნახევარკუნძულზე მოსახლე ყველა ტომს და ქალაქს. მოკლედ ახასიათებს შვიდივე მეფის საქმიანობას და ა.შ. საერთოდ სტრაბონის სტილია - საუბარი რომელიმე ტომზე ან ქალაქზე და მასში ისტორიის პასაჟების ჩართვა. იგივე სტილია გატარებული სტრაბონის დანარჩენ წიგნებშიც, რომლებშიც გეოგრაფია და ისტორია ერთმანეთშია გადახლართული. სტრაბონისთვის უცხოა ისტორიის სისტემური თხრობა, მაგრამ მის მიერ მოყვანილი ზღვა მასალის წყალობით იგი არის უაღრესად წონიანი და ორიგინალური მკვლევარი.

*სენეკა უფროსი*

რომაელი მწერლის და რიტორის ლუციუს ანეუს სენეკა უფროსის (ლათ. Lucius Annaeus Seneca, ძვ.წ. 54-ახ.წ. 39 წწ.) ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი იყო მხედართა ფენიდან გამოსული პროვინციელი არისტოკრატი, რომელმაც რომში მჭერმეტყველებაში მიიღო შესანიშნავი განათლება. სენეკა იყო ციცერონის სტილის თაყვანისმცემელი, ხოლო პოლიტიკური შეხედულებით რესპუბლიკელი. კეისარ-პომპეუსის დაპირისპირებისას, სამოქალაქო ომის დროს, მას უკანასკნელის მხარე ეკავა.

სენეკას 10 წიგნად ჰქონდა დაწერილი სახელმძღვანელო რიტორიკაში. ჩვენამდე ნაშრომის მხოლოდ მცირე ფრაგმენტებმა მოაღწია, მაგრამ ირიბი ცნობებით ვიცით, რომ მასში გადმოცემული იყო ავგუსტუსის და ტიბერიუსის პერიოდის რიტორიკის ისტორია. სენეკას ასევე დაწერილი ჰქონდა საისტორიო ნაშრომი,

რომელშიც აღწერილი იყო სამოქალაქო ომების პერიოდი იმპ. ტიბერიუსის მმართველობამდე. სამწუხაროდ, იგი დაკარგულია და მის შესახებ დეტალური საუბარი არ შეგვიძლია.

*პლუტარქე*

პლუტარქე (ბერძ. Πλούταρχος, ძვ.წ. 46-ახ.წ. 126 წწ.) მიჩნეულია ელინიზმის ეპოქის უკანასკნელ დიდ ფილოსოფოსად და მორალისტად. მართლაც, იგი თავისი დროისთვის უაღრესად განათლებული ფიგურა იყო. ანტიკური ტრადიცია მას 200-ზე მეტ თხზულების ავტორობას მიაწერს, რომლებიც იყოფა ისტორიულ და ფილოსოფიურ-ლიტერატურულად.

პლუტარქეს ისტორიული ჟანრის თხზულებებიდან აღსანიშნავია „პარალელური ბიოგრაფიები“. მასში აღებული არის თანადროული ეპოქის განთქმული 46 (23 წყვილი) პარალელური და 4 არაწყვილადი (სულ მთლიანობაში 50) სახეები. დაწყვილებას საფუძვლად დაედო ცხოვრება-მოღვაწეობის მსგავსება. მაგ., პოლიტიკური ამოცანების თავისებური გაგება უკავშირებს პლუტარქეს, რომ დააწყვილოს ძველი სპარტის მეფეები – აგის IV (ძვ.წ. 265-246 წწ.) და კლეომენ III (235-221 წწ.) და რომის ისტორიიდან ცნობილი რეფორმატორები ტიბერიუს და გაიუს გრახკუსები (ძვ.წ. ?163-133 წწ. და ძვ.წ. 153-121 წწ.) და ა.შ.



*პლუტარქე*

რომაული ისტორიის შესწავლის საქმეში ინტერესს იწვევს ციცერონის, კეისრის, პომპეუსის, კრასუსის გრაკხუსების და ა.შ., სულ 22 რომაელის ცხოვრება-მოღვაწეობების აღწერა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლუტარქემ წარმატებით შესძლო ისტორიის სახეებით გადმოსახვა. მასთან საინტერესოდ არის სახეების შერჩევის პრინციპი. ესენი არიან: ტირანისკენ მებრძოლები - სულა, კეისარი, პომპეუსი... და რესპუბლიკელები - ციცერონი, კატონ უმცროსი და ბრუტუსი. მათ შორის ჩართულია ანტონიუსი, როგორც ბიწიერების ნიმუში. მართალია, პლუტარქეს ნაშრომს ახასიათებს მრავალი უზუსტობები, რაც იმის შედეგია, რომ მეისტორიე თავის გმირებზე საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ წერდა და სალუსტიუსის მსგავსად ანგარიშს უწევდა უკვე დამკვიდრებულ საზოგადოებრივ აზრს. ამის გარდა, მისთვის უცხო არ იყო ამა თუ

იმ პიროვნების ღვაწლის და ამაგის გაიდიალება, რის გამოც XIX ს-ის გერმანულ ისტორიოგრაფიაში არ მიიჩნევდნენ მას პირველხარისხოვან ისტორიკოსად. ერთი შეხედვით თითქოს ეს ასეცაა, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მის თხრობას ჩვენს მიერ ხსენებულ მოღვაწეთა შესახებ, აგრეთვე რომის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს, დავინახავთ პლუტარქეს ნაშრომების უდავოდ დიდი მნიშვნელობას. ამავე დროს, მასთან შემონახულია შინაარსი ანდა ციტატები ამ ეპოქის სხვა ნაშრომებიდან, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

„ზნეობრივ თხზულებებში“ მოცემულია პლუტარქეს ფილოსოფიურ-ლიტერატურული შეხედულებები. მათში განხილულია ადამიანური ცხოვრების ორი ძალის - სათნოების და ბედისწერის მნიშვნელობის საკითხები. რასაც კიდეც მიეძღვნა თხზულებებში შემავალი სამი ნაწარმოები: „ალექსანდრე დიდის ბედისა და მამაცობის შეხამება“, „რომაელების ბედზე“ და „ათენელები ომში უფრო სახელგანთქმული იყვნენ თუ სიბრძნეში“.

პლუტარქეს სხვა თხზულებიდან საყურადღებოა: „პოლიტიკური დარიგებები“, „უნდა მონაწილეობდნენ თუ არა მოხუცები სახელმწიფო საქმეებში“, „მონარქიის, დემოკრატიისა და ოლიგარქიის შესახებ“ და ა.შ.

მეისტორიეს მიერ მოთხრობილ ბიოგრაფიებს ანტიკური ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრი მწერლის თხზულება, საიდანაც პლუტარქემ ამოიღო ცნობები, ჩვენამდე არ მოაღწია. ასე რომ, რიგ შემთხვევაში იგი რჩება ერთადერთ წყაროდ. ამ პოზიტივის გარდა, უნდა ითქვას, რომ პლუტარქესთან დაცულია მრავალი უზუსტობებიც. ჩანს, ბიოგრაფიების შეჯერებისას, პლუტარქესთვის მთავარი იყო არა ისტორია, არამედ მორალი. იგი თვლიდა, რომ მის მიერ აღწერილი პირები უნდა ყოფილიყო მორალური პრინციპების განსახიერება. პლუტარქეს აზროვნებით, ისტორიის მიზანი იყო ზნეობის გამოსწორება. მორალის ქადაგების სურვილი ზოგჯერ აიძულებს მას დასთმოს ისტორიული ჭეშმარიტება. ამიტომაცაა, რომ ყველა მის ნაწარმოებს ხელწერად გასდევს - „მხოლოდ ღმერთების ნება“.

*ლუკანუსი*

მარკუს ანეიუს ლუკანუსის (ლათ. Marcus Annaeus Lucanus, 39-65 წწ.) ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მისი წინაპარი დედის ხაზით

იყო სენეკა უფროსი. ლუკანუსი ეკუთვნოდა პროვინციელი არისტოკრატების წრეს. რომაული გაგებით იგი არ შედიოდა ელიტაში, მაგრამ ქონების წყალობით მან შესანიშნავი განათლება მიიღო რომსა და ათენში. მისი ბიძა და აღმზრდელი იყო ფილოსოფოსი სენეკა უმცროსი (ძვ.წ. 4-ახ.წ. 65 წწ.).

ლუკანუსის კალამს ეკუთვნოდა სხვადასხვა პოემები ბერძნულ და რომაული სამყაროდან (მედეა, სატურნალიები...). ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი 10 წიგნად დაწერილი პოემა „ფარსალოსი, ანდა სამოქალაქო ომის შესახებ“. პოემა ეხება ძვ.წ. 49-45 წლებში რომში მიმდინარე სამოქალქო ომის ისტორიას. პოემა მიჩნეულია მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლად. მასში ფარსალოსის ბრძოლის ეპიზოდთან ერთად განხილულია კეისარ-პომპეუსის დაპირისპირება, სამოქალაქო ომის დაწყება და მსვლელობა. მართალია, ლუკანუსი თავის პოემას წერდა იმ მოვლენებიდან 100-ზე მეტი წლის შემდეგ, მაგრამ მას გამოყენებული აქვს წინამორბედთა ნაშრომები. ავტორი საკმაოდ კარგად ერკვევა მოვლენის პერიპეტიებში, ომის მიზეზებში, მებრძოლ ძალთა განლაგებასა და გეგმებში, თვით ომის მსვლელობაში და სხვ.

ისტორიოგრაფიაში ლუკანუსი მიჩნეულია იმპერატორთა დესპოტიზმის მოწინააღმდეგედ. შესაბამისად, პოემაში მისი სიმპატიები მთლიანად არისტოკრატული (სენატის) რესპუბლიკის მხარეზეა და თანაუგრძნობს პომპეუსს, თუმცა ზოგ მის გადაწყვეტილებას იგი კრიტიკულად აფასებდა. საგულისხმოა, რომ ლუკანუსი რამდენადმე სწორად წარმოაჩენდა სამოქალაქო ომის მიზეზებს (ასახელებს ექვს მათგანს), ახასიათებდა მის ხელმძღვანელებს (პომპეუსს, კეისარს, კატონს...), ომის ცალკეულ ეპიზოდებს (რუბიკონის გადალახვას, რომში პანიკას...) და ა.შ.



*ლუკანუსი (თანამედროვე ბიუსტი, კორდობა)*

პოემა „ფარსალოსი“ დაუსრულებელია. ამის მიუხედავად, საკითხის გარშემო რომაული საისტორიო ეპოსის პირველი ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებია და იგი მხატვრულად წარმოგვიჩენს მსოფლიო ისტორიის ამ მოვლენას. ამიტომ ლუკანუსის „ფარსა-

ლოსს“ გარკვეული აზრით პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობაც ენიჭება.

*სვეტონიუსი*

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი (ლათ. Gaius Suetonius Tranquillus, ?70-?122 წწ.) ძველ რომაული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას მეცნიერ-ენციკლოპედისტად მოიხსენიებენ, რაც ისტორიკოსის განსწავლულობის მანიშნებელია.

სვეტონიუსი მხედართა ფენის წრიდან იყო. მის წინაპრებს არ ჰქონდათ მნიშვნელოვანი თანამდებობები, მაგრამ სასახლის კართან დაახლოებული ფიგურანტები იყვნენ. წარმომავლობამ და შესანიშნავმა საბაზისო განათლებამ ისტორიკოსს შესაძლებლობა მისცა მუშაობა დაეწყო იმპ. ადრიანეს საიმპერატორო კანცელარიაში. ჩვენთვის უცნობია იმპერატორის მხრიდან მისი თანამდებობიდან დათხოვნის რეალური მიზეზები. ასევე უცნობია ისტორიკოსის სიცოცხლის ბოლო წლეები.

სვეტონიუსი პროდუქტული მწერალი იყო. მისი ნაშრომებიდან სრულად მხოლოდ „თორმეტი კეისრის ცხოვრებამ“ მოაღწია. რაც შეეხება დანარჩენ თხზულებებს, მათი მხოლოდ სახელები არის ცნობილი („ცნობილი მამაკაცების შესახებ“, „მეფეების შესახებ“, „რომის შესახებ“...).



*სვეტონიუსი, („ნიურნბერგის ქრონიკა“ – 1493 წ.)*

ისტორიკოსის უმთავრესი ნაშრომია „თორმეტი კეისრის ცხოვრება“. მასში კეისრიდან დაწყებული იმპ. დომიციანეთი დასრულებული გადმოცემული იყო მმართველთა ბიოგრაფიები. პლუტარქესგან განსხვავებით სვეტონიუსი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მის მიერ წარმოდგენილი პერსონაჟების სამხედრო მიღწევებზე და სახელმწიფო საქმიანობაზე და ამის ნაცვლად იგი ყურადღებას უთმობს პირადი ცხოვრების ფაქტებს, მმართველობის დროინდელ ანეგდოტებს და ა.შ. ამის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი მაინც მნიშვნელოვანი საისტორიო წყაროა.

„თორმეტი კეისრის ცხოვრება“ რვა წიგნისგან შესდგება. კეისრიდან ნერონამდე მყოფ იმპერატორების ცხოვრების აღწერას

დაეთმო თითო წიგნი. მეშვიდე წიგნში მოთხრობილია გალბას, ოტონის და ვიტელუსის, ხოლო მერვეში - ვესპასიანეს, ტიტუსის და დომიციანეს ცხოვრება.

რომაულ საისტორიო მწერლობაში ბიოგრაფიულ ჟანრის ნაწარმოებების წერას თავისი ტრადიცია ჰქონდა. ამ სფეროში პირველი ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ კორნელიუს ნეპოტი და მარკუს ვარონი. პლუტარქესთან ცნობილ პირთა მთელი გალერეა მოცემული, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი იყო მხოლოდ ფაქტების მორალიზებული თხრობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ანტიკურ ეპოქაში გავრცელებული იყო ბიოგრაფიების წერის ორი ტიპი. პირველის მიხედვით მასალის გადმოცემა ხდებოდა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპით, ხოლო მეორეთი მხოლოდ თემატურად. სვეტონიუსი პირველი იყო რომაულ მწერლობაში, რომელმაც სახელმწიფო მოღვაწეების ცხოვრების აღწერისას თემატური პრინციპი გამოიყენა. თუ პლუტარქე თავის პერსონაჟებს ყოფდა რესპუბლიკელებად, ტირანიისკენ მებრძოლებად და ზნედაცემულ პირებად, მსგავსი პრინციპი სვეტონიუსისთვის უცხოა. მას არ ჰყავდა გამორჩეული ტიპაჟი, მაგრამ მისი სიმპატიები იხრება ოქტავიანეს, ვესპასიანეს და ტიტუსის მიმართ. ისტორიკოს ახასიათებდა ე.წ. „ცუდი“ იმპერატორების რიგი საქმეების მოწონება. მაგ., დომიციანეს საქმიანობაზე საუბრისას ისტორიკოსი არ ივიწყებდა იმპერატორის ბრძოლას პროკონსულების და ქალაქის მაგისტრატების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების თაობაზე და ა.შ.

სვეტონიუსის წერის მანერა იყო მარტივი, რის გამოც მისი თხზულება იმთავითვე მისაღები გახდა თანადროული და მომდევნო პერიოდის მწერლობისთვის. იგი პოპულარულ და მიმბაძველ მწერლად მიიჩნეოდა „კაროლინგური რენესანსისას“ და შემდგომი პერიოდის საფრანგეთში.

*დიონ კასიოსი (კასიუსი)*

იმპერიის პერიოდის ისტორიკოსებიდან ცალკე საუბრის თემა არის დიონ კასიოსი (ლათ. Lucius Claudius Cassius Dio Cocceianus, ?153-235 წწ.). იგი იყო პროვინციელი არისტოკრატი ქ. ნიკომედიიდან. ბრწყინვალე განათლებამ მას შესაძლებლობა მისცა დაეკავე-

ბინა მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობები. იმპ. კომოდუსის (161-192 წწ.) დროს იგი სენატორია, ხოლო სევერუსის (193-211 წწ.) იმპერატორობისას კი გარდაცვლილი კონსულის შემცვლელი. 216 წელს, პართებთან ომში, კასიოსი თან ახლდა იმპ. კარაკალას (211-217 წწ.). იმპ. ალექსანდრე სევერუსის დროს (222-235 წწ.) მას ვხედავთ ჯერ აფრიკის, ხოლო შემდეგ საიმპერატორო პროვინციების დალმაციის და ზემო პანონიის პროკონსულად. 229 წელს კასიოსი კონსული და იმპერატორის კოლეგაა.

წინსვლა-წარმატების მიუხედავად კასიოსი რომში პოპულარული მაინც არ იყო. უფრო მეტიც, კონსულობის დროს მას სიკვდილით დაემუქრნენ. აშკარა იყო, რომ ისტორიკოსმა ვერ დაამყარა ჰარმონიული ურთიერთობა რომაული საზოგადოების იმ წრეებთან, რომლებიც წარმართავდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

კასიოსს ეკუთვნოდა „რომის ისტორია“. იგი სამი ნაწილისაგან შესდგება. პირველში თხრობა იწყება უძველესი დროიდან და მთავრდება ავგუსტუსის მონარქიამდე. მეორე ნაწილში საუბარია მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებამდელ ამბებზე, ხოლო მესამეში ფაქტები მიყვანილი იყო 229 წლამდე. სულ თხზულება მოიცავდა 80 წიგნს. იგი ლიტერატურულ წყაროებზე დამყარებული ნაშრომია. როგორც ავტორი ამბობდა, მას წაკითხული ჰქონდა ყველაფერი ვისაც კი რაიმე დაუწერია რომაელებზე. კასიოსი საერთოდ არ ასახელებს წყაროებს, ამიტომაც მისი დადგენა ხდება მხოლოდ ტექსტის ანალიზის და ძველ ავტორთა შრომებთან შედარების სავარაუდო დასკვნების გამოტანით. ერთნი ფიქრობენ, რომ I-XVII წიგნები რომაელ მემატიანეთა ნაწერებზეა აგებული და მასში არ არის გამოყენებული გრანდების - ლივიუსის და პოლიბიოსის შრომები. XVIII-XXI წიგნებში აშკარად შეიმჩნევა პოლიბიოსის გავლენა. ეს იმდენად საგრძნობია, რომ ისტორიკოსებს იგი ეხმარება პოლიბიოსის თხზულების ნაკლული ადგილების აღდგენაში. XXXVI წიგნიდან კეისრის სიკვდილამდე თხრობაში კასიოსი ძირითადში ლივიუსს ეყრდნობა. მითრიდატული ომების ეპიზოდების გადმოცემისას მასთან შეიმჩნევა პლუტარქეს ბიოგრაფიებთან სიახლოვე.

„რომის ისტორიაში“ თხრობა დალაგებულია კონსულების ზეობის წლების მიხედვით, მაგრამ ავტორი ზოგჯერ ქრონოლოგი-

ას არღვევს და ამბებს აჯგუფებს გეოგრაფიული ან ურთიერთმიზეზობრივი კავშირის პრინციპზე. ნაშრომის I-II ნაწილისთვის კასიოსს გამოყენებული ჰქონდა წინამორბედი ისტორიკოსების შრომები. თანადროული ამბების თხრობისას იგი დამოუკიდებელი მკვლევარი ჩანს. ეს ნაწილი მასში უფრო ზუსტი და დეტალურია. საერთოდ, კასიოსის ნაშრომი მეტწილად სამხედრო ისტორიაა. მასში მეტი ადგილი აქვს დათმობილი ომებს და საგარეო ურთიერთობებს, ვიდრე რომაული საზოგადოების საშინაო ცხოვრებას. ფაქტების გადმოცემისას იგი არ ცდილობს მოვლენათა შინაგანი არსის და მიზეზების ახსნას. მისი აზრით, მოვლენები დამოკიდებულია ზებუნებრივ ძალაზე. სასწაულმოქმედებას დიდი ადგილი უკავია კასიოსის ნაშრომში. მისივე თქმით, ისტორიის წერა მან ბედისწერის კარნახით დაიწყო.

კასიოსი რესპუბლიკის აპოლოგეტია, მაგრამ მონარქიაზე გადასვლა მას აუცილებლ პროცესად მიაჩნდა. მისი იდეალია სენატი, როგორც ხელმძღვანელი ორგანო და მის მიერ არჩეული იმპერატორი.

*აპიანე*

ძვ.წ. I ს-ის რომის ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთ მთავარ წყაროდ მიიჩნევა აპიანე ალექსანდრიელის (ბერძ. Ἀππιανός Ἀλεξανδρεύς, ?95-?165 წწ.) „რომის ისტორია". თავისი სტრუქტურით იგი ჩამოჰგავს პოლიბიოსის და დიოდორეს მსოფლიო ისტორიებს, მაგრამ მასალის განლაგების არა ქრონოლოგიური, არამედ ტერიტორიული, ანდა ეთნიკური პრინციპი, მკვეთრად განარჩევს მას.

აპიანე ალექსანდრიელი ბერძენი იყო, არისტორკრატული ოჯახიდან. წარმომავლობამ მას შესაძლებლობა მისცა მიეღო შესანიშნავი განათლება. ალექსანდრიაში მიმდინარე აჯანყების შემდეგ აპიანე რომში გადაბარგდა, სადაც მას ჯერ ადვოკატის, ხოლო იმპ. ავრელიუსის დროს პროკურორის რანგში ვხედავთ.

ისტორიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობა დაემთხვა იმპერიის ძლევამოსილების ხანას. ეს იყო თავისებური პერიოდი ქვეყნის ცხოვრებაში. რომი და იტალია აითქვიფა ვრცელ იმპერიაში. რომი-პოლისიდან იგი გადაიქცა რომი-მსოფლიო ქალაქად. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ ეკონომიკურმა ცენტრებმა გადაინაცვლეს პროვინციებში, რომლებიც ახლა რესპუბლიკის ეპოქასთან შედა-

რებით გეგმაზომიერად იძარცვებოდა. ძველ პატრიციულ საზოგადოებას თანდათან აძევებდა იტალიელი და პროვინციების მონათმფლობელებიდან და იმპერიის სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატიდან გამოსული ახალი არისტოკრატია. ეს ტენდენცია აისახა მაშინდელ მოღვაწეთა და ისტორიკოსთა განწყობაში. მათ ნაწარმოებებში გვხდება „Pax Romana"-ს ქება და მისი მიჩნევა საიმპერატორო აზროვნების დიდ მიღწევად. თავისი იდეით და მიმართულებით ასეთია აპიანეს რომს ისტორიაც.

ძირითადში აპიანეს ინტერესის სფეროა სამხედრო ისტორია. მისთვის რომაული სამყარო იგივე ომების ისტორიაა. ამასთან, მემატიანე განიხილავს მხოლოდ იმ ომებს, რომლებიც უშუალოდ რომაელებს ეხება და დუმილით გვერდს უვლის ან ზერელედ ახსენებს ანტიკური სამყაროს სხვა სამხედრო შეტაკებებს.

მრწამსით აპიანე მონარქისტია. მას მიაჩნდა, რომ კეისარმა უდიდესი სიკეთე მოუტანა რომაელებს. ამიტომ მისი მოკვლა იყო ბოროტება, ხოლო მკვლელების მიმართ შურისძიება სამართლიანი აქტი. დემოკრატიას და სახალხო მოძრაობას იგი უარყოფითად უყურებდა, რადგან მათ თვლიდა უდიდესი სახელმწიფოების დაღუპვის მიზეზად. მისი სიმპატიაა სულა, ავგუსტუსი... ეს მაშინ, როდესაც მას მხედველობიდან რჩება, რომ სულა იყო პირველი, რომელმაც პროსკრიპციები პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოიყენა.

აპიანეს თხზულება 24 წიგნისგან შესდგება და ქრონოლოგიურად მოიცავს ძველი რომის ისტორიას ქალაქის დაარსებიდან ახ.წ. II ს-ის პირველ ათწლეულებამდე. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ აპიანეს თხზულება დაუმთავრებელი ნაშრომის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე მეცნიერთა ნაწილი აპიანეს კომპილატორად მიიჩნევს, რამდენადაც იგი კალკირებას უკეთებს კეისარს, პლუტარქეს, ლივიუსის და სხვა ისტორიკოსების ნაშრომებს. არადა, თხზულების გულდასმით გაცნობით ჩანს, რომ აპიანეზე კომპილიატორის თიკუნის მიკუთვნება უადგილოა და იგი წარმოგვიდგება სრულიად ორიგინალურ ავტორად. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით აპაიანე ზუსტად და მკაფიოდ ასახელებს რომში მიმდინარე სამოქალაქო ომის ერთ-ერთ მიზეზს - მიწათმფლობელობას. აპიანეს სამოქალაქო ომები ანტიკური ისტორიოგრაფიის ერთადერთი ჩვე-

ნამდე მოღწეული ძეგლია, რომელშიც გრაკხუსების ეპოქით დაწყებული ოქტავიანეთი დამთავრებული, ე.ი. ძვ.წ. 133-31 წლების მოვლენები, ერთმანეთთან კავშირშია გადმოცემული. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ მითრიდატულ ომებთან დაკავშირებით აპიანეს თხზულებაში დაცული ფაქტები უფრო მეტ ნდობას იმსახურებს ვიდრე სხვა ძველ ავტორთა ნაშრომები.

*ფლორუსი*

იმპერიის დროინდელი ისტორიკოსებიდან ლუციუს (პუბლიუს) ანეუს ფლორუსი (ლათ. Lucius [Publius] Annaeus [Annius] Florus, ?70-?140 წწ.) წარმოშობით აფრიკიდან იყო. იმპ. დომიციანეს (81-96 წწ.) მმართველობისას იგი რომში გადმოსახლდა, სადაც სოფისტურ მოღვრებას დაეუფლა. აშკარა იყო, რომ რომის ელიტაში ფლორუსმა ვერ ჰპოვა თავისი ადგილი, ამიტომაც იგი ტოვებს „მარადიულ ქალაქს“ და საცხოვრებლად ესპანეთის ქ. ტარაკონში გადადის, სადაც ქმნის ლიტერატურულ სკოლას. იმპ. ტრაიანეს დროს ფლოსუსი კვლავ რომში ჩანს. დანარჩენი კვალი მისი ცხოვრებიდან იკარგება.

ფლორუსს ეკუთვნის ორ წიგნად დაწერილი „რომის ისტორიის ყველა ომების ეპიტომები 700 წლის მანძილზე“. ეპიტომა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოკლე გადმოცემას. ამ შემთხვევაში ფლორუსი აკეთებს ლივიუსის თხზულების მოკლე ვარიანტს. ეპიტომის პირველ წიგნში გადმოცემული იყო რომის დაპყრობების ისტორია დაწყებული მეფეთა ხანიდან და ძვ.წ. II ს-ის მოვლენებით დამთავრებული. მასში ნახსენებია რომაელთა ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა. მეორე ნაწილში საუბარი მიდის გრაკხუსების პერიოდიდან მოყოლებული ახ.წ. II ს. დასაწყისამდე მიმდინარე სამოქალაქო ომებზე. თხზულება დაიწერა იმპ. ადრიანეს (117-138 წწ.) ხანაში.

ფლორუსი არ არის პირველხარისხოვანი ისტორიკოსი. ამის გარდა, მის ნაშრომში არის რიგი ფაქტობრივი შეცდომები. ამასთან, იგი ტენდეციურია, შეიცავს რომის პანეგერიკის ფაქტებს და ა.შ. სწორედ პანეგერიკის ნიმუშია, როდესაც ფლორუსი სპარტაკის აჯანყების შესახებ წერდა, რომ „მოკავშირეთა ომი რაოდენ სასირცხო არ უნდა ყოფილიყო, იგი მაინც მიდიოდა თავისუფალ ხალხს შორის. მაგრამ ვინ იქნებოდა გულგრილი იმის ყურებისას, რომ მსოფლიო მბრძანებელი ხალხი აწარმოებდა ომს საკუთარ

მონებთან და არ შეეძლო ისინი გაენადგურებინა ერთი ძლიერი დარტყმით... მე არ ვიცი სპარტაკის ხელმძღვანელობით წარმოებულ ომს რა დავარქვათ, რადგანაც მონები ჯარისკაცებად იყვნენ, ხოლო გლადიატორები უფროსებათ“. ისტორიკოსი ასევე დასძენდა, რომ მონებმა „მათი მხრიდან აბუჩად აგდებით გაადიდეს ჩვენი უბედურებები“.

ანდა, ეგვიპტის საკითხის მიმართებაში, რომელიც რომში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თანამდევი იყო, ისტორიკოსი ირონიით აღწერდა ანტონიუს-კლეოპატრას ურთიერთობის დეტალებს. აშკარა იყო, რომ კლეოპატრას სიყვარულით დატყვევებული ანტონიუსი ავტორში არავითარ სიმპათიას არ იმსახურებდა. სამაგიეროდ ფლორუსი აღფრთოვანებულია გამარჯვებული ოქტავიანეს საქციელით. იგი სიამაყით აღნიშნავდა, რომ გონიერება პრინცეპსისთვის სილამაზეზე მაღლა მდგომია.

*აუფიდიუს ბასუსი*

I ს-ში ცხოვრობდა რომაელი ისტორიკოსი აუფიდიუს ბასუსი. მის შესახებ ცნობილია მხოლოდ, რომ იგი იყო ეპიკურიზმის სწავლების მიმდევარი და სენეკას (ლათ. Aufidius Bassus, ძვ.წ. 4-ახ.წ. 65 წწ.) მეგობარი. ბასუსი რომში წონად ისტორიკოსად მიიჩნეოდა. მის ნაშრომებს იყენებდნენ პლინიუს უფროსი, ტაციტუსი, კვინტილიანე და სხვ.

ბასუსს მიეწერება ორი ისტორიული ნაშრომი - „გერმანიის ომის წიგნი“ და „ისტორია“. პირველ ნაშრომში ავტორი ძირითადში აშუქებდა გერმანელების წინააღმდეგ ოქტავიანეს მხრიდან წარმოებულ სამხედრო კამპანიას. რაც შეეხება „ისტორია“-ს, სავარაუდოთ იგი მოიცავდა ძვ.წ. I და ახ.წ. I ს-ბის 30-ანი წლებამდელ ისტორიის თხრობას. სამწუხაროდ, ორივე ნაშრომის ფრაგმენტულობის გამოც მათ შინაარზე საუბარი რთული ხდება.

*ტაციტუსი*

რომაული ლიტერატორის და საისტორიო მწერლობის კლასიკოსად მიჩნეული არის პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (ლათ. Publius (Gaius) Cornelius Tacitus, ?56-?117 წწ.). მას უცნაური ბედი ხვდა წილად. ტაციტუსს რომაულ სკოლაში არ ასწავლიდნენ, ხოლო ფილოლოგები საერთოდ არ ინტერესებოდნენ მისი ნაწარმოებებით. სწორედ ამ უყურადღებობის შედეგია, რომ მოგვიანო პერიოდის ისტორიკოსებთან ტაციტუსის ბიოგრაფიული ცნობები

არ შემონახულა. ამიტომაცაა, რომ ისტორიკოსის ცხოვრებისეული შტრიხების აღდგენის ყველა ცდა ვარაუდებზეა დამყარებული. საერთოდ, კორნელიუსები ყველაზე გავრცელებული გვარი იყო ძველ რომში. ისინი იყვნენ პატრიციუსებიც და პლებეებიც. ფიქრობენ, რომ ისტორიკოსი პატრიციუსთა გვარიდან არ იყო, რადგან „ტაციტუსები" ძირითადში სახლობდნენ მდ. პოს ჩრდილო ტერიტორიაზე და ნარბონის გალიაში. ამასთან, პუბლიუსი ჩრდილო იტალიიდან არ იყო. საქმე იმაშია, რომ პლინიუს უმცროსი (?61-113 წწ.), რომელიც იყო ამ პროვინციიდან გამოსული, არსად ხაზს არ უსვამს ისტორიკოსის თანამემამულეობას.

ჩვენთვის უცნობია ისტორიკოსის სამშობლო, მისი აღზრდის წლები და ა.შ. ტაციტუსის სასკოლო პერიოდი დაემთხვა იმპ. ნერონის, ხოლო რიტორიკული სწავლება იმპ. ვესპასიანეს მმართველობას. ეს კი ის პერიოდია, როდესაც ფლავიუსების მმართველობისას გაჩაღდა ლიტერატურული კამათი ორატორულ ხელოვნებაში ე.წ. „ძველ" და „ახალ" სტილის მიმდევრებს შორის. ციცერონის გაწონასწორებულ სტილს დაუპირისპირდა პათეტიკური ჟანრი. ასეთ ფონზე, ტაციტუსი ამოდიოდა ერთიანი ლიტერატურული პროგრამით, ანუ ყოველგვარი უკიდურესობის გარეშე „ახალ" სტილთან კლასიკური ტრადიციების შერწყმით.

80-იან წლებში ტაციტუსი რიგ ადმინისტრაციულ თანამდებობებზეა. იგი იყო კვესტორი, სენატორი, ქურუმი, კონსული და ბოლოს პროვინცია აზიის პროკონსულიც.

ტაციტუსის მიეწერება შრომები: „დიალოგი ორატორობის შესახებ" („დიალოგი"), „იულიუს აგრიკოლას ცხოვრება" და „გერმანელთა წარმოშობა და გერმანიის მდებარეობა" („გერმანია"). „დიალოგის" მთავარი თემაა რომში მჭერმეტყველების დაცემის მიზეზების წარმოჩენა. ავგუსტუსიდან დაწყებული ეს საკითხი სხვადასხვა მწერლების მსჯელობის საგანი იყო. სენეკა უფროსი, კვინტილიანე და სხვები მჭერმეტყველობის დაცემის მიზეზად ტრადიციული ჩვეულებების მოშლას და სერიოზული შრომის არქონის სურვილს თვლიდნენ. ტაციტუსი სხვა გზით წავიდა და იგი მიზეზებს რომის საზოგადოებრივ წყობაში მიმდინარე ცვლილებებში ხედავდა.

„იულიუს აგრიკოლას ცხოვრება" (მოკლედ „აგრიკოლა") ტაციტუსმა 97-98 წლებში შექმნა. ეს გახლდად ისტორიკოსის მიერ თავისი სიმამრის გნეუს იულიუს აგრიკოლას (40-93 წწ.) მიმართ

სახოტბო სტილში დაწერილი თხზულება. ისტორიკოსისთვის აგრიკოლა რომაელი მოქალაქის იდეალია. მასზე თხზულების შექმნით ისტორიკოსი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ზომიერ და კეთილშობილ ადამიანს, თვით მკაცრი იმპერატორების მმართველობისას შეუძლიათ გადარჩნენ და იერარქიულ საფეხურზეც წაიწიონ. აგრიკოლას ბიოგრაფიული ცნობების გარდა, თხზულებისთვის დამახასიათებელი არის ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული გადახვევები, რის გამოც ეს თხზულება ბრიტანეთის კუნძულებზე რომაული მმართველობის პირველი საუკუნეების ისტორიის უმთავრესი წყაროა.

ტაციტუსის მონოგრაფია „გერმანია“ (98 წ.) მართალია დამოუკიდებელი ნაწარმოებია, მაგრამ იგი არ ეფუძნება ისტორიკოსის მხრიდან ამ ქვეყნის ნაცნობობაზე. რომაულ მწერლობაში გერმანელები პირველად აღწერა კეისარმა, ლივიუსმა (ნაშრომი დაკარგულია) და პლინიუს უფროსმა. აშკარა იყო, რომ 90-იანი წლებისთვის რომაულ პოლიტიკაში გერმანიის საკითხი კვლავ მწვავედ დადგა. ავტორისეული შენიშვნით: გერმანელებზე მეტი ტრიუმფი იყო გადახდილი, ვიდრე გამარჯვებები. ისტორიკოსის მიზანი იყო რომაელებისთვის ეჩვენებინა გერმანული საფრთხის რეალობა, მაგრამ იმპ. ტრაიანემ (98-117 წწ.) არ გაიზიარა მისი პათოსი და გერმანიაში ლაშქრობას დაკიის ომები ამჯობინა.

„გერმანია“ შედგება საერთო და სპეციალური ნაწილისაგან. მათში საუბარია გერმანიის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მის მაცხოვრებლებზე, რომლებიც ავტორს აბორიგენებად მიაჩნდა. ტაციტუსი საუბრობს მათ რელიგიაზე, სამხედრო საქმეზე, საზოგადოებრივ წყობაზე, ყოფაზე და ა.შ. ნაწარმოებში ბევრია ანაქრონიზმი, იგნორირებულია გერმანული ტერმინები და სახელები, უზუსტობებია თვით ანტიკური ეთნოგრაფიის კუთხითაც, მაგრამ ყოველივეს „გამართლება“ ის არის, რომ ისტორიკოსის მიზანი იყო არა სამეცნიერო, არამედ მხოლოდ პოლიტიკური და ლიტერატურული ნაწარმოების წერა.

*ფლავიუსი*

რომის აღმოსავლური პოლიტიკის და ადრეული ქრისტიანობის ისტორიის საკითხების შესწავლისთვის წონადი ფიგურა არის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (ლათ. Josephus Flavius, 37-?100 წწ.). მის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოშობით იგი

მაღალი სამღვდელოების წრიდან იყო. სოციალური სტატუსიდან გამომდინარე მას ჰქონდა ეპოქის შესაფერისი ბრწყინვალე სასულიერო და საერო განათლება. იგი ფლობდა ძველ ებრაულ, არამეულ, ბერძნულ, ლათინურ, საბათეურ და არაბულ ენებს. ასევე ფლავიუსი განსწავლული იყო ძველი აღთქმის იუდეურ ტრადიციაში, ბერძნულ-რომაულ კულტურასა და ანტიკური ცივილიზაციის მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიღწევებში.

ფლავიუსი იუდეის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრების აქტიური მონაწილეა. იყო ებრაელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 66-73 წლების ანტირომაული აჯანყების დროს იოსებს ორგანიზატორთა გვერდით ვხედავთ. იგი სათავეში გალილეის ფრონტს ედგა, მაგრამ აჯანყების დაწყებიდანვე რომაელთა მხარეზე გადავიდა. უფრო მეტიც, მან შესძლო რომაელი მთავარსარდლების ვესპასიანეს და ტიტუსის კეთილგანწყობის მოპოვება. როგორც ლიბერტინს იოსებს თავისი პატრონების მსგავსად ფლავიუსის გვარი მიეცა.

იერუსალიმის ალყისას იოსები რომაელთა ბანაკში თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. რომაელების მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, 70 წელს, ფლავიუსის თხოვნით, მას გადაეცა ქალაქში არსებული ებრაული წმინდა წიგნები. სიცოცხლის ბოლო წლეები იოსებმა რომში გაატარა, სადაც იგი საიმპერატორო სასახლის კარზე პრივილეგირებულ რომაელ ებრაელად მოგვევლინა. უფრო მეტიც, იმპ. ვესპასიანემ მას უბოძა რომის მოქალაქეობა და მამული იუდეაში.



*იოსებ ფლავიუსი, გარვიურა – XVIII ს.*

ფლავიუსის შრომებიდან ცნობილია: „იუდეველთა ომი“, „იუდეველთა სიძველენი“, „თვითაპოლოგია“ და „აპიონის წინააღმდეგ“. ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ იოსებ ფლავიუსის თხზულებები არის ებრაელთა ისტორიის ძირითადი წყარო დაწყებული მაკაბელთა პერიოდიდან რომაელების მხრივ იერუსალიმის დაპყრობით დამთავრებული. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ „იუდეველთა ომი“ და „იუდეველთა სიძველენი“ არის ასევე ფასდაუდებელი მასალა ახ.წ. I ს-ის ძველი რომის და ადრეული ქრისტიანობის ისტორიის საკითხებისთვის.

„იუდეველთა ომი“ (?75/9 წ.) ავტორის მიერ არაბულ ენაზე დაწერილი და შემდეგ ბერძნულად თარგმნილი თხზულებაა. იგი შვიდი ტომისგან შესდგება და მოიცავს ძვ.წ. 177 - ახ.წ. 73 წლების ამბების თხრობას. ნაშრომის წონას ზრდის ის ფაქტი, რომ ავტორი მონაწილეობდა იმ ომში, რომელსაც იგი აღწერდა. ფლავიუსის წინამდებარე ნაშრომის კითხვისას მხედველობაში არის მისაღები ის ფაქტი, რომ იგი სინათლეზე პირადად იმპ. ტიტუსი ბრძანებით გამოვიდა. მაშასადამე, მასში გაჟღერებულია ოფიციოზის პოზიცია. თუ ყოველივეს დავამატებთ ავტორის პირად თვისებებს (სიმპატიები რომაელების მიმართ...), მაშინ თხზულების კითხვისას ნათელი ხდება თვით ფლავიუსის მიერ ნაშრომში შექმნილი წინააღმდეგობების არსი, რაც განპირობებული იყო რომაელების მიმართ მიმართ მისი მონური მდგომარეობით, ანდა ზელოტებისადმი პირადი ანგარიშებით, რის გამოც ისტორიის რიგ მომენტებს იგი დამახინჯებულად გადმოსცემს.

„იუდეველთა სიძველენი“ 20 თავისგან შესდგება. მასში გადმოცემული არის ებრალთა ძველი ისტორია. ავტორის მიზანი იყო რომის ხელქვეით მყოფი ფართო აუდიტორიისთვის გაეცნო ებრაული სიძველეები, რელიგიური, სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციები. ამ მხრივ მისი ნაწარმოები გარკვეულ წილად იუდეის აპოლოგიაა. ასეთი მიდგომით იგი სხვებს უსაბუთებდა ებრაელების საუკუნეობრივი ისტორიის არსებობას. ამიტომაც არის, რომ თხზულების გარკვეულ ნაწილში მოვლენების თხრობა ბიბლიის ტექსტთან იჩენს მსგავსებას.

ნაშრომზე მუშაობისას ფლავიუს გამოყენებული აქვს წყაროთა ფართო სპექტრი, რომელთა შორის ბევრი დაკარგულია. ავტორი იყენებს სახელმწიფო ბრძანებებიდან სხვადასხვა პასაჟებს, ანდა იგი ციტირებას აკეთებს სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებებიდან. გამოყენებულია სტრაბონის, პოლიბიოსის, ლივიუსის და სხვების შრომები, ხოლო ნაშრომის პირველ ათი წიგნი ბიბლიის ტექსტის პარალელია. ჩვენთვის საინტერესოა თხზულების ბოლო სამი წიგნი, რომელიც მოიცავს იუდეის რომაული მმართველობის პერიოდს (ოროდ დიდი, ჰესიუს ფლორუსის მმართველობა, პროკურორი პილატე პონტოელი...), 66-71 წლების მოვლენებს, ადრეული ქრისტინობის საკითხებს და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეებში ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენი“ იყო ის ერთადერთი წყარო რომლითაც მკითხველს შეეძლო დამატებითი ინფორმაცია მიეღო რომის მიერ აზიური სახელმწიფოებების დაპყრობებზე, ზემონახსენებ ისტორიულ ფაქტებზე თუ პიროვნებებზე. რადგანაც იუდეა იყო ქრისტიანობის სამშობლო, ამიტომაც ფლავიუსმა აღწერა იმ პერიოდის ისტორიაც, როდესაც მოღვაწეობდნენ ქრისტე და მოციქულები. სწორედ მასთან არის დაცული ქრისტეს შესახებ პირველი არაქრისტიანული ხსენება. ავტორს საეკლესიო ტრადიციისგან განსხვავებულად მოაქვს იოანე ნათლისმცემელის დასჯის ვერსია და ა.შ.

შემთხვევითი არ არის, რომ ფლავიუსის წიგნებში დაცული ძველი რომის ისტორიის ფაქტები ავტორს აყენებს ისეთი რომაული გრანდების გვერდით, როგორებიც იყვნენ ლივიუსი და ტატიტუსი. IV-V სს. ერთ-ერთი ერუდიტი ქრისტიანი მწერალი, ბიბლიის კანონიკური ტექსტის შემქმნელი ნეტარე იერონიმე (342-?420 წწ.) მას „ბერძენთა ტიტუს ლივიუსს“ უწოდებდა.

*ულპიანუსი*

ძველი რომის გამოჩენილი იურისტისა და სახელმწიფო მოღვაწე დომიციუს ულპიანუს (?170-223 წწ.) ეკუთვნის ადმინისტრაციული ხასიათის ინსტრუქცია-ტრაქტატი „პროკონსულთა მოვალეობის შესახებ“. იგი უძვირფასი წყაროა რომი-პროვინციების ურთიერთობების ისტორიის შესწავლაში.

რომში ულპიანუსის ავტორიტეტი დიდი იყო. იგი შეყვანილი იყო იმ იურისტთა რიცხვში, რომელთა პერსონა აუცილებელად ცნობილი უნდა ყოფილიყო მოსამართლეებისთვის. მისი ბიოგრაფიული ცნობები მწირია. ვიცით მხოლოდ, რომ წარმოშობით იგი იყო ტვიროსიდან და იმპ. ალექსანდრე სევერუსის მმართველობისას მან მიაღწია მაღალ იერარქიულ წინსვლას. ოფიციალურ დოკუმენტებში მცირეწლოვანი იმპერატორი მას მამობილსაც უწოდებდა. მისი ასეთი მდგომარეობა დიდხარს არ გაგრძელებულა. 223 წელს, პრეტორიანელების ამბოხებისას, ულპიანუსი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ძირითადი შრომები ულპიანუსმა იმპ. კარაკალას მმართველობისას შექმნა. სულ რაღაც ათი წლის მანძილზე, 211-221 წლებში, მან დაწერა 30 ტრაქტატი მთლიანობაში 250 (ზოგი ვერსიით

287) წიგნის სახით. უნდა შევნიშნოთ, რომ არც მანამდე და შემდგომ მსგავსი პროდუქტული არცერთი რომაელი იურისტი არ იყო. ულპიანუსის თხზულებები სარგებლობდნენ დიდი პოპულარობით თანამედროვეებსა და მოგვიანო პერიოდში. იურიდიულ სკოლებში აუცილებელი იყო ულპიანუსის თხზულებებიდან ფრაგმენტების სწავლა, ხოლო მისი აზრი სავალდებულო იყო მოსამართლეებისთვის. თვით ცნობილი იუსტინიანეს დიგესტების მესამედი ულპიანუსის თხზულებებზეა დაფუძნებული. არსებითად, ულპიანუსს მიეწერება მომენტის შესაფერისი უნივერსალური ადმინისტრაციული სამართლის შექმნა.

ტრაქტატი „პროკონსულთა მოვალეობის შესახებ" ადმინისტრაციული სამართლის ჟანრში მიიჩნევა საუკეთესო ნაწარმოებად. იგი 10 წიგნისგან შედგება და მასში განხილული იყო ის დამახასიათებელი სიტუაციები და შესაძლო ტიპიური შემთხვევები, რასაც ხშირად აწყდებოდნენ პროკონსულები ყოველდღიურ საქმიანობაში. მართალია ეს დოკუმენტი გვიანდელი ხანისაა, სამი საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით იმპერიის პერიოდში პროკონსულის სტატუსმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, მაგრამ საფიქრებელია, რომ იგი ადრინდელ ვითარებასაც იმეორებდეს. ყოველ შემთხვევაში, რომიდან გამგზავრებული პროკონსულები რესპუბლიკის ხანაშიც და შემდეგაც, ადგილზე გამოცხადებამდე განუხრელად ასრულებდნენ მსგავს ინსტრუქციებს.


*ულპიანუსი (გვიანდელი გრავიურა)*

ულპიანუსის „პროკონსულთა მოვალეობის შესახებ" ტრაქტატის მნიშვნელობა განუზომელია. მისი ერთ-ერთი გამომცემელის შენიშვნით, უკანასკნელი ანტონინების და პირველი სევერუსების დროინდელი პროვინციების შესახებ ეპიგრაფიკული, პაპიროლოგიური და არქეოლოგიური წყაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციები ფრაგმენტულია და ხშირად საპირისპირო ცნობებს შეიცავს. რაც შეეხება წინამდებარე ტრაქტატს, მისით შესაძლებელია ოფიციალური იდეოლოგიის დონეზე დაზუსტდეს ჩვენი წარმოდგენები რომის და მისი პროვინციების შესახებ.

*ლუციუს ამპელიუსი*

პრინციპატის გვიან პერიოდში მოღვაწე ლუციუს ამპელიუსი (?175-?267 წწ.) ისტორიკოსთა მეორეხარისხოვანი პლეადის წარმომადგენელია. ავტორის შესახებ ვიცით მხოლოდ, რომ იგი წარმოშობით რომაული აფრიკიდან იყო და მას მიეწერება მცირე ფორმატის თხზულება „სამახსოვრო წიგნაკი". იგი 50 თავისგან შესდგება და რომლის ზოგი ნაწილები ორი-სამი ფრაზისგანაა. მცირე ფორმატის მიუხედავად ამ ნაშრომის გარშემო სამეცნიერო წრეებში დისკუსია დიდია, რადგანაც თავისი ღირებულებებით იგი უფრო მეტს იძლევა, ვიდრე კონსპექტური ტიპის ნაწარმოებები.

ისტორიოგრაფიაში დავის საგანია „სამახსოვრო წიგნაკის" შექმნის დრო. ერთნი მას ამიანე მარცელინუსის, ხოლო სხვები დიოკლეტიანე-კონსტანტინეს თანამედროვე პერიოდს მიიჩნევენ. ბოლო პერიოდში დომინირებული გახდა აზრი, რომ წიგნი იმპ. ანტონინუს პიუსისთვის (ახ.წ. 138-161 წწ.) მიძღვნილი თხზულებაა.

„სამახსოვრო წიგნაკს" სახელმძღვანელოს ფუნქცია ჰქონდა. იგი შეიცავდა ასტრონომიის, გეოგრაფიის, ისტორიის და მითოლოგიის შესახებ მწირ ცნობებს. მისი კომპოზიცია განისაზღვრება საზოგადოებიდან კერძოსადმი და კოსმოსიდან კაცობრიობის ისტორიული ბუნებით დასრულებული. I-V თავებში გადმოცემული იყო მოკლე და ელემენტარული ცნობები კოსმოგრაფია-ასტრონომია-მეტეოროლოგიის შესახებ. VI-VII თავები დაეთმო ცნობებს გარემომცველ სამყაროზე, VIII-ში საუბარია საბუნებისმეტყველო და მხატვრულ სასწაულებზე, ხოლო IX-ში რელიგიის შესახებ. რაც შეეხევა X-XXXXVII თავებს, მასში იყო მეფეების (ასირია, კაპადოკია, მავრიტანია...) შერჩევითი სიები და ასევე რომი-კართაგენის, მაკედონიის, სირიის, ნუმიდიის და რომის სამოქალაქო ომების შემაჯამებელი თხრობა.

ამპელიუსის წერის ენა იყო სასკოლო და მარტივი. ნიშანდობლივია, რომ მისი ნაშრომი ყოველთვის გამოიცემოდა ფლორუსის თხზულებასთან ერთად.

*„ავგუსტუსთა ისტორიის მწერლები"*

პრინციპატის პერიოდის რომაულ საისტორიო მწ-ერლობაში ერთ-ერთ პოპულარულ ჟანრად იქცა ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებების შექმნა. ამ ჟანრის პოპულარიზაციას რომში ერთგვარად ბიძგი მისცა სვეტონიუსმა თავისი ცნობილი ნაშრომით.

იგივე ჩარჩოში ჯდება სხვა ლიტერატურული ძეგლი, რომელიც „ავგუსტუსთა ისტორიის მწერლები“-ს (შემოკლებით SHA) სახელით არის ცნობილი. მასში რომაელი იმპერატორების ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია თანადროული იმპერიის ისტორია. ერთი შეხედვით თავისი არქიტექტონიკით SHA თითქოს სვეტონიუსის თხზულების მსგავსია, მაგრამ მისგან განსხვავებით, მასში არის იმ პირთა ბიოგრაფიები, რომლებიც არ იყვნენ ავგუსტუსები, მაგრამ პრეტენზიას აცხადებდნენ ამ ტიტულზე.

ძნელია რომაულ საისტორიო წყაროებში მოიძებნოს სხვა ნაწარმოები, რომელიც ასეთ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს.



სატიტულო გვერდი, პარიზი, 1620 წ.

თხზულების შესწავლას სამ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. პოლემიკის საგანია ნაწარმოების დათარიღება, ავტორის საკითხი, წყაროები და ა.შ. სავარაუდოდ, უძველეს ნუსხებში თხზულების სათაური იყო: „სხვადასხვა პირთა მიერ შედგენილი ღვთაებრივი ადრიანედან ნუმერიანამდე პრინცეპსთა და ტირანთა ცხოვრება“. თხზულებას „ავგუსტთა ისტორიის მწერლები“ სათაურად დაუმკვიდრა 1603 წელს გამომცემელმა ისააკ კაზობონმა (1559-1614 წწ.). სულ ნაშრომი შეიცავს 30 ბიოგრაფიას, მაგრამ ზოგი პერსონის ქვეშ გადმოცემულია რამდენიმე პირის ცხოვრება. თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩოა 117-284 წლები, ანუ საუბარი იწყება ადრიანეს გაიმპერატორებით და თხრობა მთავრდება იმპ. კარუსის (282-283 წწ.) და მისი ვაჟის დიოკლეტიანესთან ბრძოლაში დაღუპვით. ნაწარმოები ნაკლულია, რადგან დაკარგულია 244-253 წლებში მყოფი იმპერატორების ცხოვრებები.

თხზულების ავტორებად მიჩნეული არიან: ელიუს სპარტიანუსი, ვულკაციუს გალიკანუსი, ელიუს ლამპრიდიუსი, იულიუს კაპიტოლინუსი, ტრებელიუს პოლიონი და ფლავიუს ვოპისკუსი. სამწუხაროდ, დასახელებული ავტორების შესახებ სხვა არავითარი მინიშნება არ გვაქვს. ისტორიოგრაფიაში არის აზრიც, რომ თხზულებას საერთოდ ერთი ავტორი ჰყავს, რომელიც ეკუთვნოდა ე.წ. „უკანასკნელ წარმართა“ წრეს. რუსი მეცნიერის ე. შტაერმანის (1914-1991 წწ.) აზრით ნაწარმოები III ს-ის განეკუთვნება და

იგი ასახავს პროვინციელი არისტოკრატიის დომინანტთან შერიგების ტენდეციას. ისტორიკოსის აზრით, სწორედ ახ.წ. III ს-ში საზოგადოების ამ ფენამ აღიარა ძლიერი მონარქიის აუცილებლობა და შესაბამისად იმპ. დიოკლეტიანესა და იმპ. კონსტანტინესადმი მიძღვნილი მიმართვა არის „კარგი“ და „ცუდი“ მმართველების შორის მკვეთრი დაპირისპირება.

„ავგუსტთა ისტორიის მწერლები“ ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი ნაწარმოები იყო, რომელსაც აინტერესებდა არა პოლიტიკური, არამედ საიმპერატორო კარის და იმპერატორების პირადი ცხოვრების პიკანტური მხარეები. ბიოგრაფიებში პრაქტიკულად გამორიცხულია იმპერატორების წარმოდგენა იმპერიის ბედის გადამჭრელ მსხვილ პოლიტიკურ მოღვაწედ. მართალია, ზოგი ავტორი მკითხველს არწმუნებდა, რომ გადმოსცემდა მხოლოდ „ჭეშმარიტ ისტორიას“, მაგრამ ფაქტია, ისინი ნაწარმოებებს წერდნენ გასართობად. ნაწარმოებში ასეთი პასაჟიცაა: წერე რაც გსურს, რადგან შენი თანამზრახველი იქნება ისინიც, ვისაც ჩვენ აღტაცებით ვუყურებთ.

ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ SHA ავტორების შემოქმედება პროსენატურ მიმართულებას ატარებს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თხზულებაში იმპერატორთა მოღვაწეობა ფასდება მხოლოდ სენატთან დამოკიდებულებით. თხზულებაში ბიოგრაფიები ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული. ყველა ბიოგრაფია სვეტონიუსის მსგავსი სქემით არის გადმოცემული. მაშასადამე, ჯერ საუბარია პერსონაჟის ყრმობაზე, მის ძალაუფლებაში მოსვლაზე და ტახტზე ყოფნის პერიოდზე. თხრობაში ჩართულია მათი პირადი ღირსებები, სხვადასხვა ქმედებები და ა.შ. თხრობის დასასრულს საუბარია გარდაცვალებაზე და მოცემულია განსახილველი პიროვნების შეფასება.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ავგუსტთა ისტორიის მწერლები“ მიჩნეულია არასაიმედო თხზულებად. უნდა ითქვას, რომ ეს ტრადიცია მოდის XVII ს-დან, როდესაც ფრანგმა მკვლევარმა ტილემონმა მას ცივი და უსიცოცხლო ცხედარი, ხოლო ედ. გიბონმა მის ავტორებს სასახლის კარის ჭორების შემგროვებლები უწოდა. თ. მომზენმა თხზულება „საშიშ, მაგრამ აუცილებელ წიგნად“ მიიჩნია. SHA–ს მიმართ ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება განაპირობა თხზულების ავტორების მხრიდან სოციალურ, ეკონომიკურ და რელიგიურ საკითხებზე ინტერესის არქონას და

ყურადღების გადატანას მეორეხარისხოვან საკითხების (კური-ოზები, ანეგდოტები...) მიმართ. შენიშვნების მიუხედავად, უდა-ვოა, რომ გარკვეული ეპოქის და ისტორიული ფაქტისთვის SHA რჩება 117-284 წლების ერთადერთ შეუცვლელ წყაროდ, რასაც აღიარებენ თვით მისი უარყოფითი შემფასებლებიც.

*ფლავიუს ვოპისკუსი*

SHA–ს ერთ-ერთი ავტორია ფლავიუს ვოპისკუსი (ლათ. Flavius Vopiscus, III-IV სს. მიჯნა). მის შესახებ ვიცით, რომ წარმოშობით იგი იყო სირაკუზიდან, პროვინციელი ნობილიტეტის წრიდან. სოციალურმა სტატუსმა მას შესაძლებლობა მისცა მიეღო შესანიშნავი განათლება. ამის შემდეგ ფლავიუსი „მარადიულ ქალაქშია“. აქ უცნობია ვოპისკუსის მიერ რაიმე სახელმწიფო თანამდებობის ფლობა.

ვოპისკუსს ეკუთვნის – იმპ. ავრელიანეს (270-275 წწ.), კლაუდიუს ტაციტუსის (275-276 წწ.), ფლორიანუსის (276 წ.), პრობუსის (276-282 წწ.), კარუსის (282-283 წწ.), კარინუსის (282-283 წწ.), ნუმერიანეს (283-284 წწ.). ასევე ფსევდო იმპერატორების фირმუსის (273 წ.), იულიუს სატურნინუსის (280 წ.), ტიტუს(?) პროკულუსის (280 წ.) და ბონოსუსის (280/1 წ.) ცხოვრებების აღწერა.

შეჯამების სახით ვოპისკუსის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომაელი იმპერატორების და უზურპატორების ცხოვრებების აღწერა ისტორიკოსმა 343 წლისთვის დაასრულა. თავისი ნაშრომი მან იმპ. კონსტანციუს II-ს (337-361 წწ.) მიუძღვნა.

*ბრევიარები და ეპიტომები*

II-III ს-ბში იმპერიაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისებმა დაღი დააჩინა ანტიკური საისტორიო აზრის განვითარების დინამიკას. აშკარად გამოჩნდა მისი დაკნინების ნიშნები. საისტორიო პრობლემატიკაზე მომუშავე ავტორებში IV ს-დან პოპულარული გახდა ახალი ჟანრის – ბრევიარების და ეპიტომების შექმნა.

ბრევიარი არის დიდი მოცულობის თხზულების შემჭიდროებული სახით გადმოცემა. რაც შეეხება ეპიტომაც (ნაწვეტი, ამონარიდი), მის მეშვეობით ხდება წინამორბედი ისტორიკოსების დიდი სამეცნიერო ანდა ლიტერატურული ნაწარმოებების შინაარსის ამონარიდის ფორმით მკითხველისთვის მიწოდება. იგი წერის გა-

ვრცელებული ფორმა იყო რომაულ ისტორიოგრაფიაში. ეპიტომე-ბი იყვნენ ისტორიკოსი ფლორუსი და სხვ. სწორედ ეპიტომების წყალობის არის ჩვენთვის ცნობილი ანტიკური ეპოქის ბევრი თხზულებები. მათ შორის იყო ტიტუს ლივიუსის ანდა გნეუს პომპეუს ტროგუსის (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) ნაშრომები.

ბრევიარები და ეპიტომები კლასიკური საისტორიო ნიმუშების მდარე ვარიანტია, როს გამოც რომაელი ისტორიკოსების ნაშრომები იქცეოდნენ უბრალო ლიტერატურულ ნაწარმოებებად, რომელშიც ადგილი არ რჩებოდა კვლევის მიზნებს. მათში მთავარი ყურადღება ექცეოდა მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას და მოვლენების დრამატიზაციას. უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე ფორმა დომინანტის ეპოქის ატმოსფეროს შეესაბამებოდა.

მწერლობაში ბრევიარების და ეპიტომების გაბატონება III ს. იმპერიაში მიმდინარე კრიზისმა განაპირობა. საქმე იმაშია, რომ კრიზისის შედეგად იმპერიაში გაჩნდა ახალი მმართველი ფენა, რომელიც სხვა ნაკლოვანებასთან ერთად იყო ნაკლებ განათლებული ლიტერატურის და ისტორიის სფეროში. მათ უკვე არ სჭირდებოდათ ლივიუსის მსგავსი ვრცელი ფორმის თხზულებები. არადა, რომის სახელოვანი წარსულის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნილებამ განაპირობა უკვე მოკლე ფორმის თხზულებების – ბრევიარების და ეპიტომების შექმნა.



*ევტროპიუსი*

ბრევიარის ფორმით რომის ისტორიის ავტორია IV ს. ისტორიკოსი და პოლიტიკოსი ფლავიუს ევტროპიუსი (ლათ. Flavius Eutropius, IV ს.). მისი ბიოგრაფიული ცნობებიდან ვიცით მხოლოდ იერარქიული თანამდებობები. მაგ., იმპ. კონსტანციუს II (324-337 წწ.) დროს მას ეკავა წერილების მაგისტრის თანამდებობა. 363 წელს იგი ახლდა იმპ. იულიანე განდგომილს (361-363 წწ.) სპარსულ ლაშქრობაში. მისი ყოფნა იულიანესთან იმანაც განაპირობა, რომ რწმენით ევტროპიუსი წარმართი იყო.

იმპ. ვალენტინიანეს დროს ევტროპიუსს ეკავა საიმპერატორო არქივის მაგისტრის თანამდებობა. 371/372 წელს იგი პროვინცია აზიის პროკონსულია. 379 წელს ევტროპიუსი ჩანს იმპ. გრა-

ციანეს (367-383 წწ.) სასახლის კარზე. 379-381 წლებში იყო ილირიკის პრეფექტი, ხოლო 387 წელს იმპ. ვალენტინიანე II თანაკონსული

ევტროპიუსი არის 10 წიგნად დაწერილი ნაშრომის - „ბრევიარია ქალაქის დაარსებიდან" ავტორი. თხზულების I-VI წიგნები ეხება მეფეთა ხანის და რესპუბლიკის, ხოლო VII-X იმპერიის პერიოდებს. ნაშრომში რომის ათასწლოვანი ისტორიის თხრობა მიყვანილია 364 წლამდე, იმპ. ვალენტი II-ის (364-375 წწ.) მმართველობამდე.

„ბრევიარია ქალაქის დაარსებიდან" არ არის ბიოგრაფიული ჟანრის თხზულება, თუმცა მისი ავტორი განიცდის სვეტონიუსის გავლენას. ევტროპიუსის თხზულების გამომცემლები შენიშნავენ, რომ იგი არ სარგებლობდა წინამორბედი ისტორიკოსების ორიგინალებით. ევტროპიუსი ძირითადში გადმოსცემს საშინაო და საგარეო პოლიტიკის (ომები, სხვადასხვა ბრძოლები, ლაშქრობები...) ისტორიას. რომის ისტორიის რესპუბლიკური მონაკვეთის გაშუქებისას ავტორის წერის მანერა ლაკონურია, ხოლო მოვლენების შესახებ კომენტარი მწირი. რაც შეეხება იმპერიის ეპოქას, აქ ფაქტები უფრო დეტალურია და ავტორის ენა ცოცხალი.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ თავისი ეპოქის სხვა მწერლების მსგავსად ევტროპიუსი ნაკლებად ინტერესდებოდა იმპერიის ბედის თაობაზე იმპერატორების როლის შესახებ. ამ ლოგიკის გასამაგრებლად არგუმენტად მოჰყავთ ისტორიკოსის მხრიდან იმპერატორების ისტორიის გადმოცემა გლობალური და კერძო ხასიათის ბიოგრაფიული ფაქტების ჩართვით. ევტროპიუსისთვის იმპერიის კეთილდღეობა გაიგივებულია მმართველთა ხასიათებთან. აქედან გამომდინარე „ბრევიარიის" გმირები არიან „კარგი" (ავგუსტუსი, ვესპანსიანე...) და „ცუდი" (ნერონი, ჰელიოგაბალი...) იმპერატორები. მაშასადამე ის მმართველები, რომლებმაც კრიზისიდან გამოიყვანეს რომი, ან პირუკუ.

ისტორიკოსისთვის იმპერატორების მოღვაწეობის დადებითი მხარე არის მათი სამხედრო წარმატებები. სუბიექტური დამოკიდებულების მიუხედავად ევტროპიუსი მკაფიოდ აფიქსირებდა იმპერიის ტერიტორიული გაფართოების ყველა ძირითად ფაქტებს. მასთან რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს შეიქმნა სამხედრო, პოლიტიკური და კულტურული პროცესების თანხვედრით. ევტროპიუსი ზომიერია იმ იმპერატორთა (კონსტანტინე...)

მიმართ, რომელთა სამხედრო წარმატებები გამოჩნდა სამოქალაქო ომებსა თუ შიდა კონფლიქტებში. საერთოდ, ისტორიკოსი გაურბოდა იმპერატორების უარყოფით მხარეებზე საუბარს. ამიტომაც, სვეტონიუსისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მისი თხრობა ქრონიკის ფორმას ატარებდა.

ნაკლოვანებების მიუხედავად, IV ს. რომაულ ელიტაში, ევტროპიუსის თხზულება საკმაოდ პოპულარული იყო. მარტო ბერძნულ ენაზე იგი სამჯერ ითარგმნა, რაც არ ღირსებია ძველ რომაული ლიტერატურის არცერთ სხვა ნაწარმოებს და წლების მანძილზე იგი მიიჩნეოდა სასკოლო სახელმძღვანელოდ. ევტროპიუსის პოპულარობა ნაწილობრივ განაპირობა მისმა კონცეფციამ, რომელიც წარმოადგენდა „რესპუბლიკანიზმის“ და იულიანეს ეპოქის შემდგომდროინდელი ლიბერალური დომინატის ერთგვარ ნაზავს, რაც დამახასიათებელი იყო დასავლეთ იმპერიისთვის.

ბრევიარიების ჟანრს განეკუთვნება ფესტუსის (ლათ. Festus, ?-?380 წ.) ნაშრომი - „ბრევიარები რომაელი ხალხის გამარჯვებების შესახებ“. მისი ბიოგრაფიიდან ბევრი რამ უცნობია. ჩვენ არ ვიცით ისტორიკოსის ნამდვილი სახელი. ერთისთვის იგი სექსტუს ფესტუსია, სხვებისთვის კი რუფინუს სექსტუს ავიენუსი და ა.შ. ასევე უცნობია ისტორიკოსის ცხოვრება-მოღვაწეობის ზუსტი წლები და ა.შ. თანამედროვეების (მარცელინუსი...) გადმოცემით ვიცით, რომ იგი დაიბადა ჩრდ. იტალიაში, ქ. ტრიდენტში და მიეკუთვნებოდა უბრალო პროვინციალურ ფენას. ისტორიკოსის იერარქიული წინსვლას ბიძგი მისცა რომის სახელმწიფო მოღვაწის და ჩინოვნიკის, 371-376 წლებში პრეტორიანული გალიის პრეფექტ მაქსიმინუსის (IV ს.) გარემოცვაში ყოფნამ, რამაც მას შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო კონსული და აზიის პროკონსული. მარცელინუსის ცნობით, პროკონსულის თანამდებობაზე ფესტუსმა თავი გაითქვა დესპოტიზმით. ასევე, დაახლ. 369 წლისთვის, იმპ. ვალენტის (364-378 წწ.) მმართველობისას, ფესტუს ეკავა მთავარი მდივნის თანამდებობა. იმპ. ვალენტის ანდრიანოპოლის ბრძოლაში დაიღუპვის შემდეგ, 378 წელს, ფესტუსი დაითხოვეს. უფრო მეტიც, მის წინააღმდეგ საქმეც აღსძრეს, მაგრამ ახალი იმპ. თეოდოსიუს I (379-395 წწ.) წინაშე მან შესძლო თავის მართლება. ამის შემდეგ ისტორიკოსი ქ.ეფესოში ჩანს, სადაც მან დაასრულა სიცოცხლე.

„ბრევიარები რომაელი ხალხის გამარჯვებების შესახებ“ ფესტუსმა სავარაუდოდ დაასრული 369 (ან 379 წ.) წელს. ნაშრომი შედგება 30 თავისგან და მასში შემჭიდროებული ფორმით არის გადმოცემული რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან ავტორის თანადროულ ეპოქამდე. არსებითად, ფესტუსის თხზულება რომის ისტორიის კიდევ უფრო შემოკლებული ვარიანტია, ვიდრე ევტროპიუსის ნაშრომი. ფესტუსი ძირითადში საგარეო პოლიტიკის ფაქტებზე ამახვილებს ყურადრებას. ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ მისი თხზულება მხატვრული და ისტორიული ღირებულებებით მდარეა და იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევტროპიუსის ნაშრომსაც. თუმცა, უკანასკნელისგან განსხვავებით, ფესტუსი იძლევა რომაული სამფლობელოს გაფართოების და მისი გეოგრაფიული ასპექტების მოკლე მიმოხილვას, რომის მიერ იტალიის და სხვა ტერიტორიების დაპყრობებს, ყურადღებას უთმობს აზიაში პართია-სპარსეთის წინააღმდეგ მიმდინარე საომარ მოქმედებებს და ა.შ. ევტროპიუსის მსგავსად ფესტუსის იდეალური მმართველია იმპ. ვალენტი.

ეპიტომებიდან ყურადღებას გავამახვილებთ იუსტინუსის და ობსეკვენტის ნაშრომებზე. მარკუს იუნიანუს იუსტინუსი (ლათ. Marcus Junianus Justinus, II-III სს.) არის „პომპეუს ტროგუსის „ფილიპეს ისტორიის“ ეპიტომის“ ავტორი. ჩვენამდე მოღწეული თხზულების გარდა იუსტინუსის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს. არ ვიცით მისი დაბადება-გარდაცვალების წლები და არც სხვა ბიოგრაფიული ცნობები. უფრო მეტიც, ზოგ მანუსკრიპტში იგი მოხსენიებული არის იუსტინუს ფრონტინუსის ფორმითაც. რაც შეეხება გნეუს პომპეუს ტროგუსს, მასზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი I ს. მოღვაწეა. მისი წინაპრები ვოკონტების ტომიდან იყვნენ. ბაბუა პომპეუსელი იყო და სერტორიუსის წინააღმდეგ ომში გამოჩენილი მამაცობისთვის რომის მოქალაქეობა და თიკუნი - „პომპეუსი“ მიიღო. ისტორიკოსის მამა კეისართან მდივნის და თარჯიმნის მოვალეობას არსულებდა.

ფაქტია, რომ ტროგუსს კარგი საბაზო განათლება ჰქონდა მიღებული. მასზე ცნობილია, რომ იგი არისტოტელეს (ძვ.წ. 384-322 წწ.) და თეოფრასტეს (ძვ.წ. 370-?284 წწ.) წიგნებზე დაყრდნობით წერდა საბუნებისმეტყველო ისტორიაზე, სხვადასხვა ცხოველე-

ბზე, მაგრამ მის ძირითადი ნაშრომია „ფილიპეს ისტორია“. თხზულება მოიცავდა ბაბილონის მითიური მეფე ნინუსიდან (ძვ.წ. XII ს.) თანადროული ეპოქის ამბების მოკლე მიმოხილვას.

ტროგუსის ნაშრომი 44 წიგნად დაწერილი თხზულებაა. მასში მოვლენების თხრობა გადმოცემული არის მითიური პერიოდიდან ავტორის თანადროულ დღეებით დასრულებული. ნაშრომში ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს მაკედონიის მეფე ფილიპე II-ის (ძვ.წ. 359-336 წწ.), ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) და დიადოხოსების თემატიკას. სამწუხაროდ, თხზულებიდან შემორჩენილია მხოლოდ შესავალი და იუსტინის მიერ შედგენილი ცალკეული წიგნების ამონარიდები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტროგუსის ნაშრომი არავითარ ორიგინალურ ნააზრევს ანდა ლიტერატურულ ღირებულებას არ შეიცავს, რის გამოც იგი მალევე დაიკარგა. ასევე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტროგუსის თხზულება შესაძლოა ყოფილიყო ჩვენთვის უცნობი ბერძენი მწერლის ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტი. ტროგუსითვის ნაკლად მიიჩნევა ციცერონის და სალუსტიუსის მსგავსი მორალური ფილოსოფიის ძირითადი გაგების ოპერირება. მთავარი რაც ტროგუსის ნაშრომის ლაიტმოტივია არის „იმპერიუმი“-ს გაგება. მასში ავტორის მხრიდან განსაზღვრული შინაარსია ჩადებული: მართველობის განსაკუთრებული სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელი არის ბატონობა და დამპყრობლური მისწრაფებები.

ტროგუსი გადმოსცემდა რომაული სახელმწიფოს განვითარების საწყის მომენტებს, ანუ ისტორიის იმ მონაკვეთს როდესაც რომი და აღმოსავლეთი ერთმანეთთან კონტაქტში შევიდნენ. ავტორის დამოკიდებულება რომის პოლიტიკასთან ნათელია, რომლისთვისაც, მისი აზრით, დამახასიათებელია ელინისტური სამყაროს და კართაგენის მიმართ მხოლოდ აგრესიულობა, არაგონივრული გაუმაძღრობა და ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის გატარება. ტროგუსის ისტორიული კონცეფციის საფუძველი არის იდეა, რომლის მიხედვითაც „ოქროს საუკუნე“ მხოლოდ წარსულის რეალობაა.

იულიუს ობსეკვენტის (ლათ. Iulius Obsequens, ?IV ს.) შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება. გვაქვს მხოლოდ მისი თხზულება - „კეთილი საქმეთა წიგნი“, რომელიც მიჩნეულია ლი-

ვიუსის „რომის ისტორიის“ მოკლე ვარიანტად. ნაშრომში შემჭიდროებული ფორმით გადმოცემული იყო ძვ.წ. 249-ახ.წ.12 წლებს შორის რომში მიმდინარე მოვლენები. ობსეკვენტის მიზანი იყო რომის სიძლიერის და დიდების ზრდის ჩვენება. მისი თხზულების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი სამეცნიერო ღირებულება იყო ძალიან დაბალი. „კეთილი საქმეთა წიგნი“ დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა და იგი საზოგადოებას 1508 წელს გააცნო ცნობილმა ვენეციელმა გამომცემელმა ალდუს მანუციუსმა.

*ავრელიუს ვიქტორი*

რომაულ ისტორიოგრაფიაში ბიოგრაფიული ჟანრის მწერლებს შორის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი იყო სექსტუს ავრელიუს ვიქტორი (ლათ. Sextus Aurelius Victor, ?320-?390 წწ.). მის შესახებ ვიცით, რომ იგი წარმოშობით აფრიკიდან იყო და საზოგადოებაში მაღალ დონეს მან თავისი სამეცნიერო საქმიანობით მიაღწია. იმპ. იულიანე განდგომილის მმართველობისას ვიქტორს პანონიის კონსულის, ხოლო 388-389 წლებში რომის პრეფექტის რანგში ვხედავთ. რომში იგი დაუახლოვდა ამიანე მარცელინუსმა.

ვიქტორის კალამს ეკუთვნია ნაშრომი „კეისრების შესახებ“ (?360 წ.). ეს არის ანგარიშის ფორმით შედგენილი მოკლე პუბლიკაცია, რომელშიც გადმოცემული იყო რომაელი იმპერატორების ისტორია დაწყებული ოქტავიანე ავგუსტუსიდან თეოდოს დიდის (379-395 წწ.) მმართველობით დამთავრებული. არსებითად ნაშრომში გადმოცემულია ძველი რომის თითქმის ოთხასწლოვანი ისტორია.

უნდა ითქვას, რომ იმპერიის ეპოქაში მოღვაწე სხვა ბიოგრაფების მსგავსად ვიქტორისთვისაც დამახასიათებელი იყო ქრონოლოგიური და ფაქტოლოგიური უზუსტობები, იმპერიის რელიგიური პრობლემების მიმართ იდიფერენტიზმი, სხვადასხვა მორალური შეფასებები, ანეკდოტების გადმოცემა და ა.შ. განსაკუთრებული თვალში საცემი იყო მისი სიმპატიები იმპ. სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) მიმართ.

*ამიანე მარცელინუსი*

ამიანე მარცელინუსი (ლათ. Ammianus Marcellinus, ?325-?391 წწ.) მიჩნეულია იმპერიის პერიოდის რომაული საისტორიო მწერლობის და ზოგადად ანტიკური ისტორიოგრაფიის უკანასკნელი დიდი მოჰიკანად. მისი თხზულება - „ქმედებანი“ („Rerum gestaerum

libri XXXI“) წარმოადგენს ლივიუსის და ტაციტუსის მიერ რომაულ მწერლობაში დამკვიდრებული საისტორიო მოვლენების აღწერის ღირსეულ გაგრძელებას. იგი არის ამ ჟანრის უკანასკნელი გამორჩეული ნაშრომი.

მარცელინუსის ბიოგრაფიული ცნობებიდან ბევრი ვარაუდის დონეზე არის დამყარებული. საკამათოა ისტორიკოსის დაბადება-გარდაცვალების თარიღი და ა.შ. დანამდვილებით შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ისტორიკოსი იყო პროვინციელი დიდებული, სირიელი ბერძენი, ქ. ანტიოქიიდან. წარმომავლობამ კვალი დააჩინა მარცელინუსის აღზრდას. მან მიიღო კარგი განათლება, რამაც შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო შესანიშნავი ისტორიკოსი.

IV ს-ის 50-იან წლებში მარეცელინუსი ელიტარული საიმპერატორო გვარდიის ოფიცერია. იგი ჩართული იყო რომი-სპარსეთს შორის მიმდინარე ომების ეპიცენტრში. 359 წელს მან მონაწილეობა მიიღო ამიდას სიმაგრის დაცვაში. 363 წელს მარცელინუსი ახლდა იმპ. იულიანე განდგომილს სპარსულ კამპანიაში. აქ კონკრეტულად არ ჩანს ისტორიკოსის ფუნქცია და ამიტომაც ფიქრობენ, რომ იგი იყო სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში და უშუალოდ მონაწილეობდა საომარ ოპერაციებში. რაც შეეხება მტკიცებას, რომ იულიანეს სიკვდილის ბოლო წუთებში მარცელინუსი მასთან იმყოფებოდა, იგი, ნაწილი მეცნიერის ფანტაზიის ნაყოფია. იულიანე განდგომილის გარდაცვალების შემდეგ, მარცელინუსი ტოვებს სამხედრო კარიერას და რომში იწყებს კერძო ცხოვრებას. თხზულებაზე წერის გარდა ჩვენთვის უცნობია ისტორიკოსის რომაული ცხოვრების სხვა დეტალები. ასევე ვარაუდის დონეზეა მარცელინუსის გარდაცვალების თარიღი - 397 წლის შემდგომი პერიოდი.



*იულიანე განდგომილი (მონეტა)*

მარცელინუსის „ისტორია“ იყო ლათინურ ენაზე შესრულებული. იგი 31 წიგნისგან შედგებოდა და მოიცავდა 96-378 წლების ისტორიას. სამწუხაროდ, თხზულება ნაკლული სახით არის მოღწეული, სულ 18 წიგნი (XIV-XXXI) და მასში მოცემულია 353-378 წლების მოვლენები.

ისტორიკოსის მოღვაწეობა დაემთხვა იმპერიის რთულ პერიოდს. ესაა დიდი კატაკლიზმების პერიოდი. დომინატის ხანა, ეს

იყო დრო, როდესაც რომში ხდება ძირეული ცვლილებები – მყარდება აბსოლუტიზმის რეჟიმი, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადა ქრისტიანობა და ა.შ. საიმპერატორო გარემოცვაში ყოფნამ ისტორიკოსს შესაძლებლობა მისცა ყოფილიყო მოვლენების ეპიცენტრში. ასევე მას ხელი მიუწვდებოდა სამეფო ბიბლიოთეკაზე, რამაც მისი ნაშრომი უფრო წონადი გახადა. მარცელინუსი ეკუთვნოდა ე.წ. „უკანასკნელ რომაელთა" წრეს და იყო მათი იდეების გამხმოვანებელი

საისტორიო ფაქტების გაშუქებაში მარცელინუსისთვის დამახასიათებელი იყო ობიექტურობის დაცვა. მისი პოზიციაა: „მოვლენებზე შეგნებული დუმილით კეთდება არანაკლებ სიცრუე, ვიდრე ის ვინც ქმნის არასდროს არსებულს". ისტორიკოსისთვის დამახასიათებელია ასევე უარის თქმა წვრილ და მეორეხარისხოვან დეტალებზე. მისთვის უცხო არ არის არც კრიტიკული მიდგომა. მაგ., იმპ. იულიანე, რომელიც იყო მარცელინუსის თხზულების მთავარი პერსონაჟი, ისტორიკოსი არ ერიდება მისი პიროვნული ნაკლოვანებების და პოლიტიკური შეცდომების (ანტიქრისტიანული ბრძოლა...) ჩამოთვლას.

მარცელინუსის ერთ-ერთი კომენტარი მიიჩნევდა, რომ მას ჰქონდა ყველა ის ნაკლი, რაც ახასიათებდა ანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გადასვლის ეპოქის ადამიანებს. ისტორიკოსი მრწამსით იყო წარმართი, თუმცა ტექსტში ამაზე ღიად არ არის საუბარი, მაგრამ იმავდროულად მისთვის დამახასიათებელი იყო რელიგიური შემწყნარებლობა. მარცელინუსისთვის უცხო არ იყო სასწაულების, ჯადოქრობის და სხვა მსგავსი რაიმეს აღიარება-დაჯერება.

სოციალ-პოლიტიკური შეხედულებით მარცელინუსი ძლიერი საიმპერატორო ძალაუფლების მომხრე იყო. მისთვის უცხოა დემოკრატიული ტრადიციები და იმპერატორებისგან იგი მოითხოვდა მხოლოდ ადამიანური თვისებების ქონას (ხალხზე ზრუნვა, ზომიერება, გონიერება...). პლებსის იდეოლოგია ისტორიკოსისთვის მიუღებელია, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა მას ეჩვენებინა არისტოკრატიის პოლიტიკური უსუსურობა და ა.შ.

მართალია, მარცელინუსი სირიელი ბერძენი იყო, მაგრამ მის შესახებ შეგვიძლია ვთაქვათ, რომ იგი ტიპიური რომაელი პატრიოტი და რომის აპოლოგეტია. მისთვის მნიშვნელოვანია რო-

მის გმირული წარსული და რომაული იარაღის დიდება. იგი კანონზომიერად თვლიდა რომის მოწინააღმდეგე ყველა ბარბაროსის განადგურებას, რომლებიც მისთვის იყვნენ ყაჩაღები. სწორედ ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი მისი ნაშრომი. ისტორიკოსის განსაკუთრებულობა გამოიხატება მისი მხრიდან რომის საგარეო პოლიტიკის და საშინაო ცხოვრების ფაქტების ჩვენებაში.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო რომის ზნეობრივი დეგრადაციის პრობლემას. ასევე  ისტორიკოსის სტილია, რომ გადაუხვიოს  თხრობის მაგისტრალიდან და ნაწარმოებში ჩართოს სხვადასხვა ექსკურსები. მაგ., მას მოჰყავს სხვადასხვა გეოგრაფიულ-ეთნოლოგიური, რელიგიურ-ფილოსოფიური (ბედის შესახებ...) და ბიოგრაფიული (კონსტანციუს II...) პასაჟები. ასევე ნაწყვეტები სპარსეთის ისტორიიდან და ა.შ.

ცალსახად ძნელია მარცელინუსის მიკუთვნება ძველ რომაული ისტორიოგრაფიის რომელიმე მიმართულებაზე. მოვლენების გადმოცემაში მისთვის დამახასიათებელია მაღალი მხატვრული სტილი, ასევე ობიექტურობა და მიუკერძოება. ამიტომაცაა, რომ მარცელინუსი ითვლება ძველი სამყაროს უკანასკნელ დიდ ისტორიკოსად, რომელმაც ქრონოლოგიურად და აზრობრივად საკუთარ თავში გაერთიანა ანტიკური ისტორიოგრაფიის სხვადასხვა სკოლების და მიმდინარეობების სტილი. იგი დარჩა დომინატის პერიოდის ერთადერთ ისტორიკოსად, რომელმაც შესძლო აეღორძინებინა რომაული ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციები.

### *Notitia Dignitatum*

„თანამდებობების ნუსხა“ (მოკლედ „ND“) არის გვიანი დომინატის პერიოდის დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებული არის დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიაში არსებული ყველა თანამდებობები. მისი შექმნის თარიღია ?390-?420 წლები.

„თანამდებობების ნუსხა“ პირველად გამოიცა 1552 წელს ჰელენიუსის (XVI ს.) მიერ. მართალია იგი უკვე დიდი ხანია არის სამეცნიერო მიმოქცევაში, მაგრამ მასში ჯერ კიდევ გადასაჭრელია რიგი წყაროთმცოდნეობითი საკითხები. პირველ რიგში გასარკვევია - ვინ, რატომ და ვისი მითითებით შეიქმნა იგი. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ „ND“ შეიქმნა იმპ. ვალენტინიანე III-სთვის (424-455 წწ.). სხვების აზრით იგი შეიქმნა თეოდოსიუს I (379-395 წწ.) დროს იმპერიის დაყოფის გამო. ფიგურირებს ის აზრიც, რომ

თხზულების ე.წ. „დასავლეთი“ ნაწილი არის სამუშაო დოკუმენტი და შესაბამისად გამოხატავს ისტორიის სხვადასხვა მოვლენების დინამიკას. ასევე დასაზუსტებელია მასში მოცემული ფერადი მინიატურების არსი და ა.შ.

„ND“ შესდგება ორი, ე.წ. „დასავლეთის“ და „აღმოსავლეთის“ ნაწილებისგან. „დასავლეთი“ ნაწილი 45 სექციისგან შესდგება. ამ ნაწილს აკლია სამი სექცია (გერმანიის პირველი დუკი...) და გალიის პრეფექტის და ქ. რომის ვიკარის ინსიგნიები. „აღმოსავლეთი“ ნაწილიც 45 სექციისგან შესდგება. მისი ხუთი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული (მაკედონიის ვიკარი, ლიბიის დუკი...). ჩინოევნიკების ინსიგნიების გარდა ნაშრომში ცემული არის ლეგიონების და კოჰორტების 265 „ფარის“ ტიპის მრგვალი ემბლემები. მათზე გამოსახული არის უცნაური ზოომორფული გასახულეხუზები: ცხოველები, ადამიანები, გრაფიკული ფიგურები, სხვადასხვა ფორმის ჯვრები და ა.შ. „ND“-ში არსებულ ფარებს არაერთგვარი ახსნა აქვთ. ერთნისთვის ისინი საბრძოლო ფარია, სხვებისთვის რაღაც სეგმენტი, მესამესთვის ლეგიონის ნიშანი. ამასთან, ემბლემის ქვეშ მოთავსებული წარწერა ზოგ ადგილზე განსხვავდება ND ტექსტისგან და ა.შ.



*ND გვერდებზე მოთავსებული ფარები*

„ND“ შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ფაქტია, რომ იგი რჩება შესანიშნავ წყაროდ რომაული საისტორიო გეოგრაფიის, ადმინისტრაციული, სამხედრო სისტემის და ასევე ანტიკური ემბლემატიკის ისტორიის შესწავლის საქმეში.

*ლათინური ქრისტიანული საისტორიო მწერლობა*

IV-V სს. მიჯნაზე რომის იმპერიაში საფუძველი ჩაეყარა ლათინურ ქრისტიანულ ისტორიოგრაფიას. იგი მიჩნეულია ევროპული საისტორიო აზროვნების გამოვლინებად უკვე სრულიად ახალ ფაზაში, რომელმაც ანტიკური სამყაროს მიწურულს არსებითად განსაზღვრა იმპერიის არსებობის უკანასკნელი წლეები.

ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის უცნობია ლათინური ქრისტიანული ისტორიოგრაფიის საკითხები. გვიან რომაული ისტორიოგრაფიის შესახებ საუბრისას აქცენტი კეთდებოდა

მხოლოდ „ქრისტიან ჰეროდოტედ“ წოდებულ ევსევი კესარიელის (?275-339 წწ.) და ნეტარი ავგუსტინეს (ლათ. Aurelius Augustinus, 354-430 წწ.) ისტორიულ-ფილოსოფიურ ნააზრევზე. ცხადია, ყოველივეს თავისი ახსნაც ჰქონდა. ჩანს, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას შორის არსებულმა საუკუნო შუღლმა და პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ანტირელიგიურმა კამპანიამ, მთლიანობაში, დაღი დააჩინა აღნიშნული საკითხის შესწავლას. პოსტსაბჭოთა სივრცეში ლათინური ქრისტიანული ისტორიოგრაფიით დაინტერესება იწყება XX ს-ის 90 წლებიდან.

დასავლურ საისტორიო მეცნიერებაში ლათინური ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიმართ ნამდვილი სამეცნიერო ინტერესი გაჩნდა XIX ს. სწორედ მაშინ გამოვიდა ლათინ ქრისტიან ისტორიკოსთა შესახებ პირველი სამეცნიერო ნაშრომები. პირველივე კვლევებში გაშუქებული იყო განსახილველი პრობლემის ლოკალური საკითხები, მოცემული იყო გვიან ანტიკური და ადრე ქრისტიანული ისტორიოგრაფიის განზოგადების ცდები. ლათინური ქრისტიანული საისტორიო თხზულებების ჩართვამ გვიან რომაული ისტორიოგრაფიის კონტექსტში მეცნიერებისგან მოითხოვა ყურადღების მიქცევა ჟანრის მემკვიდრეობაზე, ლიტერატურულ მეთოდებზე, წარმართულ და ქრისტიანულ საისტორიო თხზულებებში კონცეპტუალური კავშირების განსაზღვრაზე და ა.შ.



*ნეტარი ავგუსტინე*

ანტიკურ წარმართობას და ქრისტიანულ შუა საუკუნეებს შორის ტრადიციულმა წინააღმდეგობამ მეცნიერები აიძულა გაეკეთებინათ ყურადღების კონცენტრირება იმ უმთავრეს სიახლეებზე რაც ჩნდება საისტორიო შემეცნებაში ქრისტიანობის დადგომით. მკვლევარები, როგორც წესი, იმთავითვე ხაზს უსვამდნენ ისტორიის მიმართ განსხვავებულ შეხედულებებს, რადგანაც ანტიკურ ხანაში ისტორია ყოველთვის განიხილებოდა პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვში, რომელიც წყდებოდა ადამიანთა ურთიერთობების დონეზე. ასევე კამათს იწვევდა საისტორიო პროცესების განვითარების მიმართულება და ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიერ შემოთავაზებული ისტორიის გან-

სხვავებული პერიოდიზაცია. ამასთან, დაიწყეს ქრისტიან ავტორების ნააზრევის საფუძვლების ჰპოვნა ბერძნულ-რომაულ ისტორიოგრაფიაში. დღეისთვის დასავლურ ისტორიოგრაფიაში ყველაზე სადისკუსიო საკითხად მიიჩნევა განსხვავების ძიება ნეტარი ავგუსტინეს და ევსევი კესარიელის საისტორიო კონცეფციებს შორის და უკანასკნელის როლის განსაზღვრა დას. ევროპის საისტორიო აზრის განვითარებაზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქრისტიანობის გავრცელება რომის იმპერიაში მიმდინარეობდა ანტიკურ სამეცნიერო ნააზრევთან და მის ფილოსოფიურ ტრადიციებთან ჭიდილში. აშკარა იყო, რომ წარმართული ფილოსოფია და ლიტერატურა თმობდა პოზიციებს ქრისტიან ავტორებთან მიმართებაში. გნოსტიკოსები, რომლებიც ელინისტური ფილოსოფიის მიღწევებით ცდილობდნენ ქრისტიანული იდეების შესწავლას, მათგან საპირისპიროდ, „ეკლესიის მამებმა" გააჟღერეს რელიგიური რწმენის და ფილოსოფიის შეუთავსებლობის პრინციპი. მათი აზრით რწმენას და აზროვნებას შორის არ არის შეხების წერტილები. რწმენა არის მოცემული, რომელიც არ საჭიროებს არავითარ განსჯას. სწორედ პირველი პატრისტიკების (ქრისტიანული ფილოსოფია) ნაწარმოებებში ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანული ისტორიოგრაფიის იდეურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. ბიბლიურ ტრადიციების და ანტიკური ეპოქის ისტორიულ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის ცალკეული ელემენტებზე დაყრდნობით, ქრისტიანმა მოაზროვნეებმა სათავე დაუდეს საისტორიო ცოდნის განვითარების ახალ კონცეფციებს, მიმართულებებს, გამოიმუშავეს აღწერის საკუთარი მეთოდები და როლი.

ლათინური ქრისტიანული საისტორიო პროზის პირველი ნიმუშები შეიქმნა მხოლოდ IV ს-ის დასაწყისში, რაც დროის მოთხოვნით იყო განაპირობებული. საქმე იმაშია, რომ I-III სს. ქრისტიანული ლიტერატურა მთლიანობაში არ იძლეოდა იმ სურათს რაც გაიარა ეკლესიამ მისი დაარსებიდან. თვით ლუკას სახარებამ ვერ ჰპოვა გაგრძელება აპოლოგეტური ლიტერატურის სახით. ადრეულ ქრისტიანთა მხრიდან წარსულის საკითხებში წარმართული კულტურის დამცველებთან მიმდინარე პოლემიკამ, ლოგიკურად მოითხოვა აპოლოგიური ხასიათის თხზულებების შექმნა, რომლებშიც დასაბუთებული იქნებოდა ქრისტიანული რელიგიის ძირძველი ფესვები. მსგავსი აპოლოგიური ამოცანების გადაწყვეტამ

დღის წესრიგში დააყენა ქრისტიანულ აღმოსავლეთში ქრონისტიკის ჩასახვა-აღმოცენება. თანდათან, საეკლესიო გამოცდილების დაგროვებამ და რომში მიმდინარე პოლიტიკურმა მომენტებმა, რაც გამოიხატა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაში და ა.შ., გამოიწვია ლათინური ქრისტიანული საისტორიო პროზის აღმოცენება. ნიშანდობლივია, რომ იგი ჩამოყალიბდა არა აღმოსავლურ-ქრისტიანული საისტორიო ლიტერატურის გაგრძელებად, არამედ დამოუკიდებელ მიმდინარეობად.

ამასთან, IV ს-ის პირველი ათწლეულის მოვლენებმა ქრისტიანთა შემეცნებაში ეკლესიის ისტორიაში დასვა, როგორც ერთი ეტაპის დამთავრების ლოგიკური წერტილი. კონსტანტინეს მმართველობისას ქრისტიანების მიერ მოპოვებული წარმატებებმა მოითხოვა წარსულის შეფასება და იმ რკალის შეკვრა, რაც გამოიხატებოდა ქრისტეს განსახიერებასა და კონსტანტინეს დროს ეკლესიის გამარჯვებაში.

*ლუციუს ლაკტანციუსი*

ლათინურ ქრისტიანულ საისტორიო პროზას დასაბამი დაედო ლუციუს ცეცილიუს ფირმიანუს ლაკტანციუსის (ლათ. Lucius Caecilius Firmianus Lactantius, ?250-330 წწ.) თხზულებით - „მდევართა დაღუპვის შესახებ“. ფორმალურად თუ ვიმსჯელებთ იგი უფრო ანტიკური ისტორიოგრაფიის ნაწარმოებია ვიდრე ქრისტიანული.


*ლაკტანციუსი*

ლაკტანციუსი სავარაუდოდ იგი დაიბადა ჩრდ. აფრიკაში წარმართულ ოჯახში. რიტორიკული განათლება მან მიიღო კართაგენის სამხრეთით ქ. სიკაში მდებარე არნობიუს უფროსის (III-IV სს.) სკოლაში. დაახლ. 290 წლისთვის, იმპ. დიოკლეტიანეს მმართველობისას, არნობიუსის რეკომენდაციით, ლაკტანციუსი ნიკომედიაში მიიწვიეს ლათინური რიტორიკის მასწავლებლად. ჯერ კიდევ 303 წლამდე, დიოკლეტიანეს მხრიდან ქრისტიანთა დევნამდე, ნიკომედიაში, ლაკტანციუსი გაეცნო ქრისტიანულ მოძღვრებას. ჩანს, წარმართულ ფილოსოფიაში არსებულმა წინააღმდეგობრიობამ, ნიკომედიის დიდი ტაძრის

დანგრევამ და წამებულთა მხრიდან გამოჩენილმა სარწმუნოებრივმა სიმტკიცემ, გავლენა მოახდინა ლაქტანციუსის ცნობიერებაზე.

დიოკლეტიანეს მხრიდან ქრისტიანთა „დიდი დევნის“ შემდეგ ლაქტანციუსი ტოვებს ნიკომედიას და თავს გალიაში იმპ. კონსტანციუს ხლორუსთან (305-306 წწ.) აფარებს. იმპ. კონსტანტინე I (306-337 წწ.) მმართველობისას მას რიტორის რანგში ვხედავთ, სადაც მისი მოსწავლე იყო მემკვიდრე კონსტანტინე კრისპუსი (317-326 წწ.). 311-313 წლისთვის ლაქტანციუსი ბითვინიაშია. დანარჩენი კვალი მისი ცხოვრებიდან იკარგება. ფაქტია, რომ იგი გარდაიცვალა, როგორც უბრალო ადამიანი.

ლაქტანციუსი თხზულებებია: „ღვთიური ქმნილების შესახებ“ (303/4 წწ.), „ღვთიური დადგენილების შესახებ“, „მდევართა დაღუპვის შესახებ“ და „ღვთაებრივი რისხვის შესახებ“. თხზულება „მდევართა დაღუპვის შესახებ“ აღმოაჩინეს 1678 წელს აქვიტანიის ერთ-ერთ მონასტრის წიგნსაცავში. მანუსკრიპტის ორიგინალი სავარაუდოდ შესრულდა 314-315 წლებში, ხოლო შემდეგ გადაიწერა XI ს-ში. ნაპოვნი ხელნაწერი თავდაპირველად აღმოჩნდა ლუი XIV (1643-1715 წწ.) ფინანსთა მინისტრ კოლბერის (1619-1668 წწ.) ხელში, ხოლო შემდეგ სამეფო ბიბლიოთეკაში. 1679 წელს ლაქტანციუსის თხზულება წიგნად დაიბეჭდა და თავისი ნათელი სტილის წყალობით უმალ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, რის გამოც მის ავტორს „ქრისტიანელი ციცერონი“ შეარქვეს.

ლაქტანციუსის ტრაქტატის კითხვისას შეინიშნება, რომ იგი არის არა ბერძნულ-რომაული საისტორიო პროზის კლასიკური ნიმუში, არამედ ჩვენს წინაშე დგება უკვე საისტორიო პროცესებზე ახლებურად შემხედვარე ქრისტიანული შეხედულებების მწერალი. მისი მიზანი იყო გადმოეცა ქრისტიანობის ისტორია მისი აღმოცენებიდან, ანუ ქრისტეს და მოციქულების მხრიდან ეკლესიის ორგანიზებიდან, დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა „დიდი დევნამდე“. ისტორიაში ლაქტანციუსი ხედავდა სამი საწყისის – რომაულის, ქრისტიანულის და ბარბაროსულის შეჯახებას. შესაბამისად, მოვლენები მასთან ჩართულია ამ სამმაგ კონფლიქტში.

ისტორიის ქრისტიანული პერიოდი ლაქტანციუსისთვის იყო ე.წ. გაბატონებული პრინციპების მიგება, რომელიც დაკავშირებული იყო ანტიქრისტიანულ დევნასთან. ეკლესიის ისტორიის

თხრობისას მას არ აინტერესებს ქრისტიანული სამყაროს კონფლიქტის მიზეზები მმართველ ელიტასთან.

თხრობისას ისტორიკოსის ყურადღება ფორმულირდება ორი ობიექტის – ეკლესიის და იმპერატორების გარშემო. ლაკტანციუსის აზრით, ისტორია იყოფა ქრისტიანების მდევნელ (დიოკლეტიანე, გალერიუსი...) და არა მჩაგვრელ, მაგრამ ტირან იმპერატორებად (სევერუს ფლავიუსი, მაქსენციუსი...). აქედან გამომდინარე ღვთიური დასჯის პრინციპი ვრცელდება არა მარტო ეკლესიის, არამედ იმპერიის მტრებზეც. ნიშანდობლივია, რომ ისტორიის თხრობისას შურისძიების პრინციპის გამოყენება „ცუდი" იმპერატორების მიმართ, ამ პრინციპს ქმნის უნივერსალურად ლაკტანციუსის მთელი ისტორიული კონცეფციისთვის.

ლაკტანციუსი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა 312-313 წლებში მულვინის ხიდთან მაქსენციუს-კონსტანტინეს და ლიცინიუს-მაქსიმინუს შორის თრაკიაში სერენის მინდვრებზე მიმდინარე ბრძოლებს. ამ ბრძოლებში მონაწილე იმპერატორები (კონსტანტიმე და ლიცინიუსი) ისტორიკოსისთვის არიან ღირსეულები და მომთმენები. მაშასადამე, ლაკტანციუსის აზრით, ქრისტიანების მხარეზე მდგომი მომთმენი იმპერატორები მოიპოვებენ გამარჯვებას და ძალაუფლებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ რიგში იმპერიის აყვავების დაკავშირება იმპერატორების პირად კეთილგანწყობასთან, ამით ლაკტანციუსმა, არსებითად პირველი ნაბიჯი გადადგა ე.წ. „ქრისტიანულ პრაგმატიზმისკენ". ეკლესიის ისტორია ლაკტანციუსთან წარმოდგენილი იყო, როგორც პედაგოგიური პროცესი, რომელსაც მისი აზრით ხსნისკენ მიყავდა ქრისტიანები.

ლაკტანციუსის თხზულებების კომენტარები ხაზს უსვამენ, რომ მასთან შეინიშნება ქრისტიანული სწავლების და წარმართული ნააზრევის ნარევი. ეს არის მიზეზი, რის გამოც იგი არ შედის ეკლესიის „მამების" რიცხვში და რჩება მხოლოდ საეკლესიო მწერლად.

IV-V სს. მიჯნაზე რომის იმპერიაში ქრისტიანობამ დომინირებული პოზიცია მოიპოვა. ქვეყანაში მიმდინარე ეკლესიების ავტონომიზაციის პროცესებმა დასავლელი ინტელექტუალებისგან მოითხოვა მკითხველის ყურადღების მიპყრობა ბერძნული

ქრისტიანული ნააზრევისკენ. ასეთ ვითარებაში დას. რომის იმპერიაში ლაკტანციუსი ჩაანაცვლა და პოპულარობით სარგებლობდა ლათინურად თარგმნილმა ევსევი კესარიელის თხზულებებმა.

*ევსევი კესარიელი*

საეკლესიო მწერლებს შორის გამორჩეული ფიგურაა ევსევი კესარიელი (ბერძ. Εὐσέβιος τῆς Καισαρείας, ?275-339 წწ.). მისი მხრიდან ეკლესიის ისტორიისთვის მასალების მოპოვება-სისტემატიზაციისთვის გაწეული კოლოსალური საქმიანობის გამო იგი შეყვანილია ეკლესიის „მამების“ რიცხვში.

ევსევის ცხოვრებიდან ვიცით, რომ განათლება მას მიუღია პრესვიტერ პამფილუსთან. დიოკლეტიანეს მხრიდან ქრისტიანების დევნის პერიოდში იგი თავის მასწავლებელთან ერთად კესარიის ციხეში იყო გამომწყვდეული. თავდაპირველად მისი საქმიანობა იყო ხელნაწერების ინდენტიფიკაცია და კორექტირება, მაგრამ, თანდათან, იგი ჩამოყალიბდა მკვლევარ-არქივარიუსად. კესარიაში მან წამოიწყო ბიბლიის სრული ვერსიაზე მუშაობაზე. 313 წლის შემდგომ ევსევის ირჩევენ პალესტინის ქ. კესარიის ეპისკოპოსად. ამ რანგში მისი ყოფნის პირველ წლეების შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს. იმ მომენტისთვის ევსევი არ იყო ცნობილი ღვთისმსახური, მაგრამ მოპოვებული ჰქონდა ეკლესიის ისტორიაში განსწავლულის სახელი. ჩანს, ამ ფაქტმა განაპირობა, რომ ნიკეის საეკლესიო კრებაზე გამართულ დებატებში იგი უკვე წამყვან როლს თამაშობდა დოგმატური საკითხების გადაწყვეტისას. უფრო მეტიც, მის მიერ წარმოდგენილი ტექსტი საფუძვლად დაედო ნიკეის კრების რწმენის სიმბოლოს.



*ევსევი კესარიელი (გვიანდელი გრავიურა)*

ნიკეის საეკლესიო კრების შემდეგ ევსევი ჩათრეული აღმოჩნდა არიელებსა და ევსტაფე ანტიოქენელს შორის მიმდინარე პოლემიკაში. ევსტაფე ანტიოქელი ორიგენის ღვთისმსახურებაში და ბიბლიის ალეგორიული თხრობაში არიანობის საფუძველს ხედავდა. ევსევი ორიგენის დიდი თაყვანისმცემელი იყო, იგი ჩაება ამ პოლემიკაში, მაგრამ ევსტაფე ანტიოქენელმა მას დასწამა ნიკეის

კრების დოგმატებიდან გადახვევა. იმპ. კონსტანტინე I-ის წყალობით ევსევიმ შესძლო მაშინ პოზიციების გამაგრება და ევსტაფე ანტიოქენელთან კამათში გამარჯვებული გამოსვლა. ამის შემდეგ, ევსევიმ წამოიწყო კამპანია ათანასე დიდის და ეპისკოპის მარკელას წინააღმდეგ. ისინი ანტიარიანელთა წინააღმდეგ მებრძოლთა ლიდერები იყვნენ. ინტრიგების წყალობით მან შესძლო მათი გასახლება. ევსევი დიდება დიდხანს არ გაგრძელდა. 337 წელს გარდაიცვალა მისი მფარველი იმპ. კონსტანტინე. მალე მიიცვალა ევსევიც.

ევსევი კესარიელი პროდუქტული მოღვაწე იყო. მისი მრავალრიცხოვანი მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია დიდმა ნაწილმა. პროარიანული პოზიციის მიუხედავად, თავისი სტილის წყალობით, იგი რჩება უძვირფასეს საეკლესიო მწერლად. თუ თავდაპირველად ევსევის მიზანი იყო ბიბლიის კრიტიკული განხილვა, დიოკლეტიანეს მხრიდან ქრისტიანების დევნის შემდეგ, მისი ყურადღება გადაერთო წამებულთა ცხოვრების აღწერისკენ, რამაც იგი მიიყვანა საეკლესიო და მსოფლიო ისტორიების შექმნის კონცეფციისკენ.

რომში მიმდინარე არიანული შფოთისას ევსევი კონცენტრირებული იყო დოგმატურ საკითხებზე. იმპერიის ქრისტიანულ სახელმწიფოდ ფორმირებამ მოითხოვა ცალკეულ საკითხებზე აპოლოგეტური ხასიათის თხზულებების შექმნა. ევსევიც ამ მიმართულებით გადაერთო და სიცოცხლის ბოლო წლებში მოგვევლინა სასახლის კარის მწერლად და იმპ. კონსტანტინესადმი მიძღვნილ პანეგირიკული სიტყვების ავტორად.

ევსევის მემკვიდრეობაში ასევე შედის მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები, რომლების არ ექვემდებარება კლასიფიკაციას (წერილები, მისასალმებელი სიტყვები, ბიბლიის კომენტარები, ტრაქტატები ბიბლიურ არქეოლოგიაში, სხვადასხვა ექსგეტიკური სამუშაოები და ა.შ.). თეოლოგის საისტორიო ხასიათის ნაშრომებია: „ქრონიკა“ და „საეკლესიო ისტორია“. პირველი ერთდროულად თეოლოგიური და ისტორიული ხასიათის თხზულებაა. მასში ავტორის მიზანი იყო ისტორიული ფაქტებით ბიბლიური ცნობების დადგენა. იგი დაიწერა „საეკლესიო ისტორიის“ წინ და ორი ნაწილისგან შესდგება. პირველში მოცემული იყო მსოფლიო სხვადასხვა ხალხების (ეგვიპტელები, ბერძნები...) ისტორიის მოკლე თხრობა

ქრონოლოგიურ ჭრილში. მეორე ნაწილი -„ქრონოლოგიური კანონები“ - წარმოადგენდა კრებულს, რომელშიც სინქრონული ტაბულების ფორმით მოცემული იყო ბიბლიური აბრაამიდან მოყოლებული 325 წლამდე მიმდინარე ძირითადი მოვლენების ისტორია.

„საეკლესიო ისტორია“ ევსევიმ დაასრულა დაახლ. 323/4 წლისთვის. თხზულება ჩაფიქრებული იყო, როგორც უნივერსალური ქრონოლოგიური ისტორია მოციქულების დროიდან თანამედროვემდე. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ მხარეებზე: ეპისკოპოსთა მემკვიდრეობა, ქრისტიან მასწავლებელთა ისტორია, ერესის ისტორია, ებრაელების ისტორია, წარმართობასთან დამოკიდებულება და წამებულები. მიჩნეულია, რომ ევსევის „საეკლესიო ისტორია“ ეკლესიისთვის ისევე წონადი ნაშრომია, როგორც ჰეროდოტეს თხზულება საისტორიო მეცნიერებისთვის.

თხზულებაში მსოფლიო ისტორია დაყოფილია სახარებამდელი, სახარების შექმნის და მომდევნო, ანუ, როგორც ავტორი მიიჩნევდა მისი შედეგების ისტორიის პერიოდებად. არსებითად, ისტორიის სამ ნაწილად დაყოფით, ევსევიმ საფუძველი ჩაუყარა ისტორიის ქრონოლოგიის იმ პრინციპს, რომელიც შემდგომში ძველი და ახალი წელთაღრიცხვების სახით დამკვიდრდა სამეცნიერო წრეებში.

თხზულების შექმნისას ევსევი სარგებლობდა ფართო წყაროთმცოდნეობითი ბაზით, რომელთა უმეტესობა დაკარგულია. მას ხელი მიუწვდებოდა იერუსალიმის, კესარიის და სხვა ბიბლიოთეკებზე, თანამედროულ თეოლოგთა ნაშრომებზე და ოფიციალურ დოკუმენტებზე. ზოგი ცნობით, მას დაახლ. 250 სხვადასხვა პასაჟი აქვს გადაწერილი ადრეული წყაროებიდან. ასევე იგი პირადად იყო მომსწრე 303-310 წლებში მიმდინარე ქრისტიანთა „დიდი დევნის“, რამაც მის ნაშრომს განსაკუთრებულობა შესძინა. არსებითად, ევსევი იმ სიღრმით გადმოსცემს ისტორიას, როგორიც იყო იგი მისთვის ხელმისაწვდომი.

„საეკლესიო ისტორია“ ათი წიგნისგან შედგება: I წიგნში გადმოცემული იყო ქრისტეს ცხოვრება; II წიგნი დაეთმო მოციქულთა პერიოდს და ტიტუსის მიერ იერუსალიმის დანგრევის ისტორიას; III წიგნი მოიცავდა 110 წლამდელ ამბებს; IV და V წიგნები - II საუკუნეს მოიცავდა; VI წიგნი - სეპტიმიუს სევერუსის პერიოდს; VII წიგნი ეხებოდა III ს-ის მოვლენებს და მთლიანად დაფუძნებუ-

ლი იყო დიონისე ალექსანდრიელის ცნობებზე; VIII წიგნში მოთხრობილი იყო დიოკლეტიანეს მიერ მოწყობილ ქრისტიანთა „დიდი დევნაზე“; IX წიგნი შეიცავდა კონსტანტინეს მაქსენციუსზე გამარჯვების ისტორიას და X წიგნი მთავრდება ლიცინიუსზე გამარჯვებით. ასეთია „საეკლესიო ისტორიის“ სტრუქტურა. უნდა შევნიშნოთ, რომ ევსევის მიერ გადმოცემული ცნობები არ არის ერთგვარი და სისტემური. ზოგი წიგნი საერთოდ წარმოადგენს შემთხვევითი ცნობების ნაკრებსაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის ევსევისეული ქრისტიანობამდელი ისტორიის შესახებ სხვადასხვა კონცეფციების გადმოცემის ცდები. გამოყოფენ ე.წ. ოპტიმისტურ, პესიმისტურ, ალეგორიულ, მაკროციკლურ და სტატიკურ კონცეფციებს. მიიჩნევენ, რომ ევსევის მხრიდან ისტორიის განხილვა, როგორც აღმავალ მოძრაობად ბარბაროსობიდან ე.წ. „მორალურ ცივილიზაციამდე“, რაც გამოიხატებოდა სახარების გავრცელებით არის ოპტიმისტური კონცეფციის გამოხატულება. რაც შეეხება მის პესიმისტურ მხარეს, იგი ჩანს ევსევის მხრიდან ისტორიის ზნეობრივი დაცემის და აღორძინების პერიოდებად დაყოფაში და ა.შ.

ევსევის აპოლოგიური და დოგმატური თხზულებები მთლიანად დაკარგულია. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ რამდენიმეს სათაური – „ორიგენის აპოლოგია“, „ფილარეთის სიტყვა“, „სახარებისთვის მზადება“, „სახარების სასარგებლოდ მტკიცება“ და ა.შ.

ბიბლიაზე მიძღვნილი ევსევის ნაშრომებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ „ონომასტიკამ“. ძირითადში იგი ბიბლიაში დაცული გეოგრაფიული ადგილების ცნობარია. რაც შეეხება ბიბლიურ არქეოლოგიაზე მიძღვნილ ნაშრომებს, ისინი მთლიანად დაკარგულია. ევსევი მიჩნეულია კონსტანტინე დიდის ეპოქის ისტორიოგრაფად. მისი „კონსტანტინეს ცხოვრება“ ცხარე კამათის საგანია, რადგანაც მას ბრალდება საბუთების ფალსიფიკაცია. ევსევის შემოქმედების მიმართ ცხარე კამათის მიუხედავად, ფაქტია, რომ იგი მიჩნეულია საეკლესიო ისტორიოგრაფიის ჟანრის შემქნელი.

*რუფინუს ტურანიუსი*

აქვილეის პრესვიტერი რუფინუს ტურანიუსი (ლათ. Rufinus, 340/345-410 წწ.) გახლდათ საეკლესიო ღვთისმსახური და ისტორი-

კოსი. იგი უმეტესად ცნობილი იყო, როგორც ბერძნულიდან ლათინურ ენაზე ორიგენის მთავარი დოგმატური თხზულების და ევსევი კესარიელის „ეკლესიის ისტორიის“ მთარგმნელი.

რუფინუსი წარმოშობით იყო აქვილეიდან. ერთი პერიოდი იგი მოღვაწეობდა ალექსანდრიაში, სადაც დაუახლოვდა მაკარიუს უფროსს და სხვა განდეგილებს. ამის შემდეგ მას ბეთლემსა და იერუსალიმში ვხედავთ, სადაც მთელი არსებით ჩაეფლო ბერძნული ღვთისმსახურების კვლევაში. 90-იან წლეებში რუფინუსი რომშია. ვინაიდან, „მარადიულ ქალაქში“ დიდი ინტერესი გამოიწვია იმპერიის აღმოსავლეთში მიმდინარე თეოლოგიურმა კამათმა, რუფინუსმა ორიგენისთვის დაიწყო ლათინურ ენაზე რიგი თეოლოგიური თხზულებების თარგმნა.

რომის „ქრისტიანულ იმპერიად“ გარდაქმნამ იმპერატორები შიდა საეკლესიო ბრძოლების მონაწილეები გახადა. ამ ფაქტმა თანამედროვეებისგან მოითხოვა ეკლესიის და მის გარშემო მიმდინარე პროცესების განხილვა მაქსიმალურად ისტორიულ ჭრილში. მაშასადამე, უკვე საეკლესიო ისტორია განიხილებოდა, როგორც მოვლენების ისტორია. სწორედ ამით უნდა აიხსნას რუფინუსის და მისი მიმდევრების ინტერესი აღნიშნული საკითხისადმი, რაც ევსევი კესარიელთან შედარების წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

რუფინუსის მიერ თარგმნილ „ეკლესიის ისტორიაში“ დაცულია კონსტანტინე დიდის მოღვაწეობამდელი საეკლესიო წარსულის შესახებ ევსევი კესარიელისეული ყველა ძირითადი ისტორიოგრაფიული იდეები. რუფინუსმა ამ ნაშრომს გაგრძელების სახით დაუმატა ორი წიგნი. იგი ნიკეის საეკლესიო კრების დადგენილების მხარდამჭერი იყო. ამიტომაც ეკლესიაში მიმდინარე პროცესები მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ორთოდოქსალური პარტიის შეურიგებელი ბრძოლა ერესის და წარმართობის წინააღმდეგ. ეკლესიის აღქმას რუფინუსი ცდილობდა IV ს. რელიგიურ ცხოვრებით, რაც მისი აზრით, გამოიხატებოდა ეკლესიის მისწრაფებით ეწარმოებინათ ბრძოლა უცხოსა და ურწმუნოების წინააღმდეგ. პრესვიტერისთვის მიუღებელი იყო წარმართების და ერეტიკოსების გამოსწორების იდეა. ჭეშმარიტებისთვის ბრძოლაში რუფინუსი უპირატესობას ანიჭებდა მართლმადიდებლობის ლიდერებს, რითაც იგი მნიშნელოვნად აკნინებდა მაღალი საზოგადოების მმართველების როლს. რაც შეეხება ეკლესიის ისტორიაში

ღმერთის როლის აქტიურად ჩართვას, ამით, რუფინუსი თავის ისტორიულ ოპტიმიზმს ჭეშმარიტებად აქცევდა. არსებითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუფინუსის მიერ გადმოცემული მატიანე არის, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების მუდმივი გამარჯვების ისტორია. მისი დამსახურება იყო დასავლეთისთვის ლათინურ ენაზე დიდი ბერძენი საეკლესიო მამების ნააზრევის თარგმანების გაცნობა.

*სულპიციუს სევერუსი*

ლათინ ქრისტიან ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სულპიციუს სევერუსს (ლათ. Sulpicius Severus, 363-410/429 წწ.). მას ეკუთვნის რამოდენიმე ნაწარმოები ეპისკოპოს მარტინ ტურელის (316-397 წწ.) ცხოვრების შესახებ და ორ წიგნად „ისტორია“, რომელიც ასევე „წმინდა ქრონიკის“ სახელითაც არის ცნობილი. ამ უკანასკნელს საფუძვლად დაედო ევსევი კესარიელის და ნეტარე იერონიმის (342-?420 წწ.) თხზულებები.

სულპიციუსი ერთადერთი ლათინი ქრისტიანი მწერალია რომელიც შეეცადა შეექმნა მსოფლიო ისტორია. მის ნაშრომში თხრობა იწყება სამყაროს შექმნიდან და საუბარი მიყვანილია სტილიხონის კონსულობამდე, 410 წლამდე. თხზულებას თვალს თუ გადავავლებთ დავინახავთ, რომ არსებითად მისი ნაშრომი არის დასავლური ეკლესიის ისტორია. მისი ნაშრომი არ არის უნივერსალური ისტორია, რადგან თვით ავტორი იყო მხოლოდ ქრონისტი. აიღო რა ბიბლიური ტექსტები საფუძვლად, სულპიციუსმა, შესძლო შეექმნა ტრადიციული ქრონიკა, რომელიც მთავარი წყაროა გალიაში არიანობის, ესპანეთის და რომის ისტორიის შესწავლის საკითხში. საისტორიო პროცესების კანონზომირებად სულპიციუსი განიხილავდა ღვთაებრივ და ადამიანურ საწყისს. რაც შეეხება ძველი აღთქმის და ქრისტიანობის ისტორიას, ისინი მასთან ექვემდებარებიან ერთიან კანონებს. სულპიციუსი წერდა გამართული ლათინური ენით და წერის ელეგანტური სტილის გამო მას სალუსტიუსს ადარებდნენ, ხოლო შუა საუკუნეებში მის ისტორიას სახელმძღვანელოდ იყენებდნენ.

*გ) ისტორიოგრაფია*

ისტორიოგრაფიის შესწავლის ობიექტია არა ისტორიული განვითარების პროცესები, არამედ საისტორიო აზრის ისტორია.

თუ ძველი რომის ისტორიის შესწავლის ობიექტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება დაწყებული ძვ.წ. II ათასწლეულიდან ახ.წ. 476 წლამდე, სამაგიეროდ, ისტორიოგრაფია იკვლევს შუა საუკუნეებში და ახალ დროში ძველი რომის ისტორიის შესახებ არსებულ სხვადასხვა კონცეფციებს, მიმდინარეობებს და მეცნიერ-მკვლევართა პუბლიკაციებს.

ტერმინ „ისტორიოგრაფიას“ ორმაგი გაგება აქვს: 1) მას განიხილავენ სხვადასხვა ეპოქის საისტორიო ნაწარმოებების ერთობლიობად და 2) როგორც საისტორიო მეცნიერების განვითარების ისტორიას. მაგ., როდესაც საუბარია „განმანათლებლობის ეპოქის ისტორიოგრაფიაზე“, ამ შემთხვევაში ტერმინი „ისტორიოგრაფია“ იხმარება განსახილველი ეპოქის საისტორიო ნაწარმოებების ერთობლიობის მნიშვნელობით. რაც შეეხება „ისტორიოგრაფიის კურსზე“ საუბრისას, მაშინ მხედველობაში აქვთ მხოლოდ საისტორიო მეცნიერების განვითარება.

ისტორიოგრაფიის განვითარება ორგანულად არის დაკავშირებული კონკრეტული საისტორიო პროცესის შემეცნებასთან. მისი ამოცანაა განმარტოს საისტორიო პროცესების ერთი ასპექტის პოპულარობა და სხვა დროში მათი მეორე პლანზე გადატანის მიზეზები.

კვლევის განსხვავებული მიზნების და მეთოდების მიუხედავად, ისტორიოგრაფია კავშირშია წყაროთმცოდნეობასთან. საქმე იმაშია, რომ ყოველ ეპოქაში მომხდარი წყაროთა წრის გაფართოება და მათი კრიტიკული გამოყენება, არა მარტო განსაზღვრავენ კონკრეტული პრობლემის დამუშავებას, არამედ გამოხატავენ საისტორიო აზროვნების ზოგად სურათსაც.

ისტორიოგრაფიამ, როგორც ცოდნის დამოუკიდებელმა დარგმა, გამოკვეთილი სახე ჰეროდოტეს შემოქმედებაში მიიღო. ორიათას ხუთასი წლის ისტორიის მიუხედავად, როგორც დარგი იგი გვიან ჩამოყალიბდა. ამის მიზეზი იყო საზოგადოებრივი აზროვნების ზოგადი დონე და გაბატონებული ისტორიულ-ფილოსოფიური სისტემები. მხედველოვაში ისიც არის მისაღები, რომ ისტორიოგრაფიის განვითარებაზე გავლენას ახდენდა ტრადიციული, ანდა ახალ კონცეფციაზე გაცოცხლებული ძველი თეორიები.

მსოფლიო მეცნიერებაში ძველი რომის ისტორიის წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის საკითხების კვლევას თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მისი შესწავლა იწყება V ს., დას. რომის იმპერიის განადგურების შემდგომი დროდან. ამ ხნის მანძილზე საისტორიო მეცნიერებამ შინაგანი ევოლუცია და რიგი სტადიები გაიარა. V-VII სს. ევროპულ საისტორიო აზროვნებაში ე.წ. რეაქციის პერიოდი იყო. ამ დროს ერთბაშად წერტილი დაესვა ანტიკურობის გაგებას და შესაბამისად მიივიწყეს რომაული ისტორიოგრაფიის ყველა მიღწევები.

საისტორიო აზროვნებაში შედარებითი გამოცოცხლება - იწყება IX ს., თუმცა კვლევებს ემპირიული სახე ჰქონდა. პრინციპში, ევროპაში მაშინ სხვა ღირებულებები იყო. მათ არც იცოდა ძველი რომის ისტორია და თუ მაინც ხდებოდა მისი ხსენება, იგიც მისადაგებული იყო ბიბლიურ სქემებთან. ნეტარი ავგუსტინეს და კათოლიკური ეკლესიის სხვა „მამების“ წყალობით, ძველი რომის ისტორიას განიხილავდნენ მხოლოდ ბიბლიურ-ქრისტიანულ მიმართებაში. აქ საერთოდ ზედმეტი იყო რაიმე სამეცნიერო საკითხზე საუბარი. ადრეულ შუა საუკუნეებში ისტორიზმის პრინციპი იგნორირებული იყო და ანტიკური საისტორიო აზროვნების ყველა მიღწევა (მსოფლიო ისტორიების წერა...) დავიწყებას მიეცა. ზოგჯერ საქმე ანაქრონიზმამდეც მიდიოდა - რომის კონსულებს მეფეებად იხსენიებდნენ, ხოლო მათ მეუღლეებს დედოფლებად. ასევე სჯეროდათ, რომ რომის იმპერია არსებობდა სხვა განზომილებასა და ადგილმდებარეობაში.

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის იდეოლოგიური დაპირისპირების გარდა, იყო სხვა ობიექტური გარემოებებიც, რაც ზღუდავდა ბიზანტიიდან ძველი რომის ისტორიის შესახებ ინფორმაციების გავრცელებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. საქმე იმაშია, რომ X-XI სს. ევროპისკენ მიმავალი სახმელეთო გზა კონსტანტინოპოლიდან ბალკანეთსა და დუნაისპირეთში გადაკეტილი ჰქონდათ ბარბაროს ტომებს. დარჩენილი იყო მხოლოდ საზღვაო გზა, რამაც შეამცირა შესაძლო კონტაქტები და გაართულა კულტურათა ურთიერთგაცვლა. ევროპელებს ვერ წარმოედგინათ, რომ ბიზანტიელები შესაძლოა ძველი რომის მემკვიდრეები ყოფილიყვნენ. სირთულეს ქმნიდა ენობრივი ბარიერი. მაგ., დანტემ და ადრეული თაობის ჰუმანისტებმა არ იცოდნენ ბე-

რძნული ენა და აქედან გამომდინარე მათვის უცნობი იყო ბიზანტიური საისტრიო ნააზრევი. თავის მხრივ, ბიზანტიელი სწავლულები ლათინურ ენას სწავლობდნენ მხოლოდ თომა აქვინელის (1225-1274 წწ.) და სხვა საღვთისმეტყველო ნაწარმოებების თარგმნისთვის. გაუცხოების შედეგად X-XV სს. ევროპისთვის ძველი რომის უფრო მახლობელი რჩებოდა ვიდრე ბიზანტიური ცივილიზაცია.

1204 წელს ლათინების და განსაკუთრებით 1453 წელს ოსმალების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობების შემდეგ ბიზანტიელ მეცნიერთა ნაწილმა თავი დასავლეთ ევროპას შეაფარა, სადაც ჩაიტანეს ბიზანტიური (რომაული) საისტორიო ნააზრევის მიღწევები. მართალია ბიზანტიელი მემატიანების მხრიდან ძველი რომის ისტორიის შესწავლას ბერძნული ელფერი დასდევდა, მაგრამ მთავარი იყო, რომ იმ მომენტისთვის მათ შესძლეს ანტიკურობის შესახებ ინტერესის გააღვიძება და ემპირიულ სტადიაზე მყოფ ევროპულ საისტორიო ნააზრევის განვითარებისთვის ბიძგის მიცემა.

პაპების მისწრაფებები, რომ რომი გადაექციათ დას. ევროპის რეგიურ ცენტრად, ირიბად ხალხის ცნობიერებაში ხელს უწყობდა წარსული დიდების აღორძინების საქმეს. 1300 წელს პაპმა ბონიფაციუს VIII (1294-1303 წწ.) კათოლიკურ სამყაროში დაამკვიდრა ტრადიცია, რომლითაც პილიგრიმებს ნება მიეცათ კალენდარული წლის მანძილზე დარჩენილი იყვნენ რომში. მომლოცველების ნაწილი იყო ცნობადი და მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები. ნება მიეცათ მათ შორის იყვნენ სწავლულებსაც, რომლებიც მოგზაურობის პროცესში ეწეოდნენ არქეოლოგიური სიძველეების და ძველი ხელნაწერების შესწავლას. საზოგადოებისგან მალულად მსგავს საქმიანობას ეწეოდნენს პაპის კანცელარიის მდივნები, რომელთა მითითებით კურიას დაევალა ძველი ხელნაწერების კოლექცებიის შედგენა, ანტიკური მონეტების შეგროვება, ქანდაკებების და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშების სისტემატიზაცია და შენახვა, რომის და მიმდებარე ტერიტორიაზე არქიტექტურული ძეგლების შესწავლა და ა.შ.

XIII-XIV სს., რენესანსის დროიდან, ევროპულ საისტორიო აზროვნებაში იწყება ძველი რომის ისტორიის შესწავლისადმი მეცნიერული მიდგომა. ასპარესზე გამოსულმა ჰუმანისტებმა პაპი-

ზმის დოქტრინასთან ჭიდილის ფონზე საფუძველი ჩაუყარეს წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევის პირველ სახეს. რენესანსის დროს ინტენსიურად იწყება ძველი დოგმების ძირეული ცვლილება. ამასთან, საისტორიო აზროვნება ითხოვდა აბსტრაქტული მსჯელობების შეცვალას კონკრეტულით.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისთვის მახასიათებელი იყო ანტიკური ნიმუშებზე მიბაძვა. ადრეულ შუა საუკუნეებში ამისთვის გამოიყენებოდა „ბიბლია". აღორძინების დროს ისტორიკოსები შეეცადნენ ყოფილიყვნენ მეტი რიტორები და ჰქონოდათ უფრო დრამატული თხრობის სტილი. ჰუმანისტების პირველ თაობას ენობრივი ბარიერები ჰქონდათ. მათ ბერძნული ენა ნაკლებად იცოდნენ და ამიტომაც რომაული ნაშრომები, განსაკუთრებით ლივიუსი, სანიმუშო თხზულებად მიიჩნეოდა. განსხვავებული გახდა მასალის შეგროვების პრინციპიც. ჰუმანისტი მწერლები ნაკლებად ჩერდებოდნენ ამა თუ იმ ქვეყნის, ანდა ხალხის შინაგან მხარეზე, მათ აინტერესებდათ იგივე პრობლემატიკა რაც კლასიკური ეპოქის მწერლებს - ეს იყო ომების და პოლიტიკური გადატრიალებების ისტორია.

იყო ერთი ნიშანი რაც გამოარჩევდა ჰუმანისტებს - ყველა ისინი იყვნენ ძველი ხელნაწერების დაუღალავი „მონადირეები". მათი დამსახურება იყო, არა მარტო ანტიკური მანუსკრიპტების პოვნა, არამედ თანადროული ეპოქის სხვა ქრონიკების გადარჩენაც. ისინი აწყობდნენ ექსპედიციებს, მათ შორის კონსტანტინოპოლშიც და ამ საქმეს ხშირად საკუთარი ფინანსებით აკეთებდნენ. მათ გამძაფრებული ჰქონდათ ხელნაწერების შეგროვების და მათი დამუშავება-სისტემატიზაციის ჟინი. თავისი საქმიანობით ისტორიკოს-ჰუმანისტებმა მომდევნო თაობების მეცნიერებებს დაუტოვეს ფაქტებით და წყაროებით მდიდარი მასალა, რომლებიც მანამდე უცნობი იყო.

ჰუმანისტების კვალდაკვალ ძველი რომის ისტორიის კვლევის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს განმანათლებლებმა. მაშინდელ საისტორიო აზროვნებაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებები განაპირობა ზუსტი მეცნიერებების განვითარებამ და კაპიტალიზმის გაბატონებამ. საქმე იმაშია, რომ ეპოქის მოთხოვნებიდან გამომდინარე ისტორიის ძველ პერიოდზე საზოგადოებას უკვე სჭირდებოდა ზუსტი და კონკრეტული შეხედულებები. ასეთ ფონზე, თანდათან, ბიბლიური სქემები და პაპიზმის დოქტრინები

მეორე მხარეს გადაიწია. თუ ჰუმანისტებმა მხოლოდ გააღვივეს ინტერესი ანტიკურობის შესახებ და სამყაროს შექმნა-განვითარების საქმეში ღმერთის როლს დუმილით გვერდი აუარეს, განმანათლებლებმა პირიქით, მათ უარყვეს მისი როლი ისტორიის საქმეში. XVI-XVII სს. განმანათლებლების წყალობით საისტორიო მეცნიერებაში შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებიდან ზოგი დღესაც სამაგიდო ნაშრომებად ითვლება.

XIX-XX სს. მიჯნაზე თეოდორე მომზენის, ეტორე პაისის და სხვა მეცნიერის მეოხებით ანტიკურ ისტორიოგრაფიაში პოპულარული გახდა ჰიპერკრიტიკული მიმდინარეობა. იგი, როგორც მეთოდი წყაროების სანდოობის დადგენის საფუძველს იძლეოდა და ასაბუთებდა მათში არსებულ არსებით შეცდომებს. ჰიპერკრიტიკული მიმდინარეობის მიმდევრებმა ზოგადად უარყვეს ძველი ბერძნულ-რომაული საისტორიო ტრადიციების რეალობა. მათი მხრიდან კრიტიკის ძირითადი მიზეზი იყო სხვადასხვა წყაროებში მნიშვნელოვანი სხვაობების პოვნა.

დღეისთვის ძველი რომის ისტორიის რიგი საკითხების შესახებ გვაქვს დეტალური ინფორმაცია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ძველი რომის ისტორიას უკვე კომპლექსურ ფორმატში სწავლობენ არა მარტო იტალიელები, არამედ მას იკვლევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები, ფილოლოგები, იურისტები და ა.შ. საისტორიო აზროვნების განვითარების 15 საუკუნეზე მეტი ტრადიციის ფონზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა სკოლები (იტალიური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და რუსული), რომლებიც წარმართავენ კვლევის მსოფლიო კარდინალურ ხაზს. მართალია ისინი ვითარდებოდნენ ცალ-ცალკე, მაგრამ მათ აერთიანებთ მთავარი მიზანი – ძველი რომის ისტორიის შესწავლა.

ნაშრომში ისტორიოგრაფიული საკითხები დალაგებულია არა ეპოქების, არამედ სკოლების მიხედვით. მათ გვერდით ნახსენები გვაქვს ქართულ სკოლაც. მიგვაჩნია, რომ მოკრძალებული წვლილის მიუხედავად, მკითხველი ვალდებულია იცოდეს ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეში ქართველი მეცნიერების წვლილი.

*იტალიური ისტორიოგრაფია*

იტალიელების დაინტერესება ძველი რომის ისტორიის შესწავლით შემთხვევითი არ იყო და იგი სათავეს იღებს რენესანსის პერიოდიდან. ამ შემთხვევაში იტალიელებისთვის ამოსავალი იყო

ნაციონალური თავმოყვარეობა და ბრძოლა პაპიზმის დოქტრინის წინააღმდეგ. XIX ს-მდე იტალიას არ ჰქონდა ერთიანი სახელმწიფო. არადა, ძველი რომის სიდიადე, რომლის ნანგრევები მნახველს აღაფრთოვანებდა, იტალიელებში ყოველთვის აღძრავდა სამშობლოს აღორძინების იდეას. ამიტომაც იყო, რომ ძველი რომის ისტორიის პირველი თაობის შემსწავლელი ჰუმანისტები თავიანთ თავს თვლიდნენ რომაელ რესპუბლიკელად.

იტალიაში ჰუმანისტური საისტორიო აზროვნება ძირითადში ფლორენციასა და ვენეციაში ლოკალიზდებოდა, რაც ქალაქების სოციალური და პოლიტიკური განვითარებით იყო განპირობებული. ორივე სკოლას თავისი ნიშა ჰქონდა. მაგ., XIV ს. ფლორენციაში გავრცელებული იყო მანუფაქტურული სამრეწველო კაპიტალიზმის ადრეული ტიპი და მის ნიადაგზე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლები. ამის გარდა, ფლორენციაში არსებული მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ხელს უწყობდა სიტყვის დიდ თავისუფლებას. სწორედ ფლორენციაში მოხდა „ქრონიკის“ ჩანაცვლება ტერმინ „historia“-თი.

რაც შეეხება ვენეციას, იქ ისტორიოგრაფიას იგივე დატვირთვას ანიჭებდნენ, რასაც დიპლომატიას. მათვის ისტორიოგრაფია დიპლომატიური ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდი იყო. ვენეციაში არ იყო პოლიტიკური თავისუფლება. ქალაქში იყო პრივილეგირებული მცირერიცხოვანი არისტოკრატთა ჯგუფი, რომლებსაც ხელში ეკავათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძაფები. ვენეციის მმართველი არისტოკრატია არ იყო დაკავებული ისტორიული ნაშრომების წერით და ყოველივეს ისინი სპეციალურად მოწვეულ უცხოელ მკვლევარებს კარგ ფასად უკვეთავდნენ. შემკვეთის კვალდაკვალ, დაქირავებული ისტორიკოსები, თავიან საქმეს რიტორიკული სკოლის სტილში აკეთებდნენ. მათ განსაზღვრული ჰქონდათ თემები და წერდნენ მხოლოდ იმას, რასაც დამკვეთი მიუთითებდა. ვინაიდან მათვის დაკეტილი იყო ქალაქის არქივი და ამიტომაც მათ მიერ წარმოდგენილი ნაშრომები ძირითადში იყო უშინაარსო და აპოლოგეტური ხასიათის.

ახალი და არსებითი რაც მკაფიოდ გამოარჩევდა აღორძინების ხანის ისტორიოგრაფიას იყო საეკლესიო მსოფლმხედველობასთან კავშირის გაწყვეტა. თუმცა იტალიელ ჰუმანისტებში მეცნიერებას და რელიგიურ მსოფლმხედველობას შორის ღია კონფლი-

ქტი მაინც არ ჩანს. ანტიკური რომის ისტორიის შესწავლა იტალიელ ისტორიკოს-ჰუმანისტებში მოდიოდა რაციონალიზმის და შუა საუკუნეების სქოლასტიკურ აზროვნებას შორის ჭიდილის ფონზე. ვინაიდან ერთბაშად რთული იყო ბიბლიური სქემების უარყოფა, ამიტომაც ისტორიკოს-ჰუმანისტთა ნაწილი მაინც შეეცადა ისინი გაერთიანებინა. ასეთ ფონზე, იტალიაში ძველი რომის ისტორიაზე პირველადი წარმოდგენების შექმნა დაიწყო ანტიკურ ავტორთა ხელნაწერების ძიებით, ანუ იმით რაც აკრძალული იყო პაპიზმის დოგმებით. ძველი მანუსკრიპტების ერთ-ერთი აქტიური „მონადირე" გახლდათ ცნობილი ჰუმანისტი ფრანჩესკო პეტრარკა.

პეტრარკა (1304-1374 წწ.) მიჩნეულია ჰუმანისტური ანტიკური ისტორიოგრაფიის პიონერად. იგი გახლდათ პაპის დიპლომატი და გველფების (პაპისტები) პარტიის წევრი. გველფების სოციალური დასაყრდენი იყო ვაჭარ-ხელოსანთა ფენა და სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში ჩაბმული თავადაზნაურობა. პეტრარკას იდეალი იყო ერთიანი იტალია, რისთვისაც იგი აქტიურად ეწეოდა რესპუბლიკის აღდგენის იდეების ქადაგებას. ჰუმანისტის მოქალაქეობრივი მრწამსი ნათლად გამოჩნდა 1347 წლის კოლა დი რიენცის (1313-1354 წწ.) აჯანყებისას, რომელსაც იგი მხურვალედ მიესალმა. 1351 წლიდან პეტრარკა იწყებს ანტიპაპური ტრაქტატების - „ინვექტივების" წერას. საპასუხოდ, მისი ვერგილიუსით გატაცების გამო ეკლესიამ იგი ჯადოქრად შერაცხა. ანტიკურობისადმი ჰუმანისტის გატაცების მანიშნებელია ის ფაქტი, რომ 1374 წელს, როდესაც პეტრარკა საწერ მაგიდასთან გარდაცვლილი ნახეს, კალმით ხელში იგი მუშაობდა კეისრის ცხოვრების აღწერაზე.



*ფრანჩესკო პეტრარკა*

„მარადიული ქალაქი" პეტრარკამ პირველად 1337 წელს იხილა. შემდგომში იგი წერდა: „რომი კიდევ უფრო დიდი და დიადი მომეჩვენა, ვიდრე წარმომედგინა... მე აღარ მიკვირს, რომ რომმა მსოფლიო დაიპყრო, უფრო ის გამკვირვებია, რომ მან ეს საქმე ასე გვიან რატომ გააკეთა". რომსა და მის შემოგარენში პეტრარკას დახვდა ანტიკური ლეგენდების „გროვა", საიდანაც იგი შეეცადა აერჩია ის, რაც მას მიაჩნდა „ისტორიულ სინამდვილედ". წარსუ-

ლის დიდებული ძეგლების ნაცვლად პეტრარკას თვალწინ გაშლილი იყო გაურკვეველი წარმოშობის ნანგრევე-ბი. ამის გამო იგი სინანულით წერდა: „სად არის დიოკლეტიანეს და კარაკალას აბანოები?... სად არის კაპიტოლიუმელი მეხთმტყორცნელი იუპიტერის საკურთხეველი?... სად არის გაიუსი და ლუციუსის ბაზილიკა, სად არის ლივიუსის პორტიკი და მარცელუსის თეატრი?... სად არის აგრიპინას ურიცხვი ნაგებობები, რომლებისგანაც შემორჩენილია მხოლოდ პანთეონი? სად არის იმპერატორების ბრწყინვალე სასახლეები? არადა, წიგნებში ნახულობ ყველაფერს, ხოლო, როცა მათ ეძებ ქალაქში, ხედავ, რომ ისინი გაქრნენ ანდა მათგან დარჩა მხოლოდ საცოდავი კვალი“. ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ თანადროული რომი პეტრარკას ანცვიფრებდა. მას ვერ გაეგო, რატომ იყო კოლიზეუმი ერთ-ერთი ფეოდალის ციხე-სიმაგრე, ანდა „ანდრიანეს მავზოლეუმი“ და ა.შ.

პეტრარკა პროდუქტული მკვლევარი იყო. მისი მემკვიდრეობა იყოფა იტალიურ და ლათინურ შემოქმედებად. ჰუმანისტმა არ იცოდა ბერძნული ენა და ამიტომაც მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო ანტიკური რომისკენ. პლუტარქესეული მიმბაძველობით პეტრარკამ ლათინურ ენაზე შექმნა ნაშრომი - „სახელოვან მამაკაცთა შესახებ“ (1337 წ.). მასში რომულუსიდან კეისრამდე 21 პოლიტიკური მოღვაწეების ბიოგრაფიების ფონზე გადმოცემული იყო თანადროული პერიოდის რომის ისტორია. ნაშრომში იყო პიროსის, ალექსანდრე მაკედონელი და ჰანიბალის ბიოგრაფიები.

ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ აღნიშნული ნაშრომით პეტრარკამ ყველაზე ნაკლებ იზრუნა ისტორიაზე. უფრო მეტად ეს იყო წიგნი, რომელშიც XIV ს. იტალიის მდგომარეობის საპირწონედ გამოცემული იყო რომულუსიდან კეისრამდე რომის სიდიადის სურთი. ნაშრომის განსაკუთრებულობა იყო ჰუმანისტის მხრიდან მასში შემოტანილი კრიტიკა, რაც იყო ინოვაცია და ამით იგი განსხვავდებოდა ადრეულ შუა საუკუნეებში არსებული ისტორიოგრაფიული ტრადიციისგან. პირველ რიგში პეტრატკა შეეცადა ისტორიული პერსონები წარმოედგინა შუა საუკუნეობრივი ლეგენდების გარეშე. თუმცა პეტრარკასეული კრიტიკა მაინც ზედაპირული იყო და მას მეორე უკიდებურესობა ჰქონდა - იგი ბრმად ენდობოდა ანტიკურ წყაროებს.

პეტრარკას ასევე ეკუთვნოდა თხზულება - „სახელოვან ქალთა შესახებ“, რომელშიც მოცემული იყო ძველი სამყაროს 105 ქალთა ბიოგრაფია. მასვე ჰქონდა ეპიკური პოემა „აფრიკა“ (1339-1342 წწ.), რომელშიც ლეგენდარული სციპიონ აფრიკელის საგმირო საქმეებზე ხოტბა იყო შესხმული

ჰუმანისტის დამსახურება იყო ციცერონის, ლივიუსის და სხვა ანტიკურ ავტორების ნაწარმოებების აღმოჩენა. მაგ., როდესაც მან 1345 წელს ვერონაში აღმოაჩინა ციცერონის წერილები, იგი გაოცებული დარჩა, რადგანაც რომაელი ორატორი მის წინაშე წარსდგა, როგორც „მუდმივად მოუსვენარი ბრძენკაცი“, რომელსაც წილად ხვდა „ბრძოლა და უნაყოფო შუღლი“.

პეტრარკას დამსახურება ჰუმანიზმის ისტორიაში იყო ადამიანთა შინაგანი ცხოვრების ყველა მხარის მიმართ ინტერესის გაღვივება. წარსულის და თანამედროვეობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, ანტიკურ ლიტერატურაში საფუძვლების და დასაყრდენის ძიების ცდები, მას სჭირდებოდა რათა გამოემუშავებინა მსოფლმხედველობითი სიახლეები და მოეძია მისთვის არგუმენტები ეპოქის შესაბამისი ახალი მოთხოვნილებების გამართლებისათვის.



*პოჯო ბრაჩოლინიი*

ძველ რომაელ ავტორთა თხზულებების ძიებაში პეტრარკას საქმის წარმატებით გამგრძელებელი იყო პოჯო ბრაჩიოლინი (1380-1459 წწ.). იგი იყო მწერალი, ძველი მანუსკრიპტების აქტიური შემგროვებელი და ქ. ფლორენციის კანცლერი. პოჯო ასევე მიჩნეულია რომანული შრიფტის ავტორად. ჰუმანისტებთან მისმა სიახლოვემ და რომში პაპის კურიაში მუშაობამ მასში გააღვივა სიძველისადმი სიყვარული. ძველი მანუსკრიპტების ძიებისთვის პოჯომ საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების მონასტრებში რამდენიმე წარმატებული ექსპედიციები მოაწყო. მარტო კონსტანტინოპოლში იგი ოთხჯერ იმყოფებოდა. მას ეკუთვნის ამიანე მარცელინუსის, ვიტრუვიუსის, პეტრონიუსის, კვინტილიანეს და სხვების თხზულებების პოვნა.

ადრეული ჰუმანისტების დამსახურება იყო არა მარტო მონასტრებში ხელნაწერების ძიება, ანდა დედნების კონსტანტინო-

პოლიდან ჩამოტანა, არამედ მათი პუბლიკაციაც. იტალიის სხვადასხვა ქალაქებში დაწყებული სასტამბო საქმით პირველ რიგში მიდიოდა ბერძენ-რომაელ ავტორთა ნაწარმოებების პუბლიკაცია. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის ალდუს მანუციუსს (1449-1515 წწ.). მის მიერ ვენეციაში წამოწყებულმა საგამომცემლო საქმემ - „ალდინების სახლის“ სახელით იარსება XVI ს. მიწურულამდე. შრიფტების სილამაზემ და შესანიშნავმა მხატვრულმა გაფორმებამ „ალდინების სახლში“ დაბეჭდილი პუბლიკაციები აღორძინების პერიოდის წიგნის ბეჭდვის საქმეში შედევრებად მიიჩნევა.

საგამომცემლო საქმე მანუციუსმა ელინური წიგნების ბეჭდვით დაიწყო, რადგანაც იგი თვლიდა, რომ მათ „დაღუპვა და დავიწყება ელოდათ“. მის მიერ ბერძნულ ენაზე შესრულებული გამოცემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო არისტოტელეს თხზულებების ხუთ ტომად გამოცემა. შემდგომში, ალდინების ტიპოგრაფიაში გამოიცა იუვენალის, ლუკანუსის, კატულუსის და სხვათა ნაწარმოებები. მთლიანობაში 96 ტომად გამოიცა 27 ანტიკურ ავტორთა თხზულებები. მართალია, ნაშრომების სამეცნიერო მხარე კრიტიკას ვერ უძლებდა (წყაროთა კრიტიკა....), რადგან ადრეული ჰუმანისტებს იგი ნაკლებად ჰქონდათ განვითარებული, მაგრამ მკითხველისთვის ანტიკური წყაროების ბეჭდური პროდუქციის სახით მიწოდება ძალიან ბევრს ნიშნავდა.



*ალდუს მანუციუსი*

XV-XVI სს. იტალიაში პოპულარულ საქმედ იქცა რომაული ისტორიის და ხედების ამსახველი გზამკვლევების გამოცემა. ისინი „სწავლების“ ჟანრში დაწერილი თხზულებები იყო. მართალია სამეცნიერო ღირებულება ნაკლები ჰქონდათ, მაგრამ მათი მეშვეობით ხდებოდა ძველი რომის ისტორიის პროპაგანდა. მსგავსი გზამკვლევებიდან მხედველობაში მისაღებია ლეონ ალბერტის „ქალაქ რომის აღწერა“ (1444 წ.) და ფლავიუს ბიონდოს „გამარჯვებული რომი“ (1460 წ.). ფაქტია, ალბერტის და ბიონდოს თხზულებებით საფუძველი ჩაეყარა რენესანსული არქეოლოგიის ორ მიმართულებას – ტოპოგრაფიულის და ფილოლოგიურის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

ლეონ ალბერტი (1404-1472 წწ.) ისტორიკოსი არ იყო. მისი ინტერესის სფერო ძირითადში არქიტექტურა გახლდათ, მაგრამ, როგორც ყველა ჰუმანისტი, ისიც აიდიალებდა ძველ რომს. მას ჰქონდა მცირე ზომის თხზულება - „ქალაქ რომის აღწერა“, რომელიც დაწერილი იყო გვიან ანტიკური ტოპოგრაფიული რეესტრის სტილში. მასში მოცემული იყო ანტიკური ხელოვნების ძეგლებზე გაკეთებული კვლევები, შედარებითი ტაბულები, სხვადასხვა ნაგებობების განლაგებები და ა.შ. არსებითად, ალბერტის მიზანი იყო მკითხველისთვის ესწავლებინა რომაულ ძეგლებს შორის მანძილის ზომები და რუკაზე მათი გადატანის წესი.

ალბერტი ერთ-ერთი პირველი იყო ვინც შეეცადა მოეხდინა ძველი რომის შესახებ არსებული რუკების გრაფიკული რეკონსტრუქცია. ამ მიზნისთვის იგი იყენებდა ანტიკურ მათემატიკას და კლავდიოს პტოლემაიოსის (?100-?170 წწ.) კარტოგრაფიულ მეთოდებს. ალბერტიმ წრიული კორდინატების სისტემით გაზომა სხვადასხვა ობიექტებს შორის მანძილი და ისინი ჩაწერა რომის გარემოში. ალბერტის თხზულება არ იყო ილუსტრირებული. ერთ-ერთი პირველი გამოცემა, რომელშიც გამოყენებული იყო ალბერტის კარტოგრაფიული გათვლები, გახლდათ პიეტრო დელ მაზაჩოს (XV ს.) მიერ 1469 წელს შესრულებული რუკა. მთავარი ამოცანა, რასაც მაზაჩო გეგმავდა იყო „მარადიული ქალაქის“ ტერიტორიაზე ძველი რომაული და ქრისტიანული ძეგლების პარალელური რეპრეზენტაცია.



*ლეონ ალბერტი*

ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში გამორჩეული ფიგურა იყო სწავლული ისტორიკოსი და პაპის კანცელარიის მდივანი ფლავიუს ბიონდო (1392-1463 წწ.). ვატიკანში მუშაობამ მას შესაძლებლობა მისცა უკეთ გაცნობოდა იქ არსებულ რომაულ სიძველეებს. საკუთარ თავს ბიონდო მიიჩნევდა ძველი რომის რესტავრატორად. ანტიკური ისტორიისადმი მისი სიახლოვე დაიწყო ციცერონის თხზულებების გაცნობით. მან მილანში აღმოაჩინა რომაელი ორატორის დიალოგები ბრუტუსთან.

სათანადო მასალის არსებობამ ბიონდოს შესაძლებლობა მისცა რომის ისტორიის შესახებ გამოეცა ეპოქის შესაფერი სისტემური ნაშრომები. მათგან აღსანიშნავია: „აღდგენილი რომი“ (1446 წ.). მასში მოცემული იყო ძველი რომის ტოპოგრაფია. ნაშრომი – „ილუსტრირებული იტალია“ (1453 წ.) ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ლექსიკონი იყო, რომელშიც სამხ. აპენინის და სიცილიის გარდა მოცემული იყო ცნობები იტალიის 14 რაიონის შესახებ.

ბიონდოს შემოქმედების მწვერვალი იყო თხზულება „გამარჯვებული რომი“ (1460 წ.). მასში ვარონის ისტორიული კონცეფციის საფუძველზე ბიონდო შეეცადა გადმოეცა რომის ისტორია. ნაშრომი ოთხი ნაწილისგან შესდგებოდა და ნაჩვენები იყო საზოგადოებრივი, კერძო, რელიგიური და სამხედრო ძეგლების ფუნქციონალური თავისებურებები.



*ფლავიუს ბიონდო*

ნაშრომში „რომის იმპერიის დაცემიდან ისტორიის დეკადები“ (1442 წ.), ბიონდო, პირველი იყო საისტორიო აზროვნებაში, რომელმაც ვესტგოთების მიერ 410 წელს რომის აღებიდან მის თანამედროვეობამდე გამოჰყო ცალკე პერიოდად. ჰუმანისტამდე შუა საუკუნეების ქრონისტები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციას საფუძვლად უდებდნენ ოთხი მონარქის თეორიას. ამასთან, რომი იმპ. კონსტანტინედან დაწყებული კარლოს დიდის და ოტონის მონარქიით დამთავრებული ერთ სიბრტყეში განიხილებოდა. ამჯერად კი მოხდა ანტიკურობასთან მკვეთრი გამიჯვნა და medium aevum, როგორც განსაკუთრებული პერიოდის შემოღება. ბიონდომ ტერმინი „შუა საუკუნეები“ არ იცოდა. ამის მიუხედავად, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც საისტორიო მეცნიერებაში დაამკვიდრა ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის პრინციპი.

ისტორიული მომენტების ახსნისას ბიონდო ეყრდნობოდა ძველ ავტორთა ცნობებს და პირად დაკვირვებებს. მისი მსჯელობა ხშირად სქოლასტიკაშიც გადადიოდა, მაგრამ წყაროებით იგი ყოველთვის ცდილობდა რეალური სურათის აღდგენას. მაგ., რომის განადგურების მიზეზად ისტორიკოსი თვლიდა ალარიხის და სხვა ბარბაროსი ტომების თავდასხმებს და ა.შ.

ალბერტის და ბიონდოს თხზულებებმა თანამედროვეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ

XV-XVI ს-ბში რენენსანსის წყალობით რომი წარმოადგენდა ევროპის ინტელექტუალური აზროვნების და რელიგიურ ცენტრს, მსგავსი ილუსტირებული ნაბეჭდი გამოცემების გავრცელება ქმნიდა ანტიკურობის გაგების წინაპირობას და ხელს უწყობდა მის ვიზუალურ რეპრეზენტაციას. სწორედ ეს გახდა პაპი ნიკოლაუს V-სთვის (1447-1455 წწ.) ბიძგის მიმცემი, როდესაც მან აქტიურად დაიწყო ქ. რომის ღირშესანიშნაობების რეკონსტრუქციის საქმე.

ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში კრიტიკული მიმდინარეობის ფუძემდებლად მიჩნეულია ლორენცო ვალა (1407-1457 წწ.). მასზე დიდი გავლენა იქონია პოჯო ბრაჩოლინის მიერ 1416 წელს აღმოჩენილმა კვინტილიანეს ტრაქტატმა - „ორატორის აღზრდის შესახებ“. აღნიშნული ნაშრომი ვალამ ზეპირად იცოდა. თავის ნაშრომში - „ციცერონის შედარება კვინტილიანესთან“, ვალამ, კვინტილიანე დიდ რომაელ ორატორზე მაღლა დააყენა. სამწუხაროდ, აღნიშნული ნაშრომი დაკარგულია და ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ მის გარშემო.

ვალა საინტერესო ფიგურა გახლდათ. მას არ ახასიათებდა ავტორიტეტების მიმართ ქედის მოხრა. მან კრიტიკის ქვეშ გაატარა სქოლასტიკური სწავლება. არისტოტელეს იგი დიალექტიკის არ გაგებას მიუთითებდა. ნაშრომში „განსჯა ლივიუსის წინააღმდეგ, რომ ორი ტარკვინიუსი, ლუციუსი და არუნსუნი, იყვნენ ტარკვინიუს ძველის შვილიშვილები“, ვალა ლივიუსს ქრონოლოგიურ და სხვა სახის შეცდომებში უკიჟინებდა. მანვე გამოავლინა ციცერონზე მიკუთვნებული ნაშრომის ე.წ. „რიტორიკა ჰერენიუსთან“ რეალური ავტორი და ა.შ.



*ლორენცო ვალა*

ჰუმანისტის პოზიცია მკვეთრად გამოჩნდა ე.წ. „კონსტანტინეს საჩუქრის“ კრიტიკული ანალიზისას. „კონსტანტინეს საჩუქარი“ არის თეოკრატიული ხასიათის სიგელი, რომლითაც განსაზღვრულია ყოფილი დას. რომის იმპერიის ტერიტორიაზე რომის პაპების იურისდიქცია. ამ სიგელის მიხედვით, ნათლობიდან მეოთხე დღეს იმპ. კონსტანტინემ I ვიდრე იგი გაემგზავრებოდა კონსტანტინოპოლში, პაპ სილვესტერ I-ს (?-335 წწ.) დასავლეთ სამყაროზე უბოძა უზენაესი ხელისუფლება. უნდა ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე ორთოდოქსებთან იდეოლოგიური ბრძოლის

ჭრილში სიგელი ფართოდ გამოიყენებოდა რომის პაპების მხრიდან ქრისტიანულ სამყაროში თავიანთი პირველობის დასაბუთების საქმეში.

ევროპულ საისტორიო აზროვნებაში ვალამდეც იყო ცდები დაესაბუთებინათ ე.წ. „კონსტანტინეს საჩუქრის“ ნაყალბევობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზ-გარემოებების გამო (ინკვიზიცია, მეცნიერული ლოგიკის არქონა...) იგი არ ხერხდებოდა. აღნიშნული საბუთის მიმართ პირველი წონადი მეცნიერული არგუმენტები ეკუთვნის ლ.ვალას. 1440 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომში - „განსჯა კონსტანტინეს საჩუქრის ნაყალბევობის შესახებ“, რომელშიც იტალიელმა ჰუმანისტმა დაასაბუთა აღნიშნული საბუთის ნაყალბევობა.

ვალას ნაშრომი შეკვეთილი პოლიტიკური ტრაქტატი იყო. ტექსტში პირდაპირ წერია, რომ პაპს არ აქვს ნეაპოლიტანიის, სიცილიის და სხვა სამეფოების ფლობის უფლება. ფაქტია, რომ ნეაპოლიტანიის სამეფო კარზე მდივნად ყოფნისას მან მეფე ალფონსი არაგონელისგან (1435-1458 წწ.) მიიღო პოლიტიკური პამფლეტის წერის შეკვეთა. გრძნობდა რა საკითხის სიმძიმეს, ვალა შეეცადა პოლემიკაში მოეტანა წონადი არგუმენტები. უპირველესად მისი მსჯელობა რამდენიმე პოსტულატით შემოიფარგლა. პირველ რიგში ჰუმანისტმა ეჭვქვეშ დააყენა თვით ჩუქების ფაქტი. ასევე მან მიუთითა ამ ფაქტის არ არსებობა ძველ წყაროებში (ევსევი კესარიელი...). ვალამ ყურადღება მიაქცია საკითხის ფსიქოლოგიურ მხარეზე და ჩუქების ფაქტის იურიდიულ შეუთავსებლობაზე. დაბოლოს, საბუთის ფილოლოგიური, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული კუთხით განსჯის შემდეგ მან ხაზი გაუსვა მის ნაყალბევობას.

უნდა ითქვას, რომ ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში ვალას ნაშრომი ითვლება საისტორიო და ფილოლოგიური კრიტიკის საუკეთესო ნიმუშად. იგი იყო ეპოქალური ნაშრომი და ამ გაბედული ნაბიჯისათვის, 1444 წელს, ვალა ინკვიზიციის სასამართლოშიც მოხვდა, სადაც მხოლოდ მეფის თავდებობამ გადაარჩინა.

XVI ს. იტალიაში ნიკოლო მაკიაველის (1469-1527 წწ.) მეოხებით გაჩნდა მიმდინარეობა, რომლის მიზანი იყო ანტიკური ისტორიიდან პოლიტიკური გაკვეთილების ამოღება. მაკიაველი მიჩნეულია ადრინდელი ბურჟუაზიის იდეოლოგად, რომელმაც

უარყო თეოლოგიური შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ. ნიშანდობლივია, რომ პოლიტიკის საფუძვლად მან აღიარა ქონებრივი ინტერესი. ქრისტიანული მორალი მისი აზრით იყო ბორკილი ადამიანის აქტიური მოქმედებისათვის.

მაკიაველის იდეალი იყო ძველი რომი და თანადროული ვენეციის მსგავსი რესპუბლიკური წყობა. ჰუმანისტის აზრით, გზა, რომელიც იტალიას კრიზისიდან გამოიყვანდა იყო აბსოლუტური მონარქია, რომლის სათავეში უნდა ყოფილიყო ექსტრაორდინალური უფლებებით აღჭურვილი ჩეზარე ბორჯიას (1475-1507 წწ.) მსგავსი პიროვნება. პიომბინოს, კამერინოს და ურბინოს ქალაქკომუნების მმართველი ბორჯია ქალაქებთან და სენიორებთან ბრძოლაში არ ერიდებოდა გამცემლობას, ქრთამის მიცემას და მოწინააღმდეგების მკვლელობას.



*ნიკოლო მაკიაველი*



*ჩეზარე ბორჯია*

მსგავსი პათოსით არის მაკიაველის „მთავარი“ (1513 წ.), რომელშიც ავტორი საინტერესო კონცეფციას ავითარებს: „არსებობს ბრძოლის ორ მეთოდი, ესაა კანონის გამოყენებით და ძალის მეშვეობით. პირველი დამახასიათებელია ადამიანისთვის, ხოლო მეორე მხეცისთვის. მაგრამ რაკი პირველი მეთოდი არასაკმარისი აღმოჩნდება ხოლმე, მაშინ ადამიანმა მეორეც უნდა მოიშველიოს. მთავარს ორივეს გამოყენება უნდა შეეძლოს – მხეცურისას და ადამიანურისაც... ხელისუფალმა, რომელიც იძულებულია კარგად ისწავლოს მხეცური ქცევა, უნდა მიბაძოს მელას და ლომს, რადგან ლომი თავს ვერ იცავს ხაფანგისგან და მელა მგლებისგან. ამიტომ მელა უნდა იყო, რომ ხაფანგის გამოცნობა შესძლო და ლომი მგლების დააშინებისთვის... ჭკვიანი ხელისუფალი არ უნდა მოერიდოს ფიცის გატეხვას, თუკი ამას მისი ინტერესები მოითხოვენ“.

ძველი რომის ისტორიის საკითხებს მაკიაველი ეხება სხვადასხვა ნაშრომებში. მაგ., „ფლორენციის ისტორიის“ (1532 წ.) პირველ წიგნში რომის დაცემის საკითხთან დაკავშირებით იგი წერდა: „დუნაის და რეინის ჩრდილოეთის ნაყოფიერ მხარეებში

მცხოვრები ხალხები ისე სწრაფად მრავლდებოდნენ, რომ ზედმეტი მოსახლეობა იძულებული იყო ხშირად დაეტოვებინა მშობლიური მხარე და ეძებნა ახალი საცხოვრისი... სწორედ ამ ტომებმა დაამსხვრიეს რომის იმპერია, რაც ხელშეწყობილი იყო იმპერატორებით, რომლებმაც დატოვეს რომი და გადაბარგდნენ კონსტანტინოპოლში. ამით მათ დაასუსტეს იმპერიის დასავლეთი ნაწილი. ისინი უკვე ნაკლებ ყურადღებას იჩენდნენ მისდამი, რითაც ქვეშევრდომებს და მტრებს მისცეს უფლება იგი გაეძარცვათ... იმისათვის, რომ დაამსხვრიო სახელოვან ადამიანთა სისხლზე დაფუძნებული ასეთი დიდებული იმპერია, საჭირო იყო იმპერატორთა მხრიდან არაერთი სიმდაბლე, ქვეშევრდომთა არანაკლები მუხთლობა და საგარეო დამპყრობლების არანაკლები შეუპოვრობა. ასე რომ, რომი დაღუპა არა ერთმა, არამედ რამოდენიმე ხალხის გაერთიანებულმა ძალამ“.

ქრისტიანობის მიჩნევა ძველი რომის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად მაკიაველის მხრიდან იყო მისი ეპოქისთვის თამამი განაცხადი. იგი წერდა: „ყველაზე მთავარი იყო რელიგიური ცვლილებები, რადგანაც ახალი რწმენის სასწაულებს უპირისპირდებოდა ძველის ჩვევები და მათი შეჯახებებით ხალხში ჩნდებოდა შფოთი და დამღუპველი უთანხმოებები. ქრისტიანული რელიგია, რომ ყოფილიყო ერთიანი, მაშინ მოუწესრიგებლობა იქნებოდა სულ მცირე. ქიშპობამ ბერძნულ, რომაულ და რავენის ეკლესიებს, ასევე ერეტიკულ სექტებს და კათოლიკებს შორის მრავალმხრივ დაამწუხრა სამყარო“.

მაკიაველის მთავარი თხზულება არის ტრაქტატი „განსჯა ტიტუს ლივიუსის პირველი სამი დეკადის შესახებ“ (1531წ.). თავისი ფორმით იგი ჰგავს არისტოტელეს „პოლიტიკას“. უნდა ითქვას, რომ მაკიაველთან ძველი რომის ისტორიის ამსახველი ფაქტები ემსახურება სახელმწიფოს ამაღლების და დაცემის შესახებ საკუთარი აზრების დამტკიცებას. იგი თვლიდა, რომ ბრძოლა არის ყოველი სახელმწიფოს შინაგანი განვითარების კანონი. ჰუმანისტისთვის ძველ მსოფლიოში ეს იყო ბრძოლა არისტოკრატიასა და ხალხს შორის, რის შედეგად შეიქმნა რომის ყველაზე საუკეთესო სახელმწიფო წყობა. მაკიაველის აზრით ძველი რომი იყო არისტოკრატიის, მონარქიის და დემოკრატიის ნარევი. ამის საილუსტრაციოდ მას მოყავდა სახალხო ტრიბუნების მოვალეობა, რომლებიც მისი აზრით იყვნენ „თავისუფლების და ადამიანთა უფლებების

დამცველები, რომლებიც ერთდროულად იცავდნენ სახელმწიფოს და აკავებდნენ სენატორებს საჭირო კანონთა მიმართ მორჩილებაში“.

ნაკლის მოსაშორებლად ცვლიდა რა თავის დაწესებულებებს, წერდა ჰუმანისტი, რომი იგონებდა სხვადასხვა საშუალებებს. ასე იქნა შემოღებული ცენზურა, რომლის მიზანი იყო ადათების და წესრიგის დამყარება. მისი წყალობით რომაელებმა შესძლეს მსოფლიოს დაუფლება. თავის ამაღლებას რომი უნდა უმადლოდეს დამორჩილებულებთან ჭკვიანურ დამოკიდებულებას. ჰუმანისტის აზრით, სპარტა იმიტომ დაიღუპა, რომ სპარტელებმა დამარცხებულებს ძალაუფლებისკენ მისასვლელი გზა ჩაუკეტეს. რომი კი პირიქით იქცეოდა, დამორჩილებულებისთვის მოქალაქეობის მიცემით იგი ძლიერდებოდა და ამიტომაც რჩებოდა მსოფლიო მბრძანებლად. რესპუბლიკის დაცემის მიზეზად იტალიელი სწავლული მიიჩნევდა აგრარული კანონმდებლობებით საზოგადოებაში შემოტანილ აზრთა სხვადასხვაობას და ცალკეულ კერძო პირთა მხრიდან ლტოლვას პირადი ძალაუფლების გაძლიერებაში.

მაკიაველის კონცეფციები მნიშვნელოვანი საფეხური იყო ჰუმანისტურ ისტორიოგრაფიაში. საქმე იმაშია, რომ მან სახელმწიფო განიხილა არა თეოლოგიის, არამედ ადამიანური პოზიციიდან. მაკიაველს, როგორც მის თანამედროვეებს მიაჩნდათ, რომ ძლიერი ნების ადამიანს შეუძლიათ ისტორიაში გადამწყვეტი როლის შესრულება. ასევე მან პირველმა განაცხადა, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი და სხვ. მაკიაველის ძალა იყო არა უბრალოდ მოვლენების აღწერა, არამედ მათ შორის ღრმა შინაგანი კავშირების დადგენა.

XVII-XVIII სს. იტალიური საისტორიო აზრის განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია ჯანბატისტა ვიკოს (1668-1744 წწ.) საისტორიო პროცესების შესახებ ორგანული განვითარების თეორიამ. ნაშრომში - „ერის საერთო ბუნების შესახებ ახალი მეცნიერების საფუძვლები“ (1725 წ.), ვიკომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი დეტერმინული მიდგომით შეეცადა საზოგადოების განვითარება განეხილა ობიექტური კანონებით უმდაბლესიდან რთულისკენ წრისებრი ციკლით. იგი თვლიდა, რომ ნებისმიერი ერი გადის განვითარების სამ ეტაპს, რომლის შემდეგაც იგი კვდება, ანდა იშლება და იწყება ახა-

ლი ბარბაროსობის პერიოდი. იტალიელი მეცნიერის აზრით, ყოველი ახალი საფეხური იმეორებდა წინანდელის ძირითად თავისებურებებს. ვიკოს აზრით ახალი ბარბაროსობის პერიოდი დადგა რომის იმპერიაზე გერმანელთა შემოსევების შემდეგ. თავის კონცეფციის კვალობაზე ვიკო აღნიშნავდა, რომ პირველ ეტაპზე ჩნდებიან ქურუმები, ხოლო მეორეზე – ჰერაკლიდები და დევგმირები.

ცივილიზაციის ისტორიაში ვიკო გამოჰყო შვიდი ერი (ქალდეველები, ასირიელები, ებრაელები, სკვითები, ფინიკიელები, ეგვიპტელები, ბერძნები და რომაელები). კონკრეტულ ისტორიას იგი იწყებდა დიდი წარღვნის პერიოდიდან და ერების მამამთავრად მიიჩნევდა ბიბლიური პერსონაჟის ნოეს შვილებს. მეცნიერი ორიგინალურად მიუდგა რომის ადრეული ისტორიის შესწავლას. წყაროების სიმცირის კომპენსირებას იგი შეეცადა ჰომეროსის პოემებით, რითაც მან მოახერხა იტალიის ადრეული ისტორიის და რომის მეფეთა ხანის რამდენადმე რეალური სურათის აღდგენა. ვიკომ იპოვა იტალიაში ენეასის მოსვლის და რომაელ მეფეთა მმართველობაში რეალური ისტორიული მარცვალი. სერვიუს ტულიუსის კანონმდებლობას იტალიელი მეცნიერი თვლიდა მნიშვნელოვან ეტაპად რომაული საზოგადოების განვითარებაში. იგი ხაზს უსვამდა პატრიციუსებსა და პლებეებს შორის მიმდინარე ბრძოლის მნიშვნელობას. იტალიელი მეცნიერი პლებეების წარმოშობას უკავშირებდა კლიენტურის ინსტიტუტს და მათ მიიჩნევდა თავდაპირველად სამოქალაქო კოლექტივის გარეთ მყოფ სუბიექტებად. მისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო მიწისთვის რომში მიმდინარე ბრძოლა და საერთოდ მთელი აგრარული კანონმდებლობა.



ჯანბატისტა ვიკო

ძველი რომის ისტორიის შესახებ სხვადასხვა კონცეფციების შექმნის პარალელურად, იტალიაში საფუძველი ჩაეყარა არქეოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას. აკი, იტალია კიდეც ითვლება არქეოლოგიურ მუზეუმად. 1710 წელს ჰერკულანუმის აღმოჩენამ და 1748 წელს პომპეიში არქეოლოგიური გათხრების დაწყებამ, დასაბამი დაუდო რომაულ არქეოლოგიას. მართა-

ლია მაშინდელი არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ მოპოვებულმა ნივთებმა საზოგადოებაში ნამდვილი ფურორი გამოიწვია.

რისორჯიმენტოს წყალობით XIX ს-ში იტალიის ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ გაზარდა დაინტერესება ძველი რომის ისტორიისადმი. საქმე იმაშია, რომ ძველი რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზიით იტალიის მთავრობა ევროპის სახელმწიფოების წინაშე ცდილობდა თავისი დიდი ტრადიციების დამტკიცებას. ამისთვის ახალგაზრდა სახელმწიფო სახსრებს არ ზოგავდა არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის.

იტალიური არქეოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ჯიაკომო ბონი (1859-1925 წწ.) 1898-1907 წლებში არქეოლოგიური გათხრებს აწარმოებდა რომის ფორუმზე. ბონი იყო ძველი რომის ისტორიის ადრეული პერიოდის მკვლევარი. იგი იყო ე.წ „აქტიური არქეოლოგიის“ წარმომადგენელი. თანამედროვეებისგან განსხვავებით ბონიმ ხმარებაში შემოიტანა ძეგლების ე.წ. „ფენებით“ შესწავლის საკითხი. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გეოლოგებისგან გადაიღო და არქეოლოგიაში დანერგა სტრატიგრაფიული მეთოდი. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლეოდა განათხარ ძეგლზე დაეზუსტებინათ საისტორიო განვითარების ეპოქები და გამოეყოთ შესაბამისი ფაზები.



*ჯიაკომო ბონი*

ბონის მეშვეობით პირველად იქნა შესწავლილი რომის ტერიტორიაზე (პალატინის ბორცვი...) არსებული უძველესი დასახლებები და სამაროვნები. განსაკუთრებული დაინტერესება მან გამოიჩინა ფორუმზე ანტონინების მახლობდად არსებულ ე.წ. „შავი ქვის“ მიმართ. ბონიმდე ამ ძეგლის მიმართ არაერთგვარი დამოკიდებულება იყო. ერთნი მას თვლიდნენ რომულუსის, სხვები ფაუსტულუსის, ხოლო მესამენი ჰოსტოლიუსის სამარხად მიიჩნევდნენ. გათხრების შედეგად ბონიმ გამოარკვია ძეგლის საკურთხევლის მნიშვნელობის ფუნქცია. რაც შეეხება მასზე აღმოჩენილ წარწერას, მან, იგი ძვ.წ. VI ს-ის ლათინური დამწერლობის ძეგლად მიიჩნია.

1898 წლიდან სიცილიის და სამხ. იტალიის ფართო მასშტაბიან არქეოლოგიურ შესწავლას აწარმოებდა პაოლო ორსი (1859-

1935 წწ.). იგი მიჩნეულია ისტორიამდელი და კლასიკური პერიოდის იტალიის ისტორიის თვალსაჩინო მეცნიერად. ორსი გახლდათ იტალიის არქეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. იყო ნაციონალური აკადემიის წევრი, იტალიის სენატორი (1924 წ.), ხოლო 1895-1934 წლებში სირაკუზის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი. 1893-1909 წლებში ორსი გათხრებს აწარმოებდა სან-ჯოვანის, ხოლო 1916-1919 წლებში სირაკუზის სანტა ლუჩიას კატაკომბებში.

სან-ჯოვანის კატაკომბის განსაკუთრებულობა არის მისი მოწყობა ანტიკური აკვედუკის ბაზაზე. ეს კატაკომბი აღმოცენდა ქრისტიანთა დევნის დასრულების შემდგომ და მასში ნაპოვნი სამარხების სახეებით იგი განსხვავდებოდა ახ.წ. III ს-ის სანტა ლუჩიას ადრექრისტიანული ხანის ძეგლისგან.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად იტალიაში მიდიოდა ძველი რომის ისტორიის თაობაზე არსებული სხვადასხვა ტიპის მასალების პუბლიკაცია. გამოსვლა დაიწყეს ჟურნალებმა: „იტალიის პალეონტოლოგიის ბიულეტენი“ (1875 წ.), „კლასიკური ფილოლოგია“ (1873 წ.), „ისტორიული კვლევა“ (1892 წ.) და სხვ.



*ჯუზეპე ფიორელი*

იტალიური პაპიროლოგიის ფუძემდებელი ჯიოლამო ვიტელი (1849-1935 წწ.) იყო XIX-XX სს. მიჯნაზე წონადი ფილოლოგი და კლასიკური სიძველეების მკვლევარი. ვიტელის ინიციატივით შეიქმნა იტალიის პაპიროლოგთა საზოგადოება, რომლის ბაზაზე 1928 წელს აღმოცენდა „პაპიროლოგიის ინსტიტუტი“. სწორედ ვიტელი თაოსნობით გამოიცა ბერძნულ და ლათინურ პაპირუსთა ცნობილი ე.წ. „ფლორენციის კოლექცია“. ა. კალდერონის ინიციატივით 1913 წელს მილანში შეიქმნა პაპიროლოგთა ინსტიტუტი. ამ დარგის განვითარებაში დიდი იყო არიოდანტე ფაბრეტის (1816-1894) წვლილიც. მისი ძირითადი შრომები იყო: „იტალიური ძველი წარწერების კრებული“ (1867 წ.), „პერუჯის ისტორია და დოკუმენტები“ (1887 წ.), „პერუჯას ქრონიკები“ (1887-1888 წწ.) და ა.შ.

XIX ს-ის შუა ხანებში ეტრუსკოლოგიაში გამოჩნდა ფუნდამენტური შრომები: ლუიჯი კანინას (1795-1856) „ძველი ზღვისპირა ეტრურია“ (1846-1851 წწ.), ნოელ დე ვერჟეს „ეტრურია და ეტ-

რუსკები“ (1862-1864 წწ.). ამ პუბლიკაციების წყალობით სამეცნიერო მომიქცევაში შემოვიდა ეტრუსკული ცივილიზაციის არაერთი შესანიშნავი ძეგლი.

იტალიური არქეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჯუზეპე ფიორელი (1823-1896 წწ.) ერთობ საინტერესო ფიგურა გახლდათ, რადგანაც ერთდროულად იყო პოლიტიკური მოღვაწე, სენატორი, ნეაპოლიტანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროფესორი და ნუმიზმატი. 1875 წლიდან ფიორელი ასრულებდა იტალიაში წარმოებული გათხრების და ქვეყანაში არსებული მუზეუმების გენერალური დირექტორის მოვალეობას. იმავდროულად იგი იყო რუსეთის საიმპერატორო აკადემიის ნამდვილი წევრი. 1863-1875 წლებში ფიორელი ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს პომპეიში. სწორედ მისი დამსახურებააიყო გათხრების აყვანა მკაცრ სამეცნიერო საფუძველზე. ფიორელის პუბლიკაციები ძირითადში პომპეის თემატიკას ეხებოდა. მათგან დავასახელებთ: „ნუმიზმატიკის ანალები“ (ტ. I-II, 1853 წ.), „პომპეის მონუმენტური ეპიგრაფიკა“ (1856 წ.), „1861-1872 წლების გათხრები პომპეიში“ (1873 წ.), „პომპეის აღწერა“ (1875 წ.) და „პომპეის მეგზური“ (1889 წ.).

XIX-XX სს. მიჯნაზე იტალიურ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ინტენსიურად შემოვიდა ტერმინ „კაპიტალიზმის“ ხმარება. მაგ., ჯიოვანელი სალვიოლიმ (1857-1928 წწ.) გამოსცა ნაშრომი - „კაპიტალიზმი ანტიკურ ხანაში“ (1906 წ.). ავტორი მასში შეეცადა დაესაბუთებინა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმის არსებობა რომისთვის უცნობი იყო, ხოლო ძველად კაპიტალის დანამატი იზღუდებოდა მევახშეობით და მიწათმოქმედებით. იტალიელი მეცნიერის აზრით, მიწათმფლობელობაში არ არსებობდა კაპიტალისტური მეურნეობა, რამდენადაც მაშინ მთავარი მიზანი იყო არა წარმოება, არამედ არაწარმოებითი მოთხოვნილებები.

განხილულ პერიოდში იტალიაში რომის ისტორიის ერთერთი წონადი მკვლევარი გახლათ პალერმოს (1886-1889 წწ.), პიზას (1899 წ-მდე), ნეაპოლიტანიის (1904 წ-მდე) და რომის (1931 წ-მდე) უნივერსიტეტების პროფ. ეტორე პაისი (1856-1939 წწ.). იგი იყო ძველი ისტორიის და ლათინური ეპიგრაფიკის აღიარებული სპეციალისტი, სენატორი და პოლიტიკოსი.

რომის ისტორიაში დასპეციალება პაისმა 1880-1884 წლებში მსოფლიო მეტრად აღიარებულ მომზენის ხელმძღვანელობით გაიარა. შემდგომ, იგი მონაწილეობდა სარდინიაში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებში. 1910-1914 წლებში პაისს ეკავა ნეაპოლიტანიის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელის თანამდებობა, რაც მას საფუძველს აძლევდა ეწარმოებინა გათხრები პომპეიში.

პაისი ერთობ პოპულარული მკვლევარი იყო. მას ინტენსიურად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. საისტორიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის, 1936 წელს, იგი დაჯილდოვდა მაშინდელ იტალიაში პრესტიჟული მუსოლინის პრემიით.

პაისი ჰიპერკრიტიციზმის მიმდევარი იყო. რომის წარმოშობის და ადრეული იტალიური ცივილიზაციის ისტორიის გაშუქებას იგი აკეთებდა ბერძნულ კოლონიებთან მიმართებაში. თავისი მეთოდოლოგიით და წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით მან არსებითი რევიზია გაუკეთა ძვ.წ. IV-III სს. რომაულ საისტორიო ტრადიციას, რომელიც საეჭვოდ მიიჩნია. მეცნიერი თვლიდა, რომ რომაელებმა არ იცოდნენ თქმულებების ისტორიული ჭეშმარიტება. საგვარეულო მატიანეების და ადრეული რომაული ტრადიციის ჩამოყალიბებას იგი ბერძნული საისტორიო მოთხრობების და რომაული დრამით ფიქრობდა. მას მიაჩნდა, რომ ყოველივე ძველ ისტორიკოსთა მიერ იყო შეგნებულად გამოყენებული ერთი და იგივე ცნობების „გაორმაგებით“ და „გასამაგებით“, ანუ ახლოდან წარსულში გადატანით.


ეტორე პაისი

რომაული ტრადიციების მიმართ პაისის ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება აისახა ნაშრომში - „რომის კრიტიკული ისტორია“ (ტ. I-IV, 1913-1920 წწ.). მრავალტომეულში ავტორმა მოგვცა ძველი რომის ადრეული პერიოდის სისტემური ისტორია. ლეგენდების საფუძველზე პაისმა რეკონსტრუქცია გაუკეთა ძველი ლაციუმის ეთნო-ლინგვისტურ რუკას, ურთიერთობებს ეტრუსკებთან, ბერძნებთან და ა.შ. მანვე მეფეებზე არსებული თქმულებები და რომის ადრეული პერიოდის რიგი პოლიტიკოსების საქმიანობა

მიიჩნია მითოსის რეალობასთან ნაზავად. თქმულება კორიოლანზე პაისმა მიიჩნია ღმერთ მარსის შეცვლილ ვარიანტად და ა.შ. მეფეთა ისტორიის შესწავლის წყაროდ ისტორიკოსმა გამოიყენა XII დაფის კანონები. თუმცა აღნიშნულ კანონებისადმი მისი დამოკიდებულება მაინც კრიტიკული იყო და იგი ძვ.წ. III ს. შექმნილ კერძო იურიდიულ კრებულად მიაჩნდა.

პაისი პროდუქტული მკვლევარი იყო. მის კალამს ეკუთვნოდა სოლიდური ნაშრომები: „რომამდელი სარდინია" (1881 წ.), „სიცილიის და დიდი საბერძნეთის ისტორია" (1894 წ.). „რომის ისტორია" (ტ. I-II, 1898-1899 წწ.), „ცივილიზებული ნურაგი და სარდინიის სოციოლოგიური განვითარება" (1911 წ.), „რომაული ბატონობის დროინდელი სარდინიის და კორსიკის ისტორია" (1923 წ.), „რომაული ტრიუმფალური ფასტები" (1923 წ.), „ძველი იტალიის ისტორია" (ტ. I-II, 1925 წ.) და სხვა მრავალი სტატია.

რომაული დამპყრობლური პოლიტიკა პაისთან გადმოცემულია, როგორც ექსპანსიის თანდათანობითი განვითარება დაწყებული აპენინის ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუაზრვისპირეთის საზღვრებით დამთავრებული. აქედან გამომდინარე მეცნიერი რომის ისტორიის პერიოდიზაციის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პუნიკურ ომებს, რაც აისახა მის ნაშრომებში: „პუნიკურ ომების პერიოდის რომის ისტორია" (ტ. I-II, 1926 წ.), „რომის საშინაო ისტორია და იტალია-პროვინციების მართვა პუნიკური ომიდან გრაკხუსების რევოლუციამდე" და „რომის ისტორია მეფეთა ხანიდან პიროსის გამარჯვებამდე" (1934 წ.).

საომარ ბატალიებზე და ცალკეულ სამხედრო ოპერაციებზე მსჯელობისას პაისი ჩერდება რელიგიურ-ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებზე. ამასთან, იგი იგნორირებას უკეთებდა რომაულ-იტალიური საზოგადოების და საერთოდ იქ მიმდინარე ომების მონათმფლობელურ ხასიათს.

XX ს. I ნახ. იტალიაში ძველი რომის ისტორიის კვლევის სფეროში ყველაზე წონადი ფიგურა გახლდათ გაეტანო დე სანკტისი (1870-1957 წწ.). იგი გახლდათ ტურინის (1900-1929 წწ.) და რომის (1929-1931 წწ.) უნივერსიტეტების პროფესორი.

სანკტისი იზრდებოდა კლერიკალური იდეებით. ამის გამო მისი ოჯახი ჯერ პაპის ჟანდარმერიის ზედამხედველობის ქვეშ მოექცა. 1931 წელს, ფაშისტებთან თანამშრომლობაზე უარის გა-

მო, გაეტანო იძულებით ემიგრაციაში წავიდა. მისმა ურთიერთობებმა კარლ ბელოხთან (1854-1929 წწ.), რომლის მოსწავლეც იგი იყო, რუს ისტორიკოსის მიხეილ როსტოვცევთან და ფრანგ არქეოლოგ თეოპოლე ომოლთან, განსაზღვრა სანკტისის დაინტერესება ძველი ისტორიით.

იტალიელი მკვლევარი თანაბრად იყო განსწავლული ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა კუნძ. კრეტაზე, ფესტოში მიმდინარე გათხრებში. ბერძნულ თემატიკაზე დაწერილი მისი პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია „საბერძნეთის ისტორია“ (ტ. I-III, 1898-1939 წწ.).

რომაულ თემატიკაზე დაწერილი სანკტისის პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია ფუნდამენტური ნაშრომი – „რომის ისტორია“ (ტ. I-IV, 1907-1923 წწ.). მრავალტომეულის პირველი ტომი დაეთმო მეფეთა ხანის პერიოდს; მეორე – რომის მიერ იტალიის დაპყრობას; მესამე ტომი ორი ნაკვეთისგან იყო და მთლიანად ეხება პუნიკურ ომებს; მეოთხე ტომი სამი ნაკვეთისგან შესდგება – იმპერიის დაფუძნება, ანუ ნაჰარარიდან პიდნას ბრძოლამდე, დიდი დაპყრობების პერიოდის პერსონებს და პიდნადან ნუმანციის დაცემამდე ისტორიის თხრობით.


გაეტანო
დე სანკტისი

მრავალტომეულის არქიტექტონიკით მკითხველი შენიშნავს, რომ იტალიელმა მეცნიერმა აიღო რომის ისტორიის ის მონაკვეთი, რომელიც თითქოს სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად უნდა ყოფილიყო გაშუქებული. სანკტისისთვის უცხო იყო პაისის მსგავსი ჰიპერკრიტიციზმი. მან ლივიუსთან დაცული ძვ.წ. III ს-მდელი რომაული ტრადიციები რეალობად მიიჩნია, რამდენადაც მეცნიერის აზრით, ძვ.წ. 387 წლის ხანძარს არ შეეძლო რომში გაენადგურებინა ყველა დოკუმენტი. არქეოლოგიურ მასალის, ასევე ეკონომიკური და კულტურის შესახებ არსებული მონაცემების ფართოდ გამოყენებით, სანკტისმა რეალობად მიიჩნია რომაული ეპოსის არსებობა, დეცემვირთა კოლეგია, ფასტები, ანალები, XII დაფის კანონები და ა.შ. მან სერვიუს ტულიუსის რეფორმა გადაიტანა ძვ.წ. III ს., ხოლო ლიცინიუს-სექსტუსის აგრარული კანონმდებლობა არარეალურ ფაქტად მიიჩნია.

XX ს. I ნახ. იტალიურ ისტორიოგრაფიაში პოპულარული იყო გულიელმო ფერეროს (1871-1942 წწ.) ნაშრომი - „რომის დიდება და დაცემა“ (ტ. I-V, 1902-1907 წწ.), რომელმაც ავტორს პუბლიცისტის და მსოფლიო დონის მეცნიერის სახელი მოუპოვა.

ფერერო უაღრესად საინტერესო ფიგურა გახლდათ. იგი იყო ძველი და ახალი ისტორიის სპეციალისტი, სოციოლოგი, ჟურნალისტი და რომანისტი. ასევე ტურინის, ფლორენციის და ჟენევის უნივერსიტეტების პროფესორი. მრწამსით ლიბერალი და ნებისმიერი ტიპის დიქტატურის მოწინააღმდეგე. მისი ფსიქიკის ფორმირებაზე გავლენა მოახდინა ცნობილმა ექიმ-ფსიქიატრმა ჩეზარე ლომბროზომ (1835-1909 წწ.), რომელიც მას სიმამრად ეგებოდა. ლომბროზოსთან მეცნიერი დაეუფლა ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის უნარს. ფერერო იყო ლომბროზოს წიგნის – „ქალი დამნაშავე და მეძავი“ (1893 წ.) თანაავტორი.

მუსოლონის მმართველობისას ფერერომ იტალია დატოვა და თავი შვეიცარიას შეაფარა. სიცოცხლეშივე იტალიელი მეცნიერის პოპულარობის მანიშნებელი იყო ის ფაქტი, რომ მისი „რომის დიდება და დაცემა“ უმალ ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. პოპულარული მკვლევარი 1908 წელს თეთრ სახლში მიიწვია აშშ პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა (1858-1919 წწ.), რომელსაც მისი მრავალტომეული სამაგიდო წიგნად ედო.


გულიელმო ფერერო

„რომის დიდება და დაცემა“ იმთავითვე გამოირჩეოდა მაშინდელი აკადემიური ტრადიციისგან, რის გამოც იგი მსჯელობის საგანიც იყო პროფესიონალ ისტორიკოსებს შორის. რუსი მეცნიერი ე. ტარლე (1874-1955 წწ.) წერდა: მომზენის შრომების გამოსვლის დროიდან ძველი რომის ისტორიაში არცერთ წიგნს არ გამოუწვევია ისეთი ხმაური, როგორიც ფეროროს ნაშრომს. წიგნის წარმატებას ტარლე შემდეგი მიზეზებით ხსნიდა: 1. ავტორი იყო ორიგინალური მოაზროვნე და სოციოლოგი, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ძველ წყაროებში. 2. ფეროროს შეხედულებები მკვეთრად ეჯახებოდა ტრადიციებს, რითაც იგი ახდენდა სასკოლო პერიოდში მიღებული შეხე-

დულებების ცვლილებას, რაც მკითხველში სიამოვნებას აღძრავდა და 3. ავტორი იყო შესანიშნავი სტილისტი, რომელიც იძლეოდა მოქმედი პერსონაჟების ნათელ და ხატოვან დახასიათებას.

აღნიშნული ნაშრომი ფერეროს ჩაფიქრებული ჰქონდა რომის მსოფლიო მონარქიის შექმნის და მსხვრევის ისტორიად. მრავალტომეულის პირველი ტომის სათაურია - „იმპერიის შექმნა", მეორესი - „იულიუს კეისარი", მესამესი - „კეისრიდან ავგუსტუსამდე", მეოთხესი - „ავგუსტუსის რესპუბლიკა" და უკანასკნელის - „ავგუსტუსი და უდიდესი იმპერია".

„რომის დიდება და დაცემა" ავტორის მიერ დაუსრულებელი ნაშრომია, რადგან მეხუთე ტომი მთავრდება ავგუსტუსის სიკვდილით, ე.ი ახ.წ. 14 წლით. მაშასადამე, მრავალტომეულში არ არის ასახული რომის მსოფლიო იმპერიის დაცემის ისტორია. ნაშრომი არ წარმოადგენდა მომზენის თხზულების კალკირებას. გერმანელი ისტორიკოსისთვის იდეალური ისტორიული პერსონა კეისარი იყო. მასთან ასევე სიმპატიებს იმსახურებდა სულა, ხოლო რომის უდიდესი ორატორი მარკუს ციცერონი მიჩნეული იყო „აგრესიულად მორჩილ უმრავლესობის" ლიდერად. ფერეროსთან იგივე პერსონაჟები საპირისპიროდ არის დახასიათებული. ისტორიკოსისთვის სულა იყო პოლიციური სისტემის შექმნელი. კეისრის დამსახურებად იგი თვლიდა მხოლოდ ძველი სისტემის მსხვრევას, ხოლო იდეალურ ფიგურად მიაჩნდა მხოლოდ ციცერონი. ორატორის შესახებ მეცნიერი წერდა, რომ მას „...შეეძლო ჩაედინა დიდი პოლიტიკური შეცდომები, მაგრამ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა უტოლდებოდა კეისრისას და მხოლოდ მცირედით ჩამორჩებოდა წმ. პავლეს და ნეტარი ავგუსტინეს". ანდა კიდევ, „ისტორიას შეუძლია დასცინოს ციცერონს მისი უტოპიის გამო. მისი თანამედროვეები მათზე უნდა მსჯელობდნენ სხვაგვარად, რადგან თხუთმეტი წლის შემდეგ ისინი უკვე ცდილობდნენ მისი უტოპიური იდეების დიდი ნაწილის შესრულებას".

ავგუსტუსის მიმართ ფერერო წერდა, რომ მისი ცდა შეექმნა მმართველობა, რომელზეც „არისტოტელე, ციცერონი, ვერგილიუსი და ჰორაციუსი ოცნებობდნენ, საბოლოო ჯამში შობა რაღაც საშინელება. მის შემდგომ მან დატოვა ჰიბრიდული სახელმწიფო, რომლის განსაზღვრა გაუჭირდებოდა ყველაზე დახვეწილ პოლიტიკოსაც".

ზემონახსენები ნაშრომის გარდა ფერეროს ეკუთვნოდა პოპულარული მონოგრაფია - „იულიუს კეისარი“ (1902 წ.). უნდა ითქვას, რომ იტალიელი მეცნიერის შეხედულებები კეისრის როლის შესახებ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვების ნააზრევისგან. წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. 59-44 წლები. ნაშრომში საუბარი იწყება კეისრის გალიაში მოღვაწეობით და თხრობა მთავრდება მარტის იდებით. პრინციპში წიგნის შინაარსი მისაღებია, მით უფრო, რომ იგი დაწერილი იყო კარგი ლიტერატურული ენით.

უნდა აღინიშნოს, რომ XX ს. ევროპულ კულტურაში კეისრის შესახებ წარმოდგენები განსაზღვრა ორმა ურთიერთშეუსაბამო შეხედულებამ. ერთი მომდინარეობდა მომზენისგან, რომელიც იყო მისი აპოლოგეტი, ხოლო მეორე ფერეროსგან. მისთვის კეისარი „რევოლუციონერ-რომანტიკოსია“. იტალიელი ისტორიკოსის თავისებურება ის იყო, რომ კეისრის მოღვაწეობაში იგი ხედავდა მხოლოდ „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ გამოვლინებას. არადა, დემოკრატია თავისი არსით არ შეიძლება ყოფილიყო იმპერიალისტური. წიგნში გამოტოვებულია კეისრის ადრეული ცხოვრების პერიოდი, რომლებმაც არსებითად განსაზღვრეს მომავალი დიქტატორის მოღვაწეობა.

რომაულ თემატიკაზე ფერეროს სხვა ნაშრომებია: „რომის ისტორიის მოვლენები და ნიშნები კეისრიდან ნერონამდე“ (1909 წ.), „ძველი რომი და თანამედროვე ამერიკა“ (1914 წ.). „კეისრის ქალები“ (1925 წ.), „ანტიკური ცივილიზაციის მსხვრევა“ (1926 წ.) და ა.შ. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ ნაშრომებს სამეცნიერო მხარე ნაკლები ღირებულების იყო. მაგ., ნაშრომი - „ძველი რომი და თანამედროვე ამერიკა“ სოციოლოგიური ტიპის პუბლიკაცია იყო და ეხებოდა ორივე სამყაროს სამრეწველო განვითარების საკითხს. ეს იყო ამერიკული შთაბეჭდილებით დაწერილი ესსე, რომელშიც იყო რწმენა, რომ ტექნიკური პროგრესით და თავისუფალი საბაზრო კონკურენციით შესაძლებელი იქნებოდა ჩამორჩენილი იტალიის სამრეწველო მოდერნიზება.

ახალი ისტორიის თემატიკაზე იტალიელი მეცნიერის ნაშრომები იყო: „ავანტიურა: ბონაპარტე 1796-1797 წლებში იტალიაში“ (1935 წ.), „რეკონსტრუქცია: ტალეირანი ვენაში“ (1940 წ.) და ა.შ.

ადრეულ პერიოდის რომაული საზოგადოება არსით ფეროსთვის გლეხურია თავისი „სიკეთისმქნელებით“. რომის იმპერიის ისტორიული როლის შეფასებისას ფერერო აპოლოგეტია.

იგი ყველგან ხაზს უსვამდა რომის შუამავლურ კულტურულ როლს აღმოსავლეთსა და ბარბაროსულ ევროპას შორის.

XX ს. I ნახ. იტალიურ საისტორიო აზროვნების განვითარებას დაღი დააჩინა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ქვეყნის შიგ და გარეთ მიმდინარე პოლიტიკურმა ბატალიებმა. I მსოფლიო ომმა, რუსეთის რევოლუციამ და სამოქალაქო ომებმა, 1922 წელს იტალიაში ფაშისტების მოსვლამ ქვეყნის სათავეში და ქვეყანაში მიმდინარე სისტემურმა ცვლილებებმა სამეცნიერო წრეებში გამოიწვია მოქმედი ძველი თეორიების გადაფასება. მოდურ თეორიად იქცა გეოპოლიტიკა. გეოგრაფიული განსაზღვრულობიდან გამომდინარე პოლიტიკური ცხოვრების კვლევა და არსებობისათვის ბრძოლის კანონი გადაიქცა „სასიცოცხლო სივრცის“ განმსაზღვრელად. საისტორიო აზროვნებაში გაბატონდა მეცნიერების რასისტული ინტერპრეტაციები, რაც ფაშისტური იდეოლოგიის საფუძველი გახდა.



*მუსოლინი*



*ჯოვანი ჯენტილე*

იდეოლოგიის სფეროში ფაშიზმის აქტივობა გამოვლინდა მასების შეგნებაში საკუთარი ფასეულობების სისტემის (ომის კულტი...) ჩანერგვით, რითაც მათი მხრიდან მოხდა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაზე ტოტალური კონტროლის დამყარება. ფაშისტური რეჟიმის მთელი საქმიანობა წარმოდგა ეროვნული სიდიადის და ერის იდეის მსახურად. ამ პოზიციებიდან გამომდინარე დამუშავებული იქნა ე.წ. კორპორატიული დოქტრინა, რომლის მიხედვით ერი საკუთარი თავის მორალურ და პოლიტიკურ რეალიზებას აკეთებს მხოლოდ ფაშისტურ სახელმწიფოში. ეთიოპიის დაპყრობის შემდეგ ფაშისტების აზროვნებამ აპოლოგიას მიაღწია, როდესაც ოფიციოზის ენით ხმამაღლა გაცხადდა იტალიელი ერის ძველი რომაელების სამხედრო და იმპერიული ტრადიციების მემკვიდრეებად.

ფაშიზმის ტოტალური რეჟიმის სახით ჩამოყალიბებამ და მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მისმა პოლიტიკამ კულტურის სფეროში, რამდენადმე განსაზღვრა იტალიური ანტიკური მეცნი-

ერების განვითარება. ახალი რეჟიმის სამსახურში მეცნიერთა ნაწილი უმალ ჩადგა. მაგ., ფილოსოფოს-ნეოჰეგელიანმა ჯოვანი ჯენტილემ (1875-1944 წწ.) 1925 წელს გამოაქვეყნა ფაშისტ ინტელიგენტთა მანიფესტი, რომელშიც ზოგადად განისაზღვრა მეცნიერის ფუნქცია და კვლევის არეალი.

XX ს. 20-იანი წლების იტალიაში აღმოცენდა ლოკალური საზოგადოებები, რომლებიც ინდივიდუალურად ეწეოდნენ არქეოლოგიურ გათხრებს და აწარმოებდნენ საისტორიო კვლევებს. მეცნიერებაზე კონტროლის დამყარების მიზნით, 1934 წელს, მუსოლინი ქმნის საისტორიო კვლევების ცენტრალური „ჯუნტუ“-ს საზოგადოებას, რომელშიც გაწევრიანდა იტალიაში მოღვაწე ძველი ისტორიის ყველა მკვლევარი. თანდათან, იტალიაში ჩამოყალიბდა ისტორიკოსთა ორი სკოლა - „ეკონომიკურ-იურიდიული“ (ჯ. ვოლპე) და „ეთიკურ-პოლიტიკური“ (ბ. კროჩე).

მსოფლიო ომებს შორის მიმდინარე კრიზისების პირობებში იტალიურ საზოგადოებაში თავი იჩინა ისტორიისადმი ნიჰილისტურმა მიდგომებმა. დაიწყო ძველი რომის ისტორიის ცალკეული პერსონების და ბელადების, მათ შორის უარყოფითი სახეების, მიმართ გადაჭარბებული ინტერესი. სამხედრო და სახელმწიფო კუთხით მათი გაიდიალება სცილდებოდა ყოველგვარ მეცნიერულ დონეს და ანაქრონიზმამდეც მიდიოდა. ამ კუთხით კეისრის ფიგურამ ყველა რომაული პერსონა დაჩრდილა. მაგ., ნაშრომში „ევროპის დაისი“, ოსვალდ შპენგლერმა (1880-1936 წწ.) განავითარა აზრი, რომ კეისარი დიქტატორია, მაგრამ იგი იყო ზეპარტიული ფიგურა, რომელსაც შეეძლო მასების აყოლიება. წერდა ამას მეცნიერი და მინიშნებას აკეთებდა მუსოლინზე. მოგვიანებით მანვე უარყო დიქტატორის მიმართ სიმპატიები. კეისრის შეფასების საქმეში შორს წავიდა პერიკლე დუკატი (1880-1944 წწ.), რომელმაც რომაელი „მსოფლიო გენიად“ გამოაცხადა. ალდო ფერაბინომ (1892-1972 წწ.) იგი „უდიდეს იტალიელად“ მიიჩნია, ხოლო ემანუელ ჩაჩერიმ (1864-1944 წწ.) კეისარი ბენიტო მუსოლინის (1883-1945 წწ.) წინაპრად გამოაცხადა. იტალიურ სამეცნიერო წრეებში მსგავსი პათო-



*ოსვალდ შპენგლერი*

სის გავრცელებას ხელს უწყობდა ჰიტლერის (1889-1945 წწ.) მხრიდან მიმდინარე პროპაგანდისტული კამპანია, როდესაც მუსოლინი რომაელი კეისრების ნამდვილ მემკვიდრედ გამოაცხადეს.

ფაქტია, რომ მუსოლინს სჭირდებოდა ანტიკური გმირი, რომელიც მის პერსონთან გაიგივდებოდა. ამ მხრივ რომი და კეისარი მის პროპაგანდაში იდეალურად ჯდებოდა. იგი ხშირად ამბობდა: „რომი ჩვენი ათვლის და შეფასების წერტილია... ეს ჩვენი სიმბოლო და მითია“. ცნობილი აბრევიატურა – „SPQR“ (სენატი და რომაელი ხალხი) დიქტატორის მხრიდან აქტიურად გამოიყენებოდა რეჟიმის პროპაგანდისას. მუსოლინის დამსახურება იყო კეისრის მიმართ მიმდინარე რეიკარნაციის კამპანია. სამეცნიერო ნაშრომების გარდა, პარალელურად, კეისრის სახე გამოჩნდა იტალიის თეატრალურ სცენაზე. მაგ., 1943 წელს დაიწერა პიესა „იულიუს კეისარი“, რომელშიც რომაელი სახელმწიფო მოღვაწე წარმოდგენილი იყო დედამიწის ზურგზე მყოფ პირველ ფაშისტად.

აღნიშნულ პერიოდში სხვა რომაულ პერსონებზე გამოიცა: რ. ანდრეოტის (?) იმპ. იულიანესა და კომოდუსზე, არნალდო მომილიანოს (1908-1987 წწ.) - „იმპერატორ კლავდიუსის საქმეები“ (1932 წ.), ს. მაზარინის - „სტილიხონი“ (1942 წ.), ჯ. ჯანელის - „რომის ისტორია“ (ტ. 1-2, 1938 წ.) და ა.შ. უნდა შევნიშნოთ, რომ ზემონახსენები წიგნების სამეცნიერო ღირებულება მდარე იყო, ამიტომაც მათ მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებიათ ისტორიოგრაფიაში.

ფაქტია, რომ საისტორიო მეცნიერების ტოტალური კონტროლი მუსოლინის ფაშისტური რეჟიმს მაინც არ გამოვიდა, რადგანაც პროგრესულ ისტორიკოსთა ნაწილმა სანქტისის მსგავსად უარი განაცხადეს ფაშისტურ რეჟიმთან თანამშრომლობაზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიურ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში რომის თემატიკაზე მიძღვნილი ნაშრომებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია იყო ლუიჯი პარეტის (1885-1963 წწ.) „რომის და რომაული სამყაროს ისტორია“ (ტ. I-VI, 1952-1961 წწ.). მეცნიერი ფართო ერუდიტი მკვლევარი იყო. იგი გახლდათ ტურინის და ნეაპოლიტანიის უნივერსიტეტების პროფესორი. მრავალტომეულში იტალიელმა მეცნიერმა შესძლო იმპ. კონსტანტინეს მმართველობამდე ძველი რომის, იტალიის და პროვინციების სამოქალაქო და კულტურული ისტორიის სურათის ერთიან ჭრილში გადმოცემა.

დღეისთვის იტალიაში ინტელექტუალური აზროვნების ცენტრს წარმოადგენს „დეი ლინჩეის ნაციონალური აკადემია“. იგი ევროპის ერთ-ერთი უძველეს სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც 1603 წელს დაარსა ფედერიკო ჩეზიმ (1585-1630 წწ.). აკადემიის მიზანი იყო ფუნდამენტური კვლევების განვითარებისთვის ხელშეწყობა. აკადემიის ერთ-ერთი პირველი წევრი იყო უდიდესი მეცნიერი გალილეო გალილეი (1564-1642 წწ.). სამწუხაროდ, 1651 წელს აკადემიამ შეწყვიტა არსებობა.



*აკადემიის ლოგო*

XIX-XX სს. იტალიაში აკადემიის აღდგენის თაობაზე სხვადასხვა ცდები იყო. მაგ., ვატიკანში დაფუძნდა „ახალი ლინჩეის აკადემია“ (1847 წ.). მოგვიანებით, 1936 წელს, იგი გადაკეთდა „პაპის მეცნიერებათა აკადემია“-დ. იმავდროულად, ქვეყნის გაერთიანების შემდეგ, მეფე ვიტორიო ემანუელე II (1820-1878 წწ.) ბრძანებით, 1871 წელს აღდგა „ლინჩეის აკადემია“, როგორც იტალიის საერო მეცნიერებათა აკადემია. სხვადასხვა დროს აკადემიის წევრები იყვნენ მსოფლიო დონის მეცნიერები: თეოდორ მომზენი, ულრიხ ვილამოვიც-მოლენდორფი, ფრანც ბიუხელერი და სხვ.

### *ფრანგული ისტორიოგრაფია*

ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეში ფრანგული ისტორიოგრაფია ერთ-ერთი წონადია. სწავლობდნენ რა ძველ რომს, ფრანგებისთვის, ყოველთვის ამოსავალი იყო რომაული პროვინცია გალიის და მის გარშემო არსებული ფაქტების შესწავლა-განზოგადება. ფრანგებში რომისადმი დაინტერესება წესით იმპერიის დაშლის შემდეგ არ უნდა შეწყვეტილიყო. თავის დროზე, ფრანკთა მეფე ხლოდვიგ I-ის (481/482-511 წწ.) მიერ თითქმის მთელი რომაული პროვინცია გალიის დაუფლებას იგი უნდა მიეყვანა ძველი რომის მემკვიდრეობის იდეასთან. მან აღიარა რომაული სამართლის მნი-



*ხლოდვიგ I (ბარელიეფი)*

შვენელობა ფრანკებისთვის, მაგრამ იგი მაინც ვერ ამაღლდა რომაელი იმპერატორის დონეზე და უფრო „მიწების მბრძანებლად“ დარჩა.

IX ს. ფრანკებში გაჩნდა ძველი რომის იმპერიის მემკვიდრეობის საკითხი, რაშიც ტონის მიმცემი იყო პაპი ლეო III (795-816 წწ.) მიერ განხორციელებული ჟესტი. პოლიტიკური მოტივებით, რომის პაპმა, ბიზანტიის იმპერატორების საპირწონედ, 800 წელს, ძველი რომის იმპერიის მემკვიდრედ გამოაცხადა ფრანკთა მეფე შარლ I დიდი (იგივე კარლოსი, 748-814 წწ.). მას მიენიჭა „რომაელთა იმპერატორის“ ტიტული, მაგრამ საეკლესიო დოგმების და პაპების მხრიდან ძლიერი რეაქციის გამო, ტიტულის მინიჭების იქით საქმე არ წასულა.

ფრანგთა უშუალო კონტაქტები იტალიელ ჰუმანისტებთან, რომელთა მეშვეობითაც ისინი გაეცნენ რომაულ თემატიკაზე არსებულ ნაშრომებს მოხდა მხოლოდ რენესანსის პერიოდში, ისიც შარლ VIII-ის (1483-1498 წწ.) I იტალიური კამპანიისას (1494-1496 წწ.). ამჯერად ფრანგებში საუბარი არ იყო რომის მემკვიდრეობის საკითხზე. იტალიელი ჰუმანისტები, რომლებიც ძველი რომის გაიდიალებით პროტესტს უცხადებდნენ პაპიზმის დოქტრინას, მათი ნააზრევი მისაღები დარჩა ფრანგებისთვისაც. თანდათან, ფრანგ დიდებულებში წესად იქცა სასახლის კარზე განათლებული იტალიელების ყოლა და ცოდნის მისაღებად შვილების გაგზავნა აპენინის ნახევარკუნძულზე.



გიიომ ბიუდე
(ჟ. კლუე, 1536 წ.)

რენესანსის პერიოდის საფრანგეთში ანტიკური კულტურის დიდი პროპაგანდისტი იყო გიიომ ბიუდე (1467-1540 წწ.). მისი წვლილი განუზომელია საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის და ბერძნულ-ლათინური ენების კათედრის შექმნის საქმეში.

ბიუდე ჩინოვნიკის ოჯახიდან იყო. მას იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული. შარლ VIII მმართველობისას იგი სახელმწიფო საბჭოს მდივანი იყო, ხოლო ლუი XII (1498-1515 წწ.) დროს დიპლომატიურ ასპარესზე. მისი წინადადებით 1530 წელს შეიქმნა „სამი ენების კოლეგიუმი“, სადაც მიდიოდა ბერძნული, ლათინური და ებრაული ენების სწავლება. მანვე გადააფიქრებინა მეფეს

წიგნების გამოცემის აკრძალვა, რასაც დაბეჯითებით ითხოვდნენ სორბონის მაშინდელი პროფესორები.

ბიუდე პირველი იყო მსოფლიო ისტორიოგრაფიაში, რომელმაც გამოსცა ტრაქტატი რომაულ ნუმიზმატიკაზე და ეკონომიკაზე - „ასსის შესახებ“ (1514 წ.). მას ასევე ეკუთვნოდა ნაშრომი „ელინობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის შესახებ“ (1534 წ.), რომელშიც ბიუდემ ელინური ფილოსოფია განიხილა ქრისტიანობის წინამორბედად. მასვე ეკუთვნოდა პლუტარქეს თხზულების ნაწილის თარგმნა.



*იული სკალიგერი*



*ჟოზეფ კალიგერი*

ფრანგულ ისტორიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უკავიათ იული და ჟოზეფ სკალიგერებს. იული ცეზარ სკალიგერი (კულიო ბორდონი, 1484-1558 წწ.) უნიკალური პიროვნება გახლდათ, რამდენადაც ერთდროულად იგი იყო ასტროლოგი, ფილოლოგ-ჰუმანისტი, ნოსტრადამუსის მასწავლებელი, მეომარი და ა.შ. მას ძველი რომის ისტორიის შესახებ სამეცნიერო ნაშრომი არ დაუწერია. სამაგიეროდ, ეკუთვნოდა ლათინური ენის გრამატიკის პირველი სამეცნიერო გამოცემა (1540 წ.). მანვე გამოსცა ორი პამფლეტი ერაზმ როტერდამელის (1467-1536 წწ.) „ციცერონიანას წინააღმდეგ“ (1536 წ.), რომელშიც სკალიგერმა ორატორი დაიცვა ნიდერლანდელი ჰუმანისტის მხრიდან თავდასხმებისაგან. მასვე ეკუვნოდა ვერგილიუსის და სხვა პოემების დეტალური შეპირისპირებაც.

ჟოზეფ იუსტუს სკალიგერი (1540-1609 წწ.) იული ცეზარის ვაჟი იყო. იგი ითვლება საფრანგეთში მეცნიერული ეპიგრაფიკის და ქრონოლოგიის ფუძემდებლად. მას ეკუთვნოდა ნაშრომები - „ქრონოლოგიის გასწორების შესახებ“ (1583 წ.), „ტეზაურუს ტემპორუმი“ (1606 წ.) და სხვ. ნაშრომებში ნაჩვენები იყო დროის ათვლის სისტემა დაწყებული ძველი რომიდან მექსიკელებით დამთავრებული.

სკალიგერამდე ისტორიკოსები სარგებლობდნენ იმ ქრონოლოგიური სისტემებით, როლებსაც ისინი ნახულობდნენ წყაროებში. ეს იყო ოლიმპიადები, კონსულების წლები ანდა რომის დაარსების თარიღი. სკალიგერმა პირველმა მზის დაბნელების მეშვეობით მოვლენების ასტრონომიული დათარიღება გამოიყენა ქრონოლოგიის სისტემატიზაციისთვის. მანვე შემოიღო ამინდის მარტივი ქრონოლოგიური შკალა, რომელზეც შესაძლებელი გახდა იულიანური პერიოდის ყველა ისტორიული თარიღის მიბმა.

ზემონახსენები ნაშრომების გარდა ჟოზეფ სკალიგერს ეკუთვნოდა თხზულება, რომელშიც „ევსევის ქრონიკის“ შენიშვნები მოცემული იყო დეტალური კომენტარებით. მანვე ისტორიკოსებიდან პირველმა შეაფასა ძველი მონეტების შესწავლის მნიშვნელობა, რასაც მიეძღვნა თხზულება - „სამონეტო საქმის შესახებ“ (1606 წ.).

XVI ს-ის საფრანგეთში პოპულარულ ნაშრომად მიიჩნეოდა გიიომ რუილეს (1518-1589 წწ.) მიერ ლათინურ ენაზე შედგენილი „მსოფლიოში ცნობილ ადამიანთა გამოსახულებების კოლექცია, მათი ბიოგრაფიები, რომლებიც ავტორისგან არის მოკლე ფორმით შერჩეული“ (1553 წ.).



სატიტულო გვერდი – 1561 წ,

რუილე საგამომცემლო საქმიანობას ეწეოდ ქ. ლიონში. მას მიეწერება მცირე ზომის ფორმატის ე.წ. „ჯიბის წიგნების“გამოგონება. რუილეს ნაშრომის განსაკუთრებულობა ის იყო, რომ მასში ქსილოგრაფიის მეთოდით მედალიონის ფორმით მოტანილი იყო 950 ისტორიული პირის სურათები. პერსონაჟები ამოღებული იყო ბიბლიიდან, ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და შუა საუკუნეების ისტორიიდან. არსებითად, რუილეს წიგნით მოხერხდა მაშინდელ საფრანგეთში მსოფლიო ისტორიის „სახეებით“ გადმოცემა, რადგანაც გრავიურით შესრულებულ თითოეულ პორტრეტს განმარტების დართული ჰქონდა სახით მცირე ბიოგრაფიული ცნობები. წიგნის შეფასებისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოპულარობის მიუხედავად მისი სამეცნიერო ღირებულება ძალიან მდარე იყო. ამის მიუხედავად, ერთ-ერთი კომენტარის მოსწრებული შენიშვნით, თავისი ფორმატის გამო წიგნი „რჩება ადრეული ქსილოგრაფიის საოცრებად“.

საისტორიო აზრის განვითარების კვალდაკვალ ფრანგულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ტენდეციები ისტორიის ქრისტიანული პერიოდის ქრონოლიგიისას გამოეყენებინათ „ოთხი მონარქებით“ შესახებ კონცეფცია. ეს იყო თავის დროზე ნეტარე ავგუსტინის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია. ამ კონცეფციაზე უარის თქმა ნიშნავდა საისტორიო პროცესების სეკულარიზაციას. რენესანსის დროს ფართოდ დამკვიდრდა ისტორიის სამწევეროვანი დაყოფა: ანტიკურობა, ბურუსის (შუა) საუკუნე და ახალი დრო, რამაც პერიოდიზაციის (ანტიკურობა, შუა საუკუნეები და ახალი ისტორია) სახე მიიღო. მაშასადამე, ჰუმანისტებისთვის ანტიკურობა გახდა ზოგადად ძველი ისტორიის დამაგვირგვინებელი ეპოქად. ჰუმანისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისტორიის პერიოდიზაციის შექმნა მათ შეგნებულად დაიწყეს არა ნეტარე ავგუსტინეს მიერ წარმოდგენილი კონცეფციის კრიტიკით, არამედ უბრალოდ მას გაუკეთეს იგნორირება.

ჰუმანისტების პრაქტიკულად ყველა ნაწარმოებებში შეინიშნება ბერძნულ-რომაული კულტურის პანეგირიკა. ამავე დროს, მათ ისტორია განიხილეს სპონტანური განვითარების პროცესად რომელშიც წამყვანი ადგილი უკავია ადამიანს, როგორც პიროვნებას.


*ჟან კალვინი*

საფრანგეთიდან იყო წარმოშობით კალვინიზმის რელიგიური მიმდინარეობის ფუძემდებელი ჟან კალვინი (1509-1564 წწ.). ძირითადში იგი ჟენევაში მოღვაწეობდა და მისი მხრიდან იქ დამყარებული თეოკრატიული დიქტატურის გამო მას „ჟენევის პაპსაც“ უწოდებდნენ.

XV-XVI ს-ბში რეფორმაციის შედეგად ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე რელიგიურ-დოგმატურმა პროცესებმა გავლენა იქონია კალვინის მსოფლმხედველობაზე. მის ნააზრევს ერთგვარად შუალედური რგოლი ეკავა ლუთერისა და ცვინგლის (1484-1531 წწ.) შორის. თუ, ლუთერი პროტესტანტულ რეფორმაციას ახორციელებდა „ეკლესიიდან ბიბლიის საწინააღმდეგო ყველაფრის მოშორების“ პრინციპით, კალვინი კიდევ უფრო შორს წავიდა და მან ეკლესიას მოაშორა ის რაც ბიბლიით არ მოითხოვებოდა. არსებითად დოგმა, რომლიდანაც მომდინარეობდა კალვინის

ყველა დოქტრინები, იყო ყველგან და ყველაფერში ღმერთის უზენაესი ძალაუფლების აღიარება.

კალვინმა მრავალხიცხოვანი მემკვიდრეობა დაგვიტოვა ბიბლიის წიგნების კომენტარებით, პოლიტიკური პამფლეტებით, სამეცნიერო-სალვთისმეტყველო ტრაქტატებით, ქადაგებებით, სალექტიო ტექსტებით, ეპისტოლეებით და ა.შ. მათგან უმთავრესი ნაშრომებია „დარიგება ქრისტიანულ რწმენაში" (1536 წ.) და ტრაქტატი „რელიქვიების შესახებ" (1543 წ.). პირველ ნაშრომში განხილული იყო ქრისტიანული დოგმატიზმის საკითხები და მოცემული იყო საეკლესიო გარდაქმნების კალვინისეული ხედვა. რაც შეეხება მეორე ნაშრომს, მასში განხილული იყო წმინდა ნაწილების ნამდვილობის საკითხები. უნდა ითქვას, რომ ნაშრომებმა ავტორს დიდი ღვთისმეტყველის სახელი მოუპოვა.

ტრაქტატში „რელიქვიების შესახებ", კალვინმა, გააკრიტიკა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, და ესპანეთის მონასტრებში არსებული სხვადასხვა წმინდანთა სხეულის ნაწილების, ყოფითი ნივთების და ა.შ. ნამდვილობა. წმინდა რელიქვიებზე საუბარს კალვინი იწყებდა იესო ქრისტეს კიდურებთან დაკავშირებული საკითხით, რომელიც რეფორმატორის შენიშვნით, რატომღაც ორ ცალად (პუატიეს და ლატერანის ტაძარი, რომი) ფიქსირდებოდა. იგივე მოსაზრებები გამოთქვა მან ლონგინუსის შუბის თაობაზე და სხვა წმინდანთა (მარიამ მაგდალინელი...) ნაწილების თუ ნივთების მიმართ. ვინაიდან მორწმუნე დაზღვეული არ იყო ნაყალბევი ნივთების არსებობით, ამიტომაც კალვინმა წამოაყენა მათ მიმართ თაყვანისცემის უარყოფის იდეა. უნდა შევნიშნოთ, რომ კალვინის მხრიდან თხზულებებში მოყვანილი არგუმენტები იყო უაღრესად წონადი და ეპოქისთვის უაღრესად გაბედული სიტყვა, რაც პირდაპირ ურტყამდა პაპის მხრიდან ინდულიგენციებით ვაჭრობის საქმესაც. ცხადია, პაპის მხრიდან რეაქციამაც არ დააყოვნა და კალვინის ორივე ნაშრომი ეკლესიის მხრიდან უმალ შეტანილი იქნა აკრძალულ წიგნების ნუსხაში, რაც იმ მომენტისთვის ავტორისეული იდეების აღიარებას ნიშნავდა.

ძველ რომთან და ზოგადად ანტიკურობასთან მიმართებაში, კალვინის შეხედულებები განსხვავდებოდა ჰუმანისტების პოზიციიდან. პაპიზმის წიააღმდეგ ბრძოლის საქმეში და თავიანთი პოზიცია-არგუმენტების გასამყარებლად ჰუმანისტებთან ანტიკური

ავტორები გაიგივებული იყვნენ უნივერსალურ ჭეშმარიტება-სთან. მათგან განსხვავებით კალვინის მიზანი იყო, როგორც თვითონ აღნიშნავდა - ქრისტიანობა ამოეგლიჯა ანტიკური კულტურის ტყვეობიდან.

ტრაქტატში „დარიგება ქრისტიანულ რწმენაში“ კალვინმა კრიტიკის ორბიტაში მოექცა მარკუს ციცერონი. რელიგიის წარმოშობის თაობაზე რომაელი ორატორის მსჯელობიდან კალვინმა აიღო და პროპაგანდა გაუწია მხოლოდ ერთ, რომ ადამიანში იმთავითვე არის ჩადებული რწმენის მარცვლები. აქედან გამომდინარე კალვინი აკეთებდა დასკვნას, რომ რელიგია ადამიანის მახასიათებელი ნიშანი იყო. ციცერონის ნაწარმოების მეშვეობით კალვინი აკრიტიკებდა იმ ადამიანებს ვინც უღმერთოების პროპაგანდას ეწეოდნენ. თვით წარმართი ციცერონი დარწმუნებულია, წერდა კალვინი, რომ არ არსებობს ბარბაროსი ერი... რომელშიც არ იყოს გათავისებული რწმენა რომელიღაც ღმერთზე. წერდა ამას კალვინი და იმავდროულად იგი ყურადღებას არ აქცევდა ციცერონის მიერ რელიგიის თაობაზე გადმოცემულ პლატონისეულ იდეებს, როგორც სახელმწიფოს განმტკიცების საშუალების თაობაზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ რეფორმატორის დროს პლატონისეული თეორია მიჩნეული იყო ხალხის მოტყუების მიზნით ძველი კანონმდებლების მიერ შექმნილ გამოგონებად. კალვინისთვის მიუღებელი იყო პლატონისეული თეორია და წერდა რომ მასში „ღმერთი ჩრდილშია დატოვებული“. ამ აზრის საპირისპიროდ მან რიგი არგუმენტები აიღო ისევ პლატონის, პლუტარქეს და ციცერონის თხზულებებიდან, რათა დაემტკიცებინა, რომ ძველ კანონმდებლებში ღმერთის იდეა გათავისებული იყო დაბადებისთანავე. ეს რომ არა, წერდა კალვინი, კერპთაყვანისმცემლობის წარმართული რელიგია დაძლეული არ იქნებოდა.

ანტიკური მემკვიდრეობა კალვინისთვის ადამიანის რელიგიურობის  უნივერსალური კრიტერიუმი იყო. ციცერონისეული პოლიტიკური რელიგიის ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ კალვინმა გამოიყენა მისი მხოლოდ საზოგადო გაგება. ციცერონის მიმართ კალვინის პოლემიკის ფორმა დიალოგია. მასში რეფორმატორი მონოლოგის ფორმით ცდილობს იყოს მკაცრი, გადამწყვეტი და დარწმუნებული ბრალმდებლის როლში, ხოლო ციცერონი და

მასთან ერთად არებული მთელი ანტიკური კულტურა ბრალდებულის როლში. მას მიაჩნდა, რომ ყველა ანტიკური წარმოდგენები ნიმუშია იმისა, როგორ არ უნდა აზროვნებდეს ქრისტიანი. იგი წერდა: წაიკითხე დემოსთენე, ციცერონი, პლატონი, არისტოტელე ანდა რომელიღაც მათი წონადი და მჯერა, რომ ისინი გაგიტაცებენ... მაგრამ მათგან თუ გადავალთ წმინდა წიგნებზე იგი იმდენად ცოცხლად შეეხებდა გულს და შინაგანად დაგეუფლება, რომ ორატორების და ფილოსოფოსების მთელი ძალა გადაიქცევა კვამლად წმინდა წერილებით მოცემულ მტკიცებულებებთან შედარებით.

XVII ს. ფრანგულ საისტორიო აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა შარლ მონტესკიეს (1689-1775 წწ.) სამეცნიერო ნააზრევმა. განათლებით იყო ენციკლოპედისტი ამ სიტყვის სრული გაგებით, მონტესკიე, გამოირჩეოდა ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტეკონომიის და იურისპუდენციის ცოდნით. წარმოშობით იგი იყო პროვინციელი დიდებული და ეკუთვნოდა ე.წ. „სათავადაზნაური მანტიის" წრეს. ცხადია, სოციალურმა წარმომავლობამ მონტესკიეს მსოფლმხედველობაში განაპირობა დიდებულებს და ბურჟუაზიას შორის კონსესუსის არსებობა. მისი „სპარსული წერილები" (1721 წ.) ამ სულისკვეთების ნათელი ნიმუშია. ამის გარდა, ფილოსოფიური შეხედულებით, იგი იყო ფრანგული დეიზმის წარმომადგენელი. გიორგი პლეხანოვი (1856-1918 წწ.) დეიზმს „ზეციურ პარლამენტარიზმად" თვლიდა. დეისტებისთვის ღმერთი პირველსაწყისია, მაგრამ იმავდროულად ისინი უარყოფდნენ მის შემდგომ ჩარევას ბუნების საქმეებში და მით უფრო საზოგადოების ცხოვრებაში. მართალია, დეისტებს და ოფიციალურ ეკლესიას შორის მიდიოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მაგრამ იგი განპირობებული იყო მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით და პრინციპებით. არსებითად, ეკლესია დეისტებს ეომებოდა მისი ავტორიტეტის არ ცნობის გამო.



*შარლ მონტესკიე*

მონტესკიე ანტიკური ისტორიის და ფილოსოფიის ბრწყინვალე მცოდნეა. მისი ნააზრევის ორიგინალობა კარგად ჩანს არისტოტელეს გარშემო საკითხებზე მსჯელობისას. თუ ჰუმანისტე-

ბისთვის არისტოტელე იყო ელიტარული მოაზროვნე, მონტესკიემ, იგი განიხილა განმანათლებელთა პოზიციიდან. მან საერთოდ უარყო არისტოტელეს ცნობილი თეზისი - მონობის საბუნებისმეტყველო ხასიათის და მისი მარადიულობის შესახებ. „კანონთა გონში" მან მიუთითა აღნიშნული დებულების არამართებულობაზე და პლუტარქეზე დაყრდნობით მოიტანა ფაქტები, როდესაც საზოგადობაში არ არსებობდნენ არც მონათმფლობელები და მონები. თუმცა, მისი შენიშვნით, მაშინაც მოქმედებდნენ ბუნების იგივე კანონები, როგორც მონათმფლობელურ პერიოდში.

რომის ისტორიის განვითარების შესახებ მონტესკიემ საკუთარი ორიგინალური კონცეფცია შექმნა, რომელზეც მისი აზრით გავლენა მოახდინა ბუნებრივმა გარემომ. რომაელ საზოგადო მოღვაწეთაგან იგი მაღალ შეფასებას აძლევდა ციცერონს მისი პოლიტიკური ცხოვრების აქტივობის გამო.

რომაული ისტორიის თემატიკას ეხება მონტესკიეს ნაშრომი - „განსჯა რომაელთა დიდების და დაცემის მიზეზებზე" (1734 წ.). მასში მოკლე ფორმატით გადმოცემულია რომის ისტორია დასაბამიდან დაცემამდე, ე.ი. 476 წლის ჩათვლით. ნაშრომი 23 თავისგან შესდგება და განხილული საკითხებია: რომის დასაწყისი, მისი ომები, რომაელების ამაღლება, რატომ შესძლო მითრიდატემ წინააღმდეგობა, დას. რომის პირველი განადგურება და ა.შ.

რომის განადგურების მთავარ მიზეზად მონტესკიე თვლიდა საბრძოლო სულის და დისციპლინის დაქვეითებას. ბიზანტია მონტესკიესთვის რომია და მის იმპერატორებიდან გამოჰყოფდა მხოლოდ იუსტინიანეს. რომაული ომების ხასიათი და მისი სამხედრო ორგანიზაცია მონტესკიემ განმარტა სოციალურ-პოლიტიკური დაწესებულებების განსაკუთრებულობით. რომის გამარჯვებებს კართაგენზე იგი მიაწერდა წვრილ მესაკუთრე ფენის დამსახურებას, რომლებიც მისი აზრით იბრძოდნენ სამშობლოსათვის.

ფრანგი განმანათლებელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაიწყო რომაელთა ეკონომიკური ისტორიის შესწავლა და მასში განსაკუთრებული ადგილი მიაკუთვნა ვაჭრობის როლს. მონტესკიეს აზრით, რომის სიდიადეს საფუძვლად დაედო რომაელ მოქალაქეთა კეთილგანწყობა, რომლებიც საზოგადო-

ებისათვის წირავდნენ პირად ინტერესებს. სიმდიდრემ, წარმატებითმა დაპყრობებმა და არათანასწორუფლებიანობამ გამოიწვია სხვა ადათების დანერგვა და რომაელთა საერთო დეგრადაცია.

„განსჯა რომაელთა დიდების და დაცემის მიზეზებზე" იმთავითვე პროგრესული ნაშრომი იყო. მასში ავტორი შეეცადა ანტიკური რომის ისტორიის მაგალითზე აჩვენოს, რომ მოქალაქეები, სადაც დამოუკიდებელი და თავისუფალი არიან, სადაც რესპუბლიკური ადათები და წესები ბატონობენ, საზოგადოება წარმატებით ვითარდება. იმ ქვეყნებში კი, სადაც მოქალაქეები უარს ამბობენ თავისუფალ აზროვნებაზე და დგანან მონობის გზაზე, სახელმწიფო კარგავს დიდებას და საბოლოო ჯამში განიცდის მარცხს შიდა თუ გარე მტრებისაგან.

განმანათლებელთა თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო ფრანსუა ვოლტერი (1694-1778 წწ.), რომელიც სიცოცხლეშივე უაღრესად პოპულარული ფიგურა იყო საფრანგეთში. აბსოლუტიზმის კრიტიკის გამო ვოლტერი რამდენჯერმე ბასტილიაში იჯდა და ამ დროს კი პარიზის სცენებზე ტრიუმფით იდგმებოდა ძველი ისტორიის თემატიკაზე შექმნილი მისი ტრაგედიები. ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885 წწ.) შენიშვნით ვოლტერი „უკვდავად კვდებოდა".



*ვოლტერი*

მართალია, ვოლტერს რომის ისტორიის შესახებ სპეციალური თხზულება არ დაუწერია, მაგრამ მასთან რომაული თემატიკა აისახა მის მხრიდან ქრისტიანულ დოგმატიზმთან და კათოლიკური ეკლესიის კრიტიკისადმი მიძღვნილ არაერთ ნაშრომებში: „იმპერატორ იულიანეს სიტყვა" (1768 წ.), „ღმერთი და ხალხი" (1769 წ.), „ქრისტიანობის დამყარების ისტორია" (1777 წ.) და სხვ.

საერთოდ, ვოლტერისვის დამახასიათებელი იყო რომაული წარსულის მიმართ ზედმეტი სკეპტიციზმი. ლივიუსის ცნობებს იგი არარეალურს მიიჩნევდა. ასევე სკეპტიკური იყო მისი აზრი ტაციტუსის და სვეტონიუსის შესახებ, რომელთა თხზულებებს იგი მხოლოდ პუბლიცისტურ ნაწარმოებებად თვლიდა. თუ მონტესკიე იდეალიზაციას უწევდა ძველი რომის ადრეულ რესპუბლიკურ ადათებს, ვოლტერმა ისინი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, რო-

მლებიც ქურდების და ყაჩაღებისად მიიჩნია. წერდა ამას ვოლტერი და სხვაგან კი ხაზს უსვამდა რომაელთა დიდ კულტურულ მისიას კაცობრიობის წინაშე. რომის დაღუპვის მიზეზად ვოლტერი თვლიდა ქვეყანაში მიმდინარე რელიგიურ და პოლიტიკურ უთანხმოებებს.

ძველი რომის ისტორიის შესწავლა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში განმანათლებლური და კლერიკალური მიმართულებების ჭიდილის ფონზე ხდებოდა. კლერიკალური ისტორიოგრაფიის ნიმუში იყო აბატ ლუი-სებასტიან ტილემონის (1637-1698 წწ.) ერუდიტული ხასიათის ნაშრომები: „იმპერატორების და სხვა მთავარების ისტორია, რომლებიც ქრისტიანობის პირველ ექვს საუკუნეებში მართავდნენ“ (ტ. I-VI, 1690-1738) და „ჩანაწერები პირველი ექვსი ასწლეულის საეკლესიო ისტორიის შესახებ“ (ტ. I-XVI, 1693-1712 წწ.). ტილემონთან ძველი რომის იმპერიის და ადრეული ქრისტიანობის ისტორია ერთმანეთშია გადახლართული. მისი მიზანი იყო ეჩვენებინა ადრეული ქრისტიანობის დროინდელი საეკლესიო წყობა, თუმცა შემდეგ იგი დარწმუნდა ეკლესიის და რომის იმპერიის განუყოფლობაზე.

ტილემონი ანტიკური წყაროების დიდი მცოდნეა. იგი იყო ფრანგული რელიგიურ-ისტორიული ერუდიტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მან მიმოქცევაში ფართოდ გამოიყენა სამეცნიერო არსებულ დოკუმენტების ფართო წრეს, ჩანასახში მყოფი საისტორიო მეცნიერების დამხმარე დისციპლინებს, მაგრამ მისი კრიტიკული მუშაობა მხოლოდ ფორმალურ მხარეს ეხებოდა, მისთვის არ იყო დამახასიათებელი საისტორიო წყაროების ღრმა კრიტიკა (ავტორის, წყაროს შინაარსის და სანდოობის დადგენა...). ამასთან, მისი შრომები კომპილიაციაური ხასიათის იყო, რადგან ისინი შედგენილი იყო ძველ ავტორთა ამონაწერებიდან ყოველგვარი კრიტიკის და საპირისპირო ვერსიების შეჯერების გარეშე. ფრანგი სწავლული ანტიკური რომის ისტორიას უპირველესად ჰყოფდა კეთილ და ბოროტ იმპერატორთა მმართველებად და ა.შ.



*ტილემონი*

XVIII ს. საფრანგეთში პოპულარულ ნაშრომად ითვლებოდა შარლ როლენის (1661-1741 წწ.) „ძველი ისტორია“ (ტ. I-XII, 1730-

1738 წწ.) და „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან აქციუმის ბრძოლამდე“ (ტ. I-IX, 1738-1748 წწ.).

როლენი მოწოდებით იყო პედაგოგი, ისტორიკოსი და პარიზის უნივერსიტეტის რექტორი (1694 წ.). მას მიეწერება ახალი მიდგომების პროპაგანდა პედაგოგიკაში, რაც გამოიხატა სასკოლო ხელმძღვანელობის მართვის და ზოგადად მათი შექმნა-წარმოება არა ლათინურ, არამედ ფრანგულ ენაზე.

ნაშრომში - „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან აქციუმის ბრძოლამდე“, გადმოცემული იყო მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის რომის საშინაო და საგარეო ისტორია. როლენი რომაულ ლეგენდარულ ტრადიციებს ნდობით ეკიდებოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ როლენმა მრავალტომეულის მხოლოდ პირველი ხუთი ტომების დაასრულება მოასწრო.



შარლ როლენი

XVIII-XIX სს. მიჯნაზე საფრანგეთში მიმდინარე რევოლუციებმა, ნაპოლეონის მიერ წარმოებულმა საომარმა კამპანიებმა და სხვადასხვა პოლიტიკურმა ბატალიებმა, უშუალოდ ხელი შეუწყო რომის ისტორიისადმი დაინტერესებას. საქმე იმაშია, რომ რესპუბლიკელები ანდა ძლიერი ძალაუფლების მებაირახტრეები თავიანთი იდეალების ნიმუშად მიიჩნევდნენ ძველ რომს. იმ პერიოდის რევოლუციურ საფრანგეთში მოდად იქცა რომაელი მოღვაწეების სახელების დარქმევა. მაგ., რევოლუციონერმა ფრანსუა ბაბეფმა (1760-1797 წწ.) სახელად დაირქვა „გრაკხუსი“, ხოლო მაქსიმილიანე რობესპიერის (1758-1794 წწ.) თიკუნი იყო „ციცერონი“. მსგავსი მაგალითები მრავალი იყო რევოლუციურ და პოსტრევოლუციურ საფრანგეთში. უკვე რევოლუციონერები თავიანთ თამამ განაცხადებს რომაული ფრაზებით ახმოვანებდნენ. მათგან საპირისპიროდ, ძლიერი ძალაუფლების მებაირახტრეები, ძველი რომის ისტორიიდან პარალელებს ავლებდნენ და პოპულარიზაციას უწევდნენ საიმპერატორო ძალაუფლებას. ამის ნიმუშია იმპ. ნაპოლეონ I (1804-1814/15 წწ.) და იმპ. ნაპოლეონ III (1808-1873 წწ.) წიგნები იულიუს კეისრის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ.

ძველ რომის ისტორიისადმი დაინტერესების საქმეში დიდი იყო „პარიზის მეცნიერებათა აკადემიის“ წვლილი. იგი ერთ-ერთი

პირველი აკადემია იყო მსოფლიოში, რომელიც 1666 წელს ჟან-ბატისტ კოლბერის (1619-1683 წწ.) ინიციატივით დაარსა მეფე ლუი XIV (1643-1715 წწ.). XVIII ს. აკადემიის წევრები მკვეთრად გამოვიდნენ საზოგადოების განვითარების რაციონალური თეორიების დასაცავად. ამის გარდა, ლიტერატურაში გაჩნდა და ევროპის იდეოლოგიური მიმდინარეობა გახდა რომანტიზმი. მან ისტორიაც მოიცვა. საისტორიო მეცნიერებაში რომანტიზმის ფუძემდებელი იყო გერმანელი მეცნიერი ნიბური, რომლის იდეებმა გავლენა იქონია ევროპაში რომაული წარსულის შესწავლის საქმეში.

XIX ს. რომაულ თემატიკაზე მომუშავე ფრანგი მეცნიერებიდან აღსანიშნავია ჟიულ მიშლე (1798-1874 წწ.). რომისადმი მისი დაინტერესება დაიწყო პლუტარქეს და ვიკოს შემოქმედების გაცნობით. მისი დამსახურება იყო იტალიელი ჰუმანისტის ნაშრომის - „ახალი მეცნიერების საფუძვლების“ ფრანგულ ენაზე გამოცემა. ნაშრომს მაშინ დიდი წარმატება ხვდა.

1831 წელს მიშლემ ორი ნაშრომი გამოაქვეყნა: „შესავალი მსოფლიო ისტორიაში“ და „რომის რესპუბლიკის ისტორია“. ამ ნაშრომებში აისახა რესპუბლიკური რომის ისტორიის პროცესების მსვლელობის მისეული ხედვა, რაც ერთგვარად დაფუძნებული იყო ჰეგელის და ნიბურის ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფციების სინთეზზე. მიშლესთვის „მსოფლიო სულის“ თვითგახსნა არის თავისუფლების დამყარების პროგრესული პროცესი, რომელიც მოიპოვება ადამიანის ბედისწერასთან ბრძოლით. ნიბურის ძირითადი დასკვნების გამოყენებით მიშლემ აჩვენა რესპუბლიკური რომის ისტორიის სხვადასხვა მხარეები. მისი აზრით, ეს იყო რთული და მრავალწახნაგოვანი ცივილიზაცია, რომელიც გამსჭვალული იყო თავისუფლებისთვის ხალხთა ბრძოლით. სამწუხაროდ, ამ ნაშრომის გამოსვლის შემდეგ მიშლემ შეიცვალა ინტერესის სფერო და იგი გადაერთო საფრანგეთის ისტორიის შესწავლაზე.



*ჟიულ მიშლე*

XIX ს. ფრანგ ანტიკოსთა თაობის წარმომადგენელი იყო ადოლფ დიურო დე ლა მალი (1777-1857 წწ.). მას საინტერესი გატაცება ჰქონდა. იგი ცდილობდა დაემუშავებინა იმ მომენტისთვის მეცნი-

ერებისთვის ნაკლებად მიმზიდველი სიუჟეტები. მისი პუბლიკაციებია: „ხმელთაშუა ზღვის ფიზიკური გეოგრაფია“ (1807 წ.), „ძველად ქალაქთა ალყის შესახებ“ (1819 წ.), „ძველი იტალიის მოსახლეობა“ (1825 წ.), „რომაელების სოფლის მეურნეობის, ადმინისტრაციის და საზომი ერთეულების გაზომვა“ (1828-1829 წწ.), „კართაგენის ტოპოგრაფია“ (1835 წ.) და ა.შ. მალის ნაშრომებიდან უმთავრესია „რომაელთა პოლიტიკური ეკონომია“ (1840 წ.). ეს ორტომიანი წიგნი დაიწერა ინგლისელი ეკონომისტების გავლენით და აღნიშნულ თემატიკაზე იგი ითვლებოდა ყველაზე სრულყოფილ გამოკვლევად მაშინდელ ისტორიოგრაფიაში.

მალის პირველი იყო ისტორიოგრაფიაში, რომელმაც დაიწყო ანტიკური რომის ეკონომიკის შესწავლა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რომის ეკონომიკის პრობლემებზე მან შეაგროვა უზარმაზარი მასალა. ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი მეტრიკული და სამონეტო სისტემა, ფასები საქონელზე, სამუშაო ძალები და ა.შ. მთელი ნაშრომი და ყოველი ტომი იყოფოდა ორ წიგნად, მიძღვნილი იყო იტალიის და პროვინციების სხვადასხვა კატეგორიების შესწავლაზე. მალის აზრით, რომის ეკონომიკა მონათმფლობელური ბუნების იყო და ავგუსუტუსის დროინდელი მთელი იტალიის მოსახლეობის ნახევარი მონები იყო, რომლებიც იმავდროულად სასოფლო სავარგულებში იყვნენ ძირითად მწარმოებლებად. რომის სიძლიერეს ისტორიკოსი უკავშირებდა ქვეყანაში შეძლებული გლეხის დიდი მასის არსებობას. მალის შენიშვნით, ლატიფუნდიების გავრცელების და არასწორი აგრარული კანონდებლობის წყალობით ეს მასა შემდგომში განდევნილი იქნა წარმოებიდან.

საისტორიო აზროვნებაში ეკონომიკური თემატიკის წამოწევის მიუხედავად, XIX ს., მსოფლიო მეცნიერთა ყურადღება ძირითადში მიპყრობილი იყო პოლიტიკური ისტორიისადმი. წყაროთმცოდნეობითი ბაზის კიდევ უფრო გაფართოებამ და აზროვნებაში პოზიტივური იდეების გავრცელებამ გავლენა მოახდინა ძველი რომის ისტორიის შემდგომ შესწავლაზე. უკვე შეიქმნა სხვადასხვა ეკლექტიკური თეორიები. იმავდროულად ეს არის გრანდიოზული აღმოჩენების პერიოდი. ჰ. შლიმანის (1822-1890 წწ.) და სხვა მეცნიერების მიერ წარმოებულმა წარმატებულმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მათ შორის საფრანგეთშიც შეცვალა დამოკიდებულება ძველი ისტორიისადმი. ყოველივეს დაემატა საფრანგეთში

მიმდინარე მძაფრი პოლიტიკური ბატალიები. აქ ერთმანეთს ცვლიდა ლუი-ნაპოლეონის „კეისარიანული მონარქია“, საფრანგეთ-პრუსიის ომი, პარიზის კომუნა და ა.შ. ცხადია, პოლიტიკური მომენტებმა გავლენა მოახდინეს საისტორიო აზროვნების განვითარებაზე და განსაზღვრეს მისი მაგისტრალური ხაზი. იმის მიუხედავად, რომ განსახილველი პერიოდის მსოფლიო საისტორიო მეცნიერებაში ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეში პირველ ადგილზე იდგა გერმანული სკოლა, ფრანგებსაც ჰყავდათ შესანიშნავი მეცნიერები ფიუსტელ დე კულანჟის, ვიქტორ დიურუის და ჰენრი ვალონის სახით, რომლებმაც რომანისტიკაში წონადი ნაშრომები შექმნეს.

ფიუსტელ დე კულანჟი (1830-1889 წწ.) XIX ს. ფრანგ მეცნიერებში გამორჩეული ფიგურა იყო. იგი იყო უაღრესად ორიგინალური მოაზროვნე, რომლის კონცეფციებმა საფრანგეთში ზოგადად განსაზღვრეს ძველი რომის ისტორიის შესწავლის მაგისტრალური ხაზი. ფრანგი მეცნიერის განსწავლულობის მანიშნებელი იყო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ საქალაქო ლიცეუმში მოღვაწეობისას მან მოამზადა ორი სადოქტორო დისერტაცია - „ვესტას კულტი ძველად კერძო ცხოვრებაში თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში“ და „პოლიბიოსი, ანუ რომაელების მიერ დაპყრობილი საბერძნეთი“ (1858 წ.). ნაშრომში კულანჟი პოლიბიოს მიიჩნევდა მიუკერძოებულ ისტორიკოსად. ამის საფუძვლად მას მიაჩნდა ბერძენი ისტორიკოსის მხრიდან დამოუკიდებლობის დაკარგვაზე ანდა დამპყრობლების მიმართ სინანულის გრძნობის არ გამოვლენას. კულანჟისთვის პოლიბიოსი იყო თავისუფალი საბერძნეთის უკანასკნელი და დამპყრობ რომაელთა პირველი ისტორიკოსი.



*ფიუსტელ დე კულანჟი*

ისტორიკოსის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე გავლენა იქონიეს მოვლენებმა, რომლებსაც წესით მეცნიერისთვის პრინციპური მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა. ეს იყო 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი, მეორე რეიხის აღმოცენება და გერმანიის მხრიდან ფრანგული ტერიტორიების (ელზას-ლოტარინგია) მიტაცება. კულანჟიმ მტკივნეულად განიცადა ფრანგების მარცხი სედანთან (1.09.1870 წ.) და, როდესაც მომზენი გამოვიდა

სტატიით, რომელშიც დასაბუთებული იყო ელზასის გერმანულობა, ფიუსტელის მხრიდან მას მოჰყვა საპირისპირო ფაქტების კონსტანტაცია. ფიუსტელამდე ფრანგულ-გერმანული პოლემიკა საფრანგეთში საშინაო და გერმანიაში საგარეო საქმედ ითვლებოდა. ფრანგმა მეცნიერმა შესძლო ამ პოლემიკის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა. იგი მასში აქტიურად ჩაება და იმავდროულად გადაერთო ახ.წ. I ათასწლეულის პროცესების შესწავლაში. მისი შეხედულებები ფორმულირებული იყო ნაშრომში „ძველი საფრანგეთის პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორია“ (ტ. I-V, 1875-1892 წწ.). ჩვენთვის მთავარია მრავალტომეულის I ტომი, რომელშიც მიმოხილული იყო გვიანდელი რომის ისტორია, გალიაში გერმანელების ყოფნა და მეროვინგების სამეფოს ისტორია.

უნდა ითქვას, რომ კულანჟიმ რელიგია უარყო საზოგადოების განვითარების საფუძვლად. მონოგრაფიაში ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ რომის იმპერია იყო არა რესპუბლიკის შემდგომი დაქვეითება, არამედ მისი განვითარების ახალი საფეხური. მან გაზვიადებულად მიიჩნია ისტორიაში გერმანელთა როლი და არარეალურად ჩათვალა მარტო ბარბაროსების წვლილი დას. რომის იმპერიის დაცემის საქმეში. ძველ და ახალ ცივილიზაციებს შორის არსებითი განსხვავებების მიუხედავად, კულანჟეს მიაჩნდა, რომ ევროპული სამყარო და კულტურა აღმოცენდა რომის ისტორიიდან. ამიტომაც იგი თვლიდა, რომ ორივე ეპოქას შორის იყო არა შესვენება, არამედ უბრალოდ მოხდა რომაული კულტურის გავლენის სფეროს გაფართოება. რაც შეეხება ბარბაროს-გერმანელებს, ავტორის აზრით, ანარქიის გარდა ევროპაში მათ არავითარი ორიგინალობა არ შემოიტანეს და ამის გამო ისინი მოექცნენ მაღალი, რომაული ცივილიზაციის გავლენის ქვეშ. კულანჟის აზრით, ხანგრძლივი დროის მანძილზე გალიაში სახლდებოდნენ გერმანული მცირერიცხოვანი ჯგუფები, საიდანაც ნაწილი იყო რომის მოკავშირე, ანდა ცალკეული მძარცველები. შესაბამისად, ისტორიკოსი ასკვნიდა, რომ არცერთ და არც მეორეს არ შეეძლო შეექმნა პრინციპულად ახალი საზოგადოება და ამიტომაც ახდენდნენ მხოლოდ რომაული ტრადიციების კალკირებას.

კულანჟის მთავარი ნაშრომი, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა გახლდათ „ანტიკური ქალაქი“ (1864 წ.). რუსი მედიევისტი პ. ვინოგრადოვი (1854-1925 წწ.) აღნიშნულ ნაშრომს, რენანის „ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიას“ (წ. I-VII, 1864-

1907 წწ.) და ტენის „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობას“ (ტ. I-III, 1876-1893 წწ.), ფრანგული სისტორიო აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებად მიიჩნევდა. ნაშრომში კულანჟი შეეცადა განეხილა ყველა ის პრინციპი და წესი, რომელზეც იყო დაფუძნებული ძველი ბერძნულ-რომაული საზოგადოებები, რომლებიც ავტორს გამოჰყავდა ძვ.წ. I ათასწლეულის საკულტო რელიგიებიდან. მისი აზრით, ისინი იყო ბაზისი, რომელზეც ახალი ღმერთებით და რიტუალებით აღმოცენდა სამოქალაქო თემები. კულანჟი თვლიდა, რომ ანტიკური სამოქალაქო თემი შედგებოდა ეკლესიის მსგავსი შინაგანი წყობით რელიგიაზე დაფუძნებული ოჯახისგან.

ფრანგი მეცნიერი უარყოფდა პოლისებში ინდივიდუალური თავისუფლების არსებობა. საბერძნეთ-რომის ისტორია მან წარმოსახა, როგორც რელიგიაზე დაფუძნებული ცვლილებათა სერია. სამეფო ძალაუფლების გაუქმებას და პატრიციუსების მეთაურობით რესპუბლიკის დამყარებას კულანჟი უკავშირებდა ბრძოლას კულტის გარშემო. მას ასევე მიაჩნდა, რომ პატრიციუსების, პლებეების და კლიენტურის გაჩენამ გამოიწვია არისტოკრატიის მიერ მონარქიის დამხობა, რასაც იგი პირველ გადატრიალებას უწოდებდა. გვარის დაშლა მისთვის იყო მეორე, პლებეების ჩართვა სამოქალაქო თემში მესამე, ხოლო დემოკრტიის დანერგვა და მისი დაცემა ტირანის ხელით იყო მეოთხე გადატრიალება. კულანჟის მიაჩნდა, რომ მეზობელ ხალხების დაპყრობამ რომში ხელი შეუწყო პრინციპის - „ერთი ღმერთი ზეცაში და ერთი სახელმწიფო მიწაზე“ - გამარჯვებას. რელიგიერი იდეოლოგიის ევოლუცია კი ლოგიკურად მივიდა მონოთეისტურ ქრისტიანობამდე, რომელმაც თან გაიყოლია რომის იმპერიის გამარჯვებები. კულანჟის აზრით, სწორედ აქ მთავრდება ანტიკური საზოგადოება ამ სიტყვის სრული გაგებით.

საისტორიო პროცესებში კულანჟემ გამორიცხა შემთხვევითობა და იგი შეეცადა ყველა მომენტი აეხსნა რეალური გარემოებებით. კულანჟი ფატალისტი იყო და ამიტომაც ისტორიული პროგრესის საფუძვლად მიიჩნევდა ევოლუციის პროცესებს. იგი უარყოფდა რევოლუციის მნიშვნელობას. მისთვის ასევე მიუღებელი იყო „გამოჩენილ ადამიანთა“ როლი და თვლიდა, რომ ისტორიას ადამიანები ქმნიან, შინაგანი პოტენციალით ვიღაცის მიერ ჩადებული საზოგადოების თვითგანვითარების ძაფით.

კულანჟის ნაშრომი უმალ მოექცა მეცნიერთა ყურადღების სფეროში და იგი იდიალისტური მიმართულებად მოინათლა. კლერიკალები მას კიცხავდნენ. ფრანგი მკვლევარის შეხედულებები ევროპელ მეცნიერთაგან მიიღეს მხოლოდ ინგლისელებმა. გერმანელები შოკირებულები დარჩნენ, რადგანაც უარყოფილი მათი როლი დას. რომის იმპერიის დაცემი საქმეში, ამიტომაც ისინი ყოველგვარი საშუალებით იგნორირებას უკეთებდნენ კულანჟის ნაშრომებს. უფრო მეტიც, აღნიშნულ საკითხებზე კულანჟი ფართო პოლემიკითაც გამოვიდა, რასაც მიუძღვნა პუბლიკაციები: „რომაული კოლონატი", „თანამედროვე საკითხები" (1916 წ.), „გერმანელთა თავდასხმები და იმპერიის დასასრული" (1891 წ.) და ა.შ.

კულანჟის შრომების ლაიტმოტივია ფრანგულ-გერმანული დაპირისპირებები. ნაშრომში - „რომაული კოლონატი", რომელიც რომის იმპერიის სოფლის მოსახლეობის ბატონყმური ურთიერთობების საკითხების განმარტებას ეხებოდა, კულანჟისთვის კოლონი მონასთან და შუა საუკუნეების გლეხთან შედარებით თავისუფალი ადამიანია. პოზიციის გასამაგრებლად ფრანგი მეცნიერი უმალ აკეთებდა შედარებას გერმანელ გლეხთან, რომელიც მას მიაჩნდა ტიპიურ მონად. მეცნიერი განმარტავს, რომ კოლონატი არის გარდამავალი საფეხური მონობასა და თავისუფლებას შორის.


*ვიქტორ დიურუი*

XX ს. შუა ხანებამდე გერმანული ისტორიოგრაფია ჩქმალავდა კულანჟის ნააზრევს. ჰიტლერის დროინდელ გერმანაში მისი სახელი დაწყევლილი იყო და არ შეჰქონდათ გერმანულ ენციკლოპედიებში. თვით საფრანგეთშიც, მხოლოდ 30-იან წლებში, უწოდეს მას „ნაციონალური ისტორიკოსი" და იგი განიხილეს იმ მეცნიერად, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა საისტორიო აზროვნების განვითარებაზე.

XIX ს. შუა პერიოდის საფრანგეთში ძველი ისტორიის საკითხების ერთ-ერთი მსხვილი მკვლევარი იყო ვიქტორ დიურუი (1811-1894 წწ.). იგი იყო სახელმწიფო მოღვაწე, განათლების მინისტრი, სენატორი და საფრანგეთის აკადემიის წევრი.

საისტორიო განათლებას დიურუი დაეუფლა ჟ.მიშლეს ხელმძღვანელობით. იგი იყო პარიზის და რეიმსის უნივერსიტეტების

პროფესორი. მის სახელთან არის დაკავშირებული განათლების სფეროში საფრანგეთში გატარებული რეფორმები, რასაც მოჰყვა ქვეყანაში დაწყებითი სწავლების, ქალთა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების ქსელის გაფართოება, სასწავლო პროგრამებში უცხოური ენების სწავლების შეტანა და ა.შ. ერთი პერიოდი, ისტორიის სფეროში, დიურუი იყო იმპ. ნაპოლეონ III მრჩეველი და მას ეხმარებოდა კეისარზე მიძღვნილი მონოგრაფიის შექმნაში.

დიურუი უაღრესად პროდუქტული მკვლევარი იყო. ანტიკური საბერძნეთ-რომის გარდა მას ნაშრომები ჰქონდა ებრაელების, ზოგადად შუა საუკუნეების და საფრანგეთის ისტორიის შესახებ. რომაულ თემატიკიდან დიურუის ნაშრომებიდან გამოვყოფთ: „რომის რესპუბლიკის და იმპერიის პოლიტიკური გეოგრაფია" (1839 წ.) და „რომის ისტორია, უძველესი დროიდან ბარბაროსების შემოსევამდე" (ტ. I-VII, 1879-1885). უნდა ითქვას, რომ შვიდტომეული უპირველესად შესანიშნავად იყო ილუსტრირებული. მას ჰქონდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული 3453 სხვადასხვა გრავიურა, 36 რუკა, გეგმები და ა.შ. პირელ ტომში თხრობა მთავრდებოდა II პუნიკური ომით. მეორე ტომში საუბარი მიყვანილი იყო I ტრიუმვირამდე. მესამე ტომი კეისარ-ოქტავიანეს ამბებს ეხებოდა. მეოთხე ტომი იმპ. ადრიანეს მმართველობამდელ მონაკვეთს მოიცავდა. მეხუთე ტომი ადრიანე-ავრელიუსის ხანას; მეექვსე ტომი იმპ. კომოდუს-დიოკლეტიანეს პერიოდს ეხება, ხოლო მეშვიდე ტომი დაეთმო იმპ. კონსტანტინეს და თეოდოსის მმართველობას.

მრავალტომეულში გამოყენებული იყო ანტიკურობის შესახებ საისტორიო აზროვნებაში არსებული მაშინდელი ყველა მიღწევა. ქრონოლოგიური პრინციპიდან გამომდინარე ვ.დიურუი დეტალურად აშუქებდა ძველი რომის ისტორიის სხვადასხვა მხარეებს. მართალია, დიურუი განიცდიდა მომზენის გავლენას, მაგრამ იგი მაინც ცდილობდა ცალკეულ საკითხებზე გამოეთქვა ორიგინალური აზრები. ავტორის აზრით, ელინებისაგან განსხვავებით რომაელები მალევე გავიდნენ პატარა ქალაქების (პოლისები – კ.ს.) საზღვრებს მიღმა, რამაც მათ მოგვიანებით საშუალება მისცათ შეექმნათ მსოფლიო იმპერია. რესპუბლიკის ეპოქა მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ოლიგარქების ვიწრო წრის მმართველობა, რომლებმაც თითქოს არც კი იცოდნენ დაპყრობილი

უზარმაზარი ტერიტორიების მართვა. დიურუი იმეორებდა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თეზისს - პროვინციების მიმართ რომის მრავალმხრივ გავლენაზე და თვლიდა, რომ იქ ცხოვრება უკეთესი იყო ვიდრე დედაქალაქში. კონსტანტინეს რელიგიურ პოლიტიკას ფრანგი ისტორიკოსი უწოდებდა „პატიოსან და წყნარ დეიზმს“. იმპერიის ხანგრძლივობის მიზეზად მას მიაჩნდა მიყოლებით რელიგიური და პოლიტიკური ძალაუფლების მოქმედება. თუმცა, როგორც იგი აღნიშნავდა, პირველი დამოუკიდებელი იყო მეორისგან.

რომი და ადრეული ქრისტიანობის საკითხებს იკვლევდა ერნესტ რენანი (1823-1892 წწ.). იგი მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი იყო, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა სემიტურ ენებს. რენანი იყო საფრანგეთის აკადემიის წევრი და აზიური საზოგადოების პრეზიდენტი.


ერნესტ რენანი

იმპ. ნაპოლეონ III მითითებით 1860 წელს რენანი ფინიკიაში აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს. ქრისტეს ცხოვრების გზის მონახულებამ მას შთაუნერგა მაცხოვარზე მონოგრაფიის წერა. ქრისტიანულ თემატიკას მან მიუძღვნა შვიდ წიგნად შემდგარი სერია - „ქრისტიანობის წარმოშობის ისტორია“. მასში შევიდა: „იესოს ცხოვრება“ (1860 წ.), „მოციქული“ (1866 წ.), „წმ. პავლე“ (1869 წ.), „ანტიქრისტე“ (1873 წ.), „სახარება“ (1877 წ.), „ქრისტიანული ეკლესია“ (1879 წ.) და „მარკუს ავრელიუსი და ანტიკური სამყაროს დასასრული“ (1882 წ.). აღნიშნულმა პუბლიკაციებმა ავტორს მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრეს ისტორიოგრაფიაში.

განსაკუთრებული პოპულარობა ავტორს მოუტანა „იესოს ცხოვრებამ“. რენანისთვის ქრისტე რეალური ისტორიული პიროვნებაა, თავისი დროის და ხალხის შვილი. ნაშრომში შემდეგი პასაჟიცაა გატარებული, რომ „ზოგჯერ ერსაც უნდა მოვსთხოვოთ პასუხისგება და თუ ამას გავაკეთებს, პირველად იგი ებრაელების მიმართ უნდა გაკეთდეს“. ცხადია, ამ სიტყვებში ავტორი გულისხმობდა ებრაელების მხრიდან ქრისტეს წამების ხელშეწყობას.

ასეთი მსჯელობის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ რენანის წიგნის გამოცემა მეხის გავარდნას ჰგავდა, რასაც მისდამი კათოლიკური ეკლესიის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

მარკუს ავრელიუსზე მიძღვნილ ნაშრომში მოცემული იყო რომის უკანასკნელი საუკუნეების პოლიტიკური და კულტურული ისტორია. აქაც მთავარი აქცენტი გადატანილი იყო ქრისტიანობაზე. წიგნში რენანი თვლიდა, რომ ქრისტიანობის დამსახურება იყო რომაული ადათების გაუმჯობესება და ხალხის გათანაბრება ღმერთის წინაშე. ავტორი მიიჩნევდა, რომ ქრისტიანობამ სათავე დაუდო პრინციპს, რომ ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ საკუთარ თავს. ასევე მეცნიერი თვლიდა, რომ ქრისტიანობამ, როგორც ვამპირმა ანტიკურ საზოგადოებას გამოსწოვა ყველა საუკეთესო. ავტორის მსჯელობით შუა საუკუნეებში თეატრი, მრავალფეროვანი სადღესასწაულო ცხოვრება და სამხედრო დიდება ჩაკვდა, რომელიც ჩაანაცვლა ღარიბმა, მოსაწყენმა და ანტიპარტიულმა ცხოვრებამ. საზოგადოება დაიყო უფრო წვრილ ჯგუფებად, სექტებად და განმარტოვდა თავის მონასტრებში.

რენანის შემოქმედების შეჯამებისას თვლიან, რომ როგორც მკვლევარი და კრიტიკოსი, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გერმანელ მეცნიერებს. არადა, რენანი მათ ხშირად ეყრდნობოდა. მისი ორიგინალობა, ასევე შემოქმედების ძლიერი და სუსტი მხარე იყო მოქმედი პირების და მათი გარემოცვის დახატვა მხატვრულ გარდასახვაში. იგი ყოველთვის ცდილობდა აღედგინა და ცოცხლად დაეხატა ადრეული ქრისტიანობის სურათი. ამიტომაც იყო, რომ სუბიექტივიზმის მიუხედავად მის წიგნების მიმართ ინტერესი დიდი იყო.

კულანჟის თაობის წარმომადგენელი იპოლიტ ტენი (1828-1893 წწ.) მუშაობდა ლივიუსის ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეფციაზე. ტენი საინტერესო ფიგურა გახლდათ. იმავდროულად იგი იყო ფილოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსიც.

ხელოვნებათმცოდნეობაში ტენი მიჩნეულია კულტურულ-ისტორიული სკოლის ფუძემდებლად. მართალია, იგი ძირითადში მუშაობდა საფრანგეთის ისტორიის პრობლემებზე, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია დაინტერესებულიყო ანტიკური ისტორიის თემატიკით. ლივიუსთან დაცული ფაქტების, ისტორიული სახეების, სიტყვების და სტილის შესწავლის საფუძველზე, ტენი

მივიდა დასკვნამდე, რომ ისტორიაში რომაელი ისტორიკოსი დარჩა მხოლოდ ორატორად. ლივიუსის სუსტ მხარედ მას მიაჩნდა წყაროებისადმი არასაკმარისი კრიტიკული დამოკიდებულება. ამის მიუხედავად, ფრანგ ისტორიკოსს მაინც მოსწონდა ლივიუსის ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც რომაელთა დაცემის მიზეზად მიიჩნევდა ტრადიციულ ზნე-ჩვეულებების დაქვეითებას. ანტიკურ თემატიკაზე ტენს ასევე ჰქონდა ფუნდამენტური ნაშრომი - „ანტიკური ლიტერატურის ისტორია" (ტ. I-IV, 1863-1864 წწ.) და სხვა რიგი სტატიები.

XIX ს. II ნახევარში ფრანგული კოლონიალური იმპერიის შექმნამ მოითხოვა მონობის თემატიკის ამსახველი მასალების დამუშავება. ამ კუთხით უდაოდ საინტერესო იყო ჰენრი (რუსულად ანრი) ვალონის (1812-1904 წწ.) მონოგრაფია - „მონობა ანტიკურ სამყაროში" (ტ. I-III, 1847).


ჰენრი ვალონი

ვალონი გახლდათ ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე, დეპუტატი, განათლების მინისტრი და საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციის ავტორი. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროში იყო ანტიკური სამყაროს, ქრისტიანობის და საფრანგეთის ისტორიის საკვანძო საკითხები. წიგნებმა - „ჟანა დარკი" (ტ. I-II, 1860), „რიჩარდ II" (ტ. I-II, 1864), „იესოს ცხოვრება" (1865), „სენტ-ლუისი და მისი დრო" (1875) და სხვ., ავტორს საფრანგეთში სახელი მოუპოვა.

„მონობა ანტიკურ სამყაროში" იყო ვალონის ფუნდამენტური გამოკვლევა. მასში ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს საბერძნეთ-რომში მონობის საკითხებს. ვალონი მხედველობის მიღმა არ ტოვებს ისეთ საკითხებს, როგორიც იყო – თავისუფალი შრომა საბერძნეთ-რომში, მონათა რაოდენობა, ფასი, სამართლებრივი მდგომარეობა, აჯანყებები და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღებით მეცნიერი ეკიდება რომში მონობის საკითხებს, რადგან ავტორის აზრით, რომი „მოიცავდა უზარმაზარ ფაქტებს მოქმედების დიდ არეალში". ნაშრომის მეორე ტომი დაეთმო რესპუბლიკის, ხოლო მესამე იმპერიის პერიოდის მონათა საკითხებს.

კრიტიკოსები, მათ შორის მარქსისტი ისტორიკოსები, ვალონის ნაკლად მიიჩნევენ მონების მდგომარეობის შესახებ იურიდიულ საკითხებზე მთავარი აქცენტის გადატანას. თითქოს მასთან არ ჩანს მონობის მთავარი წყაროების შესახებ კონკრეტიკა, რომ იგი ვერ ხედავდა მონობის სხვა ფორმებს და ა.შ. მას აკრიტიკებდნენ და იმავდროულად აქტიურად იყენებდნენ მის ნაშრომს. ფაქტია, რომ მონოგრაფიას ეპოქის სული დაკრავდა. მიგვაჩნია, რომ მრავალმხრივმა წყაროთმცოდნეობითი მასალით და განხილულ საკითხების ფართო სპექტრით, მას ანალოგი არ ჰქონდა მაშინდელ ისტორიოგრაფიაში. ამის გამო იყო, რომ ვალონის ნაშრომი სამეცნიერო წრეებში იმთავითვე პოპულარული გახდა და მონობის თემატიკაზე მომუშავე ნებისმიერი მეცნიერისთვის იგი დღესაც სამაგიდო წიგნად ითვლება.

XIX-XX სს. მიჯნაზე საფრანგეთის პოლიტიკურმა მეტოქეობამ გერმანიასთან ასახვა ჰპოვა ისტორიოგრაფიაშიც. ფრანგი ერის წარმოშობის საკითხების კვლევამ და მის ფორმირებაზე გერმანულ-რომანული ელემენტების როლზე პასუხის გაცემამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ძველი ისტორიის სხვადასხვა თემატიკის შესწავლა. პრაქტიკაში შემოვიდა ისტორიის ცალკეული ფაქტების გამოყენება პოლიტიკური კონცეფციის არგუმენტებადაც. ჰქონდა რა კლასიკურ ფილოლოგიასა და ძველ ისტორიაში დიდი ტრადიციები, ფუნდამენტური პრობლემების დამუშავებით საფრანგეთი არ ჩამოუვარდებოდა გერმანიას. უფრო მეტიც, მასთან მეტოქეობდა არქეოლოგიის, ეპიგრაფიკის და ნუმიზმატიკის სფეროშიც.

განხილულ პერიოდში ფრანგული ნუმიზმატიკაში სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო ერნესტ შარლ ფრანსუა ბაბელონი (1854-1924 წწ.). იგი გახლდათ კრებული „Revue numismatique“ ერთ-ერთი რედაქტორი. 1883-1884 წლებში ბაბელონი მონაწილეობდა ტუნისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ხოლო შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა კართაგენში მიმდინარე გათხრებს. მისი ნაშრომები იყო: „არქეოლოგიური კვლევა ტუნისში“ (1886 წ.), „რესპუბლიკის დროინდელი რომაული ფულის ისტორიულ-ქრონოლოგიური აღწერა“ (1885 წ.), „ნაციონალური ბიბლიოთეკის სიძველეთა კაბინეტი“ (1887 წ.) და ა.შ.

საფრანგეთში გალურ-რომაული არქეოლოგიის სპეციალისტი იყო ჟოზეფ დეშელეტი (1862-1914 წწ.). აღნიშნულ პრობლემებს მან მიუძღვნა მრავალტომეული - „ხელმძღვანელობა კელტურ და გალურ-რომაულ არქეოლოგიაში“ (ტ. I-IV, 1908-1915 წწ.).

ფრანგულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში კულანჟის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პოლ გირო (1850-1907 წწ.). თავის დროისათვის ყველაზე პრესტიჟული სასწავლებლის – „უმაღლესი ნორმალური სკოლის“ დასრულების შემდეგ, კულანჟეს ზეგავლენით, იგი დაინტერესდა ანტიკური ისტორიით. რომაულ თემატიკასთან დაკავშირებული მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავი იყო: „უთანხმოება კეისარსა და სენატს შორის“ (1878 წ.), „რომის იმპერიის პროვინციალური ასამბლეა“ (1887 წ.), „რომაელთა კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება“ (1893 წ.), „ფიუსტელ დე კულანჟი“ (1896 წ.), „ეკონომიკური საქმიანობა ძველად“ (1905 წ.) და ა.შ.

ფუნდამენტური ნაშრომი - „რომაელთა კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება“, ავტორის პოპულარულ პუბლიკაციად იქცა, რომელიც უმალ ითარგმნა სხვადასხვა ენებზე. ნაშრომი სამი თავისგან შესდგება და მასში ნაჩვენები იყო რომაული სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტის, ყოფის, აღზრდის, ეთნოლოგიური ტრადიციების და ა.შ.


*თეოდორე რეინახი*

რომი-პონტოს სამეფოს ურთიერთობის პრობლებმებზე მუშაობდა თეოდორ რეინახი (1860-1928 წწ.). იგი გახლდათ საინტერესო ჰორიზონტის მეცნიერი, რადგან ერთდროულად იყო იურიდიული და ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა პარალელური კვლევების წარმოება არქეოლოგიაში, ელინიზმის და ებრაელთა ისტორიაში, პაპიროლოგიაში, იურისპუდენციაში, ფილოლოგიასა და მუსიკათმცოდნეობაში.

რეინახს პოპულარობა მოუტანა ნაშრომებმა – „მცირე აზიის სამი სამეფო: კაპადოკია, ბითვინია და პონტო“ (1888 წ.) და „მითრიდატე ევპატორი“ (1890 წ.). წიგნები უმალ ბეტსელერად იქცა. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული პუბლიკაციით ისტორიოგრა-

ფიაში დაიწყო მითრიდატული ომების და რომი-მცირე აზიის სხვა-დასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ისტორიის ფართო მასშტაბური შესწავლა. ნაშრომში ფართოდ იყო გამოყენებული ანტიკური წყაროები და არქეოლოგიური მასალა. ფრანგ მეცნიერს ასევე ეკუთვნოდა ნაშრომები - „ბერძენი და რომაელი ავტორების ტექტები, რომლებიც ეხებოდა იუდაიზმს“ (1895 წ.) და იოსებ ფლავიუსის ტექსტის აკადემიური გამოცემა (1932 წ.).

ფრანგული მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გასტონ ბუასიეს (1823-1908 წწ.). იგი ფართო ჰორიზონტის და ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი გახლდათ.



გასტონ ბუასიე

ძველი რომისადმი ბუასიეს დაინტერესება განსაზღვრა ჟიულ მიშლეს „რომის ისტორიამ“. შემდგომში ბუასიე იგონებდა, რომ წიგნი „კი არ წავიკითხე, არამედ გადავყლაპე. მე მასში ის ვნახე, რასაც ინსტიქტი მიბიძგებდა ძებნისკენ, რისი ცოდნაც მწყუროდა... მიშლემ დამაყენა გზაზე. იგი დამეხმარა აღმექვა რომი და მომამზადა მისი სიყვარულისთვის“.

ბუასიეს მიზანი იყო არქეოლოგიის წყალობით ანტიკური ტრადიციების შემოწმება. მეცნიერის მსოფლმხედველობა ნათლად გამოჩნდა რომაული საზოგადოების იდეოლოგიური ბრძოლის საკითხების გაშუქებისას, რასაც მან მიუძღვნა ნაშრომები: „რომის რელიგია ავგუსტუსიდან ანტონინებამდე“ (1874 წ.), „კეისართა დროინდელი საზოგადოებრივი განწყობილება“ (1875 წ.), „წარმართობის დაცემა“ (1892 წ.) და ა.შ.

ნაშრომში - „კეისართა დროინდელი საზოგადოებრივი განწყობილება“, ბუასიემ წამოწია ზოგადად ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი საკითხების კვლევა. პირველ რიგში ეს ეხებოდა ქვეყანაში ოპოზიციური ნაწილის არსებობის საკითხს. ავტორმა ეს საკითხი განიხილა არმიაში, პროვინციებში, მუნიციპიებში, საზოგადოებრივ ელიტაში, მწერლებში და ა.შ. ბუასიე თვლიდა, რომ ძველი ტრადიციები ყველაზე მეტად შენარჩუნებული იყო არმიაში. პროკონსულებზე იგი წერდა, რომ ვიდრე იყო რესპუბლიკა, ისინი იყვნენ ყოვლისშემძლენი. რაც შეეხება იმპერიას, მას მი-

აჩნდა, რომ „სამყარო არასდროს არ იყო ისე ბედნიერი და მდიდარი. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ქალაქებს, რომლებსაც ყოფნიდათ ფინანსები, რათა აღემართათ ასეთი ბრწყინვალე ნაგებობები, ყოფილიყვნენ ოპოზიციაში". ნერონ-ლუკანუსის დაპირისპირების მიზეზად მეცნიერი ურთიერთშორის არსებულ „პროფესიონალურ ზიზღს მიიჩნევდა, რომელსაც დაემატა სკოლებს შორის წინააღმდეგობები... ნერონამდე ყველა კეისარს სურდა ყოფილიყო უცოდველი თავიანთ ლიტერატურულ აზრებში..., ხოლო ნერონი პოეზიაში ემხრობოდა უხვსიტყვაობას და გრაციას".

ნაშრომში - „რომის რელიგია ავგუსტუსიდან ანტონინებამდე" ავტორმა ყურადღება მიაქცია პრინციპატის სისტემის შემქმნელი იმპერატორების რელიგიური პოლიტიკის საკითხებს. ბუასიე ცდილობდა ეჩვენებინა ქვეყნისთვის კონსერვატული პოლიტიკით ტრადიციული რომაული კულტების აღდგენის მნიშვნელობა. მისი აზრით, უკანასკნელთა ავტორიტეტი ძლიერ იყო შერყეული სპონტანურად გაღვივებული რელიგიური ინდეფერეტიზმით და აღმოსავლური კულტების შემოტევებით.

ბუასიე რომის იმპერიის დაცემის დროინდელი ქრისტიანული ეკლესიის აპოლოგეტია. ისტორიკოსის აზრით, სწორედ ქრისტიანობამ გადაარჩინა ბარბაროსებისგან ანტიკური კულტურა. ფრანგი მეცნიერი ანტიკური აზროვნების და კულტურის უკანასკნელ მატარებლებს რეაქციონერებად მიიჩნევდა, ხოლო იმპერია მისთვის იყო „ცოცხალი ნეშთი". თუ ვოლტერი რეაქციის და კათოლიციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იულიანე განდგომილს მოკავშირედ თვლიდა, იგივე პიროვნება ბუასიესთან წარმოდგენილია „წესიერ მისტიკოსად" და ახლომხედველ პოლიტიკოსად, რომელიც ცდილობდა ცხოვრებაში ნეოპლატონთა პროგრამის გატარებას.

ფრანგი მეცნიერის მიზანი იყო აჩვენოს, რომ ქრისტიანობა ანტიკურ განმანათლებლობასთან არ იყო კონფრონტაციაში. ტერტულიანეს და ნეტარი ავგუსტინეს შრომებზე დაყრდნობით ბუასიე თვლიდა, რომ ქრისტიანობამ პროგრესული როლი ითამაშა, რადგან შეინახა და შუა საუკუნეებს გადასცა ანტიკური კულტურის მემკვიდრეობა.

ბუასიეს პროგრესულად მიაჩნდა რომის მხრიდან აღმოსავლეთში მიმდინარე დაპყრობითი პოლიტიკა. იგი თვლიდა, რომ

„ფანტასტიკურია მძიმე ფისკალური სისტემით და პროკონსულების შეუბრალებლობით გამოწვეული ხალხის უკმაყოფილების ის მძიმე სურათი, რასაც ზოგი ავტორი გვიხატავს... მართალია რეჟიმის ბევრი მხარე არ იმსახურებდა სიმპატიას, მაგრამ პროვინციების მართვის ხუთსაუკუნოვანი ტრადიცია თავისთავად უკვე იყო მისი მთავარი ღირსება. ამის გამო უკანასკნელები რომს ძალიან ემადლიერებოდნენ და დარჩნენ ბოლომდე მისი ერთგულები“. თავის დებულების გასამყარებლად ბუასიე წერდა, რომ „აზიის ხუთას ქალაქში არ იყო გარნიზონი, ხოლო გალია ემორჩილებოდა მხოლოდ 1200 ჯარისკაცს“. უნდა შევნიშნოთ, რომ აზიაში რომის პროგრესული მისიის შესახებ ბუასისეული პოზიცია მიღებული იყო მაშინდელ გერმანულ (პ. უსინგი...) და რუსულ ისტორიოგრაფიაშიც. მაგ., მ. როსტოვცევის შეფასებით, რომმა რკინის ხელით აზიაში აღკვეთა საგარეო ომები და საშინაო კლასობრივი ბრძოლები, რის გამოც დაიწყო ელინისტური აღმოსავლეთის ეკონომიკური ცხოვრების აღორძინება.

რომაული ეპოქის ცნობილ სახეებს ბუასიემ მიუძღვნა საინტერესო მონოგრაფიები: „ციციერონი და მისი მეგობრები“ (1884 წ.), „ჰორაციუსი და ვერგილიუსი“ (1886 წ.), „ტაციტუსი“ (1903 წ.), „კატილინას შეთქმულება“ (1905 წ.). მას ასევე „Revue des Deux Mondes“-ში ჰქონდა დაბეჭდილი მრავალრიცხოვანი სტატიები. სულ მისი პუბლიკაციების რაოდენობა 430 ნაშრომს მოიცავდა.

სხვადასხვა კონტინენტებზე (აფრიკა...) ფრანგული კოლონიური იმპერიის შექმნამ ისტორიკოსთა მხრიდან გამოიწვია ამ მხარეების მიმართ დაინტერესება. მაგ., რადგან ალჟირი და მიმდებარე ტერიტორიები ფრანგთა აზროვნებაში „მეორე საფრანგეთად“ მოიაზრებოდა, დრო ითხოვდა ამ სფეროშიც ფუნდამენტურ ნაშრომების შექმნას. ამ მხარის არქეოლოგიურ შესწავლის ერთ-ერთ პიონერი იყო სტ. ჰზელია (1864-1932 წწ.). მან ეკუთვნოდა კაპიტალური ნაშრომი - „ჩრდ. აფრიკის ძველი ისტორია“ (ტ. I-VIII, 1913-1928 წწ.). მთლიანობაში ნაშრომში მოცემული იყო რომაული პოლიტიკის ობიექტური შეფასება.

რომაული გალიის თემატიკას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ლუი ქამილ ჟულიანემ (1859-1933 წწ.). იგი ფართო პროფილის მკვლევარი იყო, რადგან იმავდროულად გახლდათ ფილოლოგი და

ეპიგრაფიც. მეცნიერის პუბლიკაციები იყოფა სამ ციკლად. ესენია: ნაშრომები ბორდოს ისტორიის, გამოკვლევები რომაული გალიის და სამხედრო-პატრიოტული თემატიკის შესახებ.

მრავალტომეული „გალიის ისტორია“ (ტ. I-VIII, 1908-1926 წწ.) ჟულიანეს ძირითად პუბლიკაციად ითვლება. მასში ავტორი შეეცადა ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალის ფონზე ეჩვენებინა გალიის სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური და ეთნიკური ისტორიის სხვადასხვა ასპექტები. მრავალტომეული ფრანგულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე პოპულარულ პუბლიკაციად იქცა, რის გამოც, 1908 წელს, მისი ავტორი დაჯილდოვდა საფრანგეთის აკადემიის ყოველწლიური პრესტიჟული „გობერის დიდი პრემიით“.

ჟულიანეს ეკუთვნის გალთა სახალხო გმირის ვერცინგეტორიქსის (ძვ.წ. ?82-46 წწ.) შესახებ მთელი ციკლის შექმნა. აღნიშნული თემის წამოწევა ფრანგულ ისტორიოგრაფიაში დროის მოთხოვნით იყო განპირობებული. საქმე იმაშია, რომ პოლიტიკურმა მეტოქეობამ გერმანიასთან (სედანთან მარცხი, ელზას-ლოტარინგიის ტერიტორიის დაკარგვა...) ფრანგ ისტორიკოსებიდან მოითხოვა რომამდელ გალიაში ფრანგული კულტურის ფესვების პოვნა. ასეთ ფონზე, გალების გაიდიალების და ვერცინგეტორიქსის (ძვ.წ. 82-46 წწ.) „სახალხო გმირის“ რანგში აყვანის საკითხმა პოლიტიკური ელფერიც შეიძინა.



*ქამილ ჟულიანე*

ვერცინგეტორიქსის და გალთა სხვა ბელადების შესახებ მდარე წარმოდგენისა იყო ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821 წწ.). საერთოდ, იმპერატორს ბრძოლის სტრატეგიის მისეული კონცეფცია ჰქონდა და იგი ახსნას ვერ პოულობდა რომაელების წინაშე მრავალრიცხოვანი გალების არმიის წაგებაში. უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონისეულმა შეხედულებებმა დაღი დაასვეს საფრანგეთში გალების და კონკრეტულად ვერცინგეტორიქსის მიმართ შეხედულებებს. საისტორიო აზროვნებაში გალების და ვერცინგეტორიქსის მიმართ გადაფასება მოხდა ფრანგი ჟურნალისტის და ისტორიკოსის ამედეო ტიერის (1797-1873 წწ.) ცნობილი პუბლიკაციის – „რომამდელი გალიის ისტორიის“ (1828 წ.) შემდეგ. შესაბამისად,

ისტორიკოსები „გალიის ომის“ განხილვა დაიწყეს, როგორც უცხოტომელთა მხრიდან თავისუფალი გალების დაპყრობად. რაც შეეხება ვერცინგეტორიქს და ბრენუსს (ძვ.წ. IV ს.), ისინი ფრანგულ აზროვნებაში უკვე სახალხო გმირების რანგში ავიდნენ. ვერცინგეტორიქსიზე (1901 წ.) შექმნილი პოპულარული ნაშრომისთვის, 1902 წელს, ჟიულიანე მეორედ დაჯილდოვდა „გობერის დიდი პრემიით“.

ძველი რომის ყოფილ დასავლურ პროვინციებში მოპოვებული ეპიგრაფიკულ მასალაზე განზოგადებელი ნაშრომი ეკუთვნის ჟიულენ ტუტენს (1865-? წწ.). ნაშრომში - „რომის იმპერიის წარმართული კულტურა“ (ტ. I-III, 1907-1920 წწ.), ტუტენმა, იმპერატორების ოფიციალური კულტები შეადარა აღმოსავლურ ღმერთებს.

ნაშრომში „ანტიკური ეკონომიკა“ (1924 წ.), ტუტენმა, ჰომეროსის ეპოქიდან დაწყებული დას. რომის იმპერიის დაცემამდე ანტიკური ეკონომიკის მთელი სპექტრი განხილა. მეცნიერის მიიჩნევდა, რომ ანტიკური ეკონომიკა უმაღლესი სტადიას გადიოდა მხოლოდ რომის იმპერიაში, რადგანაც ერთმანეთისგან იზოლირებული დასავლეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი მასში ერთიან სივრცეში მოექცა.

I მსოფლიო ომის პერიოდში, ჟულიანეს გავლენით, ტუტენმა ვერცინგეტორიქსის შესახებ გამოაქვეყნა ნაშრომი – „გმირი და ქურდი“ (1916 წ.). ეს იყო პოლულარული ჟანრის პუბლიკაცია. ნაშრომში ვერცინგეტორიქსის და ტევტონბურგის ბრძოლის (9 წ.) გმირის გერმანელი არმინიუსის (ძვ.წ. ?17-ახ.წ. ?21 წწ.) ერთმანეთთან შედარების ფონზე, სასტიკი და მოძალადე გერმანელები წამოდგენილი იყვნენ გალების მარადიულ მტრებად.

I მსოფლიო ომში გამარჯვებამ, დაკარგული ტერიტორიების (ელზასი და ლოტარინგია) დაბრუნებამ და გერმანიის მხრიდან მსხვილი კონტრიბუციის აღებამ, საფრანგეთში რამდენადმე სტაბილური შიდა ეკონომიკური ვითარება შექმნა. ქვეყნის ფინანსურმა შესაძლებლობამ, კვალიფიციური კადრების არსებობამ, შესაბამისი დაწესებულებების და საზოგადოებაში ძველი ისტორიისადმი დიდი ინტერესის არსებობამ, განაპირობა ფრანგული ანტიკური სკოლის განვითარება, რომელშიც ყოველთვის ძლიერი იყო კულანჟეს სკოლის ტრადიციები. მით უმეტეს, რომ სტაბილური სახელმწიფოს ნიმუშად საფრანგეთში ყოველთვის განიხილებოდა რომის ისტორია.

XX ს. 20-იან წლებიდან ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ტონის მიმცემი გახდა „ანალების“ სკოლა, რომელსაც ერთ-ერთი თანამედროვეს გამოთქმით, მიეწერება „თანამედროვეობის ნამდვილი ისტორიოგრაფიული რევოლუცია“. „ანალების“ სკოლის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ისტორიაში პოზიტივიზმის მეთოდის გამოყენებაზე. მათი აზრით, პოზიტივისტები ძირითადში ფაქტოგრაფიით და მოვლენების მხოლოდ აღწერითი ისტორიით იყვნენ დაკავებული. სოციოლოგი ჰენრი ბერნი (1872-1954 წწ.) თავდაპირველად პოზიტივისტური სტერეოტიპების კრიტიკით გამოვიდა. იგი საისტორიო მეცნიერების ამოცანად მიიჩნევდა ისტორიული ფაქტების მეცნიერული ანალიზის და კრიტიკის სინთეზში განხილვას, რაც მისი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ ისტორიის და სოციოლოგიის ურთიერთხელშეწყობით. ბერნის აზრით, ისტორიამ უნდა აღმოაჩინოს ახალი ფაქტები და ვალდებულია ისინი განმარტოს.



*ლუსიენ ფევრი*

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ბერის კონცეფციამ საფუძველი მოუმზადა „ანალების“ სკოლას. მართლაც, 1929-1939 წლებში ჟურნ. „ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ანალების“ (ჟურნალის სახელწოდება პერიოდულად იცვლებოდა. 1939 წელს მას დაერქვა „სოციალური ისტორიის ანალები“, 1945 წელს – „ანალები. ეკონომიკა. საზოგადოება. ცივილიზაცია“, ხოლო 1994 წელს – „ანალები. ისტორია. სოციალური მეცნიერებები“) გარშემო ლუსიენ ფევრის (1878-1956 წწ.) და მარკ ბლოკის (1886-1944 წწ.) ხელმძღვანელობით შეიქმნა საისტორიო სკოლა, რომლის მიზანი იყო კლასიკური ანუ თხრობითი ისტორიის პრობლემებითი ჩანაცვლება. ანალისტების აზრით მათ მიერ ჩამოყალიბებული სკოლა საისტორიო მეცნიერებაში მოახდენდა „კოპერნიკის მსგავს რევოლუციას“. ისინი თვლიდნენ, რომ უნდა დაწყებულიყო ისტორიის ე.წ. „ტოტალური“ კვლევა, რომელიც მოიცავდა საზოგადოების ყველა (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული) სფეროებს. ასეთი მიდგომა მოითხოვდა დიდი რაოდენობის წყაროების, როგორც წერილობითი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენობრივი, ტექნიკისა და მეურნეობის

ისტორიის, აგრეთვე მომიჯნავე დარგების (სოციოლოგიის, გეოგრაფიის) მონაცემების გამოყენებას.

ფრანგი ისტორიკოსების აზრით, „ტოტალური“ (იგივე ყოველმხრივი) ისტორიის ქვეშ არ იგულისხმება მხოლოდ მსოფლიო ისტორიის კვლევა. იგი შეიძლება იყოს ლოკალური ისტორიის სახით (რომელიმე ადგილი, ოლქი, თემი და ა.შ.), რომელიც არ არის განსაზღვრული დროსა და სივრცეში. ისინი თვლიდნენ, რომ „ტოტალური“ ისტორია ადამიანთა ცხოვრებას არ ყოფს პოლიტიკურ, სამეურნეო, რელიგიურ და სხვა კერძო ისტორიებად. იგი ჰქმნის ისტორიის მრავალგანზომილებიან სურათს.

ფევრის აზრით, ისტორია ყოველთვის „ადამიანურია“ და რადგან მას გააჩნია ფსიქიკა, აზრები, გრძნობები, ამიტომაც იგი მუდამ უნდა მოხდეს ისტორიკოსის ყურადღების ცენტრში. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ანალისტების კვლევის არეალში იყო არა გენიალურ ადამიანთა ღვაწლი, ან მოვლენების აღწერა, არამედ მთლიანად საზოგადოება. საკითხების ამგვარმა დაყენებამ მოითხოვა კვლევის სფეროსში არქეოლოგიის, სოციოლოგიის, ეთნოგრაფიის და სხვა დამხმარე დისციპლინების ჩართვა.


*მარკ ბლოკი*

ანალისტებს წყაროების კვლევის საკითხში საკუთარი ხედვა ჰქონდათ. თუ პოზიტივისტური ისტორიოგრაფია აქცენტს აკეთებდა წერილობითი წყაროების გამოვლენასა და კრიტიკულ შესწავლაზე, მისი სანდოობის ხარისხის დადგენასა და მასში მოცემული ცნობების ანალიზე, ანალების სკოლის წარმომადგენლებმა განავითარეს საპირისპირო მსჯელობა. მათვის არ არსებობდა ნაყალბევი ანდა გამოუსადეგარი დოკუმენტი. წარსულთან დიალოგიდან გამომდინარე ისინი ცდილობდნენ, რომ ასეთ დოკუმენტში გამოევლინათ ეპოქის ცნობიერების მრავალი მნიშვნელოვანი მხარე. მათ მიაჩნდათ, რომ ადამიანთა ხელიდან გამოსულ ყველა წყაროს მათი შემქმნელის სული გასდევს, რომელიც ასახავს მის წარმოდგენებს, ფსიქოლოგიურ რეაქციებს, დამოკიდებულებას სამყაროსთან, ამიტომ კვლევის მიზნის მიუხედავად, ნებისმიერმა ისტორიკოსმა, მხედველობაში უნდა მიიღოს ამ წყაროს შემქმნე-

ლთა მენტალობა. ანალების სკოლის კონცეფციით „წყაროთმცოდნეობითი კრიტიკა უნდა შეივსოს მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტუროლოგიური შინაარსის შინაგანი კრიტიკით“. ასევე, ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციისას აუცილებელი იყო მასში მოვლენების არსის და ხალხის მოტივების პოვნა.

ანალების სკოლაში იმთავითვე გამოიკვეთა ორი მიმართულება: 1. „ბლოკისეული ხაზი“, რომელიც აქცენტს სოციალური ისტორიის შესწავლისკენ აკეთებდა და 2. „ფევრისეული ხაზი“, რომელსაც ყურადღება გადაჰქონდა ცივილიზაციების კვლევაზე. უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ეტაპზე ძლიერდებოდა ესა თუ ის ტენდენცია. აქედან გამომდინარე ანალების სკოლის წარმოდგენელი ხდებოდა უკვე ამა თუ იმ მიმდინარეობის ხაზის მატარებელი. ანალისტებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ამიტომაც მოკლედ ვიტყვით, რომ დღეისთვის მათი ამოცანაა საისტორიო მეცნიერების დაახლოება ისტორიულ ანთროპოლოგიასთან და სოციოლოგიასთან.

იმდროინდელი ფრანგული ისტორიოგრაფიის მიღწევად ითვლება გუსტავ გლოცის (1862-1935 წწ.) რედაქციით 1923-1939 წლებში „მსოფლიო ისტორიის“ მრავალტომეულის (ტ. I-XIII) გამოცემა. მრავალტომეულში რომაულ თემატიკას დაეთმო ოთხი ტომი, რომლის შექმნაში მონაწილეობდა ევროპის თითქმის ყველა ცნობილი მეცნიერი (ე. პაისი, ჟ. კარკოპინო...). მრავალტომეულში გათვალისწინებული იყო მაშინდელი საისტორიო მეცნიერების ყველა მიღწევები, რის გამოც აღნიშნული პუბლიკაცია ითვლებოდა ანტიკური ისტორიოგრაფიის მიღწევად.


*ანდრე პიგანიოლი*

განსახილველ პერიოდში ანტიკური რომის ისტორიის თემატიკაზე მომუშავე მეცნიერებში ერთ-ერთი წონადი ფიგურა იყო ანდრე პიგანიოლი (1883-1968 წწ.). იგი ერთდროულად იყო კულა - ნჟის და ანალისტთა სკოლის ტრადი ცი ების წარმომადგენელი. პიგანიოლის კვლე ვის არეალში იყო რომის ისტორიის სხვა და სხვა პერიოდები. ესაა: რომის წარმოშობის პრობლემა, რომაული დაპყრობების ისტორია, იმპ. კონსტანტინე I-ის რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწეობა და ა.შ. მისი ნაშრომებია: „რომაული თამაშების კვლევა“ (1923 წ.), „რომაული დაპყრობები“ (1927 წ.), „რომაული

ისტორიის ესკიზი“ (1931 წ.), „იმპერატორი კონსტანტინე“ (1932 წ.), „რომის იმპე- რია“ (1934 წ.), „ქრისტიანობის იმპერია“ (1947 წ.) და ა.შ.

იმპ. კონსტანტინეს შემდგომი პერიოდი პიგანიოლისთვის ცალსახად განსაზღრული იყო, როგორც ქრისტიანული იმპერია. გაურბოდა რა უკიდურეს შეხედულებებს, ისტორიკოსმა თავის ამოცანად დასახა რომაული საზოგადოების სხვადასხვა მხარეების შესახებ პრაგმატული ისტორიის შექმნას.

ფრანგი მეცნიერის ისტორიულ შეხედულებათა სინთეზი მოცემულია ნაშრომში „რომის ისტორიაში“ (1934 წ.). რომაული სახელმწიფოს აღმოცენების, გაფურჩქვნის და დაცემის საფუძვლად პიგანიოლი დებდა პოლიტიკურ დაწესებულებათა ფუნქციურ დეგრადირებას. ახ.წ. III ს. მოვლენებს იგი უკავშირებდა „ბიუროკრატიული მონარქიის დამყარებას“, რასაც მოჰყვა პირადი ინიციატივის ჩახშობა და რელიგიური რევოლუცია.

XX ს-ის საფრანგეთში რომის ისტორიის სფეროში ფართო პროფილის სპეციალისტი იყო ჟერომ კარკოპინო (1881-1970 წწ.). მან საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. იყო საპატიო ლეგიონის ოფიცერი, პრეზიდენტ რ. პუანკარეს (1860-1934 წწ.) მდივანი და ალჟირის სიძველეთა ეროვნული მუზეუმის დირექტორი. გერმანიის მხრიდან საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში მას ვიშის მთავრობაში (1940-1945 წწ.) ეკავა განათლების მინისტრის თანამდებობა. ფაშისტებთან თანამშრომლობის გამო, ოკუპაციის შემდეგ, 1944 წელს, იგი რეპრესირებული და გაძევებული იყო სორბონის უნივერსიტეტიდან. რეაბილიტაციის შემდეგ კარკოპინო აირჩიეს საფრანგეთის აკადემიის წევრად (1955 წ.). პარალელურად, იგი იყო რუმინეთის აკადემიის წევრი და ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. მას ჰქონდა შესანიშნავი არქეოლოგიური განათლება, რამაც კარკოპინოს საშუალება მისცა წლების მანძილზე საფრანგეთში წარემართა  გათხრების წარმოების პოლიტიკა. 1937-1940 წლებში კარკოპინო იყო რომის ფრანგული არქეოლოგიური სკოლის დირექტორი. არქეოლოგიურ საკითხებს მან მიუძღვნა: „რომაული ფორუმი“ (1906 წ.), „მაროკოს არქეოლოგიური კვლევა“, „ოსტია“ და სხვ.



*ჟერომ კარკოპინო*

კარკოპინოს კვლევის სფეროში იყო ანტიკური ფილოსოფიის და რელიგიის მისტიკური მხარეები, ქრისტიანობის გენეზისის საკითხები და ა.შ. ძველ რომში აგრარული ურთიერთობების საკითხებს მიეძღვნა ნაშრომები: „კოლონატი“ (1906 წ.), „ბრძოლა გრაკხუსების აგრარული კანონმდებლობის გარშემო“ (1928 წ.) და „პროვინციებში რომაული საგადასახადო პოლიტიკა“ (1919 წ.).

30-იან წლებში კარკოპინოს კვლევის არეალში მოექცა სამი საკვანძო საკითხები. ესენია: 1. რომაული დაპყრობითი პოლიტიკა, 2. ცნობილ პირთა სახეები და 3. წარმართული და ქრისტიანული რელიგიების ურთიერთობების საკითხები.

რომის ისტორიის ცნობილ პირთა სახეებიდან კარკოპინომ მონოგრაფიები მიუძღვნა „კეისარს“ (1936 წ.) და „სულას“ (1932 წ.). ამის გარდა მას დაწერილი ჰქონდა: „ჰიერონის კანონი და რომაელები“ (1919 წ.), „კაპიტოლიელი მგელი“ (1925 წ.), „რომაელთა საქმიანობა“ (ტ.1, 1926 წ.), „გრაკხუსების გარშემო“ (1929 წ.), „გრაკხუსი და სულა“ (1929 წ.), „სულა, ანდა გამოტოვებული მონარქია“ (1931 წ.), „შეხედულებები რომაულ იმპერიალიზმზე“ (1934 წ.), „რომაელთა ყოველდღიური ცხოვრება. იმპერიის აპოგეა“ (1939 წ.), „წარმართული რომის მისტიკური ასპექტები“ (1941 წ.), „რომაული იმპერიალიზმის ეტაპები“ (1961 წ.), „რომაული მოგონებები“ (1968 წ.) და ა.შ.

„რომაელთა ყოველდღიური ცხოვრება“ ფრანგი მეცნიერის 348 გვერდიანი ნაშრომია. მისი პირველი ორი თავი ეხება რომის ტერიტორიალურ საკითხებს, მოსახლეობის რაოდენობას, ცალკე თავები არის დათმობილი რომაულ ოჯახს, ცნობილ ქალთა სახეებს, ლიტერატურულ საქმიანობას და ა.შ. წიგნს დართული აქვს მდიდარი საცნობარო აპარატი.

ფრანგულ ანტიკური ისტორიოგრაფიის მიმოხილვის დასასრულს შევნიშნავთ, რომ მასში ყოველთვის პოპლულარული იყო რომაული სამყაროს ცნობილ პერსონაჟებზე ცალკეული მონოგრაფიების მიძღვნა. მაგ., დანიელ ნონიმ „კალიგულა“ (1986 წ.), პიერ დექსმა, „კლეოპატრა“ (1997 წ.), ფრანსუა ინარმა „სულა“ (1985 წ.) და ა.შ. პრინციპში, ინარის ნაშრომების გარდა, დასახელებულ პუბლიკაციების სამეცნიერო ღირებულება მდარე იყო. ფრანსუა ინარის (1941-2008 წწ.) შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი კვლევის სფერო იყო გვიანდელი რომის რესპუბლიკის ისტორია.

რომაულ თემატიკაზე მას ჰქონდა სხვა ნაშრომებიც: „პროსკრიპციები რომის რესპუბლიკაში“ (1985 წ.), „რომის ისტორია, ავგუსტუსის ფესვები“ (2000 წ.) და სხვ. აშკარა იყო, რომაელი დიქტატორი ფრანგი მეცნიერის მხრიდან სიმპატიებს იმსახურებს. მსგავსი სულისკვეთებით არის გამსჭვალური ნაშრომი - „სულა“ (1985 წ.).

*გერმანული ისტორიოგრაფია*

საისტორიო მეცნიერებაში გერმანელ მეცნიერთა წვლილი განუზომელია. ფრიდრიხ ენგელსი (1820-1895 წწ.) ხატოვნად შენიშნავდა: იმ დროს, როდესაც მსოფლიო ხალხები მოგზაურობდნენ და სახლში ნაძარცვით ბრუნდებოდნენ, გერმანელები შინ იჯდნენ და ფილოსოფოსობდნენ. ვფიქრობთ, რომ ამ სიტყვებში ლაკონურად არის ახსნილი მეცნიერებაში გერმანელი ერის მიღწევების საფუძველი.

ძველი რომის ისტორიის შესწავლას გერმანიაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. საქმე იმაშია, რომ თავის დროზე, შუა საუკუნეების გერმანია შედიოდა ოტო I დიდის (962-973 წწ.) მიერ შექმნილ „გერმანელი ერის წმინდა რომის საღვთო იპერიის“ შემადგენლობაში. ეს სახელმწიფო კი განიხილებოდა ძველი რომის და კარლოს დიდის (ინგლ. Charles the Great, 768-814 წწ.) ფრანკთა იმპერიის გაგრძელებად. ცხადია, რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზიამ თავისი კვალი დაასვა გერმანელთა ფსიქიკაზეც. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდის საისტორიო აზროვნებაში რაიმე ღირებული ნაშრომი შეიქმნა. პირიქით, შუა საუკუნეების პირველ და მეორე საფეხურზე გერმანულ სამყაროში პაპიზმის დოგმები უცვლელი რჩებოდა.

მნიშვნელოვანი ძვრები გერმანელთა აზროვნებაში იწყება XVI ს., რეფორმაციისას, რაზეც გავლენა მოახდინა დაპირისპირებამ კათოლიკურ ეკლესიასა და გერმანულენოვან სამყაროს შორის. არსებითად, XIV-XV სს., კათოლიკური ეკლესიის წიაღში მიმდინარე კრიზისებმა, შუა საუკუნეების მისტიკამ, მწვალებლობამ, იან ჰუსის (1369-1415 წწ.) და სხვა ჰუმანისტთა იდეებმა, მარტინ ლუთერის ხელმძღვანელობით, გერმანიაში დასაბამი დაუდო სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც ისტორიაში რეფორმაციის (გამოსწორება) სახელით შევიდა.

1517 წლის 31 ოქტომბერს, ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე, მარტინ ლუთერმა (1483-1546 წწ.) გამოაკრა 95 თეზისი, რომლითაც ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში დასაბამი დაედო რეფორმაციას. ლუთერისთვის თეზისების დაწერის ძირითადი მოტივი იყო კათოლიკურ სამყაროში ინდულიგენციებით ვაჭრობის, პაპის მიერ ცოდვების გამოსყიდვის ექსკლუზიური უფლების კრიტიკა და საღმრთო წერილის ერთადერთ ავტორიტეტად გამოცხადება. არსებითად, ამ თეზისებით ლუთერმა უარყო კათოლიკური სამყაროს დოგმა, რომ ეკლესია და სამღვდელოება უცილებელი შუამავალია ადამიანსა და ღმერთს შორის.

ძველი რომის ისტორიის შესახებ ლუთერს სპეციალური ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ პაპის საერო ხელისუფლების ფლობის კანონიერებაზე მიმდინარე პოლემიკისას იგი აქტიურად იყენებდა ვალას ცნობილ ნაშრომს „განსჯა კონსტანტინეს საჩუქრის ნაყალბევობის შესახებ“. ვალას მოსაზრებები ლუთერს შემაგრებული ჰქონდა ახალი არგუმენტებით. მისი აზრით, იმპ. კონსტანტინეს პაპი სილვესტერისთვის რომც შეეთავაზებინა საერო ხელისუფლება, ანუ იმპერიის დასავლეთი ნაწილი ქ. რომითურთ, პაპს იგი არ უნდა აეღო, ვინაიდან სახარების თანახმად მას არ შეუძლია საგამგებლოდ ჰქონოდა ქალაქები და ა.შ. ლუთერის მიხედვით პაპი მხოლოდ ადამიანთა სულიერი „მეს“ გამგებელია. მეორეც, „კონსტანტინეს საჩუქარი“ დაწერილი უნდა ყოფილიყო კლასიკური და არა შუა საუკუნეების ლათინურზე. მესამე, სარწმუნო არ არის კონსტანტინეს 323/4 წლისთვის მონათვლა. ზემოთქმულიდან გამომდინარე ლუთერი 323/4 წლისათვის პაპისთვის საერო ძალაუფლების გადაცემა არარეალურად მიაჩნდა.


*მარტინ ლუთერი*

ცხადია, რეფორმაციის პერიოდში პაპიზმის დოქტრინის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა, გერმანელ ჰუმანისტებს და შემდგომში განმანათლებლებს ავალდებულებდათ წინა პლანზე წამოეწიათ ძველი რომის ისტორიის სხვადასხვა საკითხები. ყოველივე შემთხვევითი არ იყო. ადარებდნენ რა გერმანიას ძველ რომს, ისინი უკანასკნელში ხედავდნენ თავიანთი იდეალების განხორციელებას, უცხადებდნენ პროტესტს დესპოტიზმს, ეკლესიის რეაქციას და ა.შ.

განმანათლებლებიდან ანტიკურობის გერმანული სკოლის ჩამოყალიბება-განვითარებაზე დიდი როლი შეასრულეს: იოჰან ვინკელმანმა (1717-1768 წწ.), ჰოტჰოლდ ლესინგმა (1729-1781 წწ.), იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა (1744-1803 წწ.) და ძმებმა შლეგელებმა. ჩვენ მოკლედ შემოვიფარგლებით მხოლოდ ვინკელმანის შესახებ საუბრით. მართალია იგი ძირითადში ბერძნული ხელოვნების მკვლევარი იყო, მაგრამ მან მეცნიერებაში პირველმა გაკვალა გზა კლასიკური ხელოვნების კულტურული მნიშვნელობის გაგების შესახებ და გააღვივა მისადმი საზოგადოებრივი ინტერესი. არსებითად, ვინკელმანი გერმანიაში იყო ანტიკური ისტორიის კვლევის ფუძემდებელი და მისი მხატვრული კრიტიკოსიც.

ვინკელმანის მიხედვით ხელოვნების მთავარი ამოცანაა, რომ იყოს „ბრწყინვალე“. მისი არსი კი გამოიხატებოდა ტიპაჟის გამოსახვაში, რომელიც შექმნილი იყო ჩვენი ფანტაზიით და ბუნებით. განმანათლებლის აზრით, არსებობდა მხოლოდ დროებითი მნიშვნელობის მქონე მხოლოდ ერთი ბრწყინვალება. იგი ჩადებულია ბუნებაში, სადაც ხდება მისი რეალიზაცია ხდება ზეციური კეთილგანწყობის, პოლიტიკური და ნაციონალური თავისუფლების ერთმანეთში თანხვედრით.



*ვინკელმანი*

პირველი თაობის გერმანელი განმანათლებების შეხედულებებმა ანტიკურ ხელოვნებაზე, მისი ისტორიის პერიოდიზაციაზე, ქრისტიანობის და ზოგადად ლიტერატურის საკითხების შესახებ, მათ მიერ განვითარებულმა ახლებურმა კონცეფციებმა და ხედვამ, დასაბამი დაუდო გერმანიაში ძველი ისტორიის შესწავლას. აქვე დავძენთ, რომ თუ საისტორიო აზროვნებაში ჰუმანისტები მაინც მოქმედებდნენ ბიბლიური სქემებით, განმანათლებლებმა იგი შედარებით მაღალ საფეხურზე აიყვანეს და ზოგმა მათგანმა კითხვის ქვეშ დააყენეს ღმერთის არსებობაც.

XVIII-XIX სს. მიჯნაზე გერმანულ და ზოგადად მსოფლიო საისტორიო აზროვნების განვითარებაზე დიდი კვალი დააჩინა გეორგ ვილჰელმ ჰეგელის (1770-1831 წწ.) ფილოსოფიუსმა ნააზრევმა. არადა, იმ პერიოდში გერმანიას ფილოსოფოსთა შესანიშნავი თაობა ჰყავდა კანტის, ფიხტეს და სხვების სახით, რომლებმაც საისტორიო მეცნიერებაშიც არაერთი საინტერესო კონცეფციები

განავითარეს.

ჰეგელს სახელთანაა ობიექტური იდეალიზმის თეორიის და მის საზღვრებში საკაცობრიო საზოგადოების განვითარების სწავლების დამუშავება. ჰეგელი ბუნების და საზოგადოების ყველა მოვლენის საფუძვლად სულიერ საწყისს - აბსოლუტს თვლიდა, რომელსაც იგი „მსოფლიო გონის“, „აბსოლუტური სულის“ და „აბსოლუტური იდეის“ ტერმინებით მოიხსენიებდა. მას მიაჩნდა, რომ მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში კაცობრიობა გადის „მსოფლიო სულის“ თვითგახსნის რიგ პროგრესულ ეტაპებს, სადაც მისი გამომხატველია სხვადასხვა „ისტორიული“ ხალხები. ჰეგელის აზრით „მსოფლიო სულის“ „გაფურჩქვნა“ ხდება რომაულ ისტორიაში, ხოლო საბოლოო „გახსნა“ მთავრდება ქრისტიანულ გერმანულ სამყაროში.

ჰეგელის მსოფლიო ისტორიულ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ანტიკურ სამყაროს და კონკრეტულად ძველ რომს. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა მის ნაშრომში – „ლექციები ისტორიის ფილოსოფიაში“ (1837 წ.). აღნიშნული ნაშრომი იყო ჰეგელის მიერ 1829-1831 წლებში ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიაში წაკითხული მსოფლიო ისტორიის სალექციო კურსი. იგი ავტორს ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც ფილოსოფოსის თვალით დანახული მსოფლიო ისტორია.


*ჰეგელი*

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ისტორიის ფილოსოფიაში“ ყველაზე მეტად ჩანს გერმანელი მეცნიერის მიერ წამოყენებულ ფილოსოფიურ სისტემებს შორის წინააღმდეგობა. არადა, მასში განვითარებულმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვეებზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჰეგელი ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც ისტორია განიხილა, როგორც „მისი აზრობრივი განსჯა“ და არა ფაქტების გროვა. მისი ნაშრომი არსებითად იყო XVII-XVIII სს. ევროპულ აზროვნებაში არსებული საისტორიო თეორიების გაგრძელება. სამეცნიერო წრეებში შენიშნულია, რომ ისტორიის ფილოსოფიის ღირებულებაა მსოფლიო ისტორიის დასრულებული სურათის გადმოცემის ცდა და მისი აღქმა, როგორც

განვითარების ერთიანი პროცესი უმდაბლესი საფეხურიდან სრულყოფილ ფორმამდე. „ლექციები ისტორიის ფილოსოფიაში“ ოთხი ნაწილისგან და რამდენიმე ნაკვეთისგან შედგება. მათში საუბარია აღმოსავლური, ბერძნული, რომაული და გერმანული სამყაროს შესახებ. ამ ოთხ სამყაროში მოიაზრებდა ჰეგელი მსოფლიო ისტორიას. ნაშრომში ლაკონურად არის ყურადღება გამახვილებული მსოფლიო ისტორიის უმთავრეს მომენტებზე.

რომთან მიმართებაში ჰეგელი გამოჰყოფდა პუნიკურ ომებამდელ, იმპერიამდელ, იმპერიის დროინდელ და ქრისტიანობის პერიოდებს. მასთან თხრობა მთავრდება ბიზანტიის იმპერიით. ნაშრომში შემჭიდროებული ფორმით არის საუბარი რომის ისტორიაზე, რელიგიაზე და სხვა საკითხებზე. ჰეგელი ცდილობს გახსნას რომაული ბუნების არსი. მაგ., რელიგიაზე საუბრისას ჰეგელი წერდა: „რელიგიური თრთოლვა რომაელებში ვერ განვითარდა. იგი თავისთავის სუბიექტურ უეჭველობაში დარჩა... რომაელს მუდამ რაღაც იდუმალთან ჰქონდა საქმე, ყველაფერში იგი ეძებდა და ცდილობდა დაენახა დაფარული... მთელი მათი ისტორია ამ ორმაგი ტყვეობიდან არ გამოდის“. შემდეგში, გერმანელი ფილოსოფოსი ამატებდა, რომ „რომაული რელიგიის მხოლოდ ერთი მხარეა რაღაცით მიმზიდველი და ესაა დღესასწაულები“.

რომულუსი ჰეგელისთვის „ყაჩაღთა გაერთიანების დამაარსებელია“. მის დამსახურებად იგი მიიჩნევდა ამ საზოგადოების გარდაქნას სამხედრო ორგანიზაციად. მეცნიერის აზრით, ეტრუსკულ ხელოვნებას აკლდა „ბერძნული ხელოვნების იდეალურობა და მშვენიერება“. რომის სიდიადის თავისებურებად იგი თვლიდა ინდივიდთა ერთიანობას სახელმწიფოსთან, კანონთან და ბრძანებასთან. ასევე „პოზიტიური სამართლის შობა და ჩამოყალიბება“. თეოდოსის მმართველობაში ჰეგელი ხედავდა „ძველი ბრწყინვალების უკანასკნელ გამოკრთობას“. მისთვის რომის იმპერია „მოიცავდა მთელ განათლებულ დედამიწას“.

ქრისტიანობის შესახებ ჰეგელი წერდა, რომ იგი „არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ ქრისტეს გამონათქვამებზე. მისი დადგენილი და გაშლილი ჭეშმარიტება მოციქულთა ეპისტოლეებშიღა წარმოგვიდგება“. ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთ ფაქტორად ჰეგელი თვლიდა, რომ იგი „განათლების ყველა საფეხურისთვისაა განკუთვნილი და ამავე დროს უმაღლეს მოთხოვნებსაც

აკმაყოფილებდა“. გერმანელი მეცნიერი დასძენდა, რომ „ქრისტიანულმა რელიგიამ ცნობიერებაში შემოიყვანა ღვთის აბსოლუტური იდეა მის ჭეშმარიტებაში და ადამიანმა მისი „მე“ ამ იდეაში შეყვანილი დაინახა თავისი ჭეშმარიტი ბუნების მიხედვით, რომელიც ძე ღვთის გარკვეულ ჭვრეტაშია მოქცეული“.

ჰეგელის სიმპატია იყო კეისარი. იგი მისთვის „რომაული მიზანშეწონილების და ჭეშმარიტების ნიმუშია“, რომლის დამსახურებად თვლიდა რომაული სამყროს ერთიანობის დაცვაში. რაც შეეხება ციცერონს, ფილოსოფოსი მასზე წერდა: „დიდი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული თავისი მჭერმეტყველებით და დიდად ფასობდა განათლების წყალობით“. მეცნიერის აზრით, ციცერონი „სრულებითაც არ ფიქრობდა, რომ შეუძლებელი იყო რომის რესპუბლიკის შენარჩუნება და თავისი სახელმწიფოსთვის იგი სულ იმ წუთის გამოსაყენებელ საშუალებებს ეძებდა... რომის სახელმწიფოს ცნობიერება მას არ გააჩნია“. იმპერატორებზე საუბრისას ფილოსოფოსი გამოჰყოფდა მხოლოდ „კეთილშობილი ხასიათის“ და განათლებულ მმართველებს – ტიტუსს, ტრაიანუსს და ანტონინების დინასტიას, მაგრამ იქვე დასძენდა, რომ „არც მათ მოუხდენიათ სახელმწიფოში რაიმე მნიშვნელივანი ცვლილებები“.

ჰეგელის შეხედულებები ძველი რომის ისტორიაზე ზოგადია, მაგრამ ნაშრომში მასზე საუბარი მას სჭირდებოდა ფონისთვის, რათა შემდეგში იგი მისულიყო გერმანული სამყაროს არსის გაგებისკენ.

XIX ს. I ნახევარიდან გერმანულმა ანტიკურმა ისტორიოგრაფიამ დას. ევროპის საისტორიო მეცნიერებაში წამყვანი პოზიციები მოიპოვა. ერთის მხრივ, გერმანული ანტიკური სკოლა აგრძელებდა XVIII ს. II ნახევრის გერმანელი განმანათლებლების ტრადიციებს და მათ ღრმა ინტერესებს მსოფლიო და ანტიკური ისტორიის კულტურულ თუ ისტორიულ-ფილოსოფიური პრობლემებისადმი. მეორეს მხრივ, ე.წ. რომანტიკული ისტორიოგრაფიის წყალობით, მისი ორგანული განვითარების იდეებით და ხალხური სულისკვეთებით, გერმანიაში ანტიკურობა განიხილებოდა ერთგვარ იდეალურ საზოგადოებად. ამიტომაც გერმანული მოაზროვნეები ყოველთვის ეწეოდნენ ძველი ბერძნების და რომაელების იდეალიზაციას. ამასთან, კლასიკური ფილოლოგიის მდიდარმა ტრადიციებმა განაპირობეს ევროპის მასშტაბით გერმანული საისტორიო მეცნიერების დომინირებული დონე.

აღნიშნული პერიოდის გერმანულმა საისტორიო სკოლამ არაერთი პირველხარისხოვანი მკვლევარი (ა. ბეკი...) აღზარდა, რომელთა მოღვაწეობამ კვალი დააჩინა ანტიკური მეცნიერების განვითარებას. ფუნდამენტური ხასიათის ნაშრომების შექმნის პარალელურად გერმანიაში მიდიოდა ტექსტოლოგიური საქმიანობაც. ამ დარგის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი იყო კარლ ლახმანი (1793-1851 წწ.). იგი ერთ-ერთი იმათაგანი იყო ვინც სათავე დაუდო ანტიკური ტექსტების კრიტიკულ გამოცემებს. თუ გერმანიაში, მანამდე, ძველი ტექსტების გამოცემა ხდებოდა მხოლოდ ერთი ხელნაწერის საფუძველზე, ლახმანმა, მკაცრად ჩამოაყალიბა ტექსტებზე მუშაობის წესი. მისი მუშაობის მეთოდი იყო თავდაპირველად ყველა ხელნაწერის შეგროვება, შემდეგ იმ ხელნაწერების გამორიცხვა, რომლების განმეორება ხდებოდა, ბოლოს კვლავ გაერთიანება და გადამუშავებული სახით მკითხველისთვის მიწოდება. უნდა ითქვას, რომ ლახმანის მეთოდი დარჩა უნივერსალური და იგი დღესაც იხმარება წყაროთმცოდნეობით საქმიანობაში.



*კარლ ლახმანი*

რომაული სამყაროდან ნათარგმნი ტექსტებიდან ლახმანს ეკუთვნოდა ლუკრეციუსის (1850 წ.) და კატულუსის (1829 წ.) შრომების სანიმუშო გამოცემა. 1826-1833 წლებში მან გამოსცა რომაელ მიწათმოქმედთა ტრაქტატების ტექსტები და ა.შ.

გერმანულ და ზოგადად მსოფლიო ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ცალკე ეპოქა იწყება ბარტოლდ გეორგ ნიბურის (1776-1831 წწ.) მოღვაწეობით. მისი ფენომენალური მეხსიერების და ფილოლოგიური შესაძლებლობების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 23 წლისთვის მან უკვე იცოდა ოცზე მეტი ძველი და ახალი ენები. შესანიშნავმა ფილოლოგიურმა შესაძლებლობებმა, ერუდიციამ და ზუსტმა ისტორიულმა ალღომ, ნიბურს საშუალება მისცა აღედგინა რომაული ისტორიის განვითარების ძირითადი ხაზი იმდენად სრულად, რომ მომდევნო თაობის ისტორიკოსებს მასში არსებითი ცვლილებები აღარ შეჰქონდათ.

ნიბურის სამეცნიერო ყურადღების არეალში იყო რომაული ისტორიის სხვადასხვა ასპექტები. მის „რომაულ სიძველეთა“ კუ-

რსში დეტალურად იყო აღწერილი რომის პოლიტიკური დაწესებულებები, სამხედრო საქმე, სულიერი და რელიგიური ცხოვრება და ა.შ. მანვე შექმნა ავგუსტუსიდან დაწყებული იუსტინიანეთი დამთავრებული რომაელ იმპერატორთა მმართველობის კურსი. მარტო ეს ჩამონათვალი ნათლად აჩვენებს ისტორიკოსის კვლევის ფართო ჰორიზონტს, მის წვლილს საუნივერსიტეტო პედაგოგიკის პრაქტიკაში და საისტორიო მეცნიერებაში.

პოპულარობა ნიბურს მოუტანა „რომის ისტორიამ“. ეს გახლდათ მის მიერ გადამუშავებული საუნივერსიტეტო კურსი, რომელსაც იგი 1811-1816 წლებში კითხულობდა ბერლინის უნივერსიტეტში. მასში რომის ისტორია გადმოცემული იყო უძველესი დროიდან მეორე პუნიკურ ომამდე. მაშასადამე, ავტორმა კვლევისთვის ისტორიის ის მონაკვეთი აიღო, რომელიც წყაროებით ყველაზე ცუდათ იყო გაშუქებული და რაც სკეპტიკოსებს არარეალურად მიაჩნდათ, ანდა გადმოიცემოდა ყოველგვარი სამეცნიერო კრიტიკის გარეშე.



*ბარტოლდ ნიბური*

რომის ისტორიის სურათის აღსადგენის საქმეში ნიბურმა გამოიყენა თავისი ისტორიულ-კრიტიკული მეთოდი. მისი აზრით, ისტორიკოსის უმთავრესი მისია არის ერთდროულად ანალიტიკური და კრიტიკული ამოცანის გადაჭრა, ე.ი. შესაბამის წყაროში რეალური ინფორმაციის გამოვლენა და ამის საფუძველზე ისტორიული სურათის დასრულებული რეკონსტრუქცია. იკვლევდა რა არსებულ წყაროებს, ნიბურმა აწარმოა უზარმაზარი წყაროთმცოდნეობითი სამუშაო. მას მიაჩნდა, რომ არ არსებობს ისეთი წყარო, რომელშიც არ იყოს ასახული რაიმე რეალური ისტორიული სინამდვილე. კვლევისას ნიბური აქტიურად იყენებდა ასევე შედარებით მეთოდსაც. მისი აზრით, განვითარების ისტორიულ პროცესში სხვადასხვა ხალხები გადიან ერთნაირ ეტაპებს და ამიტომაც მას გამართლებულად მიაჩნდა ერთმანეთისთვის მათი შედარება. მაგ., ნიბური ჰომეროსის დროინდელ მდიდარ ბერძნულ მასალას იყენებდა ძველი რომის მეფეთა ხანის ევოლუციის ასახსნელად. იმ შემთხვევაში თუ იგი არ ფლობდა საჭირო მასალას, მაშინ წინა პლანზე აყენებდა ინტუიციას და ამით ქმნიდა ისტორიული წარსულის საერთო სინთეტიკურ სურათს.

ნიბურს ეკუთვნოდა გვაროვნული თეორის შექმნა, რომლის თანახმად რომაული ისტორიის განვითარების ამოსავალი ერთეული იყო არა პატრიარქალური ოჯახი, არამედ გვარი. მისი აზრით, რომში გვაროვნულ წყობილება შეცვალა სახელმწიფოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც წინამორბედისგან განსხვავებით დაფუძნებული იყო ტერიტორიული დაყოფის პრინციპზე. ამ დაყოფის საუძველს ნიბური ხედავდა სერვიუს ტულიუსის რეფორმებში. მეფეთა ძალაუფლება ნიბურმა განსაზღვრა ბერძენ ბასილევსთა მსგავსად. მანვე განავითარა მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ერთობ პოპულარული თვალსაზრისი პატრიციუსების და პლებეების წარმოშობის შესახებ, რომელიც ისტორიაში პატრიციუსთა თავდაპირველი მოქალაქეობის სახელით შევიდა.

სამწუხაროა, მაგრამ გრანდიოზული კვლევის მიუხედავად ნიბურმა არ მოგვცა რომის მთელი ისტორიის ახლებური განმარტება. ასევე მან არ შექმნა სკოლა ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. უფრო მეტიც, ნიბურისეულ მეთოდოლოგიის ძირითად დებულებები ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, ეჭვის ქვეშ დააყენეს მის მიერ რეკონსტრუირებული ისტორიის რიგი მომენტები და ა.შ.

ნიბურის მიერ მოცემულ ადრეული რომაული პერიოდის ისტორიას რევიზია გააკეთა ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფ. ალბერტ შვეგლერმა (1819-1857 წწ.). 1846 წელს მან იმოგზაურა იტალია-რომში, სადაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა რომაულმა სიძველეებმა. იქ მას ჩამოუყალიბდა რომის ისტორიის დაწერის გეგმა. ავტორს გამოკვლევა მრავალტომეულის სახით ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ნაადრევი გარდაცვალების გამო „რომის ისტორიის" (ტ I-III, 1853-1858 წწ.) გამოცემა დაუსრულებელი დარჩა. მესამე ტომის პირველი ნაწილში თხრობა მისული იყო ლიცინიუსის კანონებამდე.

„რომის ისტორიაში" შვეგლერმა განავითარა მითების ეთიოლოგიური თეორია. მან უარყო ჰიპოთეზა რომაული ტრადიციის პირველადი ეპიკური საფუძვლის შესახებ. ამ საკითხში იგი უფრო ფრთხილი იყო ვიდრე ნიბური და თვლიდა, რომ რომაულ ლეგენდებს საფუძვლად უდევს არა ეპოქის ამსახველი ხალხური სიმღერები, არამედ გვიანდელ სწავლულთა განმარტებები მათვის გაუგებარ მოვლენებზე. თქმულებებს გერმანელი მეცნიერი ჰყოფდა ორ კატეგორიად. ესაა: საგები, თავისი ისტორიული საფუძვლებით

და მითებით. ისტორიკოსის აზრით, უკანასკნელი იმისთვის იყო მოგონილი, რომ მათი მეშვეობით აეხსნათ გაურკვეველი მოვლენები და სახელწოდებები. ასეთი მიდგომით შვეგლერმა ხმარებაში შემოიტანა მითების შეგნებული შექმნის ლოგიკის ჰიპოთეზა.

XIX ს. I ნახევარში გერმანიაში მოღვაწე რომაული არქეოლოგიის მკვლევარი იყო ვილჰელმ ბეკერი (1796-1846 წწ.). იგი იყო ლაიფციგის უნივერსიტეტის კლასიკური არქეოლოგიის პროფესორი და პეტერბურგის აკადემიის წევრი (1844 წ.). მის სახელს უკავშირდება „რომაული სიძველეების ცნობარის" გამოცემის წამოწყება. უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი ტიპის პუბლიკაცია მაშინ გერმანიაში არ არსებობდა. ცნობარმა მოიცვა ძველი რომის ისტორიის სხვადასხვა მხარეები, როგორიცაა - რომაელთა კერძო ცხოვრება, იტალიის და პროვინციების ორგანიზება, საფინანსო მხარე და ა.შ. ბეკერმა მოასწრო ცნობარის მხოლოდ I-II ტომის გამოცემა (1843-1846 წწ.). მისი საქმე შემდგომში გააგრძელა კარლ მარკვარდტმა (1812-1882 წწ.), რომელმაც 1851-1867 წლებში გამოსცა ცნობარის III-V ტომები. უნდა ითქვას, რომ „რომაული სიძველეების ცნობარი" იმთავითვე პოპულარულ პუბლიკაციად ჩაითვალა, ამიტომაც XIX ს-ის 70-80-იან წლებში მოხდა მისი ხელმეორე გამოცემა. ხუთტომეულს მარკვარდტმა დაუმატა VI-VII ტომები (1873-1882 წწ.), ხოლო გამოცემა დაასრულა თეოდორ მომზენმა.



*ვილჰელმ დრუმანი*

XIX ს. I ნახევარში გერმანიაში რომის ისტორიის თემატიკაზე მომუშავე ერთ-ერთი წონიანი მკვლევარი იყო ვილჰელმ დრუმანი (1786-1861 წწ.). იგი იყო ჰალეს (1812 წ.) და კენიგსბერგის (1817 წ.) უნივერსიტეტების პროფესორი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, თეოლოგი და ფილოსოფოსი. ანტიკური ისტორიით მეცნიერის დაინტერესება განსაზღვრა ფრიდრიხ ვოლფის (1759-1824 წწ.) და ედუარდ გიბონის შრომებმა. უნდა ითქვას, რომ ვოლფის ნაშრომმა ჰომეროლოგიაში („შესავალი ჰომეროლოგიაში", 1795 წ.) და რომის ისტორიაში გიბონის მრავალტომეულმა მართლაც ძირეული ცვლილებები შეიტანეს ანტიკური ისტორიის კვლევის საქმეში.

დრუმანს აღიარება მოუტანა მრავალტომეულმა - „რომის რესპუბლიკიდან მონარქიისკენ გადასვლის ისტორია, ანდა: პომპეუსი, კეისარი, ციცერონი და მათი თანამედროვეები" (ტ. I-VI, 1834-1844 წწ.). მრავალტომეული ძვ.წ. II-I სს. რესპუბლიკის კრიზისის და იმპერიის დამყარების საკითხებს ეხებოდა. მასში წარმოდგენილი იყო რომაელ პოლიტიკოსთა ვრცელი გალერეა. მათგან დრუმანი გამოყოფდა მხოლოდ კეისარს. ანტიკურ დროში მოღვაწე პოლიტიკოსებიდან იგი მისთვის იდეალური ფიგურა იყო. თუ კეისრის საქმიანობის შეფასებაში ნიბური თავშეკავებული იყო, დრუმანმა, ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაუყარა მის აპოლოგიას. გერმანელი მეცნიერი თვლიდა, რომ მონარქიზმის იდეით კეისარი გამოდიოდა სულას მმართველობის დროიდან. I ტრიუმვირატის დროს კეისარი მანიპულირებდა პომპეუს-კრასუსით. ისტორიკოსის აზრით, ლაშქრობა გალიაში კეისარს სჭირდებოდა სამოქალაქო ომის მომზადებისთვის. რაც შეეხება ძვ.წ. I ს. სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს, კეისრის ფონზე, მათი როლი დრუმანის ნაშრომში გაფერკმთალდა. არსებითად, დრუმანის მხრიდან კეისრის პანეგერიკით გერმანულ ისტორიოგრაფიაში სათავე დაედო დიდი რომაელის განდიდების ტენდეციას, რისი ბოლო აკორდი იყო თეოდორ მომზენის ე.წ. „კეისრის მითი".

XIX ს. II ნახევარის მსოფლიო საისტორიო მეცნიერებაში ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეში გერმანულ ანტიკურ სკოლამ დომინირებული მდგომარეობა დაიკავა. ამის საფუძველი იყო კლასიკური ფილოლოგიის მდიდარი ტრადიციები, განმანათლებელთა კონცეფციების მემკვიდრეობა და ანტიკური ისტორიის კულტურულ-ისტორიული პრობლემების შერწყმა. გერმანიის გაერთიანებამ და ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების სწრაფმა ტემპმა წინა პლანზე წამოწია იდეოლოგიური და პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა. უკვე ძველი ისტორიის სპეციალისტები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი ქმნიდნენ სხვადასხვა კონცეფციებს, რომლებშიც ძველი რომის ისტორიის მაგალითზე პოულობდნენ პასუხებს თანადროულ საკითხებზე. მართალია უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭა პოლიტიკურ ისტორიის შესწავლას, მაგრამ პარალელურად მიდიოდა სამართლის კულტურის და სხვა საკითხების კვლევა.

ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ გერმანელთა მენტალიტეტში ყოველთვის გაიდიალებული იყო რომი და იგი განიხილებოდა იდეალურ სამოქალაქო საზოგადოებად. ცხადია, ანტიკური სკოლის ძლიერმა ტრადიციებმა განაპირობა რომის ისტორიის მკვლევართა არაერთი შესანიშნავი წარმომადგენლის გამოჩენა. მათგან აშკარად გამოირჩეოდა თეოდორ მომზენი (1817-1903 წწ.). თავისი სამეცნიერო მემკვიდრეობით იგი გერმანული ანტიკური საისტორიო აზროვნების ოლიმზეა.

მომზენი იყო ნობელის პრემიის ლაურიატი. საერთოდ, მიღებული არ არის ისტორიკოსისთვის ნობელის პრემიის მიკუთვნება, მაგრამ 1902 წელს, ნობელის კომიტეტმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ლიტერატურის დარგში მომზენისთვის აღნიშნული პრემიის მინიჭების შესახებ. არადა, ეს გადაწყვეტილება საკამათოც იყო. მომზენს, განათლებით იურისტს, რომლის ჰობი იყო რომაულ თემატიკაზე წერა, არასდროს არ დაუწერია მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ მისი „რომის ისტორია“ იმდენად პოპულარული ნაშრომი დარჩა ავტორის სიცოცხლეშივე, რომ ნობელის კომიტეტმა აღნიშნული პუბლიკაცია ჩათვალა ლიტერატურულ ნაწარმოებად და იგი ყოყმანის გარეშე პრემიით დაჯილდოვა. ცნობილმა მეცნიერმა არნოლდ ტოინბმა (1889-1975 წწ.) მომზენის მრავალტომეულს „დასავლეთის საისტორიო ლიტერატურის შედევრი უწოდა“. ჯორჯ გუჩის (1873-1968 წწ.) ხატოვანი შენიშვნით: „ერთ მშვენიერ დღეს „რომის ისტორიამ“ მომზენი შესანიშნავი გახადა“.



*თეოდორ მომზენი*

მართლაც, მომზენის „რომის ისტორია“ უპირველესად იყო ავტორის ამ გრანდიოზული იმპერიის ისტორიოგრაფიაში პირველი ყოველმხრივი წარმოსახვა, რომელიც დაფუძნებული იყო წყაროთა კრიტიკულ სწავლებაზე. წყაროთა კრიტიკის საქმეში მომზენს ნიბურის და შვეგლერის სახით წინამორბედი ჰყავდა. მაგ., ნიბური არარეალურად მიიჩნევდა მეფეთა ხანის ამსახველ ტრადიციის რეალურობას. ამასთან, მან ვერ შესძლო წყაროთა დეტალური გარჩევა და რომის ისტორიის თხრობის დასრულება. შვეგლერმა რომაული ტრადიცია ნახევრად რეალურად მიიჩნია. მომზენი აღნიშნული საკითხის კვლევაში უფრო შორს წავიდა. მან

ისინი საერთოდ უარყო. საეჭვო ტრადიციების სანაცვლოდ ისტორიული რეალობის აღსადგენად მომზენმა გამოიყენა ინტუიცია და ირიბი წყაროები, რომლებიც მანამდე ნებისმიერი ხალხის ისტორიაში იგნორირებული იყო. აქ საუბარია შედარებით ენათმეცნიერებაზე, არქეოლოგიაზე, ნუმიზმატიკაზე და ა.შ. ასეთი მიდგომით მომზენმა მოგვცა რომაული საზოგადოების ყოველმხრივი ევოლუციის სურათი.

მომზენი ნოვატორი იყო რომაული პროვინციების ისტორიის კვლევის საქმეშიც. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული პრობლემა მანამდე ნაკლებ დაინტერესებას იწვევდა სამეცნიერო წრეებში, ხოლო მომზენის წყალობით შემდგომში იგი ინტენსიური კვლევის საგანი გახდა. პროვინციების საკითხს მომზენმა ცალკე ტომი დაუთმო. მასთან პროვინციებზე საუბარი იწყება გეოგრაფიულ-ისტორიული კუთხით, რომელსაც პარალელურად მოსდევდა მთელი სახელმწიფოს ისტორიის თხრობა.

რომის ისტორიის თხრობისას მომზენი მხედველობის მიღმა



*მომზენისეული ხელნაწერი*

არ ტოვებს ძვ.წ. VIII-I სს. მიმდინარე არცერთ საკითხს. I-III ტომებში საუბარი მიყვანილი იყო ტაპსის ბრძოლამდე, ე.ი. რესპუბლიკელებზე კეისრის საბოლოო გამარჯვებამდე და უცებ ნახტომია გაკეთებული მეხუთე ტომზე, რომელიც რომის პროვინციებს ეხება. ცხადია, მეოთხე ტომი დათმობილი უნდა ყოფილიყო იმპერიის ეპოქას, მაგრამ იგი არ არსებობს. ერთი ვერსიით აღნიშნული ნაშრომი კაბინეტში გაჩენილმა ხანძარმა შთანთქა. მეორე ვერსიით იგი არის მცირე ზომის ნაშრომი - „კეისრის ბრძოლა სენატის წინააღმდეგ“. მესამენი თვლიან, რომ გაერთიანებული გერმანიის შიდა პოლიტიკური ძვრების გამო თვით მეცნიერმა შეიცვალა კეისარზე აზრი. სხვების აზრით, IV ტომი შეგნებულად არ დაიწერა, რადგან მაშინ მეცნიერს მუშაობა მოუწევდა ქრისტიანობაზე, რაც მისთვის არაპოპულარული თემა იყო. რელიგიური შეხედულებით კი იგი უფრო წარმართი იყო ვიდრე ქრისტიანი.

დადებითი მხარეების მიუხედავად მომზენის „რომის ისტორია“ დაზღვეული არ იყო რიგი ხარვეზებისგან. დღეს ადვილია მასთან ნაკლის ნახვა. მთავარი რასაც ყველა ხაზს უსვამს არის მის

მხრიდან გამოვლენილი უკიდურესი სუბიექტივიზმი, რაც გამოიხატა კეისრის პანეგირიკით. მეცნიერის სიტყვებია: კეისრის მიზანი იყო სამეფო ხელისუფლების აღდგენა, მაგრამ მან იმავდროულად შეინარჩუნა ახალგაზრდობის დროინდელი დემოკრატიული იდეალები. ანდა კიდევ: გალიის დაპყრობით, დასავლეთის ხალხების რომანიზაციით - კეისარი თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის ფუძემდებელია. იგი იდეალური მონარქია... მომზენის მხრიდან კეისრისადმი პანეგერიკა შემთხვევითი არაა. რომაელის სახე გერმანიაში ყოველთვის ძლიერი ხელისუფლების სიმბოლოდ აღიქმებოდა. მისი აუცილებლობის პროპაგანდა კი XIX ს. II ნახ. გერმანული ბურჟუაზიის ამოცანა იყო. ამის და სხვა ნიუანსების მიუხედავად, მომზენის მიერ რომის ისტორიის შესახებ გაცემულ პასუხებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

XIX-XX სს. მიჯნაზე საისტორიო მეცნიერებაში სადისკუსიო თემა იყო ავგუსტუსის ძალაუფლების არსის გაგება. მომზენმა ეს საკითხი მისთვის ჩვეული მარტივი გზით გადაწყვიტა და მის მისამართით იხმარა ტერმინი „პრინციპატი“. მომზენამდე პრინციპატი მიიჩნეოდა კლასიკურ მონარქიად, ანდა მონარქია რესპუბლიკური „ფასადით“. გერმანელმა მეცნიერმა მიუთითა, რომ ოქტავიანეს ძალაუფლება ემყარებოდა პროკონსულების და ტრიბუნების უფლებების ნაზავს. პრინციპატის საგანგებო მაგისტრატურასთან გატოლებით, მომზენმა აღნიშნა, რომ დომინატისგან განსხვავებით ეს რეჟიმი ეფუძნებოდა სამართალს. რაც შეეხება სენატის ფუნქციის შენარჩუნებას, მომზენმა იგი ახსნა „დიარქიის“, ე.ი. იმპერატორის და სენატის ორძალაუფლების თეორიის ჩარჩოებით. უნდა შევნიშნოთ, რომ ოქტავიანეს მმართველობის არსის მომზენისეული შეფასება ისტორიოგრაფიაში პოპულარული დარჩა, თუმცა სამეცნიერო წრეებში მან სათავე დაუდო საპირისპირო თეორიებსაც.

მომზენისთვის ძველი რომი მარტო ისტორიული კატეგორია არ იყოს. ძველ ფაქტებს და ისტორიულ პერსონაჟებს იგი მკითხველს წარმოუდგენდა თანადროული ისტორიის ფონზე. მაშასადამე, მეცნიერი ისტორიას წერდა შედარებითი მეთოდით. მისი შრომების ერთ-ერთი გამომცემელი შენიშნავდა: სულაზე საუბრისას მეცნიერს თავში მოსდიოდა ოლივერ კრომველის (1599-1658 წწ.) სახე. სციპიონ აფრიკელი მისთვის არტურ ველინგტონია (1769-1852

წწ.), კეისრის მოღალატე ლეგატი ლაბიენუსი ნაპოლეონის მარშლები, ხოლო რომის გვიანდელი არისტოკრატია კი თანადროული ეპოქის პრუსიული იუნკრები. იდეალური პიროვნება მომზენისთვის კეისარია. ამის გამო, კეისრის ყველა მოწინააღმდეგე მასთან დამცირებულია. მაგ., ციცერონი გერმანელი ისტორიკოსისთვის მხოლოდ „მორჩილ უმრავლესობის ბელადია“, ხოლო პომპეუსის დიდებას იგი განგებას მიაწერდა და ა.შ.

„რომის ისტორიის“ პოპულარობის მანიშნებელია ავტორის სიცოცხლეშივე მრავალტომეული 9 ჯერ გამოცემა. არსებითად, მომზენის „რომის ისტორია“ იყო XIX ს. II ნახ. გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკური პამფლეტი.

განსაცვიფრებელი იყო მომზენის კვლევის ჰორიზონტი. იგი ერთდროულად მუშაობდა ისტორიის სხვადასხვა დისციპლინებზე. მასთან ერთმანეთს მისდევდა ისტორია, ნუმიზმატიკა, ეპიგრაფიკა და ა.შ. მომზენი უაღრესად პროდუქტული მკვლევარი იყო. მისი რედაქტორობით ბერლინის მეცნიერებათა აკადემიამ წამოიწყო რომის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლათინურ წარწერათა კრებულის გამოცემა. სულ 1853-1986 წლებში გამოვიდა 17 ტომი 180 ათასი წარწერით. ამ ფუნდამენტური გამოცემის ნახევარი მომზენის რედაქტორობით არის შესრულებული. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კრებულის გამოცემა მას უმთავრეს საქმედ მიაჩნდა.



*სატიტულო გვერდი*

მომზენს ეკუთვნოდა ნაშრომები რომაულ იურისპუდენციაში - „რომის სახელმწიფო სამართალი“ (ტ. I-III, 1871-1888 წწ.) და „რომის სისხლის სამართალი“ (1899 წ.). ეს პუბლიკაციები არანაკლებ ფასეულია, რადგან რომის ისტორიაზე წერისას მას მაინც ჰყავდა წინამორბედი, ხოლო რომაულ სამართალს იგი თავად ქმნიდა. არსებითად, მან პირველმა მოგვცა რომაული სახელმწიფოს და სამართლის ინსტიტუტების სისტემური დახასიათება.

რესპუბლიკიდან იმპერიისკენ გადასვლის რიგ საკითხებზე მომზენთან პოლემიკით გამოვიდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ვილჰელმ ინე (1821-1902 წწ.). გერმანელი მეცნიერი სამეცნიერო წრეებში ცნობილი იყო ნაშრომით - „რომის ისტორია“ (ტ. I-VIII, 1868-1890 წწ.). მრავალტომეულში ინე გამოვი-

და კეისრის მიმართ ზომიერი პოზიციით, რითაც გერმანელმა მეცნიერმა რევიზია გაუკეთა გერმანულ ისტორიოგრაფიაში დრუმანის და მომზენის წყალობით დამკვიდრებულ „კეისრის მითს“. ინეს აზრით, რომში ერთპიროვნული ძალაუფლების დამყარება უცილობელი პირობა იყო. რაც შეეხება კეისარ-პომპეუს შორის ბრძოლა-დაპირისპირებას, მისი აზრით, მათ უკვე არავითარი ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლოთ რესპუბლიკის შემდგომ ბედზე.

ინეს სხვა ნაშრომები იყო: „გამოკვლევა რომის კონსტიტუციონარულ ისტორიაში“ (1847 წ.), „ვედრება იმპერატორ ტიბერიუსისთვის“ (1855 წ.), „ადრეული რომი“ (1875 წ.) და სხვ. გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული პუბლიკაციების სამეცნიერო ღირებულება დაბალი იყო.

გერმანიაში მსოფლიო დონის ერთ-ერთი ავტორიტეტული მკვლევარი იყო ედუარდ მაიერი (1855-1930 წწ.). იგი მიჩნეულია უკანასკნელ ისტორიკოსად, რომელიც შეეცადა დაეწერა ძველი მსოფლიოს უნივერსალური ისტორია. მას ჰქონდა ბრწყინვალე ფილოლოგიური განათლება - თანაბრად ფლობდა ძველ და ახალ (თურქული, არაბული, სპარსული...) ენებს. ერთი პერიოდი მაიერი მუშაობდა კონსტანტინოპოლში ინგლისის გენერალურ საკონსულოში და პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მას ირჩევენ ჯერ ლაიფციგის (1884 წ.), ხოლო შემდეგ ბრესლაუს (1885 წ.), ჰალეს (1889 წ.) და ბერლინის (1902 წ.) უნივერსიტეტების პროფესორად. 1919 წელს იგი აირჩიეს ბერლინის უნივერსიტეტის რექტორად.


*ედუარდ მაიერი*

ძველი ისტორიის (აღმოსავლეთი და ანტიკური) ყოველმხრივმა ცოდნამ, საისტორიო წყაროების სრულყოფილმა ფლობამ, მაიერს შესაძლებლობა მისცა ანტიკურ ისტორიაში შეექმნა კლასიკური ნაშრომები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მათ შორის: „ტროას ისტორია“ (1877 წ.), „პონტოს სამეფოს ისტორია“ (1879 წ.), „გამოკვლევები ძველ ისტორიაში“ (ტ. I-II, 1892-1899 წწ.), „ძველი ქვეყნების ეკონომიკური განვითარება“ (1895 წ.), „მონობა ძველად“ (1898 წ.), „ქრისტიანობის წარმოშობა

და დასაწყისი“ (ტ. I-III, 1921-1923 წწ.), „ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები“ (1902 წ.) და სხვ.

მსოფლიო აღიარება მაიერს მოუტანა „სიძველეთა ისტორიამ“ (ტ. I-V, 1884-1902 წწ.). მრავალტომეულში გერმანელი ისტორიკოსი შეეცადა ისტორიოგრაფიაში დაემკვიდრებინა ანტიკური პერიოდის გაგების უნივერსალური ისტორიული მიდგომა. მეცნიერის აზრით, მას უნდა შეეცვალა ბერძნულ-რომაული კულტურის ის გაგება, რასაც ჩვენამდე ტერმინ ანტიკურობაში ეყრდნობოდა ჰუმანისტური ისტორიოგრაფია. თავისი კონცეფციებიდან გამომდინარე მაიერმა შექმნა მსოფლიო ცივილიზაციის სამი ე.წ. „კულტურული კომპლექსები“: 1. აღმოსავლურ-ელინური, რომელიც მოგვიანებით გადაიზარდა ბერძნულ-რომაულში; 2. შუა საუკუნეებსა და ახალ დროში არსებული ქრისტიანობა-ისლამის კომპლექსი და 3. აღმოსავლურ-აზიური, იგივე ინდურ-ჩინური.

უნდა ითქვას, რომ სიძველეთა შესახებ ედ.მაიერის შეხედულებები ჩამოყალიბდა გერმანელ ეკონომისტებთან პოლემიკაში, რომლებიც ამტკიცებდნენ ძველი მეურნეობების ფორმების პრიმიტიულობას. საზოგადოების განვითარების ციკლური თეორიიდან გამომდინარე მაიერი თვლიდა, რომ ანტიკურმა სამყარომ განიცადა თავისი ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი. ეკონომიკაში კაპიტალი ასრულებდა საგანგებო როლს და შესაბამისად, სახელმწიფო შიდა პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა კაპიტალისტთა ინტერესებით.

ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობისას მაიერმა მონობა გამორიცხა, როგორც ანტიკური ეკონომიკის ბაზისი. იგი განსხვავებას ვერ ხედავდა ანტიკურ მონობას და ახალი დროში დაქირავებულ შრომას შორის. უფრო მეტიც, გერმანელი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ „მონათა საკითხი“ საერთოდ არ იდგა მწვავედ და არც არასდროს იყო მნიშვნელოვანი აჯანყებები. უნდა ითქვას, რომ ძველი ეპოქის მონობის და დაქირავებულ შრომის გათანაბრებით, მაიერმა წაშალა პრინციპიალური განსხვავება ანტიკურ და კაპიტალისტურ საზოგადოებებს შორის.

ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის ტრადიციულ პრინციპს მაიერმა დაუპირისპირა საისტორიო პროცესების შესახებ განსხვავებული ხედვა. მისი მსჯელობის ამოსავალი პუნქტი იყო ზოგადად არა ძველი სამყარო, არამედ ანტიკურობის კლასიკური პე-

რიოდი, ანუ ბერძნულ-რომაული სამყაროს ადრეული განვითარების საფეხური, რაც მაიერთან ჰომეროსის საბერძნეთის სახელით არის. თავისი პოზიციების გასამყარებლად გერმანელი მეცნიერი იყენებს მონობის თემას. ვინაიდან ადრეულ საბერძნეთში (აქ რომიც იგულისხმება) მონის როლი საზოგადოებაში მცირე იყო და ძირითადში ურთიერთობები ბატონყმობაში გამოიხატებოდა, ამ მხრივ, მისი აზრით, ადრეული ბერძნული საზოგადოება შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულის მსგავსია. მაიერი აგრძელებდა: რადგანაც ახალ დროში თავისუფალი დაქირავებული შრომის ადგილი დაიკავა მონობამ, ამიტომაც იგი აღმოცენდა იგივე მომენტებით. დასკვნის სახით მაიერი აღნიშნავდა: ანტიკური ევოლუცია ასრულებს თავის წრებრუნს და განვითარების პროცესი უბრუნდება იმ პროცესებს, საიდანაც იგი დაიწყო.

ერთი შეხედვით, მაიერის ამ უცნაურ კონცეფციას, სამეცნიერო წრეებში უმალ მოჰყვა გამოხმაურება. იგი აიტაცეს რიგმა მსხვილმა მეცნიერებმა (მ. როსტოვცევი...). მაგ., რუსი მეცნიერი ვ. სერგეევი წერდა, რომ „ანტიკური საზოგადოება თავდაპირველად იყო ფეოდალური, ხოლო შემდეგ იგი გახდა სავაჭრო-კაპიტალისტური. მისმა დაშლამ კი გზა გაუხსნა ე.წ. რომანულ-გერმანულ, ანდა ქრისტიანულ ფეოდალიზმს“.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც მაიერი მიიყვანა ისტორიის ციკლური განვითარების იდეისკენ იყო მის მიერ ადრეულ საბერძნეთის და რომის ისტორიაში მონათმფლობელობის განსხვავებული ეკონომიკური ურთიერთობების აღმოჩენა. მეორეს მხრივ, იგი მიიჩნევდა, რომ ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობები დადის მონათმფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ სტადიებამდე.

ნაშრომში - „ისტორიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები“, მაიერმა, საერთოდ უარყო ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია, რომელიც მას არაფრის მომცემ ნაშრომად მიიჩნევდა და საკითხების თეორიული დასაბუთებისას იგი გადაიხარა ი. კანტისკენ (1724-1804 წწ.), ანდა ლ. კეტლისკენ (1796-1874 წწ.).

ძვ.წ. I ს. 60-40-იანი წლებში რომი მიმდინარე მოვლენებს მიეძღვნა მაიერის ფუნდამენტური მონოგრაფია - „კეისრის მონარქია და პომპეუსის პრინციპატი“ (1919 წ.). ნაშრომი დეტალურად არის საუბარი რესპუბლიკის კრახის და იმპერიის დამყარების

ფაქტებზე. მომზენისგან განსხვავებით, მაიერი მეორე უკიდურესობაში ვარდება, იგი პომპეუსელია. მისთვის კეისარი არის აღმოსავლური ტიპის მონარქი. ნაშრომში მაიერმა განაცალკევა კეისრის და ოქტავიანეს პოლიტიკური რეჟიმები და უკანასკნელი მიიჩნია პომპეუსის პრინციპატის გამგრძელებლად. მეცნიერის აზრით, პრინციპატი არის წესრიგი, რომლის დროსაც რესპუბლიკის დამცველია პირველი მოქალაქე - პრინცეპსი. აღნიშნული მსჯელობა იყო ავტორის მხრიდან აშკარა მიკერძოებული თვალსაზრისი. დანარჩენ შემთხვევაში გვინდა ვთქვათ, რომ მაიერის მსჯელობა ტრიუმვირატის არსზე, კლოდიუსის გამოსვლაზე, სამოქალაქო ომზე, კეისრის დიქტატურაზე და ა.შ. უდავოდ დიდი ღირებულება ჰქონდა საისტორიო აზროვნების განვითარებისთვის.

გერმანიაში მოღვაწეობდა წყაროთმცოდნე და კლასიკური ფილოლოგიის უდიდესი მკვლევარი ულრიხ ვილამოვიც-მოლენდორფი (1848-1931 წწ.). იგი იყო ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მომზენის სიძე, პოლიტიკური მრწამსით კონსერვატორი და ანტიკურ მწერლების ნაწარმოებების შესანიშნავი მთარგმნელი. მეცნიერმა ფილოფოგიის და ანტიკური კულტურის ისტორიის სინთეზით შესძლო გადაელახა იმ მომენტისთვის ფილოლოგიური მეცნიერების ერთ წერტილზე გაჩერება. მანვე ზოგადად შესასწავლ საკითხთა სფეროში ელინისტური პერიოდის ჩართვით გააფართოვა კლასიკური ფილოლოგიის კვლევის ჰორიზონტი. მეცნიერის მთარგმნელობითი საქმიანობა ძირითადში ბერძენი მწერლების ნაწარმოებებით შემოიფარგლებოდა. მას ჰქონდა აპიანეს თხზულებების აკადემიური თარგმანი, ხოლო უშუალოდ რომთან მიმართებაში გერმანელ მეცნიერის ნაშრომი იყო - „ბერძნების და რომაელების სახელმწიფო და საზოგადოება“ (1910 წ.).



*ულრიხ ვილამოვიც-მოლენდორფი*

XIX-XX სს. მიჯნაზე გერმანულ ისტორიოგრაფიაში მარქსიზმის წყალობით პოპულარული გახდა ანტიკურ სამყაროში სოციალიზმის და კომუნიზმის თემებით მანიპულირება. აღნიშნულ საკითხებს გამოეხმაურა რობერტ პელმანი (1852-1914 წწ.). იგი იყო ერლანგენის (1884 წ.) და მიუნხენის (1901 წ.) უნივერსიტეტების

პროფესორი. მართალია მისი კვლევის სფერო უფრო ელინური სამყაროს პერიოდი იყო, მაგრამ სოციალური თემატიკის საკითხებით მისმა დაინტერესებამ ასახვა ჰპოვა ნაშრომში - „ანტიკური სოციალიზმის და კომუნიზმის ისტორია“ (ტ. I-II, 1893-1902 წ.). მოდერნისტული პოზიციიდან გამომდინარე პელმანმა საბერძნეთრომში მიმდინარე სოციალური იდეები და ბრძოლები გაიგივა თანადროული ეპოქის პროლეტარიატის გამოსვლებთან. აღნიშნული ნაშრომის გარდა, პელმანის კალამს ეკუთვნის მონოგრაფია - „რომის დასაწყისი“ (1881 წ.) და ნაშრომები საბერძნეთის ისტორიიდან. სამწუხაროდ, სამეცნიერო წრეებში მათ არავითარი განსაკუთრებულობა არ დაუტოვებიათ.

XX ს-ის I ნახევარის გერმანულ ისტორიოგრაფიაში ძველი რომის იმპერიის შესახებ არსებულ ნაშრომებიდან ყველაზე სრული გამოკვლევა იყო ოტო სიქის (1850-1921 წწ.) მრავალტომეული „ანტიკური სამყაროს დასასრული“ (ტ. I-VI, 1895-1920 წწ.). მეცნიერმა ცხოვრების საინტერესო გზა გავლო. თავდაპირველად იგი ქიმიის სპეციალობას ეუფლებოდა, მაგრამ მომზენის ლექციების გავლენით მან შეცვალა ინტერესის სფერო და ანტიკურ ისტორიაში დასპეციალდა. 1872 წელს სიკიმ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „Notitia Dignitatum“, რომელშიც წარმოდგენილი იყო გვიანი რომის იმპერიის ადმინისტრაციული ჩინოვნიკების მოვალეობები და ა.შ. ამის გარდა, სიქის სხვა ნაშრომები იყო: „იმპერატორი ავგუსტუსი“ (1902 წ.), „311-476 წლების ცნობილი იმპერატორები და პაპები“ (1919 წ.) და სხვ.



*ოტო სიკი*

სიკი შეეცადა გაეგრძელებინა და ამით დაესრულებინა მომზენის მიერ დაწყებული რომის ისტორია. მრავალტომეული მთლიანად დომინატის პერიოდს ეხებოდა. გერმანელი მკვლევარი ძველი რომის განადგურების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევდა არისტოკრატიის, ანუ „რჩეული ადამიანების“ ამოწყვეტას და ქვეყანაში უცხო, პროვინციალური მასების კულტურების გავრცელებას.

რომის ისტორიის სამხედრო თემატიკის შესახებ საინტერე-

სო ნარკვევები მიუძღვნა გერმანელმა მკვლევარმა ჰანს დელბრიუკმა (1848-1929 წწ.). იგი იყო პროფესიონალი სამხედრო, რომლის ჰობი გახლდათ ისტორია. დელბრიუკი გახლდათ საფრანგეთ-პრუსიის ომის ვეტერანი და 1884-1890 წლებში რაიხსტაგის წევრი. ასევე ბერლინის უნივერსიტეტის თანამედროვე ისტორიის პროფესორი, 1918 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის წევრი, სტრატეგ ლუდენდორფის (1865-1937 წწ.) მოწინააღმდეგე და ა.შ.

დელბრიუკის ფუნდამენტური ნაწარმოებია „სამხედრო ხელოვნების ისტორია“ (ტ. I-IV, 1900-1908 წწ.). მრავალტომეულის პირველი ტომის მეოთხე-მეშვიდე ნაწილები მოიცავდა რომის ისტორიის საკითხებს. მასში საუბარი იყო რომის აღმოცენებაზე და თავდაპირველ სამხედრო ორგანიზაციაზე, პუნიკურ ომებზე, რომის მიერ სამყაროს დაპყრობაზე (ავტორის ტერმინია – კ.ს.) და საუბარი მთავრდებოდა იულიუს კეისრით.



*ჰანს დელბრიუკი*

შევნიშნავთ, რომ ნაშრომში დამაჯერებლად არის წარმოდგენილი დელბრიუკის ორიგინალური ხედვა. მაგ., I პუნიკურ ომში კათაგენელთა მარცხი მან დაინახა ზღვაზე და არა ხმელეთზე მიმდინარე ბატალიებში. მანვე შენიშნა, რომ „ჰანიბალის სტრატეგიას განსაზღვრავდა ტაქტიკური მომენტი, რაც გამოიხატებოდა გაშლილ ველზე რომაელებთან გამარჯვების რწმენაში“.

მეორე ტომი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი - „რომაელების ბრძოლა გერმანელებთან“, საუბარია გერმანელთა ძველ საზოგადოებაზე, მათ ბრძოლის ტაქტიკაზე, არმიის წყობაზე. ასევე ნაჩვენები იყო რომაული საიმპერატორო არმიის ცხოვრება და მისი დაკნინების მიზეზები. მეორე ნაწილი - „ხალხთა გადასახლება“, ეხება IV-V სს. მიმდინარე გერმანულ-რომაულ დაპირისპირებებს. რაც შეეხება მესამე და მეოთხე ნაწილებს, იგი დაეთმო ბიზანტია-ვესტგოთების და რომანულ-გერმანულ სახელმწიფოებში სამხედრო საქმის შესწავლას.

დელბრიუკი ერთ-ერთი პირველთაგანი სამხედრო ისტორიკოსი იყო, რომელმაც წყაროების კრიტიკული განხილვის საფუძველზე და სხვადასხვა დისციპლინების დახმარებით, ახლებურად

გაიაზრა რომის ისტორიის რიგი საკითხები. საერთოდ, მისი დებულებები ძველი მსოფლიო ისტორიის სამხედრო საქმის შესახებ რევოლუციური იყო. იგი ცდილობდა სამხედრო ისტორია აეწყო საერთო ისტორიის კონტექსტში. დელბრიუკი, როგორც პროფესიონალი ჯარისკაცი, საომარ ბატალიებს უყურებდა სამხედროს თვალით. ამიტომაც იგი თამამად შედიოდა მომზენთან და სხვა გრანდებთან პოლემიკაში. უფრო მეტიც, ზოგი ცნობილი ბრძოლების მან სრულიად ახალი ინტერპრეტაცია მოგვცა. გავგამელას, პუნიკურ ომებით, ზამას თუ ტევტობურგის ბრძოლებით და ა.შ., გერმანელმა ისტორიკოსმა აჩვენა, რომ ბარბაროსებთან რომაელთა გამარჯვების წინაპირობა იყო არმიის რიცხობრიობა, უპირატესობა მომარაგებაში, დისციპილინასა და ტაქტიკაში.

ზემონახსენები ნაშრომის გარდა დელბრიუკს დაწერილი ჰქონდა: „სპარსული და ბურგუნდიული ომები“ (1887 წ.), „პერიკლეს სტრატეგია, აღწერილი ფრიდრიხ დიდის სტრატეგიით“ (1890 წ.) და სხვ.

იმის მიუხედავად, რომ დელბრიუკის სამხედრო ხელოვნების ისტორია“ ითარგმნა რუსულ ენაზე, მას მაინც არ წყალობდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. გერმანელი მკვლევარი მიჩნეული იყო პრონაცისტ და რეაქციონერ ისტორიკოსად. მას ბრალად უყენებდნენ გერმანული რეაქციული იდეოლოგიის პოზიციიდან სამხედრო ისტორიის ფაქტების ფალსიფიკაციას.

გერმანელი სამხედროების მხრიდან ძველი რომით დაინტერესების საინტერესო ნიმუშია ალფრედ ფონ შლიფენის (1833-1913 წწ.) ნაშრომი - „კანე“ (1913 წ.). შლიფენი საზოგადოებისთვის ძირითადში ცნობილია 1905 წელს, I მსოფლიო ომის წინ, შექმნილი ე.წ. „შლიფენის გეგმით“ (იგივე „ჩამკეტავი კარების გეგმა“). ეს იყო სამხედრო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ომის პირობებში რუსეთის იმპერიის და მესამე ფრანგული რესპუბლიკის განადგურებას.

„კანე“ ავტორის მიერ შედგენილი კრებულია. მასში თავმოყრილია შლიფენის მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვები და პუბლიკაციები. კრებულში შესულია ავტორის სტატია - „კანეს ბრძოლა“. სტატიაში საინტერესოა მხოლოდ ავტორისეული ხედვა გერმანელებთან რომაელების მარცხის თაობაზე, რაც ავტორს მთავარსარდლის მხრიდან რომაული არმიის მცდარ წყო-

ბაში ხედავდა. შლიფენის შეფასებით: ეს იყო ბრძოლა განადგურებისთვის და საკვირველი ის იყო, რომ ყველა თეორიების საპირისპიროდ ეს გამარჯვება მოპოვებული იყო მცირე ძალებით. მოჰყავდა რა ნაპოლეონის სტრატეგია არგუმენტად, რომელიც გამორიცხავდა სუსტის მხრიდან ფლანგების ერთდროულად შემოვლის პრაქტიკას, ავტორი დასძენდა, რომ ნაკლები რაოდენობის მიუხედავად, ზოგ მომენტებში, ჰანიბალი ერთდროულად იყო კონცენტრირებული ფლანგებზე შემოვლით და მოწინააღმდეგეზე იგი შედიოდა ზურგიდანაც... ჰანიბალის ბედი, რომ მის წინააღმდეგ იყო ვარონი, რომელმაც სიღრმეში არმიის 36 რიგად განალაგებით საკუთარი რიცხობრივი უპირატესობა გააქარწყლა.

ფრიდრიხ მიუნცერის (1868-1942 წწ.) სახელთან არის დაკავშირებული გერმანულ ისტორიოგრაფიაში პროსოფოგრაფიული მეთოდის პოპულარიზაცია. პროსოფოგრაფია სპეციალური საისტორიო დისციპლინაა, რომელიც ისტორიული პირების კოლექტიური ბიოგრაფიებით წარმოაჩენს რომელიმე ეპოქის ისტორიას, ცალკეულ მიმდინარეობებს, ეთნიკურ სურათებს და ა.შ. პროსოფოგრაფიის გაგება პირველად 1573 წელს შემოიტანა ანტუან დიუ ვერდემ (1544-1600 წწ.) ნაშრომით „პროსოფოგრაფია, ანდა სამყაროს შექმნიდან ცნობილ პირთა პორტრეტების აღწერა ".


*ფრიდრიხ მიუნცერი*

პროსოპოგრაფისტები ისტორიულ პირებს განიხილავდნენ არა იზოლირებულად, არამედ კოლექტივის წევრებად, რომელთა საქმიანობას განსაზღვრავდა გარემოცვა. ამ ხედვიდან გამომდინარე პოლიტიკური ისტორიის აღქმა უკვე შესაძლებელი გახდა, როგორ ბრძოლა მრავალრიცხოვან ჩაკეტილ პოლიტიკურ ხროვას შორის, რომელთა პროგრამა განისაზღვრებოდა ვიწრო პარტიული კლანური ინტერესებით. პროსოპოგრაფიული მეთოდით შესაძლებელი გახდა ძველი რომის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიის შესწავლა. პროსოპოგრაფისტებმა გადამეტებული მნიშვნელობა მიანიჭეს წვრილ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის შტაკებებს და იგნორირება გაუკეთეს პოლიტიკური ბრძოლის ღრმა საფუძვლებს, რომელიც საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი განფენილობის საფუძველი იყო. ფაქტია, რომ აღნიშნული

მეთოდი მმართველი კლასის შიდაპარტიულ ბრძოლაზე საინტერესო შედეგებს იძლოდა.

მიუნცერი კლასიკური ფილოლოგიის მკვლევარი იყო. მისი მთავარი ნაშრომი, რომელმაც ავტორს სიცოცხლეშივე პოპულარობა მოუპოვა იყო „რომაული არისტოკრატული პარტიები და გვარები“ (1920 წ.). ნაშრომში ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა რომის იმპერიის პოლიტიკურ ბრძოლაში საგვარეულო ურთიერთობების როლი. ამის გარდა, მეცნიერს გამოქვეყნებული ჰქონდა: „ისტორიის დასაწყისი ტაციტუსთან“ (1901 წ.), „რომაული პრინციპატის დასაწყისი“ (1927 წ.). მანვე დაწერა არაერთი სტატია პაული-ვისოვას ცნობილი ენციკლოპედიისთვის.

გერმანულ ისტორიოგრაფიაში რომაული რელიგიის მკვლევარი იყო გეორგ ვისოვა (1859-1931 წწ.). იგი იყო ჰალეს უნივერსიტეტის რექტორი, ბავარიის და სხვა აკადემიების საპატიო წევრი. პოპულარობა ვისოვას მოუტანა „კლასიკური სიძველეთა ლექსიკონის“ გადამუშავებულმა გამოცემამ, რომელიც სამეცნიერო წრეებში პაული-ვისოვას სახელით არის ცნობილი. ენციკლოპედიაზე მუშაობა ვისოვამ დაიწყო 1890 წელს და მან შესძლო საქმეში ჩაება მეცნიერთა ფართო წრე. სერიის ოცი ტომი უშუალოდ ვისოვას რედაქტორობით გამოვიდა


*არტურ დრევსი*

XX ს-ის I ნახევარში რომი და ადრეული ქრისტიანობის საკითხების კვლევა გერმანულ ისტორიოგრაფიის მითოლოგიური და საისტორიო სკოლების კამათის საგანი გახდა. მითოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო არტურ დრევსი (1865-1935 წწ.). იგი იყო არა პროფესიონალი ისტორიკოსი, არამედ ფილოსოფოსი, მწერალი და გერმანული მონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მონიზმი ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც ყოველი არსებულის საფუძვლად აცხადებდა ერთ საწყისს - ან მატერიას, ან სულს.

დრევსი უაღრესად პროდუქტული მკვლევარი იყო. მის კალამს ეკუთვნოდა: „მე, როგორც მეტაფიზიკის პრობლემა“ (1897 წ.), „რელიგია, როგორც ღმერთის თვითდაჯერებლობა“ (1906 წ.). „პლოტინი და ანტიკური მსოფლმხედველობის დასასრული“ (1907

წ.), „მითი ქრისტეზე“ (ნაწ. I-II, 1909-1911 წწ.), „ლეგენდა პეტრეზე“ (1910 წ.), „თავისუფალი რელიგია“ (1921 წ.), „მარკოზის სახარება, როგორც იესოს არაისტორიულობის დადასტურება“ (1921 წ.), „ვარსკლავური ცა და რელიგია ძველ ხალხებში და ქრისტიანობა“ (1923 წ.), „ცხოვრობდა კი იესო“ (1924 წ.), „გერმანული რელიგია“ (1934 წ.), „ქრისტეს ეთიკა და ესსე“ (2008 წ.) და სხვ.

გერმანელ მეცნიერს ეეჭვებოდა ქრისტეს რეალურობა და იგი მისთვის ლიკურგეს და რომულუსის მსგავსი მითიური პერსონაჟი იყო. მას ასევე ნაყალბევად მიაჩნდა ტაციტუსის და სხვა ისტორიკოსების ცნობები ქრისტიანობის საწყის ეტაპზე პირველი ქრისტიანების წამების შესახებ. მსგავსი პათოსის გამო, დრევსი, იმდენად პოპულარული გახდა ათეისტებისთვის, რომ მისი წიგნების ინტენსიური თარგმნა დაიწყეს სხვადასხვა ენებზე. მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, 1924-1930 წლებში, დიდი ტირაჟით ერთბაშად მისი 6 წიგნი დაიბეჭდა.


*ადოლფ ჰარნაკი*

ადრეული ქრისტიანობის ლიტერატურის ისტორიის და დოგმატურ საკითხებს ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნა ადოლფ ჰარნაკმა (1851-1930 წწ.). იგი გახლდათ ლიბერალური მიმართულების ლუთერანი თეოლოგი და საეკლესიო ისტორიკოსი. ჰარნაკი 1888 წლიდან ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორია. იგი იყო აკადემიის წევრი, ევანგელურ-სოციალური კონგრესის პრეზიდენტი და ა.შ.

თეოლოგიურ საკითხებს ჰარნაკმა მიუძღვნა შემდეგი შრომები: „ქრისტიანობის არსი“ (1900 წ.), „მისია და ქრისტიანობის გავრცელება პირველ სამ საუკუნეებში“ (1902 წ.), „ძველი ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია“ (ტ. I-II, 1893-1904 წწ.), „შესავალი ახალ აღთქმაში“ (ტ. I-IV, 1906-1911 წწ.) და ა.შ.

ქრისტიანულ რელიგიას ჰარნაკი მიიჩნევდა, როგორც ისტორიულ „ევოლუციად“. მისი აზრით, ახ.წ. II ს-დან ქრისტიანობაში იმთავითვე იყო ორი საწყისი: ელინისტური სპეკულატური გნოსტიციზმი და კონსერვატული იუდეურ-ბერძნული. ჰარნაკი ასაბუთებდა, რომ ახ.წ. III ს-ში სხვადასხვა ქრისტიანულ თემებს არ

ჰქონდათ ახალი აღთქმის სრული ტექსტი. ეკლესიაში ეპისკოპოსთა იერარქიის შემოღებაში გერმანელი თეოლოგი ხედავდა ქრისტიანობის დოგმატიზაციას და კათოლიციზმის პროცესს. რაც შეეხება წმინდა სამებას, მას მიაჩნდა, რომ მისი ფორმულირება ხდება ტერტულიანეს დროიდან. თეოლოგმა უარყო სახარებაში სასწაულების არსებობა და იგი თვლიდა, რომ მასში აისახა ქრისტიანობის ის ფორმა, რომელიც დამყარდა რომის იმპერიაში ახ.წ. 70 წლისთვის. ქრისტიანობის აღმოცენების ადგილად ჰარნაკი მიიჩნევდა პალესტინას.

I მსოფლიო ომში გერმანიის მხრიდან განცდილმა მარცხმა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა, განათლებასა და მეცნიერებაზე სახელმწიფო დოტაციების შემცირებამ, რთულ მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყანაში ანტიკური მეცნიერების შესწავლის საქმე. შექმნილმა მძიმე ვითარებამ გერმანელ მეცნიერებებს დააკარგვინა ის დომინირებული მდგომარეობა, რაც მათ ეკავათ დას. ევროპის საისტორიო აზროვნებაში. ასეთ ფონზე, კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთ გზად გერმანიაში მიაჩნდათ „ძლიერი ხელის“ და „რკინის დისციპლინის“ დამყარების აუცილებლობა. გერმანელთა აზრით, „ძლიერი ხელით“ უნდა მომხდარიყო ქვეყანაში ქაოსის აღმოფხვრა. ამ მიზნით, ისტორიოგრაფიაში დაიწყეს ძველ ისტორიაში მოქმედი ცალკეული პირების განდიდება. აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი იყო მატიას გელცერი (1886-1974 წწ.). იგი გერმანელ მეცნიერთა ე.წ. ახალი თაობის წარმომადგენელი იყო. გელცერი შეეცადა შეეცვალა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული რომში პოლიტიკური ბრძოლის მომზენისეული გაგება. მომზენის მიხედვით, რესპუბლიკის უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის მიმდინარე დაპირისპირება რეალობაში იყო ბრძოლა არისტოკრატიულ და დემოკრატიულ პარტიებს შორის. ნაშრომში „რომის რესპუბლიკის ნობილიტეტი“ (1912 წ.), გელცერმა უარყო ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის ბრძოლა, როგორც პრინციპული წინააღმდეგობა არისტოკრატებსა და დემოკრატებს შორის. გერმანელი მკვლევარი თვლიდა, რომ პოლიტიკური ცხოვრება ძველ რომში მიდიოდა კლანებით და გენიალური ბელადების წყალობით. „პოპულარი“ მისი აზრით ნიშნავდა არა პოლიტიკურ პროგრამას, არამედ ნობილიტეტის ცალკეულ ბელადების ტაქტიკას.

გელცერს ეკუთვნოდა პოპულარული ენით დაწერილი ნაშრომები: „პომპეუსი“ (1949 წ.), „კეისარი: პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე“ (1940 წ.) და სხვ. კეისართან მიმართებაში მეცნიერმა ვერ ჰპოვა რადიკალური მისწრაფებები რომის სახელმწიფო წყობის ცვლილებისთვის. მის აზრით, კეისარი წყვიტავდა მხოლოდ ყოველდღიურ საკითხებს. გალიის ომი და რომში მიმდინარე მოვლენები გელცერმა ერთმანეთან კავშირში განიხილა. მან რეალობად მიიჩნია „დღიურები“, თუმცა იმავდროულად, სამოქალაქო ომთან მიმართერებაში, გამორიცხა თხზულების პროპაგანდისტული ხასიათი.

ერთი პერიოდი გერმანიაში მოღვაწეობდა წარმოშობით რუსი მეცნიერი ელიას ბიკერმანი (1897-1981 წწ.), რომელიც იყო მიხეილ როსტოვცევის მოსწავლე. მსოფლიო დონის მეცნიერთან ურთიერთობამ განსაზღვრა ბიკერმანის დაინტერესება ძველი ისტორიისადმი. ნიშანდობლივია, რომ როსტოვცევის მონოგრაფია - „რომი“, გადამუშავებული სახით, 1962 წელს ბიკერმანმა მიაწოდა საზოგადოებას.

ბიკერმანი ძირითადში მუშაობდა ელინიზმის, ბიბლეისტიკის და ებრაელთა ისტორიის ადრეული მონაკვეთზე. მსოფლიო სახელი მას მოუპოვა წიგნებმა: „მაკაბელთა ღმერთი“ (1937 წ.), „სელევკიდთა სახელმწიფო“ (1938 წ.), „ელინიზმის ეპოქის ებრაელები“ (1988 წ.), „ძველი მსოფლიოს ქრონოლოგია“ (1962 წ.), „ბიბლიის ოთხი განსაკუთრებული წიგნები“ (1968 წ.), „დასავლეთის ცივილიზაციის ძველი ისტორია“ (1976 წ.). რაც შეეხება უშუალოდ რომაულ თემატიკას, აქ ბიკერმანის ნაშრომები იყო: „დამოუკიდებელი კულტები რომის იმპერიაში“ (1973 წ.), „ელინისტური და რომაული პერიოდების რელიგია და პოლიტიკა“ (1985 წ.) და ა.შ.

XX ს-ის II ნახევრში გერმანიაში რომის ლიტერატურის წონადი მკვლევარი არის მიხაელ ალბრეხტი (დ. 1933 წ.). იგი ერთობ საინტერესო პიროვნება გახლდათ, რადგან ერთდროულად იყო ფილოლოგი, რომაული ლიტერატურის მკვლევარი და მევიოლინე-სოლისტი. სხვადასხვა დროს ალბრეხტი გახლდათ ჰაიდელბერგის, ამსტერდამის და პრისტონის უნივერსიტეტების პროფესორი. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვეხებით რომაეულ მწერლობასთან დაკავშირებულ მის სხვადასხვა პუბლიკაციებს, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ ალბრეხტის განმაზოგადებელ ფუნდამენტურ ნაშრომზე - „რომის ლიტერატურის ისტორია“ (ტ.

I-III, 2002-2005 წწ.). ეს არის 1800 გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც საუბარი იწყება რესპუბლიკის პერიოდით და თხრობა მთავრდება გვიან რომაული მწერლობის მიმოხილვით. ავტორის სტილია - ჯერ შესაბამისი ეპოქის მიმოხილვა და შემდეგ თანმიმდევრულად რომაულ პოეზიის (ეპოსი, დრამა, სატირა), პროზის საკითხების, ლიტერატურული ტექნიკის, ენის, სტილის და სხვა საკითხებზე საუბარი.

ძველრომაული პროზის საკითხებზე საუბრისას მეცნიერს ყურადღება გადააქვს ისტორიოგრაფიული (კატონი, კეისარი...), ორატორული (ციცერონი...), ეპისტოლარული და იურუდიული ჟანრის ლიტერატურის მიმოხილვაზე. ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მთავრდება ლათინური ქრისტიანული საისტორიო მწერლობაზე (ლაქტანციუსი, რუფინუსი, ნეტარი ავგუსტინე...) საუბრით. მრავალტომეულში ამ თავს ჰქვია – „ქრისტიანული ევროპის მამები“. მთლიანობაში, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომაული ლიტერატურის ზოგადი კურსის თაობაზე ალბრეხტის ნაშრომი არის პოზიტიური პუბლიკაცია.



*მიხაელ ალბრეხტი*



*ალექსანდრე დემანდტი*

გერმანულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაზე საუბარს დავასრულებთ ალექსანდრე დემანდტის (დ. 1937 წ.) მიერ ანტიკური რომის განადგურების თაობაზე წამოყენებული ორიგინალური კონცეფციით. დემანდტი ნაყოფიერი მკვლევარია. ძველი რომის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს მან არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ მეცნიერის სოლიდურ ნაშრომზე - „რომის დაცემა“ (1984 წ., გვ. 600), რომელმაც სამეცნიერო წრეებში ფურორიც მოახდინა. ნაშრომში ავტორმა შეაჯამა ძველი რომის დაცემა-განადგურების შესახებ ისტორიოგრაფიაში არსებული სხვადასხვა ვერსიები. ავტორის მხრიდან საკითხის ამ კუთხით დაყენება მიუთითებს რომის ისტორიის მიმართ თაობებში არსებულ დაინტერესებას. დემანდტის

მხრიდან საკითხი შემდეგნაირად იყო დასმული - რომის განადგურება იყო ბუნებრივი კატასტროფა თუ დაპყრობების შედეგი? მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას აღნიშნული საკითხის შესწავლისას მხედველობაში მიიღო სხვადასხვა პერიოდებში არსებული თეორიები, გლობალიზაციის, დემოგრაფიული და ეკოლოგიური საკითხები, პარალელები თანამედროვე იმპერიებთან და ა.შ. ფილოსოფოსების, ეკონომისტების, სოციოლოგების შრომებში და ისტორიკოსებთან მან დაითვალა რომის დაცემის არანაკლები 210 ფაქტორი. შესაძლოა ზოგი მიზეზი მკითხველს სენსიტურიც (ადათების და ტრადიციების დაცემა, ასაკობრივი ადამიანთა რიცხვის ზრდა...) მოეჩვენის, მაგრამ მთლიანობაში იგი ნებისმიერ მკვლევარს მისცემს საშუალებას ანალიზის გზით მივიდეს ჭეშმარიტ გარემოებებამდე.

*ინგლისური ისტორიოგრაფია*

იმის მიუხედავად, რომ ბრიტანეთი რომაული პროვინცია იყო, რომის ისტორიის შესწავლის საქმეში იგი თავდაპირველად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებს. ჩამორჩენილობა განპირობებული იყო 1455-1485 წლებში ქვეყანაში თეთრი და ალისფერი ვარდებს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომით. მისი დამთავრების შემდეგ, კონტინეტიდან ემიგრირებულ პროტესტანტების წყალობით, სულ მალე, კემბრიჯის და ოქსფორდის უნივერსიტეტები იქცა ძველი ისტორიის შესწავლის მძლავ ცენტრებად.

რენესანსის პერიოდის ინგლისში რომის ისტორიის თემატიკზე მომუშავე სწავლულებიდან ნათელი ფიგურა იყო ნიდერლანდელი ჰუმანისტი და ისტორიკოსი იუსტუს ლიპსიუსი (1547-1606 წწ.). ერთი პერიოდი იგი ოქსფორდში მუშაობდა. ფლობდა რა ძველ ენებს და ჰქონდა ფენომენალური მეხსიერება, ლიპსიუს, ადვილად შეეძლო მანევრირება ანტიკურ თხზულებებში და მათში შეესწავლა დავიწყებული კულტურული რეალიები, რომელთა გახსნა ტექსტებში არ ხერხდებოდა. ამ კუთხით პირველი ნაბიჯები ლიპსიუსმა დაიწყო გრამატიკული და ლექსიკური კომენტარების შექმნით, რასაც შემდეგ მოყვა ცნობარი რომაული მონეტების შესახებ. 1593-1606 მან გამოაქვეყნა ეპოქისთვის შესაბამისი ნოვატორული ნაშრომი „ჯვრის შესახებ“. ტრაქტატში შესწავლილი იყო ჯვარზე გალურსმის რომაული პრაქტიკის ყველა სახეობები.

საერთოდ, ლიპსიუსის დამსახურება იყო ისტორიის და მითოსის გამიჯვნა. ამასთან, მან ისტორია დაჰყო ბუნებრივ და ნარატიულ კლასიფიკაციად. მისი აზრით უკანასკნელი მოიცავდა საღვთო და საერო ისტორიას თავისი საზოგადოებრივი და კერძო განზომილებებით.

ჰუმანისტს ეკუთვნოდა ძველი პერიოდის ისტორიული კლასიფიკაცია. მან ცალკე გამოჰყო: აღმოსავლეთის (ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონი და სპარსეთი), საბერძნეთის, რომის და ბარბაროსული სამყარო. რაც შეეხება რომს, ლიპსიუსმა იგი დაჰყო ძველ (ძვ.წ. 14 წ. ოქტავიანემდე), შუა (ავგუსტუსიდან ქ. კონსტანტინოპოლის დაარსებამდე) და ახალ (ქ. კონსტანტინოპოლის დაარსების შემდეგ) ეპოქებად. ბარბაროსებად მეცნიერი მოიაზრებდა ყველა არაბერძენ და არარომაელ სუბიექტებს. ლიპსიუს ჰქონდა კრიტიკული ნაშრომები ტაციტუსის შესახებ (1574 წ.), ვალერიუს მაქსიმუსის, ველეიუს პატერკულუსის, სენეკას და პლინიუს უმცროსის „პანეგირიკა“. გამოკვლევა „რომაელთა სამხედრო საქმის შესახებ“, რომელშიც კომენტარების სახით შეტანილი იყო პოლიბიოსოს მიერ რომაული ბანაკის აღწერა.



*იუსტუს ლიპსიუსი*

ერთი პერიოდი ოქსფორდში მოღვაწეობდა თომას დემპსტერი (1579-1625 წწ.). ტოსკანის დიდ ჰერცოგ კაზიმო II (1590-1621 წწ.) ხელშეწყობით მან ლათინურ ენაზე შექმნა ნაშრომი - „შვიდი წიგნი სამეფო ეტრურიის შესახებ“ (1619 წ.). ეს იყო ისტორიოგრაფიაში ეტრუსკული ცივილიზაციის ცალკეული ასპექტების შესწავლის პირველი დეტალური მცდელობა. ნაშრომი ეტრუსკოლოგიაში ერთ-ერთ კლასიკურ პუბლიკაციად არის მიჩნეული.

დემპსტერისთვის ეტრუსკები ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ხალხია. იგი თვლიდა, რომ ეტრუსკებმა იტალიაში შემოიღეს კანონები, იყვნენ პირველი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, ქურუმები, ქალაქების მშენებლები, საალყო მანქანების გამომგონებლები და ა.შ. მისთვის მექანიკის ფუძემდებელი პითაგორა (ძვ.წ. 570-490 წწ.) ეტრუსკია. უმბრები და აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვა ტომები, რომელთა წარწერები მაშინ არ იშიფრებოდა ასევე იყვნენ ეტრუსკები. საერთოდ, დემპსტერის მი-

ზანი იყო გადმოეცა ეტრუსკების შესახებ არსებული ის ინფორმაცია, რომელიც იცოდა ძველმა ავტორებმა. სამწუხაროდ, მასთან არ ჩანდა ანტიკური ტრადიციის მიმართ კრიტიკული მიდგომა. რაც შეეხება ეტრუსკთა პირველი საცხოვრისის საკითხს, ისინი მას ლიდიიდან გამოსულებად მიაჩნდა. დემპსტერი ასევე გამორიცხავდა ბერძნების და რომელების წვლილს ტექნიკის და კულტურის განვითარების სფეროში. არადა, როდესაც მისი პუბლიკაცია შეიქმნა მსოფლიო ისტორიის ყველა მიღწევა ბერძნებს და რომაელებს მიეწერებოდათ. ჩანს ეს იყო მიზეზი, რომ დემპსტერის ნაშრომი ასი წლის მანძილზე ხელნაწერის სახით იყო და მისი გადამუშავებული ვარიანტი 1723 წელს გამოსცა ინგლისელმა მიწათმოქმედმა და ხელოვნების თაყვანისმცემელმა თომას კოუკმა (1697–1759 წწ.).

XVI-XVII ს-ბში ინგლისური ისტორიოგრაფიის მახასიათებელი იყო რომაული ისტორიის თემატიკის ფართოდ ასახვა მწერლობაშიც. უფრო სწორად პრაქტიკაში შემოვიდა ისტორიის ინტერპრეტირება, ე.ი. გმირთა გონებრივი და სულიერი დრამის, ანდა ისტორიული ხასიათების აღდგენა. აქ კი ისტორიკოსები და დრამატურგები უკვე ერთმანეთის საქმეს აკეთებდნენ. ამის ნათელი მაგალითია უდიდესი ინგლისელი ჰუმანისტი დრამატურგების უილიამ შექსპირის (1564-1616 წწ.), ბენ ჯონსონის (1572-1637 წწ.) და სხვების შემოქმედებები. მათი ტრაგედიები იყო პლუტარქეს, ოვიდიუსის, ლუკიანეს და სხვების სიუჟეტებზე აგებული ნაწარმოებები.



*უილიამ შექსპირი*

რომაულ თემატიკაზე შექსპირს დაწერილი აქვს - „იულიუს კეისარი“ (1599 წ.), „ანტონიუსი და კლეოპატრა“ (?1607 წ.), ტრაგედია „კორიოლანის შესახებ“ (1629 წ.), „ტიტუს ადრონიკუსის შესახებ“ (?1594 წ.) და „ლუკრეციუსი“. ტრაგედია „იულიუს კეისარში“ ავტორმა განავითარა ტირანიის და არა კეისარიზმის მარცხის იდეა. განსაკუთრებული სითბოთი მას დახატული ჰყავდა კეისრის მკვლელი ბრუტუსი, რომელიც გამოყვანილია ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ პიროვნებად. თავის გმირს შექსპირი ხა-

ტოვნად ათქმევინებდა - „კეისარი კი მიყვარდა, მაგრამ რომი მიყვარდა მეტად“. მართალია ნაწარმოებში კეისრის აჩრდილი საბოლოოდ იმარჯვებს შეამბოხეებზე, მაგრამ სიუჟეტი ისე არის გადმოცემული, რომ პიესის დასასრულს კეისარიზმის იდეის გამარჯვებას ეკარგება ელფერი.

ბენ ჯონსონი მიჩნეულია შექსპირის უმცროს თანამედროვედ. მან მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა (ლირიკული და დიდაქტიკური ლექსები, პუბლიცისტური სტატიები და განმარტებები, ანტიკურ ავტორთა შრომების თარგმანები, ტრაგედიები და ა.შ.). რომაულ თემატიკაზე ჯონსონის დაწერილი ჰქონდა პოლიტიკური პიესა - „სეიანი“ (1603 წ.) და ტრაგედია - „კატილინას შეთქმულება“ (1616 წ.). უკანასკნელი მაინც მისი შემოქმედების მწვერვალია, თუმცა მან ჯონსონს მხოლოდ მცირედი პოპულარობა მოუტანა. ტრაგედია გადატვირთული იყო ძველ ისტორიკოსების თხზულებების ციტატებით. ავტორი ცდილობს აჩვენოს კატილინას ბრძოლა ხელისუფლებისთვის, მაგრამ აუდიტორიისთვის გაუგებარი რჩება მისი მიზეზები და მიმართულებები. ტრაგედიაში დიდი ადგილი არის დათმობილი სენატში წარმოთქმულ ციცერონის პირველ სიტყვას. ამის მიუხედავად, ჯონსონისთვის ციცერონი ავანტიურისტია, ვინაიდან ავტორის აზრით მან მოახდინა აჯანყების პროვოცირება. ჯონსონის პიესის ჭრილშია დაწერილი ჯოზეფ ადისონის (1672-1719 წწ.) ტრაგედია „კატონი“ (1713 წ.).



*ბენ ჯონსონი*

XVII-XVIII სს. ინგლისური ისტორიოგრაფია უკვე განმანათლებლური ისტორიულ-ფილოსოფიური პოზიციებზეა. თუ რენესანსის პერიოდის ისტორიოგრაფია მაინც განიცდიდა ეკლესიის მხრიდან გავლენას, ამჯერად, განმანათლებლებისათვის დამახასიათებელი იყო საღვთო კანონების უარყოფა და ბიბლიისგან განსხვავებული სამყაროს ისტორიული განვითარების კონცეფციების წამოყენება. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ყველა განმანათლებელი ანტიკურ ისტორიაზე და განსაკუთრებით ძველ რომზე მუშაობდა. ამ პერიოდში მოღვაწე თვალსაჩინო მკვლევარებიდან აღსანიშნავია ედუარდ გიბონი.

XVIII ს. ბრიტანეთში რომის ისტორიის თემატიკაზე მომუშავე

ისტორიკოსებიდან ცალკე საუბრის თემაა ედუარდ გიბონის (1737-1794 წწ.) სამეცნიერო საქმიანობა. ოქსფორდის და ლოზანის უნივერსიტეტებში მიღებული შესანიშნავი კლასიკური განათლების შემდეგ, გიბონი, წლების მანძილზე მოგზაურობდა ევროპაში. მის საისტორიო შეხედულებების ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია ურთიერთობამ ვოლტერთან, რამაც კიდეც განსაზღვრა რელიგიისადმი გიბონის სკეპტიციზმი.

გიბონს სამეცნიერო აღიარება მოუტანა ფუნდამენტალურმა ნაშრომმა - „რომის იმპერიის დაკნინების და დაცემის ისტორია“ (ტ. I-VI, 1776-1789 წწ.). თავდაპირველად გიბონს ნაშრომი ჩაფიქრებული ჰქონდა დაეწყო მარკუს ავრელიუსის გარდაცვალებიდან და 476 წლის მოვლენების აღწერით. ვინაიდან კონსტანტინოპოლი მისთვის ახალი რომია, ამიტომაც ნაშრომში საუბარი მან შეგნებულად მიიყვანა 1453 წლის ამსახველ მოვლენებთან. ნაშრომში განხილულია პოლიტიკური ისტორია და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეები – ვაჭრობა, ეკონომიკა, მიწათმოქმედება, სამხედრო ორგანიზაცია და ა.შ.



*ედუარდ გიბონი*

ისტორიკოსის ნაშრომის განსაკუთრებულობა იყო ავტორის მხრიდან რომის ისტორიის წარმოჩენა ლიტერატურულ-ისტორიული კუთხით. მისი ნაშრომი დაფუძნებული იყო არა ავტორისეულ ანალისზე ანდა კვლევებზე, არამედ წარმოადგენდა ყველა ხელმისაწვდომი წყაროს და სამეცნიერო პუბლიკაციების სინთეზს. ვოლტერისგან განსხვავებით, გიბონს, ზომიერი პოზიცია ეკავა ანტიკურ ავტორთა ნაწარმოებების მიმართ. არსებითად, წყაროების ღრმა და პროფესიონალურად დამუშავებამ, წერის კარგმა მანერამ, გიბონის რომის ისტორიას პოპულარობა მოუპოვა და იგი XVIII ს. ევროპული ისტორიოგრაფიის შესანიშნავ ნაწარმოებად ითვლებოდა.

რომის მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა გიბონს „ბედნიერ მოვლენად“ მიაჩნდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიაში. იგი უწყვეტად გადმოსცემს ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის დაუფლებამდელ რომის ისტორიას. გიბონისთვის ბიზანტია არის განადგურებული რომის იმპერიის პირდაპირი გაგრძელება.

გიბონის ნაშრომის მთავარ ხარვეზად XVIII-XIX სს. ისტორიოგრაფიაში მიიჩნეოდა მისი დამოკიდებულება ქრისტიანობასთან, რაც რელიეფურად გამოჩნდა XV-XVI თავებში. ქრისტიანობის წარმატების მიზეზებზე საუბრისას გიბონი მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა მათი სწავლების არის განმარტებას. ვოლტერისგან განსხვავებით იგი იულიანე განდგომილში ხედავდა მკვდრადშობილი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ტიპიურ წარმომადგენელს. ქრისტიანობის შესახებ გიბონის მსჯელობებმა თეოლოგების მხრიდან იმთავითვე გამოიწვიეს მწვავე კრიტიკა. მას ათეიზმის ქადაგება დაბრალდა და 1783 წელს მისი ნაშრომი ეკლესიის მიერ აკრძალულ წიგნთა ნუსხაში შეიტანეს. ეს კი ავტორის აღიარებას ნიშნავდა, რაც გიბონის წიგნის სხვადასხვა ენებზე მასობრივად თარგმნის საფუძველი გახდა.

ნაშრომის XXXVIII თავში გიბონი შეეხო დას. რომის იმპერიის დაცემის მიზეზებს. რომის დაცემა მასთან განმარტებულია, როგორც ბუნებრივად გარდაუვალი მოვლენა მისი ტერიტორიული მეტისმეტად ზრდის გამო. თანადროული ანტიკური ისტორიოგრაფიის შეფასებიდან გამომდინარე მას მიზეზებში შეჰქონდა რომაული ადათების დაკნინება, სიმდიდრე-ფუფუნების წყალობით უზნეობის დანერგვა, არმიის ძველი სახის დაკარგვა და რაც მთავარია – ქრისტიანობის გაბატონებასა და მისი ბოროტად გამოყენებაში. ისტორიკოსი განმარტავდა, რომ „თუ რომის იმპერიის დაცემა დააჩქარა კონსტანტინე დიდის მხრიდან ქრისტიანობაში მოქცევამ, მეორეს მხრივ, გამარჯვებული რელიგიის მიღებამ შეარბილა დაცემის ძალა და დააშოშმინა დამპყრობელთა ველური რისხვა“

გიბონზე მიძღვნილ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში მიჩნეულია, რომ ინგლისელი მეცნიერის იდეალი იყო ანტონინების დროინდელი იმპერია. ასეთი ფორმულირება არ არის სწორი. საქმე იმაშია, რომ გიბონი მრწამსით იყო არა აბსოლუტური მონარქიის, ანდა „სენატის პარტიის“ მომხრე, არამედ საპარლამენტო მონარქიის პროპაგანდისტი. ეს ჩანს მისივე სიტყვებიდან, როდესაც იგი წერდა: „ქვეშევრდომდთა პრივილეგიებს შეეძლოთ გაემაგრებინათ მონარქიის გვირგვინი. მაშინ ადმინისტრაციის თვითნებური ბოროტად გამოყენება აღკვეთილი იქნებოდა... და ადგილობრივი მოსახლეობა იარაღით იბრძოლებდა გარე მტრების წინააღმდეგ. კეთილშობილური თავისუფლების წყალობით იმპერია

გახდებოდა დაუმარცხებელი და უკვდავი“.

თავისი შედგენილობით, იდეებით და მიმართულებით გიბონის ნაშრომი თანადროული საისტორიო მეცნიერების მთავარი სტიმულის მიმცემი გახდა. გიბონის ნაშრომის ერთ-ერთი კომენტარი წერდა: „გადაშლი თუ არა მომზენის, როსტოვცევის ანდა ბაინესის ფურცლებს... ჩვენ დავინახავთ არა მარტო გიბონის პრობლემასთან ბრძოლას, არამედ თვით გიბონთანაც“.

ნიშანდობლივია, რომ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში კამათს იწვევდა გიბონის იდეების ორიგინალობა, რადგანაც ხშირად მას თვლიდნენ „ვოლტერიანული სკოლის“ ისტორიკოსად, ანდა მონტესკიეს იდეების პოპულარიზატორს. ასევე ერთი აზრი არ არის რომის დაცემის გიბონისეული მიზეზების თაობაზე, ამიტომაც მის ნაშრომზე წერდნენ, რომ იგი „არის არა ისტორია, არამედ დრამაა“. რა მიზეზებიც არ უნდა დასახელდეს, ერთი უდავოა, დას. რომი იმპერიის დაცემის მიზეზებად გიბონი თვლიდა არა ზნეობის დაცემას, არც ბარბაროსების შემოსევებს და ქრისტიანობას, არამედ მას მხედველობაში ჰქონდა რომში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს პოლიტიკურ სიტუაციაზე. მეცნიერის აზრით, საიმპერატორო ძალაუფლების შემდეგი არსებობა მიუღებელი იყო საზოგადოების მთავარი ძალებისთვის. ვინაიდან საიმპერატორო ძალაუფლების მოქმედების შედეგი იყო წვრილი და საშუალო მესაკუთრე ფენის განადგურება, რომლებიც შეადგენდნენ იმპერიის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერების საფუძველს.

XVIII ს. ინგლისურ ისტორიოგრაფიაში ნათელი მოვლენა იყო ადამ დიქსონის (1721-1776 წწ.) მონოგრაფია „ძველი მიწათმოქმედების შესახებ“ (1764-1772 წწ.). დიქსონი ევროპული აგრარული სექტორის კარგი მცოდნე იყო. შესაბამისად, პრობლემის შესწავლის არეალში მან შეიტანა რომაელ აგრონომთა თხზულებები. უნდა ითქვას, რომ რომაული წყაროების საფუძველზე შექმნილი დიქსონის მონოგრაფიით ევროპაში დასაბამი მიეცა აღნიშნული პრობლემის მეცნიერულ შესწავლას.

ზემონახსენები პუბლიკაციების მიუხედავად, XVIII-XIX სს. მიჯნაზე, ინგლისური ისტორიოგრაფია თავისი ტრადიციებით მაინც ჩამორჩებოდა გერმანული და ფრანგული ანტიკური სკოლების მიღწევებს. თუმცა, ბრიტანეთის კოლონიალური სისტემის შე-

ქმნამ და ქვეყანაში რამდენადმე შიდა პოლიტიკურმა სტაბილურობამ, ძველი ისტორიის სწავლების კუთხით კონტინენტურ ევროპასთან მიმართებაში განსაზღვრეს ჩამორჩენილობის დაძლევა. აღნიშნულ პერიოდში ინგლისურ ისტორიოგრაფიაში პოპულარული გახდა დაინტერესება ძველ მსოფლიოში მიმდინარე პარტიული ბრძოლის თუ ეკონომიკური საკითხების შესწავლით.

რომისგან განსხვავებით იმ მომენტისთვის ინგლისელი მეცნიერებისთვის პრიორიტეტი გახდა საბერძნეთის ისტორიის კვლევა. იგი პოლიტიკურმა მომენტმა განაპირობა, რაც გამოიხატა ბერძნების მხრიდან დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და ქვეყანაში არსებულმა მდიდრული სამუზეუმო კოლექციების არსებობამ. უკანასკნელი კი მუდამ ივსებოდა სხვადასხვა შენაძენებით და არქეოლოგიური გათხრების წყალობით. სამუზეუმო კოლექციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლორდ თომას ბრიუს ელგინის (1766-1841 წწ.) მიერ 1802-1812 წლებში ლონდონში ჩატანილი ე.წ „ელგინის მარმარილო“, იგივე პართენონის ბარელიეფების ფრაგმენტები. ცხადია, ყოველივემ გავლენა მოახდინა ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეზე, იგი დაიჩრდილა და მას შედარებით ნაკლები ყურადღება მიექცა.



*თომას არნოლდი*

ასეთ ფონზე, ინგლისურ ისტორიოგრაფიაში რომაულ თემატიკასთან დაკავშირებული ნაშრომებიდან შედარებით მნიშვნელოვან გამოცემად მიიჩნევა თომას არნოლდის (1795-1842 წწ.) დაუმთავრებელი ნაშრომი - „რომის ისტორია“ (ტ. I-IV, 1838-1841 წწ.). არნოლდი ნიბურისეული ხაზის მიმდევარი იყო. ნაშრომში საუბარი მიყვანილი იყო პუნიკურ ომებამდე და შეიცავდა პოლიტიკურ ისტორიას, გეოგრაფიული გარემოს და სამხედრო საქმის დეტალურ აღწერას.

არნოლდისაგან განსხვავებით საპირისპირო აზრს ატარებდა ჯორჯ ლუის კორნუოლი (1806-1863 წწ.). იგი იყო პოლიტიკოსი, პრემიერ-მინისტრ ლორდ პალმერსტონის (1784-1865 წწ.) კაბინეტის წევრი და ლიტერატორი. ძველი ისტორიით დაინტერესება კორნუოლის ჰობი გახლდათ. მას ეკუთვნის ნაშრომი „გამოკვლევა რომაელთა ისტორიის პირველი საუკუნეების არარეალურობის

შესახებ“ (ტ.I-II, 1855 წ.). მასში ავტორმა უარყო ინტუიცია, როგორც კვლევის მეთოდი და წყაროთა არასაკმარისი სანდოობის გამო შეუძლებლად ჩათვალა რომის ისტორიის უძველესი პერიოდის რეკონსტრუქცია.

XIX ს. ბრიტანეთში რომაული ისტორიის შესწავლის საქმეს ბიძგი მისცა გახდა 1829 წელს საზოგადოებრივ საწყისებზე რომში შექმნილი საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი – „არქეოლოგიური ინსტიტუტის კორესპოდენციები“. ინსტიტუტმა სულ გამოსცა რომაული არქეოლოგიური მასალების პუბლიკაციების XII ტომი.

რომაულ თემატიკაზე მომუშავე XIX ს. ინგლისელი მეცნიერებიდან აღსანიშნავი იყო ჩარლზ მერივალი (1808-1894 წწ.). მას ეკუთვნოდა მრავალტომეული „იმპერიის ეპოქის რომის ისტორია“ (ტ. I-VIII, 1850-1862 წწ.). მერივალი „მტკიცე ძალუფლების“ მომხრე იყო. ისტორიკოსის პოზიციამ განაპირობა მისი მხრიდან იმპერიის პერიოდის საკითხებით დაინტერესება. მრავალტომეულში თხრობა იწყებოდა I ტრიუმვირატიდან და საუბარი მიყვანილი იყო იმპერიის დასასრულამდე. ინგლისელი მეცნიერი იმპერატორთა წინამორბედად მიიჩნევდა კეისარს, რომელსაც იგი პატიობდა ცოდვებს. ისტორიკოსი კეისრის დამსახურებად თვლიდა მის გადამწყვეტ ბრძოლას ოლიგარქიის დიქტატურასთან, რომელიც მერივალს მიაჩნდა „ყველაზე უაზრო ტირანიად რაც კი საერთოდ შეუქმნია ცივილიზაციას“. ავგუსტუსი მერივალისთვის „გენიალურ ადამიანია“, რომლის მოღვაწეობას მან თხზულების ოთხი ტომი მიუძღვნა. მართალია, მრავალტომეული დაფუძნებული იყო ლიტერატურულ წყაროებზე, მაგრამ ახალი მონაცემების ნაკლებობის გამო, აღნიშნული ნაშრომი ისტორიოგრაფიაში მალევე მოძველებული გახდა.

ინგლისში მოღვაწეობდა ედვარდ ფრიმენი (1823-1892 წწ.). იგი მრავალმხრივი მკვლევარი იყო, რომელიც ერთდროულად მუშაობდა ანტიკურობაზე, შუა საუკუნეების, ინგლისის ისტორიის და არქიტექტურის საკითხებზე. პარალელურად, ფრიმენი იყო პარლამენტის წევრი, ხოლო მრწამსით ლიბერალი პოლიტიკოსი.

ფრიმენი პროდუქტული მკვლევარი იყო. მის კალამს ეკუთვნოდა 239 პუბლიკაცია. მათგან აღსანიშნავია გამოკვლევათა სერიები ნორმანთა დაპყრობებზე და დაუმთავრებელი მრავალტომეული სიცილიის ისტორიის თემატიკაზე (ტ. I-IV, 1891-1894

წწ.).

პრაქტიკაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ფრიმენი პოულობდა ანალოგიებს ძველ სიცილიას და ნორმანთა მიერ ბრიტანეთის დაპყრობას შორის. ოთხტომეულში დეტალების დონეზე არის ნაჩვენები სიცილიის გეოგრაფიული და ეთნიკური სურათი, კუნძულის ბერძნულ და რომაულ კოლონიზაციაზე, ტირანთა მმართველობებზე. პარალელურად, ყურადღება გამახვილებულია კულტურის, ფილოსოფიის და ლიტერატურის საკითხებზეც.

საერთოდ, ფრიმენს ჰქონდა ევოლუციონური თეორიის თაობაზე მისებრი ხედვა. მისი კონცეფციით ისტორიის სამ წვეროვან დაყოფას შორის არ არსებობს მკვეთრი ზღვარი. ინგლისის ძველი ისტორიის საკითხებზე მუშაობისას იგი შეეხო რომაელთა გავლენას ბრიტების საზოგადოებრივ წყობაზე. რადგანაც ფრიმენი მკვეთრი გერმანისტი იყო, ამიტომაც მან უარყო აბორიგენებზე რომაელთა ყოველგვარი დადებითი ზეგავლენა. თავისი კონცეფციების გასამყარებლად იგი არ ერიდებოდა საჭირო შემთხვევაში ანტიკური წყაროების მიმართ თვითნებურ დამოკიდებულებასაც.



*ედვარდ ფრიმენი*

ინგლისში რომაული სიძველეების შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1901 წელს რომში დაარსებული ბრიტანული არქეოლოგიური სკოლა.1905 წელს იგი ბრიტანეთის არქეოლოგიურ ინსტიტუტად გადაკეთდა. ინსტიტუტი კორდინირებას უწევდა ზოგადად აპენინის ნახევარკუნძულზე წარმოებულ არქეოლოგიური გათხრებს. პარალელურად, ინსტიტუტი პერიოდულად უშვებდა „რომის ბრიტანული სკოლის დოკუმენტების" კრებულს.

XX ს. ბრიტანეთში რომის ისტორიის ერთ-ერთ წონადი მკვლევარი იყო რონალდ საიმი (1903-1989 წწ.). იგი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი და ბრიტანეთის აკადემიის წევრი. სამეცნიერო საქმიანობის გარდა საიმი იყო დიპლომატიც. II მსოფლიო ომის დროს იგი მსახურობდა ჯერ ბელგრადში ბრიტანეთის ატაშეში, ხოლო შემდეგ თურქეთში დიპლომატიურ წარმომადგე-

ნლობაში. ნაყოფიერი სამეცნიერო და დიპლომატიური საქმიანობისთვის 1976 წელს მას მიენიჭა რაინდის წოდება.

ისტორიკოსმა ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. წარმოშობით იგი იყო ახალ ზელანდიელი, რომელმაც სახელი მოიხვეჭა ოქსფორდის უნივერსიტეტში. ძველი და ახალი ენების შესანიშნავმა ცოდნამ მას შესაძლებლობა მისცა გარკვეულიყო ანტიკური ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. მასზე წერდნენ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე იგი დარჩა მხოლოდ „რომის ისტორიკოსად“.

ფრიმენისეული ხედვიდან გამომდინარე საიმს რომი მიაჩნდა ევროპული ისტორიის ცენტრად. რომის ისტორიის სხვადასხვა საკითხებს მიეძღვნა მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები: „რომაული რევოლუცია“ (1939 წ.), „ტაციტუსი“ (ტ. I-II, 1958, გვ. 850), „სალუსტიუსი“ (1964 წ.), „ამიანე და ავგუსტუსის ისტორია“ (1968 წ.), „იმპერატორები და ბიოგრაფიები“ (1971 წ.), „რომაული გაზეთი“ (ტ. I-IX, 1979-1991 წწ.), „ავგუსტუსის არისტოკრატია“ (1986 წ.) და „ანატოლია: შტუდიები სტრაბონთან“ (1995 წ. სიკვდილის შემდეგ).


*რონალდ საიმი*

მსოფლიო აღიარება საიმს მოუტანა მონოგრაფია „რომაული რევოლუციამ“. 70 წელზე მეტი დრო გავიდა ამ ნაშრომის გამოცემიდან და იგი დღესაც ითვლება ისტორიოგრაფიულ შედევრად, რომელშიც მოხერხებულად არის გაკეთებული ლიტერატურული ხელოვნების და აკადემიური ერუდიციის სინთეზი. თითქმის 500 გვერდიანი ნაშრომი შესრულებულია მაღალი ლიტერატურული სტილით, რის გამოც მან უმალ მიიპყრო მკითხველის ყურადღება. აღნიშნული წიგნი დაწერილია ე.წ. პროსოპროგრაფიული მეთოდით. ეს მეთოდი რ.საიმმა გადაიღო გერმანელი მეცნიერ ფრიდრიხ მიუნცერისგან.

„რომაული რევოლუცია“-ში საიმი გადმოსცემს რომის რესპუბლიკის დასასრულის და ავგუსტუსის ზეობის მნიშვნელოვან მოვლენებს. წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოა ძვ.წ. 60–ახ.წ. 14 წლები. იგი შესდგება 33 თავისგან. უნდა ითქვას, რომ ავტორს სათაურებიც ორიგინალური ჰქონდა შერჩეული: „ავგუსტუსი და ისტორია“, „კეისრის პარტია“, „პირველი მარში რომზე“, „ახალი

სენატორები“, „რომი ტრიუმვირების ქვეშ“, „პრინცეპსი“, „ოქტავიანეს პარტია“, „ნაციონალური პროგრამა“ და ა.შ.

ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ საიმის წიგნზე ზეგავლენა მოახდინა XX ს. 20-30-იანი წლების ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურმა ბატალიებმა. აქედან გამომდინარე, ძვ.წ. 60–ახ.წ. 14 წლები, ინგლისელი ისტორიკოსისთვის არის რომში რევოლუციის, ანუ ძირეული ცვლილების პერიოდი. ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმო სამოქალაქო ომის მომზადებას და მსვლელობას. ავტორის სიმპატია მთლიანად კეისრის მხარეზეა, ამიტომ საიმი ცდილობს აარიდოს მას სამოქალაქო ომის, ანუ როგორც თვით უწოდებდა რევოლუციის გაჩაღების ბრალდება. კეისრის მიმართ ასეთი ხედვა არსებითად მ. როსტოვცევის ადრინდელი შეხედულების შემდგომი განვითარება იყო. თუმცა, მისგან განსხვავებით საიმი კეისარს არა რევოლუციონერად, არამედ უფრო ოპორტუნისტად ნათლავდა. ამის საილუსტრაციოდ ავტორი იმ აზრსაც ანვითარებდა, რომ კეისარს არ სურდა დიქტატურა. თავისი არგუმენტების გასამყარებლად საიმი იმოწმებდა ციცერონს, რომელსაც თურმე არაფერი აქვს ნათქვამი მონარქიისკენ კეისრის ლტოლვაზეო. მკვლევარი შემდეგ დაასკვნიდა: „არავითარი საფუძველი არაა მივაწეროთ კეისარს აღმოსავლური ელინიზირებული ტიპის მონარქიის შექმნა და თუ ასეთი აზრი მაინც არსებობს ლიტერატურაში ეს დღევანდელი მეცნიერთა ვარაუდებია“. რ.საიმი არ უარყოფს, რომ ტრიუმვირატში პომპეუსა და კეისარს შორის დაპირისპირება მოხდა ხელისუფლების გამო, მაგრამ თვლიდა, რომ კეისრის მხრივ ამის საფუძველი იყო „საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის სურვილი“.

ინგლისელი მეცნიერი ორიგინალურად მიუდგა ოქტავიანეს საკითხს. მისთვის მთავარია არის არა ავგუსტუსის პიროვნება, არამედ მისი მხარდამჭერი საზოგადოება და მომხრე პარტია. აქედან გამომდინარე ისტორიკოსისთვის რომის მმართველი ოლიგარქიის შემადგენლობა არის პოლიტიკური ისტორიის კვლევის მთავარი თემა, რაც ავტორისთვის არის რესპუბლიკასა და იმპერიას შორის დამაკავშირებელი კვანძი. საიმის აზრით, რაღაც კუთხით ავგუსტუსის მმართველობა იყო იგივე „პარტიის ბატონობა“. პრინციპატი მისთვის ერთგვარი სინდიკატია, ხოლო რესპუბლიკის და იმპერიის ისტორია არის იგივე მმართველი კლასის ისტორია. მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ოქტავიანეს კლიენტურა

უცნობი კარიერისტების მიმართ გამოირჩეოდა მაღალი სოციალური გამჭრიახობით. ოქტავიანეს იგი მოიხსენიებდა „არქაული ტიპის უცნაურ ადამიანად“, ხოლო მის ამალა საიმის თვალში იყო „პოლიტიკური ურდო“. ინგლისელი ისტორიკოსი მათ თვლიდა „შეთქმულებად, გლადიატორებად, ლოთებად და ავხორცებად, რომელიც იმავდროულად იყო ქალაჩუნა და მშიშრებადაც“.

ძველ რომში პოლიტიკური ბრძოლის განმსაზღვრელად საიმი თვლიდა არა პარტიებს და მათ პოლიტიკურ პროგრამებს, არამედ გამოჩენილ გვართა თუ მოღვაწეთა შორის ქიშპს და დაპირისპირებულობას. ისტორიკოსისთვის რომის პოლიტიკა დინასტიური ხასიათისაა. მისი აზრით, პოლიტიკას და რომაელ ხალხს მართავდა ოლიგარქია, რომლებმაც მატიანეებიც ოლიგარქიული სულისკვეთებით დაწერეს. ინგლისელი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ოჯახი და გვარი იყო ყოველი პარტიის ღერძი. შესაბამისად, ოჯახი იდგა სახელმწიფოზე მაღლა და იქმნებოდა ერთგვარი ტრიადა – ოჯახი, ფული და პოლიტიკური კავშირები. მონოგრაფიაში ავტორი ეხებოდა ისტორიოგრაფიაში ნაკლებად პოპულარულ საკითხსაც. ეს არის პოლიტიკაში ქალთა როლზე. სერვილიას და ბრუტუსის დედის მაგალითზე, საიმი მიიჩნევდა, რომ ქალთა გარკვეული ნაწილი რომში ფლობდა დიდ პოლიტიკურ გავლენას და ძალაუფლებას.

საიმის ერთ-ერთი ბიოგრაფი მიიჩნევდა, რომ ინგლისელი ისტორიკოსის მიერ დახატული ავგუსტუსის სახე და მისი გარემო ბანალურად არის მსგავსი მუსოლინის დროინდელი ფაშისტური იტალიის, ანდა ჰიტლერის, სტალინის და ფრანკოს რეჟიმების. ამასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ მსგავსი მსჯელობა რეალობას არ შეესაბამება, რადგანაც უშუალოდ პარალელების გავლება ორივე პერიოდებს შორის არსებითად ცვლის საიმის თხზულების თავდაპირველ შინაარსობრივ და სტილისტურ ერთიანობას.

მსოფლიო აღიარების მიუხედავად საბჭოთა ისტორიოგრაფია საიმს არ წყალობდა. ჯერ იყო და ავგუსტუსის პრინციპატის საკითხებზე მსჯელობისას ნ. მაშკინმა, რომელმაც ლამის გაიმეორა საიმის წიგნის შინაარსი, დაიწუნა მისი კონცეფცია. შემდეგ, ს. უტჩენკომ უარყო კონცეფცია რომში ორი პოლიტიკური პარტიის არსებობის შესახებ. ასევე საიმს ეკამათებოდნენ ისტორი-

ის პოლიტიკის რანგში აყვანის გამო, რევოლუციის ცნების განსაზღვრის თაობაზე და ა.შ. ოფიციალური ვერდიქტის ბოლო პასაჟი იყო – საიმის შემოქმედებით ჩანდა ბურჟუაზიული მეცნიერების კრიზისი და ა.შ.

ინგლისურ ისტორიოგრაფიაში ძველი მსოფლიო ისტორიის თემატიკაზე სოლიდურ ნაშრომად მიჩნეული არის მრავალტომეული - „კემბრიჯის ძველი ისტორია“ (შემოკ.: CAH), რომელმაც მნიშვნელოვანწილად XX ს-ში განსაზღვრა ანტიკური ისტორიის შესწავლის მაგისტრალური ხაზი.



*„CAN“- გარეკანი*

თავდაპირველად, „CAN“ პირველი ტომების ავტორები იყვნენ ინგლისელები, მაგრამ VI ტომიდან გამოცემაში ჩაერთვნენ ევროპა-ამერიკის ქვეყნების სწავლულები, რითაც მრავალტომეული გადაიქცა ანტიკურ ისტორიაში ევროპა-ამერიკის სამეცნიერო წრეების უკანასკნელ მიღწევად. 1923-1936 წლებში გამოვიდა მრავალტომეულის 12 ტომი. უნდა ითქვას, რომ მრავალტომეულის I და II ტომებს ხარვეზები ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ თავდაპირველად ავტორებთან დაცული არ იყო ტექტების შეთანხმების ერთიანი პრინციპი. ასევე II მსოფლიო ომამდე და შემდგომ მოზღვავებულმა ინფორმაციებმა დღის წესრიგში დააყენეს მათი გადამუშავებული ვარიანტის გამოცემა. XX ს. 70-90-იან წლებში მრავალტომეული გამოიცა ამჯერად XIV ტომის სახით, რომელსაც დამატების სახით დაერთო ილუსტრაციები (რუკები, ქრონოლოგიური და გენეალოგიური ტაბულები).

„CAN“ მოიცავდა ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთის და რომის ისტორიებს. მასში თხრობა იწყება ისტორიამდელი პერიოდიდან და მთავრდება ახ.წ. 602 წლის ამბებით. კონკრეტულად რომის ისტორიას დათმობილი ჰქონდა VII-XIV ტომები: მაგ., ტ. VII - „რომის ამაღლება ძვ.წ. 220 წლამდე“ (1990 წ.); ტ. VIII - „რომი და ხმელთაშუაზღვისპირეთი ძვ.წ. 133 წლამდე“ (1989 წ.); ტ. IX - „გვიანდელი რომის რესპუბლიკა. ძვ.წ. 146-43 წწ.“ (1994 წ.); ტ. X - „ავგუსტუსის იმპერია“. ქრონოლოგიური ჩარჩოა ახ.წ. 43-69 წწ. (1996 წ.); ტ. XI - „იმპერიის მწვერვალი, 70-192 წწ.“ (2000 წ.); ტ. XII - „იმპერიის კრიზისი, 193-337 წწ.“ (2005 წ.); ტ. XIII – „გვიანდელი იმპერია, 337-425 წწ.“ (1997 წ.) და ტ. XIV - „უკანასკნელი ძველი

დრო, იმპერია და მემკვიდრეები, 425-600 წწ.“ (2000 წ.).

„CAN“ იმთავითვე გამოუჩნდა მოწინააღმდეგები. მას აკრიტიკებდნენ მასალების დაგროვების სინთეზში და მეთოდოლოგიაში. ასევე, რომ იგი არ იყო გათვლილი უბრალო მკითხველზე, სერიოზულ მკვლევარებზე და პედაგოგებზე, რომლებიც საჭიროებდნენ სქოლიოების ფართო სპექტრს. ასევე მიუთითებდნენ, რომ ტომებს აკლია რედაქტორის ერთიანი ხელწერა და ა.შ. შენიშვნების მიუხედავად, მრავალტომეული რჩება ანტიკური ისტორიით დაინტერესებული მეცნიერებისთვის სამაგიდო წიგნად. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ მრავალტომეულის წყალობით საისტორიო მეცნიერებაში საბოლოოდ დაკანონდა ისტორიის სამწვეროვანი დაყოფის პრინციპი.

კრიტიკის მიუხედავად „კემბრიჯის ძველი ისტორია“ პოპულარული სამეცნიერო პუბლიკაციად დარჩა, ამიტომაც ინგლისურ ისტორიოგრაფიაში ჯონ ბიურიმ (1861-1927 წწ.) დასაბამი დაედო ახალ სერიას - „კემბრიჯის შუა საუკუნეების ისტორიის“ გამოცემას.


ჯონ ბიური

ბიური ირლანდიელი იყო, რომელმაც სამეცნიერო კარიერა გაატარა კემბრიჯის უნივერსიტეტში. იგი იყო ბიზანტისტი, ხელოვნებათმცოდნე და ფილოლოგი. ბიურის ინტერესის სფეროში შედიოდა ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ისტორია, რასაც მან არაერთი მონოგრაფია მიუძღვნა. სწორედ ბიურის დამსახურება იყო სამეცნიერო წრეებში ბიზანტიისადმი ინტერესის გაღვივება. მანვე 1896-1900 წლებში რომის ისტორიის სესახებ გამოსცა ედ. გიბონის ცნობილი ნაშრომი.

დას. რომის იმპერიის განადგურებით ბიური ისტორიაში მკვეთრ ზღვარს არ დებდა, ანუ მას იგი არ მიაჩნდა ერთი ეპოქის დასასრულად. მისთვის ბიზანტია რომის გაგრძელებაა, ოღონდ ახალ განზომილებაში. ამიტომაც მეცნიერი ბიზანტიაზე საუბრისას თხრობას ყოველთვის იწყებდა გვიანდელი რომის ისტორიის მოვლენებით. ბარბაროსებთან მიმართებაში რომაელების მარცხზე საუბრისას ბიური მიიჩნევდა, რომ ამის მიზეზები იყო სარეკრუტო წესით რომაული არმიაში უცხო ტომელების ჩართვა და შე-

მდგომში მათი დანიშვნა ხელმძღვანელის თანამდებობებზე. მეცნიერის აზრით, სწორედ უცხო ტომელების წყალობით, იტალიის გავლით, ბარბაროსები მოედვნენ ევროპის კონტინენტს.

უშუალოდ გვიანდელი რომის ისტორია აისახა ბიურის სხვა ნაშრომებში: „გვიანდელი რომის ისტორია არკადიუსიდან დედოფალ ირინამდე“ (ტ. I-II, 1889 წ.), „გვიანდელი რომის იმპერია“ (1923 წ.), „ბარბაროსების შემოჭრა ევროპაში“ (1928 წ.), „რომის გვიანდელი იმპერიის ისტორია თეოდოს I-დან იუსტინიანეს სიკვდილამდე“ (1923 წ.) და სხვ.

ინგლისურ ისტორიოგრაფიაში პროსოფოგრაფიული მეთოდით შექმნილი პუბლიკაციების საუკეთესო ნიმუშია არნოლდ ჯონსის (1904-1970 წწ.) საერთო რედაქციით გამოქვეყნებული „რომის გვიანდელი იმპერიის პროსოფოგრაფია“ (ტ. I-III, 1971-1992 წწ.). იგი საინტერესო ფიგურა იყო ინგლისურ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში, რამდენადაც გახლდათ ენციკლოპედიური ტიპის მოაზროვნე, რომლის სამეცნიერო კვლევის ინტერესის სფერო უპირატესად იყო დომინატის პერიოდის ისტორიის პრობლებები. ინგლისელი მეცნიერის მთავარ ნაშრომია - „გვიანდელი რომის ისტორია. სოციალ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული გამოკვლევა“ (1964 წ.). წიგნის ქრონლოგიური ჩარჩოა 284-602 წწ. მასში მიმოხილულია იმპ. დიოკლეტიანეს მმართველობით დაწყებული გვიანდელი რომის ისტორიით და იმპ. ფლავიუს მავრიკიოს ტიბერიუს ავგუსტუსით (582-602 წწ.) დამთავრებული ბიზანტიის ადრეული ისტორიის მონაკვეთის სოციალურ-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საკითხები.




*არნოლდ ჯონსი*

„გვიანდელი რომის ისტორია“ ძირითადში ლიტერატურულ და ეპიგრაფიკულ წყაროებზე დაფუძნებული ნაშრომია. მასში საერთოდ იგნორირებულია არქეოლოგიური მასალები. ამის გამო ხშირია ისტორიოგრაფიაში მისი კრიტიკა. არადა, როდესაც წიგნი იწერებოდა ძველი რომის ისტორიის აღნიშნული მონაკვეთის არქეოლოგიის კუთხით შესწავლა მხოლოდ იწყებოდა. შესაბამისად, ჯონს ობიექტურად არც შეეძლო არქეოლოგიური მასალის ჩართვა თავის ნაშრომში.

ზემონახსენები წიგნების გარდა რომაულ თემატიკაზე ჯონსის სხვა ნაშრომებია: „რომის აღმოსავლური პროვინციების ქალაქები“ (1937 წ.), „ჰეროდე იუდეველი“ (1938 წ.), „ანტიკური ეკონომიკის ისტორია“ (1948 წ.), „ბერძნული ქალაქი ალექსანდრედან იუსტინიანამდე (1940 წ.), „კონსტანტინე და ევროპის გარდაქმნა“ (1948 წ.), „გამოკვლევა რომაულ მმართველობაში და კანონმდებლობაში“ (1960 წ.), „ძველი მსოფლიოს დაკნინება“ (1968 წ.) „ავგუსტუსი“ (1970 წ.) და ა.შ.

„რომის გვიანდელი იმპერიის პროსოფოგრაფიის“ პირველი ტომი (გვ. 1176) შეიცავს 260-395 წლების მოვლენების ინფორმაციას. მეორე ტომი (გვ. 1355) ასახავს 395-527 წლებს, ხოლო მესამე მთლიანობაში (გვ. 1626) მოიცავს 527-641 წლების მონაკვეთს. მრავალტომეულის ერთ-ერთი მახასიათებელია ნიშანია ის, რომ იგი ამავე დროს პერსონალური ლექსიკონიცაა. ისტორიოგრაფიაში მრავალტომეულზე გამოთქმული ცალკეული კრიტიკული შენიშვნების (რიგი სახელების უზუსტობა...) მიუხედავათ, უნდა ითქვას, რომ 260-641 წლების გვიანდელი რომის იმპერიის და ადრეული ბიზანტიის ისტორიის შესწავლის საქმეში იგი საუკეთესო წყაროა. მრავალტომეულის ღირებულებას ისიც ზრდის, რომ სამეცნიერო წრეებში არ გვაქვს მსგავსი ტიპის სხვა ნაშრომი, რომელშიც ერთად თავმოყრილი იქნებოდა ლათინურ, ბერძნულ, არაბულ და სხვა წყაროებზე იმპ. ჰერაკლე კეისრის (610-641 წწ.) მართველობის დასასრულამდე არსებული გვიანდელ რომის იმპერიისა და ბიზანტიაში მოღვაწე ყველა სენატორების, მხედრების, პროვინციის მმართველების და გუბერნატორების სახელები. ასევე სასახლის კარის ჩინოვნიკების, ქალაქის პრეფექტების, სამხედრო მაგისტრატების, მათი მრჩევლების, იურისტების, რიტორების შესახებ ერთიანი ინფორმაცია. ბუნებრივია, რომ მრავალტომეულში მოტანილმა ზღვა ინფორმაციამ ნაშრომი კიდევ უფრო წონადი გახადა.

ინგლისურ ისტორიოგრაფიაზე საუბარს დავასრულებთ პიტერ ბრაუნის (დ. 1935 წ.) მიერ ანტიკურობის თაობაზე გამოთქმული ორიგინალური კონცეფციით. ბრაუნი წონადი მკვლევარია. იგი გახლავთ ბრიტანეთის და ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლონდონის, ბერკლის და პრისტონის უნივერსიტეტების პროფესორი. მისი სამეცნიერო-კვლევის სფეროა რომის იმპე-

რიის, ბიზანტიის ადრეული პერიოდის და ქრისტიანობის ისტორიის საკითხები. იგი ნაყოფიერი მკვლევარია. მისი პუბლიკაციებიდან გამოვყოფთ: „ავგუსტინე“ (1967 წ.), „წმინდა კაცის ფუნქცია გვიან ანტიკურობაში“ (1971 წ.), „გვიანი ანტიკური სამყარო“ (1971 წ.), „წმინდათა კულტი: მისი აღზრდა და ფუნქცია ლათინურ ქრისტიანობაში“ (1981 წ.), „რომაული სამყაროს ქრისტიანული ასპექტები“ (1993 წ.) და ა.შ.

ნაშრომში „გვიანი ანტიკურობის სამყარო“, ბრაუნმა, სოციალური და კულტურული ცვლილებების კუთხით მიმოიხილა ისტორიის 150-750 წლების მონაკვეთი. ედ. გიბონისგან განსხვავებით მეცნიერმა ეს პერიოდი დადებითი კუთხით წარმოაჩინა. მისი აზრით, გვიანი ანტიკურობა უნდა შეფასდეს დიდი კულტურული ინოვაციების პერიოდათ. რაც შეეხება გამოთქმას - „რომის დაცემა“, მეცნიერის აზრით ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარვყოთ, რამდენადაც იგი გაჯერებული არის უარყოფითი აზრებით. ბრაუნის აზრით, მის მაგივრად უნდა ვიხმაროთ „რელიგიური და კულტურული გადატრიალება“, როგორც უფრო ნეიტრალური ფორმა.


*პიტერ ბრაუნი*

*რუსული ისტორიოგრაფია*

რუსული ანტიკური სკოლა ერთ-ერთი იმათაგანია, რომელიც მსოფლიო ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ძველი რომის ისტორიის შესწავლის საქმეში განსაზღვრავს გავითარების კარდინალურ ხაზი. ამ სკოლის მაღალი პოზიციები განაპირობა ცარიზმის პერიოდის სასკოლო და საუნივერსიტეტო ქსელში ბერძნულ-ლათინური ენების სწავლების დონემ.

რუსული ანტიკური ისტორიოგრაფიის თავისებურება იყო თავდაპირველად მისი დაინტერესება ბერძნული სამყაროთი. დომინირებულმა მართმადიდებულმა რელიგიამ და ქვეყნის ისტორიის ადრეული პერიოდიდან მჭიდრო ურთიერთობებმა ბიზანტიის იმპერიასთან, განსაზღვრეს რუსულ საისტორიო აზროვნების დაინტერესება საბერძნეთის ისტორიით. მართალია XIV ს-დან რუსეთი მსოფლიო პოლიტიკაში გამოვიდა „მესამე რომის“ (რომი-კონსტანტინოპოლი-მოსკოვი) პროპაგანდის იდეით, მაგრამ მათ

ვერ წარმოედგინათ, რომ ბიზანტია იყო ძველი რომის მემკვიდრე. რუსული აზროვნებისთვის ანტიკური რომი იმთავითვე უცხო დარჩა, ამიტომაც XIX ს-მდე, ამ კუთხით, მათთან ორიგინალური წონადი ნაშრომი არ შექმნილა.

ზოგადად, რუსეთში ძველი ისტორიისადმი მეცნიერული დაინტერესება უკავშირდება პეტრე I (1682-1725 წწ.) სახელს, რაც გამოიხატებოდა მხოლოდ რუსეთის მასშტაბით და ევროპაში ანტიკური ისტორიის ამსახველი სხვადასხვა ნივთების შეძენით. თანდათან, პეტრე I თაოსნობით პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის (1724 წ.) შექმნამ და ქვეყანაში საუნივერსიტეტო ქსელის გაფართოებამ, XIX ს. რუსეთში გააღვივა დაინტერესება ჰუმანიტარული მეცნიერებებისკენ. რუსეთში არსებული უნივერსიტეტებიდან იმთავითვე გამოირჩეოდა გერმანელი პედაგოგებით დაკომპლექტებული დერპტის (იურიევი) უნივერსიტეტი (1632 წ.) არსებითად, დერპტის უნივერსიტეტის მეშვეობით რუსეთის საგანმანათლებლო სივრცეში ვრცელდებოდა გერმანული სამეცნიერო წრეების ნააზრევი, მათ შორის ძველი რომის ისტორიის სწავლების საქმეში.

დერპტის უნივერსიტეტის აღზრდილი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი სიტყვიერების კათედრის პროფესორი დმიტრი კრიუკოვი (1809-1845 წწ.). იგი იყო ავგუსტ ბეკის (1785-1867 წწ.) მოსწავლე. მისი ინტერესის სფერო იყო ძველი რომის ისტორია და ლიტერატურა. განსაკუთრებით სითბოთი იგი იკვლევდა ტაციტუსს, რომლის ნაწარმოები „აგრიკოლა“ მისი სადოქტორი დისერტაცია იყო (1833 წ.). კრიუკოვას ნაშრომი ტაციტუსი შესახებ მიჩნეულია რუსეთში კლასიკური სიძველეების შესახებ რელიგიური წარმოდგენების მსხვრევის პირველ სერიოზულ ცდათ. ნაშრომში ავტორმა წამოაყენა ორიგინალური თეორია, რომლის მიხედვით პატრიციუსები და პლებეები იყვნენ სხვადასხვა ეთნიკური ფენის მემკვიდრეები. სამწუხაროდ, მეცნიერის ნაადრევი სიკვდილის გამო აღნიშნულმა კონცეფციამ რუსულ სამეცნიერო წრეებში ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება.

კრიუკოვას ტრადიციის გამგრძელებელი იყო პავლე ლეონტიევი (1822-1874 წწ.). იგი იყო ბეკის, ლახმანის და შელინგის მსმენელი. ერთი პერიოდი ლეონტიევი მუშაობდა მოსკოვის უნივერსიტეტში რომაული სიძველეების და სიტყვიერების კათედრა-

ზე. იყო გაზ. „მოსკოვსკი ვედომოსტის“ თანადამაარსებელი. მეცნიერის კვლევის ჰორიზონტი ფართო იყო: ძველ ბერძნული რელიგია, ისტორიოგრაფია, ხელოვნება, ჩრდილო შავიზღვისპირეთის არქეოლოგია, ძველი რომის სოციალურ-ეკონომიკური განვი თარების საკითხები და ა.შ. მასვე ეკუთვნოდა რუსულ ისტორიოგრაფიაში პირველი სტატია რომის აგრარული ისტორიის შესახებ - „მიწათმფლობელთა კლასის ბედი ძველ რომში“ (1861 წ.). სტატია რუსეთში საგლეხო რეფორმის გატარების პათოსით იყო დაწერილი. ნაშრომში მიმოხილული იყო ძვ.წ. VI ს. რომის იმპერიის დასასრულამდე მიმდინარე აგრარული ურთიერთობები. რომაული კოლონების ევოლუციას ლეონტიევი მიიჩნევდა იმპერიის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად და მას აიგივებდა რუსულ ბატონყმობასთან. ამის გარდა, ლეონტიევს ეკუთვნოდა ნაშრომი - „ბერძენი და ლათინი მწერლების ბიბლიოთეკა შენიშვნებით და ლექსიკონებით საშუალო სასწავლო დაწესებულებებისთვის“ (1867 წ.) და მარკუს ციცერონის რამოდენიმე სიტყვების თარგმანი.



*პავლე ლეონტიევი*

რუსეთში მიმდინარე ბატონყმური სისტემის კრიზისმა და ქვეყანაში არსებულმა რევოლუციურმა სიტუაციამ გავლენა მოახდინა რუსული ანტიკური ისტორიოგრაფიის განვითარებაზე. გლეხიდან დაწყებული რევოლუციონ-ნაროდნიკებით დამთავრებული ყველას წინა პლანზე ჰქონდა გამოტანილი საგლეხო რეფორმის გატარების საკითხი. ფრანგი მოაზროვნების მსგავსად, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, თავიანთი იდეებისთვის დამხმარე არგუმენტებად იყენებდნენ ფაქტებს ანტიკური ისტორიიდან. მაგ., ნიკოლოზ ჩერნიშევსკი (1828-1889 წწ.) და სხვა რევოლუციონერი მართალია არ იყვნენ პროფესიონალური ისტორიკოსები, მაგრამ შესანიშნავად იყვნენ გათვიცნობიერებული რომაულ ისტორიაში. ჩერნიშევსკი პუბლიცისტურ წერილში – „რომის დაცემის მიზეზები“ (1861 წ.), იგი ხაზს უსვამდა რომაული ცივილიზაციის დიდ მიღწევებს



*ნიკოლოზ ჩერნიშევსკი*

შუა საუკუნეებთან შედარებით. სტატიაში ჩერნიშევსკი საინტერესო ხედვას ავითარებდა: „რომის იმპერიის პროვინციალურ მემკვიდრეობაში ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერავითარ მიზეზებს, რითაც შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ძველი სამყაროს კვდომა იყო აუცილებელი და სასარგებლო კაცობრიობისთვის... მხოლოდ XVIII ს. შუა ხანებისთვის შესძლო კონტინენტურმა ევროპამ ასულიყო იმ სიმაღლეებზე, რომელიც მან მიაღწია III-IV სს. მიჯნაზე. ბარბაროსების წინაშე დას. რომის დაცემამ მთელი 1000 წლით შეაფერხა პროგრესი".

ქვეყანაში საგლეხო რეფორმის გატარების აუცილებლობამ რუსულ ისტორიოგრაფიაში განაპირობა რომაული სამყაროდან მსგავსი თემატიკის წამოწება. მაგ., ბ. ზაპოლსკიმ გამოსცა „ძმები გრაკხუსები და მათი კანონმდგომარეობა", პ. კომაროვსკიმ „რომის ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობები" (1869 წ.), ხოლო მ. ვოლსკიმ „მიწის მონური დამუშავება" (1869 წ.).

XIX ს. II ნახ. რუსული ანტიკური ისტორიოგრაფიის ერთგვარი გაფურჩქვნის პერიოდია. ამ პერიოდში სამეცნიერო პუბლიკაციებმა რაოდენობრივი და ხარისხოვანი კუთხით იმ დონეს მიაღწია, რომ შესაძლებელი გახდა ოთხი დამოუკიდებელ მიმართულებების კვლევებზე საუბარი. ეს იყო: ისტორიულ-ფილოლოგიური (ვ. ლატიშევი, ს. ჟებელევი...), კულტურულ-ისტორიული (ფ. მიშჩენკო, ვ. მოდესტოვი...), სოციალურ-პოლიტიკური (ვ. ბუზესკული...) და სოციალურ-ეკონომიკური (მ. როსტოვცევი, მ. ხვოსტოვი...).

მართალია, სამეცნიერო კვლევები ყველა მიმართულებით მიდიოდა, მაგრამ რუს ისტორიკოსთა მხრიდან სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაზე მუშაობამ მაინც განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. აშკარა იყო, რომ ევროპაში მიმდინარე რევოლუციურმა ბატალიებმა და მათი წყალობით საისტორიო აზროვნებაში დომინირებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კვლევამ გამოძახილი ჰპოვა რუსეთში. მით უმეტეს, რომ რუსეთში მიმდინარე ბურჟუაზიულმა რეფორმებმა და შემდგომ გავრცელებულმა მარქსისტულმა იდეებმა ძველი ისტორიის თემატიკაზე მომუშავე მეცნიერთაგან მოითხოვა აღნიშნული საკითხების გაშუქება.

XIX ს. II ნახ. რომის ისტორიის შესახებ მომუშავე რუსი მკვ-

ლევარებიდან ერთ-ერთი წონიანი ფიგურა გახლდათ ივანე პომიალოვსკი (1845-1906 წწ.). იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის რომაული სიტყვიერების პროფესორი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მეცნიერებაში მისი პირველი გამოკვლევა შეეხო რომაელ მწერალ მარკუს ვარონის ცხოვრება-მოღვაწეობას. პომიალოვსკის სადოქტორო დისერტაცია გახლდათ „ეპიგრაფიკური ეტიუდები“ (1873 წ.). იგი შესდგებოდა ძველი გამონათქვამების და რომაული კოლუმარიებისაგან. შევნიშნავთ, რომ პომიალოვსკამდე ეპიგრაფიკის ეს ნაწილი ზოგადად არ იყო მსჯელობის საგანი რუსულ და ევროპულ ისტორიოგრაფიაში.

პომიალოვსკის სხვა ნაშრომებია: „კავკასიის ბერძნულ-ლათინური წარწერების კრებული“ (1881 წ.), „რამოდენიმე უცნობი რომაული წარწერა“ (1877 წ.), „არქეოლოგიური მონაპოვარი პუატიეში“ (1886 წ.) და სხვ.



*ვასილ მოდესტოვი*

პეტერბურგის და ოდესის უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა ვასილ მოდესტოვი (1839-1907 წწ.). მისი სამეცნიერო ნაშრომებში იტალიის უძველესი პერიოდი მნიშვნელოვანწილად დაფუძნებული იყო მაშინდელი არქეოლოგიურ მონაცემებზე. მეცნიერი სწავლობდა იტალიის უძველეს მოსახლეობის ეტრუსკების და მესაპების ისტორიას, ლათინური დამწერლობის აღმოცენების საკითხებს, რომელიც მას რომამდელ პერიოდში გადაჰქონდა. ასევე იგი იკვლევდა ძველი რომის სახელმწიფოს და კულტურის ისტორიის საკითხებს და ა.შ.

მოდესტოვს ეკუთვნოდა მონოგრაფიები - „ტაციტუსი და მისი ნაწარმოები“ (1864 წ.), „მეფეთა პერიოდის რომაული დამწერლობა“ (1868 წ.), „ლექციები რომაულ ლიტერატურაში“ (ნ. I-II, 1873-1875 წწ.), „შესავალი რომაულ ისტორიაში“ (ნ. I-II, 1902-1909 წწ.) და სხვა სტატიები. „მეფეთა პერიოდის რომაული დამწერლობა“-ში მოდესტოვი შეეხო ლათინური ანბანის წარმოშობის და რომაული მწერლობის დაწყების საკითხებს. ამ საკითხში ძირითადში იგი მომზენის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მოდესტოვი ლათინური ანბნის წარმოშობას უკავშირებდა არა ფინიკიურს, არამედ ბერძნულს. ამასთან, მეცნიერმა აპენინის ნახევარკუნძულზე გამოჰყო ანბანთა ჯგუფის ორი ტიპი: 1. ლათინური და 2. იტალიკური

ტომების (ეტრუსკები, უმბრები...). ისტორიკოსის აზრით, ლათინური ანბანი რომაელებმა ქ. კუმედან შეითვისეს, თავდაპირველად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და შესდგებოდა 16 ასოსგან, რომლებმაც დროთა განმავლობაში მიაღწია 21.

XIX-XX სს. მიჯნაზე რუსეთში კლასიკური ფილოლოგიური სკოლის თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ პოლონური წარმოშობის მეცნიერი - თადეუშ (იგივე ფადეი) შტეფან ზელინსკი (1859-1944 წწ.). იგი იყო უდიდესი წყაროთმცოდნე და კულტუროლოგი, პეტერბურგის და ვარშავის უნივერსიტეტების პროფესორი. ძველი ენების ბრწყინვალე ცოდნამ, შესანიშნავმა ერუდიციამ და საისტორიო მეცნიერების მიმართ ალღომ, ზელინსკის შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო თანადროული ეპოქის ერთ-ერთი წონადი ფიგურა. იგი უაღრესად პროდუქტული მეცნიერი იყო და მარტო მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა 800-ზე მეტ ნაშრომს მოითვლიდა, რომელთა უმეტესობა ავტორის გარდაცვალების შემდეგ მიეწოდა ფართო აუდიტორიას. უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთში მოღვაწე კლასიკური ფილოლოგიის მკვლევარებიდან იგი ერთადერთი იყო, რომელიც არ იფარგლებოდა ფილოლოგიის დარგის ვიწრო ჩარჩოებით და ცდილობდა მის ჩართვას ზოგადად ჰუმანიტარული მეცნიერების სისტემაში.



*თადეუშ ზელინსკი*

ძველი ისტორიის პერიოდზე ზელინსკიმ შესანიშნავი განათლება მიიღო გერმანიაში. თემაზე – „მეორე პუნიკური ომის უკანასკნელი წლეები“, 1880 წელს, ლაიფციგის უნივერსიტეტში მას დოქტორის წოდება მიენიჭა. 1887 წელს დერპტის უნივერსიტეტში ზელინსკიმ ძველ ატიკურ კომედიებზე დაიცვა დისერტაცია და ამჯერად მას მიენიჭა კლასიკური ფილოლოფიის დოქტორის წოდება.

რუსი მეცნიერი ედ. ფროლოვი (1933-2018 წწ.) შენიშნავდა, რომ ზელინსკიმ „თავისი ფილოლოგიური ოსტატობა ჩააყენა კულტურულ-ისტორიული კვლევების სამსახურში, რომელმაც მოიცვა მთელი ანტიკურობა, ყველა მისი სტადიები, როგორც ბერძნული, ისე რომაული“. მონოგრაფია - „ციცერონი ათასწლეულის სარკეში“ (1912 წ.), უმალ იქცა ბესტსელერად, რომელმაც ავტორს

რუს ანტიკურ მკვლევართაგან პირველს დასავლეთის სამეცნიერო წრეებში პოპულარობა მოუპოვა. ნაშრომში ზელინსკის შესანიშნავად ჰქონდა შენიშნული, რომ ციცერონი მიეკუთვნება იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა სიცოცხლე გრძელდება ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც. ამ შემთხვევაში იგი მართალი იყო. საუკუნეები გავიდა ორატორის გარდაცვალებიდან, მაგრამ ჟამთა სვლამ მის სახელს კიდევ უფრო მეტი ელფერი შესძინა.

ციცერონის (1901 წ.), ოვიდიუსის (1913 წ.) და ლივიუსის თხზულების ფრანგმენტის (1970 წ.) გარდა, ზელინსკის ჰქონდა ნაშრომები ძველი რომის სოციალური და პოლიტიკური ისტორიიდან. რომაული რელიგიის და ქრისტიანობის საკითხებს მიეძღვნა მისი პუბლიკაციები: „ქრისტიანობის მოწინააღმდეგები“ (1907 წ.), „რომის იმპერიის რელიგია“ (2000 წ.), „ანტიკური ქრისტიანობა“ (1999 წ.) და სხვა. რაც შეეხება პოლიტიკურ ისტორიას, ამ მხრივ ზელინსკის შრომებია: „რომის რესპუბლიკა“ (1935 წ.), „რომის იმპერია“ (1938 წ.) და ა.შ.

ზელინსკის შემდგომ, ძველ ისტორიაზე მომუშავე რუს მეცნიერებს შორის, მსოფლიო დონის მეცნიერად აღიარებული იყო მიხეილ როსტოვცევი (1870-1952 წწ.). მისი ფუნდამენტური შრომები ძველი რომის ისტორიაში წლების მანძილზე დარგის მკვლევართათვის დღესაც სამაგიდო ნაშრომებად მიიჩნევა. მას უცნაური ბედი ერგო. მსოფლიო აღიარების მიუხედავად რუსეთში, მარქსისტი ისტორიკოსები მას არ წყალობდნენ და მისი შემოქმედებას ყოველთვის განიხილავდნენ ნეგატიური კუთხით. ოპონენტები ცდილობდნენ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში მისი ყველა დამსახურების მიჩქმალვას. XX ს. 30-40-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფიაში როსტოვცევი მიჩნეული იყო სამეცნიერო მოდერნიზმის ყველაზე რეაქციული ფრთის წარმომადგენლად. 50-60-იან წლებში მის მიმართ კრიტიკა შენელდა და მხოლოდ 90-იანი წლებიდან სამეცნიერო წრეებს ხელახლა მიეწოდათ ღვაწლმოსილი მეცნიერის პუბლიკაციები.

როსტოვცევი გახლდათ ბერლინის (1914 წ.) და რუსეთის (1917 წ.) მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ასევე პეტერბურგის (1901-1918 წწ.), მედისონის (1920-1925 წწ.) და იელის უნივერსიტეტების (1935-1944 წწ.) პროფესორი. პოლიტიკური რეპრესიების გამო, 1918 წელს, იგი ტოვებს რუსეთს და საცხოვრებლად გადადის აშშ, სადაც ახერხებს თავისი სამეცნიერო სკოლის შექმნას. ამ

სკოლაში აღიზარდნენ შემდგომში ცნობილი მეცნიერებები - ე. ბიკერმანი, ა. მომილიანო და სხვ.

რუსი მეცნიერი ძირითადში სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკაზე მუშაობდა. მართალია აღნიშნულ თემატიკას იმ პერიოდის რუსეთში სწავლობდნენ რ. ვიპერი, დ. პეტრუშევსკი და სხვა მეცნიერები, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მათი კვლევის ჰორიზონტი და საკვლევის თემატიკა იყო ვიწრო. მათ არ ჰქონდათ პრეტენზია მსხვილ განზოგადოებულ თეორიების შექმნაზე.

ფართო აღიარება როსტოვცევს მოუტანა ფუნდამენტურმა ნაშრომებმა – „ანტიკური მსოფლიოს ისტორია“ (ტ. I-II, 1926-1927 წწ.), „რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია“ (1926 წ.), „ელინისტური სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური ისტორია“ (ტ. I-III, 1941 წ.). ასევე მას ეკუთვნოდა საინტერესო გამოკვლება - „რომის იმპერიის დაბადება“ (1918 წ.). ნაშრომის მომზადებას უბიძგა 1917-1918 წლებში რუსეთი მიმდინარე პოლიტიკურმა ბატალიებმა.


*მიხეილ როსტოვცევი*

საისტორიო მოვლენების განმეორების პრინციპიდან გამომდინარე, როსტოვცევი, რუსეთში მიმდინარე პროცესების ანალოგს პოულობდა ძველი რომის ისტორიაში, რაც მას ერთობ ორიგინალურად გამოუვიდა. მომზენის მსგავსად მან საინტერესო პარალელები გაუკეთა ძვ.წ. I ს. და მის თანადროულ ეპოქაში მიმდინარე პროცესებზე თუ პოლიტიკოსებზე. მაგ., ისტორიკოსისთვის ლენინი იგივე კატილინაა, ტროცკი-კლოდიუსი, კერენსკი-ციცერონი, ხოლო რეალური რევოლუციონერი მხოლოდ კეისარი. რუსი მეცნიერი რომის ექსპანსიონური პოლიტიკის შეფასებისას ნახულობდა მის კავშირებს თანადროულ გერმანიასთან, ბრიტანეთსა და კართაგენს შორის, ხოლო რუსეთს იგი ამსგავსებდა ძველ სპარსეთს.

სამეცნიერო წრეებში როსტოვცევმა პირველმა აღნიშნა რომაული არმიის როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი მხრიდან მოსალოდნელი საშიშროებების შესახებ, როდესაც მათ სათავეში დგანან ამბიციური პოლიტიკოსები. მაიერის მსგავსად იგი „ციკლური თეორიის“ მომხრე იყო. რუსი ისტორიკოსისთვის I-II სს. რომის

იმპერია წარმოადგენდა დროს, როდესაც ხდებოდა მსოფლიო გაცვლა, სხვადასხვა რეგიონებს შორის ურთიერთობების სახმელეთო და საზღვაო გზების განვითარებით. ისტორიკოსის აზრით, ეს იყო წარმოების და მისი სხვადასხვა მხარეების (ქაღალდის წარმოება...) გაფურჩქვნის დრო. ამას წერდა როსტოვცევი და იქვე ამატებდა, რომ ანტიკურობისთვის დამახასიათებელი იყო ქარხანა-ფაბრიკების არქონა, ორგანიზებული მუშათა კლასის არარსებობა და ა.შ. გვიანდელი რომის ისტორიის პოლიტიკურ მოღვაწეებზე (კეისარი...) საუბრისას როსტოვცევი წერდა, რომ მათ ერთგვარი რევანში მოახდინეს კაპიტალიზმზე. ვინაიდან ჯარისკაცებისთვის ჯამაგირის მიცემით ისინი იძულებული იყვნენ ჩაეტარებინათ პროსკრიპციები, მოეხდინათ მიწების დიდი რაოდენობის ექსპროპიაცია, შეხებოდნენ ქალაქების ინტერესებს და ა.შ. მაშასადამე, მაიერის კვალდაკვალ როსტოვცევი აღიარებდა ანტიკურ სამყაროში კომერციის და მრეწველობის მაღალ დონეს.

„რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიაში“ როსტოვცევი რესპუბლიკის დაცემის, ავგუსტუსის და მისი მემკვიდრეების მიერ პრინციპატის დამყარებას, იგი განიხილავდა პროცესად, რომლის შედეგად ნახევრადფეოდალი ლენდლორდების ხელმძღვანელობით ფერმერთა ერმა განიცადა ტრანსფორმაცია კაპიტალისტურში და კიდევ უფრო ურბანიზებულ სახელმწიფოში. როსტოვცევი მუდმივად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმპერატორებს, როგორც წესი ჰქონდათ პროვინციის ქალაქების ბურჟუაზიის მხარდაჭერა. უკანასკნელი კი მთავარი ძალა იყო ფლავიუსების და ანტონინების დროს.

როსტოვცევის მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მაჩვენებელი იყო მისი მხრიდან რუსულ ენაზე ევროპელ სწავლულთა სხვადასხვა წიგნების თარგმნის ინიციატივა და რედაქტორობა. მისი ხელშეწყობით ითარგმნა - ბ. ნიზეს „რომის ისტორიის და წყაროთმცოდნეობის ნარკვევები“ (1910 წ.), რ. პელმანის, „ანტიკური კომუნიზმის და სოციალიზმის ისტორია“ (1910 წ.), ფ. ბაუმგარტნერის, ფ. პოლანდას და რ. ბაგნერიას – „ელინისტურ-რომაული კულტურა“ (1914 წ.) და სხვ.

რევოლუციამდელ რუსულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში რომაული სამართლის აღიარებული მკვლევარი იყო იოსიფ პოკროვსკი (1868-1920 წწ.). იგი იყო პეტერბურგის (1903 წ.), ხარკოვის

(1912 წ.) და მოსკოვის (1917 წ.) უნივერსიტეტების რომაული სამართლის პროფესორი და სამართალმცოდნე. მის სახელთან არის დაკავშირებული რუსული სამართლის სკოლის შექმნა. მეცნიერის პოპულარობის მანიშნებელია ის ფაქტი, რომ მის ნაშრომებს კვალი ვერ დააჩინა რუსეთში მიმდინარე იდეოლოგიურმა ცვლილებებმა. რევოლუციამდელ და შემდგომი პერიოდის რუსეთში, პოკროვსკის ნაშრომები, სამაგიდო წიგნი იყო რომაული სამართლის სფეროში მომუშავე მკვლევართათვის.

რომაული სამართლის საკითხებზე მიძღვნილი პოკროვსკის პუბლიკაციები იყო ან პოპულარული, ანდა ფუნდამენტური ნაშრომების ხასიათის. ნაშრომმა „ფაქტი და უფლება რომაულ სამართალში“ (ვენა, 1895 წ.) ავტორს აღიარება მოუტანა. ამის გარდა, მეცნიერის პუბლიკაციებიდან გამოვყოფთ: „ლექციები რომაული სამართლის ისტორიაში“ (1904 წ.), „საზოგადოებრივ-სამართლებრივი მიმდინარეობები სამოქალაქო სამართლის ისტორიაში“ (1909 წ.) და „რომაული სამართლის ისტორია“ (1913 წ.). უკანასკნელი ნაშრომის პოპულარობის მანიშნებელია სხვადასხვა წლეებში მისი სამჯერ გამოცემა. წიგნი გათვლილი იყო პროფესიონალი იურისტებისთვის და მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის.



*იოსიფ პოკროვსკი*

XX ს. 20-იანი წლებიდან რუსული ანტიკური ისტორიოგრაფია მარქსისტული მეთოდოლოგიის ჩარჩოებში მოექცა. ქვეყანაში დომინირებულმა იდეოლოგიამ ძირეული ცვლილება მოახდინა ძველი ისტორიის თემატიკაზე მომუშავე მკვლევართა შეხედულებებზე. რევოლუციამდელი მეცნიერებისგან განსხვავებით წინა პლანზე წამოიწია ანტიკური ისტორიის მიმართ განსხვავებული მიზნები, ამოცანები და ცალკეული პერიოდების თუ პრობლემების მნიშვნელობა. ისტორიკოსებისგან ითხოვდნენ მონათა საკითხის და კლასობრივი ბრძოლის თემების წინა პლანზე წამოწევას. ხელისუფლების მხრიდან საუნივერსიტეტო ქსელის კონტროლმა და 30-იან წლებში რუსეთში მიმდინარე რეპრესიებმა დაღი დააჩინა ქვეყანაში ანტიკური ისტორიის სწავლებას. მეცნიერთა ნაწილი პოლიტიკური შეხედულებების გამო ემიგრაციაში წავიდა, სხვები გადაასახლეს, ანდა ფიზიკურად განაადგურეს.

ასეთ ფონზე, ანტიკურ თემატიკაზე მომუშავე საბჭოთა მეცნიერებში ნათელი ფიგურა გახლდა ალექსეი ლოსევი (1893-1988 წწ.). მან საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა. ლოსევმა ერთდროულად ფილოსოფიის და კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი, ღრმა მორწმუნე და 30-იან წლეებში რეპრესირებული. რეაბილიტაციის შემდეგ ლოსევს 1943 წელს honoris causa-ს პრინციპით მიენიჭა დოქტორის წოდება.

განსაცვიფრებელი იყო ლოსევის სამეცნიერო კვლევის ჰორიზონტი. იგი იკვლევდა მუსიკის ფილოსოფიას, ანტიკურ ფილოსოფიას, იყო მთარგმნელი და ისტორიკოსიც. არადა, რეპრესიებიდან დაბრუნებული მეცნიერი პრაქტიკულად ბრმა იყო. მართალია ლოსევს კონკრეტულად რომის ისტორიის შესახებ ზოგადი ხასიათის ნაშრომი არ დაუწერია, იგი უფრო ელინური თემატიკით იფარგლებოდა, მაგრამ მის პუბლიკაციებში - „ანტიკური კოსმოსი და თანამედროვე მეცნიერება“ (1927 წ.), „მუსიკა, როგორც ლოგიკის საგანი“ (1927 წ.), „მითოსის დიალექტიკა“ (1930 წ.), „ანტიკური მითოლოგია ანტიკური კომენტარებით“ (2005 წ.) და ა.შ., მოცემული იყო ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის დადებითი მხარეების კონკრეტული მახასიათებლები. მეცნიერის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მონოგრაფიას - „ანტიკური ესთეტიკის ისტორიას“ (ტ. I-VIII, 1963-1994 წწ.). მრავალტომეულში ავტორის მხრიდან მოცემული იყო ანტიკური სულიერი ტრადიციების ღრმა ისტორიულ-ფილოსოფიური და კულტუროლოგიური საკითხების კვლევა.



*ალექსეი ლოსევი*

ანტიკურ პერიოდზე მომუშავე პირველი თაობის საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენელი იყო სერგეი კოვალიოვი (1886-1960 წწ.). იგი იყო ლენინგრადის უნივერსიტეტი ძველი საბერძნეთი და რომის ისტორიის კათერის გამგე. კოვალიოვი იმ პირთა შორის იყო, რომლის მხრებზე გადაირა ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიის შესახებ საბჭოთა სკოლის შექმნა. მისი წვლილი დიდი იყო ყოფილი სსრკ მასშტაბით ძველი მსოფლიოს ისტორიის სასკოლო (1954 წ.) და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების (1936 წ.) შექმნის საქმეში.

კოვალიოვის შემოქმედება ყოველთვის განიცდიდა სსრკ-ში შექმნილ იდეოლოგიურ წნეხს, რის გამოც ანტიკურ სამყაროში მიმდინარე მოვლენები მასთან მარქსისტული პოზიციებიდან შუქდებოდა. ამ მიზეზებით უნდა აიხსნას, რომ რიგი მოვლენების შეფასებისას მეცნიერი უკიდურესობაში გადადიოდა. მაგ., მისი პოზიცია ცალსახა იყო, როდესაც ძველი რომის დანგრევას იგი მიაწერდა „ერთიან სოციალურ რევოლუციას“. მის პირველ ეტაპს კოვალიოვი ხედავდა ძვ.წ. II-I სს. მონათა აჯანყებებში, იმის მიუხედავად, რომ ეს გამოსვლები გამოყოფილი იყო III-IV სს. არეულობებისგან. მონათა აჯანყებებს კოვალიოვმა არაერთი პუბლიკაცია (1934; 1956 წწ.) მიუძღვნა.

მოგვიანებით, 1947 წელს, რომის რესპუბლიკის მიწურულს მიმდინარე მონათა აჯანყებებზე და მთლიანობაში სამოქალაქო ომებზე კოვალიოვმა ზომიერი და უფრო დამაჯერებელი შეხედულება განავითარა. მისი აზრით, „ძვ.წ. II-I სს. მიმდინარე სამოქალაქო ომები იყო არ უბრალოდ სოციალური, არამედ უფრო რთული რევოლუციური მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო თანადროული ეპოქის მთელი სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების სისტემის წინააღმდეგ“. ეს იყო - წერდა ავტორი – „მებატონეების წინააღმდეგ მონების აჯანყება, პროვინციალების გამოსვლა მჩაგვრელი რომაელების წინააღმდეგ, ეს იყო მიწისთვის სოფლის ღარიბობის, მოქალაქეობისთვის იტალიკების და რომაული დემოკრატიის ბრძოლა ნობილიტეტის წინააღმდეგ. ეს იყო მძლავრი და ხანგრძლივი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ვერ გადაიზარდა რევოლუციაში. იგი ჩახშობილი იყო მონათა აჯანყებების სტიქიურობის და თავისუფალი მოსახლეობისგან მისი იზოლირების, რომაული და იტალიკური დემოკრატიის სისუსტის და რომის მონათმფლობელური სისტემის სიმტკიცის გამო“. სრულქმნი სოციალური რევოლუცია კოვალიოვის მიხედვით განხორციელდა მხოლოდ III-IV სს. და მას უფრო რთული ხასიათი ჰქონდა. ვინაიდან მონებთან ერთად უკვე გამოვიდნენ კოლონები, რომაული საზოგადოების ქვედა ფენები და რომის მეზობელი ბარბაროსი ტომები.


*სერგეი კოვალიოვი*

რომაული სამოქალაქო თემის რაობაზე, პატრიციების და

პლებეების მიმართ საუბრისას, კოვალიოვმა წამოაყენა ე.წ. „კომპლექსური თეორია“. მეცნიერის აზრით, პატრიციუსები თავდაპირველად იყვნენ რომის ძირძველი მოსახლეობა, რომლებიც შემდეგ გახდნენ მისი ელიტური ნაწილი. რაც შეეხება პლებეებს, კოვალიოვის მიხედვით, მათი ფორმირება მოხდა ძალისმიერი თუ ნებაყოფლობითი გზით გადასახლებულებით, მეზობელი დამორჩილებული თემებიდან, უცხო ეთნიკური ელემენტებით (ეტრუსკები) და „გამორიცხული არ იყო ძირეული რომის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დეგრადაციით“.

კოვალიოვი ერთ-ერთი პირველი საბჭოთა ისტორიკოსი იყო, რომელიც იკვლევდა ქრისტიანობის საკითხებს, რასაც მიეძღვნა მეცნიერის შემდეგი პუბლიკაციები: „ქრისტიანობის წარმოშობა“ (1948 წ.), „ქრისტიანობის წარმოშობა და მისი კლასობრივი არსი“ (1051 წ.), „მითი ქრისტეზე“ (1954 წ.) და სხვ. ამ პუბლიკაციებში მეცნიერი მკვეთრად აკრიტიკებდა ევროპელ მეცნიერებს, რომლებიც მისთვის იყვნენ „მითოლოგიური სკოლის“ წარმომადგენლები, ავტორის შენიშვნით „არ სწავლობდნენ ადრეული ქრისტიანობის სოციალ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ისტორიულ წინაპირობებს“.

რიგ საკვანძო საკითხებზე კოვალიოვის მიმართ შენიშვნების მიუხედავად, თანადროული მომენტისთვის, მისი ნაშრომი „რომის ისტორია“ (1948 წ.) ყოფილ საბჭოთა ანტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ სრულ პუბლიკაციად მიიჩნეოდა. შინაარსობრივი და მოცულობითი მხარის გარდა წიგნი დაწერილი იყო მარტივი ენით, რამაც ავტორს პოპულარობა მოუპოვა.

მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე 1934-1941 წლებში ვლადიმერ სერგეევი (1883-1941 წწ.) იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც საბჭოთა განათლების სისტემაში შექმნა უმაღლესი სასწავლებლებისთვის განკუთვნილი ზოგადი სახელმძღვანელოები ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიაში. მისი მონოგრაფია „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. I-II, 1938 წ.) უმალ ითარგმნა სხვადასხვა ენებზე. ეს იყო ლაკონური ენით დაწერილი ნაშრომი რომლის პირველი ტომი დაეთმო მეფეთა ხანას და რესპუბლიკის პერიოდს, ხოლო მეორე ტომი იმპერიის მონაკვეთს და დას. რომის იმპერიის დაცემის საკითხებს. ნაშრომს არ ახასიათებდა ორიგინალობა. მისი დადე-

ბითი მხარე იყო მხოლოდ აუდიტორიისთვის რომის ისტორიის თაობაზე ერთიანი ქარგის მიწოდება.

რომაულ თემატიკაზე სერგეევს სხვა ნაშრომებიც ჰქონდა: „ძველი რომის ისტორია“ (1922 წ.), „მსოფლიო კრიზისი“ (ტ. I-V, 1924 წ.), „ფეოდალიზმი და სავაჭრო კაპიტალიზმი ანტიკურ სამყაროში“ (1926 წ.), „ძველი რომის დიპლომატია“ (1941 წ.). „ტიბერიუსის პრინციპატი“ (1940 წ.) და ა.შ.

მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე სერგეევი მ. პოკროვსკის ზეგავლენის ქვეშ იყო და იგი თვლიდა, რომ ანტიკურ სახელმწიფოებში არსებობდა ფეოდალიზმი ან სავაჭრო კაპიტალიზმი. ახ.წ. III ს. რომის კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად ისტორიკოსს იმპერიის მეურნეობის ერთგვარად კაპიტალისტურში გარდაქმნა მიაჩნდა.



*რობერტ ვიპერი*

რუსულ (საბჭოთა) ისტორიოგრაფიაში ფართო პროფილის მეცნიერი იყო რობერტ ვიპერი (1859-1954 წწ.). მისი სამეცნიერო კვლევის არეალი მოიცავდა ევროპის ისტორიას დაწყებული ძველი პერიოდიდან მეცნიერის თანადროულ დრომდე. მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებული განათლება ვიპერმა 1885-1887 წლებში გაიღრმავა ბერლინის, ვენის და პარიზის უნივერსიტეტებში. ე. კურციუსი, ფიუსტელ დე კულანჟის და სხვების ლექციებმა განსაზღვრეს მისი დაინტერესება მსოფლიო ისტორიის თემატიკით. მოსკოვის უნივერსიტეტში მისი სალექციო კურსები მოიცავდა: ანტიკურ და ახალი ისტორიას, სოციალურ იდეებსა და საისტორიო მეცნიერების მეთოდოლოგიის საკითხებს. იგი უნივერსიტეტის პოპულარულ ლექტორთა რიცხვში შედიოდა.

საბერძნეთ-რომის ისტორიის სხვადასხვა საკითხების (ელინური დემოკრატია...) შესწავლა რ. ვიპერისთვის პრიორიტეტი იყო და ამიტომაც იგი მათ ფართო სპექტრით სწავლობდა. ერთ-ერთი ასეთი საკვანძო საკითხი იყო სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის (აგრარული ურთიერთობების საკითხი, ხელოსნობის განვითარება...) შესწავლა. მაგ., ძველი რომის ეკონომიკის განვითარების ანალიზისას, ისტორიკოსმა მიუთითა რომაული საადგილმამულო მეურნეობის არაერთგვაროვნება. ვიპერმა მასში გამოჰყო ლატიფუნდიები და „კატონისებრი ტიპის“ მამული, როგორც წვრილ

გლეხური მეურნეობა. „კატონისებრი ტიპის“ მამულს ისტორიკოსი „საშუალო ზომის რაციონალურ მეურნეობას“ უწოდებდა და მისი გაჩენის თარიღად ძვ.წ. III-II სს. მიჯნა მიაჩნდა. რაც შეეხება ლატიფუნდიებს, ვიპერის აზრით, მან გავრცელება ჰპოვა ძვ.წ. I ს. უნდა ითქვას, რომ რომაული მეურნეობის არაერთგვაროვნების შესახებ ვიპერისეულმა კონცეფციამ თავისი განვითარება ჰპოვა რუსულ (საბჭოთა) და ევროპულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომში „რომის იმპერიის ისტორიის ნარკვევები“ (1908 წ.), ვიპერი შეეხო მონების შრომის როლს. ისტორიკოსი ერთის მხრივ შენიშნავდა, რომ „რაღაც 200 წლის მანძილზე ძვ.წ. II ს. II ნახ. – ახ.წ. I ს. დასასრულამდე მონის შრომამ და მონათვაჭრობამ არსად მიაღწია ისეთ გაქანებას, როგორც რომში“. ამავე დროს ისტორიკოსი უარყოფდა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ - ტრადიციას, თითქოს მეპატრონეები საერთოდ არ ზრუნავდნენ მონებზე. ისტორიკოსის აზრით, „კაპიტალის დიდი ნაწილი მიდიოდა სწორედ მონათა პერსონალის შეძენაზე..., რაც განაპირობებდა შეძენილი სამუშაო ძალის მიმართ ზრუნვას... რადგანაც არათავისუფალი სამუშაო ძალის დაკარგვის შემთხვევაში იკარგებოდა დაკარგული კაპიტალი“. მართალია ანტიკურ საზოგადოებაში მონათა შრომას ვიპერი მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა, მაგრამ იგი მასში მაინც ვერ ხედავდა ძველი ეკონომიკის სპეციფიკას და ხაზს არ უსვამდა მის მონათმფლობელურ ხასიათს. „მონობის მასობრივი“ განვითარება ისტორიკოსისთვის იყო მხოლოდ „რომაული კაპიტალიზმის“არსებითი ხაზი.

ვიპერისთვის დამახასიათებელი იყო ძველ რომში მიმდინარე პოლიტიკური და იდეოლოგიური მოვლენების ახსნა სოციალური ბრძოლით და კლასთა შორის თანაფარდობით. იგი კულანჟის აკრიტიკებდა, რადგანაც ფრანგი მეცნიერი კლასების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ანიჭებდა რელიგიას, ოჯახს, ძალადობას და რასობრივ საწყისს. გვიან რომაულ რესპუბლიკური სტრუქტურებიდან ვიპერი გამოჰყოფდა: 1. არისტოკრატიას, „მაგნატებს“ და ნობილიტეტს, 2. მხედრებს და „კაპიტალისტებს“ და 3. ქალაქის და სოფლის პლებს.

ევროპული საისტორიო მეცნიერებაში მიღებული თანადროული ტერმინების (იმპერიალიზმი, კაპიტალიზმი...) ანტიკური საზოგადოების მიმართ გამოყენების პრაქტიკა მიღებული იყო ვიპე-

რისთვისაც. საისტორიო პროცესების განმეორებითობის პრინციპიდან გამომდინარე მას ანტიკურობა მიაჩნდა ევროპული კაპიტალიზმის ანალოგი. მსგავსება მისთვის იყო მხოლოდ რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ ჭრილში. ანტიკური და კაპიტალისტური სოციალური სტრუქტურების დაახლოება იწვევდა ძველ საზოგადოების თავისუფალ მოსახლეობაში კლასების გამოვლენას. ამით ხდებოდა ძველი საზოგადოების ძირითადი კლასის - მონების და მათი როლის იგნორირება სოციალურ ბრძოლაში.

გრაკხუსებიდან კეისრამდე მიმდინარე აგრარული საკითხის განვითარებაში ვიპერმა გამოჰყოფდა ორი ხაზი: დემოკრატიული (გრაკხუსების კანონმდებლობა, სატურნინუსი, ლივიუს დრუზუსი და სერვილიუს რულუსი) და არისტოკრატიული (ანტიგრაკხულ კანონმდებლობა, ლივიუს დრუზუს უფროსი, სულა, კეისარი და ტრიუმვირები). ისტორიკოსის აზრით, დემოკრატების და მონარქისტების პროგრამების საერთო თვისება იყო უკანასკნელების მხრიდან პირველების პროგრამიდან უმნიშვნელოვანესი პუნქტების გადმოღება. რესპუბლიკის კრიზისს და დაცემას ისტორიკოსი უკავშირებდა დემოკრატიის „დალუპვას“. ვიპერი წერდა „დემოკრატიის წარუმატებლობით და მისგან გამომდინარე 60-იანი წლების რეაქცია ერთად აღებული შეადგენდნენ რესპუბლიკის კატასტროფას“. ისტორიკოსი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მომზენისეული კონცეფციისა, რომ იმპერიის პოლიტიკური წყობა წარმოადგენდა დემოკრატიის მონარქიულ ორგანიზაციას, რომ იმპერატორები იყვნენ დაბალი ფენების ინტერესების დამცველი, ხოლო კეისარი დემოკრატიის ბელადი და გრაკხუსების საქმის გამგრძელებელი. ვიპერი შენიშნავდა, რომ მომზენის კონცეფცია იყო XIX ს. 50-იანი წლების გერმანიის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების პროდუქტი, როდესაც 1848-1849 წლების რევოლუციების შემდეგ ევროპაში დაიმსხვრა დემოკრატია. ასეთ ვითარებაში „შუა კლასები და მასთან მიმხრობილი ინტელიგენცია შეეცადა გამოსავალი ენახა პოპულარული მონარქიის სახით“.

ვიპერი ერთ-ერთი პირველი იყო რუსულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც მკვეთრად გამოვიდა კეისრის პერსონის პანეგერიკის წინააღმდეგ. ამავე დროს, თანადროული ევროპულ ისტორიოგრაფიის მსგავსად, ისტორიკოსისთვის დამახასიათებელი იყო ანტიკური ეპოქის მიმართ სხვადასხვა მოდერნისტული ტერმინების

(კაპიტალიზმი, იმპერიალისტური პოლიტიკა, რევოლუცია, პროლეტარიატი...) გამოყენება. მეიერის მოდერნიზმის ციკლურობის თეორიიდან გამომდინარე, იგი თვლიდა, რომ „სამეურნეო ცხოვრება ძველად იყო უფრო რთული და მან ნატურალური, ქალაქური და სახალხო მეურნეობის სახით გაიარა სამი საფეხური".

მეცნიერი ეკუთვნოდა საბჭოთა მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომლებიც ქრისტიანობის წარმოშობის მითოლოგიური თეორიის მომხრე იყვნენ. ამ თემაზე მისი სოლიდური ნაშრომებია: „ქრისტიანობის აღმოცენება" (1918 წ.), „ქრისტიანული ლიტერატურის აღმოცენება" (1946 წ.) და „რომი და ადრეული ქრისტიანობა" (1954 წ.). ვიპერისთვის დამახასიათებელი იყო იესო ქრისტეს რეალობის უარყოფა. ქრისტიანობის აღმოცენებას იგი ათარიღებდა არა I ს-ისთ, არამედ II ს. რაც შეეხება ქრისტიანულ ლიტერატურის აღმოცენებას, მას იგი II ს. მიწურულით ათარიღებდა. ქრისტიანობასთან დაკავშირებით მეცნიერის პოზიცია არ იქნა გაზიარებული სამეცნიერო წრეებში, რადგანაც ვიპერის მხრიდან გამოთქმული ვარაუდები წინააღმდეგობაში მოდიოდა საისტორიო მეცნიერებაში არსებულ რიგ მონაცემებთან (არქეოლოგიური მონაპოვარი, I ს. სახარებისეული ფრაგმენტებით არსებული პაპირუსები...).


ნიკოლოზ მაშკინი

რომის რესპუბლიკის კრიზისის და დაცემის შესახებ რუსულ (საბჭოთა) ისტორიოგრაფიაში მომზენისეულ და მაიერისეულ ტრადიციებს შეჯამება გაუკეთა ნიკოლოზ მაშკინმა (1900-1950 წწ.). მისი მონოგრაფია „ავგუსტუსის პრინციპატი" (1949 წ.) მართალია მიძღვნილი იყო ოქტავიანეს მმართველობაზე, მაგრამ ნაშრომის შესავალში და წიგნის პირველ ნაწილში საუბარი იწყება ძვ.წ. 62 წლის მოვლენებით. ამასთან, მოვლენების აღწერისას ავტორი ფართოდ იყენებს ციცერონის, სალუსტიუსის და სხვა წყაროებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავად არის მასთან გადმოცემული კეისრის სიკვდილის შემდგომი პერიოდის რომის შიდაპოლიტიკური ბრძოლის ბატალიები. მაშკინის წიგნი იყო შესანიშნავი გამოკვლევა, რომელიც დაფუძნებული იყო მაშინდელი მსოფლიო ანტიკური საისტორიო მეცნიერების მიღწევებზე და ვიტყვით, რომ მას ვერ ამცირებს ცალკეულ საკითხებზე

დღევანდელი მეცნიერების მხრიდან ახლებული ხედვა. მონოგრაფიისთვის, სიკვდილის შემდეგ (1951 წ.), მაშკინი სტალინური პრემიით დაჯილდოვდა.

მაშკინი იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1939 წ.), ძველი მსოფლიო ისოტიის კათედრის გამგე (1943 წ.) და ჟურნ. „Вестник древней истории"-ს მთავარი რედაქტორი. მაშკინი იყო საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედი „ძველი რომის ისტორიის" (1947 წ.) სახელმძღვანელოს ავტორი. წიგნის პოპულარულობის მანიშნებელი იყო მისი მრავალჯერადი თარგმნა-გამოცემა სხვადასხვა ენებზე.

მეცნიერის კვლევის სფერო იყო რომის რესპუბლიკიდან იმპერიისკენ გადასვლის პრობლემები. იგი ასევე იკვლევდა პროვინციების რომთან ურთიერთობებს, კულტურის, რომაული აფრიკის საკითხებს და ა.შ. აღნიშნულ თემატიკაზე მისი ნაშრომებია: „აგნოსტიკები და ცირკუმცელიონები თეოდოსის კოდექსში" (1938 წ.), „ესხატოლოგია და მესიანიზმი რომის რესპუბლიკის ბოლო პერიოდში" (1946 წ.), „ძვ.წ. II-I ს-ბის რომის პოლიტიკური პარტიები" (1946 წ.), „ძველი რომის ისტორია" (1947 წ.), „რომის იმპერიის ისტორია" (1949 წ.). „რომაულ აფრიკაში მონების და კოლონების რევოლუციური მოძრაობის საკითხისათვის" (1949 წ.) და სხვა მრავალი სტატია.

რომის ისტორიის აგრარულ და ყოფით საკითხებზე მუშაობდა მარია სერგეენკო (1891-1987 წწ.). იგი იყო ფილოლოგი და ანტიკური ისტორიის ერთ-ერთი წონადი მკვლევარი. ძველი რომაელი აგრონომების – ვარონის, კატონის და კოლუმელას შრომებზე დაყრდნობით, სერგეენკომ აჩვენა, რომ რომაულ ეკონომიკაში მინდვრის კულტურებიდან მევენახეობა-მებაღეობაზე გადასვლის მნიშვნელობაზე. აღნიშნულ საკითხებს მეცნიერმა მიუძღვნა: „ნარკვევები ძველი იტალიის სოფლის მეურნეობიდან" (1958 წ.). რომის ყოფით საკითხებზე მისი ნაშრომებია: „ძველი რომის ხელოსნები" (1968 წ.), „ძველი იტალიის უბრალო ხალხი" (1964 წ.) „ძველი რომის ცხოვრება" (1964 წ.) და ა.შ.

სერგეენკოს მთარგმნელობითი საქმიანობიდან აღსანიშნავია ნეტარი ავგუსტინეს „აღსარების" (1975 წ.), ტერტულიანეს „მონანიების შესახებ", პლინიუს უმცროსის „წერილების" (1984 წ.), ტიტუს ლივიუსის ფრანგმენტის და სხვა წყაროების თარგმნა.

II მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა (რუსულ) ისტორიოგრაფიაში ძველი რომის ისტორიის კვლევის სფეროში გამორჩეული ფიგურა იყო სერგეი უტჩენკოს (1908-1976 წწ.). იგი იყო მსოფლიო დონის მეცნიერი, ლენინგრადის და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორი, ჟურნალ ВДИ-ის და მრავალტომეულის „მსოფლიო ისტორიის" მეორე ტომის (1956 წ.) მთავარი რედაქტორი და ა.შ.

უტჩენკოს სამეცნიერო კვლევის სფეროში იყო რესპუბლიკის დაცემის ეპოქის პოლიტიკური იდეები, თეორიები და პოლიტიკოსთა ცხოვრებები. მას აღიარება მოუტანა მონოგრაფიამ - „იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა რომში რესპუბლიკის დაცემის წინ" (1952 წ.). აღნიშნული საკითხით მეცნიერის დაინტერესება არ იყო შემთხვევითი. საქმე იმაშია, რომ რესპუბლიკის დაცემა გამოიწვია სამხედრო დიქტატურამ, რომელიც არსებითად დამყარდა სოციალური წინააღმდეგობების გამწვავების და კლასობრივი ბრძოლის გაღრმავების პირობებში. ცხადია, რომ ამ წინააღმდეგობებმა და ბრძოლამ შესაბამისი ასახვა ჰპოვეს ძვ.წ. II-I ს-ბის იდეოლოგიურ ცხოვრებაში.


*სერგეი უტჩენკო*

მონოგრაფიაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბერძნული „πόλις"-ის და რომაული „civitas"-ის ისტორიულ როლის შესახებ. მათი არსის განმარტებისას, უტჩენკო შენიშნავდა, რომ ისინი ანტიკური სამოქალაქო თემის მსგავსი ფორმები იყო, რომელთა სპეციფიკური მხარეები პოულობდნენ ანარეკლს საბერძნეთის და რომის საზოგადოების განვითარების პროცესებში. პოლისური სტრუქტურის რანგში რომზე საუბრისას, ისტორიკოსი თვლიდა, რომ მონათმფლობელური წარმოების განვითარებამ გამოიწვია წვრილ მიწათმფლობელთა ფენის „გამორეცხვა" და მათი საფუძვლების „მსხვრევა". ყოველივემ საბოლოო ჯამში გამოიწვია რესპუბლიკური პოლისური სისტემის კრიზისი.

XX ს. 60-70-იანი წლები უაღრესად ნაყოფიერი დარჩა უტჩენკოსთვის. სულ რაღაც თორმეტი წლის მანძილზე ძველი რომის ისტორიის თემატიკაზე მან გამოაქვეყნა: „რომის რესპუბლიკის კრიზისი და დაცემა" (1965 წ.), „ისტორიკოსის თვალით" (1966 წ.), „ძველი რომი. მოვლენები. ხალხი. იდეები" (1969 წ.), „ციცერონი

და მისი დრო“ (1972 წ.), „იულიუს კეისარი“ (1976 წ.) და „ძველი რომის პოლიტიკური სწავლებები“ (1977 წ.). მათში უტჩენკომ მაქსიმალურად წარმოაჩინა ძვ.წ. I ს-ის პოლიტიკურ მოღვაწეთა მთელ გალერეა: ციცერონი, კეისარი, კატილინა, კრასუსი, პომპეუსი... და სხვ., თუნდაც ნაკლებად ცნობილ პოლიტიკოსებზე, თითოეულ მათგანზე ავტორს მოძიებული ჰქონდა დეტალური მასალა და ამით მკითხველისთვის ძველ რომაული სამყაროდან შექმნილი იყო საინტერესი, ობიექტური და ნათელი პორტრეტები. მაგ., კეისართან მიმართებაში მეცნიერი იცავდა თეზის დიქტატორის მხრიდან მონარქიის დამყარების შესახებ მისწრაფებების არქონაზე და კეისრის ყველა ქმედება გააზრებული ჰქონდა მიმდინარე პოლიტიკური ამოცანებით. რაც შეეხება პრინციპატის იდეოლოგიურ მომზადებაში ციცერონის როლს, მეცნიერმა ორატორის მიმართ ისტორიოგრაფიაში (ვიპერი...) გავრცელებული შეხედულებები, როგორც მონარქიის შეგნებულ აპოლოგეტზე უარყო და მისი ტრაქტატის „De re publica“-ს საფუძველზე დაადგინა დიდი რომაელის ტრადიციული არისტოკრატიულ-რესპუბლიკური პოზიცია.

უტჩენკოს მონოგრაფია - „რომის რესპუბლიკის კრიზისი და დაცემა“, წარმოადგენს ავტორის მხრიდან სხვადასხვა წლეებში გაჟღერებული შეხედულებების მთლიანობაში მოყვანის ცდას. მასში განხილულია რომი-პოლისის, კომიციალური წყობის კრიზისის, პლებეების და მონების ურთიერთობების, ძვ.წ. I ს-ში არმიის როლი, რომის მოქალაქეობის პრობლემის და კეისრის დიქტატურის არსის საკითხები. მარიუსის, სულას და კეისრის მაგალითზე უტჩენკომ აჩვენა არმიის როლი რომაული პოლიტიკის ცხოვრებაში. ავტორის აზრით, არმიის პროფესიონალურ სტატუსზე გადაყვანამ და მისმა აქტიურად ჩართვამ პოლიტიკურ ცხოვრებაში დააჩქარა რომში რესპუბლიკური წყობის შეცვლა.

გრაკხუსებიდან დაწყებული ოქტავიანეთი დამთავრებული პერიოდი უტჩენკომ განსაზღვრა, როგორც სოციალური რევოლუციის ეპოქა, რაც მეცნიერის აზრით გამოიხატა პოლიტიკური და საკუთრების ფორმების შეცვლით. ამასთან, უტჩენკომ მასში დაინახა რევოლუციური მოძრაობის ორი ხაზი - გლეხურ-აგრარული და მონური. რევოლუციური მოძრაობის კულმინაციად იგი თვლიდა მოკავშირეთა ომს და იტალიელი გლეხობის მასობრივ აჯანყე-

ბებს, რომლის შედეგად რომმა დაკარგა პოლისის სტატუსი. შემდგომში, მეცნიერმა დააზუსტა, რომ სამოქალაქო ომი ეს იყო ბრძოლა მმართველი კლასის ორ სხვადასხვა ფრაქციას შორის, რომელიც ცდილობდა მის სასარგებლოდ გამოეყენებინა სოციალური რევოლუციის შედეგები.

რომის რესპუბლიკის კრიზისის უმთავრეს ნიშნად უტჩენკო მიიჩნევდა სახალხო კრების, იგივე კომიციის, როგორც „მიწათმფლობელების და მონათმფლობელების ინტერესების გამომხატველის", როლის დაცემაში. მეცნიერმა ამავე ჭრილში განიხილა რომაული არმიის საკითხი, რომელშიც სახალხო რაზმელი ჩაანაცვლა პროფესიონალმა მეომარმა. მანვე ხაზი გაუსვა ვეტერანთა მიწათმფლობელობის როლს პოლიტიკურ ბრძოლაში. უტჩენკოს მსჯელობით, რომაული არმია უნდა განვიხილოთ არა „დეკლასირებული კორპორაციად, არამედ, როგორც ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ძალად, რომელსაც არ ჰქონდა კავშირი საკუთრების ანტიკურ ფორმასთან და სამოქალაქო თემთან".

ნაშრომში - „ძველი რომის პოლიტიკური სწავლებები", მეცნიერი შეეხო ძვ.წ. III-I სს. ანტიკური სამყაროს ძირითადი ბირთვის – პოლისის კრიზისის სოციალურ-პოლიტიკური საკითხებს, რომაული ისტორიოგრაფიის განვითარების ტენდეციებს, საუკეთესო წყობის შესახებ სხვადასხვა სწავლებებს, იდეალური მოქალაქის და მმართველის საკითხებს. მონოგრაფიაში უტჩენკომ შეჯამება გაუკეთა რომაული ტრადიციული სისტემების ღირებულებებს. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ პრინციპატის დამყარებისას რომში უკვე ძველი ღირებულებების მნიშვნელობის გაგება არსებითად შეცვლილი იყო. პოლისური ღირებულების შკალა, რომელიც ემყარებოდა „მონაწილეობის კავშირს" (თემი – მოქალაქე), მისი აზრით, ადგილი დაუთმო ახალს, რომელიც დაფუძნებული იყო „ქვემდებარეობის კავშირზე" (იმპერია – ქვეშევრდომი). რომაული საზოგადოების მიერ გავლილი გზა, უტჩენკოს აზრით, „შეიძლება განისაზღვროს ლაკონური ფორმულით, პოლისიდან იმპერიისკენ და მოქალაქეობიდან ქვეშევრდომობისკენ".

საბჭოთა (რუსულ) ისტორიოგრაფიაში ძველი რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების წონადი მკვლევარი იყო ელენა შტაერმანი (1914-1991 წწ.). მისი ძირითადი ნაშრომები იყო: „მონათმფლობელური წყობის კრიზისი რომის იმპერიის და-

სავლეთ პროვინციებში“ (1957 წ.), „რომის იმპერიის ჩაგრულ კლასთა მორალი და რელიგია“ (1961 წ.), „ რომის რესპუბლიკაში მონათმფლობელური ურთიერთობების გაფურჩქვნა“ (1964 წ.), „მონათმფლობელური ურთიერთობები ადრეულ რომის იმპერიაში“ (1971 წ.), „ანტიკური კულტურის კრიზისი“ (1975 წ.), „ძველი რომი. ეკონომიკური განვითარების პრობლემები“ (1978 წ.) და „ძველი რომის რელიგიის სოციალური საფუძველი“ (1987 წ.). მაგ., უკანასკნელ ნაშრომში ავტორი წარმოაჩენს რომაულ რელიგიას ევოლუციას მისი საწყისიდან ახ.წ. III ს-მდე ისტორიის მონაკვეთში. ავტორი წარმოაჩენს რელიგიის როლს და ადგილს რომაულ ფასეულობათა სისტემაში. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საიმპერატორო კულტის აღმოცენებას. პუბლიკაციაში რომაული რელიგია წარმოდგენილია როგორც სოციალური მოვლენა, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ძველ რომაული ცხოვრების ყველა სფეროზე.

ზემოთ თქმულის გარდა, შტაერმანი, მონაწილეობდა „მსოფლიო ისტორიის“ (ტ. II, 1956 წ.), „ძველი რომის კულტურის“ (ტ. I, 1985 წ.) და „ევროპის ისტორიის“ (ტ. I, 1988 წ.) კაპიტალური შრომების შექმნაში. მასვე ეკუთვნოდა სხვადასხვა შინაარსის ლათინური წყაროების თარგმანი და სხვა მრავალი სტატია.

საბჭოთა (რუსულ) ისტორიოგრაფიაზე საუბარს დავასრულებთ ია მაიაკის (1922-2018 წწ.) ფუნდამენტური ნაშრომია - „პირველი მეფეების რომი“ (1983 წ.) საუბრით. მაიაკი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი სამეცნიერო-კვლევის სფერო გახლდათ რომის უძველესი ისტორიის და მეფეთა ხანის პერიოდის საკითხების კვლევა. უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერის ნაშრომმა იმთავითვე მიიპყრო სამეცნიერო წრეების ყურადღება. საქმე იმაშია, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე ისტორიოგრაფიაში გავრცელებულმა ანტიკური წყაროებისადმი და რომის ადრეული ისტორიის მიმართ ჰიპერკრიტიკულმა მიდგომამ, ძვ.წ. III ს-მდე, „მარადიული ქალაქის“ ისტორიის მხოლოდ ცალკეული საკითხები მიიჩნეოდა რეალობად. მაშასადამე, დროის მოთხოვნა იყო, რომ ძველი რომის ისტორიის ადრეულ პერიოდზე განსხვავებული ხედვის ნაშრომი მომზადებულიყო. წიგნში გათვალისწინებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საისტორიო მეცნიერების ყველა მიღწევები (ისტორიოგრაფია, არქეოლოგია...). ერთი შეხედვით ავტორის ჰო-

რიზონტი თითქოს მხოლოდ ორი მეფის – რომულისის და ნუმას გარშემო იფარგლება, რადგან მათი მეფობისას იწყება რომის სახელმწიფოს და პოლისის ფორმირება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეცნიერი ასევე იძლევა ძველი რომის წინაისტორიის დეტალურ ანალიზს, რაც მის მხრიდან შემაგრებული იყო არქეოლოგიური და ლინგვისტური მონაცემებით.

წიგნში განმარტებული არის „პოლისი“-ს, „ქალაქი“-ს არსი და სხვადასხვა ტიპის თემები. ნაჩვენებია, რომ პოლისი იყო საქალაქო სამოქალაქო თემის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც დამახასიათებელი იყო მხოლოდ ანტიკური საზოგადოებებისთვის. ძველი რომის გვაროვნული სისტემის თავისებურებად ავტორს მიაჩნდა ნათესაობის ხაზის მეექვსე-მეშვიდე თაობაზე განსაზღვრა. კლიენტები მაიაკის აზრით იყო დამოკიდებულების პრიმიტიული ფორმა. ავტორი მიიჩნევდა, რომ განსახილველ პერიოდში ძირითადში გავრცელებული იყო მიწის კოლექტიური საკუთრების ფორმები. რომულუსის და ნუმას სახელმწიფოებრივი რეფორმები (სასამართლოს რეფორმა...) მეცნიერის აზრით ემსახურებოდა მხოლოდ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას და იწვევდა სენატის მიმართ კონფლიქტს.



*ია მაიაკი*

*ქართული ისტორიოგრაფია*

ძველი რომის ისტორიის შესახებ მიძღვნილ ზღვა ლიტერატურაში მოკრძალებული ადგილი უკავია ქართული ისტორიოგრაფიასაც. ევროპულ ანტიკურ საისტორიო მეცნიერებასთან შედარებით იგი მწირია, მაგრამ ვალდებული ვართ მკითხველს მივაწოდოთ ეროვნული მეცნიერების მიღწევები. რომაული სამყარო ზოგადად უცხო არ იყო ქართული აზროვნებისთვის, მაგრამ იგი არ გამხდარა სისტემური კვლევის საგანი და მის შესახებ წარმოდგენები გამოიხატებოდა მხოლოდ ისტორიის ცალკეული პასაჟების (ქრისტიანობა...) ცოდნით. მიზეზ-გარემოებების (პოლიტიკური...) გამო, ფეოდალური ხანის საქართველოში, არ ხერხდებოდა მკითხველისთვის სისტემური სახის ფუნდამენტური ანდა ნათარგმნი წიგნების მიწოდება.

ქართული აზროვნებისთვის რომი (ბიზანტია) ყოველთვის

მახლობელი იყო. კონსტანტინოპოლი, იგივე „მეორე რომი“, ქართველების აზროვნებაში „მსოფლიო დედაქალაქის“ სტატუსის ქალაქი იყო. არსებითად, რომი (ბიზანტია) იყო დასავლური და აღმოსავლური კულტურების შემაკავშირებელი. ის იყო ქვეყანა, სადაც საგანმანათლებლო სივრცეში მოხდა ანტიკური განათლების შერწყმა შუა საუკუნეების კულტურასთან. ბიზანტიაში მოღვაწეობდა არაერთი ქართველი (გიორგი მთაწმინდელი...), რომლებიც საღვთისმეტყველო საქმიანობის გარდა იქ ეუფლებოდნენ განათლებას. ისინი მონაწილეობდნენ რომის პაპების და ზოგადად კათოლიკეების წინააღმდეგ დოგმატური საკითხების თაობაზე კამათში. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1438-1439 წელს ფერარა-ფლორენციის კრების მონაწილე ქართველების პოზიცია. ცხადია, დოგმატური საკითხების თაობაზე კამათში მონაწილეობა მოპაექრის მხრიდან ითხოვდა ღრმა განსწავლულობას თეოლოგიურ და საისტორიო საკითხებში.

ამის გარდა, ფეოდალურ საქართველოში გახსნილ აკადემიებში (გელათი...) სასწავლო პროცესი ბიზანტიური სკოლების პრინციპებზე იყო აგებული. სხვა საგნებთან ერთად იქ ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ანუ მოძღვრება ღმერთის არსის და ყოფის შესახებ.

რომი-ბიზანტიის ისტორიის ცოდნა ქართველებისთვის პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი იყო. ბრძოლა რომის (ბიზანტია) მემკვიდრეობისთვის და ქართული იმპერიის შექმნის პროცესი აისახა საქართველოს მეფეების ტიტულატურაში. მაგ., მეფე თამარი იწოდებოდა: „მეფე აფხაზთა, რანთა კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა – დიოფალ-დიოფალი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელი ალექსანდრიან ავგუსტუსიანთა“. „ავგუსტუსიანი“ კი ნიშნავს ძველ რომში პრინციპატის სისტემის შემქნელ გაიუს იულიუს ოქტავიანე ავგუსტუს. მაშასადამე, მეფე თამარის ტიტულატურაში რომის პირველი იმპერატორის ხსენება მითიუთებდა, რომ XII ს. ქართულ აზროვნებაში მომწიფებული იყო რომი-ბიზანტიის მსგავსი მსოფლიო იმპერიის შექმნის ცდა.

სამწუხარო, ფეოდალური ხანის მწერლობიდან, ჩვენ მხოლოდ „ქართლის ცხოვრები“-ს მეშვეობით შეგვიძლია ვისაუბროთ ძველი რომის ისტორიის თაობაზე არსებული წარმოდგენების შესახებ. საერთოდ, „ქართლის ცხოვრება“, ვეფხისტყაოსანი და სახარება იყო ის ძირითადი წიგნები, რომლებითაც ფეოდალური

ხანის საქართველოში განისაზღვრებოდა ქართველის ინტელექტი.

„ქართლის ცხოვრება“ ძველი ქართული საისტორიო თხზულებათა კრებულია, რომელშიც გადმოცემული იყო ქართველი ერის ისტორიის გაბმული თხრობა უძველესი დროიდან XVI ს-მდე. კრებულში შესული იყო სხვადასხვა ავტორების მიერ შესრულებული თხზულებები (ლეონტი მროველის - „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“; ჯუანშერიანის - „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“ და ა.შ). არსებითად, „ქართლის ცხოვრება“ იყო სამაგიდო წიგნი და მის მეშვეობით აუდიტორიისთვის ხდებოდა საქართველოს ისტორიის და მის გარე სამყაროს გაცნობა. კრებულში საყურადღებო ცნობები მოიპოვება სომხეთის, ბიზანტიის და სხვა ქვეყნების თუ ხალხთა ისტორიების შესახებ.




უნდა შევნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ძველი რომის ისტორიის შესახებ ცნობები მწირია და იგი არ იძლევა ქვეყნის ისტორიის შესახებ სისტემური ცოდნის შექმნის შესაძლებლობას. წესით კრებულში ასახული უნდა ყოფილიყო საქართველო-რომის ურთიერთობების მოვლენები. მხედველობაში გვაქვს ძვ.წ. I და ახ.წ. I-II სს. რიგი ფაქტები - პომპეუსის ლაშქრობა, ფარსმან I და ფარსმან II-ის ურთიერთობები რომთან და ა.შ. სამწუხაროდ, ისტორიის ეს მონაკვეთი კრებულის ყურადღების მიღმა დარჩა.

კრებულში „რომი“ გამოყენებული არის სხვადასხვა ვარიაციებში („ჰრომნი“...). იგი გამოიყენება ადამიანის საკუთარი სახელის („ჰრომოსი“), ქალაქის და ქვეყნის აღმნიშვნელად. ქვეყნის სინონიმად საუბრისას უნდა შევნიშნოთ, რომ მემატიანე „რომის“ ქვეშ მოიაზრებდა ანტიკური რომის იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებსაც. უკანასკნელის მიმართ მემატიანე ხშირად საბერძნეთსაც მოიაზრებდა. ამ შემთხვევაში ნაწილობრივ ფიქსირდება ისტორიული რეალობა, რადგანაც იმ პერიოდში მსოფლიო რუკაზე ბიზანტია, როგორც სახელმწიფო არ არსებობდა. მართალია „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებია ბიზანტია, მაგრამ იგი არის მხოლოდ პიროვნების სახელის და ქალაქის სინონიმად.

ქართლის ცხოვრების კრებულში შემავალი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი XIII ს-ში მონღოლთა გამოჩენის ფაქტთან დაკავშირებით ახსენებს „...რომისა და რომოსიონთა ქვეყანასა განაგებდა ოთხი იპატოსნი“. ამ შემთხვევაში „რომოსიონთა ქვეყანასა“-ში იგულისხმება აღმოსავლეთ რომის იმპერია, იგივე ბიზანტია. რაც შეეხება კონტექსტში ნახსენებ „რომს“, მასში იგულისხმება იმპ. დიოკლეტიანეს (284-305) პერიოდის ანტიკური რომის ოთხთა მმართველობა.

კრებულში ნახსენები არის რომის პაპი - „წმინდისა პატრიარქმან ჰრომისამან“. ქართლის გაქრისტიანების და წმ.ნინოს მისიონერული მოღვაწეობის ამბებთან დაკავშირებით მემატიანე წერდა: „მათ დღეთა შინა მოვიდა წიგნი ჰრომით, წმიდისა პატრიარქისა“. ამ შემთხვევაში დაფისირებულია წმ. საყდრის როლი გაქრისტიანების საქმეში. ამ პასაჟის გაგრძელებაა ...„ვიყო მორჩილ ნინოსა ზედა ჰრომთასა“. კრებულში ნახსენებია: „ვიგილიოს წმიდისა ჰრომთა პაპისა“. ამ შემთხვევაში მემატიანეს მხედველობაში ყავდა რომის პაპი ვიგილიუსი, რომელმაც უარი განაცხადდა მონაწილეობა მიეღო 553 წელს კონსტანტიპოპოლში მიმდინარე მეხუთე მსოფლიო კრების მუშაობაში.

დღეს რთულია კონკრეტულად იმ წყაროს დასახელება საიდანაც უნდა ამოეღო მემატიანეს „რომი“ და პაპებთან დაკავშირებული ინფორმაციები. ამ შემთხვევში ჩვენ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვისაუბროთ. უდავოა, რომ ქართულ ცნობიერებაში ინფორმაციები სხვადასხვა გზით შემოდიოდა. შეიძლება აქ ვიგულისხმოთ კრებულის პირით გაჟღერებული ოფიციოზის პოზიცია. ინფორმაციების მიღება ხდებოდა ბიზანტიური სამყაროდან, სადაც აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართველები, ანდა უშუალოდ წმინდა ტახტთან ურთიერთობების შემთხვევაში. ჩვენ მაინც გამოვყოფთ ბიზანტიურ (რომაულ) საისტორიო სკოლის ტრადიციებს. იქ არსებული განათლების კლასიკური სისტემა (უმაღლესი სკოლა - აუდიტორიუმი, აკადემიები...) ხელმისაწვდომი იყო ქართველებისთვისაც. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ XI-XII ს-ბის პერიოდი როდესაც მიმდინარეობდა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველ ვარიანტების შედგენა, იგი დაემთხვა კომნენოსების პერიოდის ისტორიოგრაფიას, რომელიც იყო ბიზანტიური საისტორიო აზროვნების მწვერვალი. ცხადია ბიზანტიელი

(რომაელი) ისტორიკოსების შრომები ხელმისაწვდომი იყო იქ მოღვაწე ქართველებისთვისაც (საერო და საეკლესიო).

„ქართლის ცხოვრებაში" რომის ისტორიის ცალკეული პასაჟები ან პიროვნებები ნახსენები არის ქართველ მეფეებთან შედარების მომენტში ან რაიმე ფაქტთან დაკავშირებით. კრებულში ნახსენები არის კარქედონი (კართაგენი - კ.ს.), პიროსი, იოსიპოს ებრაელსა (ფლავიუსი - კ.ს.), პლუტარხოსი (პლუტარქე - კ.ს.), ავლიუსტიანე (ავგუსტუსი - კ.ს.), უესპასიანე (ვესპასიანე - კ.ს.), ტიტუსი და ა.შ. მაგ., საეკლესიო რეფორმის თაობაზე საუბრისას, დავით აღმაშენებელი (1089-1125 წწ.), შედარებულია კონსტანტინე დიდთან: „და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით". ანდა „მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე" (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი).

ჯალალ ედ-დინის მიერ 1226 წელს თბილისის დაუფლება შედარებულია ვესპანსიანეს და ტიტუსის მიერ ახ.წ. 70 წელს იერუსალიმის აღების ფაქტთან: „რომელნი თანააშესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცემელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტუს უესპასიანეს მიერ" („ჟამთააღმწერელი").

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს ისტორიკოსისთვის გიორგი III (1156-1184 წწ.) მეორე კონსტანტინე დიდია. მეფე თამარის (1184-1213 წწ.) გარდაცვალების ფაქტზე საუბრისას მემატიანე ახსენებს კონსტანტინე დიდის ძმისშვილს ივბიმიანოსს (იობიანოსი – კ.ს.). იგი რომის იმპერატორი იყო 363-364 წლებში. მის შესახებ ცნობები, სავარაუდოდ, მემატიანეს უნდა ამოეღო „ივლიანეს რომანიდან", რომელიც ეხებოდა იობიანოსის და იულიანე განდგომილის ცხოვრებას. ბასილი ეზოსმოძღვარი (XIII ს.) მეფე თამარის შესახებ ამბობდა: „სჯულთათჳს სულიერთა მეორე კონსტანტინე იქმნებოდა".

ასეთია მოკლედ „ქართლის ცხოვრებაში" რომაული სამყაროს შესახებ დაცული ცნობები. ფაქტია, რომ ისინი მწირია და ძველი რომის ისტორიის ცოდნის თვალსაზრისით იძლეოდა მხოლოდ ემპირიულ წარმოდგენებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომი რომელშიც მოკლედ, მაგრამ ზოგად ჩარჩოში გადმოცემული იყო ძველი რო-

მის ისტორია გახლდათ იოანე ბატონიშვილის (1711-1832 წწ.) „კალმასობა“. იგი გამორჩეული ფიგურა გახლავთ XVIII-XIX სს. მიჯნაზე ქართულ აზროვნებაში, რამდენადაც იყო ენციკლოპედიური ტიპის მოაზროვნე. მის მრავალრიცხოვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „კალმასობას“. მართალია, იგი კომპილაციური ნაშრომია, მაგრამ ამ თხზულებით ნათლად ჩანს არა მარტო იოანე ბატონიშვილის განსწავლულობა, არამედ ზოგადად, თანადროული პერიოდის ქართული საისტორიო მეცნიერების დონე.

„კალმასობა“ შერქმეული სახელია და ნიშნავს მონასტრისთვის სარჩოს მოპოვებას. თხზულებას ავტორმა „ხუმარსწავლა“ უწოდა. მისი მიზანდასახულობა ნათელია - ხუმრობის მოშველებით, დიალოგის ფონზე, მკითხველი აზიაროს მეცნიერულ ცოდნას. „კალმასობაში“ გადმოცემულია საქართველოს და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა საკითხები. ავტორი საუბრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ისტორიის შესახებ - „ისტორია პორტუღალიისა“, „ისტორია ანტილიისა“, „ისტორია კიტაისათვის“ და ა.შ. ჩამოთვლილთა შორის ავტორი ჩერდება ძველ რომზეც. საერთოდ, ი. ბატონიშვილისთვის დამახასიათებელი იყო საბერძნეთისგან განსხვავებით რომის ისტორიის წინა პლანზე წამოწევა.



*იოანე ბატონიშვილი*

ძველი რომის ისტორიაც დიალოგის ფონზე არის გადმოცემული. დღეს, ბატონიშვილისეული თხრობა ღიმილსაც იწვევს, მაგრამ XIX ს. ფონზე იგი პირველი შემთხვევა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, როდესაც მკითხველს მოკლე ფორმით მიეწოდა ძველ რომის ზოგადი ისტორია. რომის ისტორიის პერიოდიზაციასთან დაკავშირებით ი. ბატონიშვილი გამოჰყოფდა სამ პერიოდს - მეფეთა, რესპუბლიკის, რომელსაც ავტორი „კონსულთათვის“ უწოდებს და „კეისართაგან“, იგივე იმპერიის ხანას. ავტორმა იცის შვიდივე მეფის არსებობა. მართალია მათი სახელები მასთან დამახინჯებული ფორმით (მაგ., ტულიღოსტილმანი, ანკამარკინა, თარაკიან პრისკი...) არის გადმოცემული, მაგრამ ამის მიუხედავად, შემჭიდროებული ფორმით მოთხრობილია მათი მმართველობა. რეს-

პუბლიკის პერიოდის ისტორიიდან ნახსენები არის მხოლოდ ბრუტუსი და ციცერონი, ხოლო დიქტატორებიდან მარიუსი, ცინა და სულა. რაც შეეხება კეისართათვის ანუ იმპერიის ხანას, ავტორი ასახელებს I-III სს. ყველა მთავარ იმპერატორს (მაგ., იულიოს კეისარი, ოკტავ ავგუსტი, ტიბერიი კლავდი, გაი კალიღულა...). თხრობა მთავრდება კონსტანტინეს რელიგიური საქმიანობის მიმოხილვით.

დღეს ძნელია დადგენა რა ლიტერატურით სარგებლობდა ბატონიშვილი. ფაქტია, რომ იგი რუსული წიგნები უნდა ყოფილიყო, რადგანაც „კალმასობა"-ში ნახსენებ სახელებს აშკარად რუსული ჟღერადობა დაჰკრავთ, მაგრამ კონკრეტული წიგნის დასახელება ჭირს. არსებითად, გვინდა ვთქვათ, რომ იოანე ბატონიშვილით იწყება საქართველოში მკითხველისათვის ძველი რომის ისტორიის შესახებ უკვე ერთიანი, ზოგადი ტიპის, ცნობების მიწოდება. სამწუხაროდ, მთელი საუკუნის მანძილზე ქართულ ენაზე არ დაწერილა ძველი რომის ისტორიის შესახებ ზოგადი ხასიათის ნაშრომი.

პარალელურად, ქართულ ისტორიოგრაფიაში იწყება ძველი რომის ისტორიის ამსახველი სხვადასხვა ლათინური წყაროების თარგმნა-გამოცემა. ამ საქმეში გამორჩეულები იყვნენ XIX ს. პეტერბურგში მოღვაწე ქართველები. მათგან ყველაზე პროდუქტიული იყო რუსეთის აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ ბაგრატიონი, იოანე ბაზლიძე და სხვ.



*თეიმურაზ ბატონიშვილი*

თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846 წწ.) ქართულ საისტორიო აზროვნებაში განსაკუთრებული ფიგურაა. შენიშნულია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ ძველმა საქართველომ არ იცის თეიმურაზ ბაგრატიონზე უფრო დიდი მეცნიერის სახელი. იგი გახლდათ ენციკლოპედიური ტიპის მოაზროვნე. უცხოური ენების ბრწყინვალე ცოდნამ მას შესაძლებლობა მისცა ეწარმოებინა ფართო მთარგმნელობითი საქმიანობა. ევროპული და აღმოსავლური მწერლობებიდან მან თარგმნა საერო, სასულიერო, ფილოსოფიური თუ საისტორიო ჟანრის არაერთი ნაშრომი.

რომაული თემატიკიდან თეიმურაზ ბაგრატიონს ნათარგმნი ჰქონდა რომაელი ორატორის მარკუს ციცერონის „ბუნებისათვის

ღმერთთა“. სამწუხაროდ, მეცნიერის აღნიშნული თარგმანი დაკარგულია, რის გამოც ჩვენ მასზე არ შეგვიძლია ვისაუბროთ. ბატონიშვილს მიეწერება ანონიმური თხზულების „დოღმატიკა ღმრთისმეტყუჴლების“ თარგმნა. ნაშრომში ღმერთის საკითხებზე მსჯელობისას გამოყენებული იყო რომაელი ორატორის ციცერონის „ბუნებისათვის ღმერთთა“ და „ტუსკულანური საუბრები“-ს რამოდენიმე ფრაგმენტი.

ციცერონის გარდა, თ. ბატონიშვილს უთარგმნია კორნელიუს ტაციტუსის „ანალების“ 4 ფრაგმენტი. „ანალების“ თარგმნა ავტორს სჭირდებოდა I ს. იბერია-სომხეთის ურთიერთობის საკითხების გაშუქებისათვის. „ანალები“ ბატონიშვილს უთარგმნია XIX ს. 10-იან წლებში ფ. პოსპელოვას რუსული თარგმანიდან (ტ. I-III, 1805-06).

თეიმურაზ ბატონიშვილის თანამედროვეა პეტერბურგში მოღვაწე მწერალი და მთარგმნელი იოანე ბაზლიძე (1777-1888 წწ.). მას ნათარგმნი ჰქონდა ციცერონის „ლელი ანუ მეგობრობისათვის“. აღნიშნული ნაშრომის თარგმნისას ი. ბაზლიძეს უსარგებლია ციცერონის 1781 წლის რუსული გამოცემიდან.

ცარიზმის მიერ საქართველოში გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკა ხელს უშლიდა ქართულ ენაზე წიგნების არსებობას. მას შემდეგ რაც ასპარესზე გამოვიდნენ თერგდალეულები და მათმა მომდევნო თაობამ ევროპაში დაიწყეს განათლების მიღება, თანდათან გაჩნდა მსოფლიო ისტორიის თემატიკის ამსახველი სხვადასხვა წიგნების თარგმნა-გამოცემის აუცილებლობა. ამ საქმეში აქტიურობდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879 წ.) და ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953 წწ.) მიერ შექმნილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება (1907 წ.). მაგ., ფრანგული ენიდან ვ. ლორთქიფანიძემ თარგმნა პოლ გიროს „რომაელების ძველი ისტორია“ (1906 წ.), ხოლო ნიკოლოზ გვანცალაძემ (18??-19?? წწ.) გამოსცა „კაი გრაკხი და მისი ძმა ტიბერი“ (1906 წ.) და ა.შ.

რაც არ უნდა ვისაუბროთ მთარგმნელობით საქმიანობაზე, უდაოა, რომ ქართულ ენაზე რომის ისტორიის შესახებ ზოგადი ხასიათის კურსის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი ეკუთვნის დიმიტრი უზნაძეს (1886 -1950 წწ.). იგი გამორჩეული ფიგურა გახლდათ ქართულ მეცნიერებაში. უზნაძე შედიოდა იმათ რიცხვში

ვინც მონაწილეობა მიიღო თბილისის უნივერსიტეტის დაარსება-ში. სპეციალობით უზნაძე იყო ფსიქოლოგი და მსოფლიო სახელი მას მოუპოვა მისმა განწყობის თეორიამ. ასეთ ფონზე, უცნაურიც არ უნდა იყოს მკითხველისათვის, რომ მეცნიერის ჰობი იყო ძველი რომის ისტორიის შესწავლა. რომის ისტორიის შესახებ საბაზისო განათლება მან ბერლინის უნივერსიტეტში მომზენის ზედამხე-დველობის ქვეშ გაიარა. ამიტომაც გასაკვირიც არც უნდა ყოფი-ლიყო, როდესაც უზნაძე თავის მეორე პროფესიად მიიჩნევდა ძვე-ლი რომის ისტორიას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოების მხარდაჭერით, 1918-1919 წლებ-ში, ქუთაისში სამ ნაწილად გამოიცა უზნა-ძის „მსოფლიო ისტორია“. შესაბამისად, თი-თო ნაკვეთი დაეთმო ძველი აღმოსავლეთის, ელადის და რომის ისტორიებს. ჩვენ შორს წაგვიყვანდა რომთან (ნ. 3, 1919, გვ. 115) მი-მართებაში უზნაძისეული ნაშრომის საფუ-ძვლიანი მიმოხილვა, დავსძენთ მხოლოდ, რომ სახელების მხრივ მცირეოდენი უზუს-ტობის და ისტორიის შემჭიდროებული ფო-რმით თხრობის მიუხედავად, მთლიანობაში, ეპოქის შესაბამისად რომთან მიმართებაში იგი მკითხველს საკმარის ცოდნას აძლევდა.



*დიმიტრი უზნაძე*

შემდგომ იყო ე.წ. საბჭოთა პერიოდი, რომლის დროსაც პრო-ვინციებში ოფიციალურად იკრძალებოდა ზოგადი ხასიათის გა-ნმაზოგადებელი ნაშრომების წერა და ისინი მხოლოდ მოსკოველი მეცნიერების პრეროგატივა იყო. შესაბამისად, ისტორიოგრაფი-აში არსებული ხარვეზების შევსება რუსული ენიდან ნათარგმნი წიგნების მეშვეობით ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ქართულ ენა-ზე ითარგმნა და გამოიცა ვ. სერგეევის „ძველი რომის ისტორიის ნარკვევები“ (ტ. I-II, 1940-1941 წწ.). ეპოქის შესაბამისად იგი ჩვე-ულებრივი პუბლიკაცია იყო. მასში ნაჩვენები იყო მეფეთა ხანის, რესპუბლიკის და იმპერიის პერიოდის საკვანძო საკითხების სი-სტემური ისტორია.

სერგეევის წიგნს მოჰყვა რუსი მეცნიერის ნ. მაშკინის „რო-მის ისტორიის“ (თბ., 1951 წ.) თარგმნა-გამოცემა. იგი გახლდათ

მცირე ზომის მეთოდოლოგიური ტიპის სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილი იყო დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისთვის. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 1947 წელს ითარგმნა ი. პეტერსკის „სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია“. აღნიშნული სახელმძღვანელოს მეორე ნაკვეთი დაეთმო რომაულ პერიოდს.

ასეთ ფონზე, საბჭოთა პერიოდის ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში ნათელი ფიგურა გახლდათ ალექსანდრე წერეთელი (1889-1967 წწ.). იგი იყო ძველი მსოფლიო ისტორიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მას ეკუთვნის „მსოფლიო ისტორიის“ დაწყებითი კურსის შექმნა, რომლის პირველი ნაწილი - „ძველ საუკუნეთა ისტორია“ (ტფ., 1919, გვ. 144) მოიცავდა უძველესს ცივილიზაციებს. ალ. წერეთელს ეკუთვნის რიგი ფუნდამენტური ნაშრომები ძველი საბერძნეთის და რომის ისტორიაში.

წერეთელმა რთული ცხოვრების გზა გაიარა. საისტორიო მეცნიერებას იგი დაეუფლა ხარკოვის უნივერსიტეტში მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის ვ. ბუზესკულის (1858-1931 წწ.) ხელმძღვანელობით. იყო ეროვნული საბჭოს წევრი და იმათ შორის ვინაც ხელი მოაწერა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. 20-იან წლებში წერეთელი სხვადასხვა თანამდებობაზეა. ასრულებდა ცენტრალური არქივის დირექტორის მოვალეობას, განათლების სახალხო კომისრის კოლეგიის წევრობას, ხოლო 1927-1935 წლებში იგი გახლდათ თსუ-ს ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. მონოგრაფიისთვის „ლუკიანე სამოსატელი“, 1927 წელს, მას მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1935-1955 წლები ისტორიკოსის ცხოვრებაში არის გადასახლების, რეაბილიტაციის და კვლავ მეცნიერებაში ჩაბმის პერიოდი. 1962 წელს გამოვიდა ამადგარი მეცნიერის „რომის ისტორია“ (ნ. I-II, 1957-1961, წწ.). ეს იყო რეპრესიების შემდგომ სამშობლოში დაბრუნებული მეცნიერის ისტორიოგრაფიაში თამამი განაცხადი. წიგნი მაშინ დადებითად მიიღო ქართველმა საზოგადოებამ.



*ალექსანდრე წერეთელი*

რომაული ისტორიის თემატიკას მიეძღვნა მეცნიერის ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი - „მარკუს ციცერონი“ (1959 წ.). მასში რომის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ვითარების ფონზე ნაჩვენები იყო ორატორის ცხოვრება და მისი პოლიტიკური საქმიანობა. ამ პუბლიკაციით ავტორმა ქართულ მეცნიერებაში შეავსო ციცერონიანას თემატიკაზე არსებული ხარვეზი.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში მოსკოვიდან არსებული შეზღუდვა-ცენზურის გამო სამეცნიერო კვლევების ორი მიმართულება გამოიკვეთა. პირველი, სახელმძღვანელოების წერის აკრძალვის გამო ქართველი ისტორიკოსები ცდილობდნენ წამოეწიათ იმ საკითხების კვლევა, რომლებიც ზოგადად რუსულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად იყო ცნობილი. ამის მაგალითია ალექსანდრე წერეთლის და სხვა მეცნიერების შემოქმედება. რაც შეეხება მეორე სფეროს, იგი გამოიხატა მთარგმნელობითი საქმიანობაში. ამ მხრივ ქართულ მეცნიერებას ყოველთვის შესანიშნავი კადრები ჰყავდათ. მთარგმნელობითი სფერო ძირითადში რომაულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი წყაროების ანდა პოპულარული რომაელ ისტორიკოსთა თხზულებების თარგმნით გამოიხატებოდა.

ქართულ ანტიკურ მეცნიერებაში წყაროების თარგმნის სფეროში გამორჩეული იყო აკაკი ურუშაძე. იგი საინტერსო ფიგურა გახლდათ, რამდენადაც ერთდროულად იყო ლიტერატორი, წყაროთმცოდნე და პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნოდა მეთოდური ხასიათის ნაშრომი - „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“ (1988 წ.), სხვადასხვა პუბლიკაციები საქართველო-რომის ურთიერთობებზე: „ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში“ (1993 წ.), „ლათინური ხატოვანი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებით“ (1987 წ.), „ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები“ (1980 წ.), ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნებისათვის“ (1981 წ.), „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1985 წ.) და ა.შ.

ფართო აუდიტორიისთვის განსაკუთრებული პოპულარული დარჩა მეცნიერის პლუტარქეს რჩეული ბიოგრაფიების თარგმანი (ტ. I-II, 1975-1987). ბერძენი ისტორიკოსის თხზულების თარგმნით, ურუშაძემ, მკითხველს მიაწოდა ანტიკურ პერსონაჟთა სახეების მთელი გალერეა (კეისარი, პომპეუსი...). ზემონახსენებ პუბლიკა-

ციების გარდა, ანტიკურ პერიოდზე, ურუშაძეს მიძღვნილი ჰქონდა არაერთი სტატიებია. მაგ., ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა ციცერონის ცხოვრების და შემოქმედების საკითხებს (1962 წ.). ურუშაძემ გამოსცა ორატორის რამდენიმე წერილი.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იდეოლოგიური მომენტებიდან გამომდინარე წინა პლანზე იყო წამოწეული მონობის საკითხების კვლევა. აღნიშნულ პრობლემებს არაერთი ნაშრომები მიუძღვნა მათე ალექსიშვილმა (1910-1970 წწ.). იგი 1946–1970 წლებში იყო თსუ-ს ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. ძირითადში ალექსიშვილის სამეცნიერო-კვლევითი დაინტერესების სფერო იყო ანტიკური ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური საკითხები. მონობის თემატიკას მიეძლვნა ავტორის ნაშრომები: „მონობა ანტიკურ ქვეყნებში“ (1971 წ.), „მონობა და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამაროში“ (1974 წ.) და ა.შ. პირველი ნაშრომი მიჰყვებოდა ჰენრი ვალონის ცნობილი პუბლიკაციის სტრუქტურას. მასში გაშუქებული იყო მონობის სხვადასხვა ასპექტები (წყაროები, რაოდენობა, ფასი და ა.შ.). რაც შეეხება ავტორის მეორე ნაშრომს, მასში შესანიშნავად იყო განმარტებული არისტოტელეს „მარადიული მონობის“ თეორიის არსი და სხვა საკითხები. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნული ნაშრომები ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოური პერიოდის ანტიკურ ისტორიოგრაფიაში.

რომაული სამყაროს განოჩენილ მოღვაწეთა ცხოვრებიდან ალექსიშვილს ეკუთვნოდა მონოგრაფია – „გაიუს იულიუს ცეზარი“ (1961 წ.).

მონობის თემატიკაზე არსებული პუბლიკაციებიდან გვინდა გამოვყოთ რუსუდან გოგოლაშვილის ნაშრომი - განთავისუფლებული მონები (ლიბერტინები) ძველ რომში (1981 წ.). ნაშრომში ავტორი იკვლევდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მონების განთავისუფლების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, გათავისუფლების ფორმები, ლიბერტინთა უფლებრივი კატეგორიები და ა.შ.

XX ს. მიწურულს ქართულ მეცნიერებისთვის დამახასიათებელი იყო ანტიკური რომის და თანმხვედრი პერიოდის საქართველოს ისტორიის თემატიკაზე მუშაობა. ამ მხრივ გვინდა გამოვყოთ პროფ. ლევან სანიკიძე (1925-2001 წწ.). იგი იყო ძველი მსოფლიოს და საქართველოს ისტორიის პრობლემებზე მომუშავე პროდუქტული მკვლევარი. 1975-2001 წლებში სანიკიძე გახლდათ თსუ-ში

ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. მას ეკუთვნოდა იმპერიის პერიოდის რომის ისტორიის შესახებ დამხმარე სახელმძღვანელოს (ნ. I-II, 1969-1972 წწ.) ავტორობა. დღეს მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ე.წ. კომუნისტურ ეპოქაში აღნიშნული წიგნი იყო ქართველი ავტორობით მკითხველთან სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომის მიწოდების პირველი ცდა, რაც თბილად მიიღო მაშინ საზოგადოებამ. მოგვიანებით, ავტორმა ისინი გაერთიანა და ამ სახით მიაწოდა მკითხველს (1982 წ.).

ლ. სანიკიძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა შეისწავლა და მკითხველს მიაწოდა ნაშრომები მითრიდატულ ომებზე (1956 წ.), პუნიკური ომებზე (1963 წ.), რომის აღმოსავლური პოლიტიკაზე (1970 წ.). წიგნები გამოჩენილ რომაელებზე - „მარიუსი და სულა“ (1970 წ.), „კეისარიადა“ (1989 წ.) და სხვ. მეცნიერს ასვე ეკუთვნოდა პიესები ანტიკური ისტორიიდან. მათგან უშუალოდ რომაულ თემატიკაზე დაწერილი იყო: „გაიუს გრაკხუსი“ (1957 წ.), „სპარტაკი“ და ა.შ., რომლებიც წარმატებით იდგმებოდა თეატრის სცენებზე.


*ლევან სანიკიძე*

XX-XXI სს. მიჯნაზე ქართულ ანტიკურ ისტორიოგრაფიაში რომის თემატიკაზე მომუშავე წონადი ფიგურა იყო ნოდარ ლომოური (1926-2016 წწ.). მისი მეცნიერად ფორმირებაზე განსაკუთხებული კვალი დააჩინა ქართული ბიზანტიოლოგიის სკოლის ფუძემდებელმა სიმონ ყაუხჩიშვილმა (1895-1981 წწ.). იგი ფართო ჰორიზონტის მეცნიერი იყო. ძველი და ახალი ენების ცოდნამ, ბრწყინვალე ერუდიციამ ლომოურს შესაძლებლობა მისცა გარკვეულიყო ბიზანტიოლოგიის, ანტიკურობის და საქართველოს ისტორიის საკითხებში.

1969-1971 წლებში ლომოური იყო თსუ-ში ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე. იგი თანაბრად უხამებდა ერთმანეთს სამეცნიერო და პედაგოგიუს საქმიანობას. მისი საკანდიდატო ნაშრომი გახლდათ „პტოლემაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ“ (1952 წ.). მასვე ეკუთვნოდა დიონ კასიუსის (1966 წ.) და სხვა ანტიკურ ავტორთა ცნობების თარგმანი, წიგნი სპარტაკის აჯანყების შესახებ (1963 წ.), სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი

ფარსმან ქველის რომში ვოიაჟის შესახებ (2001 წ.) და ა.შ.

ლევან სანიკიძის „პონტოს სამეფოს“, ლევან გოთუას (1905-1973 წწ.) „მითრიდატე“-ს (1971 წ.) და გიორგი გოზალიშვილის (1900-1988 წწ.) „მითრიდატე პონტოელი“-ს (1965 წ.) წყალობით ქართულ ისტორიოგრაფიაში მითრიდატული ომების თემატიკა პოპულარული იყო. ლომოურმა (1926-2016) შეაჯამა ისტორიოგრაფიაში რომი-პონტოს სამეფოს და ქართული სამყაროს ურთიერთობების საკითხების თაობაზე არსებულ სხვადასხვა კონცეფციები და მკითხველს მიაწოდა ნაშრომი - „პონტოს სამეფოს ისტორიისთვის“ (ნაწ. I, 1979 წ., რუს. ენაზე). წიგნში მეცნიერმა დამაჯერებლად დაასაბუთა პონტოს სამეფოს გენეზისის თარიღი – ძვ.წ. 302 წელი. ისტორიკოსი შეეხო მითრიდატე VI-ს ეთნიკური წარმომავლობის საკითხსაც. გოზალიშვილის კონცეფციით სახელოვანი პონტოს მეფე წარმოშობით მცირე აზიის ქართველური ტომიდან იყო. ანტიკურ წყაროების და საისტორიო გეოგრაფიაზე დაყრდნობით ლომოურმა დაასაბუთა მითრიდატეს სპარსული წარმომავლობა. ნაშრომის ბოლო თავი ეხებოდა პონტოს სამეფოს და ქართველური სამყაროს ურთიერთობების საკითხებს.


*ნოდარ ლომოური*

ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის აქტუალური იყო საქართველო-რომის ურთიერთობების სხვადასხვა საკითხების კვლევა. აღნიშნულ თემატიკას ლომოურმა მიუძღვნა ფუნდამენტალური ნაშრომი - „საქართველო-რომის ურთიერთობების ისტორიიდან“ (ნაწ. I, 1982 წ., რუს. ენაზე). ნაშრომმა ავტორს საკავშირო აღიარება მოუტანა. წიგნში გამოყენებული იყო იმ დროისთვის საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგებში (არქეოლოგია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა...) არსებული სიახლეები. ყოველივემ, ავტორს, შესაძლებლობა მისცა გაეკეთებინა საქართველო-რომის ურთიერთობების ტრადიციული საკითხების ახლებური შეფასებები. ნაშრომში დეტალურად არის გაშუქებული ძვ.წ. I ს. შუა წლების და ახ.წ. IV ს. ურთიერთობების ყველა სპექტრი.

2016 წელს მკითხველ აუდიტორიას მიეწოდა პროფ. გრანი ქავთარიას (დ. 1936 წ.) ზოგადი ხასიათის ნაშრომი „რომის ისტორია“

(ტ. I). გრანი ქავთარია არის ძველი რომის და თანმხვედრი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხების წონადი მკვლევარი. 2001-2004 წლებში იგი იყო თბილისის უნივერსიტეტში ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის გამგე და მიყავდა აღნიშნული სასწავლო კურსის საუნივერსიტეტო სწავლება.

მეცნიერის სადოქტორო დისერტაცია გახლდათ ანტიკური ეპოქის უდიდესი რეფორმატორების ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსების ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა. შემდგომში იგი ავტორმა წიგნად გამოსცა (1990 წ.), რომელიც თბილად მიიღო საზოგადოებამ. არადა, იმ მომენტისთვის თვით რუსულ ისტორიოგრაფიაშიც არ მოიპოვებოდა მსგავსი ხასიათის მონოგრაფია, რომელშიც სრულად იქნებოდა ნაჩვენები რომაელი რეფორმატორების ღვაწლი.



*გრანი ქავთარია*

ქავთარიამ დასაბამი დაუდო ჟურნალ „ძველი მსოფლიო“-ს გამოცემას (ტ. I-VI, 1911-2111 წწ.). ქართულ სივრცეში ჟურნალს სხვა ანალოგი არ ჰქონდა და სამწუხაროა, რომ მიზეზ-გარემოებების გამო მისი გამოცემა შეწყდა. უშუალოდ რომაულ თემატიკაზე მეცნიერის ნაშრომებია: „ჰანიბალი“ (1979 წ.), „სერტორიუსი“ (2003 წ.), „ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები“ (1998 წ.) და სხვა მრავალი სტატიები.

„რომის ისტორია“ სახელმძღვანელოს პრინციპებზე აგებული ნაშრომია. მასში რომაული ისტორიის თხრობა იწყება ძველი რომის ისტორიის ამსახველი წყაროების და ისტორიოგრაფიული ნაწილის მიმოხილვით, რომელსაც მოჰყვება მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის ყველა ძირითადი საკითხი (იტალიის დაპყრობა, პუნიკური ომები...). ტომში თხრობა მისულია ძვ.წ. I ს-ის 60-იანი წლების პოლიტიკურ ბატალიებამდე. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული პუბლიკაციით ქავთარიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში შეავსო ზოგადი ნაშრომის ნაკლებობის ხარვეზი.

ქართული ანტიკური ისტორიოგრაფიაზე საუბრისას ჩვენ ვერ მიმოვიხილავთ რომაულ თემატიკაზე არსებულ ყველა ნაშრომს, უბრალოდ მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე პუბლიკაციებზე. ეტრუსკოლოგიის საკითხები არის თსუ პროფესორების რისმაგ გორდეზიანის (1980 წ.) და ეკა ავალიანის

(2005 წ.) კვლევის არეალში. უკანასკნელს ეკუთვნის ნაშრომი მედიტერანული კულტურის თაობაზე. I-III ს-ბის რომის და აღმოსავლური რელიგიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხები შეისწავლა თსუ-ს პროფ. მარიკა მშვილდაძემ (2005 წ.).


რისმაგ გორდეზიანი

საქართველო-რომის ურთიერთობების სამხედრო-პოლიტიკური თუ იურიდიული მხარეების შესახებ პუბლიკაციები მიუძღვნეს: ლევან ალექსიძემ (1957 წ.); მერი ინაძემ (1955 წ.); გელა გამყრელიძემ და თემურ თოდუამ ერთობლივი ნაშრომით (2006 წ.). გვინდა გამოვყოთ კახაბერ ფიფიას ნაშრომები - „ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა“ (2005 წ.), „რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი“ (2006 წ.) და „რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული სამეფოების წარმოქმნა კოლხეთში (ახ.წ. II ს.)“. ნაშრომებში ანტიკურ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით საქართველოსთან მიმართებაში შესწავლილია იმპ. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკის თავისებურებები. რომის იმპერიის საერთო აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში შესწავლილია II-III სს. საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების წარმოქმნის საკითხი. განმარტებულია ამ პროცესში რომის საგარეო პოლიტიკის როლი.


კახაბერ ფიფია

ძვ.წ. I ს. რესპუბლიკური რომის ისტორიის საკითხებს რამოდენიმე ნაშრომები მიუძღვნა გუბაზ სანიკიძემ (დ. 1967 წ.). ესენია: ტრიუმვირატი (1998 წ.), „მოკავშირეთა ომი“ და მისი შედეგები (1997 წ.), „კრიზისი და დაცემა კომიციისა“ (1998 წ.), „რომი „კატილინარული კონიურაციოს“ შემდეგ“ (1998 წ.), „პოლის-ცივიტას-რესპუბლიკა“ (1997 წ.), „მარიუსელები და სულანელები“ (1997 წ.) და „კლოდიუსის ტრიბუნატი“ (1998 წ.). აღნიშნული პუბლიკაციებით სანიკიძე შეეცადა ძვ.წ. I ს. რომში მიმდინარე რესპუბლიკური წყობის კრიზისი, რაც გამოიხატა


გუბაზ სანიკიძე

სამოქალაქო ომებში და პრინციპატის დამყარების საკითხით, წარმოეჩინა ახლებური ინტერპრეტაციით. მანვე პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში წამოწია არმიის როლი ძველი რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## თავი II
## აპენინის ნახევარკუნძულის ბუნებრივი პირობები და უძველესი მოსახლეობა

*გეოგრაფიული მდებარეობა*

ქ. რომი აღმოცენდა ევროპის კონტინეტის სამხრეთ ნაწილში, აპენინის ნახევარკუნძულზე, რომელსაც სხვაგვარად, იტალიურ ნახევარკუნძულსაც უწოდებენ. ნახევარკუნძულს ჩექმის კონფიგურაცია აქვს და იგი ღრმად არის შეჭრილი ხმელთაშუა ზღვაში. მისი ფართობი მოიცავს დაახლ. 149 ათას კმ$^2$. სიგრძე არის დაახლ. 11 000 კმ, ხოლო სიგანე კი მერყეობს 130 დან 300 კმდე. ნახევარკუნძულის სამხრეთი, მესინის სრუტით, გამოიყოფა კუნძ. სიცილია, რომელიც ნახევარკუნძულის გეოგრაფიულ გაგრძელებას წარმოადგენს.



აპენინის ნახევარკუნძული

ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით აპენინის ნახევარკუნძულს 1 200 კმ-ზე გასდევს აპენინის მთათა ქედი. იგი ალპების მსგავსად ერთიანი არ არის და წარმოადგენს რამდენიმე დამოუკიდებელი მთათა სისტემის ერთობას. ამის გამო მათ ყოფენ ჩრდილო, შუა და სამხრეთ აპენინებად. ფიქრობენ, რომ აპენინი კელტური წარმოშობის სიტყვაა და ამ მთათა სისტემის მიმართ პირველად გამოიყენა ისტორიკოსმა პოლიბიოსმა.

აპენინის მთები არ გამოირჩევა მაღალი მწვერვალებით. მათგან ყველაზე მაღალია ცენტრალურ იტალიაში მდებარე კორნოგრანდეს მთა (2914 მ.). მართალია დანაწევრებული რელიეფი განაცალკევებს აპენინის ზოგიერთ ოლქებს, მაგრამ იგი უძველეს დროშიც არ წარმოადგენდა მცხოვრებთათვის დიდ წინაღობას. მთებს უკავიათ ნახევარკუნძულის დაახლ. 35%. აპენინი ძირითადში არის ტყით დაფარული, მასზე ბევრია საძოვრებიც.

ნახევარკუნძულს აღმოსავლეთიდან საზღვრავს ადრიატიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთით იონიის, ხოლო დასავლეთის მხრიდან კი ტირენიის და ლიგურიის ზღვები. თავის მხრივ, ოთხივე

ზღვა შედის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ტირენიის ზღვაში მდებარეობს კუნძულები: ელბა (ფართობი 223,5 კმ$^2$), კარპი (ფართობი 10,4 კმ$^2$), კორსიკა (ფართობი 8682 კმ$^2$), სარდინია (ფართობი 24,090 კმ$^2$), სიცილია (ფართობი 25460 კმ$^2$) და მონტე-კრისტო (ფართობი 12 კმ$^2$). სიცილიის გვერდით, ტირენიის ზღვაში, მდებარეობს ვულკანური წარმოშობის ლიპარიის, იგივე ეოლიის შვიდი კუნძული,

ბალკანეთის ნახევარკუნძულისაგან განსხვავებით, აპენინზე ზღვა არ არის ხმელეთში ღრმად შეჭრილი, რის გამოც აქ ფრიად მცირეა ბუნებრივი სანავსადგურო ყურეები. სანაპირო ზოლი ძირითადში ფლატეებიანი ციცაბოა, ანდა მეჩეჩითაა (ფსკერის მცირე სიღრმიანი უბანი) სავსე. ზღვაოსნობისათვის შედარებით მოსახერხებელია ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი. ჩანს, ამიტომაც იყო, რომ ძველმა ბერძნებმა თავდაპირველად ნახევარკუნძულის ეს მონაკვეთი აითვისეს, რომელსაც „Vitulus“ („ხბორების ქვეყანა“) შეარქვეს. საიდანაც წარმოდგა სახელწოდება - „Jtalia“. სტრაბონის ცნობით, თავდაპირველად, „იტალიის“ ქვეშ მოიაზრებოდა სიცილიის გასასვლელიდან (მესინის სრუტე. სიგრძე 40 კმ, სიგანე 3.1 კმ.) ტარენტუმის ყურემდე (ტარანტოს ყურე. სიგანე 140 კმ.) ტერიტორია, ხოლო მოგვიანებით იგი გავრცელდა ალპების მთისწინეთამდე. საფიქრებელია, რომ ძვ.წ. III ს-ის მიწურულიდან, რომის მიერ აპენინის დაპყრობის შემდეგ, ბერძნული სახელწოდება გავრცელდა მთელი ნახევარკუნძულის აღსანიშნავად.



*მესინის სრუტე*

აპენინის ნახევარკუნძული გამოირჩევა მაღალი სეისმურობით და ვულკანური აქტივობით. ძალიან აქტიურია ე.წ. ლიპარიის კუნძულების ჯგუფში მდებარე ვულკანი სტრომბოლი (სიმაღლე 926 მ.). მას სხვაგვარად „ტირენიის ზღვის შუქურა“-ს უწოდებენ. ნახევარკუნძულზე არაერთხელ მომხდარა ვულკანების ამოფრქვევა. მაგ., ნეაპოლიტანიის ყურის სანაპიროსთან მდებარე ვეზუვმა (სიმაღლე 1281 მ.) 79 წლის 24 აგვისტოს ერთბაშად სამი ქალაქი (პომპეა, ჰერკულანუმი და სტაბიუმი) ლავათი დამარხა. უკანასკნელად მისი ამოფრქვევა მოხდა 1944 წელს. საერთოდ, ვულკანის ყოველი ამოფრქვევისას ვეზუვის კონუსის სიმაღლე კლებულობს. მაგ., 1631 წლის 18 დეკემბრის ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ კონუსის სიმაღლე ერთბაშად 170 მ-ით შემცირდა.

კუნძ. სიცილიაზე მდებარეობს ვულკანური მწვერვალი ეტნა (ფართობი 1250კმ$^{2}$, სიმაღლე 3323 მ.). იგი სტრატოვულკანების (შრეებრივი ვულკანი) ტიპს განეკუთვნება. ეტნას ვულკანის ამოფრქვევის დაახლ. 20-ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული (უკანასკნელი იყო 25.12.2018 წ.). ბერძნული მითოლიგიით, ოლიმპიელ ღმრთებსა და გიგანტებს შორის ბრძოლისას, ქალღმერთმა ათენამ, ეტნას მთის ძირში გასრისა გიგანტი ენკელადოსი. ნახევარკუნძულისთვის უცხო არ არის ძლიერი მიწისძვრებიც, რაც განპირობებულია ევროპული და აფრიკული ფილების ურთიერთსეჯახებით.


*კუნძ.კორსიკა*


*კუნძ. სარდინია*


*კუნძ. სიცილია*

ნახევარკუნძულის რელიეფი მთლიანობაში მთა-ბორცვიანია. მთელი ტერიტორიის 21,6% უკავია დაბლობს, მთებს 38,7%, ხოლო ბორცვებს 39,7%. ჩრდილოეთის მხრიდან აპენინი ალპეპის რკალით არის შემოფარგლური. ისინი ევროპის ყველაზე მაღალი მთათა ჯაჭვია და ნახევარკუნძულს იცავენ ჩრდილოეთის ცივი ქარებისგან. ალპები იწყება ხმელთაშუა ზღვის გენუის უბის ნაპირთან. აქ, შევიწროებულ და დადაბლებულ რაიონებში, ერთმანეთს ხვდება ალპების და აპენინის მთათა სისტემა. აქედან ალპები მიემართება სამხრეთ-დასავლეთით, სადაც ცნობილი საფრანგეთის რივიერა მდებარეობს, შემდეგ იგი მკვეთრად იღუნება ჩრდილო-დასავლეთის, ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმართულებით. ალპების მთელი რკალის სიგრძე გენუის უბიდან დაწყებული შუა დუნაის დაბლობამდე დაახლ. 1 200 კმ. ალპები იყოფა – საფრანგეთის (იგივე სავოიის), შვეიცარიის, იტალიის და ავსტრიის ალპებად. საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე ალპებში მდებარეობს „დასავლეთ ევროპის ევერესტად“ წოდებული მონბლანის მთა (სიმაღლე 4810 მ.). სიმაღლის მიუხედავათ, უძველეს დროშიც, აპენინის მსგავსად, ალპები არ ითვლებოდა ცენტრალური ევროპის მოსახლეობისთვის დაუძლეველ წინააღმდეგობად.

ალპებსა და აპენინის მთებს შორის მდებარეობს მდ.პოს ხეობის ნაყოფიერი მხარე. ამ მხარეს იტალია მოგვიანებით დაერქვა. საქმე იმაშია, რომ ძვ.წ. V ს. მდ. პოს ხეობაში გადმოსახლდნენ გალი (კელტი) ტომები, რომლებმაც იქ ეტრუსკები შეავიწროვეს. ძვ.წ. 265 წელს რომაელებმა ეს ტერიტორია დაიპყრეს და მას „ციზალპიური გალია“ უწოდეს.

ცენტრალურ იტალიაში არის ეტრუსკული, ლათინური და კამპანიის დაბლობები. ეს მხარე ნაოსნობისათვის შედარებით მოსახერხებელია. ტირენიის ზღვის მხარეს არის სანავსადგურო ქალაქები - ოსტია, ნეაპოლი და სხვ.

ნახევარკუნძული მდიდარი არის წყლის რესურსებით. ალპებში, დღევანდელ იტალიის და შვეიცარიის საზღვარზე, მდებარეობს ლაგო მაჯორეს ტბა (ფართობი 212,5 კმ$^2$). მის აღმოსავლეთით ალპეპის მისადგომთან, არნოს (ფართობი 0,862 კმ$^2$), კომოს (ფართობი 145 კმ$^2$), გარდას (ფართობი 370 კმ$^2$) და ტროტეს ტბები. შუა იტალიაში, ლაციუმში, ალბანის (ფართობი 6 კმ$^2$), ბოლსენას (ფართობი 113,5 კმ$^2$), ლაგო დი ბრაჩანოს (ფართობი 56,7 კმ$^2$), ფუჩინოს (ფართობი 140 კმ$^2$) და ტრაზიმენის (ფართობი 128 კმ$^2$) ტბები. რაც შეეხება სიცილიას, იქ არის მხოლოდ მცირე ზომის პერგუზას ტბა (ფართობი 1,8 კმ$^2$)


*მონბლანი*

მრავლად არის ნახევარკუნძულზე დიდი თუ მცირე ზომის მდინარეები. თავისი სიგრძის, აუზის ფართობით და წყლის რეჟიმით ისინი ხმელთაშუა ზღვის ტიპს მიეკუთვნებიან. მათვის დამახასიათებელია წყლის დონის მკვეთრი რყევები, ზაფხულობით შესაძლოა სრული დაშრობაც. ნაოსნობისათვის გამოდგება მხოლოდ ჩრდ. იტალიაში მდ. პო. მისი სიგრძე 652 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 75 000 კმ$^2$ მოიცავს. მდინარე სათავეს ალპებში იღებს და უერთება ადრიატიკის ზღვას. შუა იტალიაში უდიდესია მდ. ტიბრი. მისი სიგრძე 390 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 17 000 კმ$^2$. მდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიედინება და უერთდება ტირენიის ზღვას.

ტირენიის ზღვის მოსაზღვრე სანაპირო მხარე ოდითგანვე განიცდიდა წყალდიდობას, რის გამოც იგი დაჭაობებული იყო და წარმოადგენდა მალარიის ბუდეს. ჭაობები იყო ჩრდ. აპულიაში და

ფუცინის ტბის მიდამოებში. მაგ., ქ. რომის სამხრეთით მდებარე ჭაობები მხოლოდ XX ს. 30-იან წლებში დააშრეს.

იტალიის გეოგრაფიული მდებარეობაზე გავლენას ახდენს ზღვიდან მომდინარე ნოტიო ჰაერის მასების შეჯახება საჰარის უდაბნოს ცხელ და კონტინენტური ევროპის მშრალ ცივი ჰაერთან. მათი ურთიერთქმედებით და ატმოსფერული წნევის ცვლილებით წარმოიქმნება მუდმივი ქარები. ანტიკურ პერიოდშივე შენიშნული იყო, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი, იგივე აქვილონი, ზამთრის მშრალი ცივი ქარი იყო, რომელიც ზოგჯერ საათში 200 კმ ქროდა. ზაფხულობით იგივე მიმართულებით ქრის ეთესიას რბილი ქარი. ზამთრობით, ნახევარკუნძულზე, ქრის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან აფრიკული ქარი. ამის გარდა, არის აღმოსავლეთის ქარი, რომელსაც მოაქვს მცირე წვიმები და დასავლეთის ქარი – ზეფირი. იგი იწყებოდა თებერვალში და გაზაფხულის მოსვლის მანიშნებელი იყო.

კლიმატი აპენინზე სუბტროპიკულია და არაერთგვაროვანი. ტემპერატული პირობები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ შესამჩნევად იცვლება. მაგ., ჩრდილოეთში, ალპებში, სიცივეები აღწევს $-15^0$. რაც შეეხება შუა აპენინს, იქ მაისიდან-სექტემბრამდე ტემპერატურა მერყეობს საშუალოდ $+20^0$ დან $+28^0$ მდე. კონტინენტთან შედარებით სიცილიაზე კლიმატი კიდევ უფრო რბილია და იქ საშუალო ტემპერატურაა $+26^0$. ტირენიის ზღვის სანაპირო მთების ქარპირა კალთებზე ნალექები წელიწადში აღწევს 1000-2000 მმ, ხოლო ლიგურიის ალპებში 3000 მმ-ზე მეტია. რაც შეეხება სიცილიას, იქ და ტავოლიერეს დაბლობში 500 მმ-ზე ნაკლები ნალექი მოდის. თოვლის საფარის სისქე 2000 სიმაღლის მთების აღმოსავლეთ კალთებზე 180-190 დღე არ დნება.

ნახევარკუნძულის და კუნძულების მცენარეული საფარი ხმელთაშუა ზღვის ტიპს განეკუთვნება. ფაუნის მხრივ გამოყოფენ ალპების, მდ. პოს დაბლობის და ხმელთაშუა ზღვისპირა აპენინის მხარეებს. ალპებში არის ფართო ფოთლოვანი ტყეები (მუხა, წაბლი...). მდ. პოს დაბლობი ძველად სუბტროპიკული ტყეებით (ქვა მუხა, კორპის მუხა...) იყო დაფარული, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი გაიჩეხა და დღეს მათ ადგილზე ძირითადში ბუჩქოვანი მცენარეები არის გაშენებული. ჩრდ. იტალიაში მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და ა.შ. სამხ. აპენინზე და სიცილიაზე

გვხვდება იტალიური ხმელა, სიცილიური კატარი, ფიჭვის სხვა-დასხვა სახეობები და სხვ. მარცვლეულის კულტურებიდან ოდით-განვე მოჰყავდათ: ხორბალი, ჭვავი, ქერი. რაც შეეხება ფორთოხა-ლს, ლიმონს, კარტოფილს და სხვა კულტურებს, რომაელები მათ არ იცნობდნენ. ასევე მოგვიანებით ნახევარკუნძულზე აფრიკი-დან შეიტანეს ფინიკი და ბროწეული.

ალპების ჩრდილოეთ ნაწილში 500-600 მ-დე და სამხრეთში 700-800 მ-დე გავრცელებული არის ხმელთაშუაზღვისპირა მარად-მწვანე ბუჩქოვანი მაკვისი, ხოლო კლდოვან ადგილებზე ტანდა-ბალი მარადმწვანე ბუჩქი - გარიგა. ნოტიო ადგილებში 500 მ-დან 1400 მ-დე არის მუხნარი და წაბლანარი. ჩრდილოეთით, დაწყებუ-ლი 800 მ-დან და სამხრეთით 1200 მ-დან ჭარბობს წიფლის ტყე. წი-წვოვანი ხეები (ევროპული სოჭი და შავი ფიჭვი) ტოსკანის და კა-ლამბრიის რეგიონში ტყის ზედა საზღვრამდე ადის. სარდინიასა და კორსიკაში გვხვდება: ხემარწყვა, წიწვოვანი ხებუჩქი - ღვია, გარეული ზეთისხილი და სხვ.

ძუძუმწოვარი ცხოველებიდან ნახევარკუნძულზე არის მგე-ლი, ჯეირანი, შველი, კვერნა, ციყვი, კურდღელი და სხვ. ბევრია ფრინველი და ქვეწარმავალი.

სასარგებლო წიაღისეულის მხრივ აპენინის ნახევარკუნძუ-ლი არ არის მდიდარი მხარე. განსაკუთრებით იგი ღარიბია მინე-რალური რესურსებით. აქ ნავთობის და მურა ნახშირის საბადოები მცირეა. მატერიკზე ლითონი ოდითგანვე შემოჰქონდათ. მაგ., კუ-ნძ. ელბიდან შემოჰქონდათ რკინა, ხოლო კუნძ. სარდინიიდან ტყვია და თუთია. კუნძულებზე მათი საბადოებიც უმნიშვნელოა. სამაგიეროდ ნახევარკუნძულზე ძალიან ბევრია სამშენებლო და დეკორატიული ქვის კარიერები. მაგ., ჩრდილო და შუა აპენინის საზღვარზე, ლიგურიის ზღვიდან 6 კმ დაშორებით მოიპოვებენ თე-თრი ფერის ცნობილ კარარის მარმარილოს. სიცილიაში არის გოგირდი, ტოსკანაში ვერცხლისწყალი და ა.შ. ნახევარკუნძულზე არის ალუმინის, ლიგნიტის, ტორფის და ბიტუმის ფიქლების საბა-დოები.

გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოლოგიური განვითარე-ბის თავისებურებიდან გამომდინარე მიღებულია აპენინის ნახე-ვარკუნძულის (იგივე იტალიის) დაყოფა ჩრდილო, შუა და სამ-ხრეთ ნაწილებად. ჩრდილო აპენინი იყოფა სამ ოლქად: 1. ლიგუ-

რია - ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში; 2. ციზალპიური გალია მთავარი ცენტრით - ქ. რავენათი და ქ. მედიოლანუმით (მილანი - კ.ს.) და 3. ადრიატიკის ზღვის მხარეს მდებარე ვენეციათი.

შუა აპენინი შესდგება ექვსი ოლქისგან: 1. ეტრურია - თანამედროვე ტოსკანა; 2. ლაციუმი, სადაც მდებარეობს ქ. რომი; 3. კამპანია - ტირენიის ზღვასთან; 4. უმბრია; 5. პიცენუმი და სამნიუმისგან - ადრიატიკის ზღვასთან.

სამხრეთი ნაწილი მოიცავდა ექვს ოლქს: 1. აპულიას; 2. კალაბრიას - აღმოსავლეთით; 3. ლუკანიას და 4. დასავლეთით - ბრუტიუმს.

უნდა შევნიშნოთ, რომ საერთო მსგავსების ფონზე, რომაული ისტორიის განვითარების მთელ მანძილზე, ცალკეულმა ოლქებმა მაინც მოახერხეს შეენარჩუნებინათ თავისი განმასხვავებელი ნიშნები.

ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ რომის მსოფლიო სახელმწიფოდ წარმოქმნაში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის აუზში აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ მდებარეობას. იგი საშუალებას აძლევდა რომაელებს შიდა საოპერაციო გზებით დაექსაქსათ მოწინააღმდეგები და იმავდროულად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეწარმოებინათ შუამავლის როლი.

*ისტორიამდელი იტალია*

XIX ს. დასასრულამდე, სამეცნიერო წრეები, იტალიკთა მოსვლამდე საერთოდ უარყოფდნენ აპენინის ნახევარკუნძულზე უძველესი ადამიანთა არსებობის კვალს. ამ თეორიის ერთ-ერთი აქტიური დამცველი თეოდორ მომზენი წერდა: „იტალიაში აქომამდე ისეთი არაფერი არის ნახული, რაც გვაძლევდეს საფუძველს დავუშვათ, რომ იქ არსებობდა ადამიანი... და თუ ოდესმე იტალიის საზღვრებში ნამდვილად ცხოვრობდნენ ადამიანები, ისინი დასაბამითი კულტურის იმ საფეხურზე იდგნენ, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ველურობას ვეძახით“.

მეორე მსოფლიო ომის წინა თუ მომდევნო პერიოდში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებით, ეთნოლოგიური მასალის, ანთროპოლოგიური და ლინგვისტური მონაცემების ურთიერთშეჯერებით შესაძლებელი გახდა აპენინის ნახევარკუნძულის და სიცი-

ლიის ადრეული ისტორიის რიგი სურათების აღდგენა. უპირველესად გაირკვა, რომ აპენინის ნახევარკუნძული არ არის გაადამიანების კერა. უძველესი ჰომინიდების ნაშთები, რომლებიც იტალიაში არის აღმოჩენილი გახლავთ იზერნია ლა პინეტას მღვიმეში ნაპოვნი ე.წ. ჰაიდელბერგელი ადამიანის კვალი სარძევე კბილები. მისი ასაკი დაახლ. 561-583 ათასი წლებით განისაზღვრება. კბილების ექსპერტიზით გაირკვა, რომ ჰაიდელბერგელი ადამიანი იყო პირდაპირ მოსიარულე და მისი სიმაღლე 1,5 მ აღწევდა.

ჰაიდელბერგელი ადამიანის გარდა ნახევარკუნძულზე, ლაციუმის რეგიონში, რომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 90 კმ დაშორებით, ფროზინონეს პროვინციაში ნაპოვნია ე.წ. „ჩერპანოელი ადამიანი“-ს თავის ქალას ფრაგმენტი და Homo erectus-ის ნაშთები. მათი ასაკი დაახ. 400-500 ათასი წლით განისაზღვრა.



*„ჩერპანოელი ადამიანი“*

დაახლ. 20-10 ათასი წლის წინ გვიან პალეოლითში აპენინზე გავრცელებულდა ე.წ. ეპიგრავეტული კულტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ქვის იარაღების სპეციფიკური ინდუსტრია. ამასთან, იგი განიხილება მონადირეების და შემგროვლებლების ერთ-ერთ უკანასკნელ კულტურად. ჩანს, გამყინვარება ნაკლებად შეეხო იტალიას, რადგანაც აქ დიდხანს შემორჩა პალეოლითის გადმონაშთები. პალეოლითელი ადამიანი ცხოვრობდა გამოქვაბულში და ძირითადში მისდევდა მონადირეობას, შემგროვებლობას და მეთევზეობას. მან არ იცოდა კერამიკის გამოყენება. იმ პერიოდის ადამიანის სადგომებიდან აღსანიშნავია სამხ. იტალიაში მდებარე ე.წ. რომანელის მღვიმე. მასში ნაპოვნია ქვისგან ნაკეთი შრომის იარაღები - ცულები, ისრის პირები და საფხეკები. რაც შეეხება ჩრდ-დასავლეთ იტალიაში, ლიგურიაში, არსებულ ბალზი როსის მღვიმეს, მასში ბავშვების სამაროვნების გარდა ნაპოვნი იყო ძველი ქვის ხანის მხატვრობის ნიმუშები.

ზედა პალეოლითის სამარხთა შორის ყველაზე ადრინდელია ქ. მენტონის მახლობლად (თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორია) აღმოჩენილი სამარხი. მისი განსაკუთრებულობა იყო დასაფლავების მომენტში მიცვალებულებზე წითელი საღებავების დაყრა. ამ დროისათვის ადამიანთა ჯგუფების დაახლოებაში დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა ექსოგამიას, ე.ი. გვარის შიგნით შეუღლების აკრძალვას და სხვადასხვა გვარის წარმომადგენელთა შორის მუდმივი საქორწინო კავშირის დადგენას. ამასთან, მოხდა ქალისა და მამაკაცს შორის შრომის ზუსტი დანაწილება.

ძვ.წ. VI ათასწლეულიდან ნახევარკუნძულზე გავრცელება დაიწყო აფრიკული წარმოშობის განსხვავებულმა კერამიკულმა კულტურამ. იგი უფრო მეზღვაურთა და მეთევზეთა კულტურად არის მიჩნეული, რადგან გავრცელებული იყო ზღვისპირა სანაპირო ზოლში და მდინარის ხეობებში.

დაახლ. ძვ.წ. 5000 წელს სამხ. იტალიაში ჩნდება ე.წ. სესკლების კულტურა, რომლებმაც, თავის მხრივ განდევნეს წინამორბედი კულტურის მატარებლები და შექმნეს ე.წ. მატერა-ოსტუნის კულტურა, რომლის ბაზაზე, მოგვიანებით, განვითარდა სხვადასხვა კულტურები.



*სარძევე კბილები (იზერნია და პინეტას მღვიმე)*

ძვ.წ. V ათასწლეულიდან აპენინზე იწყება ნეოლითის ხანა. ამ დროიდან მნიშვნელოვნად უმჯობესდება ადამიანის ცხოვრების პირობები. საქმე იმაშია, რომ პალეოლითის დასასრულს ნახევარკუნძულზე კლიმატი შეიცვალა, დათბა და ადამიანმა დაიწყო გამოქვაბულების და მღვიმეების დატოვება. ნეოლითში უკვე შემგროვებითი მეურნეობის საფუძველზე განვითარდა პრიმიტიული მიწათმოქმედება, რასაც გორდონ ჩაილდი (1892-1957 წწ.) „ნეოლითურ რევოლუციას" უწოდებდა. ნიშანდობლივია, რომ მიწათმოქმედება კვლავ ქალის პრიორიტეტ საქმედ რჩებოდა. უკვე ხმარებაში შემოდის უხეში თიხისგან ნაკეთი ჭურჭლები და იწყება სხვადასხვა ცხოველების (ძაღლი, ძროხა...) მოშინაურება.

ზემო იტალიაში ნეოლითურ კულტურას უმთავრესად ვეცნობით ლიგურიის ძეგლებით. კონკრეტულად კი 1939 წელს კანდიდის მღვიმეში ჩატარებული გათხრებით. რაც შეეხება სამხ. იტალიას, აპულიის ოლქსა და აღმოსავლეთ სიცილიაში აქ ჩანს ნეოლითის კვალი. ჩაილდის ვარაუდით: ნეოლითელი ადამიანი იქ ობსიდიანს მიეზიდებოდა ლიპარიის კუნძულებიდან. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ გამოდის, რომ ნეოლითელი ადამიანები მიწათმოქ-

მედებასთან ერთად მისდევდნენ ზღვაოსნობასაც. ნიშანდობლივია, რომ ჩაილდი არსებით მსგავსებებს პოულობდა აპენინის ნახევარკუნძულის ნეოლითურ და კრეტულ კულტურებს შორის.

ძვ.წ 3800 წლისთვის აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და სიცილიაში აღმოსავლეთიდან მიგრანტების ახალი ტალღა ჩნდება. ისინი ქმნიან ე.წ. სერა დალტოს, კასტელუჩოს, ბონუ-იგინუს და სხვა კულტურებს. აპენინიდან მიგრანტების კვალი ესპანეთში და ბალეარის კუნძულების მიმართულებით ჩანს.

ძვ.წ. III ათასწლეულიდან აპენინის ნახევარკუნძულზე იწყება ენეოლითის ხანა, რომლის დროსაც პირველყოფილი ადამიანი იწყებს ლითონის დამუშავებას. სპილენძი თავდაპირველად შემოჰქონდათ ჩრდილოეთიდან, ხოლო შემდეგ დაიწყეს ეტრურიის, უმბრიის და სარდინიის საბადოების ათვისება. ეს პერიოდი აღინიშნება მეცხოველეობის მნიშვნელოვანი განვითარებით და ერთმანეთთან ბაკლანეთის (კრეტა-მიკენის კულტურა) და პირენეის ნახევარკუნძულზე არსებულ კულტურულ ცენტრებთან კავშირებით. ინგლისელ მეცნიერს არტურ ევანს (1851-1941 წწ.) ეს კავშირები იმდენად გადაჭარბებულად მიაჩნდა, რომ სიცილიას იგი კრეტის ახალშენად მიიჩნევდა. უკვე ჩნდება გვაროვნული აკლდამები, ე.ი. იწყება მიცვალებულთა დაკრძალვა კლდეში ნაკვეთ მაღაროს ტიპის კამერებში და ა.შ.



*გორდონ ჩაილდი*



*არტურ ევანსი*

ენეოლითელი ადამიანის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა 1991 წელს ეცტალიის ალპებში, იტალიის და ავსტრიის საზღვარზე, ნაპოვნი 5300 წლის წინანდელი ყინულოვანი მუმია - ე.წ. „ეცის ყინულის კაცი“. მუმიის ყოველმხრივმა ექსპერტიზამ (გენეტიკური...) და იქვე ნაპოვნმა სხვადასხვა ნივთებმა (ნაჯახი...) მეცნიერებს საშუალება მისცა დაეზუსტებინათ ენეოლითელი ადამიანის შესახებ შეხედულებები. მაგ., ეცის კაცის მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ 5 300 წლის წინანდელი მცხოვრები ადამიანების საკვები მენიუ. სიკვდილის მომენტში ეცის კაცი 45 წლის იყო. მისი სიმაღლე 16,5 სმ,

წონა – 50 კგ და სხეულის 19 ადგილზე ჰქონდა 61 ტატუ. მართალია ყველა მისი შინაგანი ორგანო ათასწლეულების მანძილზე მუმიციფირების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაგრამ კუჭზე და სხეულის სხვა ნაწილებზე 25 წლიანი კვლევის შედეგებმა აჩვენეს სიკვდილის წინა პერიოდის საკვები მენიუს შემადგენლობა. გაირკვა, რომ ეცელი კაცის რაციონი იყო ნოყიერი, მაგრამ ნაკლებ გემრიელი. იგი ჭამდა თხის ქონს, ირმის ხორცს, ცაცხვს, ხორბალს და გვიმრას. უკანასკნელს იგი წამლის როლში ღებულობდა. ცხიმიანი საკვები იმ პერიოდში გულის პრობლემების მთავარი წყარო იყო. ამის გარდა, ეცის კაცს ჰქონდა ვენების დაცობის ნიშნები. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თუ იგი ბრძოლაში არ დაიღუპებოდა, მაშინ აუცილებლად გარდაიცვლებოდა სისხლძარღვების პრობლემებით.

ეცის მუმიაზე დაფიქსირებულ ტატუს სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა. იგი ტატუს გამოყენების ყველაზე ადრეული ფაქტია. მუმიის მარცხენა მუხლის შიგა მხარეს ამოტვირფული იყო შავი ჯვარი, ზურგის ქვედა ნაწილზე ექვსი, ხოლო კოჭზე, ფეხებზე და მაჯებზე პარალელური ხაზები. რედგენის სხივების ქვეშ მუმიის გატარებისას გამოჩნდა ტატუს ქვეშ მყოფი დაავადებული სახსრები, რაც მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ მას ტკივილის შემცირების ფუნქცია ჰქონდა.



*„ეცის ყინულის კაცი“*



*„ეცის ყინულის კაცი“-ს ნივთები*

ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრიდან აპენინზე ვრცელდება ბრინჯაოს კულტურა. ბრინჯაო ქვასთან და სპილენძთან შედარებით მტკიცე ლითონი იყო. იგი ადვილად არ ცვდებოდა და მისგან ნაკეთმა სამუშაო იარაღებმა კიდევ უფრო აამაღლეს შრომის ნაყოფიერება. თანდათან, საფუძველი ჩაეყარა სამიწათმოქმედო მეურნეობას. ადამიანმა დაიწყო პურის გამოცხობა. შესამჩნევად განვითარდა მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობა იმ მხარეშიც გავრცელდა, სადაც წინათ ადამიანები არ სახლობდნენ,

ანდა ბინადრობდნენ მონადირეთა და მეთევზეთა მცირერიცხოვა-ნი ჯგუფების სახით. შეიცვალა მიწის დამუშავების ხასიათიც. თოხის გვერდით გაჩნდა პრიმიტიული სახის გუთანი.

შუა ბრინჯაოს ხანაში ჩრდ. იტალიაში, მდ. პოს ხეობაში, კელტების მოსვლამდე ჩნდება საცხოვრებელი ნაგებობების ახალი ტიპი ე.წ. პალაფიტები, იგივე ხიმინჯებიანი სადგომები, რომლებიც სამეცნიერო წრეებში ტერამარების კულტურის სახელით არის ცნობილი. მიჩნეულია, რომ ტერამატების კულტურას სათავე დაუდო მდ. დუნაის შუა წელიდან აპენინის ნახევარკუნძულზე გადმოსახლებულმა მიგრანტებმა.

ტერამარების კულტურისთვის დამახასიათებელი იყო ცხოველებისგან და გარე მტრების თავდასხმისგან თავის დასაცავად წყალზე და ხმელეთზე 1-2 ჰექტარის ფართობის მქონე ოთხკუთხა ხიმინჯებიანი ნაგებობების შენება. მომთაბარული ყოფისგან განსხვავებით ხიმინჯებიანი ნაგებობების მცხოვრებლები კულტურის განვითარების მხრივ კიდევ უფრო დაწინაურებული ჩანან. მათ დაიწყეს ვენახის და ზეთისხილის გაშენება. ტერამარები სასუქად გამოყენებული შავი მიწის გროვაა. შენობების საფუძველი ხიმინჯები კოპიტისგან, იატაკი ნაძვის ფიცრებით, ხოლო სახურავი ლერწმით დაფარული ალვის ხის ძელისგან კეთდებოდა. იატაკზე აუცილებელი იყო თიხის ფენის დაგება, ხოლო სიცივისგან დაცვის მიზნით კედლებს ფარავდნენ თიხის და საქონლის ნაკელის ნაზავით.



*ტერამარების კულტურის გავრცელების არეალი*

XIX ს. 60-იანი წლებიდან იტალიაში ინტენსიურად დაიწყეს ტერამარების გათხრა, რითაც დაზუსტდა ამ კულტურის გავრცელების არეალი. უპირველესად უარყოფილი იქნა თ. მომზენის ხედვა ტერამარების ეტრუსკულობის თაობაზე. შესაბამისად, მეცნიერებაში სულ უფრო მეტი არგუმენტი ჩნდება მისი მიჩნევა პირველი ტალღის იტალიკი ტომის - პროტოლათინურის შესახებ. ქრონოლოგიის თვალსაზრისით ტერამარების კულტურას ყოფენ ოთხ სტადიად და მისი აღმავლობის პერიოდია ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახ.

ვარაუდის დონეზე მიიჩნევენ, რომ აპენინის ნახევარკუნძულზე ტერამარების კულტურას სათავე დაუდეს დუნაისპირეთის

რეგიონის მიგრანტებმა. ტერამარებში ნაპოვნია ბრინჯაოს მრავალი იარაღი, სხვადასხვა დანიშნულების ხელსაწყო, სამკაული, ცულები და სხვ. ფაქტია, რომ წინანდელ კულტურასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხელოსნობა. მთიან ადგილებში შესამჩნევად გაფართოვდა მესაქონლეობა, ხოლო ბარში აქტიურად დაიწყო მიწათმოქმედებაში გუთნის გამოყენება. ტერამარების კულტურის განვითარების პირველ სტადიაზე დამახასიათებელი იყო ნივთების ფარეშე ანდა მწირი ინვენტარით ორმოებში მიცვალებულების ინგუმაციის პრაქტიკა. მსგავსი მიგდომა ადასტურებს, რომ ტერამატების კულტურის წარმომადგენლებში კიდევ არ იყო მკვეთრი ქონებრივი და სოციალური დიფერენცია. მოგვიანებით გავრცელდა მიცვალებულების კრემაცია, სადაც ფერფლს სპეციალურ თიხის ჭურჭელში - ოსუარიებში ინახავდნენ (ფერფლის ჭურჭელი). დასაფლავების აღნიშნული წესი ჩრდ. იტალიაში ტერამარელებმა დაამკვიდრეს, რომელიც შემდგომ გავრცელდა აპენინის ნახევარკუნძულის სხვადასხვა მხარეებში და მიმდებარე კუნძულებზე.

ძვ.წ. XII ს-თვის ტერამარების კულტურა დაკნინდა, რაც ე.წ. ზღვის ხალხების თავდასხმის გარდა გამოწვეული იყო სავაჭრო გზების სამხრეთით გადანაცვლებით. საუკუნეების დინსტანცირების მიუხედავად ტერამარების კულტურის ნათესაობა ჩანს ვილანოვას და ეტრუსკულ კულტურებთან (მიცვალებულთა კრემაცია...).


*ნურაგეს ბრინჯაოს მოდელი*

ტერამარების კულტურის პარალელურად შუა და სამხ. იტალიაში გავრცელებული იყო ე.წ. აპენინური კულტურა, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო ეგეოსურთან. ეგეოსური სამყაროს გავლენა ჩანს ლაციუმში, სადაც აღმოჩენილია დასაშრობი ნაგებობები და მეგალითური ტიპის შენობები.

შუა ბრინჯაოს ხანაში კუნძ. სარდინიაზე ჩაისახა და შემდგომში კუნძ. კორსიკაზე გავრცელებული მეგალითური კოშკების, იგივე ნურაგეს კულტურა. იგი მოიცავდა ძვ.წ. 1700 წლიდან იქმის ახ.წ. II ს-მდელ პერიოდს. კუნძულზე კოშკების რაოდენობა 8000-მდეა ნაპოვნი.

ჩვენთვის უცნობია მეგალითური კოშკების მშენებლების ეთნიკური კუთვნილება. ზოგადად მათ აკუთვნებენ ე.წ. ზღვის ხალხებს. სავსებით შესაძლებელია, რომ მათ როლში ყოფილიყვნენ მცირე აზიიდან იტალიაში მიგრირებული ეტრუსკები. ამ არგუმენტს ისიც ამაგრებს, რომ ნურაგეს კულტურის ხელოვნების ნიმუშებში ნახულობენ მსგავსებას ეტრუსკულ და აღმოსავლეთ ხლეთაშუაზღვისპირეთის არქიტექტურულ ნაკეთობებთან.

ნურაგეს კონუსისებრი კოშკის ფორმა აქვს. ნაგებობას არ ჰქონდა საფუძველი და კონსტრუქცია იდგა თავისი ქვების წონის ხარჯზე. რიგი ნურაგეს სიმაღლე 20 მ აღწევდა. გაურკვეველია ნურაგეს დაწიშნულება. მეცნიერთა ნაწილი მათ ტაძრებად, საცხოვრებელ სახლებად, მმართველთა რეზიდენციად, ციხეებად ანდა სამხედრო ნაგებობებად მიიჩნევდნენ. ზოგი ნურაგი მდებარეობდა სტრატეგიულ ადგილზე, რომლებითაც შესაძლებელი იყო გზების კონტროლი. ნურაგეს დანიშნულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად უდაო, რომ მათ სიმბოლური დანიშნულება ჰქონდათ. ნურაგეს ნაგებობებს ძვ.წ. XVIII-XV სს. ათარიღებენ. ნურაგეს კულტურისთვის დამახასიათებელი იყო ბრინჯაოს ქანდაკებების, მატრიარქატის სიმბოლოს - ქალი ხვთაების და ქვაში ნახვრეტის მქონე ქანდაკებების არსებობა.



ბიკონური ურნა

ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნა იტალიაში აღინიშნება რკინის ფართოდ გამოყენება. მისი კვალი ჩრდ. იტალიაში ბოლონიის მახლობლად დაბა ვილანოვაში 1853-1856 წლებში აღმოაჩინა არქეოლოგმა ჯოვანი გოზადინიმ (1810-1887 წწ.). ვილანოვას კულტურამ შეცვალა ბრინჯაოს ხანის ტერამარების კულტურა, რომელმაც შემდგომში ადგილი დაუთმო ეტრუსკულ ცივილიზაციას. ვილანოველები პირველები იყვნენ იტალიაში, რომლებმაც დაიწყეს რკინის დამუშავება. ამიტომაც ადრეული რკინის ხანა სამეცნიერო ლიტერატურაში ვილანოვას კულტურის სახელით არის ცნობილი. ვილანოვაში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ



ჯოვანი გოზადინი

რკინის ხანის განვითარებას მის ადრეულ (ძვ.წ. 1000-700 წწ.) და გვიან (ძვ.წ. 700-500 წწ.) სტადიებზე.

ვილანოვას კულტურის მახასიათებელი იყო ჭა-სამარხების არსებობა, რომლებშიც ინახებოდა ფერფლიანი ბიკონური ფორმის ურნები და მიცვალებულისათვის იმ ქვეყნად საჭირო სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის რკინის ნივთები, კერამიკული ნაკეთობა და ა.შ. საცხოვრებელ სახლებს ისინი კეთდებოდა ხისგან ან თიხისგან და ჰქონდათ ელიპსის, წრის, მართკუთხედის ან კვადრატის ფორმა. სახურავის აუცილებელი ატრიბუტი იყო ნახვრეტის გაკეთება, რითაც კერიიდან ხდებოდა კვამლის გაწოვა. რაც შეეხება ფანჯრებს, მისი გაკეთების პრაქტიკა არ იყო ფართოდ გავრცელებული.



*ვილანოვას კულტურის გავრცელების არეალი*

ვილანოვას კულტურის მატარებელი საზოგადოება თავდაპირველად სუსტად იყო ფენებად დაყოფილი. ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობა (მიწათმოქმედება...) და მესაქონლეობა იყო, მაგრამ ხელოსნობის პროფესიონალიზაციამ და სიმდიდრის დაგროვებამ საფუძველი დაუდო საზოგადოების კლასებად დაყოფას. სამეცნიერო ლიტერატურაში პერიოდი ვილანოვას კულტურა გაიგივებული იყო ეტრუსკულთან, რომლებიც მოგვიანებით იგივე სივრცეზე ცხოვრობდნენ. უახლესი პერიოდის გამოკვლევებში ეს პოზიცია შეცვლილია და მიჩნეულია, რომ ვილანოვას კულტურის მატარებლები იყვნენ უმბრები.



*ვილანოვას კულტურის კერამიკა*

ვილანოვას კულტურის ეპოქაში აპენინზე ჩნდება ქალაქების პრიმიტიული ვარიანტები. თავდაპირველად ისინი წარმოდგენილი იყვნენ მომაღლო ბორცვებზე საგვარეულო გამაგრებული დასახლებების სახით. მოგვიანებით, IX ს., მიწის სავარგულის დიდი ფართობის და სასარგებლო წიაღისეულის მოთხოვნის აუცილებლობამ აიძულა მოსახლეობა

ბარში ჩამოსულიყვნენ, სადაც მათმა დასახლებლებმა თანამედროვე ქალაქების სახე მიიღო. ძველი გადმოცემები ვილანოველებს ეტრურიაში მიაწერენ 300 ქალაქის დაარსებას.

ჩრდილო-დასავლეთ იტალიაში რკინის კულტურის მრავალსახეობას წარმოადგენდა ე.წ. გოლასეკის კულტურა, რომელიც ლიგურიელებს მიეკუთვნებოდა. ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვენეტების მხარეში, იყო ე.წ. ესტეს, ხოლო სამხრეთით ბრუტიუმში ტორე-გალის კულტურა.

XIX ს. სამეცნიერო წრეებში დომინირებდა აზრი, რომ იტალია რკინის მხრივ უნდა უმადლოდეს აპენინზე მოსულ იტალიკ ტომებს. თანამედროვე არქეოლოგები კი იმ აზრისკენ იხრებიან, რომ იტალიაში რკინა შეიტანეს ბერძენმა, ფინიკიელმა ვაჭრებმა და ეტრუსკებმა.

*რომამდელი იტალია*

იტალიკ ტომთა ეთნოგენეზის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავ დაზუსტებას და შემდგომ დამუშავებას საჭიროებს. საკითხის შესწავლის სირთულეს ის გარემოება ქმნის, რომ პროტორომაულ პერიოდში ლინგვისტური თვალსაზრისით აპენინის ნახევარკუნძულზე სახლობდა მოსახლეობის ეთნიკურად ჭრელი სპექტრი, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს. ნებისმიერ იტალიკურ ტომზე შეიძლება დასაბუთება მათი აბორიგენობის ანდა მიგრაციის შესახებ. ფაქტია, თუ იტალიკები ინდოევროპული ტომებია, მაშინ ისინი არ არიან აბორიგენები. ასეთ ვითარებაში საკითხი დგება უკვე მათი მოსვლის მარშუტის და თარიღის შესახებ. ამ სირთულეების გამოა, რომ კვლევის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად რიგი საკითხები კვლავ ჰიპოთეზის დონეზე არის.

ანტიკური ტრადიცია აპენინის ნახევარკუნძულზე უძველეს მოსახლეობად მოიხსენიებს ლიგურიელებს. ისინი ნეოლითური კულტურის მატარებელ ხალხად არიან მიჩნეული. იმდენად უმნიშვნელოა ჩვენამდე მოღწეული ლიგურიული ენის ნიმუშები, რომ რთულია მათი ეთნოლინგვისტური კუთვნილების განსაზღვრა. ერთნისთვის ისინი ინდოევროპელებია, სხვები მათ ე.წ. ხმელთაშუაზღვისპირა ხალხებს აკუთვნებენ და ა.შ. როგორც არ უნდა გადაწყდეს ლიგურიელების წარმომავლობის შესახებ კამათი, ფაქტია, რომ ძვ.წ. I ათასწლეულში სხვა ტომებისგან შევიწროებული

ისინი მკვიდრდებიან იტალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც მათ დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნეს თვითმყოფადობა.

XIX ს. დომინირებული თეორიით აპენინზე იტალიკები ჩრდილოეთიდან ალპების გადასავლელებით ორი ტალღის სახით მოვიდნენ. იტალიაში მათი პირველი ტალღა სჩანს ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში. ისინი იყვნენ პროტოიტალიკური ტომები, რომლებიც დასახლდნენ მდ. პოს ხეობაში. იქ მათ შექმნეს ხიმინჯებიანი დასახლებები, რაც ტერამარების კულტურის სახელწოდებით შევიდა ისტორიაში. იმავე ათასწლეულის მიწურულს აპენინზე მეორე შტოს სახით შემოდიან ვილანოვას კულტურის მატარებლები ოსკო-უმბრული ტომები. რამდენადაც შეინიშნებოდა ადრეული ლითონის კულტურის მსგავსება დუნაისპირა რაიონში მცხოვრები ტომებთან, ამიტომაც ისინი იმ არეალიდან მოსულებად ჩათვალეს. XX ს. შუა ხანებიდან მეცნიერები თანდათან გადაიხარნენ იმ აზრისკენ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში იტალიაში მცხოვრები ტომები ინდოევროპული ენების ოჯახს განეკუთვნებიან და ისინი აპენინზე ადრიატიკის მხრიდან საზღვაო გზითმ მოსული ხალხია. თუ ეს სწორია, მაშინ გამოდის, რომ აპენინზე იტალიკები არ იყვნენ პირველი მაცხოვრებლები და არც რკინის კულტურის პირველი მატარებლები. საერთოდ, იტალიკებს ყოფენ ლათინურ-სიკულურ და უმბრო-ოსკოურ-საბელურ ჯგუფებად.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისთვიას აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური სურათი იყო უაღრესად ჭრელი. იტალიკების გარდა, აპენინზე სახლობდნენ სხვა ინდოევროპელი ტომები – პელასგები, ილირიელები, ბერძნები, კელტები (გალები) და პუნები. მთლიანობაში, რომ შევაჯამოთ დავინახავთ, რომ ძვ.წ. I ათასწლეულისთვის აპენინის ნახევარკუნძულის რუკა ჭრელია და იგი შემდეგ სახეს ღებულობს. მდ. პოს ხეობაში ცხოვრობდნენ კელტური (გალები) ტომები – ინსუბრები, ბოიები, სენონები და ცენომანები. ისინი მდ. დუნაის ქვემო წელიდან დაიძრნენ და ალპების გადასასვლელების გავლით ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში დამკვიდრდნენ მდ. პოს ხეობაში. მათგან სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ ლიგურიელები. მდ. პოს ქვემო დინების ჩრდილო-აღმოსავლეთის ვენეტები. ლიგურიელების სამხრეთით მდებარეობდა ეტრურია, ხოლო მისგან აღმოსავლეთით უმბრია და შემდგომ პიცენუმი.

ეტრურიის სამხრეთით მდებარეობდა ლაციუმი. მისგან სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ ლათინები და იტალიკთა მონათესავე ე.წ. საბელების ჯგუფის ტომები – საბინები, ვოლსკები, ფრენტანები, სამნიტები და ოსკები. სამხრეთ იტალიაში სახლობდნენ ლუკანები და ბრუტიები, ხოლო აპულიასა და კალამბრიაში ადგილობრივ დიალექტზე მოლაპარაკე ტომები - იაპიგები, მესალიები და ა.შ. სიცილია ციკულების და ციკანების ტომები სამკვიდრო იყო, რომლებიც განუწყვეტელ ომებში იყვნენ ბერძენ და პუნ კოლონიზატორებთან.

*კონტაქტები ბერძნებთან და ფინიკიელებთან*

აპენინის ნახევარკუნძულზე არსებული ცივილიზაციის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეასრულეს ბერძნებმა და ფინიკიელებმა. უკანასკნელების მხრიდან ნახევარკუნძულის და სიცილიის კოლონიზაცია იწყება ძვ.წ. IX ს. კუნძულის დასავლეთ ნაწილში მათ დაარსეს ქალაქები პანორმუსი (პალერმო) და ლილიბეუმი, რომელებიც დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე ვაჭრობაში კართაგენთან ერთად წარმოადგენდნენ ფინიკიელთა საშუამავლო ვაჭრობის პუნქტებს. ძირითადში ამ გზით მიჰქონდათ ფინიკიური ქარვა, სპილოს ძვალი, ძოწეული და ა.შ. მოგვიანებით, სპარსეთის მხრიდან ფინიკიის დაპყრობის და ელადის აღზევების შედეგად აპენინსა და სიცილიაში ფინიკიელები ჩაანაცვლეს ბერძნებმა.



*დიდი საბერძნეთი*

რაც შეეხება ბერძენებს, მათი პირველი დასახლებები იტალიასა და სიცილიაში გაჩნდა ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს კრეტა-მიკენის პერიოდში. თავდაპირველად ისინი იყო ლიპარიის კუნძულებზე. ძვ.წ. XIII-XII სს. სავაჭრო ურთიერთობებმა უკვე ინტესიური სახე მიიღო. სამხ. იტალიასა და აღმ. სიცილიაზე ნაპოვნია არის არაერთი კრეტა-მიკენის ეპოქის ნივთები. ეს მიუთითებს ინტენსიურ ურთიერთობებზე, მაგრამ ამ კავშირების ანალოგიური კვალი ელადაში არ არის აღმოჩენილი. ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ვარაუდი, რომ სამხ.

იტალია-სიცილიიდან ელადაში ალბათ შეჰყავდათ მონები, ანდა შეჰქონდათ გადასამუშავებელი წიაღისეულები. საფიქრებელია, რომ ამ პერიოდის მოვლენები აისახა ბერძნულ მითოლოგიაში არსებულ ჰერაკლეს გმირობებსა და სქილასა და ქარიბდას შესახებ მითებში.

სამხ. იტალიასა და სიცილიაში ბერძენთა დასახლებებმა ინტენსიური სახე მიიღეს ძვ.წ. VIII-VI სს. ბერძნული კოლონიზაციისას. მატერიკზე პირველ ბერძნული კოლონია იყო ქ.კუმე. იგი ძვ.წ. 750 წელს დაარსეს ევბეის ქალკედონიდან გადმოსახლებულებმა. სიცილიაში პირველი კოლონია იყო ქ. ნაკსოსი (ძვ.წ. 734 წ. ახლ. ჯარდინი-ნაქსოსი). ძვ.წ. VIII-VII სს. მიჯნაზე ერთმანეთის მიყოლებით იტალიის სამხრეთ ზღვისპირა ზოლში და სიცილიაზე აღმოცენდა დასახლებები. მათგან ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწიათ კორინთელთა მიერ ძვ.წ. 733 წელს დაარსებულ სირაკუზს, სიბარისს (დაარსებული აქეელთა მიერ ძვ.წ. 720 წ.), ტარენტუმს (სპარტის კოლონია - ძვ.წ. 706 წ. დღევ. ტარანტო) და ჰელას (დაარსებული როდოსელთა და კრეტელთა მიერ ძვ.წ. 688 წ.). დასახელებული ბერძნული ახალშენებიდან ნაწილი კიდევ უფრო განვითარდა, პოლისის (ქალაქ-სახელმწიფო) სახე მიიღეს და დამოუკიდებლად დაიწყო კოლონიების გამოყვანა. მაგ., სირაკუზელებმა დაარსეს აკრი, კუმმა - ნეაპოლი და ა.შ.

ბერძნული ქალაქები განლაგებული იყვნენ აპენინის ნახევარკუნძულის შუა და ქვემო წელში, როგორც წესი ზღვისპირა ზოლში. მათ ჰქონდათ მოხერხებული ნავსადგურები, რაც შესაძლებლობას აძლევდათ ეცხოვრათ საკუთარი ეკონომიკური ცხოვრებით. ამასთან, ისინი იმყოფებოდნენ მეტროპოლიასთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ხაზებით დაკავშირებული, საიდანაც ღებულობდნენ სამხედრო დახმარებას, კოლონისტთა ახალ ნაკადს, სამრეწველო პროდუქციას და ა.შ.

კოლონიები, როგორც წესი, კოპირებას აკეთებდნენ მეტროპოლიის პოლიტიკურ წყობას და ინარჩუნებდნენ მასთან მუდმივ კულტურულ კავშირებს (ოლიმპიადებზე მონაწილეობა...). მეორეს მხრივ, სამშობლოდან შორს მყოფი ბერძნები გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჯერ კიდევ ძვ.წ. I ათასწლეულიდან სამხ. იტალიაში სახლობდნენ ლუკანები, ბრუტიელები და სხვა მეომარი ტომები. სიცილიაში კი სიკანთა, ელიმონთა და სიკულონთა ტომები. ბერძნების და აბორგენებთან

ურთიერთობები ცვალებად ხასიათს ატარებდა. ძვ.წ. VIII-VII სს. ბერძნული ახალშენები და ადგილობრივი მოსახლეობა ერთმანეთში დაძაბულ ურთიერთობებში იყვნენ, მაგრამ მათი პოლისად გარდაქმნის შემდეგ, ელინებმა, დაიწყეს ნახევარკუნძულის შიგა მხარეებში შეღწევა და ადგილობრივი ტომების დამორჩილება. შემდგომში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობების სტაბილიზაციამ და ცენტრალურ ხმელთაშუაზღვისპირეთში ხელშემწყობმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი შეუწყო დიდი საბერძნეთის ქალაქების სწრაფ სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ამიერიდან ისინი გადაიქცნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის მსხვილ პოლიტიკურ ცენტრებად.

ეკონომიკურმა აღმავლობამ, მოსახლეობის ახალი ნაკადის მოზღვავებამ, ხელი შეუწყო დიდი საბერძნეთის პოლისებში სოციალურ დიფერენციაციას და კლასობრივი სტრუქტურის ფორმირებას. ძვ.წ. VIII-VII სს. ბერძნული კოლონიების უმრავლესობაში დამყარდა ოლიგარქიის ბატონობა. ქალაქის მართველობის სტრუქტურა ელინურის მსგავსი იყო. ქალაქის სათავეში მყოფი ოლიგარქია თავის ინტერესების შესაბამისად ატარებდა სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმებს.

დიდი საბერძნეთის მრავალრიცხოვან პოლისთა ნაწილმა შესძლო მოეპოვებინა პოლიტიკური გავლენა. უკვე, ძვ.წ. VI ს., სიცილიაში უძლიერესი პოლისი იყო ჰელა და მისი კოლონია აგრიგენტი. ჰელამ ყველაზე მეტად პოლიტიკურ სიძლიერეს მიაღწია ტირან ჰიპოკრატესა და ჰელონეს (ძვ.წ. V ს.) დროს. უკანასკნელმა კიდეც მოახერხა სირაკუზის საშინაო საქმეში ჩარევა და ძვ.წ. 485 წელს იგი იქ სამეფო ძალაუფლებას დაეუფლა. ამიერიდან ჰელონე სირაკუზის მმართველია, სადაც იგი წარმატებულ საგარეო პოლიტიკასაც აწარმოებდა. რაც შეეხება ქ. ჰელას, ჰელონემ იგი თავის ძმა - ჰიერონს გადასცა. აქტიური დაპყრობითი პოლიტიკის წყალობით ჰელონემ დაანგრია მეზობელი ქალაქები - კამარინა და მეგარა, ხოლო ჰელასთან და აგრიგენტუმთან კავშირში, ძვ.წ. 480 წელს, ჰიმეროისთან მან გაანადგურა კართაგენის არმია. ამ გამარჯვების წყალობით ბერძნებმა დიდი ხნით მოიპოვეს სიცილიაში უპირატესობა. ძვ.წ. V-IV სს. სწორედ სირაკუზის გაფურჩქვნის ხანაა.

სამხ. იტალიაში ერთ-ერთი მსხვილი პოლისი იყო ტარენტუმი (ახლ. ტარანტო). მას შესანიშნავი მდებარეობა ჰქონდა. მოხერხებული სანავსადგურო ყურე და ნაყოფიერი მიწები ტარენტს აძლევდა საშუალებას ეწარმოებინა ეკონომიკის კომპლექსური (სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა) განვითარება. დიდი გასავალი ჰქონდა ტარენტულ ღვინოს. ამ უპირატესობათა გარდა, ტარენტუმს, მთელ „დიდ საბერძნეთში" ჰყავდა ყველაზე დიდი სავაჭრო და სამხედრო ფლოტი. საჭიროების შემთხვევაში მას შეეძლო შეიარაღებინა 30 ათასი ჯარისკაცი და 3 ათასი მხედარი. ფლოტის მშენებლობა და იარაღის წარმოება ითხოვდა ხელოსნობის სხვადასხვა სახეობების განვითარებას. ყოველივეს წყალობით ტარენტუმი სამხრეთ იტალიაში იქცა მსხვილ სავაჭრო პუნქტად.

დიდი საბერძნეთის სხვა პოლისებისაგან განსხვავებით ტარენტუმში შედარებით მყარი იყო დემოკრატიული ტრადიციები. იქ მწვავედ მიდიოდა სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლა, რის პროცესშიც ქალაქში ხშირად მყარდებოდა ტირანია. ტარენტუმის ტირანებიდან ყველაზე ცნობილი იყო ფილოსოფოსი არქიტე (ძვ.წ. 428-347 წწ.). სწორედ მისი მმართველობისას მიაღწია ქალაქმა ყველაზე დიდ გაფურჩქვნას. ტარენტუმის ეკონომიკურმა ძლიერებამ და მყარმა დემოკრატიულმა ტრადიციებმა ქალაქში გამოიწვია აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება, რამაც ხელი შეუწყო მის კულტურულ განვითარებას. სტრაბონის ცნობით, ტარენტუმში სადღესასწაულო დღეები უფრო მეტი იყო ვიდრე მუშახელი. სწორედ ტარენტუმიდან იყვნენ გამოსული ბერძენი მწერალი ლეონიდასი (ძვ.წ. ?320-? წწ.), ხოლო ლივიუს ანდრონიკუსი (ძვ.წ. 284-204 წწ.) ითვლება რომაული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად.


*არქიტე ტარენტუმელი*

ტარენტუმი დიდ პოლიტიკურ როლს ასრულებდა სამხ. იტალიაში. ძვ.წ. 334 წელს ტარენტუმელებმა რომთან კავშირი დადეს, რომლითაც უკანასკნელებმა ივალდებულეს არ შესულიყვნენ ტარენტუმის ყურეში. ტარენტუმს მუდმივი ჯარი არ ჰყავდა. პირიქით, მათ წესად ჰქონდათ, რომ აბორიგენებთან ბრძოლაში ბალკანეთის საბერძნეთიდან მოეწვიათ დაქირავებული არმია. ამით ძირითადში ხდებოდა ხარჯების დაზოგვა, რადგანაც სამხედრო

კამპანიის დასრულების შემდეგ მოქირავნეები ქალაქს ტოვებდნენ.

სამხ. იტალიასა და სიცილიაში ბერძნულ პოლისთა არსებობა დიდ როლს თამაშობდა იტალიის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. ეკონომიკის წამყვანი ფორმები, მონათმფლობელური ურთიერთობა და პოლისური წყობა ხელს უწყობდა ადგილობრივ იტალიკური ტომების ისტორიული განვითარების პროცესს, გვაროვნული ურთიერთობის სწრაფ რღვევას და მონათმფლობელური საზოგადოების და სახელმწიფოს ორგანიზებას.

*ეტრუსკები*

აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ტომებში განსაკუთრებული ადგილი ეკავათ ეტრუსკებს. ნახევარკუნძულზე გვაროვნული საზოგადოების სტადიაზე მყოფი ტომებიდან (ლიგურიელები, ილირიელები...) ეტრუსკები ერთადერთნი იყვნენ, რომლებმაც რომაელებამდე შესძლეს ასულიყვნენ სახელმწიფოებრიობამდე. მათ შექმნეს მძლავრი კავშირი (ფედერაცია). ლივიუსის ცნობით, რომის დაარსებამდე, ეტრუსკები ხმელეთსა და ზღვაში ფლობდნენ უზარმაზარ სივრცეებს.



*ეტრუსკების გავრცელების არეალი*

ეტრურია მდებარეობდა აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრებოდა ლიგურია, გალია და ვენეტების მხარე. აღმოსავლეთიდან მდ. ტიბრით უმბრია, სამხრეთ-დასავლეთით ლაციუმი, ხოლო დასავლეთის მხრიდან ტირენის ზღვა. მოგვიანებით მათ მფლობელობაში აღმოჩნდა ნახევარკუნძულის ცენტრალური ნაწილი. მათი კოლონიები გაჩნდა კორსიკაზე და დას. ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა კუნძულებზე.

ეტრუსკების უძველესი სახელწოდება „ტურშა“, ანდა „ტურუშა“-ს ფორმით ნახსენებია რამსეს II-ის (ძვ.წ. 1279-1213 წწ.) დროინდელ ეგვიპტურ ძეგლებში. აღნიშნული სახელი „ტირენი“-ს ფორმით შეითვისეს ელინებმა. რაც შეეხება ლათინებს, მათთან

ფუძე „Turs“-დან წარმოიქმნა „Turscus“, რომელშიც „E“ მარცვლის გადაადგილებით მიიღეს „E-trus-cus“. სწორედ უკანასკნელიდან წარმოსდგა სიტყვა „Etruria“. თვით ეტრუსკები თავს „რაზენიმებს“ (თავისუფლები - კ.ს.) უწოდებდნენ.

ეტრუსკული პრობლემის სირთულეს წარმოადგენს მათი წარმოშობის და ენის საკითხების გარკვევა. ანტიკურ ხანაში არსებობდა ამ პრობლემის ერთი ასპექტი – წარმოშობის საკითხი, ვინაიდან ეტრუსკული ენა მაშინ ცოცხალი იყო. არადა, ენის გენეტიკური კუთვნილების გარკვევა და წარწერების გაგება ნათელს მისცემს ამ ერის ისტორიას. ეტრუსკების მიომართ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ანტიკურ პერიოდშივე იყო ცდები დაეწერათ მათი ისტორია. მაგ., იმპ. კლავდიუსს (41-54 წწ.) 20 წიგნად ჰქონდა დაწერილი ეტრუსკების ისტორია. სამწუხაროდ, აღნიშნული ნაშრომი დაკარგულია.

სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკების ავტოქთონობის შესახებ. კამათს სათავე დაუდო ჰეროდოტემ, რომელმაც წამოაყენა ეტრუსკთა მცირე აზიური წარმოშობის თეორია. ისტორიკოსის მიხედვით, ლიდიაში შიმშილობისას, მოსახლეობის ნაწილი მეფისწულ ტირსენეს მეთაურობით ახალი სამკვიდროს ძიების მიზნით დასახლდნენ იტალიის დასავლეთ სანაპიროზე. ახალ მოსახლეებს მათი ბელადის სახელის მსგავსად უწოდეს ტირსენები, ანდა ტირენები. ეტრუსკების წარმოშობის ჰეროდოტესეულმა შეხედულებამ იმთავითვე მხარდაჭერა ჰპოვა. მას იზიარებდნენ სტრაბონი, პლინიუს უფროსი, ტაციტუსი და სხვ. რომაელი მემატიანეებისთვის „ეტრუსკი“ და „ლიდიელი“ სინონიმი იყო.

ჰეროდოტესეული ვერსიის საპირისპირო შეხედულება განავითარა დიონისე ჰალიკარნასელმა. იგი დააკვირდა ქსანთოსის (ძვ.წ. V ს.) „ლიდიის ისტორიის“ ტექსტს, რომელშიც არ იყო მინიშნება ჰეროდოტესეული ვერსიის შესახებ და აქედან გამომდინარე მან ეტრუსკები მიიჩნია იტალიის აბორიგენ მოსახლეობად. მისი აზრით, ეტრუსკების ავტოხტონები არიან, რადგანაც ძველ და ახალ დროში არავინ საუბრობდა მათ მსგავს ენაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ დიონისე ჰალიკარნასელის ეტრუსკთა წარმოშობის თეორიამ იმთავითვე პოპულარობა ვერ ჰპოვა. არსებობდა მესამე თეორიაც, რომლის მიხედვით ეტრუსკები აპენინზე მოვიდნენ ალპების გადაღმა ტერიტორიებიდან.

ადრე შუა საუკუნეებში ეტრუსკების თემა მიივიწყეს და მხოლოდ რენესანსის პერიოდში გაიხსენეს. 1498 წელს დომინიკელმა ბერმა ანიო და ვიტებრომ (1432-1502 წწ.) პირველად სცადა ეტრუსკული ცივილიზაციის რეკონსტრუქცია და გამოაქვეყნა დამწერლობის პირველი ნიმუშები. 1539 წელს თეზეო ამბროჯიმ (1469-1540/1 წწ.) პირველად გამოაქვეყნა ეტრუსკული ანბანი.

მაშასადამე, ეტრუსკული საკითხი, რომელიც დაისვა და გადაუჭრელი იყო ანტიკურ პერიოდში, უახლოეს საისტორიო მეცნიერებაში გამოიწვია ცხოველი ინტერესი. ეტრუსკული საკითხებით დაინტერესდნენ, როგორც ძველი ისტორიის მკვლევარები, ისე დილეტანტებიც. ეტრუსკოლოგიაში ახალ სიტყვად მიიჩნევაა თ. დემპსტერის ნაშრომი - „შვიდი წიგნი სამეფო ეტრურიის შესახებ“ (1619 წ.).

XVIII-XIX სს. მიჯნაზე ეტრუსკოლოგიაში გაჩნდა პირველი სერიოზული ნაშრომები. შეიქმნა რიგი თეორიული სკოლები და მიმდინარეობები. 1726 წელს კორტონში დაარსდა ეტრუსკული აკადემია. საინტერესო იყო ის გარემოება, რომ აკადემიის თავმჯდომარეს ჰქონდა ეტრუსკი მეფეების ტიტული – Iukumona. აკადემიის მიზანი იყო ეტრუსკული ცივილიზაციის შემსწავლელი ყველა მეცნიერის თავმოყრა და კვლევების სისტემატიზაცია. 1735-1795 წლებში აკადემიამ თავის პერიოდულ გამოცემაში – Dissertazione-ში ანალიზი გაუკეთა არაერთ მასალას, რითაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ეტრუსკული თემის პოპულარიზაციის საქმეში.


*Accademia Etrusca*

დღეისთვის ეტრუსკოლოგია წარმოადგენს კლასიკური ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ეპიგრაფიკის, ეთნოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის სინთეზს. მართალია ეტრუსკული ცივილიზაციის თაობაზე უკვე არსებობს ზღვა ლიტერატურა, მაგრამ საკვანძო საკითხებზე დღემდე მაინც არ გვაქვს ზუსტი პასუხი. რიგი მეცნიერის მტკიცებამ თითქოს მათმა კვლევებმა სწორი პასუხები გასცეს ჭეშმარიტებას არ შეეფერება. ეტრუსკული ენის და ანბანის საიდუმლო კვლავ ამოუცნობი რჩება.

XIX ს. ეტრუსკოლოგიურმა სკოლებმა დაიწყეს ეტრუსკთა წარმოშობის სხვადასხვა თეორიების პოპულარიზაცია. მეცნიერ-

თა ნაწილი ავითარებდნენ ეტრუსკების მცირე აზიური წარმოშობის თეორიას (ე. კურციუსი, ბ. მოდესტოვი...); სხვები ეტრუსკებს შეცდომით მიიჩნევდნენ ალპელ რეტებიდან მომდინარედ (ნ. ფრერე, ბ. ნიბური, ე. მაიერი...); მესამენი მათ უკავშირებდნენ ინდოგერმანულ წარმოშობას (ო. შვენგლერი...); მეოთხენი აღიარებდნენ მათ ავტოხტონობას (დე სანკტისი, მ. პალოტინო...) და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ ეტრუსკების და ალპელი რეტების გაიგივება დაფუძნებული არის ლივიუსთან დაცული ცნობის არასწორი გაგებაზე. კერძოდ: ლივიუს ეწერა, რომ ალპელ რეტებთან არის შემონახული ეტრუსკული ენა. ნ. ფრერეს (1688-1749 წწ.) ვერ წარმოედგინა ეტრუსკების მხრივ ფლოტის არსებობა, რომლითაც შესაძლებელი იყო იტალიაში ხალხის დიდი მასის გადაყვანა. ამიტომაც ჰეროდოტეს ვერსია ფრანგმა მეცნიერმა გამოგონილად მიიჩნია. ე.წ. „ჩრდილოეთურ“ ვერსიას მხარი დაუჭირა ნიბურმა, რომლისთვისაც ტირენები და ეტრუსკები ორი სხვადასხვა ხალხი იყო. იგი თვლიდა, რომ ეტრუსკები თავდაპირველად ცხოვრობდნენ ჩრდ. იტალიაში, სადაც მოგვიანებით იყო რეტების მიწები, შემდეგ ისინი დაეშვნენ სამხრეთით, დაამარცხეს ტირენები და უმბრები და შექმნეს 12 ეტრუსკი ქალაქების კავშირი.



*ეტრუსკული ქიმერა (ძვ.წ. VI ს.)*

1926 წელს იტალიელმა ეტრუსკოლოგმა ლუიჯი პარეტიმ (1885-1963) კვლავ განავითარა ეტრუსკების ჩრდილოეთური წარმოშობის თეორია. მან იტალიაში ეტრუსკების მიგრაცია II ათასწლეულის მიწურულით განსაზღვრა და მათ დამსახურებად მიიჩნია აპენინის ნახევარკუნძულზე ვილანოვას კულტურის შექმნა.

ეტრუსკების ავტოხტონობის თეორიის მომხრე სანკტისი მათ მიიჩნევდა ტერამარების კულტურის მატარებლების მემკვიდრეებად. ავტოხტონობის თეორია კიდევ უფრო განავითარა არქეოლოგმა და ლინგვისტმა მასიმო პალოტინომ (1909-1995 წწ.). იტალიელი მეცნიერი საერთოდ გამორიცხავდა ადრეულ პერიოდში ფინიკიური და ბერძნული კოლონიზაციის მსგავსად ხალხთა გადასახლებას იტალიაში. მისი აზრით, ეტრუსკები ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ადგილობრივი ეთნიკური ელემენტებისგან. ვილანოვას კულტურის მატარებლებს პალოტინო პროტოეტრუსკებად

თვლიდა. რაც შეეხება ეტრუსკულ ენას, პალოტინომ იგი წმინდა იტალიურის ლინგვისტური განვითარების ნაყოფად მიიჩნია.

საკითხის სირთულეს ისიც მატებს, რომ ჩვენამდე მოღწეული 10 ათასამდე ეტრუსკული წარწერის დაკავშირება არ ხერხდება რომელიმე ენობრივ ოჯახთან. ერთისთვის ის ინდოევროპული ენაა, ხოლო სხვებისთვის არაინდოევროპული და ა.შ. იყო მათი ქართველურთან დაკავშირების ცდებიც. ფაქტია, მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეტრუსკული ენა არ მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს და მისი ხასიათი დღემდე აუხსნელია.

არქეოლოგიის მეშვეობით ხერხდება საკითხის მხოლოდ რიგი საკამათო დებულებების გადაწყვეტა. სხვათა შორის, ეტრუსკთა არააბორიგენლობაზე მიუთითებს აპენინზე არსებული ტოპონიმიკაც. მაგ., ეტრუსკული ქალაქების ჰარტიას და სპინას, მდ. უმბროს და ქ. კამერსის სახელწოდება. ისინი არაეტრუსკული და იტალიური წარმოშობის არიან. მთლიანობაში, რომ შევაჯამოთ ე.წ. ეტრუსკული საკითხი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეტრუსკები დაახლ. ძვ.წ. 1000 წლისთვის ლიდიიდან (მცირე აზია) მოვიდნენ იტალიაში. ეგეოსის ზღვის კუნძულები და კუნძ. სარდინია მათვის იყო საეტაპო პუნქტები. კუნძულების გავლის შემდეგ ისინი ტირენის ზღვის მხრიდან დამკვიდრნენ აპენინის დას. ნაწილში, სადაც შეავიწროეს უმბრები. სავარაუდოდ, ძვ.წ. VIII ს. დასრულდა ეტრუსკების ფორმირების პროცესი. აბორიგენებთან შედარებით ისინი მაღალი კულტურის მატარებლები იყვნენ, რამაც ეტრუსკებს გაუადვილა ადგილობრივ ტომთა დამორჩილება. ძვ.წ. VI ს. ისინი ადვილად დაეუფლნენ ჩრდილოეთით ალპებიდან სამხრეთით კამპანიამდე მდებარე ვრცელ ტერიტორიას.

*პოლიტიკური ისტორია*

ეტრუსკების ისტორია მჭიდრო კავშირში არის დას. ხმელთაშუთაზღვისპირეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან. ძვ.წ. VIII-VII სს. ეტრუსკების გავლენას დაექვემდებარა ლაციუმის და კამპანიის მხარე. თვით რომის უკანასკნელი სამი მეფე წარმოშობით ეტრუსკი იყო, რაც მიანიშნებს „მარადიულ ქალაქზე“ მათ გავლენას.

ეტრუსკთა ძლიერების ხანა დიდხანს არ გაგრძელდა. ძვ.წ. VI-III სს. ეტრუსკები ომებს აწარმოებდნენ ჯერ ბერძნებთან, კართა-

გენელებთან, სხვადასხვა იტალიკ ტომებთან და ბოლოს რომაელებთან. ბერძნებთან და პუნებთან დაპირისპირება განაპირობა მესენის სრუტეზე გამავალი საზღვაო გზის დაუფლების ცდამ და ასევე კუნძ. კორსიკაზე არსებული მეკობრეების საზღვაო ბაზის მოშლამ. ძვ.წ. 540(539) წელს ეტრუსკებმა კართაგენელებთან ერთად კუნძ. კორსიკაზე, ქ. ალალეასთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში მათ პირწმინდათ დაამარცხეს ფოკეელი ბერძნები. ელინთა ზარალი 40 ხომალდი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით საპირისპირო სურათს იძლევა ჰეროდოტე, მაგრამ ფოკეელი ბერძნების მხრიდან კუნძ. კორსიკა-ელბას დათმობა მიუთითებს მათი მხრიდან ეტრუსკებთან განცდილი მარცხის სიმძიმეს. ეტრუსკთა ძლიერება დიდხანს არ გაგრძელდა. ძვ.წ. 524/3 და 474 წლეებში კუმესთან გამართულ ბრძოლაში ელინებმა ეტრუსკებს სასტიკი მარცხი აგემეს, რითაც წერტილი დაესვა ზღვაზე მათ ბატონობას. ამჯერად ეტრუსკებმა დათმეს კუნძ. კორსიკა და ელბა.

ძვ.წ. V ს-ში აპენინზე შეიქმნა ახალი პოლიტიკური ვითარება, რასაც მოჰყვა ეტრუსკული კავშირის ძლიერების მსხვრევა. იგი ნათლად გამოჩნდა ქ. რომის მაგალითზე, სადაც ძვ.წ. 509 წელს გააძევეს მეფე ტარკვინიუს ამაყი. ეტრუსკები შეეცადნენ რომს დაუფლებოდნენ, მაგრამ მათი ცდები წარუმატებელი დარჩა. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ ძვ.წ. 493 წელს სიცილიაში, ქ. რეგიას ტირანმა ანაქსილაოსმა (ძვ.წ. ?-476 წ.) კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში დაეუფლა ქ. ზანკლას. ტირანმა ქალაქს სახელი შეუცვალა და მას დაარქვა მესანა. ქალაქის დაუფლებით ანაქსილაოსმა გადაკეტა სტრატეგიული მესინის სრუტის გასასვლელი, რითაც მძიმე დარტყმა მიაყენა ეტრუსკებს, რადგან უკანასკნელებმა დაკარგეს მოკავშირე და სანავსადგურე ბაზა.



*ეტრუსკი მეომარი*

ეტრუსკთა საზღვაო ძლიერებას წერტილი დაუსვა ქ. სირაკუზმა. ძვ.წ. 452 წელს სირაკუზმა ეტრუსკების წინააღმდეგ წამოიწყო დიდი ექსპედიცია კუნძ. ელბაზე ეტრუსკული ფლოტის მთავარი ნავსადგურის გასანადგურებლად. თავდაპირველად ექსპედიციას შესაფერისი ეფექტი არ ჰქონდა, რადგანაც გაირკვა, რომ

სირაკუზელი ნავარხი ფაილი (ძვ.წ. V ს.) ეტრუსკების მხრიდან მოსყიდული იყო. ასეთ ვითარებაში გაიგზავნა ახალი ფლოტი ნავარხ აპელესის მეთაურობით. სირაკუზელებმა ხელში ჩაიგდეს კუნძული, შემდეგ მოარბიეს ეტრურიის და კუნძ.კორსიკას სანაპიროები. არსებითად, ამ ოპერაციით, ძვ.წ. V ს. შუა ხანებში დაიმსხვრა ეტრუსკთა ძლიერება.

ეტრუსკთა ძლიერების მსხვრევამ სათავე დაუდო მეკობრეობას. ტირენების მსგავსად ეტრუსკებმაც დაიწყეს მეკობრეობა. ჩანს, მეკობრეობამ დიდი მასშტაბების მიიღო და მისი აღმოფხვრის მიზნით, ძვ.წ. 384 წელს, სირაკუზის ტირანმა დიონისე I-მა (405-367 წწ.) წამოიწყო საზღვაო ექსპედიცია ეტრუსკების წინააღმდეგ. 60 ხომალდით მან მოაოხრა ეტრურიის, კუნძ.კორსიკაელბას სანაპიროები და დიდი ნადავლით უკან გაბრუნდა.

ძვ.წ. V-IV სს. რომაელებსა და ეტრუსკებს შორის ურთიერთობებს ცვალებადი ხასიათის ჰქონდათ. ტარკვინიუს ამაყის განდევნის შემდეგ რომი კვლავ აგრძელებდა ეტრუსკული კულტურის ტრადიციებს. უფრო მეტიც, თავდაპირველად რომი დაინტერესებული იყო ეტრუსკების მხრიდან კამპანიის შენარჩუნებით და მათ დაეხმარნენ ძვ.წ. 504 წელს ლათინებთან მარცხის შემდეგ.



*ეტრუსკული ბირემა – VI ს.*

რომაელების აგრესია ეტრუსკების მიმართ იწყება მაშინ, როდესაც უკანასკნელის პოლისები განვითარების მხრივ დაქვეითების სტადიაზე იყვნენ. იყო კიდევ ერთი გარემოება, რაც უადვილებდა რომაელებს ეტრურიის დაპყრობას. ეს იყო სოციალური ბრძოლის შიში, რაც აიძულებდა ეტრუსკ არტისტოკრატიას რომაელებში დაენახა მოკავშირე. ამის გამო ისინი ხშირად უბრძოლველად ნებდებოდნენ „მგლის ნაშიერებს“. ცხარე ბრძოლების შედეგად რომის სამხრეთით, ქ. არიციასთან, „მგლის ნაშიერებმა“ შესძლეს ეტრუსკების საბოლოო დამარცხება, რითაც წერტილი დაუსვეს ლაციუმში მათ ბატონობას. შემდეგ, ომი დაიწყო რომიდან 10 კმ დაშორებული ქ. ფიდენისთვის. რომაელებმა ისარგებლეს იმით, რომ ეტრუსკებმა ვერ შესძლეს ერთიანი ფრონტით გამოს-

ვლა და ძვ.წ. 435 წელს ქალაქს დაეუფლნენ. ეტრუსკებისთვის კრიზისულ ვითარებაში არანაკლები როლი შეასრულეს სამნიტებმაც, რომლებთანაც ომებში მათ დაჰკარგეს კამპანიის მხარე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეტრუსკების მარცხი განაპირობა კავშირში შემავალი პოლისების მხრიდან ერთიანი პოლიტიკური და სამხედრო ერთობის არ ქონამ. ამის გამო მათ ვერ შესძლეს რომაელებთან და სხვებთან მიმდინარე ომებში გამარჯვება. ეტრუსკები ერთმანეთის მიყოლებით კარგავდნენ ქალაქებს. ძვ.წ. 405-396 წლებში ბრძოლები მიმდინარეობდა ქ. ვეისთვის. მისი დაპყრობის შემდეგ, ძვ.წ. 358 წელს, რომაელები დაეუფლნენ ქ. ცერეს, ხოლო ძვ.წ. 308 წელს ქ. ტარკვინიუმს. ძვ.წ. 310 წლისთვის „მგლის ნაშიერები“ უკვე აკონტროლებდნენ შუა და აღმოსავლეთ ეტრურიას.

ძვ.წ. IV ს. ჩრდილოეთის მხრიდან ეტრუსკებმა განიცადეს გალების მხრიდან თავდასხმები, რაც მათვის უფრო კატასტროფული დარჩა, ვიდრე რომაელებისთვის. ყოველი მხრიდან ალყაში მყოფი ეტრუსკები ჩათრეული აღმოჩნდნენ რომსა და გალებს შორის მიმდინარე ომში. ძვ.წ. 358-351 წლებში ომებმა უკვე უწყვეტი სახე მიიღეს. შედეგად, ეტრუსკ ქალაქთა უმეტესობამ შეწყვიტა არსებობა, ხოლო მოსახლეობამ თავი ალპების დაბლობს შეაფარა თავი. ძვ.წ. 280 წლისთვის რომაელებმა დაასრულეს ჩრდილოეთში ეტრუსკების უკანასკნელი კერების დაპყრობა. დაპყრობილებს მიეცათ რომის მოკავშირის სტატუსი. ეტრუსკები იმდენად შეერწყნენ რომაელებს, რომ ჰანიბალის ლაშქრობის დროს მთლიანობაში მათ ბოლომდე შეინარჩუნეს „მგლის ნაშიერთა“ მიმართ ერთგულება.

ძვ.წ. II ს. ეტრურიის რომაულმა კოლონიზაციამ ფართო სახე მიიღო. მართალია, მოკავშირეთა ომის დროს, ძვ.წ. 90 წელს, რამდენიმე ეტრუსკმა ქალაქმა (არეცია, კლუზია, ვოლსინიუმი) აჯანყებულთა მხარე დაიკავა, მაგრამ ძვ.წ. 89 წელს რომის მოქალაქეობის მიცემით რომის სენატმა მაშინ ნაწილობრივ გადაჭრა ეტრუსკთა პრობლემა. ეტრურიის ასიმილაციის პროცესი დაასრულა სულამ, როდესაც იქ ვეტერანებს მიწები დაურიგა.

*ქალაქები*

ეტრუსკთა ადრეული ისტორიიდან ცნობილია, რომ მათ ჰქონდათ ე.წ. 12 ქალაქთა კავშირი (ფედერაცია). მასში შედიოდა: ტარკვინიუმი, ვოლციუმი, ვალტი (იგივე ვეტოლონიუმი), ველატრა,

ველსინა (იგივე ვოლსინიუმი), არეციუმი, კლუზია, ცერე, კორტონი, პელუზიუმი, ვეი და რეზულიუმი. კავშირის ცენტრად მიჩნეული იყო ქ. ტარკვინიუმი.

ქალაქები კავშირში თანაბარი პრინციპით იყვნენ გაერთიანებული. მათ საერთო ჰქონდათ საგარეო პოლიტიკა. კავშირი არ წარმოადგენდა მტკიცე პოლიტიკურ გაერთიანებას. ეტრუსკული ქალაქები ზღვიდან მოშორებით იყო გაშენებული, მაგრამ ეს არ უშლიდა მათ სანაპირო ზოლში ჰქონდათ საკუთარი პორტი და ბატონობა გაევრცელებინათ მიმდებარე სასოფლო რეგიონებზე. მათი მხრიდან წარმოებული კოლონიზაცია იყო სტიქიური, ვინაიდან ძირითადში იგი ხორციელდებოდა ეკონომიკურად დაუძლურებული ელემენტებისგან.

კავშირში შემავალი ქალაქების თავშეყრა ხდებოდა ყოველი წლის გაზაფხულზე ღმერთ ვოლტურნიუსის ტაძარში, სადაც განიხილებოდა წინამძღოლის, მშვიდობის, ომის, რელიგიური დღესასწაულების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თავშეყრისას იმართებოდა ოლიმპიადის მსგავს შეჯიბრებები, სადაც ხდებოდა წინამძღოლის არჩევა. მისი მოვალეობები უფრო საკულტო და საპატიო ხასიათის იყო. კავშირში შემავალი ქალაქების მმართველობის ფორმა თავდაპირველად იყო სამეფო ხასე ჰქონდა. მეფეები ლუკუმონებად იწოდებოდნენ. თავდაპირველად სამეფო ძალაუფლება მემკვიდრეობითი ხასიათის იყო, მაგრამ გვაროვნული წყობის დაშლამ და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ, ტომობრივი მეფეების ხელისუფლება დაასუსტა და მმართველობის სადავეები გადავიდა არისტოკრატიის ხელში. ეტრუსკი მეფეები ფლობდნენ უმაღლეს სასამართლო ძალაუფლებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისინი მუდამ ვალდებული იყვნენ შესრულებინათ თავიანთი მოვალეობა. მოქალაქეებს შორის სადავო საკითხის გარჩევა ხდებოდა ქალაქის მოედანზე, სადაც იდგმებოდა სამეფო ტახტი.



ეტრუსკების კავშირი

არქიტექტონიკით ეტრუსკული ქალაქები წააგავდნენ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს. ისინი შენდებოდნენ ერთიანი გეგმით ქვის გალავნით და მაღალი ქონგურებით. ქალაქებში იყო მხოლოდ ორი გადაჯვარედინებული ქუჩა, რომლიც ქალაქს ყოფდა ოთხ ნაწილად. ძვ.წ. VIII ს. ეტრუსკული ქალაქებმა პოლისის სტატუსი შეიძინეს. ქალაქების დაარსებას ეტრუსკები საგანგებო რიტუალით იწყებდნენ. ამ რიტუალში შემონახული იყო ქალაქების შესახებ წარმოდგენა, როგორც ზეციური სტრუქტურის მოდელი. ანტიკურ ავტორებთან (ვარონი, პლუტარქე...) დაცულია ქალაქების დაარსების ეტრუსკული რიტუალი. არჩეულ ადგილზე ეტრუსკები თავდაპირველად თხრიდნენ ორმოს, სადაც ყრიდნენ სამსხვერპლოს. შემდეგ, თეთრი ფერის ძროხით და ხარით შებმული გუთნით გაჰყავდათ სავარაუდო გალავნის აღმნიშვნელი ღრმა კვალი. მას წმინდა კვალი ერქვა. იგი და მასზე გაკეთებული მიწაყრილი და თხრილი წარმოადგენდა ქალაქის წმინდა საზღვარს, რომელიც ღმერთების მფარველობის ქვეშ იყო. ეტრუსკული რწმენით მასზე გადასვლა-გადახტომა და რაიმეს გაშენება იყო რელიგიური დანაშაული და დამღვრვევი ისჯებოდა სიკვდილით.

აშკარა იყო, რომ ქ. რომი რომულუსმაც ეტრუსკული ტრადიციით დაარსა. მან რემუსი დასაჯა მის მხრიდან ჩატარებული რელიგიურ წესზე დაცინვის და წმინდა კვალზე გადახტომით მასზე შეურაცხყოფის მიყენების გამო. მაშასადამე, ქალაქების დაარსების ეტრუსკული ტრადიცია გავრცელებული იყო აპენინის ნახევარკუნძულზე და რომულუსიც სწორედაც ამ წესით მოქმედებდა ქ. რომის დაარსების მომენტში.

ქალაქების დაარსების ეტრუსკულ რიტუალში ასევე შედიოდა ქალაქის ცენტრში ორმოს ამოთხრა, რომელშიც ყოველი ახალ მოსახლე ყრიდა ძველი საცხოვრისიდან მოტანილ მიწას და ახლად მოწეულ მოსავალს. ქალაქის გალავანი აუცილებლად ქვის უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება შიდა შენობებს, ისინი ხისა და ალიზისაგან კეთდებოდა. საამშენებლო ქვა ძირითადში გამოიყენებოდა სახლების საძირკველის, ჭების კედლების პერანგისთვის, მიწისქვეშა აკლდამებში და ა.შ. ქალაქების განლაგებას მომაღლო ადგილზე თავდაცვითი ფუნქციის გარდა ენიჭებოდა საკრალური მნიშვნელობა, ანუ ისინი ღმერთებთან სიახლოვეს უნდა ყოფილიყო. ქალაქები შენდებოდა ვერტიკალის პრინციპით. მთის წვერში ცხოვრობდა მოსახლეობა, ხოლო მისადგომებთან მოწყობილი

იყო ნეკროპოლი. ქალაქის ცენტრი რელიგიურ-ადმინისტრაციული ადგილი იყო, რომელსაც „რეგიუმს“ უწოდებდნენ.

*ეკონომიკა და სოციალური წყობა*

ეტრუსკთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა ზღვაოსნობას. საზღვაო ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეკონომიკაში და ხელს უწყობდა ეტრუსკული კულტურის განვითარებას. სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის (პროვანსი) და ესპანეთის (კატალონია) ზღვისპირეთის ათვისების გარდა, პუნების მხრიდან მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, ეტრუსკმა ზღვაოსნებმა გაცურეს გიბრალტარის სრუტეში. ეს ფაქტი უნდა მომხდარიყო ძვ.წ. 535 წლამდე, ეტრუსკებსა და კართაგენელებს შორის სამოკავშირეო ურთიერთობების დაწყებამდე.

დას. ხმელთაშუაზღვისპირეთის კოლონიზაციის საქმეში პუნების გარდა ეტრუსკების კონკურენტები იყვნენ ბერძნები. მათი კონკურენციის ფაქტი ნათლად ჩანს სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთის (პროვანსი) და ესპანეთის (კატალონია) მაგალითზე, სადაც ძვ.წ. VI ს. არქეოლოგიურ ფენებში ნაპოვნია ბერძნული (კორინთული, ატიკური...) და ეტრუსკული კერამიკა.



*ეტრუსკული მონეტები (ქ.პოპულონია)*



*(ძვ.წ. ?211 წ.)*

საზღვაო ვაჭრობის განვითარებამ ეტრუსკებში გამოიწვია არა მარტო სახელოსნო ინდუსტრიის ზრდა, არამედ არისტოკრატიული ფენის ჩამოყალიბება, რომელიც დაინტერესებული იყო გარე პროდუქციის ფუფუნების საგნების შეძენით. ეტრუსკები გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ საბერძნეთთან, მცირე აზიასთან, სიცილისთან, კართაგენთან და სხვა რეგიონებთან. ძირითადში შემოჰქონდათ სპილოს ძვლისაგან ნაკეთი ნივთები, სხვადასხვა ფუფუნების საგნები და ა.შ. სანაცვლოდ ექსპორტზე გაჰქონდათ იარაღი და ღვინო. ვაჭრობაში თავდაპირველად გამოიყენებოდა ბერძნული მონეტა, რომელიც დაახლ. ძვ.წ. 500 წლისთვის ჩაანაცვლა ადგილობრივმა.

ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებამ ეტრუსკებში ხელი შეუწყო საქალაქო ცხოვრების ამაღლებას. ეტრურიაში არ იყო რკინის საბადოები და ამ ხარვეზს ისინი ავსებდნენ კუნძ. ელბიდან. სამაგიეროდ, ბლომად ჰქონდათ ვერცხლი, ბრინჯაო და კალა, რაც

მათი მეტალურგიის საფუძველი გახდა. ლითონისგან კეთდებოდა სხვადასხვა იარაღები. ასევე ქალაქებში მიდიოდა სხვადასხვა საბადოების დამუშავება. მაგ., პერუზიაში მიდიოდა ადგილობრივი კირქვის, კლუზიაში ქვიშაქვას, ვოლსინიაში ტუფის დამუშავება და ა.შ. ბრინჯაოსაგან აკეთებდნენ მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე სხვადასხვა დანიშნულენის ნივთებს. ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების მიუხედავად, მოსახლეობის მთავარი საქმიანობა მაინც მიწათმოქმედება იყო. მოჰყავდათ ხორბლეული, სელი, კანაფი, ვენახი და ა.შ. ჭაობის სიმრავლემ მოითხოვა მათი ხელოვნურად დაშრობითი სამუშაოების წარმოება.

არქეოლოგიური მასალებით ჩანს, რომ გარე სამყაროსთან კონტაქტებით ეტრუსკები დაეუფლნენ ყველა იმ სიკეთეს, რაც იქმნებოდა სხვადასხვა ქვეყნების (კორინთო, ათენი, კართაგენი...) სახელოსნო ცენტრებში. მაშასადამე, ეტრუსკებმა ბევრი რამ შეითვისეს, მაგრამ იმავდროულად, რაც მთავარია, არ დაკარგეს საკუთარი თვითმყოფადობაც.

ეტრუსკული სოციალური წყობის განსაკუთრებულობა იყო ქალის პრივილეგირებული მდგომარეობა. იგი გამოიხატებოდა იმითაც, რომ ეტრუსკები თანაბრად ახსენებდნენ მამის და დედის სახელებს. საფიქრებელია, რომ საოჯახო საქმეების გადაწყვეტა დედის პრეროგატივა იყო.


*ეტრუსკული ამფორა*

რაც შეეხება მონობის საკითხს, იგი ეტრურიაში ადრევე გაჩნდა, რაზეც მიუთითებს ლარნაკებზე არსებული სხვადასხვა გამოსახულებები. საოჯახო მონების დიდი რაოდენობა იტალიკმა ტომებმა ეტრუსკებისგან შეითვისეს. მონების გარდა სხვა ექსპლუატირებულ ფენად მიიჩნეოდა გაღარიბებული ეტრუსკები და დაპყრობილი მოსახლეობა, რომლებსაც პენესტებს უწოდებდნენ.

სამეურნეო ცხოვრებაში მთავარ როლს ასრულებდა მიწათმოქმედება. ეტრურიის ნიადაგი უმთავრესად ტუფიანი იყო, ამიტომაც მთავარი ყურადღება გადატანილი იყო ჭაობიანი მხარის დაშრობა-ათვისებაზე. ფართოდ იყენებდნენ სადრენაჟო სამუშაოებს, რაც შესაძლებელი იყო დიდი რაოდენობის სამუშაო ძალის გამოყენებით და შესაბამისი ორგანიზაციით. მკაცრ ბუნე-

ბრივ პირობებში ეტრუსკებმა მაინც შესძლეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება. გავრცელებული იყო მიწათმოქმედების ორმინდვრიანი სისტემა, მევენახეობა, სისტემატურად ხდებოდა გუთნის სრულყოფა. წყალზე მზარდმა მოთხოვნილებამ ეტრუსკებში გააჩინა ახალი სპეციალობა, რომლის მიზანი იყო მისი მიწისქვეშა ფენებში ძიება.

ეტრურია იტალიაში უმსხვილესი მიწათმფლობელობის ცენტრი იყო. იქ ადრევე გაჩნდა საქალაქო ცხოვრება, განვითარებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა. ეტრუსკები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საშუამავლო ვაჭრობაში. ეტრუსკული გემები ჩანდნენ კართაგენიდან დაწყებული ფინიკიათი დამთავრებულ საზღვაო სივრცეში. ეტრურიაში თავდაპირველად ხმარებაში იყო იონური მონეტა, რომელიც მოგვიანებით ჩაანაცვლა ბერძნული ანალოგის მსგავსი ადგილობრივმა მონეტამ.

დროთა განმავლობაში, ძირითადში ეტრურიის დასავლეთის ქალაქებში, ჩნდება ადგილობრივი წარმოება მეტალურგიის სახით. ეტრუსკები ცნობილი იყვნენ ლითონების დამუშავებით. თვით ეტრურიაში მოიპოვებდნენ ბრინჯაოს, ხოლო კუნძ. ელბაზე რკინას. ლითონის ხელნაკეთები ავსებდა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს და იგი გაჰქონდათ იმპორტზეც.


*„ბუკერო“*

ეტრურიაში მაღალ დონეზე იყო კერამიკული ინდუსტრია. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. „ბუკერო“. ეს იყო შავი ფერის კერამიკული ნაკეთობა, რომლის ზედაპირი ლითონის იმიტირებას ჰქნიდა. „ბუკერო“ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ვილანოვას პერიოდის კერამიკული ნაკეთობებისგან. ორი საუკუნის მანძილზე შავი ბუკეროს მიმართ მოთხოვნილება მაღალი იყო. მისი სილამაზის და უნიკალური დიზაინის წაყალობით იგი ეტრუსკული კულტურის სავიზიტო ბარათად იქცა.

*კულტურა*

ჩვენამდე მოღწეული სარკოფაგები, ქანდაკებები, ფრესკები და არქიტექტურის სხვა ნიმუშები მიუთითებენ ეტრუსკული ხელოვნების მაღალ დონეს. მისი წარმოშობის საკითხის გარკვევა რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მიდის მის წყა-

როებზე. უდავოა, რომ ეტრუსკული ხელოვნებამ განიცადა პროტოეტრუსკების, კართაგენელების და ბერძნების გავლენას. ძვ.წ. VI ს. ეტრუსკულ ხელოვნებაზე აშკარად ჩანს ბერძნულის მითოლოგიის თავისებური ინტერპრეტციის კვალი. ეტრუსკულ გამომსახველობით ხელოვნებაში დომინირებდა რეალიზმი. არისტოკრატების სამარხეული გამოსახულებები ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე იყო. ბერძნულისგან განსხვავებით ეტრუსკული რელიგიური სიუჟეტებს უფრო ადამიანური იერი ჰქონდათ.

ეტრუსკული ხელოვნებისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „მუდმივი გამოსახულებები“, რაც იმას ნიშნავა, რომ ერთი სურათის სიუჟეტი წარმოადგენდა მეორის გაგრძელებას. ხატვის ეტრუსკული ეს სტილი შემდგომში ფართოდ გავრცელდა რომაელ მხატვრებში. მათი ფრესკები მართლაც შესანიშნავია. უმეტეს მათგანზე გამოსახული იყო ღმერთები ანდა სხვადასხვა მითოლოგიური სცენა. მაგ., ე.წ. „ურჩხულის საფლავის“ ფრესკაზე გამოხატულია მიწისქვეშა სამეფოს მმართველი ტახტზე მჯდომი „აიტა“ (აიდა – კ.ს.) და „პერსეპუაი“ (პროზერპინა). მეორე ფრესკაზე გამოსახული იყო ფრთოსანი დემონი წარწერით – „ტუხულკა“.



*ეტრუსკული ტაძარი (ძვ.წ. V ს.)*

არქიტექტურაში ეტრუსკული ქალაქების და ცალკეული ნაგებობების დაგეგმარება ორიგინალური იყო. ეტრუსკები ტაძრებს საცხოვრებელი სახლების მსგავსად აგებდნენ. მათი ხედვით ტაძრები ღმერთების სამკვიდროს წარმოადგენდნენ. ტაძრებს ყოველი მხრიდან ჰქონდათ ღია პორტიკი. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ ტაძრის სამივე გახსნილი მხრიდან შესაძლებელი ყოფილიყო ზეცაში დაკვირვებების წარმოება.

*რელიგია*

აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვა ხალხების წარმოდგენებთან შედარებით ეტრუსკთა რელიგიური შეხედულებები გამოირჩეოდა. ამ ფენომენს მისი ახსნა აქვს, რაც პირველ რიგში ეტრუსკების არაიტალიური წარმოშობის შედეგია. არსებითად, ეტრუსკული რელიგიის დახასიათება შესაძლებელია რომაული წესებით, რომლებმაც ყოველივე ეტრუსკებიდან შეითვისეს.

ეტრუსკული რელიგიის შესწავლა ხდება მწირი ეპიგრაფიკული მონაცემებით და უმთავრესად სურათებით, სხვადასხვა რელიეფებით და ქანდაკებებით. რთულია იმის თქმა, რომ ეტრუსკული გამოსახულებები არის რელიგიური წიგნების ილუსტრაცია. მათი იკონოგრაფიის უმეტესობას არ ჰქონდა კულტის ხასიათი და იყო მხოლოდ არა რელიგიური წარმოდგენების ანარეკლი. რელიგიის შესახებ ისინი მხოლოდ სიმბოლური წარმოდგენებს იძლევიან.

უნდა ითქვას, რომ ეტრუსკული რელიგიური შეხედულებები აშკარად ჩამორჩებოდა ბერძნულს. მიიჩნევენ, რომ სამყაროს ეტრუსკული ხედვა იმიტომ ჩამორჩებოდა ბერძნულს, რომ ეტრუსკებმა ვიდრე ბერძნებმა უფრო ნაკლებად დაფანტეს ეგეოსურ-ანატოლიური სამყარო რელიგიასა და მითოლოგიაში. ძვ.წ. VII-VI სს. ეტრუსკ მხატვრებს აინტერესებდათ თვით მითი, მაგრამ ელინური ენის არცოდნამ და ეტრურიამდე მოღწეულ მითოლოგიური სიუჟეტებიანი ბერძნული ძეგლების მნიშვნელობის გაუგებრობამ, მათი მხრიდან გამოიწვია ბერძნული მითების ვულგარიზაცია და მათი დაყვანა ჟანრობრივ სცენებამდე.



*ქოხის ტიპის დასამარხი ურნა (ძვ.წ. IX ს.)*

ეტრუსკებს სამყარო სამსაფეხურიანი ტაძრის სახით წარმოედგინათ, რომელშიც ზედა საფეხური შეესაბამებოდა ზეცას, შუა მიწიერს, ხოლო ქვედა – მიწისქვეშა სამეფოს. მათი სწავლულების აზრით ზეცა იყოფოდა 16 რეგიონად, რომელშიც თითოეულში ცხოვრობს განსაკუთრებული ხვთაება. ქვედა საფეხური ეს იყო ცოცხალი ადამიანებისთვის მიუწვდიმელი და უხილავი სტრუქტურა, რომელშიც ბინადრობდნენ მიწისქვეშა ღმერთები, დემონები და მიცვალებულები.



*მონტეროცის ნეკროპოლი (რეკონსტრუქცია), ქ.ტარკვინიუმი*

საერთოდ, ეტრუსკების რელიგიური წარმოდგენების დიდი ნაწილი უკავშირდება მიცვალებულთა კულტებს, მიწისქვეშა სულების რწმენას და საშინელ სამსჯავროს. ეტრუსკების რწმენით, გარდაცვალების შემდეგ, ადამიანების სული ხარონის მეშვეობით ხვდება შავი (ბოროტი) და თეთრ (კეთილი) დემონებით სავსე მიწისქვეშა სამყაროში.

ეტრუსკების ღმერთების პანთეონი მრავალრიცხოვანი და მათი რაოდენობა 40-ზე მეტი იყო. მასში შედიოდნენ სახელიანი და უსახელო ღმერთები. ჩვენ არ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ყველა ღმერთის სახელი. ვიცით მხოლოდ ნაწილის, მაგრამ მათი ეტიმოლოგიიდან ჩანს, რომ ისინი მცირე აზიური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ, ანდა შეთვისებული იყვნენ ბერძნული სამყაროდან და მეზობელი ტომებიდან. ღმერთები იყოფოდნენ პირველხარისხოვან და მეორეხარისხოვან კატეგორიებად. საერთოდ რთულია ეტრუსკული რელიგიური სამყაროს სისტემატიზაცია. საქმეს ისიც ართულებს, რომ არ არსებობს ეტრუსკული რელიგიური წიგნი, რომლებშიც მოცემული იქნებოდა ღმერთების სისტემატიზაცია.



*ჰარუსპიკი*

რელიგიური პანთეონიდან ცნობილია: ნორტია – ბედის ქალღმერთი, სეფლაუსი – ცეცხლის და მჭედლობის ღმერთი, ფუფლიუსი – ბახუსის ღმერთი და ა.შ. ასევე ჰყავდათ სამება: ტინია, უნი და მენრვა. მოგვიანებით, რომაელებმა შეითვისეს სამება იუპიტერის, იუნონას და მინერვას სახელწოდებით.

ეტრუსკებში მიღებული იყო ადამიანების მსხვერპლშეწირვა, რასაც ასრულებდნენ ქურუმები, იგივე ჰარუსპიკები. მათ ფუნქციაში შედიოდა - მსხვერპლშეწირვა, ფრინველების გადაფრენით და ცხოველების შინაგანი ორგანოებით ღმერთების ნების გაგება და ა.შ.



*ეტრუსკული სარკოფაგი - ძვ.წ. VI ს.*

იტალიის სხვა ტომებისგან განსხვავებით ეტრუსკებში დემონოლოგია მეტად იყო განვითარებული. იკონოგრაფიაში დემონების სახეზე არსებული ცხოველური ნიშნები მიუთითებს მათში წმინდა ცხოველების პირველად განსახიერებას. ღმერთების აუცილებელი ატრიბუტი იყო გველი. სხვადასხვა რიტუალებისას მას აქტიურად იყენებდნენ ქურუმები. მაგ., დემონების გამოძახების მომენტში ჰარუსპიკი ყოველთვის ხელში გველით უნდა ყოფილიყო. ლივიუსთან დაცულია პასაჟი, როდესაც რომაელთა

არმიამ დაინახა ჩირაღდნებით და გველებით ხელში მათ წინ მორბენალი ეტრუსკი ქურუმები, რის გამოც ისინი შედრკენ.

გველით ხელში იყო გამოსახული სიკვდილის დემონი ტუხულკი. გველი ასევე იყო საიქიოს დედოფლის ფერსიფაის (პერსეფონე) ატრიბუტები და ა.შ. სასახლის კრამიტებზე ცხენების და ყარყატის გარდა გამოსახული იყო გველი. როგორც ფიქრობენ ამ შეთმთხვევაში იგი იყო საიქიო სამყაროს და მიწის სტიქიის წარმომადგენელი. ჩვენ არ შევუდგებით გველის სიბმბოლიკის მნიშვნელობის ახსნას. დავსძენთ, რომ სხვა ხალხების მსგავსად ეტრუსკებში და რომაელებში გველი მიწის ნაყოფიერი ძალის გასახიერებას წარმოადგენდა.

*ენა და დამწერლობა*

ეტრუსკული ენის და დამწერლობის საკითხები ანტიკურ ეპოქაშივე იყო დაინტერესების საგანი. მაგ., ჰეროდოტე ხაზს უსვამდა, რომ ეტრუსკებს ჰქონდათ ენა, რომელიც მისთვის გაუგებარი იყო. იმის მიუხედავად, რომ პეროდოტე ორჯერ იყო ნამყოფი იტალიაში და გახლდათ ეპოქისთვის ყველაზე ინფორმირებული ადამიანი, ფაქტია, რომ მან მაინც ვერ გაიგო რომელი ენით საუბრობდნენ ეტრუსკები.



*სპირალის ფორმის ეტრუსკული წარწერა*

ეტრუსკული დამწერლობის ნიმუშების შეგროვების პირველი ცდა ეკუთვნის დომინიკანელ ბერ ანიო და ვიტერბოს. ნაშრომში „XVII წიგნი სიძველეთა კომენტარებით“ (1498 წ.), ვიტებრო, შეეცადა დაესაბუთებინა რომაულზე ეტრუსკული კულტურის უპირატესობა, რაშიც მისი არგუმენტით გადამწყვეტი იყო ეტრუსკული წარწერები.

პირველი მსხვილი ეტრუსკული წარწერა აღმოაჩინეს XVI ს. შუა ხანებში ქ. პერუჯას მახლობლად. იგი 27 სიტყვიანი იყო. დღეისთვის წარწერების რაოდენობამ 11 ათასს მიაღწია. ძირითადში ისინი მოკლე ფორმატის არის. საკითხის შემდგომი შესწავლის სირთულეს ჰქმნის ის გარემოება, რომ დღეისთვის დადგენილია არაუმეტეს 120 ეტრუსკული სიტყვის მნიშვნელობა. რაც შე-

ეხება ეტრუსკულ ალფავიტს, იგი გაშიფრული იქნა 1880 წლისთვის, როდესაც სრულად დადგინდა ასოების ფონეტიკური შემადგენლობა.

პრობლემის შესწავლის სირთულეს ქმნის ეტრუსკული ენის რომელიმე ოჯახთან მიკუთვნების საკითხი, რაც დღემდე არ არის დადგენილი. ამის გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი რაობის თაობაზე არაერთი შეხედულება, მათ შორის აბსტრაქტულიც გამოითქვა. ერთ-ერთი ასეთი შეხედულება ეკუთვნოდა ნიკო მარს (1865-1934 წწ.). მეცნიერის აზრით, ეტრუსკული ენა წარმოადგენს ენების განვითარების გარკვეულ სტადიას, რომელიც წინ უსწრებდა ე.წ. ინდოევროპული ენებს. იყო სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით ეტრუსკული ენა ხურიტულის დიალექტია და ა.შ.

ეტრუსკული ენის თაობაზე ნათლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვ.წ. VIII ს. ეტრუსკებს ჰქონდათ თავიანთი დამწერლობა. მათი დამწერლობისთვის დამახასიათებელი იყო მარჯვნიდან მარცხნივ და სიტყვების უსაზღვრებოდ წერის მანერა. ამასთან, ტექსტის სიტყვების გასაყოფად იყენებდნენ წერტილს ან ორწერტილს, რაც ზოგი მეცნიერისთვის არგუმენტი იყო ეტრუსკულ მარცვლოვანი და მიკენურ „B“ ხაზოვანი დამწერლობების მსგავსების დასაბუთების საქმეში. ძვ.წ. VI ს. მიწურულს ჩამოყალიბდა ეტრუსკული დამწერლობის სამი გრაფიკული სისტემა. ისინი გამოყვანილი იყო დამწერლობის ცალკეული ბგერებით და გამაგრებული იყო პალეოგრაფიული განსაკუთრებულობით.



*არქაული ეტრუსკული ანბანი - ძვ.წ. VII-V სს.*



*არქაული ეტრუსკული ანბანი - ძვ.წ. V-III სს.*

ეტრუსკების მხრიდან იტალიის კოლონიზაციამ ხელი შეუწყო აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკული დამწერლობის გავრცელებას. ეტრურიის გარეთ უძველესი ეტრუსკული დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილი არის ლაციუმში (რომი...), კამპანიაში (კაპუა...) და ალპელ რეტებთანაც. რაც შეეხება ეტრუსკულის გავლენას ლათინურ ენაზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნულ საკითხზე XIX ს. მიდის კამათი. ისტორიოგრაფიაში დომინირებს აზრი, რომ ძვ.წ. VII-VI სს. ლათინური წარწერები აჩვენებს,

რომ ლათინური დამწერლობა მართალია განიცდის დასავლური ბერძნულის და ეტრუსკულის მხრიდან ორმხრივ გავლენას, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა მათ ანალოგს. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია წერის მანერა. ეტრუსკულისგან განსხვავებით ლათინურში წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ. ამის მიუხედავად, ლათინურ ენაში არის რიგი სიტყვები, რომლებიც შეთვისებულია სწორედ ეტრუსკულიდან. დღეისთვის სამეცნიერო წრეებში დომინირებს აზრი, რომ ეტრუსკულ ენა ჩამოყალიბდა იტალიაში მყოფი პელასგური და ტირენულის შერწყმით და ამ პროცესში მონაწილე სხვა ადგილობრივი ინდოევროპული თუ არაინდოევროპული ენების წყალობით.

*ეტრუსკული და ქართველური*

რადგან ერუსკული ენა არ მიკუთვნება ინდოევროპულ და სემიტურ ენების ოჯახს, ამიტომაც სამეცნიერო ლიტერატურაში იყო და არის მისი ქართველურთან შეპირისპირების ცდა. საკითხის საბოლოოდ გახნის სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ ეტრუსკული სიტყვების დიდი ნაწილის მნიშვნელობა უცნობია. ასევე გაურკვეველია თითქმის ყველა ვრცელი წარწერის აზრი. ეტრუსკულის ქართველურ ენებთან შეპირისპირების საფუძველს ქმნის ის გარემოება, რომ მათ შორის ხერხდება ბგერათშესატყვისობების გარკვეული ჩამოყალიბებული სისტემების დადგენა.



*ეტრუსკული სტელა (პერუჯა, იტალია)*

ვილჰელმ თომსენს (1842-1927 წწ.) ეკუთვნის ეტრუსკულის ქართველურთან პარალელების დადგენის პირველი პირველი ცდა. თომსენი იყო ისტორიკოსი და ლინგვისტი. მას ევროპის ძველი ენების თაობაზე საინტერესი კონცეფციები ჰქონდა. 1899 წელს მეცნიერმა წამოაყენა მოსაზრება ეტრუსკულის კავკასიურთან და ბასკურ ენებთან მიმართების თაობაზე. თომსენის საქმის გამგრძელებელმა ს. ფერიმ, 1957 წელს, ეტრუსკული და კავკასიური ტოპონიმების შეპირისპირებით ჩათვალა, რომ ძვ.წ. III ათასწლეულის მიწურულს, კავკასიიდან საბერძნეთის გავლით იტალიაში გადასახლდა კავკასიურ

ტომთა ნაწილი, რომელსაც ეტრუსკულისთვის შეუქმნია ე.წ. კავკასიური სუბსტრანტი. ფერის კონცეფცია მოკლებული იყო დამაჯერებლობას, რის გამო მან პოპულარობა ვერ მოიპოვა სამეცნიერო წრეებში.

XX ს. 70-იან წლებში ისტორიოგრაფიაში (რ. გორდეზიანი...) კვლავ დაიწყეს ეტრუსკული ენის ქართველურთან დაკავშირება. ამჯერად მკვლევართათვის ამოსავალი გახდა ზმნის სტრუქტურული მხარე, სხვადასხვა გენეტიკური კავშირების ძიება და ა.შ. ეტრუსკულის ქართველურ ენებთან მიმართების დადგენის საკითხის კვლევის სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ უკანასკნელისგან განსხვავებით ეტრუსკული ენა არ ცნობს პრეფიქსაციას. ამის მიუხედავად, შენიშნავენ, რომ ეტრუსკულში არის ქართველური ენების ტიპისთვის დამახასიათებელი კომპონენტები. სიტყვების მსგავსებები გაკეთებულია ორივე ენის სემანტიკური ჯგუფების მიხედვით. დღეისთვის ცნობილია 62 სხვადასხვა ეტრუსკული სიტყვების სავარაუდო შესატყვისობების ნიმუში ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური ენების საფუძველზე. მაგ., ეტრუსკული „teta“ ქართული „დედის“, ან „დიდედის“ მნიშვნელობისაა და ა.შ.

ცხადია, 62 ეტრუსკული სიტყვის პოვნა ქართველურ ენებში ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეტრუსკულ-ქართული ნათესაობის საკითხის გადაჭრას. მით უფრო, რომ ჯერ ჯერობით გაშიფრული არ არის ვრცელი ეტრუსკული ტექსტები, ანდა გარკვეული გრამატიკული სტრუქტურები. თუმცა, ხელთ არსებული მასალა იძლევა ეტრუსკულის ქართველური, ანდა პელასგურ-ქართველური ტიპის ენად არსებობის თეორიის არსებობის საფუძველს.

*მოდა*

ეტრუსკების ფართო სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ხმელთაშუაზღვისპირეთში კვალი დააჩინა მათ მოდასაც. ჭრის ტექნიკით, სამკაულებით და ცალკეული დეტალებით ეტრუსკული ტანსაცმელს აშკარად აღმოსავლური ხასიათი ჰქონდა, ოღონდ მისი ზღაპრული სიდიადის გარეშე. შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოსდა ეტრუსკული ტანსაცმელი ერთდროულად წარმოადგენდა რაფინირებული ეგვიპტურის, ელინურის და შუა საუკუნეების მოდის ღარიბ მონათესავეს. გემოვნებიან ეგვიპტელებთან

და ელინებთან შედარებით ტანსაცმელში ეტრუსკები გამოიყურე-ბოდნენ ძალიან უხეშებად.

ეტრუსკები უპირატესობას მუქი ფერის ტანსაცმელს ანიჭე-ბდნენ. მამაკაცები ატარებდნენ სელის და მიტკლისგან ნაკეთ პე-რანგს, იგივე ქიტონს. იგი იყო მუხლებამდე და სახელოიანი, ანდა უსახელო. სამუშაო ტანსაცმლად გამოიყენებოდა ექსომისი. მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი თავისუფლად მოძრაობის სა-შუალებას იძლეოდა. ხანში შესულები ატარებდნენ მოგრძო ქი-ტონს, რომელსაც მდიდრები კამეებით რთავდნენ. ქიტონის ზევი-დან იცვამდნენ მოსასხამს - თებენას. იგი უფრო საცერემონიო ტანსაცმელი იყო და მას ისეთივე დანიშნულება ჰქონდა, როგორ-იც მოგვიანებით რომაელებში ტოგას. თებენასთან ერთად მამაკა-ცები ატარებდნენ მოკლე მოსასხამს.

მამაკაცის ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი იყო თეძოს სიმაღლის მქონე წინსაფარი. მოგვიანე-ბით მას სახელოებიანი ბლუზის ზემოთ ხმარობდნენ. რომაელებთან იგი ცნობი-ლი იყო, როგორც ქურუმის ტანსაცმელი. იგი იყო ტანზე მჭიდროდ მოდგმული, მოკლე, მხრებზე გაკერილი და ზოგჯერ უსახელო. მოგვიანებით, ეტრუსკმა მამა-კაცებმა დაიწყეს გრძელი და ნახევრად გრძელი ქიტონების ტარე-ბა, რომელზეც იცვამდნენ წაგრძელებული სეგმენტის ფორმის ტუნიკას.


ეტრუსკი ტიპაჟი

ტანისამოსისთვის ეტრუსკები სხვადასხვა ფერის ნაჭრებს იყენებდნენ. მათი ტანსაცმელი გამოირჩეოდა მდიდრული ორნა-მენტებით, აუცილებელი ატრიბუტი უნდა ყოფილიყო მასზე გულ-საბნევი და სხვადასხვა ნაკეთობები. მოგვიანებით, ეტრუსკულმა ტანსაცმელმა დაკარგა თავისი თვითმყოფადობა და გახდა ერთ-გვარი შუალედური რგოლი ბერძნულ და რომაულ ტანსაცმელებს შორის.

თავდაპირველად ეტრუსკების ტანსაცმელი იონიურ სტილში იყო. ქალები ატრებდნენ მხრებზე გაკერილ ქიტონს გრძელი შლე-იფით, ქამრით ან მის გარეშე. მათ ჰქონდათ ასევე მხრებიდან თა-ვისუფლად დაცვენილი მოსასხამი. ატარებდნენ გრძელ ნაწნავე-ბს, ხოლო კეფას ფარავდნენ კონუსებრი ქუდით. ქურუმების გარ-და ეტრუსკებს ძირითადში თმები მოკლედ ჰქონდათ შეჭრილი.

რაც შეეხება ქურუმებს ისინი ნაწნავებს რთავდნენ ოქროს ან ვერცხლის შესაკრავით. მამაკაცები თავდაპირველად წვერს მოკლედ იჭრიდნენ, ხოლო მოგვიანებით დაიწყეს სახის მთლიანი გაპარსავა.

ქალები აქტიურდ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზეიმსა და დღესასწაულებზე ისინი სხვადასხვა ცეკვას ასრულებდნენ, ხოლო ნადიმზე საბრძოლო თამაშების მაყურებელს ანსახიერებდნენ. დღესასწაულებზე ქალები ატარებდნენ მამაკაცებზე გრძელ ტუნიკას. მამაკაცები იცვამდნენ მდიდრულად მოქარგულ და კანტებით გალამაზებულ თებენას. ქალების მსგავსად ისინიც თმებზე ნაწნავებს იკეთებდნენ და მას რთავდნენ ყვავილების ლენტით ან დიადემით. ეტრუსკ ქალებში პოპულარული იყო სხვადასხვა სამკაულების ტარება (სამაჯური, ბეჭდი, მძივი, საყურეები და ა.შ.). რაც შეეხება მამაკაცებს მათთან მიღებული იყო მარცხენა მკლავზე სამაჯურის ტარება.



*ეტრუსკული ქიტონი*



ეტრუსკების ფეხსაცმელი მაღალყელიანი სანდლების სტილში იყო, სადაც თითების ადგილს გახსნილად ტოვებდნენ. ისინი ასევე ატარებდნენ წაგრძელებული და ოდნავ უკან გადაწეული ნაწილით ანდა აწეული ცხვირით მჩატე ტყავის ფეხსაცმელებს. იგივე ფორმის იყო ჩექმებიც. პრესტიჟულად მიიჩნეოდა წითელი ტყავისაგან დამზადებული ფეხსაცმელი. ეტრუსკი მეფეები ატარებდნენ მდიდრულად ამოქარგულ მოსასხამს და ოქროს გვირგვინს, რომლის კბილანები მუხის ფოთლის ფორმის იყო. სამეფო ტახტი ნაკეთი იყო სპილოს ძვლისაგან.

### *გავლენა რომზე*

ეტრუსკებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ქ. რომის და ზოგადად რომაული სახელმწიფოს ფორმირებაზე. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ძვ.წ. 616-509 წლებში რომის უკანასკნელი სამი მეფე წარმოშობით ეტრუსკელ ტარკვინიუსთა გვარიდან

იყვნენ. მათ პირველებმა შეიტანეს და დაამკვიდრეს რომაულ საზოგადოებაში ეტრუსკული ტრადიციები. მართალია რომაელები მალევე განთავისუფლდნენ ეტრუსკი ტირანებისგან, მაგრამ მათ შეინარჩუნეს მათი მემკვიდრეობის დიდი ნაწილი.

რომაელებისათვის ეტრუსკები მისაბაძი იყვნენ ყველა საკითხში. ეს იქნებოდა საამშენებლო საქმე, გამოყენებითი სახვითი ხელოვნება თუ სხვადასხვა, მათ შორის ყოფითი სფერო. რომაელებმა ეტრუსკებისგან შეისისხორცეს ქალაქების დაარსების წესი და რიტუალი. მათგან გადაიღეს ტაძრების კონსტრუქცია, რომლის სახურავი და ანტაბლემენტი (სვეტებზე ჰორიზონტალურად დაყრდნობილი მზიდავი ნაწილი, ფრიზი და კარნიზი) მორთული იყო ქანდაკებებით და თიხისგან ნაკეთი რელიეფებით. პრინციპში, რომაელთა მხრიდან მიბაძვაზე არც უნდა იყოს საუბარი, რადგანაც რომში არსებული ტაძრები ეტრუსკი ოსტატების მიერ იყო ნაგები. რომის მარადიულობის და სიძლიერის სიმბოლო – კაპიტოლიური მგელი, მისი ავტორი იყო ეტრუსკი-მოქანდაკე ვულკა. ტარკვინიუს ამაყის მითითებით ეტრუსკმა ოსტატებმა ააგეს და მოხატეს კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე იუპიტერ კაპიტოლინუსის, იუნონას და მინერვას ტაძრები.

ეტრუსკებიდან შეითვისეს რომაელებმა და ახლებური დატვირთვა მისცეს პოლიტიკური ორგანიზაციების განსაკუთრებულობას, ძალაუფლების სიმბოლოებს, არმიის სტრუქტურას, შეიარაღებას, სახელმწიფო პირების ინსიგნიებს, სახელმწიფო მეთაურის წინ 12 ლიქტორის სვლას, ტრიუმფების გადახდას, პატრიციუსების ღირსების ემბლემებს (კისერზე ოქროს ბულის ტარება, ტოგა, გამარჯვებულის შემკობა ოქროს დიადემით) და სხვ. რაც მთავარია, ეტრუსკებისგან შეითვისეს რომაელებმა თვით უმაღლესი ძალაუფლების (imperium) გაგება.

რომაელებმა ეტრუსკებისგან გადაიღეს სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულით, ძირითადში ცხვრის ღვიძლით მკითხაობის პრაქტიკა. რომში საუკეთესო ჰარუსპიკი აუცილებლად ეტრუსკი უნდა ყოფილიყო.

დაახლ. ძვ.წ. V ს-თვის ეტრუსკებმა გავლენა მოახდინეს რომაული მუსიკალური ხელოვნების ფორმირებაზე. ცნობილი ეტრუსკული სამუშაო სიმღერები გამოირჩეოდნენ რითმული დახვეწილობით.

## თავი III
## რომი მეფეთა ხანაში

### *„რომის“ ეტიმოლოგია*

რომაელებს იმთავითვე აინტერესებდათ „მარადიული ქალაქის“ დიდებით მოსილი სახელის წარმომავლობა. ამასთან დაკავშირებით პლუტარქე რამოდენიმე ვარიანტს იძლევა. ისტორიკოსის ცნობით, ერთნი რომის სახელს პელასგებს უკავშირებდნენ. მათი აზრით, მრავალი ხალხის დაპყრობის შემდეგ, აქ დამკვიდრებულმა პელასგებმა თავიანთი იარაღის აღსანიშნავად ქალაქს „რომა“ დაარქვეს, რაც თითქოს მათ ენაზე „ძალას“ და „სიმტკიცეს“ აღნიშნავდა. მეორეთა აზრით, სახელი მომდინარეობს ქალ რომასაგან. ლეგენდის თანახმად სწორედ რომას გადაუწვავს ლტოლვილი ტროელების ხომალდები, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ დასახლებულიყვნენ პალატინის ბორცვის მიდამოებში. სხვებს სახელი ჰერაკლეს ძის ტელეფეს ასულ რომასაგან მომდინარე მიაჩნდათ. იყვნენ ისეთებიც ვისაც ქალაქის სახელს ოდისევსის და კირკეს ვაჟ რომანოსს ან ლათინთა მეფე რომისს მიაწერდნენ. და მაინც, ანტიკურ ისტორიკოსთა უმრავლესობა ქალაქის სახელს უკავშირებდნენ რეა-სილვიას და ღმერთ მარსის შვილს ლეგენდარულ რომულუსს.

### *„მარადიული ქალაქის“ დაარსება*

თითქმის ყველა ქალაქს აქვს მითიური წარსული, რაც კიდევ უფრო ალამაზებს მის ისტორიას. გამონაკლი არც ქ. რომია. ტრადიციით, ლაციუმში, რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქ. ალბა-ლონგაში („გრძელი“) მეფობდნენ ლეგენდარული ტროელი გმირის ენეასის (ძვ.წ. 1179-1176 წწ.) შთამომავლები, ლონგას მეცამეტე მეფის პროკუს სილვიუსის (ძვ.წ. 820-797 წწ.) შვილები ნუმიტორი (ძვ.წ. 753-? წწ.) და ამულიუსი (ძვ.წ. 797-753 წწ.). ძმებმა გაინაწილეს მამის მემკვიდრეობა - ქონება და ტროადან ჩამოტანილი ოქრო ამულიუსს ერგო, ხოლო ნუმიტორმა სამეფო ძალაუფლება აირჩია.



*ენეასი, მონეტა. ძვ.წ. ?VI ს..*

ქონების წყალობით ამულიუსმა დიდი ძალაუფლება მოიპოვა და ძმას სამეფოს გამგეობა წაართვა. ამასთან, შეშინებულმა, რომ ნუმიტორის ქალიშვილს შვილები არ შესძენოდა, ძმისშვილი რეა-სილვია ვესტას ქურუმად გაამწესა (სტრაბონის ვერსიით ნუმიტორის ვაჟი ამულიუსმა თითქოს ნადირობისას მოკლა).

არსებული წესით ვესტალებად გოგონებს 6-10 წლის ასაკის მხოლოდ არისტოკრატული ოჯახებიდან ირჩევდნენ. მათვის მკაცრად იყო განსაზღვრული ქალწულობის შენარჩუნება 30 წლის ვადით. გაირკვა, რომ რეა-სილვია ვესტას ქურუმთათვის დადგენილი კანონის საწინააღმდეგოდ ღმერთ მარსისგან დაფეხმძიმდა. მას სიკვდილით დასჯა - ცოცხლად დამარხვა ელოდა, მაგრამ იგი ამულიუსის ასულმა ანთომ დაიხსნა. რეა-სილვია დაამწყვდიეს დილეგში და მასთან არავის უშვებდნენ, რათა ამულიუსისაგან მალულად არ ემშობიარა. იდგა ძვ.წ. 771 წლის 26 მარტი, რეა-სილვიამ შვა ორი ვაჟი.

მშობიარობის ფაქტმა ამულიუსი დააფრთხო. მან გადაწყვიტა ბავშვების მდინარეში გადაყრა, მაგრამ მარსმა არ დაუშვა თავისი შვილების დაღუპვა. მსახურმა, რომელსაც ჩვილები მიჰყავდა მდინარეში გადასაყრელად, გაშმაგებული წყლის ხილვისას გობი ფლატოზე დატოვა. ადიდებულმა მდინარემ გობი აიტაცა და წაიღო. ბედად იგი გამოედო ლეღვის ხის ტოტს. თითქოს ამას უცდიდაო, ქარი ჩადგა და წყალმაც დაკლება დაიწყო. გობიდან გადმოცვენილი ტყუპების ტირილის ხმაზე საიდანღაც გაჩნდა ძუ მგელი, რომელმაც ჩვილი ძმები დააპურა. შემდგომში, ტყუპები აღმოაჩინა ამულიუსის ღორების მწყემსმა, რომელმაც ისინი სახლში წაიყვანა და დაარქვა რომულუსი და რემუსი.



*მარსი და რეა-სილვია (რუბენსი)*

ძმები იმთავითვე გამოირჩეოდნენ თანატოლებში გონებით და მამაცობით. ისინი ყოველგვარ საფრთხეს დიდი გამბედაობით და უშიშრად ეგებებოდნენ. ჩანს, რომულუსი უფრო ჭკუით მოქმედებდა და სახელმწიფოებრივ ნიჭს ამჟღავნებდა, რის გამოც მეზობლად მოსახლე ხალხს იგი წინამძღოლობისთვის გაჩენილად მიაჩნდათ.

ერთხელ, ნუმიტორისა და ამულიუსის მწყემსები წაიკიდნენ და ერთმანეთს საქონელი წაართვეს. საქმეში ძმებიც ჩაერთვნენ, რომლებმაც მოძალადეები მიბეგვეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი მორიგ შეტაკებისას მწყემსებმა რემუსი შეიპყრეს და იგი ნუმიტორს მიჰგვარეს. რემუსის

კეთილშობილურობამ ნუმიტორი გააოგნა და კითხვაზე რომელი გვარიდან იყო იგი, მან გულახდილად მოუყვა თავისი წარსული.

ვიდრე რემუსი თავის ისტორიის თხრობაში იყო, შეშინებულმა ფაუსტულუსმა ყოველივე რომულუსს უამბო. ძმის დასახსნელად მან რაზმი შეკრიბა, ალბა-ლონგისკენ გაემართა და ქალაქს დაეუფლა. ძმებმა დაამხეს ამულიუსი და ტახტზე კვლავ ნუმიტორი აიყვანეს. ძმები ოთხ წელიწადს დარჩნენ ალბაში. შემდგომში მათ აღარ ისურვეს ძალაუფლების გარეშე ცხოვრება ალბაში და ვიდრე ბაბუა ცოცხალი ჰყავდათ არც ქალაქის გამგებლობის დაპატრონება სურდათ, ამიტომ წინამძღოლობა ისევ ნუმიტორს ჩააბარეს. ამით ძმებმა საკუთარ დედას საკადრისი პატივი მიაგეს, შემდეგ ლაშქარი დაშალეს და იქ, სადაც ისინი პირველად გამოკვება ძუ მგელმა - პალატინის ბორცვზე, მდ. ტიბრის მარცხენა სანაპიროს, ზღვიდან 25 კმ დაშორებით, გადაწყვიტეს დაეარსებინათ ქალაქი.



*რომულუსი და რემუსი*

ქალაქის მშენებლობამ ძმებში უთანხმოება ჩამოაგდო. რომულუსმა დააფუძნა ე.წ. „ოთხკუთა რომი“ და იმ ადგილზე მოინდომა ქალაქის აგება. რემუსმა კი აირჩია ავენტინუმის ბორცვი. ძმები შეთანხმდნენ და დავის გადაჭრას ფრინველებზე დაკვირვებით გადაწყვიტეს. რემუსს ექვსი ძერა გამოეცხადა, ხოლო რომულუსს 12. ამის მიუხედავად, ძმებში უთანხმოება კვლავ გაგრძელდა. შექმნილ ვითარებაში რომულუსმა ჯიუტად დაიწყო ქალაქის გალავნისთვის თხრილის ამოღება. ძმის ჯიუტობით გაბრაზებულმა რემუსმა რომულუსი დასცინა და თხრილზე ხტომა დაიწყო. მისმა ქმედებამ რომულუსი განარისხა, რომელმაც რემუსი მოკლა.



*რომულუსი და რემუსი*

რემუსის დაკრძალვის შემდეგ რომულუსმა გააგრძელა ქალაქის დაფუძნება. მისი ბრძანებით ამოთხარეს ორმო და შიგ ჭაშნიკად ჩააწყვეს ახლად მოწეული ყველა მოსავალი, რომელსაც ზედ დააყარეს ალბადან წამოღებული პეშვი მიწა. ამის შემდეგ, რომულუსმა გუთანში შეაბა თეთრი ხარი და ძროხა და გალავნის მონახაზი ღრმა კვალით გაავლო. იქ, სადაც კარიბჭე იყო გასაკეთებელი რომულუსი გუთანს ზევით წევდა და შუალედს ტოვებდა.

ასე, ძვ.წ. 753 წლის 21 აპრილს, 18 წლის ასაკში, რომულუსმა დაარსა ქალაქი. საჭირო რელიგიური რიტუალის დასრულების შემდეგ მან ქალაქს საკუთარი სახელი დაარქვა.

ზოგადად ასეთია ქ. რომის დაარსების შესახებ ლეგენდა. უნდა ითქვას, რომ გადაგდებულ ბავშვთა სასწაულებრივად გადარჩენის თემა ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ სამყაროში. მაგ., იგივეს ამბობდნენ აქადის მეფე სარგონ I-ზე (ძვ.წ. 2316-2261 წწ.) და სპარსეთის სამეფოს ფუძემდებელ კიროს დიდზე (ძვ.წ. 558-529 წწ.). მსგავსი სიუჟეტია გამოყენებული ბერძნულ მითოლოგიაში ამფიონეს და ძეთოსის მითის, ანდა ძველი აღთქმის მიხედვით მოსე წინასწარმეტყველის (ძვ.წ. XIII ს.) შემთხვევაში და სხვ. როგორც ფიქრობენ, ლეგენდის თავდაპირველ ვარიანტში ფიგურირებდა ერთი პირი სახელად ჰრომოსი. როდესაც ეს სახელი რომაელებს შორის გავრცელდა, იგი თანდათან რომულუსად შეიცვალა. ამ ორი სახელის ურთიერთდაკავშირების ნიადაგზე, შემდგომში, კიდეც განვითარდა ტყუპი ძმების ლეგენდა, რომელშიც ჰრომი რემუსად გადაიქცა. თავდაპირველ ვარიანტში, რომ რომის დამაარსებლად ერთი პირი ფიგურირებდა, რასაც ადასტურებს ქ. ბოლონიის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული სტელა (ძვ.წ. IV ს. I ნახ.), რომელზეც გამოსახული ძუმგელი მხოლოდ ერთ ბავშვს აწოვებს ძუძუს.



*სარგონ I*



*კიროს დიდი*

ფაქტია, რომ ქ. რომი წარმოიქმნა შვიდ ბორცვზე და ცალკეულ თემთა თანდათან გაერთიანება-შერწყმის გზით. რომაული ბორცვების სისტემის ცენტრს წარმოადგენდა პალატინი (ტიბრის დონიდან 43 მ. სახელწოდება მომდინარეობს მესაქონლეობის ღმერთ - პალესისგან). სამხრეთით მას ესაზღვრებოდა ავენტინი (39 მ. სავარაუდოდ სახელი დაერქვა მეფე ავენტინუს სილვიუსის საპატივცემულოდ), ჩრდილო-დასავლეთით კაპიტოლი-



*ბოლონიის სტელა*

უმი (43 მ. სახელწოდება წარმოსდგება „თავი“-სგან). მის დასავლეთით მდებარეობდა ტარპის კლდე), ჩრდილო-აღმოსავლეთით კვირინალი (48 მ. საბინელი ღმერთ კვირინუს-შუზოსნის საპატივცემულო), ვიმინალი (48 მ. იგივე „ტირიფის ბორცვი “) და ესკვილინი („გარეუბანი“, რომელშიც გაერთიანდა ცისპიუსის (46 მ.) და ოპიუსის (79 მ.) ბორცვები), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ცელიუსი (48 მ. ეტრუსკ ცელიუს ვიბენის საპატივცემულო).

თავდაპირველად ბორცვები ურთიერთშორის იყოფოდნენ ღრმა დაბლობებით და ციცაბო ფერდობებით. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთით, სადაც მდ. ტიბრი აკეთებდა მკვეთრ მოსახვევს, მდებარეობდა ფართო დაბლობი, რომელიც ცნობილი იყო ე.წ. მარსის და ფლამინიუსის ველის სახელით. თანდათან, ქალაქში მიმდინარე ფართო მშენებლობების გამო, ბორცვებს შორის არსებული ღრმა დაბლობები და ციცაბო ფერდობები ამოვსებული იქნა. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ლაციუმის მხარე მდიდარი იყო ვულკანური წარმოშობის ძვირფასი საშენი მასალა ტუფით. წლების მანძილზე თავისი მონუმეტური ნაგებობების გამოსაყენებლად რომმა არ იცოდა სხვა საშენი მასალა. ტუფის ქვებს იყენებდნენ მსუბუქ საკედლე მასალად და ბეტონის შემავსებლად. რომის დაწინაურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მდ. ტიბრის მარცხენა ნაპირზე გამავალი სტრატეგიული ე.წ. „მარილის გზა“. ერთი სიტყვით, მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სტრატეგიული გზების სიახლოვემ ხელი შეუწყო შვიდ ბორცვზე ქ. რომის აღმოცენებას.




*შვიდ ბორცვზე მდებარე რომი*

ანტიკური ტრადიციით რომს შვიდი მეფე მართავდა. მეფეთა ხანა რომში თითქმის ორ საუკუნე ნახევარი გაგრძელდა. საბერძნეთის მსგავსად აქაც სამეფო ძალაუფლება გვაროვნული წყობილებიდან განვითარდა და მასაც პატრიარქალობის ნიშნები ჰქონდა. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ რომში სამეფო ხელისუფლებამ უფრო დიდხანს გასძლო და მისი ინსტიტუტი გაცილებით ძლიერი იყო ვიდრე საბერძნეთში. იყო ერთი ნიუანსიც. რომში

რომულუსის შემდგომ ყველა მეფე ეტრუსკულ სახელს ატარებდა. ამის გარდა, სამეფო ხელისუფლება რომში მემკვიდრეობით არ გადადიოდა და წესად იყო, რომ ახალი მეფის არჩევამდე სენატი არაუმეტეს ერთი წლით დროებით მოვალეობის შემსრულებელად სენატორებს ნიშნავდა. ამ ხნის მანძილზე მიდიოდა ახალი კანდიდატის ძიება და მისი საკითხის გატანა კურიატულ კომისიაზე. შემდგომში, ეტრუსკების მსგავსად, რომაელებში დამკვიდრდა სამეფო ძალაუფლების გადასვლა ქალიშვილზე, ანდა ნაშვილებ ვაჟზე. და ბოლოს, უკანასკნელი სამი მეფე წარმოშობით ეტრუსკი იყო და სამეფო ტახტზე ისინი ადიოდნენ შეთქმულების გზით.

*რომულუსი*

რომის პირველი მეფე და იმავდროულად ქალაქის დამაარსებელი იყო რომულუსი (ძვ.წ. 753-717/6 წწ.). იგი გონიერი და შორსმჭვრეტელი მმართველი დარჩა. ქალაქის თავდაცვის გაძლიერების მიზნით შექმნა ბრძოლისუნარიანი რაზმი, რომელსაც ეწოდა ლეგიონი. მისი შემადგენლობა განისაზღვრა 3000 ქვეითით და 300 მხედრით. ამის გარდა, მოქალაქეთაგან რომულუსმა ამოარჩია 100 ყველაზე ავტორიტეტული პირი და მათგან შექმნა უხუცესთა საბჭო, იგივე სენატი. სენატორებს პატრიციუსები ეწოდათ, რათა ისინი განსხვავებულიყვნენ უბრალო ხალხისაგან - პლებსისაგან. პირველებს პატრონები დაერქვათ, რაც „მფარველს“ ნიშნავდა, ხოლო მეორეს კლიენტები, იგივე ხელქვეითები. მანვე დააწესა ლიქტორის თანამდებობა. ქალაქის მოსახლეობა დაიყო 30 კურიად და სამტრიბად - რამნებად (ლათინები), ტიციებად (საბინები) და ლუცერებად (ეტრუსკები). თავის მხრივ, ტრიბები დაიყო 10 ნაწილად - კურიებად, ხოლო უკანასკნელი დეკადებად, რომელსაც დეკურიონები ჩაუყენა სათავეში.



*რომულუსი*

რომის დაარსებიდან მეოთხე თვეს რომაელებმა მოიტაცეს 30 საბინელი ქალი. ქალაქი სწრაფად ივსებოდა ახალმოსულებით, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდა საეჭვო პიროვნებათა ბრბოს, ვინც არ იძლეოდა იქ მტკიცედ დამკვიდრების იმედს. საბი-

ნელი ქალების მოტაცებით რომულუსი იმედოვნებდა მათთან კავშირისა და ურთიერთობების დამყარებას. თავისი ჩანაფიქრის შესრულების მიზნით მან ხერხს მიმართა - ხმა დაარხია თითქოს იპოვა ღმერთ პოსეიდონის (სხვა ვერსიით ხორბლის მარაგის მეთვალყურე ღმერთი კონსუსი) საკურთხეველი. მართლაც, 18 აგვისტოს ღმერთის საპატივცემულოდ გამართულ მსხვერპლშეწირვაზე და ასპარეზობაზე, მეწამულ ტოგაში გამოწყობილმა რომულუსმა ტოგის კალთის აკეცვით ნიშანი მისცა რომაელებს, რომლებიც კიჟინით და მახვილებით შეიარაღებული ეკვეთნენ საბინებს და მათი თანმხლები ქალები მოიტაცეს.

საბინები მრავალრიცხოვანი და მეომარი ტომი იყვნენ. ისინი უგალავნო სოფლებში ცხოვრობდნენ, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ლაკედემონელთაგან წამოსულების სიამაყეს და მამაცობას ვერავინ დაუდგებოდა. საბინელებმა რომულუსს მოსთხოვეს ცოლების და ასულების დაბრუნება, მაგრამ უარი მიიღეს და სანაცვლოდ მათ ურჩია რომში დასახლებულიყვნენ.



*საბინელი ქალები - (დავიდი, 1799 წ.)*

რომაელების პასუხი საბინებისთვის მიუღებელი დარჩა და ისინი საომრად გაემზადნენ. მათ მხედარმთავრად აირჩიეს ქ. კერუსას მმართველი ტიტუს ტატიუსი (გვხვდება ტაციუსის ფორმითაც – კ.ს.) და რომზე გაილაშქრეს. საბინებმა შესძლეს მოესყიდათ კაპიტოლიუმის ყარაულის უფროსი ტარპეია და რომის მაღლობს დაეუფლნენ. რომულუსმა მიიღო საბინელთა გამოწვევა. მცირე ხნის მანძილზე ურთიერთშორის მრავალი შეტაკება გაიმართა. უკანასკნელი შებრძოლებისას რომულუსი დაიჭრა, რომაელები შედრკნენ და უკუიქცნენ. მაშინ რომულუსმა ცად აღაპყრო ხელი და იუპიტერს შეევედრა შეეჩერებინა საბინელთა ჯარი და არ დაეღუპა რომაელთა სახელმწიფო. ტრადიციით, მისი ვედრება იუპიტერმა შეისმინა და ანაზდად სხვადასხვა მხრიდან ბავშვებით ხელში გამოჩნდა რომაელთა მიერ მოტაცებული ქალები, ისინი გოდებით ჩადგნენ ქმრებსა და მამებს შორის და ამით შესძლეს სისხლისღვრის შეჩერება. რომაელთა და საბინელთა შორის მშვიდობამ

დაისაკუთრა. საბინელთა ნაწილმა მიიღო რომულუსის წინადადება და რომში გადასახლდა. ამით ქალაქი ორმაგად გაიზარდა.

რომის ტერიტორიულმა ზრდამ აუცილებელი გახდა საბინების ჩართვა საქალაქო ცხოვრებაში. შესაბამისად, გაფართოვდა სენატი, რომელშიც დამატებით შეიყვანეს 100 საბინელი პატრიციუსი. ასევე გაერთიანდა ლეგიონები და ისინი განისაზღვრა 6 ათასი ქვეითის და 600 მხედრის რაოდენობით. თვით რომს კი ორი მმართველი - რომულუსი და ტატიუსი მოევლინა.

ხუთი წელი გაგრძელდა თანამართველობა. თავდაპირველად მეფეები სახელმწიფოებრივ საქმეებზე თავიანთი სენატორებით განცალკევებით ბჭობდნენ. ტატიუს მიეწერება რომში ვულკანალიების დღესასწაულის (23 აგვისტო) დაწესება. ხუთი წლის თავზე ტატიუსი მისავე ნათესავებმა მოკლეს. მისმა სიკვდილმა რომულუსი რომაელი და საბინელი ხალხის ერთპიროვნული მბრძანებელი გახადა.

რომულუსმა სათავე დაუდო ფართო ექსპანსიონურ პოლიტიკას. რომაელები ეომებოდნენ ყველა მეზობელ ქალაქს თუ ტომს - დაიპყრეს ქ. ფიდენე, დაახლ. ძვ.წ. 737/6 წლებისთვის დაამარცხეს კამერიელები, შემდეგ ვეიები. უკანასკნელებზე გამარჯვების აღსანიშნავად რომულუსმა 15 ოქტომბერს ტრიუმფი გადაიხადა, მაგრამ ეს იყო მისი უკანასკნელი ომი. ტრადიცია გადმოგვცემს, წარმატებებმა რომულუსი გულზვიადი და ქედმაღალი გახადა. რის გამოც იგი აუტანელი გახდა ხალხისა და სენატისათვის, რომელთა აზრს რომულუსი იგნორირებას უკეთებდა. ბაბუა - ნუმიტორის გარდაცვალების შემდეგ, ალბა-ლონგას მართვის საქმე, რომულუსმა თვით ქალაქის მკვიდრებს მიანდო. სენატს უკვე ფორმალური მნიშვნელობა მიენიჭა. პატრიციუსებს უბრალო ხალხთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ცოტათი ადრე გებულობდნენ კანონ-დადგენილებებს.



*რომულუსისადმი მიძღვნილი წარწერა*

იდგა ძვ.წ. 717/6 წლის 5 ივლისი. რომის დაარსების 37 წლის თავზე, ქალაქის მიმდებარე ე.წ. „თხის ჭაობის“ ტერიტორიაზე, სენატისა და ხალხის თანდასწრებით რომულუსმა საჯარო მსხვერპლშეწირვა შეასრულა. ტრადიციის მიხედვით, უეცრად ძლიერი

ქარიშხალი ამოვარდნილა, რის გამოც შეძრწუნებული ბრბო უკუიქცა, ხოლო რომულუსი მოულოდნელად გაუჩინარდა. მეფის გაუჩინარებამ ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მათ ჩათვალეს, რომ რომულუსი პატრიციუსებმა მოკლეს, მისი სხეული აკუწეს და თითქოს ნაწილ-ნაწილ უბით გამოიტანეს ვულკანიუსის ტაძრიდან. შესაძლოა რომულუსის წინააღმდეგ შეთქმულება მართლაც იყო. მით უმეტეს, რომ რომში შემდგომში წესად დამკვიდრდა, რომ კვალის დაფარვის მიზნით მკვლელი ყოველთვის ითხოვდა მოკლულის გაღმერთებას. ამჯერადაც ასე იყო. ბრბოს დასაშოშმინებლად და ეჭვების გასაფანტავად პატრიციუსებმა პრაგმატული ნაბიჯი გადადგეს - რომულუსი ღმერთად გამოაცხადეს. მაშასადამე, რომულუსი ზეცას დამკვიდრდა და ამიერიდან იგი რომის მფარველ ღვთაებად იქცა.

*ნუმა პომპილიუსი*

რომულუსის გარდაცვალების შემდეგ ქალაქის მმართველობა სენატმა ითავა. თითოეული პატრიციუსი დღე-ღამით ასრულებდა მართველის მოვალეობას, რომელსაც შემდგომ გადასცემდა მომდევნოს. ახალი მეფის არჩევის საკითხმა რომში შფოთი და უთანხმოებები გამოიწვია, ვინაიდან ყველას, პატრიციუსებს და ხალხს, სურდათ თავიანთი კანდიდატურის გაყვანა. ყოველივეს ისიც დაემატა თუ რომელი ტომის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო ახალი თავკაცი - ისინი ვინც რომულუსთან ერთად პირველად დასახლდენ ქალაქში. დათმობას არავინ აპირებდა და მაშინ გადაწყდა მეფე მოწინააღმდეგე ბანაკიდან აერჩიათ. საბინელებმა თავკაცის არჩევა რომაელებს მიანდვეს და მათთაც საბინელებთან კავშირის განმტკიცების მიზნით არჩევანი ნუმა პომპილიუსზე (ძვ.წ. 716/5-673/2 წწ.) შეაჩერეს.



*ნუმა პომპილიუსი (პიზონის მონეტის ავერსი)*

ნუმა დაიბადა რომულუსის მიერ მარადიული ქალაქი დააფუძნების დღეს – ძვ.წ. 753 წლის 21 აპრილს. თავისი ზნეობით და ღვთისმოშიშობით იგი გამოირჩეოდა თანამოქალაქეთა შორის. რომულუსის თანამეფე ტიტუს ტაციუსმა მას ასული ტაცია შერთო. ქორწინებიდან ცამეტი წლის თავზე ტაცია გარდაიცვალა, რაც ნუმამ მძიმედ განიცადა. იგი შეიცვალა და განდეგილად ალბანის

მთებში გაიხიზნა. ტრადიციის მიხედვით, აქ მან გაიცნო ნიმფა ეგერია, რომლის მეშვეობით ნუმა დროის დიდ ნაწილს ღმერთებისადმი შეწირულ წმინდა ადგილებში ატარებდა.

38 წლის ასაკის იყო ნუმა როდესაც მას რომაელებმა მეფობა შესთავაზეს. ხანგრძლივი ხვეწნის შემდეგ იგი დათანხმდა მათ წინადადებას. რომში მის შესახვედრათ მთელი ქალაქი გამოვიდა და მას მიართვეს სამეფო ნიშნები. ნუმას მიეწერება რომის კუთვნილი მიწების აღრიცხვა და მათზე ქვის ბოძებით საზღვრის გავლება. მანვე პირველმა დაუწესა რომაელებს რელიგიური კულტები: პატივისცემა საზღვრის ღმერთ ტერმინუსისადმი და ფიდესადმი. შემოიღო იუპიტერის და მარსის ქურუმის თანამდებობა, ვესტას ქალღმერთი და ვესტალიების თანამდებობები. აკრძალა ადამიანთა მსხვერპლშეწირვა, მანვე პირველმა მოახდინა კალენდრის რეფორმა და დააწესა 355 დღიანი მთვარის კალენდარი. მანვე რომაელთა და საბინელთა გაერთიანების მიზნით კვირინალის და პალატინის ბორცვებს შორის სიმბოლურად სასახლე ააგებინა.



*ნუმა,*
*გრავიურა*
*(გ.რიულეს მიხედვით)*

ნუმამ დიდხან იმეფა. ტრადიციის თანახმად იგი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მეფის ცხედარი მდ. ტიბრის დას. ნაპირზე მდებარე იანიკულის ბორცვზე დაკრძალეს. ანდერძისამებრ ნუმას საფლავში ჩააყოლეს მისი მრავალრიცხოვანი წერილობითი მემკვიდრეობა. ნუმას წიგნებს საინტერესო ბედი ხვდათ. ძვ.წ. 181 წელს იანიკულეს ბორცვზე შემთხვევით იპოვეს ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესრულებული ორი ქვის ყუთი, რომლებშიც ერთში იდო ნუმას ფერფლი, ხოლო მეორეში 7 წიგნი პონტიფიკალურ სამართალზე და 7 წიგნი ბერძნულ ფილოსოფიაზე. სამწუხაროდ, იმის შიშით, რომ მასში არ ყოფილიყო თანადროული რელიგიურ წარმოდგენებზე რაიმე საზიანო, ქალაქის პრეტორმა ისინი დაწვა. რაც შეეხება მეფის საფლავს, იგი გადამალეს, რომელიც სამუდამოდ დაიკარგა.

ნუმა პომპილიუსის პერსონის შეფასებისას პლუტარქე პარალელს პოულობდა ძველი სპარტის პოლიტიკოსს და კანონშემოქმედ ლიკურგეს (ძვ.წ. IX ს.) მოღვაწეობასთან. მეისტორიე მათ საერთო თვისებად მიიჩნევდა: „ესაა სიბრძნე, ღვთისმოსაობა, სა-

ხელმწიფო მოღვაწეობისა და აღზრდის ხელოვნება და ის რომ, კანონმდებლობის საფუძვლად ორივე ღმერთების ნებას მიიჩნევდა... ქველობამ და სათნოებამ ერთი ისეთი სახელოვანი გახადა, რომ მეფობის ღირსად მიიჩნიეს, მეორე კი ისე განადიდა, რომ სამეფო ძალაუფლება უგულებელყო“. ამასთან, მეისტორიეს ცნობით: ნუმას მიზანი, რომ რომს მშვიდობასა და მეგობრობაში წარემართა თავისი გამგებლობა, ნუმასთან ერთად ჩაკვდა. მისი სიკვდილით ფართოდ გაიღო მარსის ტაძრის ორივე კარი, რომელიც ნუმას ჩაკეტილი ჰქონდა და ომი, რომელიც მას მოთვინიერებული და დამწყვდეული ეგონა, მისი სიკვდილის შემდეგ იტალია სისხლითა და გვამებით აივსო.

*ტულუს ჰოსტილიუსი*

ნუმა პომპილიუსის გარდაცვალების შემდეგ მგლის ნაშიერებმა მეფედ აირჩიეს ჰოსტილიუსთა განთქმული გვარის წარმომადგენელი ტულუსი (ძვ.წ. 673/2-642/1 წწ.), რომელიც მთელი 32 წლის მანძილზე მართავდა რომს.



*ტულუს ჰოსტილიუსი (გ.რიულეს მიხედვით)*

ტულუსი ლუცერნთა საგვარეულოდან იყო. გვარს დიდება მოუტანა ტულუსის ბაბუამ. იგი რომულუსელი იყო და მონაწილეობდა საბინელებთან გამართულ რომაელების ცნობილ ბრძოლაში, სადაც დაიღუპა. მეფედ არჩევამდე ტულუსი მიწათმოქმედებით იყო დაკავებული, მაგრამ გამეფებისთანავე, როგორც ტრადიცია გადმოგვცემს, მასში პატივმოყვარეობამ გაიღვიძა. იგი ცდილობდა დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებაში რომულუსს დამსგავსებოდა. მეფის კრედო იყო: სახელმწიფო რომელიც ეწევა მშვიდობიან ცხოვრებას სუსტდება და კარგავს სამხედრო ძლიერებას. ამიტომაც მეზობელ ტომებთან იგი მუდამ ეძებდა საომარი მოქმედებების დაწყების საბაბს. მაგ., ძვ.წ. 672 წელს ლონგელებს მან ბრალად წაუყენა საქონლის გატაცება და მოითხოვა ზარალის კომპენსაცია. ლონგელებმა უარი შეუთვალეს, მაშინ ჰოსტილიუსმა მათ წინააღმდეგ ომი წამოიწყო. ლონგელები პირველები შეიჭრნენ რომაელთა სამფლობელოში, მაგრამ იმ მომენტში უეცრად გარდაიცვლება მათი ბელადი. ამ ფაქტით ისარგებლა ჰოსტილიუსმა და კონტრშეტევაზე გადავიდა. თან საქვეყნოდ განაცხადა -

ლონგელთა ბელადი ღმერთებმა დასაჯეს და უსამართლო ომის გამო იგივე ბედი ეწევა მთელ ხალხსაც.

ლონგელთა წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი იყო, მაგრამ მოულოდნელად ლონგელთა ახალმა ბელადმა მეტიუსმა მოითხოვა ჰოსტილიუსის წინადადების განსჯა. ბელადთა ურთიერთშეხვედრისას, თავის სიტყვაში მეტიუსმა ხაზი გაუსვა, რომ ბრძოლა იქნებოდა მძიმე და სისხლისმღვრელი, ხოლო მის დასრულებისას დაუძლურებული გამარჯვებული ადვილად გახდებოდა ეტრუსკების მსხვერპლი.

თავისი ხასიათით ჰოსტილიუსი სამხედრო ოპერაციების მომხრე იყო, მაგრამ ხშირად იძულებული იყო ანგარიში გაეწია მოწინააღმდეგის აზრისათვის. ზავი ლონგელებთან ხანგრძლივი არ გამოდგა. ისინი უკმაყოფილო დარჩნენ მეტიუსის საქციელით. ეს იცოდა ჰოსტილიუსმა და მეტიუსი რომაელთა და ლონგელებთან მეგობრობის მოწინააღმდეგედ და მოღალატედ გამოაცხადა. მისმა ბრალდებამ შედეგი გამოიღო - მეტიუსი თანაქალაქელებმა დასაჯეს. ჰოსტილიუსიც ამას უცდიდა. იგი ლონგას დაეუფლა და იქაური მოსახლეობა რომში ჩაასახლა. მაგრამ ლონგელებს დიდი ცოდვა ჰქონიათ, რის გამოც ღმერთებმა ლაციუმის მცხოვრებლებს შავი ჭირი მოუვლინა. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ თანდათან ჩაკვდა ჰოსტილიუსის მეომრული სული. იგი მიხვდა, რომ მეტიუსის დასჯით მან იუპიტერი განარისხა და ამიტომაც გადმოაღებინა ნუმას მიერ დატოვებული წიგნები. ამის მიუხედავათ, მისი მხრიდან მსხვერპლშეწირვა მაინც ყოველგვარი წესის დარღვევით მიმდინარეობდა. არადა, ტრადიციით რომაული კანონებიდან ნებისმიერი გადახვევა უარყოფით შედეგებს იწვევდა. საბოლოოდ, განრისხებულმა იუპიტერმა ჰოსტილიუსს მეხი დაჰკრა და იგი ჩაფერფლა.



*რომი და ლონგა*

ჰოსტილიუსს მიეწერება სენატორთა რაოდენობის გაზრდა და სენატის სხდომის შენობის აგება, რაც ჰოსტილიუსის კურიის სახელით იყო ცნობილი. მანვე ლონგას უხუცესები (იულიუსები, სერვილიუსები...) შეიყვანა პატრიციუსების რიგებში, რითაც მო-

ხერხდა ლონგელთა სწრაფი შერწყმა რომაელებთან. თავისი მეფობით ტულიუსმა ერთს ნამდვილად მიაღწია - რომის მოსახლეობის რიცხვი გაორმაგდა.

*ანკუს მარციუსი*

ტულუს ჰოსტილიუსის გარდაცვალების შემდეგ რომაელებმა მეფედ აირჩიეს ნუმა პომპილიუსის შვილისშვილი ანკუს მარციუსი (ძვ.წ. 642/1-617 წწ.). ახალი მეფის არჩევა ჰოსტილიუსის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას ნიშნავდა. მართლაც, წინაპრის მსგავსად ანკუსი მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე იყო, მაგრამ იმავდროულად მას შესანიშნავად ესმოდა, რომ მეზობელი ტომების თავდასხმის შემთხვევაში აუცილებელი იყო საკადრისი პასუხის გაცემა.

ჰოსტილიუსის სიკვდილმა მარციუსი დაარწმუნა ღვთისმსახურების და მსხვერპლშეწირვის ყველა წესის დაცვის აუცილებლობაში. მისი მითითებით პონტიფექსებს (ქურუმთა კოლეგიის წევრები) დაევალათ, რომ სპეციალურ დაფზე ამოეწერათ ნუმა პომპილიუსის მიერ დადგენილი მსხვერპლშეწირვის წესები.



ანკუს მარციუსი (გ.რიულეს მიხედვით)

ახალი მეფის რელიგიური საქმიანობამ მეზობელ ლათინებს, საბინებს, ეტრუსკებს და ვოლსკებს დაუსჯელობის რწმენა ჩაუნერგა და მათ დაიწყეს რომაელთა ნახირის მიტაცება. ანკუს მარციუსმა არ დააყოვნა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყო. რომაელებმა სისხლისმღვრელი ბრძოლებით შემუსვრეს ლათინთა ქალაქები, ხოლო მათი მოსახლეობა ლონგელთა მსგავსად რომში ავენტინის ბორცვზე ჩაასახლეს. ლათინების გარდა მარციუსმა გამარჯვებები იზეიმა ქ. ვეისთან და ქ. ფიდენთან ბრძოლებში.

რომში მარციუსმა წამოიწყო ფართო მშენებლობები: მდ. ტიბრზე ააგეს ხის ხიდი, რითაც მოხერხდა იანიკულის ბორცვის კვლავ დაკავშირება ქალაქთან. დამნაშავეებისთვის კაპიტოლიუმზე აშენდა ორსართულიანი ციხე და რაც მთავარია, მოეწყო რომის საზღვაო პორტი - ოსტია.

მარციუსს მიეწერება ომის გამოცხადების წესის შემოღება. რიტუალის მიხედვით, შალის ლენტით თავშეხვეული ელჩი მიუახლოვდებოდა მოწინააღმდეგის საზღვარს და წარმოთქვამდა: გაიგონე იუპიტერო, გაიგონე ხალხო (აქ ითქმებოდა მოწინააღმდეგის სახელი), გაიგონე უზენაესო სამართალო. მე ვარ მოამბე წარმოდგენილი მთელი რომაული ხალხის სახელით. ღვთისმსახურების და ადამიანური კანონების თანახმად მე ვარ ელჩი და ნდობით იქნეს გაგონილი ჩემი სიტყვები. ამის შემდეგ, ელჩი პირველ შემხვედრს, ანდა ფორუმზე მყოფი წარმოთქვამდა: თუ, მე ზემოთქმულს ვითხოვ ღვთაებრივი და ადამიანური კანონის საწინააღმდეგოდ, მაშ იუპიტერო აღარ მომცე სამშობლოს ნახვის უფლება. 30 დღის მანძილზე ელჩს პასუხი უნდა მიეღო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წარმოთქვამდა შემდეგ სიტყვებს: გაიგონე იუპიტერო და შენ იანუსს და ყველა ზეციერო ღმერთო და თქვენ მიწაზე მცხოვრებნო და მიწისქვეშა სამეფოს ღმერთებო. გაიგონეთ! თქვენ მე გიწვევთ მოწმედ, რომ ეს ხალხი არ ასრულებს ვალდებულებას იმის შესახებ, როგორ მივაღწიოთ ჩვენთვის საჭირო სამართალს... ამის შემდეგ, ელჩი წარდგებოდა სენატის წინაშე, რომლის თანხმობის შემთხვევაში მოწინააღმდეგის საზღვარზე მიჰქონდათ სისხლში მოსვრილი შუბი და სამი მეომრის თანდასწრებით მას ისვროდნენ მტრის ტერიტორიაზე.

ამ რიტუალმა ხალხი მარციუსისადმი კეთილად განაწყო. ყაჩაღთა იარლიყი, რომელიც რომაელებს ქალაქის დაარსებიდანვე ჰქონდათ, ამიერიდან მეზობელი ტომების თვალში მოხსნილი იყო. 24 წლიანი მმართველობის შემდეგ ანკუს მარციუსი აღესრულა. მან დატოვა შესანიშნავი მმართველის სახელი, რომელიც ომიანობის და მშვიდობიანობის ჟამს გონივრულად მმართავდა ქალაქს.

*ტარკვინიუს ძველი*

ანკუს მარციუსის მეფობის ბოლო პერიოდში, რომში ეტრუსკულ ქ. ტარკვინიიდან გადმოსახლდა ვინმე ტარკვინიუსი. იგი მამით კორინთელი, ხოლო დედით კი ეტრუსკი იყო. ტარკვინიუსის ცოლი გახლდათ ამაყი და ძალაუფლების მოყვარე ეტრუსკი ქალი ტანაკვილი. ქალმა ვერ აიტანა, რომ ტარკვინიაში მის მეუღლეს საკადრის პატივს არ სცემდნენ და ამიტომაც საცხოვრებლად რო-

მი ამჯობინა. მისი აზრით, სწორედ აქ, სადაც ცოტა იყო დიდებული, ენერგიული და პატივმოყვარე ადამიანი, იგი ადვილად მიაღწევდა მთავარ ადგილს საზოგადოებაში.

რომში ტარკვინიუსი თავისი ყურადღებიანი და სტუმართმოყვარე ხასიათის გამო ცნობილი პიროვნება გახდა. იგი იმდენად შევიდა მეფესთან ნდობაში, რომ უკანასკნელმა იგი შვილების მეურვედ და ცხენოსანთა ნაწილის უფროსად დანიშნა. სწორედ რომში დაერქვა მას სახელად - ტარკვინიუს ძველი. მარციუსის ხელმძღვანელობით ტარკვინიუსმა შესანიშნავად შეისწავლა რომაული კანონი და ადათი, რამაც საშუალება მისცა აქტიურად მიეღო მონაწილეობა რომაელთა საშინაო და სამხედრო ცხოვრებაში.

ანკუს მარციუსის გარდაცვალების შემდეგ, ტარკვინიუსის ცოლმა ტანაკვილმა, დაიწყო ქმრის სასარგებლო აგიტაცია. მან რომაელებს გაახსენა, რომ ისინი მიჩვეული იყვნენ უცხო მეფეების (ტიტუს ტატიუსი, ნუმა პომპილიუსი) მეფობას. ცოლს მეუღლემაც აუბა მხარი. რომში მეფის არჩევის დროს, მან მარციუსის შვილები სანადიროდ გაგზავნა, ხოლო თვითონ ბრწყინვალე სიტყვებით წარსდგა ხალხის წინაშე. ტარკვინიუსმა ხაზი გაუსვა თავის დამსახურებას რომაელთა წინაშე და მარციუსისადმი მის ერთგულებას. იმდენად დამაჯერებელი იყო მის მიერ მოყვანილი არგუმენტები, რომ რომაელებმა იგი უყოყმანოდ მეფედ აირჩეს.



*ტარკვინიუს ძველი (გ.რიულეს მიხედვით)*

ტარკვინიუსმა (ძვ.წ. 616/5-579/8 წწ.) რამოდენიმე წარმატებული ბრძოლა აწარმოა საბინებთან და ლათინებთან. დაპყრობილი იქნა - აპიოლი, ფირულეა, კამერია და სხვა ქალაქები. საბინელებთან გამარჯვების აღსანიშნავად პირველმა რომის ისტორიაში გადაიხადა ტრიუმფი. მანვე ბრძოლის გარეშე დანებებულებებისთვის პრაქტიკაში შემოიღო რომის მოკავშირის სტატუსის მიცემა. მასვე მიეწერება რომის ქვის გალავანის აშენება, ჭაობის ამოშრობა, კაპიტოლიელი იუპიტერის ტაძრის და უზარმაზარი ცირკის მშენებლობა, ხელოვნების განვითარება და რაც მთავარია, მის დროს რომი საბოლოოდ გახდა ლათინთა კავშირის მეთაური.

ტარკვინიუსმა ქალიშვილი ცოლად გააყოლა მის ოჯახში აღზრდილ, წარმოშობით ლათინ სერვილიუს ტულიუსს, რომლის მამა თავის დროზე რომაელებთან ბრძოლაში დაიღუპა. ერთხელ, როდესაც პატარა სერვილიუსს ეძინა, ტარკვინიუსის მსახურებს მის თავთან ცეცხლის ალი შეუნიშნავთ. წყალიც კი მიუტანიათ ალის ჩასაქრობათ, მაგრამ ამის გაკეთება მათთვის დედოფალს დაუშლია. ამ ფაქტმა ზეგავლენა იქონია მეფეზე. ამიერიდან სერვილიუს სხვა რომაელ დიდებულთა ვაჟებს შორის მიენიჭა უპირატესობა. ეს კი იძლეოდა მეფის ასულის ხელის თხოვის უფლებას.

ტარკვინიუსის მეფობა 38 წელი გაგრძელდა და მან ქვეყანაში ჭკვიანი მმართველის სახელი მოიპოვა. მისი წყალობით სერვილიუს ტულიუსი სენატში და ხალხში დიდი პატივით სარგებლობდა, მაგრამ ტახტდაკარგული ანკუს მარციუსის შვილები არ ისვენებდნენ. მათ მიზნად დაისახეს თავდაპირველად სერვიუს ტულუსის მოკვლა. სულ მალე, მათთვის ნათელი შეიქმნა, რომ ტულუსის მოკვლით ისინი ვერ გადაურჩებოდნენ მეფის რისხვას და მეორეც, ტარკვინიუსს შეეძლო ახალი მემკვიდრეც აერჩია. ამიტომაც მათ უმჯობესად ჩათვალეს მეფის მოკვლა. ამოცანის შესასრულებლად მარციუსის შვილებმა ამოირჩიეს ორი მწყემსი, რომლებსაც დაევალათ მეფის სასახლესთან აყალ-მაყალის ატეხვა. მართლაც, მოვლენები გეგმის სცენარით განვითარდა. მოდავეებმა მეფისგან მოითხოვეს სამართალი და ვიდრე ლიქტორები მათ აშველებდნენ, ერთ-ერთი მწყემსი უკანიდან მიეპარა ტარკვინიუს და თავი გაუპო. მეფის დაღუპვით და დედოფალ ტანაკვილის ხელშეწყობით, სამეფო ტახტზე გზა გაეხსნა სერვიუს ტულიუსს.



*ჰორაციუსთა ფიცი*
*(დავიდი, 1784 წ.)*

*სერვიუს ტულიუსი*

რომულუსის შემდგომ რომის მეფეებიდან სერვიუს ტულიუსი (ძვ.წ. 579/8-535/4 წწ.) წვლილი რომაული სახელმწიფოს ფორმირების საქმეში განუზომელია. მისი მმართველობა აღინიშნა ეტრუსკების, ქ. ცერეს და ქ. ვეის წინააღმდეგ ბრძოლებით. მათ წინააღმდეგ ომი ხანგრძლივი დარჩა და იგი დასრულდა რომაელთა წა-

რმატებით. წართმეული მიწები სერვილიუსმა რომის ახალ მოქალაქეებზე გაანაწილა. ლათინ ქალაქებთან უპირატესობის შენარჩუნებისთვის სერვილიუსმა დააწესა სამოკავშირეო დღესასწაულები და ავენტინის ბორცვზე წამოიწყო ქალღმერთ დიანას ტაძრის მშენებლობა.

რომაული ტრადიცია სერვიუს ტულიუსის სახელს უკავშირებდა რომში რეფორმების ფართო სპექტრის გატარებას, რაც სერვიუსის კანონმდებლობით, ანდა ე.წ. კონსტიტუციის სახელით არის ცნობილი. რომში რეფორმების გატარება დროის მოთხოვნა იყო. რეფორმის უმთავრესი გარემოება გახლდათ რომის მოსახლეობის სოციალური დიფერენცირება და პატრიციუსებს და პლებეებს შორის დაპირისპირების ნიველირება. საქმე იმაშია, რომ პლებეებს გამოეყო გამდიდრებული ნაწილი, რომელიც საზოგადოებაში თავის ხვედრით წილს ითხოვდა. ამის გარდა, მოსაწესრიგებელი იყო არმიის დაკომპლექტების საკითხიც. რომაული არმია თავისი არსით სახალხო იყო. ფართო დაპყრობითმა პოლიტიკამ მოითხოვა არმიაში ლეგიონერების პირადი შემადგენლობის განსაზღვრა და ა.შ.

სერვიუს ტულიუსის მხრიდან გატარებული რეფორმებიდან უმთავრესი იყო ცენტურიატული რეფორმა. მისი მიზანი იყო საგვარეულო ტრიბების ტერიტორიალურით შეცვალა. დიონისე ჰალიკარნასელის ცნობით რომის მოსახლეობა დაიყო 30 ტრიბად. მათგან იყო 4 საქალაქო და 26 სასოფლო. თითოეულ ტრიბზე ქალაქის მიღმა განისაზღვრა ტერიტორია. შესაბამისად დადგინდა, რომ მოსახლეობის ახლებური დაყოფის შედეგად ტრიბზე მიკუთვნების საფუძველი გახდა არა საგვარეულო, არამედ ტერიტორიული პრინციპი. ამ რეფორმით გაირკვა, რომ რომში ცხოვრობდა იარაღის ტარების უფლების მქონე 25 ათასი მოქალაქე. მოქალაქეებს შორის მოვალეობის თანაბარი განაწილების მიზნით სერვიუსმა პლებეები შეიყვანა რომაული თემის შემადგენლობაში.



*სერვიუს ტულიუსი (გ.რიულეს მიხედვით)*

ტულიუსის სახელს უკავშირდება რომის მოსახლეობის ქონებრივი ცენზის მიხედვით 5 თანრიგად (კლასი) დაყოფა. მხედველობაში მიღებული იქნა არა მოქალაქეთა წარმომავლობა, არამედ

მათი ქონებრივი მდგომარეობა. პირველ თანრიგს მიეკუთვნებოდა ის შეძლებული მოქალაქეები, რომელთა ქონება 100 ათას ასს (სპილენძის მონეტა - კ.ს.) და მეტს აღემატებოდა. მათვის ცენტურიების კვოტა იყო 80. ყოველი მეომარი ვალდებული იყო მისი სახსრებით შეეძინა ბრინჯაოს შლემი, მრგვალი ფარი, აბჯარი, შუბი და მახვილი. მეორეში შევიდნენ 75-100 ათასის მქონენი. მათვის გამოყოფილი იყო 20 ცენტურიების კვოტა. პირველი ტანრიგისგან განმასხვავებელი ნიშანი იყო აბჯრის არ ქონა და მრგვალის მაგივრად ამობურცული ფარის ქონა. მესამეში 50-75 ათასის მქონენი. მათი კვოტა იყო 20 ცენტურია. მეოთხეში შედიოდა 25-50 ათასის მქონე. მათი კვოტა იყო 20 ცენტურია. მეხუთეში შედიოდნენ ღარიბი მოსახლეობიდან 25 ათასის მქონენი. მათი კვოტა იყო 30 ცენტურია. ამავე კლასში შედიოდა ჯარის თამხლები მუსიკოსების და ხელოსნების ორ-ორი ცენტურიები. 11 ათასს ასსზე ნაკლების მქონე მოქალაქეები იწოდებოდნენ პროლეტარებად. მათი კვოტა იყო ერთი ცენტურია და ისინი განთავისუფლებული იყვნენ საჯარისო სამსახურისგან. არმიის ქვეითი ნაწილის გარდა, გამორჩეული ადამიანებისგან, შეიქმნა მხედრების 18 ცენტურია. მათი დაფინანსების ნაწილი, რომელშიც შედიოდა ცხენის ყიდვა მოდიოდა სახელმწიფოზე და გაუთხოვარ ქალბატონებზე, რომლებიც ვალდებული იყვნენ გადაეხადათ შესაბამისი გადასახადი.

რეფორმის შედეგად არმიაში და საზოგადოებაში ყველაზე გავლენიანი გახდნენ 1-ლი თანრიგის ცენტურიები. მათ ის პრივილეგია ჰქონდათ, რომ საკითხზე თანაბარი კენჭის ყრის შემთხვევაში, მაშინ სხვების აზრს მხედველობაში არ მიიღებდნენ. ამ თანრიგების საფუძველზე რომაული არმია დაიყო ტრიარიებად, ჰასტატოტებად და ა.შ.

სერვიუს ტულიუს უკავშირდება სამონეტო რეფორმის გატარება. მანვე პირველმა დაიწყო რომში სპილენძის მონეტის მოჭრა. არსებითად, რეფორმები, რომლებიც ტულიუსს მიეწერება მიზნად ისახავდა რომის სახელმწიფოდ ფორმირების პროცესის დასრულებისთვის საფუძვლის შექმნას.

ტულიუსის მეფობის უმეტესი დრო მშვიდობიანი იყო. მან ხალხის მხრიდან დიდი სიყვარული დაიმსახურა, რის გამოც მას „სახალხო მეფე“ შეარქვეს. იგი ცდილობდა არ გაეზიარებინა წინამორბედი მეფის ბედი, ამიტომაც ტულიუსი შეეცადა დაეახლოებინა წინამორბედი მეფის ტარკვინიუს ძველის შვილები - ლუციუსი და

არუნუსი. მაგრამ სერვიუსის უმცროსი ქალიშვილი ტულია მამის ნების წინააღმდეგ გაჰყვა ლუციუს ტარკვინიუს, შემდეგ მათ ერთობლივად მოკლეს და და მაზლიც. ამის შემდეგ ლუციუს ტარკვინიუსმა ისარგებლა იმით, რომ მოსახლეობა სასოფლო სამუშაოებით იყო დაკავებული, სენატი მოიწვია და თავი მეფედ გამოაცხადა. სერვიუსი უკვე ასაკში იყო. იგი შეეცადა განედევნა ცრუ მეფე, მაგრამ ტარკვინიუსმა იგი კვარცხლბეკიდან ჩამოაგდო, ხოლო მისმა მომხრეებმა მეფე აჩეხეს. გადმოცემით, თითქოსდა უმცროსმა ქალიშვილმა ტულიამ გარდაცვლილი მამის სხეულზე ეტლით გადაიარა.

*ტარკვინიუს ამაყი*

სერვიუს ტულიუსის მოკვლით ძალაუფლება ხელთ იგდო ლუციუს ტარკვინიუს II-მ (ძვ.წ. 535/4-509 წწ.). იგი რომის მეხუთე მეფის ტარკვინიუს ძველის ვაჟი იყო. ახალი მეფე ნამდვილი პარანოიკი იყო. მას სულ თავდასხმები ელანდებოდა და შიში აიძულებდა მუდამჟამს ჰყოლოდა ლიქტორების მცველი რაზმი. ამის გარდა, ტარკვინიუსი სპობდა სერვიუს ტულიუსის მომხრე სენატორებს. მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა უდანაშაულო ხალხის წამება. მანვე უარი განაცხადა პატივით დაეკრძალა წინამორბედი მეფე. არადა, იგი ვერ ხვდებოდა, რომ ამ ნაბიჯით მისი პრესტიჟი მნიშვნელოვნად დაეცა.



*ტარკვინიუს ამაყი*
*(გ.რიულეს მიხედვით)*

ახალმა მეფემ სენატს იგნორირება გაუკეთა. მისი მეფობის დროს სენატორთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. მეფე სენატორთა რჩევის გარეშე წყვეტდა და იწყებდა ომს, თვითნებურად დებდა და არღვევდა ხელშეკრულებებს. არსებითად, სენატის ფუნქცია შეითავსა მეფის გარემოცვამ. ტარკვინიუსი ყველგან და ყველაფერში ქედმაღალი იყო. ხალხის და სენატის ნებას მხედველობაში არ იღებდა და მეზობელ ტომებში ეძებდა დასაყრდენ ძალას. ამისათვის მან ქალიშვილი მიათხოვა ქ. ტუსკულის მეფეს.

მთავარსარდალის რანგში ტარკვინიუსი თითქოს ურიგო არ იყო. იგი ეწეოდა ფართო ექსპანსიურ პოლიტიკას. მან რამოდენიმე წარმატებული ბრძოლები აწარმოა და დიდი ნადავლი ჩაიგდო. დაამარცხა ვოლსკები, მზაკვრობით შეეცადა ქ. გაბოიას ჩაგდებას,

მაგრამ ვერ მოახერხა, განამტკიცა რომის პოზიციები ლათინურ კავშირში და ა.შ. მის დროს რომაული არმია ძირითადში მოქირავნეებით კომპლექტებოდა.

ომებში მოპოვებული სიმდიდრით ტარკვინიუსმა რომში წამოიწყო ფართო მშენებლობები. პირველ რიგში მან დაასრულა კაპიტოლიუმზე იუპიტერის ტაძრის მშენებლობა. პარალელურად, მშენებლობები მიმდინარეობდა ცირკის გარშემო. დასრულდა საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. მანვე დაანგრია ფორუმის ზემოთ, ტარპის კლდე აღმართული საბინელთა საკურთხეველი და ა.შ.

ფართო მშენებლობებმა მაინც არ ჩაახშო მეფის გულში უაზრო წინათგრძნობები. მაგ., როდესაც მის სასახლეში შემთხვევით გველი აღმოაჩინეს, მან ელადაში, დელფოს სამისნოში წარმომადგენლები გაგზავნა. თანდათან, მეფის ტირანიამ და მისი შვილების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ, მათ მიმართ რომაული საზოგადოება უარყოფითად განაწყო. ყოველივეს დაემატა სექსტუს ტარკვინიუსის მიერ ნათესავის ტარკვინიუს კოლატინის მეუღლის ლუკრეციას გაუპატიურება.



*კოლატინუსი*
*(გ.რიულეს მიხედვით)*

ტრადიციის მიხედვით, რომაელები იმ მომენტში რუტულების ქ.არდეუმთან ომობდენ. სამხედრო ბანაკში მყოფ რომაელებში ჩამოვარდა ღირსეული ცოლის თაობაზე საუბარი, სადაც კოლატინუსმა (ძვ.წ. ?-509 წწ.) ყველა დაარწმუნდა, რომ მისი ცოლი ლუკრეცია გამორჩეული ქალი იყო. მართლაც, რომში ჩასულებმა დაინახეს, რომ ცოლების „შეჯიბრში" ლუკრეციამ ყველას აჯობა. იგი სახლში იმყოფებოდა და შალს რთავდა. ლუკრეცია მოეწონა სექსტუს ტარკვინიუსს, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ მასზე იძალადა. მომხდარი ფაქტი ლუკრეციამ გაანდო მეუღლეს - კოლანტინუსს და მამას, თან ისინი დააფიცა, რომ შური ეძიათ და თავი მოიკლა. თვითმკვლელობის ფაქტმა ლუციუს იუნიუს ბრუტუსზე (ძვ.წ. ?-509 წწ.) ზეგავლენა იქონია. იგი ლუკრეციას ნათესავად ეკუთვნოდა. ბრუტუსმა პუბლიუს ვალერიუს პუბლიკოლასთან (ძვ.წ. ?-503 წწ.) ერთად ფორუმში შეიტანეს გარდაცვლილი ლუკრეციას ცხედარი და



*ბრუტუსი*
*(მონეტა)*

თანამოქალაქეებს მოუწოდეს დაემხოთ მეფის მმართველობა. ლუციუს ტარკვინუსი ამ ამბის შეტყობისთანავე ჯარითურთ რომისკენ დაიძრა, მაგრამ რომაელებმა მას კარიბჭე არ გაუღეს. ჯარის იმედი მეფეს უკვე აღარ ჰქონდა და ამიტომ ოჯახთან ერთად იგი ეტრურიაში გაიქცა. იქ მას იმედი ჰქონდა, რომ ეტრუსკი და ლათინი მეფეები დაეხმარებოდნენ, მაგრამ ძვ.წ. 496 წელს რეგილუსის ტბასთან რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს ლათინთა ჯარი. ბრძოლაში დაიღუპა ტარკვინიუსის ყველა შვილი. დამარცხებულმა ტარკვინიუსმა თავი ქ. კუმეს შეაფარა, სადაც მომდევნო წელს კიდეც გარდაიცვადა.

ასეთია რომის მეფეების შესახებ არსებული საისტორიო ტრადიცია. მკითხველი შეამჩნევს მასში ბევრია ზღაპრული მომენტები. ამჯერად ჩვენი მიზანი არ წარმოადგენს ამ ტრადიციის მომხრეთა და სკეპტიკოსთა აზრის გაანალიზება. უბრალოდ დავსძენთ, რომ არსებული ტრადიციის რიგი ისტორიული მოვლენები ლეგენდარულ სამოსშია გახვეული.

## თავი IV
## რომაულ-იტალიკური კავშირი

*რომაული ომები ძვ.წ. V-IV სს.*

რომაული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას თან სდევდა მისი მოსახლეობის და ტერიტორიის ზრდა. ერთდროულად ომები მიდიოდა საბინებთან, ვოლსკებთან, ლათინებთან და ეტრუსკებთან. უკანასკნელი მეფეების ჟამს რომაელებმა ვოლსკებს წაართვეს მიწების ნაწილი, რითაც დამკვიდრდნენ ლაციუმის სამხრეთ ნაწილში, სადაც დაარსეს კოლონია საგნიუმი და საპორტო ქ. ცირცე. იმავდროულად რომაელებმა კონტროლს დაუქვემდებარეს მდ. ტიბრის შესართავიც. მართალია წარუმატებლად დასრულდა მდინარის მარჯვენა სანაპიროს დაუფლების ცდები, მაგრამ რაც მთავარია, რომაელებმა მოახერხეს მასზე ხიდის გადება. ასე წარმოიქმნა თავდაპირველი რომაული ტერიტორია, რომელიც ტრადიციის თანახმად სერვიუს ტულიუსის მიერ დაყოფილი იყო ტერიტორიალურ ტრიბებად.




*იტალია V-IV სს.*

რომის მიერ ტერიტორიების დაპყრობა ძირითადში მიმდინარეობდა სამხედრო-სამიწათმოქმედო ხასიათის კოლონიების დაარსებით, რომლებიც ფორფოსტი იყო ახალი დაპყრობებისთვის. კოლონიების დაარსება ხდებოდა სახალხო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც განსაზღვრავდა მის ადგილს და კოლონისტთა რაოდენობას. კოლონიის ორგანიზაციისთვის იქმნებოდა სამკაციანი კომისია, რომელიც მას სახელს არქმევდა, აწარმოებდა მასზე კონტროლს და სხვა საქმიანობებს.

თავდაპირველად რომი იყო ლაციუმის ორდინალური ქალაქი და შედიოდა 30 ლათინ ქალაქთა კავშირში (ფედერაციაში). მეფეთა ხანის დასასრულს მათ შესძლეს ლაციუმში წამყვანი მდგომარეობის დაკავება. რომის ტერიტორიული ზრდა და ფართო ექსპანსიური პოლიტიკა, თავის მხრივ, იწვევდა ლათინთა უკმაყოფილებას. ძვ.წ. VI ს. მოწურულიდან რომსა და მეზობელ მხარეებს შორის ვითარება მკვეთრად დაიძაბა. ტარკვინიუს ამაყის განდევნამ გააქტიურა რომის წინააღმდეგ ეტრუსკთა თავდასხმები. ტარკვინიუსს მაშინ მხარი დაუჭირა ქ. კლუზიას მეფე პორსენამ (ძვ.წ. VI ს.),

რომელმაც რომის პლებსის მხარდაჭერის იმედათ ქალაქს ალყა შემოარტყა. რომაულ ლეგენდებში ასახულია ამ ფაქტთან დაკავშირებით პატრიოტთა გმირული ბრძოლის მთელი ეპოპეა. სინამდვილეში კამპანელი ბერძნების მეოხებით რომმა ძვ.წ. 508/7 წელს დაამარცხეს პორსენა.

საერთო მოწინააღმდეგის მხრიდან თავდასხმების საშიშროების მოშორების შემდეგ გაუარესდა რომაელთა ურთიერთობა ლათინებთან, რაც ძვ.წ. 499(?496)-493 წლებში გადაიზარდა ე.წ. „I ლათინურ ომში“. იგი რამდენიმე წელს გაგრძელდა და რომისთვის არასასურველი პირობებით დასრულდა. რომმა დაკარგა ლიდერის როლი და იგი იძულებული გახდა კვლავ შესულიყო ლათინთა კავშირში ოღონდ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით. აუცილებელ პირობად რჩებოდა მხოლოდ სამხედრო ურთიერთდახმარება და ნადავლის თანაბარად განაწილება.

იმჟამად ლათინები შეადგენდნენ რვა ქალაქის ფედერაციას, რომელიც პორსენასთან ბრძოლის პერიოდში აღმოცენდა. კავშირის სათავეში არჩევით იდგა დიქტატორი. მოკავშირეთა შეკრების ადგილი იყო ქ. არიცია, საიდანაც წარმოსდგა არიციის ფედერაციის სახელწოდება. აქტიურ როლს მასში ასრულებდა ქ. ტუსკულიც. უნდა ითქვას, რომ იმ მომენტისთვის რომაელების მხრიდან მშვიდობა ლათინებთან კავშირი განპირობებული იყო ვოლსკების, ჰერნიკების და აქვების მხრიდან მოსალოდნელი საშიშროებით. ამის გარდა, რომაელთა და ლათინთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდნენ საბინებიც. არიციის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლა აისახა ლეგენდებში. ერთ-ერთი მათგანი ეხება ლუციუს ცინცინატს (ძვ.წ. 519-439 წწ.). მისთვის რთულ ვითარებაში, ძვ.წ. 458 წელს, სენატმა ცინცინატი დიქტატორად აირჩია. ეს მისი პირველი დიქტატორობა იყო. აღნიშნული ცნობა ციცინატმა სამიწათმოქმედო საქმიანობის დროს გაიგო, მას დაევალა ექვებთან და საბინებთან მიმდინარე ომების წარმოება, რაც მთავარსარდალმა წარმატებით დაასრულა.



*მეფე პორსენა (გ.რუილეს მიხედვით)*

ძვ.წ. V ს. რომაელებს დაპირისპირებები ჰქონდათ ეტრუსკულ ქ. ვეის და კიდევ უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან მის მოკავ-

შირე ფიდენეს სახით. რომაელები მიისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ ვეიელთა მდიდარი მხარე და კონტროლ ქვეშ მოექციათ მდ. ტიბრის ქვემო წელის ორივე სანაპირო, საიდანაც გაჰქონდათ მარილი. აღნიშნული ტერიტორიის დასაპყრობათ რომაელებს რამდენიმე საომარი კამპანიის გადახდა დასჭირდათ და მხოლოდ მესამე ომის (ძვ.წ. 406-396 წწ.) წყალობით მოახერხეს მათი დამარცხება. კონსულმა მარკუს კამილუსმა ვეის გალავნის ქვეშ გვირაბი გათხარა, იგი დაანგრია და ამით ქალაქი აიღო. რომაელებმა ვეი პირწმინდად გაძარცვეს და დაანგრიეს. ვეის მხარე შეურთდა რომაულ სამფლობელოს და ამით მდ. ტიბრს გადაღმა დამატებით შეიქმნა კიდევ ოთხი ტრიბი.

*გალების შემოსევა*

ძვ.წ. IV ს-ში აპენინის ნახევარკუნძულზე დროებით შეჩერდა რომაული ექსპანსიის წინსვლა. საქმე იმაშია, რომ რომაელები გახდნენ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი გალების, იგივე კელტების თავდასხმის ობიექტი. ძვ.წ. VI ს-ში კელტ ტომთა ნაწილმა - სენონებმა, ბოიებმა, ინსუბრებმა და სხვებმა დატოვეს დუნაისპირეთი და გამოჩნდნენ აპენინის ჩრდილოეთ ნაწილში. ალპების გადასასვლელები, საიდანაც აპენინიდან კელტებთან სავაჭრო საქონელი შედიოდა, ძვ.წ. V ს., იგივე მარშუტზე ნახევარკუნძულზე მოდიოდნენ მათი შეიარაღებული რაზმები. კელტების პირველი ტალღა დაიძრა აღმ. საფრანგეთიდან, სამხ. გერმანიიდან და შვეიცარიიდან. თანდათან, კელტებმა მოახერხეს ეტრუსკებით და ლიგურებით დასახლებული რიგი ოლქების დაპყრობა და მდ. პოს ველზე დამკვიდრება. მდინარის ხეობის ცენტრალურ ნაწილში დასახლდნენ ინსუბრები, სადაც მათ დაანგრიეს ეტრუსკული ქ. მელპუმი და შემდგომში დააარსეს თავიანთი ქ. მედიოლანი (მილანი). ინსუბრების ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან სახლობდნენ ბოიები და მათგან სამხრეთით აპე-



*კელტების განსახლების არეალი (ძვ.წ. 1500-400 წწ.)*

ნინამდე ლინგონები. ადრიატიკის ზღვის სანაპიროსკენ, უმბრიაში, დამკვიდრნენ სენონები. ამიერიდან მდ. პოს ხეობა რომაულ აზროვნებაში მოიაზრებოდა ციზალპიურ გალიად.

ძვ.წ. V-IV სს., სპარსელების და სკვითების მსგავსად, კელტები მაშინდელ სამყაროში მიიჩნეოდნენ ბარბაროსს ხალხად. კელტი ბერძნული სახელია და ყოფილიყო თავდაპირველად იგი იყო რომელიმე ტომის, ანდა შესაძლოა მმართველი გვარის სახელწოდება. მოგვიანებით კელტი გახდა მეომარ ბარბაროს ტომთა სახელი. რაც შეეხება რომაელებს, რადგან კელტების ერთ-ერთი ტომი თავიანთ მუზარადს მამლის ფრთებით რთავდნენ, ამიტომაც მათ „გალებად“ მოიხსენიებდნენ. რომაული სახელწოდება გალი, ძირითადში იხმარებოდა მასალიის (მარსელი) ჩრდილოეთით, ოკეანის და ჰერკინების მთებთან (ტყის მასივი გერმანიაში. გადაჭიმული მდ. რაინიდან კარპატების მთებამდე. რომაული მეტრით მისი განფენილობა იზომებოდა 60 დღიანი მარშით) მცხოვრებ ტომების მიმართ. შესაბამისად, მათ ტერიტორიას დაერქვა - „გალია“.



*კელტი მეომარი*

კელტები ევროპის ხალხებს შორის გამოირჩეოდნენ ბრძოლისუნარიანობით. ისინი შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდგეს. დიოდორე სიცილიელის ცნობით, მოწინააღმდეგის მოკვლის შემთხვევაში „კელტი მეომარი მას კვეთდა თავს, რომელიც ცხენის კისრზე შებმული მიჰქონდა სახლში, სადაც ინახავდნენ კედრის ზეთში“. ამ ჩვეულებას ის ახსნა აქვს, რომ კელტებისთვის თავი იყო, როგორც სულების საცხოვრისი. შესაბამისად, მოწინააღმდეგისთვის თავის მოკვეთის შემთხვევაში, სული და სხეული განცალკავდებოდა და სიცოცხლეც მთავრდებოდა. ამის გარდა, მოკვეთილ თავს ჰქონდა ნადავლის ფუნქცია და რჩებოდა კულტის ნაწილად.

ძვ.წ. IV ს. გალები დაიძრნენ სამხრეთით ეტრურიაში. მოახლოებულმა საფრთხემ შეაკავშირა ეტრუსკები და რომაელები. ძვ.წ. 390 წელს მდ. ტიბრის შენაკადთან რომაელებსა და გალებს შორის გაიმართა ბრძოლა, რომელიც „მგლის ნაშიერთა“ მარცხით დასრულდა. გალები დაიძრნენ რომისაკენ და მათ იგი აიღეს, მაგრამ დაუძლეველი რჩებოდა მხოლოდ კაპიტოლიუმი. რომაული

ტრადიციით, რომისთვის ამ რთულ ვითარებაში კაპიტოლიუმი ბატებმა გადაარჩინეს.

რომიდან გალების წასვლას ლათინი და ბერძენი მწერლები სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ. ლივიუსის ცნობით რომაელები გადაარჩინა ქ. ვეის დამანგრეველმა მარკუს ფურიუს კამილუსმა (ძვ.წ. 447-365 წწ.). ბერძნული ვერსიით კი რომაელებმა თავისუფლება იყიდეს. ლეგენდის თანახმად, რომაელებს შეუმჩნევიათ გალთა სასწორის უზუსტობა და უკმაყოფილება გამოუთქვამთ, მაშინ გალთა მეთაურ ბრენუსს (ძვ.წ. IV ს.) სასწორზე მახვილი დაუდვია და წამოუძახია: „vie victis“ („ვაი დამარცხებულთ“).

გალთა თარეშმა რომი დაასუსტა. ამით ისარგებლეს ვოლსკებმა, ექვებმა და ეტრუსკებმა და ქალაქს თავს დაესხნენ. თავდამსხმელებს მხარი დაუჭირა ლათინებმა და ჰერნიკებმა, რითაც ფაქტობრივად რომაულ-ლათინური კავშირი დაიშალა. რომთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნა მხოლოდ ქ. ტუსკულმა, რისთვისაც ტუსკულანელებს მოგვიანებით რომის მოქალაქეობა მიენიჭათ, ოღონდ კომიციებში ხმის მიცემის უფლების გარეშე.



*კამილუსი*
*(გ.რუილეს მიხედვით)*

მთელი ძვ.წ. IV ს. მანძილზე გალთა მხრიდან რომაელებზე და იტალიაში მცხოვრებ სხვა ხალხებზე არაერთხელ ჩამოვარდნილა თავდასხმის საშიშროება, რამაც ძვ.წ. 358 წელს კვლავ გამოიწვია რომაულ-ლათინური კავშირის შექმნა. მას შეუერთდნენ შუა იტალიაში მცხოვრები სხვა ტომებიც. სწორედ ამ კოალიციის მეშვეობით რომმა შესძლო სიძნელეების დაძლევა და ეტრუსკების და ვოლსკების შევიწროება.

თანდათან მაღლდებოდა რომაელთა საერთაშორისო პრესტიჟიც, რაც გამოიხატა სხვა ტომობრივ კავშირებთან და ქალაქებთან სამეგობრო ხელშეკრულების გაფორმებაში. უკვე რომაულ-ლათინური კავშირი არ იყო ერთადერთი ფედერაცია იტალიაში. შუა იტალიის მთიან ნაწილში შეიქმნა სამნიტ ტომთა კავშირი, რომლებთანაც ძვ.წ. 354 წელს რომაელებმა დადეს სამეგობრო ხელშეკრულება. ამას მოჰყვა მეგობრული კავშირების დამყარება ეტრურიის რიგ ქალაქებთან და პირველ რიგში ცერესთან. ძვ.წ. 348 წელს დაიდო მეორე სავაჭრო ხელშეკრულება კართაგენთან. ასე

რომ, ძვ.წ. IV ს. შუა ხანებიდან რომი აპენინის ნახევარკუნძულზე ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა.

*ომები სამნიტებთან და ლათინებთან*

ლაციუმის სამხრეთ ნაწილში დამკვიდრებით რომი გაუმეზობლდა კამპანიას. ეს უკანასკნელი ეთნიკური და პოლიტიკური ურთიერთობის მხრივ არ წარმოადგენდა მთლიანს. ძვ.წ. IV ს. შუა ხანებში კამპანიაზე გაძლიერდა მთიელ სამნიტების თავდასხმები. იმჟამად სამნიტებსაც თავიანთი ფედერაცია ჰქონდათ. თვით კამპანიის დასავლეთი ნაყოფიერი ნაწილი რომაელთა ყურადღების ქვეშ მოექცა და მათთაც არ გაუშვეს შემთხვევა ჩარეულიყვნენ მის საშინაო საქმეში. ძვ.წ. 343 წელს სამნიტები თავს დაესხნენ ეტრუსკთა ყოფილ კოლონია ქ. კაპუას. უკანასკნელებმა დახმარება რომაელებს სთხოვეს.

სენატი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კონფლიქტში პირდაპირი ჩარევა არღვევდა ძვ.წ. 354 წლის რომი-სამნიტების შეთანხმებას. არადა, მდიდარი კამპანიური ქალაქები აშკარად მსუყე ლუკმა იყო, ამიტომაც გამოსავალი მალევე გამოინახა. კაპუელებს მიენიჭათ თვითმართველობის შენარჩუნებით რომის მოქალაქეობა, რითაც სენატს მიეცა „კანონიერი“ საფუძველი გამოქომაგებოდნენ. რომაელებმა სამნიტებთან გაგზავნეს წარმომადგენლები, მაგრამ უკანასკნელები კვლავ აგრძელებდნენ კამპანიის აოხრებას, რაც ომს ნიშნავდა. ძვ.წ. 343-341 წლებში მიმდინარეობდა ე.წ. „I სამნიტური ომი“. ამ ომის მსვლელობის შესახებ რეალური სურათი არ გვაქვს. მართალია ლივიუსი აღწერდა მინიმუმ სამ შეტაკებას, მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობას ეჭვი შეაქვთ მათ რეალობაში. ერთი რამ უდავოა, რომ ძვ.წ. 342 წელს მარკუს ვალერიუს კორვუსის (ძვ.წ. IV ს.) წყალობით რომაელებმა სამნიტებს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს, რამაც არსებითად გადაწყვიტა ომის ბედი. საზავო ხელშეკრულებით „I სამნიტური ომი“ რომაელთა გამარჯვებით და კამპანია-კაპუას დაპყრობით დასრულდა.



*სამნიტი მეომრები (ფრესკა - IV ს.)*

რომის გაძლიერებამ კამპანიელების და ლათინების შეშფოთება გამოიწვია. არიციის ფედერაციაში შემავალი ლათინ ქალაქთა ზედა ფენა რომში გამოვიდა მოთხოვნით, რომ ერთი კონსული და სენატის ნახევარი ლათინთაგან ყოფილიყო არჩეული. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობამ ძვ.წ. 340-338 წლებში გამოიწვია ე.წ. „II ლათინური ომი“. ამჯერად რომის წინააღმდეგ დიდი კოალიცია აღიმართა, რომელშიც ლათინთა გარდა შევიდნენ ავრუნკები და ვოლსკები. ქ. სვესასთან გამართულ ბრძოლაში ლათინები და მათი მოკავშირეები დამარცხდნენ. უნდა ითქვას, რომ რომაული ჯარების გამარჯვებას ჰქონდა ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის შორს მიმავალი შედეგები. კამპანიები და ვოლსკები იძულებული გახდნენ რომისთვის დაეთმოთ თავიანთი ტერიტორიის დიდი ნაწილი. დაიშალა არიციის ფედერაცია, რომელიც შეიცვალა რომზე დამოკიდებული ცალკეული ქალაქების კავშირით.

დაპყრობილ ქალაქების მიმართ რომაელთა სამოკავშირეო ხელშეკრულების პირობები სხვადასხვა იყო. ქალაქების ნაწილს მიეცათ რომის მოქალაქეობა (ტუსკული, ლანუვიუმი...). სხვა ლათინი ქალაქები მართალია გაათანაბრეს რომაელებთან, მაგრამ მათ მიიღეს ვაჭრობის, კერძო საკუთრების შექმნის და რომაელებთან ქორწინების უფლება, ოღონდ სახალხო კრების და ხმის მიცემის უფლების გარეშე. მხოლოდ ორმა ქალაქმა - პრენესტმა და ტიბურმა შეინარჩუნეს მოკავშირის სტატუსი. პოლიტიკური მდგომარეობა რომელიც აპენინის ნახევარკუნძულზე მეორე ლათინური ომის შემდეგ ჩამოყალიბდა იყო რომაული საგარეო პოლიტიკის „გათიშე და იბატონე“-ს გამოვლინება.

კაპუას დაუფლებით რომაელებს გზა გაეხსნათ ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილისკენ. აქ ისინი ჩაერივნენ ნეაპოლის საშინაო საქმეში, რასაც ძვ.წ. 327-304 წლებში მოჰყვა მეორე სამნიტური ომი. ნეაპოლის მმართველი ფენის ღალატის წყალობით რომაელები ქალაქს დაეუფლნენ. შემდეგ, ისინი შეეცადნენ გასულიყვნენ მთიან სამნიუმში, მაგრამ ძვ.წ. 321 წელს კავდინის ველზე სასტიკად დამარცხდნენ. გამარჯვებულებმა დაამცირეს „მგლის ნაშიერები“ და ისინი აიძულეს გადაჯვარედინებული შუბების ქვეშ გაევლოთ. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ისიც არმიის საფუძვლიანი რეორგანიზაციიი წყალობით, რომაელებმა მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება. რეფორმის შედეგად, რომაელებმა

ლეგიონი დაჰყვეს წვრილ ერთეულად - 30 მანიპულად. ყოველი მანიპული იყოფოდა ორ ცენტურიად. არმიის წვრილი ერთეულებით შესაძლებელი გახდა სამნიუმის მთიან რეგიონში ბრძოლების წარმოება. საბრძოლო განწყობაზე ასევე დადებითად იმოქმედა ძვ.წ. 312 წლის ცენზორის აპიუს კლავდიუს ცეკუსის (ძვ.წ. IV ს.) მხრიდან განხორციელებულმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმაც.

ძვ.წ. IV ს. დასასრულისთვის რომაელების უპირატესობა ნახევარკუნძულზე აშკარად გამოიკვეთა. ძვ.წ. 304 წელს სამნიტები იძულებული გახდნენ რომაელებისთვის ზავი ეთხოვათ. ომის წყალობით რომაული გავლენის სფეროში მოექცა ნეაპოლი მიმდებარე და ფუცინის ტბის გარშემო მცხოვრები საბინელების ტერიტორიებიც.

მალე, რომს ახალი საშიშროება დაემუქრა. ძვ.წ. 299 წელს ჩრდ. იტალიიდან ეტრურიის გავლით დაიძრნენ ციზალპიელი გალები. კლუზიასთან გალებმა კვლავ დაამარცხეს რომაელები. გალებს მიემხრნენ ეტრუსკები და სხვა იტალიკი ტომებიც. რომაელთა მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს სამნიტებმა და ლუკანიაში თავიანთი პოზიცია განიმტკიცეს. რომი-სამნიტების დაპირისპირება ძვ.წ. 298-296/5 წლებში გადაიზარდა მესამე სამნიტურ ომში. ომის გამოცხადების მიუხედავად, სამნიუმში არავითარი სერიოზული სამხედრო მოქმედება არ მიმდინარეობდა. შედარებით რთული მდგომარეობა იყო ჩრდილოეთში, საიდანაც გალები უმბრიის გავლით რომისაკენ დაიძრნენ. თავდაპირველად ანტირომაულ არმიას ჰქონდა გარკვეული წარმატებები, მაგრამ ძვ.წ. 296/5 წელს სენტინთან (უმბრია) გამართულ ბრძოლაში რომაელებმა შესძლეს მათვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება. გალებმა ჩრდილოეთით დაიხიეს, ხოლო ეტრუსკები იძულებული გახდნენ რომთან ზავი დაედოთ. მესამე სამნიტური ომის შედეგად სამნიტთა ფედერაციამ შეწყვიტა არსებობა და მათი თემები კაბალური პირობებით შეუერთდნენ რომს. ამიერიდან რომი უკვე მყარად დამკვიდრდა ცენტრალურ იტალიაში.

ძვ.წ. 285 წელს გალები კვლავ შეიჭრნენ ეტრურიაში და ქ. არიცია ალყაში მოაქციეს. არციელებმა დახმარება რომაელებს სთხოვეს, მათაც არ დააყოვნეს და თავიანთი ლეგიონერები გაგზავნეს, თუმცა მარცხი იწვნიეს. მაშინ რომაელებმა ახალი არმია დასძრეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, გალებით და სენონებით დასახლებულ მხარეს და ბრძოლებით დაეუფლნენ მას. ამიერიდან

ადრიატიკის სანაპიროზე, ე.წ. გალთა მიწაზე წარმოიშვა რომაული კოლონია - გალური სენა. ძვ.წ. 283 წელს ვადიმონის ტბასთან მიმდინარე ბრძოლაში რომაელებმა კვლავ იზეიმეს მეორე გამარჯვება. არსებითად, ამ გამარჯვებებით რომაელებმა გაამყარეს თავიანთი პოზიციები ეტრურიაში, უმბრიასა და პიცენაში.

*ომი პიროსთან*

შუა იტალიის დაპყრობით რომი გაუმეზობლდა აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარე ბერძნულ პოლისებს, ე.წ. „დიდ საბერძნეთს“. ძვ.წ. III ს. ეს ქალაქები განიცდიდნენ აპულების, ლუკანების, ბრუტიელთა და სხვა ტომთა თავდასხმებს. ყოველივეს დაემატა ბერძნულ ქალაქებს შორის არსებული უთანხმოებები და კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავებაც. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქ. ფურია. მათ არ ეყოთ ძალა ლუკანების მხრიდან თავდასხმების შესაკავებლად და რომაელებს დახმარებისთვის მიმართეს. უკანასკნელებმაც არ დააყოვნეს და იქ ლეგიონები გაგზავნეს. რომაელებმა მოიგერიეს ლუკანების შემოსევა და ქალაქშიც თავისი გარნიზონი ჩააყენეს. ამ მომენტიდან ფურია რომაელების პლაცდარმი იქცა ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მათი ბატონობის გასავრცელებლად.




*დიდი საბერძნეთი*

ძვ.წ. 282 წელს, მეზობელ ქალაქებთან ბრძოლაში, ფურიელებმა რომაელებს დახმარება სთხოვეს. რომაელთა მხრიდან პასუხმაც არ დააყოვნა. თვლიდნენ რა ისინი თავს რეგიონის პატრონად, რომაული ფლოტი ტარენტუმის ყურეში შევიდა. ამით დაირღვა რომსა და ტარენტუმს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც კრძალავდა ნავსადგურში რომაული ფლოტის შესვლას. შეთანხმების დარღვევა რომაელებს ძვირად დაუჯდათ. ტარენტუმელებმა მათი ხომალდების ნაწილი ჩაძირეს, დანარჩენები განდევნეს, ხოლო შემდეგ ფურიიდანაც გააძევეს რომაული გარნიზონი. ტარენტუმელების ქმედება რომაელებმა გააპროტესტეს, კიდეც

გაგზავნეს ელჩებიც, მაგრამ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. ფაქტობრივად, შექმნილი ვითარებით ტარენტუმსა და რომს შორის ომი გარდაუვალი გახდა.

„დიდ საბერძნეთს“ თავისი არმის არ ჰყავდა. მათი ძალა მოქირავნეებზე იყო დამოკიდებული. ასეთ ვითარებაში ტარენტუმა დასახმარებლად მოიხმეს ეპიროსის მეფე პიროსი (ძვ.წ. 319/8-272 წწ.), რომელიც დედის ხაზით ენათესავებოდა ლეგენდარულ ალექსანდრე მაკედონელს (ძვ.წ. 336-323 წწ.). სხვა ელინისტური მონარქების მსგავსად პიროსიც მეორე ალექსანდრეობას ელტვოდა და ოცნებობდა აპენინის ნახევარკუნძულის, სიცილიის, კართაგენის და სხვა ტერიტორიების დაპყრობას, ამიტომაც ტარენტუმელთა წინადადება მან უყოყმანოდ მიიღო.

ძვ.წ. IV ს-მდე ეპიროსი და იქ მცხოვრები ხალხები (მილოსები, ვესპროტები და ხაონიტები) ისტორიაში არავითარ მიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ. ძვ.წ. IV ს. იქ იქმნება ჯერ ე.წ. „მილოსთა კავშირი“, შემდეგ კი „ეპიროტების სამარია“, რომლის სათავეში პირიდების დინასტია იდგა. პირიდების დინასტიიდან ისტორიაში დიდი პოლიტიკური როლი მხოლოდ ერთმა - პიროსმა შეასრულა, რომელიც ოცი წლის მანძილზე აზანზარებდა საბერძნეთს და დასავლეთს. იგი ერთადერთი იყო ვინც ალექსანდრე მაკედონელთან შედარების ღირსი იყო (აპიანე). მისი მეოხებით, ეპიროსი გამოვიდა ბარბაროსობის სტადიიდან. ამის გარდა, გარკვეული დროით ყველას მიაჩნდა, რომ პიროსი იყო ის პიროვნება, რომელსაც შეეძლო დასავლეთი ეხსნა რომაელთა ბატონობისაგან.



*პიროსი*

პიროსი და ქ. ტარენტუმი ერთმანეთთან სამოკავშირო ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებული. ძვ.წ. 286 წელს, როდესაც პიროსი კერკირას ალყით იყო დაკავებული, მას დახმარებას ტარენტის ფლოტი უწევდა. ტარენტუმელების დახმარების წინადადება პიროსმა ენთუზიაზმით მიიღო. რომთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში მას დაეკისრა „მგლის ნაშიერებთან“ მოლაპარაკება და სამოკავშირეო არმიის სტრატეგოსობა. სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებს აზრი, რომ თითქოსდა პიროსის გეგმებში არ შე-

დიოდა რომის დასუსტება და მათთან მოლაპარაკებით, ყოველგვარი ჩავარდნის გარეშე, ცდილობდა მთელი ენერგიით დასავლეთში შეექმნა დიდი ბერძნული იმპერია. არსებითად, ის რაც ნაწილობრივ გამოუვიდათ მის სიმამრს - სირაკუზის ტირან აგათოკლეს (ბერძ. Ἀγαθοκλῆς, ძვ.წ. 361-289 წწ.), იგი დაასრულებდა. ძვ.წ. 280 წელს, 22 ათასი ქვეითით, 3 ათასი მხედრით და 20 სპილოსაგან შემდგარი არმადით პიროსმა გადალახა ადრიატიკის ზღვა და აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდა.

უნდა ითქვას, რომ რომთან მომავალი ომის საკითხი ტარენტუმში ვნებათა ღელვის საგნად იქცა. არისტოკრატიული პარტია პრორომაულ, ხოლო დემოკრატები ანტირომაულ პოზიციებს ამჟღავნებდნენ. ადგილზე ჩასვლისთანავე პიროსმა ამ უთანხმოებებს წერტილი დაუსვა. ქალაქში მან სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა და დაიწყო არმიაში ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო გაწვევა. პარალელურად, ოპოზიციონერ ოლიგარქების სახლებში მეფემ ჩაასახლა მასთან დაახლოებული პირები. ჩანს, პიროსის პოლიტიკამ ტარენტუმის ელიტის უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებმაც ქალაქი დატოვეს. ნათელი იყო, რომ პიროსი ტარენტუმში მოქმედებდა, როგორც განუსაზღვრელი უფლებების მქონე სტრატეგოს-ავტოკრატორი. მან მოახერხა სამნიტების, ლუკანების, ბრუტების, აპულიელების და სხვა ტომების გადაბირება. იტალიკი ტომები მისი ერთგული მოკავშირეები გახდნენ და ისინი პიროსის არმიის დაახლ. 50-70% შეადგენდნენ.



*პიროსის რომაული კამპანია*

პირველი შეტაკება რომაელებთან გაიმართა ძვ.წ. 280 წელს ტარენტუმის უბის მახლობლად ქ. ჰერაკლიასთან. პიროსის წინააღმდეგ რომაელებმა გაგზავნეს დაახლ. 50 ათასიანი არმია კონსულ პუბლიუს ვალერიუს ლევინიუსის (ძვ.წ. III ს.) მეთაურობით. პიროსს დროშის ქვეშ ჰყავდა დაახლ. 36 ათასიანი არმია და 20 საბრძოლო სპილო. მეფემ არმია ქ. ჰერაკლიას წინ, მცირე ზომის მდ. სირისთან, მისთვის მოსახერხებელ გაშლილ ველზე განალაგა, სადაც შესაძლებელი იყო ფალანგების და სპილოების უპირატესობის გამოყენება. შეტევა რომაელებმა დაიწყეს. მათ მოახდინეს მდინარის ფორსირება და შესვენების გარეშე განაგრძეს ბრძოლა.

ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა ბრძოლა. ბოლოს, კავალერიის და სპილოებით წყალობით, პიროსმა მოახერხა ლეგიონერების შევიწროება. დეზორგანიზებულმა რომაელებმა თავი ბანაკს შეაფარეს, რომლის შტურმი პიროსმა ვერ გაბედა. ბრძოლის ველზე ესვენა 7 ათასი რომაელი და 4 ათასი პიროსის ჯარისკაცი.

რომაელებთან პირველი გამარჯვების ფასი იმდენად დიდი იყო, რომ ერთბაშად ყველა ბერძნული ქალაქი, ლუკანები და სამნიტები გადავიდნენ ეპიროსის მეფის მხარეზე. ასეთ ვითარებაში პიროსმა მიზანშეწონილად ჩათვალა სამნიუმის და კამპანიის გავლით წასულიყო ლაციუმისკენ, მაგრამ იქ მისი წინსვა შეაფერხა ლათინების და რომაელების კოალიციამ. კოალიციაზე დაპირისპირება და რომზე იერიში პიროსმა ვერ გაბედა, ამიტომაც იგი გამოსაზამთრებლად ტარენტუმში დაბრუნდა და შეეცადა რომაელებთან სამშვიდობო ზავი დაედო. აღნიშნული მისია დაეკისრა ორატორ კინეიუსს (ძვ.წ. III ს.), მაგრამ რომაელთა უცილობელი პირობა იყო პიროსის მხრივ ნახევარკუნძულის დატოვების მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში მოლაპარაკება ჩიხში შევიდა.




*ბრძოლა ჰერაკლეასთან – 1 ეტაპი*




*– 2 ეტაპი*

ძვ.წ. 279 წელს, აპულიაში, აუსკულუმთან (დღ. ასკოლი სატრიანო - კ.ს.), რომაელებსა და პიროსს შორის გაიმართა მეორე შეტაკება. ბრძოლაში მოწინააღმდეგებს თანაბარი რაოდენობის - 40 ათასიანი არმიები ჰყავდათ, მაგრამ ეპიროსელების უპირატესობა გამოიხატებოდა კავალერიის და საბრძოლო სპილოების სახით. ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა. ადგილის რელიეფიდან გამომდინარე (ფერდობები და ხშირი ტყეები), პირველ დღეს, პიროსმა ვერ მოახერხა კავალერიის და სპილოების აქტიურად გამოყენება. მეორე დღისათვის მან ტაქტიკური გადაადგილებით აიძულა რომაელები ბრძოლა გაშლილ ველზე გაემართათ, სადაც ფალანგების და სპილოების უპირატესობა აშკარა იყო. ბრძოლა დასრულდა პიროსის გამარჯვებით, მაგრამ მას იგი იმდენად ძვირი დაუჯდა, რომ განუცხადებია: „კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და ჩვენ საბოლოოდ დავიღუპებით“. ბრძოლის ველზე განისვენებდა დაახლ. 6 ათასი ლეგიონერი და 3500 პიროსის ჯარისკაცი.

გამარჯვების მიუხედავად პიროსის მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. მან რომაელებთან კვლავ წამოიწყო წარუმატებელი მოლაპარაკებები. სირთულეების მიუხედავად იგი მაინც დარჩა იტალიაში, რითაც ბერძნებს მოუსპო რომთან დაახლოების ყველა შანსი.

თანდათან, პიროსის მდგომარეობა ნახევარკუნძულზე გართულდა. ეპიროსის მეფის წინააღმდეგ გამოვიდა კართაგენიც, რომელმაც რომთან სამხედრო კავშირიც დადო. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ პიროსმა ვერ გაამართლა იტალიელი ბერძენების მიზნები. ასეთ ფონზე, მეფემ მოულოდნელად მიიღო სიცილიის ბერძნული ქალაქების წინადადება - მათ დახმარებოდა კართაგენის წინააღმდეგ ბრძოლაში და ისიც აქტიურად გამოეხმაურა სიცილიელთა წინადადებას. ძვ.წ. 278 წელს პიროსი სიცილიაში გადავიდა. იქ მან აიძულა კართაგენელები ქ. სირაკუზისთვის (იტალ. სირაკუზა) ალყა მოეხსნათ. ქ. ლილიბეუმის გარდა კუნძულზე იგი დაუფლა კართაგენის ყველა სამფლობელოს.


*პიროსი (ლუვრი)*

პიროსი შესანიშნავი მხედართმთავარი, მაგრამ ცუდი პოლიტიკოსი იყო. სიცილიაში მან დაიწყო ძალების შეგროვება მომავალი აფრიკული ექსპედიციისთვის. მას განზრახული ჰქონდა აგათოკლეს გზით წასვლა და კართაგენის აფრიკაში განადგურება, მაგრამ იგი წააწყდა სიცილიის ქალაქთა მხრივ წინააღმდეგობას. საქმე იმაშია, რომ აფრიკული ექსპედიცია ეწინააღმდეგებოდა სიცილიელების ინტერესებს. დიდმა ფინანსურმა ხარჯებმა მათი უკმაყოფილება გამოიწვიეს. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ მონარქიულ ტრადიციაზე აღზრდილი პილოსი არღვევდა ბერძნული პოლისების დემოკრატიას. ასეთ ვითარებაში, სიცილიელი ბერძნები მეფეს განუდგნენ. პიროსის მდგომარეობა კუნძულზე უიმედო გახდა და ისიც იტალიისაკენ გაემართა.

ტარენტუმში პიროსი კვლავ ხალისით მიიღეს. ძვ.წ. 275 წელს სამნიუმის ცენტრში ქ. ბენევენტუმთან („ცუდი ჰაერი“) რომაელებსა და პიროსს შორის გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. ლეგიონე-

რებს ხელმძღვანელობდა სამნიუმის გმირი მანიუს კურიუს დენტანი (ძვ.წ. III ს.). ბრძოლის შესახებ ბევრი დეტალი უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ პიროსის არმია დიდ ფართობზე იყო განფენილი. ამასთან, რომაელებმა ისწავლეს სპილოების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დაშინება გადაჯვარედინებული ცეცხლოვანი ისრებით, რომლებმაც თავის მხრივ არეულობა შეიტანეს პიროსის არმიაში. მართალია ბრძოლა უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ პიროსს არსებითად უკვე აღარ ჰყავდა არმია. ეს კი ნიშნავდა, რომ ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს გენერალთან ომში რომაელებმა გამარჯვებას მიაღწიეს.

ბენევენტუმთან ბრძოლის შემდეგ პიროსი არმიის ნარჩენებით ეპირში წავიდა. აქ მას ახალი ავანტიურისტული გეგმები გაუჩნდა - სურდა პელეპონესის ნახევარკუნძულის დაპყრობა, მაგრამ ძვ.წ. 272 წელს, არგოსში, ქუჩის შეტაკებისას, სახურავიდან ნასროლი კრამიტით იგი მოკლეს. პიროსის გარდაცვალების ცნობის მიღების შემდეგ ტარენტუმში დატოვებული მისი გარნიზონი დანებდა რომაელებს. მათ კვალობაზე რომაელებმა დაიპყრეს ლუკანიუმი და ბრუტიუმი. ბერძნულ ქალაქებიდან ყველაზე დიდხანს რომაელებს რეგიუმი გაუძალიანდა, მაგრამ ძვ.წ. 270 წელს ისიც დანებდა.



*ბრძოლა ბენევენტუმთან*

პიროსის სიკვდილით დასამარდა ის გრანდიოზული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მის ძალაუფლების ქვეშ ბერძნების, იტალიის ელინიზებული ბარბაროსების და სიცილიის გაერთიანებას. ამით შეიქმნებოდა კოალიციური ძალა, რომელსაც შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია რომაელებისთვის სამხ. აპენინის ნახევარკუნძულზე. პიროსის მიერ გატარებული სამონეტო პოლიტიკა ნათლად ადასტურებდა მისი გეგმების სიდიდეს. ის ანტიკური წონის სტანდარტით ჭრიდა თავისი გამოსახულებით ოქროს და ვერცხლის მონეტებს წარწერით - „ΒΑΣΙΛΕΩΣ ΠΥΡΡΟΥ“. მას სურდა შემოემტკიცა დასავლეთი, ისევე როგორც ალექსანდრემ შემოიმტკიცა აღმოსავლეთი. მას ჰქონდა კონკრეტული მიზანი და ამისათვის იგი იჩენდა მოთმინებას და მოქნილობას, სიცილიის სტანდარტებით უშვებდა ბრინჯაოს მონეტებს, რომელიც იყო რომაული წონითი სისტემის ანალოგი. ამ კუთხით პიროსი წა-

რმოგვიდგება არა როგორც დამპყრობელი, როგორც ამას წარმოგვიჩენდა ბერძნული ისტორიოგრაფია ანდა რომაული აღწერების მეფე-რაინდი, არამედ როგორც გადამწყვეტი და წინასწარი გეგმით მოქმედი ორგანიზატორი. თამამად შეიძლება თქმა, რომ პიროსს შეეძლო გამხდარიყო დასავლეთის ალექსანდრე. პიროსის ცდა იყო ელინისტური აღმოსავლეთის უკანასკნელი ძალისხმევა დასავლეთში დაეცვა თავისი პოზიციები. იგი დამარცხდა არა იმიტომ, რომ არ იყო დიდი მიზნების ღირსი, არამედ ტარენტუმელები და სირაკუზელები არ იყვნენ მზად ხანგრძლივი დიდი ომისთვის.

სამხ. აპენინის დაპყრობის შემდეგ რომაელთა ყურადღებამ კვლავ ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა. პირველი შეტევა მათ ქ. ვოლსინიისკენ მიმართეს, რომელიც აპენინზე იყო უკანასკნელი დამოუკიდებელი ეტრუსკული პოლისი. გრძნობდნენ რა საშიშროების მოახლოებას, ვოლსინები წავიდნენ უკიდურეს ნაბიჯზე - შეაიარაღეს ქალაქის ღარიბები და მონები, მაგრამ უკანასკნელებმა იარაღი წარმართეს დიდებულთა წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ვოლსინიის არისტოკრატიამ ძვ.წ. 265 წელს ქალაქი რომაელებს ჩააბარა. ქ. ვოლსინიის დაპყრობით მთელი აპენინის ნახევარკუნძული მდ. პოს დაბლობამდე დაექვემდებარა რომს.


*„ბასილევსი პიროსი“ (მონეტა)*

ჩრდილოეთში რომაელთა წინსვლამ გამოიწვია  ბოიების და ინსუბრების შეშფოთება. მათ დახმარება სთხოვეს ალპებს გადაღმა მცხოვრებ თანატომელებს, მაგრამ ჯერ კიდევ დაუპყრობელი მიწების გამო მათში ამტყდარმა უთანხმოებამ ჩაშალა რომაელთა წინააღმდეგ გალების ერთიანი ფრონტით გამოსვლა. ძვ.წ. 225 წელს ტილემონთან გამართულ ბრძოლაში რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს გალები. ანტიკური წყაროების ცნობებით, ბრძოლის ველზე 40 000 კელტი განისვენებდა. გამარჯვების ადგილზე მოგვიანებით რომაელებმა ტაძარი ააგეს.

ძვ.წ. 224 წელს რომაელები ჩრდ. იტალიაში ბოიების მხარეში შეიჭრნენ. მათი დამორჩილება რომაელებმა უმალ ვერ შესძლეს და მხოლოდ ძვ.წ. 192-190 წლებში დასძლიეს ბოიების წინააღმდეგობა. რომაელებმა დაანგრიეს ბოიების დასაყრდენი ცენტრი - ბონონია. ამ გამარჯვებით რომაელების ხელში გადავიდა ჩრდ. იტა-

ლიის მნიშვნელოვანი ტერიტორია. ბოიების ნაწილი წავიდა ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო დარჩენილებმა აღიარეს რომაელთა ბატონობა.

აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობის საქმეში რომაელთა წარმატებები პირველ რიგში განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რამაც ხელი შეუწყო რომის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ სამხედრო თვალსაზრისით, მეოთხე საუკუნიდან, რომაელები აშკარად სჯობნიდნენ მეზობელ ტომებებს სტრატეგიასა და ტაქტიკაში. და რაც მთავარია, „მგლის ნაშიერები“ მეზობელი ტომების მიმართ ყოველთვის მოხერხებულად იყენებდნენ „გათიშე და იბატონეს“-ს პოლიტიკას.

### *რომაულ-იტალიკური კავშირის სტრუქტურა*

იტალიის დაპყრობის მიუხედავად, რომი, მაინც არ ჩამოყალიბდა ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ და იგი რჩებოდა კვლავ პოლისად. ომის მსვლელობისას რომმა შესძლო შეენარჩუნებინა აპენინის ნახევარკუნძულის სხვადასხვა თემებთან შექმნილი კავშირები. ისინი არაერთგვარი იყო და მის ბაზაზე შემდგომში აღმოცენდა რომაულ-იტალიკური კავშირი (ფედერაცია). მისი სუბიექტები რომთან მიმართებაში იმყოფებოდნენ არაერთგვაროვან მდგომარეობაში. მაგ., ლაციუმის რამდენიმე ძველი პოლისის მცხოვრებლები, რომლებსაც ძვ.წ. 388 წლიდან თვითმმართველობა ჰქონდათ, შეინარჩუნეს რომის მოქალაქეობის სრული უფლებები. ანალოგიურ მდგომარეობაში დარჩნენ ზღვისპირა კოლონიების მოსახლეობაც, რომლებზეც დამკვიდრდა რომაული კოლონიის სახელწოდება. რამდენადაც მათი მცხოვრებლები ღებულობდნენ რომაელ მოქალაქეთა ყველა ვალდებულებას. ეს ქალაქები წარმოადგენდნენ ე.წ. ვალდებულ-მუნიციპალიტეტებს.

ლათინური, ავრუნსკული და ეტრუსკული ქალაქები, რომლებმაც თავის დროზე მიიღეს ნაწილობრივი რომაული მოქალაქეობა (მათ არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება) და ჰქონდათ დამოუკიდებელი მმართველობა, შევიდნენ მუნიციპიების დაბალ რანგში. ისინი ფლობდნენ ე.წ. ცერიტულ უფლებებს (ქ. ცერე ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში). კიდევ უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ კაპუა და კუმე. მათ ჰქონდათ რომიდან წარ-

გზავნილი პრეფექტის მეთვალყურეობით დაწესებული შეზღუდული თვითმმართველობა. მათი მცხოვრებილები ითვლებოდნენ რომის მოქალაქეებად, მაგრამ არ ჰქონდათ მთავარი - ხმის მიცემის უფლება. რაც შეეხება ყველა დანარჩენილ თემებს, ისინი იწოდებოდნენ მოკავშირეებად, მაგრამ მათი სტატუსიც არ იყო ერთნაირი. პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდნენ ლათინი მოკავშირეები, რომელთა მდგომარეობა გავრცელებული იყო რომაელთა მიერ გამოყვანილ კოლონიათა უმრავლესობაზე. მათ უწოდებდნენ ლათინურს. ბერძნულ პოლისთა ძირითადი მასა შევიდა მოკავშირეთა შემადგენლობაში, მაგრამ ისინი არ ფლობდნენ არავითარ უფლებებს რომში. ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ ე.წ. „დანებებულები“. მასში შევიდა სამნიტური ფედერაციის წევრები და გალები. მათ არავითარი უფლებები არ ჰქონდათ რომში და ისინი ფლობდნენ მხოლოდ შეზღუდულ თვითმმართველობას.

ამ განსხვავებების მიუხედავად, რომაულ-იტალიკურ კავშირში შემავალ ყველა მუნიციპიებს და მოკავშირეებისთვის საერთო იყო მხოლოდ ერთი - მათ არ ჰქონდათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების უფლება. ისინი ვალდებულნი იყვნენ რომისთვის მიეწოდებინათ შეიარაღება, სამხედრო კონტინგენტი, გემები და რაც მთავარია მის სასარგებლოდ დაეთმოთ მიწების ნაწილი. ასე რომ, რომაელების მხრიდან ნახევარკუნძულზე გავრცელებული სამოკავშირეო ურთიერთობა წარმოადგენდა მოკავშირეთა მხრიდან რომზე დაქვემდებარება-დაკაბალებას. ამის მიუხედავად, ამ ურთიერთობებში იყო მხოლოდ ერთი დადებითი მომენტიც - რომაულ-იტალიკური კავშირის შექმნით მოხერხდა იტალიის სხვადასხვა რაიონების ეკონომიკური და კულტურული დაახლოება, რამაც თავის მხრივ შეუწყო მონათმფლობელური ურთიერთობების გავრცელებას მთელი აპენინის ნახევარკუნძულზე.

*რომაული კანონმდებლობა*

ადრეული რომაული რესპუბლიკის კანონმდებლობის თვალსაჩინო მაგალითი იყო „XII დაფის კანონი“. იგი არის კოდიფიცირებული რომაული სამართლის პირველი ნიმუში და ითვლებოდა, როგორც კანონი ხალხისგან. საქმე იმაშია, რომ სახალხო ტრიბუნატის შემოღების შემდეგ, „XII დაფის კანონი“ იყო პლებეების, როგორც პოლიტიკური ძალის გაფორმების შედეგი. კანონები ამო-

ტვიფრული იყო 12 დაფებზე, საიდანაც წარმოდგა მათი სახელწოდება. „XII დაფის კანონი“, გამოფენილი იყო ქალაქის მოედანზე, ხალხის თავშეყრის ადგილზე და მისი არცოდნის გარეშე შეუძლებლად მიიჩნეოდა სამოქალაქო ვალდებულებების შესრულება.

რომში კოდიფიცირებული სამართლის შექმნა დროის მოთხოვნით იყო განპირობებული. საქმე იმაშია, რომ ქურუმთა მხრიდან სასამართლოს წარმოების მონოპოლიით რომაელი პლებსი მკვეთრად ზარალდებოდა. ამასთან, რიგ შემთხვევაში გამოიყენებოდა ძველი გვაროვნული ნორმები. კანონების წერილობითი ფორმის არ არსებობის გამო მაგისტრატები თვითნებურად განმარტავდნენ ჩვეულებით სამართალს. სახელმწიფოებრიობის ზრდა და მონათმფლობელური საზოგადოების შექმნა ითხოვდა მკაცრად გაწერილ კანონების არსებობას.

ნიშანდობლივია, რომ კოდიფიცირებული სამართლის შექმნის მხრივ რომი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საბერძნეთს. მაგ., ათენში, ძვ.წ. 621 წელს შეიქმნა პირველი კოდიფიცირებული სამართლის ნიმუში, ე.წ. „დრაკონტის (ანდა დრაკონი) კანონები“. საბერძნეთში მოარული გამოთმაც იყო, რომ „დრაკონტის კანონები დაწერილი იყო არა მელნით, არამედ სისხლით“. ისინი გამოირჩეოდა სიმკაცრით, მაგრამ ეს იმით იყო განპირობებული, რომ კანონებს ვენდეტა უნდა შეცვალათ კოდიფიცირებული სამართლით. კანონებში ასევე გაწერილი იყო პოლისის მმართველების ფუნქციები, სისხლის სამართლის საკითხები და ა.შ.


LEGES
XII. TABVLARVM
SVIS
QVOTQVOT REPERIRI POTVERVNT
FRAGMENTIS
RESTITVTAE
ET
OBSERVATIONIBVS CRITICO - ANTIQVARIIS
ILLVSTRATAE
A
IOH. NICOLAO FVNCCIO
MARBVRGENSI.
EVER. OTTO thes. iuris Romani tom. III. praef. pag. XXI.
*Nunquam ita restituentur XII. Tabulae, quin aliorum industriae aliquid supersit.*
RINTELII SVMTIBVS NICOLAI STRIEDERI
MDCCXLIV.

*სატიტულო გვერდი – 1744 წ.*

უნდა ითქვას, რომ რომაული სამართალწარმოება თავისი ჩამოყალიბებული მწყობრი სისტემით იმთავითვე გამორჩეული დარჩა მსოფლიო იურისპუდენციის ისტორიაში. რომაული სამართალიც თავდაპირველად ვენდეტას პრინციპზე იყო აგებული. შემდგომში, სახელმწიფოებრიობის ფორმირებასთან ერთად, ვენდეტა შეიცვალა კოდიფიცირებული სამართლით. მათგან უმთავრესი იყო „XII დაფის კანონები“. ლივიუსი მას „ყველა სამართლის წყაროდ“ მიიჩნევდა.

„XII დაფის კანონების“ რეალურობის შესახებ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი არ არის. მეცნიერთა ნაწილი (ე. პაისი...) მას

ძვ.წ. III ს-ის ნიმუშად თვლიდა. სხვები (ე. ლამბერი...) მის მნიშვნელობას კიდევ უფრო აკნინებდნენ და, როგორც განსაკუთრებულ საკანონმდებლო ძეგლს, მოსეს მცნებების ორი დაფების მსგავსად, ნაკლებ სარწმუნოდ მიიჩნევენ. ამგვარი აზრის არსებობას თავისი გამართლებაც ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ გადმოცემით კანონების ორიგინალი ძვ.წ. 390 წელს გალების შემოსევების დროს განადგურდა. რაც გვაქვს კი ისინი არის მოგვიანო ეპოქის იურისტებთან (ციცერონი, ულპიანუსი...) დაცული ფრაგმენტებით რეკონსტრუირებული. კამათი როგორც არ უნდა განვითარდეს ერთი უდავოა, რომ „XII დაფის კანონებს" ჰქონდათ ღრმა ფესვები ხალხურ მეხსიერებაში და მათ აზეპირებდნენ ბავშვებსაც.

რომაული ტრადიციით „XII დაფის კანონების" შემოღების ერთ-ერთ წინაპირობად იყო ტრიბუნების მხრიდან არაერთი ცდა კოდიფიცირებული კანონმდებლობის შემოღების აუცილებლობის თაობაზე. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ კანონით განსაზღვრულიყო კონსულების და მაგისტრატურების უფლება-მოვალეობები. ამ მიზნით, ჯერ კიდევ ძვ.წ. 462 წელს, ტრიბუნი ტერენტილიუს არსა (ძვ.წ. V ს.) გამოვიდა წინადადებით, რომ შექმნილიყო ხუთ კაციანი კომისია, რომელიც წერილობითი ფორმით გააფორმებდა კონსულების უფლებებს და ა.შ. თავდაპირველად ტრიბუნის წინადადება არ გავიდა. მთელი რვა წლის მანძილზე პატრიციუსები ეწინააღმდეგებოდნენ მის მიღებას. მხოლოდ პლებეების მხრიდან დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა, რომ სამ კაციანი ელჩობა გაგზავნილიყო ათენში სოლონის (ძვ.წ. 640/635-?559 წწ.) კანონმდებლობის გასაცნობათ.

საბერძნეთიდან ელჩობის დაბრუნების შემდეგ, ძვ.წ. 451 წელს, რომში განუსაზღვრელი უფლებებით შეიქმნა დეცემვირთა ათკაციანი კომისია, რომლებსაც დაევალათ კანონების მონახაზის გაკეთება. თითოეული დეცემვირი მუშაობდა ცალკეულ დაფებზე. წლის ბოლოს მზად იყო 10 დაფა, რომლებით სახალხო კრებამ დაამტკიცა. ძვ.წ. 450 წლისთვის არჩეული იქნა დეცემვირთა ახალი შემადგენლობა, რომლებმაც აღნიშნულ კანონებს დაუმატეს ორი.

„XII დაფის კანონები" ასახავდა გვაროვნული საზოგადოებიდან მონათმფლობელობაზე გადასვლის პროცესს. ამიტომაც, მონათმფლობელური სამართლის სხვა ძეგლების მსგავსად მათვი-

საც დამახასიათებელი იყო ფორმალიზმი, რომაული თემის ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირება და ა.შ. თუ რომაული სამოქალაქო სამართალი მანამდე ცნობილი იყო, როგორც კვირიტთა („კვირიტი“ - რომაელთა მფარველი მითიური არსება) სამართალი, „XII დაფის კანონები“ წარმოადგენდნენ ჩვეულებითი სამართლის წერილობით ნორმებს და რეგულირდებოდა არა საჯარო, არამედ კერძო ურთიერთობები. ვიცით, რომ კანონები ეხებოდნენ სამოქალაქო სამართლის პროცესს, სახელმწიფო და სისხლის სამართალს. ამასთან, უფლებაუნარიანობა დაეფუძნა სამ კრიტერიუმს: 1. თავისუფლებას, 2. მოქალაქეობას და 3. ოჯახში დამოუკიდებლობას.

კანონების შინაარსი იყო: I დაფა ეხებოდა სასამართლო წარმოებას და მასში გაწერილი იყო პროცესუალური ნორმები; II დაფა ეხებოდა ქურდობის საკითხებს. მასში მოტანილი იყო დასჯის სახეები და სანქციების ზომები; III დაფა ვალის და საკრედიტო სამართალს განმარტავდა; IV დაფა საოჯახო სამართალს ეხებოდა და განიხილავდა მამობის და ბავშვების ყიდვა-გაყიდვის საკითხებს; V დაფა - სამემკვიდრეო სამართალს შეადგენდა; VI დაფა - საკუთრების საკითხებს აწესრიგებდა; VII-VIII დაფები - მიწის სამართალს; IX დაფა - საჯარო სამართალს; X დაფა - დაკრძალვით სამართალს; XI დაფა - ღვთაებრივი სამართალს, ხოლო XII დაფა - საქორწილო სამართალს.

ასეთია „XII დაფის კანონების“ სტრუქტურა. ერთი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი რომაული აზროვნების ნაყოფია. მართალია ტრადიცია გვეუბნება, რომ კანონშემოქმედებითი გამოცდილების გაზიარების მიზნით საბერძნეთში გაიგზავნა წარმომადგენლობა, რომლის შემადგენლობაშიც იყო ბერძენი ვინმე ჰერმოდორე ეფესოელი (?), მაგრამ ტექსტობრივი ანალიზით ფიქრობენ, რომ თუ საერთოდ აღებული იქნა რამე საბერძნეთიდან, ისინი იყო ერთობ უმნიშვნელი და არაარსებითი. კანონებში დაცული ნორმები ამოდიოდა რომაული ტრადიციიდან და დეცემვირებმა მათ მხოლოდ ფორმულირება და კოდიფიცირება გაუკეთეს.

უნდა ითქვას, რომ „XII დაფის კანონებს“ მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა ასპექტებით. პოლიტიკის მხრივ ტრადიციული აგრარულ წყობაში ყველასთვის თანასწორი კერძო და სისხლის სამართლის ნორმების ჩანერგვით იმ ეტაპზე მოხერხდა პატრიციებსა და პლებეებს შორის წინააღმდეგობის შესუსტება, რაც

ერის კონსოლიდაციის საქმეში უმთავრესი იყო. ეკონომიკის თვალსაზრისით მთავარი იყო იმ დროს გავრცელებული სპილენძის მონეტების ანალოგი ფულის შემოღება. იურისპუდენციის კუთხით კი, ამიერიდან რომაული სამოქალაქო სამართლის განვითარება წარიმართა ორი გზით. ესაა: „XII დაფის კანონების“ პრაქტიკული განმარტებების და შემდგომი კანონშემოქმედებითი გზა.

*პატრიციებსა და პლებეებს შორის დაპირისპირება*

„XII დაფის კანონების“ შემდგომ რომში მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი იყო პატრიციუსებსა და პლებეებს შორის ბრძოლის გამოხატულების შედეგი. ამავე დროს, იგი იყო ფენათა შორის ინტერესების კონსესუსის ნაყოფი. მაგ., ძვ.წ. 449 წელს, კონსულებმა ვალერიუსმა და ჰორაციუსმა (ძვ.წ. V ს.) პლებეების ინტერესების დაცვისთვის შესძლეს სენატში სამი კანონის გატანა, რომლითაც მკაცრად განისაზღვრა სახალხო ტრიბუნების ხელშეუხებლობა, აპელაციის უფლება და პლებეების კრების (პლებისციტი) გადაწყვეტილებისთვის კანონის ძალის მინიჭება, რაც მას თვლიდა პატრიციუსებისთვის სავალდებულოდ.

ძვ.წ. 445/4 წლის კანულეუსის კანონი ნებას რთავდა პატრიციუსებსა და პლებეებს შორის ქორწინებას. ამით საფუძველი ჩაეყარა პატრიციუსების და პლებეების მდიდარ ზედაფენას შორის შერწყმას ერთ ფენაში. მართალია, პლებეებს ნება დაერთოდ იერარქიულ საფეხურზე ზეასვლის, მაგრამ პატრიციუსებმა შესძლეს მათი დაბლოკვა კონსულობაზე და მხოლოდ მიეცათ საკონსულო უფლებებით აღჭურვილი სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა. შესაბამისად, მომდევნო წლეებში კონსულის ნაცვლად უკვე პატრიციუსების და მდიდარი პლებეების რიგებიდან ირჩევდნენ სამხედრო ტრიბუნებს.

ძვ.წ. IV ს. II ნახევარი რომი მოიცვა მევალეების მხრიდან დაკაბალებულების მღელვარებამ, რაც პატრიციუსებისთვის უაღრესად საშიში ფაქტი იყო. რომში სავალო სამართლის შერბილების პირველი ცდა ძვ.წ. IV ს. 80-იან წლებში განახორციელა მარკუს მანლიუსმა (ძვ.წ. IV ს.). აშკარა იყო, რომ რომის საზოგადოება მაშინ არ იყო მზად ცვლილებისთვის, ამიტომაც მანლიუსის წამოწყება წარუმატებლად დასრულდა.

პლებეების შემდგომი ბრძოლა სახალხო ტრიბუნების ლიცინიუსის და სექსტუსის სახელს უკავშირდება. ძვ.წ. 367 წელს მათ მოახერხეს პლებეების პოზიციების გასამყარებლად სენატში სამი კანონის გატანა. თუ ადრე, პატრიციუსებს შეეძლოთ პლებეების ხარჯზე ნებისმიერი სახელმწიფო მიწის დაკავება, ამჯერად, კანონმდებლობით მათ ნება მიეცათ მხოლოდ 500 იუგერი (125 ჰ.) მიწის ფლობა. ასევე ნაწილობრივ გადაწყდა სავალო საკითხიც. მართალია, კანონშემოქმედებმა ვერ გაბედეს ვალის მთლიანი კასაციაზე წასვლას, სამაგიეროდ ახლებური დაანგარიშებით მნიშვნელოვნად შეამცირეს დავალიანება. კერძოდ, გადახდილი პროცენტი გამოითვლებოდა ვალის ძირიდან, ხოლო დანარჩენი თანხა ხელსაყრელ პირობებში გადაიხდებოდა სამი წლის მანძილზე.

ლიცინიუს-სექსტუსის მესამე კანონით გაუქმდა კონსულის უფლებებით აღჭურვილი სამხედრო ტრიბუნატი და მათ ნაცვლად დაწესდა ორი კონსულიდან ერთის აუცილებლად პლებეიდან არჩევა. ძვ.წ. 367 წლის კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა პატრიციუსების პრივილეგიებს, რითაც ისარგებლეს პლებეებმა და მომდევნო დროში სწრაფ ახალ წარმატებებს მიაღწიეს.



*კონსული ორი ლიქტორით*

აგრარული საკითხის მოგვარების მიზნით მცირე მიწიან რომაელებისთვის იტალიის სხვადასხვა ნაწილებში დაიწყეს კოლონიების გამოყვანა. მარტო ძვ.წ. 334-287 წლებში, რომაელებმა დაარსეს 18 კოლონია, რაც იმაზე მეტი იყო ვიდრე საერთოდ გაკეთდა წინამორბედი ისტორიის მანძილზე. კოლონიების გამოყვანით ქვეყანაში ნაწილობრივ გადაიჭრა აგრარული პრობლემა.

პლებეების მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს ძვ.წ. 326 წელს ტრიბუნ პეტელიუსის კანონმდებლობა, რომლითაც ყველა რომის მოქალაქესთვის გაუქმდა სავალო კაბალა და მის ნიადაგზე რომაელის მონად გადაქცევის უფლება. ამიერიდან, ვალის გასტუმრება რომის მოქალაქეს შეეძლო მხოლოდ ქონებით. რაც შეეხება მონებს, რომაელებმა ისინი ჩანაცვლეს სამხედრო ტყვეებით.

პატრიციებსა და პლებეებს შორის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ძვ.წ. 312 წლის ცენზორ აპიუს კლავდიუსის რეფორმებმა. აპიუსს მიეწერება აპენინზე გზების და წყალგაყვანილობის

სისტემის მშენებლობები. მანვე სენატის შემადგენლობაში შეიყვანა სამი მაგისტრანტი, რომელთა მამები იყვნენ ლიბერტინები. ცენზორი მფარველობდა იმ პლებეებს, რომლებიც ეწეოდნენ ხელოსნობა-ვაჭრობას. მისი წინადადებით უმიწო რომის მოქალაქეს შეეძლო ხმა მიეცა არა ქალაქის, არამედ სოფლის ტერიტორიულ ოლქებში. ამით მოხდა პლებსის პოლიტიკური გავლენის ამაღლება. ძვ.წ. 300 წელს მიღებული კანონებით პლებეებს ნება დაერთოთ არჩეულიყვნენ ქურუმთა კოლეგიაში. ძვ.წ. 287 წელს დიქტატორ ჰორტენზიუსის კანონით პატრიციუსებისთვის პლებისციტს კვლავ მიენიჭა კანონის სახე. არსებითად, ძვ.წ. 287 წელი მიჩნეულია პატრიციუსებსა და პლებეებს შორის გათანაბრების ბოლო თარიღად.

სოციალური თანასწორობის გარდა, უმთავრესი რაც პატრიციუსებსა და პლებეებს შორის ხანგრძლივ ბრძოლას მოჰყვა, იყო ქვეყანაში გვაროვნული წყობის გადმონაშთების ლიკვიდაცია. ძვ.წ. V ს-ის მიწურულიდან პატრიციუსებთან და პლებეებთან ფორმირებას იწყებს კერძო მიწისმფლობელობის ელემენტები. სავალო კაბალის გაუქმებამ ხელი შეუწყო უცხო ტომელი მონების როლის ზრდას. მეორეს მხრივ, პლებეების ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილება იწვევდა რომაული საზოგადოების კონსოლიდაციას. ამის ნათელი მაგალითია კართაგენის წინააღმდეგ ომი, როდესაც საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისას ფენათა შორის დაპირისპირება მინელდა და რომაული საზოგადოება საბროლველად ერთიანად კონსოლიდირებული გამოვიდა.

პატრიციუსებსა და პლებეებს გათანაბრებამ შეცვალა რომაული საზგადოების სოციალური სტრუქტურა. ისინი უკვე აღარ იყვნენ სხვადასხვა ფენა თუ კლასი. პლებსის ზედაფენა გაერთიანდა პატრიციუსებთან და შეიქმნა ახალი ფენა – ნობილიტეტი („საუკეთესო“). ისინი იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელები და მონათმფლობელები. შესაბამისად, სახელმწიფო სტრუქტურები და სენატის შემადგენლობა მათგან ივსებოდა. რაც შეეხება იმ შეძლებულ რომაელ მოქალაქეების ფენას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ვაჭრობა-კომერციით, შეიქმნა ე.წ. მხედართა ფენა. რაც შეეხება პლებსის მასას, მასში ერთიანდებოდა ყველა დანარჩენები - თავისუფალი გლეხები, წვრილი ხელოსნები და ვაჭრები.

## თავი V
## რომი-კართაგენის დაპირისპირება

სამხ. აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობით რომის რესპუბლიკის საზღვრებმა მესინის სრუტეს (40X3,5 კმ) მიაღწიეს, რომლის იქით მდიდარი სიცილია მდებარეობდა. ძვ.წ. III ს-ში სიცილიის ქალაქებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი იყო ქ. სირაკუზი, რომელიც კუნძულის დიდი ნაწილს აკონტროლებდა.



*რომი და კართაგენი*

ზოგადად ბერძნული ქალაქები ოდითგანვე მტრულ ურთიერთობაში იყვნენ კუნძულის დასავლეთ ნაწილში დამკვიდრებულ კართაგენთან. აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობით, რომმა თანდათან დაიწყო სიცილიის საქმეებში ჩარევა, რაც თავის მხრივ ბღალავდა კართაგენის ინტერესებს. ისინი სიცილიას უყურებდნენ თავის გავლენის ზონად.

ძვ.წ. 264 წლამდე რომი და კართაგენი ურთიერთშორის კეთილდამოკიდებულებაში იყვნენ. მათ შორის ზღვაოსნობა და ვაჭრობა სამი ხელშეკრულებით რეგულირდებოდა. მესამე, ძვ.წ. 280 წლის ხელშეკრულება შეიცავდა სავაჭრო და პოლიტიკურ მუხლებსაც. ვიდრე „მგლის ნაშიერები“ დაკავებული იყვნენ აპენინის ნახევარკუნძულით და კართაგენი ჩრდ. აფრიკის დაპყრობით, მათი ინტერესები ერთმანეთს არ კვეთდა. საკმარისი იყო, რომაელებს შეეღწიათ სამხ. იტალიაში, რომ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ლტოლვას მსოფლიო ბატონობისაკენ უცილობლად საქმე მიჰყავდა ომამდე. საბაბი თითქოს კართაგენმა მისცა. ძვ.წ. 272 წელს რომაელთა მიერ ტარენტუმის ალყის დროს პუნების სამხედრო ფლოტი რომსა და კართაგენს შორის დადებული ხელშეკრულების მიუხედავად შეეცადა ქალაქის დაუფლებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით მაშინ კართაგენმა ბოდიშიც კი მოიხადა, მაგრამ გვიანი იყო. რომთან ადრინდელი მეგობრული ურთიერთობის კვალიც არ დარჩა. ორივე მხარე გამალებით შეუდგა მომავალი ომისთვის მზადებას.


*კართაგენის გერბი*

*კართაგენი*

ძვ.წ. 825 (814) წელს ტვიროსელმა კოლონისტებმა დღევანდელი ქ. ტუნისის მახლობლად დაარსეს თავიანთი კოლონია კართაგენი (ფინიკ. „Qart Hadasht“, ლათ. „Carthago“ - ახალი ქალაქი). სახელწოდება კართაგენი იმავდროულად გახდა სახელმწიფოს სინონიმიც. ანტიკური ტრადიციით, ქ. კართაგენის დაარსება უკავშირდება დედოფალ ელისას, იგივე დიდოს (ძვ.წ. 879-760/759 წწ.), რომელმაც ქალაქის პირველი მოსახლეობა ტვიროსიდან გადმოიყვანა.

ძვ.წ. VII ს. შუა ხანებიდან, მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, კართაგენი დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში მყოფი ფინიკიური კოლონიებიდან ყველაზე მსხვილ ცენტრად იქცა. მოგვიანებით, მის გარშემო გაერთიანდა ფინიკიის დანარჩენი კოლონიები. ეს პროცესი განაპირობა რიგმა საგარეო-პოლიტიკურმა ფაქტორებმა: 1. ფინიკიის ქალაქების სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება ჯერ ასურეთის, ხოლო შემდეგ სპარსეთის მმართველებზე გამოიწვია კოლონიებში მოსახლეობის მასობრივი გადინება, 2. დასავლეთში ბერძნების მიერ დაწყებულმა კოლონიზაციამ და 3. თვით ფინიკიური კოლონიების სავაჭრო-ეკონომიკურმა განვითარებამ, რომლების ინტერესებიც მოითხოვდა მათი კოლონიების მოქმედების კოორდინაციას.



*დიდო (ლუვრი)*

აფრიკაში ფინიკიური კოლონიების დამორჩილების პარალელურად კართაგენი ეწეოდა ესპანეთის სამხრეთი სანაპიროების და კუნძ. სიცილიის დაპყრობას. ძვ.წ. VI ს. კართაგენის კონტროლს დაექვემდებარა კუნძ. სიცილიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ფინიკიური ქალაქები. ამიერიდან კართაგენი იქცა ხმელთაშუაზღვისპირეთში უმსხვილეს სახელმწიფოდ, რომლის სამფლობელოები მოიცავდა: ჩრდილო-დასავლეთ აფრიკას, სამხ. ესპანეთის სანაპიროებს და დას. სიცილიას.

უნდა ითქვას, რომ თავისი საფორტიფიკაციო ნაგებობებით ქ. კართაგენი ერთ-ერთი გრანდიოზული ქალაქი იყო მაშინდელ სამყაროში. ქალაქს ჰქონდა ყურე და გრანდიოზული გალავანი. ყურე ორ ნაწილიანი იყო, რომელთაგან ერთში ეტეოდა 200-მდე სამხედრო ხომალდი, ხოლო მეორე განკუთვნილი იყო კომერციულ ვაჭრობისთვის. გალავნის საერთო სიგრძე 37 კმ შეადგენდა. ქალაქის ცენტრში აღმართული იყო მაღალი ციტადელი.

კართაგენის ძლიერების საფუძველი საშუამავლო ვაჭრობა გახლდათ. ეკონომიკაში აქტიურად გამოიყენებოდა მონათა შრომაც. სახელმწიფო წყობის მხრივ იგი ოლიგარქიული მონათმფლობელური რესპუბლიკა იყო. ქვეყნის სათავეში ერთი წლის ვადით ირჩევდნენ ორი სუფეტს. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკავა 300 კაცისაგან შემდგარ უხუცესთა საბჭოს. იგი მუდმივმოქმედი ორგანო არ იყო. მიმდინარე საკითხებს უძღვებოდა მხოლოდ 30 კაციანი უხუცესთა საბჭო, რომელიც გარკვეული ვადით ირჩევდა მთავარსარდალს. სასამართლო და საკონტროლო ორგანოს ფუნქცია ეკავა 104 კაციან კოლეგიას. იგი არჩევითი ორგანო არ იყო და მისი შემადგენლობა ივსებოდა არისტოკრატთა გვარებიდან.



*ქ. კართაგენი (რეკონსტრუქცია)*

დემოკრატიული ოპოზიცია კართაგენში გაჩნდა მხოლოდ პუნიკური ომების დროს, მაგრამ მათ ვერ შესძლეს არსებითი როლის შესრულება ქალაქის ისტორიაში. ამის მიზეზი იყო უპირველესად ქვეყნის უმაღლესი სისტემის მთლიანი კორუფციული სახე. არისტოტელე აღნიშნავდა, რომ კართაგენში სიმდიდრე უფრო მაღლა იდგა ვიდრე კეთილმოსურნეობა. ქვეყნის სიმდიდრის ძირითადი წყარო იყო ვაჭრობა. პუნები ვაჭრობდნენ ესპანეთიდან შავ ზღვამდე გადაჭიმულ მთელ სივრცეზე. უნდა ითქვას, რომ პუნები ყოველთვის ცდილობდნენ დაეცვათ მკაცრად რეგლამენტირებული ვაჭრობა. საქონელბრუნვის მონოპოლიზაციის მიზნით, ისინი ყველას აიძულებდნენ ევაჭრათ მხოლოდ პუნი შუამავლებით. მართალია ასეთი დამოკიდებულება ზრდიდა ქვეყანაში სეპარატულ განწყობებს, მაგრამ სამაგიეროდ შემოდიოდა დიდძალი კაპიტალი.

ეთნიკური ნიშნით კართაგენის მოსახლეობა იყოფოდა რამდენიმე ნაწილად. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დიდი გადასახადებით დაბეგვრილი ლიბიელები, რომლებიც ძალით მიჰყავდათ არმიაშიც. შედარებით უკეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სიკულები, იგივე სიცილიელი ბერძნები. მათი უფლებები და პოლიტიკური მმართველობა განსაზღვრული იყო ე.წ. „სიდონური სამართლით“. ჩვენთვის უცნობია აღნიშნული სამართლის შინაარსი, მაგრამ ფაქტია, რომ ბერძნებს მინიჭებული ჰქონდათ თავისუფალი ვაჭრობის უფლება. სრული სამოქალაქო უფლებებით სარგებლობდნენ ქ. კართაგენის მცხოვრებლები და სხვა ფინიკიური ქალაქებიდან გადმოსახლებულები. რაც შეეხება არაფინიკიელებს, მათ ჰქონდათ მხოლოდ სიკულების მსგავსი უფლებები.

კართაგენის სიძლიერე დაქირავებული არმია იყო. მის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ პირენეელი, აფრიკელი და ბერძენი მოქირავნეები. არმიაში კართაგენის არისტოკრატები მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსნებად მსახურობდნენ ე.წ. „წმინდა რაზმში“. კავალერია მთლიანად კომპლექტებოდა ნუმიდიელებით. ისინი საუკეთესო მხედრებად ითვლებოდნენ. ბრძოლებში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა სპილოების, იგივე ანტიკური ეპოქის „ტანკების“ გამოყენებას. მათი რაოდებობა ზოგჯერ 300 აღწევდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სპილოებს უპირატესობა მხოლოდ ე.წ. „სატანკო“ ჭიდილში ჰქონდათ, ანდა თუ მოწინააღმდეგემ არ იცოდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ კართაგენის არმია თავისი სტრუქტურით და ომის წარმოების ტაქტიკით ტიპიურ ელინისტურ არმიას წარმოადგენდა.

### *კონტაქტები სპარსეთთან და ეტრუსკებთან*

კართაგენის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო კონტაქტები აქემენურ სპარსეთთან და ეტრუსკებთან. უკანასკნელებთან, ძვ.წ. VI ს. შუა ხანები, დადებული მეგობრული ხელშეკრულება, კართაგენს აძლევდა საშუალებას აქტიურად ემოქმედა სიცილიის, სარდინიისა და კორსიკის კუნძულებზე. ძვ.წ. 535 წელს, კართაგენელთა და ეტრუსკთა გაერთიანებულმა ფლოტმა, ალალეასთან (კუნძ. კორსიკა) გამართულ საზღვაო ბრძოლაში, დაამარცხეს ბერძნები. ამ გამარჯვებით მოკავშირეებმა გაინაწი-

ლეს გავლენის სფეროები. ეტრუსკები შეუდგნენ კორსიკის ათვისებას, ხოლო პუნებმა განამტკიცეს პოზიციები სამხ. სარდინიაში, სადაც მათი კოლონია იყო ნორა.

ალალეასთან გამარჯვებით და პირენეის ნახევარკუნძულზე ბერძნების გავლენის შესუსტებით, კართაგენმა მოახდინა თავისი მთავარი მეტოქის - ესპანეთის ყველაზე მსხვილი ტერტესის სახელმწიფოს ჯერ იზოლირება, ხოლო ძვ.წ. VI ს. 20-იან წლებში მისი განადგურება.

ბერძენ-სპარსელთა ომების დროს შექმნილი ელინთა არახელსაყრელი ვითარება კართაგენმა თავის სასარგებლოდ - სიცილიის ბერძნულ ქალაქებზე შეტევაზე გამოიყენა, მაგრამ ძვ.წ. 480 წელს, ჰიმერასთან გამართულ ბრძოლაში პუნები დამარცხდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ, ძვ.წ. 474 წელს, კუმესთან გამართულ ბრძოლაში ბერძნებმა კვლავ დაამარცხეს პუნების და ეტრუსკების გაერთიანებული ფლოტი. ამ ორმა დიდმა მარცხმა დროებით შეაჩერა კართაგენელების მხრიდან სიცილიის სრული დაპყრობის საკითხი. საბოლოოდ, კართაგენმა და სირაკუზმა გაიყვეს კუნძულზე გავლენის სფეროები. 7 ათეული წლის მანძილზე მათ შორის მშვიდობა სუფევდა. ძვ.წ. 409 წლიდან საომარი მოქმედება სიცილიაზე კვლავ განახლდა. მცირე შუალედებით ეს ომი თითქმის ძვ.წ. 241 წლამდე გაგრძელდა.

იმავდროულად, სიცილიაში განცდილი მარცხის კომპენსაციას კართაგენი ეწეოდა აფრიკაში. თანდათან, მისი ახალშენები გაჩნდა მაროკოსა და მავრიტანიის ატლანტიკურ სანაპიროებზე. ყოველივემ, ძვ.წ. V-IV სს., კართაგენი დას. ხმელთაშუაზღვისპირეთის საშუამავლო ვაჭრობის მსხვილ ცენტრად გადააქცია. ნიშანდობლივია, რომ კართაგენის ბატონობა საზღვაო-სავაჭრო გზებზე უზრუნველყოფილი იყო სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებებით. მარტო რომთან მათ დადებული ჰქონდათ სამი სავაჭრო ხელშეკრულება.

*I პუნიკური ომი*

აშკარა იყო, რომ რომაელები და პუნები გამალებული ემზადებოდნენ მომავალი ომისათვის. საჭირო იყო საბაბი და ისიც მალე გამოჩნდა. ქ. სირაკუზსა და ქ. მესანას შორის გამართულ ომში რომაელებმა უკანასკნელებისაგან მიიღეს დახმარების წინადადება.

იმჟამად ქ. სირაკუზი კუნძ. სიცილიის უძლიერესი პოლისი იყო. იგი განიცდიდა ე.წ. მეორე აღორძინებას. მისი მმართველი ჰიერონ II (ძვ.წ. 275-215 წწ.) სირაკუზის მოსახლეობის საშუალო ფენიდან იყო გამოსული, რომელმაც სამხედრო წრთობა მიიღო პიროსის წინააღმდეგ წარმოებული ომებისას. იგი ნიჭიერი მეთაური იყო, რომელმაც ძვ.წ. 275 წელს სახელმწიფო გადატრიალებით სირაკუზში ხელთ იგდო ძალაუფლება. ჰიერონის მმართველობისას სირაკუზში თავი იჩინა მოქირავნე მამერტინელების (მარსის შვილები) მღელვარებამ. მათთან ბრძოლაში ჰიერონი თავდაპირველად დამარცხდა, მაგრამ ძვ.წ. 269 წელს მდ. ლონგანთან გამართულ ბრძოლაში, მან შესძლო მათი სასტიკად გაანადგურება. ჰიერონს გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა სირაკუზის პროტექტორატი დაემყარებინა სიცილიის უპირატეს ნაწილზე. არსებითად, სიცილიაში მან აღორძინა აგაფოკლეს სამეფო, მაგრამ მისგან განსხვავებით ჰიერონს არ შეეძლო ეფიქრა სამხრეთ იტალიის დაპყრობაზე, რადგან იქ უკვე რომაელები ბატონობდნენ.



*კართაგენი I პუნიკურ ომამდე*

რომი-კართაგენს შორის მიმდინარე ბრძოლები ნიშნავდა ჰიერონის სამეფოს მოსპობას. ასეთ ვითარებაში, დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, მან სახიფათო დიპლომატიური სვლები გადადგა. თავდაპირველად ჰიერონმა ერთობ გადააფასა კართაგენის შესაძლებლობები და რომაელების წინააღმდეგ ომში იგი მათ მხარეზე გამოვიდა. ძვ.წ. 263 წელს მესიანასთან გამართულ ბრძოლაში ჰიერონი დამარცხდა და ივალდებულა 100 ტალანტი კონტრიბუციის გადახდა და რომაული არმიის იარაღით და პროვიანტით მომარაგება. სანაცვლოდ, მან მიიღო „რომაელი ხალხის მეგობრის“ ტიტული. მარცხის შემდეგ ჰიერონმა რეალურად შეაფასა რომის შესაძლებლობები და იგი მათ სიკვდილის ბოლომდე ერთგულად ემსახურა. თავის მხრივ, რომაელებმაც დაუფასეს მას ერთგულება და სირაკუზის ნახევრად დამოუკიდებელი სამეფო გაუქმეს მხოლოდ ძვ.წ. 211 წელს.

ომის პირველივე ეტაპზევე სირაკუზის ტირანის გადაბირება რომაული დიპლომატიის უდიდესი მონაპოვარი იყო. სიცილიაში

ახალი მოკავშირის გაჩენამ გაამაგრა კუნძულზე რომაელთა პოზიცია და მათთაც დაიწყეს იქ თავიანთი ჯარის დესანტირება.

ძვ.წ. 262 წელს რომაელებმა მთავარი შეტევა განავითარეს ქ. აგრიგენტუმის მიმართულებით. იგი კუნძულზე კართაგენელთა მთავარ სამხედრო ბაზას წარმოადგენდა. ქალაქის ალყა 5 თვე გაგრძელდა. რომაელები წარმატებით იგერიებდნენ კართაგენელთა




*სიცილიაში მიმდინარე ბრძოლები*

თავდასხმებს. ჩანს, შეტაკებებს დიდი ბრძოლების სახე არ ჰქონდათ. აგრიგენტუმში არანაკლებ 50 000 ჯარისკაცი იყო დისლოცირებული. ვინაიდან ქალაქი ზღვისგან მოშორებით იყო და ფლოტის მეშვეობით მისი მომარაგება შეუძლებელი გახდა, ამიტომაც აგრიგენტუმში დაიწყო სურსათის უკმარისობა. ქალაქისთვის რთულ ვითარებაში პუნების მხედართმთავარმა ჰანიბალ გისკომ (ძვ.წ. III ს.) დახმარების სათხოვნელად კართაგენში ელჩები გაგზავნა. მართლაც, დახმარებამ არ დააყოვნა და აგრიგენტუმის მხარდასაჭერად კართაგენიდან სიცილიაში 30 000 ჯარით გაიგზავნა ჰანონი (ძვ.წ. III ს.).

ჰანონმა თავდაპირველად ჯარები ჰერაკლიუმისკენ დაძრა და ქალაქს დაეუფლა. ჰერაკლეუმის დაკარგვა რომაელებისთვის მძიმე დანაკლისი იყო, რადგანაც ქალაქში ინახებოდა მათი სუ-




*I პუნიკური ომის ბატალიები*

რსათის მარაგი. მართალია რომაულ მხედრებს და პუნებს შორის 2 თვე სერიოზული შეტაკება არ მომხდარა, მაგრამ სურსათის დაკარგვამ დაამძიმა რომაელების მდგომარეობა. მათვის რთულ ვითარებაში რომაელებს მხსნელად სირაკუზის ტირანი ჰიერონ II მოევლინათ, რომელმაც რომაელებს მოუხსნა სურსათის ნაკლებობის პრობლემა. თითქოს მთავარი პრობლემა მოიხსნა, მაგრამ ამჯერად რომაელების ბანაკში ავადმყოფობამ იჩინა თავი. იგივე სირთულეები შეექმნა ჰანონსაც. მოკლედ, შექმნილი ვი-

თარება მეომარ მხარეებს რადიკალური ქმედებებისკენ უბიძგებდა. ორივე არმია საბრძოლველად გაემზადა. თავდაპირველად კართაგენელები შეეცადნენ რომაელები საბრძოლველად გამოეწვიათ. ჰანონი და ჰანიბალ გიკსო ფიქრობდნენ ერთდროულად დასხმოდნენ რომაელებს. ამისთვის ჰანონმა კიდევ შეუტია რომაულ ბანაკს, მაგრამ რომაელებმა იგი დაამარცხეს. წარუმატებელი დარჩა ჰანიბალის გიკსოს შეტევა. ჰანონის დამარცხების შემდეგ ჰანიბალის არმიამ იმავე ღამეს მიატოვა ქალაქი. რომაელები მხოლოდ პუნების არიერგარდს შეებრძოლენ, ქალაქი უბრძოლველად დაიკავეს და გაძარცვეს.

აგრიგენტუმთან ბრძოლის შემდეგ რომაელთა მხარე დაიკავა სიცილიის არაზღვისპირა ქალაქებმა. კართაგენის ჯარი მიმწყვდეული იყო კუნძულის დასავლეთ ნაწილში, სადაც მათ ჰქონდათ ძლიერი სამხედრო საზღვაო ბაზები - პანორმის, ლილიბეუმის და დრეპანას  სახით. ისინი ხმელეთიდანაც კარგად იყვნენ დაცული, ჰყავდათ ძლიერი გარნიზონი და ადვილადაც მარაგდებოდა საზღვაო გზით.

კუნძულზე რომაელთა შემდგომი წარმატებები უცილობლად ითხოვდა ძლიერი ფლოტის არსებობას. ომის დასაწყისისთვის რომაელებს არ ჰყავდათ ფლოტი და ძირითადში ისინი ტარენტელების ანდა ნეაპოლელთა ხომალდებით სარგებლობდნენ. ფლოტის შექმნის სირთულეს ჰქმნიდა გემების მშენებლობის ტრადიციის არ არსებობა. შექმნილ ვითარებაში მათ ყველა საშუალებით შესძლეს იტალიკების და პირველ რიგში სამხ. იტალიაში ბერძნულ ქალაქების მობილიზაცია. უკვე, ძვ.წ. 260 წლისთვის, რომაელებს ჰყავდათ 20 სამგემბანიანი და 100 ხუთგემბანიანი ფლოტი. ადმირალის მოვალეობა დაეკისრა გნეუს კორნელიუს სციპიონს (ძვ.წ. III ს.).


*საარბოდრაჟო ხიდი*

პუნები შესანიშნავი მეზღვაურები იყვნენ. მათ სწრაფმავალი ხომალდები ჰყავდათ და ამიტომაც ისინი ქედმაღლურად უყურებდნენ რომის ფლოტს. ძვ.წ. 260 წელს ლიპარიის კუნძულებთან გამართული საზღვაო ბრძოლა პუნთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ შესძლეს სციპიონის დატყვევებაც. გამარჯვებით გათამამებულმა პუნებმა იმავე წელს ამჯერად ქ. მილის მიდამოებში რომაელებს კვლავ გაუმართეს გენერალური ბრძოლა, მაგრამ მარცხი იწვნიეს. ბრძოლაში ტექნიკური სიახლეების -  საარბოდრაჟო

კაუჭების და ხიდების გამოყენებით, რომაელებმა წარმატებებს მიაღწიეს. ამ გამარჯვებით არსებითად დაიმსხვრა ზღვაზე პუნების უძლეველობის მითი.

ძვ.წ. 260-259 წლებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციები ცვალებად ხასიათს ატარებდა. რომაელები დაეუფლნენ მაკელას, რასაც მალევე მოჰყვა მათი მარცხი პაროპსა-ტერმას მიდამოებში. კუნძულის ჩრდილო-დასავლეში მოპოვებული გამარჯვებები მალე ჩაანაცვლა მათი მხრიდან ძვ.წ. 258 წელს პუნების ძირითადი ბაზის პანორმას მიდამოებში განცდილმა წარუმატებლობამ.

რიგ ბრძოლებში გამოვლენილმა სახმელეთო და საზღვაო წარმატებებმა, რომაელებს შესაძლებლობა მისცა სამხედრო ოპერაციები გაეტანათ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე - აფრიკაში. ამისთვის მათ შექმნეს 330 ხომალდიანი ფლოტი. თავის მხრივ, კართაგენელებიც შეეცადნენ წინ აღდგომოდნენ მათ გეგმებს. პუნების 350 ხომალდიანმა ექსკადრამ ძვ.წ. 256 წელს სამხ. სიცილიაში, ენკომის კონცხთან, რომაელებს ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ ისინი კვლავ დამარცხდნენ. რომაელებმა ჩაძირეს პუნების 30-ზე მეტი და ხელში ჩაიგდეს 64 ხომალდი.



*რომაელების აფრიკული კამპანია*

გამარჯვებით შეგულიანებულმა რომაელებმა აფრიკაში, ქ. კართაგენს მახლობლად, დესანტი გადასხეს. ისინი იმდენად იყვნენ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ ფლოტის და არმიის ნახევარი უკან გაიწვიეს. ამის მიუხედავად, ქ. ადისთან ბრძოლაში რომაელებმა კვლავ გაიმარჯვეს. კართაგენმა ზავი ითხოვა, მაგრამ რომაელთა სარდალმა მარკუს რეგულუსმა (ძვ.წ. III ს.) მათ იმდენად მძიმე პირობები წაუყენა, რომ მთელი ქალაქი შეიარაღდა. პუნებს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მხედართმთავარი სპარტანელი ქსანტიპე (ძვ.წ. III ს.).

ძვ.წ. 256-255 წლების ზამთარში ქსანტიპე საგანგებო უფლებებით დაინიშნა კართაგენელების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. კართაგენის ისტორიაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც უცხოელი ხელმძღვანელობდა პუნთა არმიას. სპარ-

ტანელმა გენერალმა მთელი ზამთარი კართაგენის არმიის წვრთნას მოანდომა. მან აამაღლა პუნთა საბრძოლო სული და ძვ.წ. 255 წლის საზაფხულო კამპანიისას, ტუნეტესთან (ტუნისი) ბრძოლაში, მან სასტიკად დაამარცხა რომაელები. ნუმიდიური კავალერიის და საბრძოლო სპილოების აქტიურად გამოიყენებით ბრძოლაში ქსანტიპემ ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვა. ბრძოლის ველზე თავისი მოკავშირეებიანად განისვენებდა 30 ათასი რომაელი. სამშვიდობოს გააღწია მხოლოდ 2 ათასმა, ტყვედ ჩავარდა 500 ჯარისკაცი. მათ შორის იყო სარდალი მარკუს ატილიუს რეგულუსი. ბუნებაც თითქოს კართაგენის მხარეზე იყო - ქარიშხალმა დაამსხვრია რომაელთა დასახმარებლად წამოსული ფლოტი. მთლიანობაში, ძვ.წ. 256/5 წლის კამპანია რომაელებისთვის წარუმატებლად დასრულდა. მათ დაკარგეს სტრატეგიული ინიციატივა, არმია და ფლოტი.

ძვ.წ. 255-242 წლებში მიმდინარეობდა ომის მეორე ეტაპი. ამჯერად სამხედრო ოპერაციები კვლავ სიცილიაში წარიმართა. გამარჯვების სასწორი ხან ერთ ხან მეორე მხარეზე იხრებოდა. ძვ.წ. 254 წელს რომაელები დაეუფლნენ პუნთა ერთ-ერთ მთავარ სიმაგრე პანორმას, მაგრამ ძვ.წ. 253 წელს ქარიშხალმა კვლავ გაანადგურა მათი ფლოტი. ვინაიდან სახელმწიფო ხაზინაში შესაბამისი სახსრები არ აღმოჩნდა, რომაელებმა ვერ შეძლეს ახალი ფლოტის შექმნა, ამის გამო მათ საზღვაო ბრძოლებე უარის თქმა მოუწიათ.


*პუნი ჰოპლიტი*

შედარებით წარმატებული იყო რომაელების ბრძოლები ხმელეთზე. ძვ.წ. 251 წელს ჰასდურბალმა კვლავ პანორმაზე მიიტანა იერიში, მაგრამ რომაელებმა იგი დიდი დანაკარგით უკუაქციეს. ამ გამარჯვებით გათამამებულმა რომაელებმა ზღვიდან და ხმელეთიდან ძვ.წ. 250 წელს იერიში მიიტანეს ლილიბეუმზე. ქალაქი რომაელებს გაუძალიანდა. დრო და დრო რომაელებს და კართაგენელებს შორის პატარა ბრძოლები იმართებოდა. ლილიბეუმში მყოფი პუნების დაქირავებულმა ჯარმა შეთქმულებით სცადა ქალაქის რომაელებისთვის გადაცემა, მაგრამ კართაგენელებმა იგი

ალკვეთეს. რომაელები პერმანენტულად ახერხებდნენ ლილიბეუმის საზღვაო კარიბჭის ბლოკირებას, მაგრამ პუნთა ფლოტის მეთაურმა ატარბალამ შესძლო ალყის გარღვევა და ქალაქში სურსათის და ჯარის დამატებითი კონტინგენტის შეყვანა. ლილიბეუმთან მიმდინარე ბრძოლებს უკვე აზრი არ ჰქონდა და რომაელებმა ქალაქს ალყა მოხსნეს.

ძვ.წ. 249 წელს რომაელებმა კვლავ სცადეს დრეპანასთან გაენადგურებინათ პუნების ფლოტი, მაგრამ უშუდეგოდ. მათი ზარალი დიდი იყო. რომაელების დანაკარგი იყო 93 გემი და 28 000 ჯარისკაცი. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ რომაული ფლოტის ნარჩენები კვლავ ქარიშხალმა მოსპო. იმავე წელს ფინტიუმთან რომსა და კართაგენელებს შორის კიდევ ერთი საზღვაო შეტაკება გაიმართა, რომელიც მეომარი მხარეებისთვის უშედეგოდ დასრულდა.


*ლეგიონერის აღკაზმულობა*

ძვ.წ. 248 წლიდან კართაგენის სახმელეთო ძალების მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. სიცილიაში მყოფ ჯარებს სათავეში ჩაუდგა ჰამილკარ ბარკა (ძვ.წ. ?275-229/8 წწ.). მან კუნძულის გარდა პარალელური საომარი ოპერაციები წამოიწყო აპენინის ნახევარკუნძულის სანაპიროზე და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

ამასობაში გაჭიანურებული ომი მძიმედ აისახა მეომარ მხარეებზე, თუმცა რომაელთა მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. ვინაიდან ისინი ფლობდნენ სიცილიის დიდი ნაწილს და ბლოკირებას უკეთებდნენ კუნძულზე კართაგენის უკანასკნელ დასაყრდენ პუნქტებს - ლილიბეუმს და დრეპანას. ასეთ ვითარებაში, რომაელებმა მიმართეს უკიდურეს ზომებს. მათ განსაკუთრებული გადასახადებით დაბეგვრეს მდიდარი მოქალაქეები და შემოსული თანხით შექმნეს 200 ხომალდიანი ფლოტი. ძვ.წ. 241 წელს ეგატის კუნძულებთან რომაელებმა სასტიკად გაანადგურეს კართაგენის ფლოტი. რომაელებმა მოქინააღმდეგის 50 ხომალდი ჩაძირეს, ხო-

ლო 70 გემი და 10 000 ჯარისკაცი ტყვედ იგდეს. გამარჯვებამ რომაელებს შესაძლებლობა მისცა ზღვიდანაც მოეხდინათ ლილიბეუმის და დრეპანას ბლოკირება, რომელთა დაუფლება უკვე მხოლოდ დროის საქმე იყო.

ეგატის კუნძულებთან დამარცხების შემდეგ კართაგენელებს აღარ შეეძლოთ სიცილიაში მყოფი არმიის შენახვა. მართალია ჰამილკარ ბარკა მათ აღჭურვეს განუსაზღვრელი უფლებებით, მაგრამ ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაკლებობის გამო იგი უძლური აღმოჩნდა შემდგომი საბრძოლო მოქმედებებისთვის. შექმნილ ვითარებაში კართაგენის გამოსავალი ზავი იყო და ძვ.წ. 241 წელს მეომარი მხარეები დაზავდნენ. საზავო პირობები მძიმე დარჩა პუნებისთვის. ისინი თმობდნენ სიცილიას, დაეკისრათ 10 წლის მანძილზე 3 200 ტალანტი ვერცხლის გადახდა (დაახლ. 84 ტონა ვერცხლი) და გამოსასყიდის გარეშე ყველა რომაელი ტყვეს დაბრუნება.



*ეგატის კუნძულები*

I პუნიკურ ომში მარცხმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა კართაგენი. იგი მნიშვნელოვნად დასუსტდა. ყოველივეს დაემატა ძვ.წ. 240-238 წლებში მიმდინარე მოქირავნეთა აჯანყება, რითაც ისარგებლეს რომაელებმა და დამატებით დაიპყრეს კართაგენის კუნძულები - კორსიკა და სარდინია. ასე დასრულდა I პუნიკური ომი. ომმა აჩვენა, რომ ამიერიდან დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში რომის სახით გამოჩნდა მსოფლიოს ახალი დამპყრობელი.

### *ომებს შორის შექმნილი სოციალ-პოლიტიკური ვითარება*

ძვ.წ. III ს. რომის პლებსმა ქვეყანაში დაიწყო მნიშვნელოვანი როლის თამაში, რამაც გაზარდა სახალხო კრების - ტრიბუნათა კომიციების მნიშვნელობა. ამიერიდან მათ დაიწყეს რომაული სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრა. რაც შეეხება არისტოკრატიულ სენატს, იგი თანდათან კარგავდა თავის პირვანდელ პოზიციებს. მაგ., ძვ.წ. 264 წელს როდესაც წყდებოდა პუნებთან ომის გამოცხადების საკითხი, უკანასკნელი სიტყვა სწორედ კომიციებში ითქვა. ანდა, ძვ.წ. 242 წელს, როდესაც რომის ხაზინაში გროში არ

იყო და ომის გაგრძელების საკითხი ჩიხში შევიდა, სწორედ რომაელი ხალხის ძალისხმევით აშენდა ახალი ფლოტი და მოხერხდა პუნებზე საბოლოო გამარჯვების მოპოვება.

ნობილიტეტის ინტერესების გამომხატველი და მსხვილი ლატიფუნდიების დამცველი სენატი თავშეკავებით ეპყრობოდნენ ზღვის იქითა ტერიტორიების დაპყრობის საკითხს. აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება კი ხერხდებოდა მხოლოდ სახალხო კრების მეოხებით. ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობით პლებსი ცდილობდა მიწის პრობლემის მოგვარებას. კართაგენთან საზავო პირობებზე მოლაპარაკებისას, სახალხო კრებამ, სიცილიაში სპეციალური კომისია გაგზავნა, რომელმაც პუნებთან დადებულ ხელშეკრულებაში დამატებითი მუხლების შეტანა მოითხოვა.

სახალხო კრებაში პლებსის პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდამ გამოიწვია ქვეყნის კიდევ უფრო დემოკრატიზაცია. პლებსთა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა გაიუს ფლამინიუს ნეპოტი (ძვ.წ. III ს.), რომელმაც კომიციებზე დაყრდნობით, ძვ.წ. 232 წელს, სენატის ნების წინააღმდეგ გაატარა კანონი, რომლითაც მოხდებოდა პლებსისთვის პიცენას ჩრდილო ნაწილში მდებარე მიწების დარიგება. ამით ფლამინიუსმა ხალხის თვალში უზარმაზარი ავტორიტეტი მოიპოვა. სენატის წინააღმდეგობის მიუხედავად იგი ორჯერ (ძვ.წ. 223 და 217 წწ.) აირჩიეს კონსულად, რაც აშკარად მიუთითებდა სახალხო კრების პოლიტიკურ ძალაზე.

*მოქირავნეთა აჯანყება*

I პუნიკურ ომში მარცხმა გაართულა კართაგენში შიდასოციალური ბრძოლა, რაც ძვ.წ. 240-238 წლებში გამოვლინდა მოქირავნეების აჯანყების სახით. იგი ასევე ლიბიური ომის სახელით არის ცნობილი.

მოქირავნეთა აჯანყება დაიწყო I პუნიკური ომის დასრულებისთანავე. კონტრიბუციის სახით რომისათვის 3 200 ტალანტი ვერცხლის გადახდა მძიმედ დააწვა ქვეყნის ბიუჯეტს. ხაზინა განიცდიდა ფულის დეფიციტს. ასეთ ვითარებაში კართაგენის მმართველმა ელიტამ გადადგა არასწორი სვლა. მათ მკვეთრად შეუმცირეს სიცილიიდან დაბრუნებული ჰამილკარ ბარკას დროშის ქვეშ მყოფ 20 000 მოქირავნეს ხელფასი. უნდა ითქვას, რომ მოქირავნეებთან მოლაპარეკებების ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დასრულდა. უკან არც კართაგენის მმართველი ფენა იხევდა და ისინი

ფულს არ იძლეოდნენ. ასეთ ვითარებაში მოქირავნეებმა იერიშით აიღეს ქ.ტუნეტი (ტუნისი), რითაც უშუალოდ მთავარ ქ.კართაგენზე შექმნეს პირდაპირი მუქარის საშიროება. მისთვის რთულ ვითარებაში, კართაგენის მმართველი ფენა დათმობებზე წავიდა და ივალდებულეს მოქირავნეებისათვის სახელფასო დავალიანების გადახდა.

ვიდრე მიდიოდა მოქირავნეებსა და კართაგენის მმართველ ფენას შორის მოლაპარაკებები, ამასობაში, აჯანყებულებში ლიდერებად დაწინაურდნენ ლიბიელი მატო და ბერძენი სპენდიუსი. მათ დაიწყეს აქტიურად პროპაგანდა, რომ მოქირავნეების სამშობლოში წასვლის შემდეგ, ადგილზე დარჩენილებს წამქეზებლების ბრალდებით თითქოს პუნები ყველას ამოხოცავდნენ. აგიტაციამ შედეგი გამოიღო. მოქირავნეებმა დარბიეს და დაატყვევეს თანხის გამცემი კომისიის ხელმძღვანელი ჰიკსოსი და ხაზინას დაეუფლნენ. მომენტის სიმძიმიდან გამომდინარე, მატომ და სპენდიუსმა, დაიწყეს თავისუფლების მიცემის იმედით ლიბიელების არმიაში გაწვევა. პოლიბიოსის მიხედვით, თითქოს, აჯანყებულებს მიემხრო 70 ათასი ლიბიელი და 2 ათასი ნუმიდიელი. უკვე, გაძლიერებულმა მოქირავნეებმა წამოიწყეს ქ. უტიკის და ქ. ჰიპაკრიტის ალყა, შემდეგ მათ დაამარცხეს ჰანონის არმია და დაეუფლნენ კუნძ. სარდინიას.



*მოქირავნეთა აჯანყების არეალი*

შექმნილ ვითარებაში კართაგენის სენატი რადიკალურ ნაბიჯებზე წავიდა. მათ მოიძიეს საჭირო სახსრები, შექმნეს ახალი არმია, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს ჰანონი და ჰამიკლარ ბარკა. აჯანყებულთა წინააღმდეგ უფრო წარმატებულად ჰამილკარი მოქმედებდა. მან მდ. ბაგრადთან დაამარცხა სპენდიუსის არმია. მარცხმა განხეთქილება შეიტანა აჯანყებულებს შორის. ნუმიდიელებმა უმალ დატოვეს მოქირავნეები და პუნების მხარე დაიკავეს. ასეთ ვითარებაში გამოჩნდა ჰამილკარ ბარკას დიპლომატიური ნიჭიც. მან არ დაიწყო ტყვეების დასჯა და მათ შესთავაზა კვლავ ჩამდგარიყვნენ კართაგენის სამსახურში. აჯანყებულებს ჰქონდათ შანსი შექმნილ ვითარებაში მშვიდობიანად დაეძვრინათ

თავი, მაგრამ მათი ბელადები საპირისპიროდ მოქმედებდნენ. გაუგონარი სისასტიკით მათ აწამეს ჰიკსოსი და 700-მდე პუნი. საპასუხოდ, ჰამილკარმაც გაამკაცრა აჯანყებულების მიმართ დამოკიდებულება.

ქ. უტიკის და სხვა ქალაქების გადასვლამ აჯანყებულთა მხარეზე კიდევ უფრო დაამძიმა კართაგენის მდგომარეობა. უტიკელები უფრო შორს წავიდნენ და რომის სენატს მიმართეს თხოვნით, რათა ისინი შეეყვანათ სამოკავშირეო ფედერაციაში. ჩანს, მიმდინარე მომენტისთვის რომისთვის პუნებისგან კონტრიბუციის მიღება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც უტიკელების თხოვნა უარყვეს და დაიწყეს კართაგენის მხარდაჭერა. ასევე პუნების მხარე დაიკავა სირაკუზის ტირანმა ჰიერონ II-მ. იგი ხვდებოდა, რომ კართაგენის დაცემა იმ მომენტისთვის გამოიწვევდა სირაკუზში დესტაბილიზაციას და ქალაქი უძლური გახდებოდა რომაელთა მხრიდან მომავალი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.



*ჰამილკარ ბარკა (მონეტა)*

აშკარა იყო, რომ აჯანყებულები ვერ გრძნობდნენ მომენტის სირთულეს და ქ. კართაგენის მიმართულებით მათ წამოიწყეს უშედეგო იერიში. თითქოს მათ უპირატესობები ჰქონდათ, მაგრამ ჰამილკარმა შესძლო აჯანყებულების უკუქცევა, ტოპორას ხეობაში შეტყუება და  ალყაში მოქცევა. აჯანყებულთა მხრიდან ალყის გარღვევის ყოველგვარი ცდა წარუმატებლად დასრულდა და ისინი დანებდნენ. ამ გამარჯვებით მოქირავნეებთან ბრძოლაში ინიციატივა უკვე კართაგენის მხარეზე იყო და პუნებმაც დაიწყეს ლიბიურ ქალაქებში წესრიგის აღდგენა. დარჩენილ მოქირავნეთა ნაწილი, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ქ.ტუნეტში გამაგრებული მატო თითქოს წარმატებით ომობდა პუნების წინააღმდეგ, მაგრამ ჰამილკარის არმიასთან ბრძოლაში იგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. გამარჯვებულმა პუნებმა ქ. უტიკა და ქ. ჰიპაკრიტი იერიშით აიღეს და მიწასთან გაასწორეს. მოქირავნეებთან ომი კართაგენელების გამარჯვებით დასრულდა.

მოქირავნეთა აჯანყების დასრულების შემდეგ რომმა შეცვალა დამოკიდებულება კართაგენის მიმართ. მათ პუნებისგან მოითხოვეს კუნძ. სარდინიას დათმობა. შინაომით დაუძლურებული

კართაგენი იძულებული იყო მიეღო რომაელთა მოთხოვნა. გაფორმებული ზავით პუნები თმობდნენ კუნძ. სარდინიას და რომაელთა სასარგებლოდ იხდიდნენ 1200 ტალანტ კონტრიბუციას.

### *კლავდიუსის კანონი და ომი გალებთან*

ძვ.წ. 218 წელს სახალხო ტრიბუნმა კლავდიუსმა (ძვ.წ. III ს.) წამოაყენა კანონი რომელითაც აიკრძალა სენატორების მხრიდან ლეგალური ვაჭრობა და ისინი უნდა დაკავებულიყვნენ სასოფლო სამეურნეო საქმიანობით. რაც შეეხება ვაჭრობას, მევახშეობას და სხვადასხვა ფინანსური საქმიანობას იგი უნდა გადასულიყო მხედართა ფენის ხელში. აღნიშნული კანონით რომაულმა ნობილიტეტმა მგრძნობიარე დარტყმა მიიღო.

ძვ.წ. III ს. მიწურულს რომის მილიტარისტულ პოლიტიკაში კვლავ მწვავედ დადგა ჩრდ. იტალიაში მდ. პოს ხეობაში მყოფ გალთა წინააღმდეგ წარმოებული ომი. ნობილიტეტს ამ საქმეში მას ზურგს უმაგრებდა პლებსი და მხედრების ფენა. მდ. პოს ხეობის დაპყრობა განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით. ჯერ ერთი, რომაელების ხელში აღმოჩნდებოდა მდიდარი დაბლობი, რითაც მოხერხდებოდა მეთემე გლეხისთვის მიწის მიცემით დროებით ქვეყანაში აღნიშნული პრობლემის მოხსნა და მეორეც, ჩრდილოეთიდან მოიხსნებოდა რომზე თავდასხმის საშიშროება. არადა, ზურგის გამაგრების გარეშე უაზრო იყო კართაგენთან შემდგომი ბრძოლის წარმოება.



*ლეგიონერები (ბარელიეფი)*

ჩრდ. იტალია, იგივე ციზალპიური გალია, ძვ.წ. III ს. დასახლებული იყო სხვადასხვა კელტი ტომებით. მდ. პოს გაღმა და ზემო წელში სახლობდნენ ლაიები და ლემენები, ზღვასთან ახლოს ინსუბრები და ცენომანები, მდინარის სათავიდან ზღვისკენ გაბნეული იყვნენ ბოიების, ლინგონთა და სენონთა ტომები. მარადიული თოვლით დაფარული ალპების მიუხედავად, ციზალპელ გალთა ყველა ტომს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტრანსალპიელებთან და რომზე თავდასხმებში ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას. მაგ., ძვ.წ. 238 წელს ბოიებმა მოიწვიეს ტრანსალპიელი ჰეზიტები და I

პუნიკურ ომში დასუსტებულ რომზე ლაშქრობა მოაწყვეს. რომაელთა საბედნიეროდ მაშინ გალებმა ურთიერთშორის წაიჩხუბნენ, რითაც აცილებული იქნა ბევრი უსიამოვნება.

ძვ.წ. 232 წელს, რომ რომაელების მხრიდან ე.წ. „გალურ ველზე“ კოლონიის გამოყვანით უკმაყოფილო გალები კვლავ გაერთიანდნენ და აპენინის გადალახვით რომისკენ ილაშქრენ. ძვ.წ. 225 წელს ტელამონთან გამართულ ბრძოლაში კელტები ალყაში აღმოჩნდნენ და სასტიკად განადგურდნენ. წარმატებამ მხნეობა შემატა რომაელებს და ამჯერად მათ დაიწყეს მდ.პოს ხეობაში მყოფი გალების ვრცელი ტერიტორიის ოკუპირება.

*კართაგენის აგრესია იბერიაში*

I პუნიკურ ომში მარცხმა კართაგენის დღის წესრიგში დასვა რომთან შემდგომი ბრძოლის ახალი საშუალებების ძიება. ომმა მოშალა კართაგენის ფინანსური მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში, კართაგენის, ხოლო შემდგომ რომის აგრესიის ორბიტაში მოექცა მაშინდელი სამყაროსათვის ნაკლებად ცნობილი იბერიის, იგივე პირენეის ნახევარკუნძული.

რომაელებთან ომში მარცხის და მოქირავნეთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, კართაგენში, შიდაპოლიტიკური ვითარება გაამწვავა ორი გავლენიანი პირის - ჰანონ დიდის (ძვ.წ. III ს.) და ჰამილკარ ბარკას დაპირისპირებამ. ამ კლანური დაპირისპირების მიზანი იყო ქვეყნის მომავალი განვითარების გზის ძიება. ასეთ ვითარებაში, საერთო რეალობიდან გამომდინარე, ჰანონმა, მოითხოვა აფრიკის სიღრმეში აგრესიის გაფართოების და იქ მტკიცე დასაყრდენის შექმნა. იგი მიიჩნევდა, რომ კართაგენის ძლიერების საფუძველი უნდა ყოფილიყო აფრიკა, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებდა მის ისტორიაში.

საწინააღმდეგო პოზიცია განავითარა ჰამილკარ ბარკამ. ბარკიდები („ელვა“) კართაგენში ცნობილი კლანის წევრი იყო. ძვ.წ. III ს-თვის მათ მყარი პოზიციები ეკავათ ქვეყნის მმართველ ოლიგარქიაში. ბარკიდებმა განჭვრიტეს, რომ ხმელთაშუა ზღვაში რომის ტერიტორიული ზრდა კართაგენის კომერციულ ძალაუფლებას საშიშროებას შეუქმნიდა, ამიტომაც ისინი აქტიურად ჩაებნენ რომაელებთან მიმდინარე ომებში. ჰანონისგან განსხვავებული ჰამილკარმა საპირისპირო აზრი განავითარა. მან გაითვალისწინა

განვლილი ომის გაკვეთილები და მიხვდა, რომ აპენინის ზღვისპირა ქალაქების და კუნძ. სიცილიის დაუფლებით, რომმა არსებითად კართაგენს წაართვა ყველა უპირატესობები. პირველ ომში კართაგენი დამარცხდა რომაელებთან არა ხმელეთზე, არამედ ზღვაზე. აქედან გამომდინარე პუნი პატრიოტები ჰამილკარის მეთაურობით რომთან მიმართებაში ახალი სტრატეგიული გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. მაშასადამე, უნდოდა თუ არა კართაგენს არსებობა და მომავალი გამარჯვებები, მას ყველაზე ადრე უნდა შეექმნა შესანიშნავი სახმელეთო ჯარი და ამით უმთავრესი დარტყმა უნდა მიეყენებინა რომისთვის მისი ძლიერების ცენტრში. ჰამილკარის აზრით, ამისათვის შესანიშნავ პლაცდარმად ვარგოდა პირენეის (იბერია) ნახევარკუნძული. არსებითად, ესპანეთს უნდა დაეჭირა კართაგენის ცხოვრებაში დაკარგული სიცილიის ადგილი. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ იმ მომენტისთვის პირენეის ნახევარკუნძული რომაელების ინტერესის სფეროში არ შედიოდა და შესაბამისად არც იყო მოსალოდნელი რომთან შეტაკება. ჰქონდა რა დიდი გავლენა კართაგენის ოლიგარქიაში, ჰამილკარმა სენატი მოისყიდა, ჰანონი გზიდან ჩამოიშორა და ამით გადაწყდა ლაშქრობების ესპანური ეპოპეის დაწყება.

ძვ.წ. 237 წელს ჰამილკარ ბარკამ დაიწყო პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობის გეგმის განხორციელება, რითაც დაიწყო რომის წინააღმდეგ მომავალი, მეორე ომის ფარული სამზადისი. ამიტომაცაა, რომ ანტიკური ტრადიცია II პუნიკური ომის წამომწყებად მიიჩნევდა არა ჰანიბალს, არამედ ჰამილკარ ბარკას.

კართაგენელთა აგრესიამდე პირენეის ნახევარკუნძულზე არ არსებობდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. იქ მცხოვრებ ტომთა სპექტრი ჭრელი იყო. პუნებს წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ იბერ ტომთა გაერთიანებამ, რომლებსაც ისტოლატი და ინდორტი მეთაურობდნენ. მაგრამ პირველის დაღუპვამ და მეორის ტყვედ ჩავარდნამ, იბერთა ნაწილი აიძულა უომრად გადასულიყვნენ პუნების მხარეზე.

ჰამილკარ ბარკას ესპანურმა კამპანიამ იმთავითვე შეშფოთება გამოიწვია რომში. ძვ.წ. 231 წელს ჰამილკართან გაიგზავნა ელჩობა, მაგრამ მან დაარწმუნა რომაელები, რომ იბრძოდა ძვ.წ. 241 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონტრიბუციო თანხის შესაგროვებლად. ჩანს, პასუხმა რომაელები დააკმა-

ყოფილა და ჰამილკარმაც განაგრძო ესპანეთის ძარცვა-დაპყრობა. იბერიაში მოღვაწეობის ცხრა წლის თავზე, ძვ.წ. 229/8 წელს, ჰამილკარი ქ. ილიცესთან ბრძოლაში დაიღუპა. არადა, ისტორიკოსი ლივიუსი სწორად შენიშნავდა, რომ დაცლოდა ჰამილკარს პუნები მისი მეთაურობით შეიჭრებოდნენ იტალიაში. ფაქტია, რომ მისმა სიკვდილმა კარგა ხნით გადადო კართაგენელთა იტალიაში ლაშქრობა.

ჰამილკარ ბარკას სიკვდილის შემდეგ, პუნთა არმიის მოთხოვნით, კართაგენის სენატმა ესპანეთში მოქმედი ჯარების მთავარსარდლად დანიშნა ჰასდრუბალი (ძვ.წ. ?-221 წწ.). იგი ჰამილკარის სიძე იყო და სიმამრთან შედარებით კიდევ უფრო მოქნილი პოლიტიკის მომხრე. ჰასდრუბალი უფრო ჭკუას ეყრდნობოდა ვიდრე იარაღის ძალას. იგი ეძიებდა კართაგენისთვის მოკავშირეებს, იმეზობლებდა სხვადასხვა მეფეებსა თუ ბელადებს. პოლიტიკური მოსაზრებით ჰასდურბალი დაქორწინდა იბერთა ერთ-ერთი ტომის ბელადის ქალიშვილზე. მასვე მიეწერება ძვ.წ. 227 წელს ნახევარკუნძულზე პუნების ძირითადი სამხედრო ბაზა - ახალი კართაგენის (თან. კარტახენა) დაარსება. ახალი კართაგენი ესპანეთში ბარკიდთა მთავარ ქალაქად იქცა.



*მდ. ებროს ხეობა*

ახალ კართაგენს შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა. ყურე რომლის შიგნითაც იგი მდებარეობდა ყველაზე მოხერხებული იყო ესპანეთის სამხ. აღმოსავლეთ სანაპიროზე. ზღვაში ინტენსიურად მიდიოდა სკუმბრიის რეწვა. მეორეს მხრივ, ქალაქის მახლობლად იყო ტბა, რომელიც ყურესთან ხელოვნური არხებით იყო შეერთებული. ზღვის გარდა ახალი კართაგენი ბუნებრივი საფარის სახით შემოსაზღვრული იყო ბორცვებით. ქალაქს ჰქონდა კარგი კომუნიკაციები აფრიკასთან, იტალიასთან და ესპანეთის შიდა რაიონებთან. მიმდებარე ტერიტორია გამოირჩეოდა წიაღისეული საბადოებით (ვერცხლი...). გადმოცემით, ახალ კართაგენში ზამთრობით ყვაოდა ვარდები. ყოველივეს ბუნებრივია არ შეეძლო არ მიეპყრო პუნების და შემდგომ რომაელთა ყურადღება.

ესპანეთში კართაგენის სამფლობელოს გაფართოებამ, ძვ.წ. 226 წელს, გამოიწვია რომთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება. ამჯერად, სადერმაკაციო საზღვრად დაწესდა მდ. ებრო.

ჰასდრუბალის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. ძვ.წ. 221/220 წელს, პირადი მტრობის ნიადაგზე, არმიის თვალწინ ერთ-ერთმა კელტიბერმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. მკვლელი შეიპყრეს, მაგრამ მას თავი ცინიკურად მაშინაც ეჭირა, როდესაც აწამებდნენ. ჰამილკარ ბარკას და ჰასდურბალის ესპანური ეპოპეის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ პირენეის ნახევარკუნძულზე პუნების 16 წლიანი ომების შედეგად, ძვ.წ. 236-221/220 წლებში, ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი დაემორჩილა კართაგენის ბატონობას.

კართაგენის ესპანური არმია კვლავ მწვავედ გამოეხმაურა ახალი მთავარსარდლის დანიშნის საკითხს. მათი მოთხოვნით იგი უნდა ყოფილიყო ჰამილკარ ბარკას იდეების გამგრძელებელი მისი უფროსი ვაჟი, რომის დაუძინებელი მტერი ჰანიბალი. არმიის მოთხოვნას კართაგენის სენატი დაჰყვა და ესპანეთში მოქმედი პუნების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო გენერალი – ჰანიბალი (ძვ.წ. 247-183/2 წწ.).


პუნი ჰოპლიტი

ჰანიბალის ბავშვობის წლები ლეგენდით არის მოსილი. ტრადიციით, თითქოს იგი ცხრა წლის იყო, როდესაც მამამ საკურთხეველთან მიიყვანა, უბრძანა ხელით შეხებოდა ზვარაკად შეწირული საქონლის შიგანს და დაედო ფიცი, რომ სამარადისოდ იქნებოდა რომაელთა მტერი, რაც მან კიდეც შეასრულა. ჰამილკარ ბარკას გარდაცვალებისას ჰანიბალი თვრამეტი წლის ასაკში ცხენოსანთა არმიის მეთაური იყო, ხოლო 26 წლისა კი არმიის გენერალი.

ჯარს ჰანიბალი ძლიერ უყვარდა. მისებს არცერთ მეთაურს არ შეეძლო მეომრებში ნდობისა და მამაცობის შთანერგვა. იგი იყო შესანიშნავი მეომარი და არაადამიანურად მკაცრიც. მისთვის არ არსებობდა არავითარი ჭეშმარიტება, სიწმინდე, ღმერთების შიში და არაფრად უღირდა ფიცის გატეხვა. აპიანეს ცნობით,

ჰანიბალმა იცოდა, რომ რომთან ომის მოგების შემთხვევაში უკვდავის სახელს მოიხვეჭდა და კართაგენს გადააქცევდა მსოფლიოს მბრძანებლად, ხოლო მარცხის შემთხვევაშიც მისი წამოწყება მას მაინც დიდ სახელს მოუხვეჭავდა.

ჰანიბალმა გააგრძელა ესპანეთის დაპყრობის საქმე. დაამარცხა ოლკადები, ვაკცები, კარპეტანელები და სხვ. ძვ.წ. 219 წელს მან დაარღვია რომთან დადებილი ადრინდელი ხელშეკრულება, გადალახა მდ.ებრო და ესპანეთის ყველაზე მდიდარ და ხალხმრავალ ქ. საგუნტს ალყა შემოარტყა. საგუნტელებმა დახმარება რომს თხოვეს, მაგრამ სენატმა ორჭოფული პოზიცია დაიკავა. სენატორთა ნაწილმა  დახმარება უარყო იმ მოტივით, რომ ძვ.წ. 226 წლის ხელშეკრულებაში თითქოს საგუნტი არ იყო აღნიშნული რომის მოკავშირე ქალაქად. მაშასადამე, რომაული ლოგიკით, საგუნტელები თავისუფლები არიან მაშინაც, როდესაც ალყაში იყვნენ მოქცეულები. აშკარა იყო, რომ რიგი მიზეზების გამო იმ მომენტში რომაელებს ხელს არ აძლევდათ ჩარეულიყვნენ ესპანეთის საქმეებში. მათ დაძაბული მდგომარეობა ჰქონდათ  ილირიასთან, მოსალოდნელი იყო ციზალპიელი გალების თარეში. ასეთ ვითარებაში რომაელთათვის დროებით საჭირო იყო ძვ.წ. 226 წლის ხელშეკრულების შენარჩუნება.



*ჰანიბალი*



*რომი და კართაგენი – ძვ.წ. 218 წ.*

თავისუფალ ქალაქად საგუნტის დატოვება მიუღებელი იყო კართაგენის ინტერესებისთვის. ქალაქს სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მისი დაუფლებით მყარდებოდა კონტროლი ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. ამ შემთხვევაში კართაგენმა რომს დაასწრო. ფაქტია, რომ სენატის უნიათობამ, საგუნტის საქმეში მისმა ჩაურევლობის პოლიტიკამ, გამოიწვია პუნების მხრიდან ქალაქის დაპატრონება. არადა, რო-

მაელების მხრიდან პროტესტი იქნებოდა საგუნტელებისთვის დახმარება და ამით შესაძლოა იტალიაში ჰანიბალის ლაშქრობა არც შემდგარიყო.

უნდა ითქვას, რომ საგუნტის მსგავსი წინააღმდეგობა პუნებისთვის არც ერთ ქალაქს არ გაუწევია. ალყა 8 თვეს გაგრძელდა და შიმშილით სიკვდილს საგუნტელებმა იარაღით ხელში დახოცვა ამჯობინეს. მათ გააღეს ალყაფი და ერთიანად შეაკვდნენ პუნებს.

კართაგენის ესპანური ეპოპეის შეფასების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე ბრძოლებს ჰქონდა პოლიტიკური და სტრატეგიული შედეგები. უპირველესად, პუნთა წარმატებებმა დაანახვა ყველა მის მოკავშირეებს, რომ ძალა ამჯერად კართაგენის მხარეზე იყო. ამასთან, ამ გამარჯვებებმა კართაგენის არმიას საკუთარი ძალის რწმენა შემატა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა I პუნიკურ ომში დამარცხების შემდეგ. ამის გარდა, პირენეის ნახევარკუნძულზე რომაელებმა დაკარგეს ძლიერი მოკავშირე, რამაც კართაგენის არმიას მისცა გარანტია გაემაგრებინათ თავისი პოზიციები. და რაც მთავარია, საომარმა მოქმედებებმა აიძულა რომაელები ყურადღება გადაეტანათ სხვა მიმართულებით და დაექსაქსათ თავიანთი ძალები.

ჰანიბალი დიდების ზენიტში იყო და კართაგენის სენატმა მას მიანიჭა უფლება, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ განეხილა რომთან მომავალი ურთიერთობების საკითხი. ჰანიბალმაც არ დააყოვნა და ძვ.წ. 218 წელს მან წამოიწყო ახალი ომი, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა კართაგენის ისტორიაში. მაშ, დაიწყო ლაშქრობა „მარადიულ ქალაქზე“.

*ლაშქრობა რომზე*

საგუნტის მნიშვნელობა რომმა მისი დაცემის შემდეგ გააიზრა და მათ ხელახლა გაგზავნეს ელჩობა კართაგენში. მათი მიზანი იყო ჰანიბალის დასჯა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ომით იმუქრებოდნენ. ლივიუსს დაცული აქვს კართაგენის სენატში გამართული მოლაპარაკების საინტერესო პასაჟი, როდესაც კვინტუს ფაბიუსმა თავისი ტოგას კალთები აიკეცა და პუნებს მკვახედ განუცხადა:

- „შეხედეთ ამ ტოგაში მიძევს ომი და მშვიდობა, რომელიც თქვენ ჩამოგიტანეთ. აირჩიეთ! არანაკლებ უკმეხი იყო პუნთა პასუხიც.

- რაც გსურს ის მოგვეცი!

- მაშინ ომს გარგუნებთ! განაცხადა რომაელმა და აკეცილ კალთას ხელი გაუშვა. ყველამ ერთბაშად შესძახა - ვღებულობთ და ვიბრძოლებთ ისეთივე შემართებით როგორითაც მივიღეთ თქვენი ძღვენი“!

ორივე მხარემ ბედი ომის ღმერთს მიანდო.

ნიშანდობლივია, რომ ჰანიბალმა გაითვალისწინა სიცილიის მხრიდან რომაელთა მოსალოდნელი თავდასხმა, ამიტომაც იქ ძლიერი სადარაჯო რაზმები ჩააყენა. ესპანეთის კურირება და უმაღლესი მთავარსარდლობა მან თავის ძმა ჰასდრუბალს (ძვ.წ. ?-207 წწ.) გადააბარა. მასვე დაევალა საჭიროებისამებრ აპენინის ნახევარკუნძულზე რომაელების წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ფრონტის გახსნა.

ჩანს, რომაელებს გარკვეული ინფორმაციები ჰქონდათ კართაგენელების მხრიდან საომარი სამზადისის თაობაზე. თავის დაზღვევის მიზნით რომიდან ესპანეთში ორი ლეგიონით და 16 ათასი მოკავშირით გაიგზავნა კონსული კორნელიუს სციპიონი, ხოლო აფრიკაში ორი ლეგიონით და 160 ხომალდით მეორე კონსული ტიბერიუს სემპრონიუს ლონგინუსი (ძვ.წ. III ს.).



*ჰანიბალი (ლუვრი)*

ძვ.წ. 218 წლის გაზაფხულზე ჰანიბალი დაახლ. 100 ათასიანი (90 ათასი ქვეითი 12 ათასი ცხენოსანი) და 40-მდე სპილოსგან შემდგარი არმადით პირენეის მთების, გალიისა და ალპების გავლით იტალიისკენ დაიძრა. იგი დიდ იმედებს ამყარებდა აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ არარომაელ მოსახლეობაზე. მისი ვარაუდით, იტალიაში კართაგენის არმიის გამოჩენა ადგილობრივ მოსახლეობაში ანტირომაულ განწყობილებას გააღვივებდა.

ვიდრე არმია ესპანეთში იმყოფებოდა ჰანიბალი მეომრებს ლაშქრობის გეგმას არ აცნობებდა. ალპებთან მიახლოებამ იგი აიძულა ჯარისკაცებისთვის საიდუმლო გაემჟღავნებინა, რამაც გამოიწვია იბერ მეომართა ნაწილის უკმაყოფილება. დაახლ. 3 ათასმა კარპეტანმა თვითნებურად მიატოვა არმია. ჯარის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, ჰანიბალმა, მათ 7 ათასი მერყევი იბერიც

მიაყოლა. ამის შემდეგ პუნებმა გზა განაგრძეს. ერთობ გართულდა მდ. როდანუსის გადალახვა. იქ მცხოვრები ვოლსკები პუნებს მტრულად შეხვდნენ. ჰანიბალმა იქაც იპოვა გამოსავალი. სარდალ ჰანონს დაევალა ევლო მდინარის აღმა, შეუმჩნევლად გადაელახა იგი და მტრის ზურგში მოქცეოდა. ვოლსკებმა ვერ გაუძლეს პუნების მხრიდან ორმხრივ შემოტევას და წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

ამასობაში, პუბლიუს კორნელიუს სციპიონი (ძვ.წ. 260-211 წწ.) ქ. მასილიას მიუახლოვდა. იგი პირენეის ნახევარკუნძულზე გეგმავდა წინ აღდგომოდა ჰუნებს, მაგრამ მისთვის ნათელი გახდა ჰანიბალის გეგმა. ასეთ შემთხვევაში კონსული ვალდებული იყო სამშობლოს დასაცავად ეზრუნა. მან ლეგიონების ნახევარი თავის ძმას - გნეუს ჩააბარა და ესპანეთში ლაშქრობის გაგრძელება დაავალა, ხოლო თვითონ სასწრაფოდ რომში დაბრუნდა, რათა იტალია მტერთან შესახვედრად მოემზადებინა.

*ალპების ფორსირება*

ამასობაში, კართაგოს არმია ალპებს მიუახლოვდა. მაშინდელი აზროვნებისთვის ალპების ფორსირება წარმოუდგენლად იყო მიჩნეული. ამიტომაც საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით ჰანიბალმა არმიას სიტყვით მიმართა: „ახლა როდესაც გზის უმეტესი ნაწილი მოვიტოვეთ... ნუთუ ახლა, როდესაც ალპების წინაშე ვდგავართ რომლის გადაღმა იტალიაა, ზედ მტრის კარიბჭესთან ღონემიხდილი უნდა შევჩერდეთ. განა რას წარმოადგენს ეს ალპები... არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი მწვერვალი ცას რომ სწვდებოდეს და ადამიანისთვისაც მიუდგომელი იყოს... ჩვენი მიზანია რომი მთელი სამყაროს დედაქალაქი და ნუთუ შევუშინდებით მსხვერპლს, ტანჯვა-წვალებას და მიზანზე უარს ვიტყვით... გახსოვდეთ, რომ ჩვენი გზა დასრულდება მარსის მინდორზე ტიბრსა და რომის გალავანს შორის“.



*კოლა დელა ტრავერსეტის გადასასვლელი*

უნდა ითქვას, რომ არმიისადმი ჰანიბალის მიმართვამ შედეგი გამოიღო და პუნებმა დღევანდელი კოლა დელა ტრავერსეტის გადასასვლელით დაიწყეს ალპების ფორსირება. რაც უფრო მაღლა მიდიოდნენ ჰუნები ადგილობრივ მთიელ ტომთა აქტიურობა

მით უფრო იზრდებოდა. პუნები დიდი მსხვერპლის ფასად მიაკვლევდნენ გზას. თვით ჰანიბალი ფეხის ყოველ გადადგმაზე ჯარისკაცებს მამაცობის მაგალითს აჩვენებდა. სექტემბრის ბოლოსთვის პუნებმა ჩაათავეს ალპების უკანასკნელი საფეხური და მდ.-პოს ხეობაში გავიდნენ. ახალი კართაგენიდან მდ. პომდე, დაახლ. 1600 კმ მანძილი, პუნებმა ხუთ თვეში გაიარეს. აქედან უშუალოდ ალპების ფორსირებას დასჭირდა 15 დღე. 100 ათასიანი არმიიდან იტალიას მიაღწია 26 ათასმა. განახევრებული არმია ჰანიბალმა მდ. პოს ხეობაში მცხოვრები გალებით შეავსო.

იტალიაში ჰანიბალის უეცარმა გამოჩენამ რომში პანიკა გამოიწვია. მაშინ ამბობდნენ: ჰანიბალმა გადმოლახა მარადიული თოვლით შემოსილი ალპების მწვერვალები და იტალიას ზეციდან მოევლინაო. ერთბაშად რომის ხელისუფლებას უამრავი საზრუნავი გაუჩნდა. სენატმა სასწრაფოდ უკან გაიწვია სიცილიაში მყოფი მეორე კონსული ლონგინუსი.

*პირველი გამარჯვებები*

ძვ.წ. 218 წლის ოქტომბერში მდ. ტიცინუსის ნაპირზე გაიმართა რომაელებსა და ჰუნებს შორის პირველი შეტაკება. პირისპირ იდგნენ პუბლიუს სციპიონი და ჰანიბალი. განსხვავება იყო სარდლების სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის. სციპიონი დიჯად ცდილობდა შეეკრა რომისაკენ მიმავალი გზები, ხოლო ჰანიბალი კი სწრაფი მოქმედებით მიისწრაფოდა რომაელებისთვის არ მიეცა ამოსუნთქვის საშუალება. ბრძოლის წინ ჰანიბალმა ტყვე გალ გლადიატორთა შერკინება გამართა, შემდეგ კი არმიას სიტყვით მიმართა: „ჩვენ ზურგს უკან ალპებია წინ კი ბობოქარი პადუსი. პირველსავე ბრძოლაში ან უნდა გავიმარჯვოთ ან დავიხოცოთ. სხვა გამოსავალი არ არის. გამარჯვებულს ბედი გაუგონარი საჩუქრებით აავსებს... თუ ბედის სასწორი მტრისკენ გადაიხარა, მაშინ მაგ ბრძოლაში უნდა ვეძებოთ სიკვდილი და არა გაქცევაში ხსნა“.



*ძირითადი ბრძოლების არეალი*

ბრძოლა კართაგენელებმა დაიწყეს. მათ ელვისებურ დარტყმას ბრძოლის საკუთარი ტაქტიკა რომაელებმა ვერ დაუპირისპირეს. ნუმიდიელი ცხენოსნებმა აშკარად დაჯაბნეს რომაული კავალერია და „მგლის ნაშიერები“ ალყაში მოაქციეს. უკანასკნელები თავს დამარცხებულად არ თვლიდნენ, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში სციპიონი დაიჭრა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. სციპიონი გრძნობდა, რომ არმიის გადარჩენაზე უნდა ეზრუნა, ამიტომაც ლაშქარი სასწრაფოდ აყარა, მთელი ღამე ატარა და თავი ქ.პლაცენციას შეაფარა.

პუნებმა ტიცინიუსის ველზე დიდი მორალური გამარჯვება მოიპოვეს. უკვე მათ მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზეს ციზალპიელი გალების ნაწილმა. ეს კი ნიშნავდა, რომ თანდათან, ანტირომაულმა კოალიაციამ დაიწყო ფრთების გაშლა. ჰანიბალი ჩქარობდა. იგი გენერალური ბრძოლის გამართვას ესწრაფვოდა. გრძნობდა, რომ დაყოვნება რომს მდგომარეობიდან გამორკვევის საშუალებას მისცემდა. საერთოდ, ჰანიბალის, როგორც სარდლის თვისება იყო მისი სამხედრო სივერაგე, რომელმაც შემდგომში მრავალჯერ შეიყვანა რომაელები შეცდომაში.

ამასობაში, ჩრდ. იტალიას მოაღწია მეორე კონსულმა - სემპრონიუს ლონგინუსმა. მან ტრებიასთან შეიერთა სციპიონის არმიის ნაშთები. შეუსვენებელი მარშისგან ლონგინუსის ლეგიონები დაღლილი იყვნენ. ამას ისიც დაემატა, რომ სციპიონი არ გამოჯამრთელებულიყო. ამიტომაც უმაღლესი მთავარსარდლობა მეორე კონსულმა - ლონგინუსმა იკისრა.

დეკემბრის დასაწყისში კართაგენის არმია მდ. ტრებიას მიადგა. ჰანიბალის გეგმით კავალერია განთიადისას უნდა დასხმოდა რომაელთა ბანაკს, ხოლო როდესაც ბრძოლა გახურდებოდა, ნელ-ნელა უკან უნდა დაეხიათ და რომაელებიც უნდა გამოეტყუებინათ. ბრძოლა პუნების გეგმით წარიმართა. კულმინაციურ მომენტში რომაელებს ზურგიდან დაარტყა ჩასაფრებულმა კართაგენის არმიის ნაწილმა, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. რომაელები გაათკეცებული ძალებით იბრძოდნენ, მათ შეძლეს სპილოების უკუქცევაც, მაგრამ ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. რომაელთა მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ მათ მდინარის უკან გადმოსალახად ძალა აღარ ეყოთ. 36 ათასი მეომრიდან კართაგენელთა ალყა გაარღვია და ქ. პლაცენციას თავი 10 ათასმა რომაელმა შეაფარა.

ზარალი განიცადა ჰანიბალმაც. რაც მთავარია მან დაკარგა თითქმის ყველა სპილო, მაგრამ გამარჯვების ნაყოფის ფასი განუზომლად დიდი იყო. ტრებიას შემდეგ მთელი ციზალპიური გალია რამოდენიმე უმნიშვნელო ტომის გამოკლებით ჰანიბალის მხარეზე გადავიდა.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ რომი საყოველთაო შიშმა მოიცვა. ყოველ წუთს მოელოდნენ „მარადიული ქალაქთან“ ჰანიბალის გამოჩენას. შიშს ისიც აძლიერებდა, რომ რომაელთა წარმოდგენით ორგზის დამარცხებული და დემორალიზებული არმია ქალაქის დაცვას ვეღარ შესძლებდა. ამიტომ ძვ.წ. 217 წლისათვის კონსულებად არჩეულ გნეუს სერვილიუსს (ძვ.წ. III ს.) და გაიუს ფლამინიუსს (ძვ.წ. ?-217 წწ.) დაევალა ახალი არმიის შეკრება და მტერთან ანგარიშსწორება. ძვ.წ. 217 წლის გაზაფხულზე ჰანიბალი აპენინის მთებით შუა იტალიისკენ დაიძრა. რომი მარცხის შემდეგ მალე გამოერკვა. ახლად არჩეული კონსულები დაუყოვნებლივ გაემართნენ ჩრდილოეთისაკენ, შეიერთეს სციპიონის და ლონგინუსის ნარჩენი ლეგიონერები და აპენინის მთების გადასასვლელების ჩაკეტვას შეუდგნენ.

ცენტრალურ იტალიაში შესვლა შეიძლებოდა არეციისა და არიმინუმის გზებით. შესაბამისად, ფლამინიუსი არეციაში დაბანაკდა, ხოლო სერვილიუსი არიმინუმში. ყოველგვარი ლოგიკით ჰანიბალი ამ გზებით უნდა შესულიყო შუა იტალიაში, ამიტომ სრულიად უყურადღებოდ დატოვეს კონსულებმა ეტრურიაში მდ. არნოს ჭაობიანი ადგილები. სწორედ ეს გამოიყენა ჰანიბალმა. ოთხი დღე და ღამე მიდიოდა პუნების მხრივ ჭაობის ფორსირება. ხალხი ცვიოდა წყლითა და ლაფით სავსე ღრმა ორმოში, იძირებოდნენ, მაგრამ მეგზურებს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ. რთულ მდგომარეობაში ჩავარდა თვით ჰანიბალი. ერთადერთ სპილოზე ამხედრებული მძიმე ავადმყოფი მიუძღოდა არმიას. ლივიუსის გადმოცემით მას თვალების ანთებაც დაემართა, რის გამოც ცალ თვალში სავსებით დაკარგა მხედველობა. სიძნელეების მიუხედავად კართაგენის არმიამ გაუძლო გზის სიმკაცრეს.

რომაელები ამაოდ ელოდნენ პუნებს, როგორც კი მათ გაიგეს კართაგენელების მარშრუტი, ისინი აჩქარდნენ. ფლამინიუსი არ დაელოდა მეორე კონსულს და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შებმოდა მტერს, რომელსაც დღეს თუ არა ხვალ შესაძლოა რომზე მიეტა-

ნა იერიში. ჰანიბალიც ამას ელოდა. მან წინასწარ განსაზღვრა მომავალი ბრძოლის ადგილი - ტრაზიმენის ტბა. იგი ტბას იმ მხრიდან მიადგა, რომელიც თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია საფრად. ტბა თითქმის ზედ ეკვროდა მთას და მათ შორის მხოლოდ ვიწრო სანაპირო ზოლი რჩებოდა. შემოვიდნენ თუ არა რომაელები ვიწრობებში, პუნები ყოველი მხრიდან ეკვეთნენ მათ და ალყაში მოაქციეს. რომაელთა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ჩამოწოლილმა ნისლმა და ისინი შედრკნენ. კრიტიკულ მომენტში ფლამინიუსმა შეძლო ლეგიონერთა გამხნევება, იგი უშიშრად გადაეშვა ბრძოლის ყველაზე საშიშ უბანზე. ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა და მხოლოდ ფლამინიუსის სიკვდილმა აიძულა რომაელები ბრძოლის ველი მიეტოვებინათ. 33 ათასი რომაელიდან ბრძოლის ველზე განისვენებდა 15 ათასი. მხოლოდ 6 ათასმა მოახერხა ალყის გარღვევა. პუნთა ზარალი მხოლოდ 2500 მეომარი იყო.

ტრაზიმენთან გამარჯვებამ ჰანიბალის არმია კიდევ უფრო დაარწმუნა საკუთარი ძალების ძლიერებაში. ამასობაში მეორე კონსული სერვილიუსიც მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მან ბრძოლას თავი აარიდა. პუნებს თითქოს რომისაკენ გზა ხსნილი ჰქონდათ, მაგრამ ჰანიბალმა ქალაქზე შეტევას თავი აარიდა, ყველაფერს გვერდი აუარა, ადრიატიკის ზღვის მიმართულებით წავიდა და ნახევარკუნძულის სრულ აოხრებას შეუდგა.

*კანეს ბრძოლა*

ტრაზიმენის ბრძოლის შემდეგ ჰანიბალმა არმია ადრიატიკის ზღვასთან დაასვენა. მან არმია შეიარაღა რომაული საჭურველით და რაც მთავარი იყო კავშირი დაამყარა კართაგენთან. ამასობაში, რომში მომწიფდა აზრი, რომ ქვეყნის ხსნა შეეძლო მხოლოდ ექსტრაორდინალური ძალაუფლებით აღჭურვილ პირს - დიქტატორს. დიქტატორის დანიშვნის უფლება მხოლოდ კონსულს ჰქონდა, მაგრამ სერვილიუსის რომში გამოძახება, ან მასთან წერილის გაგზავნა არ ხერხდებოდა. ამიტომ არსებული წესი დაირღვა და ხალხმა დიქტატორად აირჩია კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი (ძვ.წ. ?-203 წწ.). იგი შეუდგა მოვალეობის შესრულებას. ფაბიუსი ხვდებოდა, რომ მართალია ჰანიბალს კარგად გაწვრთნილი არმია ჰყავდა, მაგრამ ომის გაჭიანურებით და წვრილ-წვრილი შეტაკებებით, შე-

საძლებელი იყო მისი დასუსტება. სამწუხაროდ, ფაბიუსის ტაქტიკის შესახებ რომში არ ესმოდათ და მისგან გენერალურ ბრძოლის გამართვას მოითხოვდნენ.

უნდა ითქვას, რომ ფაბიუსის წინდახედულობამ ჩააფიქრა ჰანიბალი. მან უმალ იგრძნო, რომ მისი გეგმები განწირული იყო. არადა, რომაელი გენერალი მტკიცედ იცავდა თავის სტრატეგიას. ფაბიუსი კვალდაკვალ მისდევდა პუნებს და წვრილ-წვრილი შეტაკებით მათ თავისუფალი მოქმედების საშუალებას ართმევდა. რომაელების გენერალურ ბრძოლაში გამოწვევის ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა, ამიტომაც ჰანიბალმა წინ წასვლა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოლქის – კამპანიის დალაშქვრა ამჯობინა.



*ლეგიონერი*

კამპანიაში კაზინუმის უღელტეხილის დაკავებით ჰანიბალი იმედოვნებდა ამ რეგიონის მოწყვეტას რომაელებისგან, მაგრამ კაზინუმის ნაცვლად იგი კაზილინუმში აღმოჩნდა, სადაც ალყაში მოექცა. მან კიდეც დასძრა მეომრები ფაბიუსის წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელმა გენერალური შეტაკება არ მიიღო.

არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სრული გარემოცვა და ზამთრის მოახლოება კართაგენის არმიას განადგურებით დაემუქრა. თითქოს პუნების ხსნა არსაიდან ჩანდა, მაგრამ ისინი ისევ ჰანიბალის სამხედრო გენიამ იხსნა. მისი ბრძანებით ჯარისკაცებმა ხარებს რქებზე ჩირაღდნები დაამაგრეს და გარეკეს მწვერვალებისკენ, რომაელებს პუნების შეტევა ეგონათ, საგუშაგო მიატოვეს და პირდაპირ ცეცხლოვან ფიგურებისკენ მიაშურეს. ამ ცრუ იერიშით ჰანიბალმა ისარგებლა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხეობა გაიარა და საზამთროდ აპულიაში დაბანაკდა.

წარუმატებლობამ გააძლიერა ფაბიუსისადმი უკმაყოფილება. ამასობაში მას ამოეწურა დიქტატორობის ვადა და იგი გადააყენეს. საკონსულო არჩევნები რომში პატრიციებსა და პლებეებს შორის ცხარე ბრძოლით აღინიშნა. საბოლოოდ, სენატმა კონსულებად დაამტკიცა გაიუს ტერენციუს ვარონი (ძვ.წ. III ს. ) და ლუ-

ციუს ემილიუს პავლე (ძვ.წ. ?-216 წწ.). უნდა ითქვას, რომ კონსულები ჰანიბალთან მიმართებაში განსხვავებული სტრატეგიის შეხედულებების იყვნენ. ვარონი დაუყოვნებლივ ბრძოლას მოითხოვდა, ხოლო პავლე ფაბიუსის ტაქტიკის მომხრე იყო.

ძვ.წ. 216 წლის ზაფხულში ორივე კონსული კართაგენელთა წინააღმდეგ დაიძრნენ. ვარონის დაჟინებული მოთხოვნით კონსულები არმიას რიგრიგობით სარდლობდნენ. რომაელთა გამოჩენას ჰანიბალი აღფრთოვანებით შეხვდა. მან კარგად იცოდა რომაელ გენერლებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება. მისთვის ცნობილი იყო, რომ ლეგიონერთა უმეტესობას ახალწვეულები შეადგენდნენ, რაც პუნებისთვის წარმატების გარანტიას იძლეოდა. ბრძოლის დაწყებამდე ჰანიბალმა ხერხს მიმართა. მან თავდაპირველად რომაელთა მიმართ შიშის ილუზია შექმნა. გაგულისებულმა ვარონმა, როგორც კი დადგა მისი მთავარსარდლობის რიგი, არც შეეკითხა თავის კოლეგას და არმიას მდ.აუფიდიუსის გადალახვა უბრძანა. ბრძანებას პავლეც დაემორჩილა.

ჰანიბალმაც გადასხა არმია მდინარის მარცხენა ნაპირზე კანეს ველზე. მან გაითვალისწინა ველის თავისებურება, რომ ზღვიდან მონაბერი ქარი მდინარის ნაპირზე მტვრის კორიანტელს აყენებდა. ამიტომაც მან არმია ისე განალაგა, რომ მტვერი პუნებს ზურგში ეყრებოდათ, ხოლო რომაელებს კი თვალებში. იდგა 2 აგვისტო. ბრძოლის წინ პუნთა ნახევარმთვარისებრად განლაგებულ არმიას გამოეყო 500 ნუმიდიელი, რომლებიც გაემართნენ რომაელთა ბანაკისკენ. მათ ისინი მოღალატეებად ჩათვალეს და თავიანთ რიგებში მიიღეს. ნუმიდიელებმა ისარგებლეს რომაელების მხრიდან უყურადღებობით და მოულოდნელად მათ ზურგში დაარტყეს, გაარღვიეს ლეგიონერთა რიგები და თავისიანებს შეუერთდნენ. ამან რომაელთა სიმტკიცეს ზიანი მიაყენა. ამასობაში ბრძოლა „გახურდა“. თანდათან, კართაგენელთა ცენტრმაც დაიწყო უკან დახევა და რომაელები კართაგენის არმიის სიღრმეში მოექცნენ. ჰანიბალსაც ეს უნდოდა და რომაელები ალყაში აღმოჩნდნენ. დაირღვა ლეგიონის სიმტკიცე და ბრძოლის ველი რომაელთა სასაკლაოდ იქცა. მხოლოდ მცირე ნაშთებით მოახერხა ვარონმა სამშვიდობოს გასვლა. 86 ათასი ლეგიონერიდან ბრძოლის ველზე განისვენებდა 48 ათასი. ამიერიდან 2 აგვისტო რომაელთა ისტორიაში შავ დღედ შევიდა. პუნთა ზარალი 8 ათასი მეომერი იყო.

კანეს ველზე რომაელების კატასტროფა ლივიუსს კიდევ უფრო საშინელ ფაქტად მიაჩნდა ვიდრე ძვ.წ. 390 წელს გალებთან განცდილი მარცხი. ისტორიკოსის აზრით, რომაელებმა დაკარგეს ქალაქი, სამაგიეროთ შეინარჩუნეს არმია, რომელსაც ხელეწიფებოდა ებრძოლა მის დასაბრუნებლად. კანეს ველზე მარცხით კი რომი ყოვლად დაუცველი რჩებოდა. უკვე არაფერი აბრკოლებდა პუნების რომზე გალაშქრებას და ცხენოსანთა არმიის სარდალმა მაჰარბალმა ურჩია ჰანიბალს დაელაშქრა რომი: „შენ კიდევ კარგად არ გესმის რას ნიშნავს დღევანდელი გამარჯვება... ოთხი დღის შემდეგ შეგიძლია კაპიტოლიუმზე მოილხინო... რომი შეშინებასაც ვერ მოასწრებს, რომ მას ყელში ვწვდებით“. ამ სიტყვების გამგონე ჰანიბალს მოფიქრებისათვის დრო მოითხოვა, რაზეც მაჰარბალას განუცხადებია: „მართლაც და ღმერთები ერთ ადამიანს ყველაფრით როდი აჯილდოვებენ. შენ, ჰანიბალ, იცი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ მისით სარგებლობა არ ძალგიძს“. მართლაც, კანესთან ერთი დღის შეყოვნებამ იხსნა რომი.



*კანეს ბრძოლა - დასაწყისი*



*კანეს ბრძოლა - ფინალი*

რა გარემოებებმა შეუშალეს ხელი პანიბალს რომზე იერიშისთვის? სხვა პუნი გენერლებისგან განსხვავებით ჰანიბალი პრაგმატულად აფასებდა პუნების და რომაელების შესაძლებლობებს. ფაქტია, რომ რომზე ლაშქრობისთვის თავის შეკავების მიზეზები იყო. უპირველესად მხედველობაში მისაღებია საგზაო მანძილი კანსა და რომს შორის, რომელიც 700 კმ-ზე მეტი იყო. ამ მანძილის დაფარვა დიდ არმიას სავარაუდოდ თვე დასჭირდებოდა. ეს დრო სავსებით საკმარისი იყო ქალაქის დაცველებისთვის საჭირო ზომები მიეღოთ. ამის გარდა, სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ საჭირო იყო კართაგენის არმიის მწყობრში მოყვანა, რასაც რამდენიმე დღე სჭირდებოდა. მხედველობაში ისიც იყო მისაღები, რომ ჰანიბალს არ ჰქონდა საალყო ტექნიკა (კატაპულტები, ტარანი...). იგი ძლიერი იყო გაშლილ ველზე და არა საალყო ბრძოლებისთვის.

საგუნძის ექვსთვიანი ალყა არ იყო პუნებისთვის საკმარისი საალყო გამოცდილების მიღებისთვის. მით უფრო, რომ ქალაქის მიღმა რომაელებს ჰყავდათ რამდენიმე ლეგიონი, რომლებიც მოკავშირეებთან გაერთიანების შემთხვევაში მრისხანე ძალად ჩამოყალიბდებოდა. მთავარი მიზეზი იყო, რომ უპირობო გამარჯვებისთვის ჰანიბალს არ ჰყავდა საჭირო რაოდენობის ჯარისკაცი. კანეს ბრძოლის შემდეგ ყველა მისი ქმედება მიზნად ისახავდა მხოლოდ ერთს – აპენინის ნახევარკუნძულზე რაც შეიძლება მიემხრო მეტი მოკავშირე მიემხრო.

კანესთან ბრძოლის შემდეგ იტალიკთა უმრავლესობა ჰანიბალის მხარეზე გადავიდა. გამარჯვებების მიუხედავად ჰანიბალის მდგომარეობა რთული იყო. მას ახალი მაშველი ჯარი სჭირდებოდა და მ მისიისთვის კართაგენში მან ძმა მაგონი (ძვ.წ. ?-203 წწ.) გაგზავნა. მაგონმა სენატს მოახსენა ჰანიბალის შთამბეჭდავი წარმატებები - ბრძოლებში 200 ათასი მოწინააღმდეგის განადგურება, რომაული კავალერიის მოსპობა, იტალიკთა დიდი ნაწილის ჰანიბალის მხარეზე გადმოსვლა, მაგრამ აშკარა იყო, რომ კართაგენში არ ესმოდათ დახმარების მნიშვნელობის შესახებ. კართაგენის სენატმა დაადგინეს იტალიაში მხოლოდ 4 ათასი ნუმიდიელის, 40 სპილოს და ფულადი სახსრების გაგზავნა. ამასთან, მაგონს დაევალა გადასულიყო იბერიაში ჰასდრუბალთან, იქ შეეგროვებინა მეომრები და ისე შეერთებოდა ჰანიბალს.

რომშიც გამალებული სამზადისი მიმდინარეობდა. სენატი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა. ძვ.წ. 214 წლისთვის კონსულებად გავიდნენ მეოთხედ ფაბიუს მაქსიმე და მესამედ მარკუს კლავდიუს მარცელუსი (ძვ.წ. ?270-208 წწ.). ამჯერად რომაელებმა შეიცვალეს ფაბიუსის და მარცელუსის მიმართ აზრი და მიიჩნიეს, რომ მათმა წინდახედულობამ და გულმოდგინებამ თავის დროზე კიდეც იხსნა რომი.

ძვ.წ. 214 წლის გაზაფხულზე ჰანიბალი სამხ. იტალიის დალაშქვრას შეუდგა. პარალელურად გააქტიურდნენ რომაელებიც. ფაბიუსი და მარცელუსი შეუდგნენ ანტიჰანიბალური წინააღმდეგობის ორგანიზებას. მცირე ბრძოლებში რომაელებმა გამარჯვება მოიპოვეს. ძვ.წ. 212 წლისათვის ჰანიბალის ყურადღების ორბიტაში ქ.ტარენტი მოექცა. მან კარგად გამოიყენა ქალაქში შექმნილი არეულობით და მას ადვილად დაეუფლა

კანესთან გამარჯვების შემდეგ გადაიდგა ფილიპე V-სა (ძვ.წ. 238-179 წწ.) და ჰანიბალს შორის დაახლოების ნაბიჯი. ცხადია, ორივე მხარეს თავისი ინტერესები ჰქონდა. მაკედონიის მეფეს აფიქრებდა ბალკანეთში რომაელთა გავლენის გაძლიერება. იგი პუნებზე უკეთეს მოკავშირეებს ვერსად ნახავდა და ამიტომაც ძვ.წ. 215 წელს ჰანიბალთან კიდეც გაგზავნა ელჩები. სიფრთხილის მიუხედავად მაკედონელი ელჩები რომაელებმა შეიპყრეს, მაგრამ მათმა ადვილად დაარწმუნა ისინი, რომ თითქოს სენატთან ფილიპე V-ს საგანგებო დავალება მიჰქონდათ. ამ სიცრუით ქსენოფანემ რომაელებს თავი დააღწია.

ჰანიბალმა უმალ გააფორმა ფილიპეს წარმომადგენლებთან ხელშეკრულება, რომლის თანახმად ფილიპემ ივალდებულა ებრძოლა რომის საბოლოო განადგურებამდე ყოველგვარი ტერიტორიული პრეტენზიის გარეშე. სანაცვლოდ, ჰანიბალმა ივალდებულა ბალკანეთში ებრძოლა ფილიპე V-ს სასარგებლოდ. ერთი სიტყვით, შეთანხმებით იტალია პუნებს რჩებოდათ, ხოლო საბერძნეთი მაკედონიას. ჰანიბალმაც გაგზავნა ელჩები, მაგრამ ისინი რომაელებმა შეიპყრეს. ნათელი გახდა პუნების ჩანაფიქრი და რომაელებმაც გააძლიერეს ადრიატიკის ზღვის სანაპირო დაცვა. პრინციპში, ფილიპე მაშინ არც იყო მზად დიდი ომისთვის, მაგრამ სისუსტის დაფარვის მიზნით იგი მაინც შეიჭრა ეპიროსში. ასეთ ვითარებაში, რომაელებმა ფილიპეს აუმხედრეს ეტოლიელები და მაკედონიის მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია. ძვ.წ. 205 წელს status quo-ს პრინციპით ფილიპე დაუზავდა რომაელებს.



*ფილიპე V (მონეტა)*

ჰანიბალის გეგმა ჩაიფუშა. მაკედონიამ ვერ შეძლო საჭირო დახმარების გაწევა. ფილიპეს ნეიტრალიზაცია იყო რომაული დიპლომატიის დიდი გამარჯვება. იმავდროულად რომაელებმა გააქტიურეს თავიანთი კავშირები ნუმიდიის ტახტის პრეტენდენტებთან და მასინისა, ჰანიბალის აქტიური მოკავშირე, მეფედ გამოაცხადეს. მასინისას რომაელების მხარეზე გადასვლა პუნებისთვის ნიშნავდა მათი არმიიდან ნუმიდიელი მხედრების ჩამოშორებას. არადა, სწორედ ნუმიდიური კავალერია იყო ჰანიბალის არმიის რომაელებთან ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი გარანტი. მაშასა-

დამე, გონივრული დიპლომატიით რომაელებმა ერთბაშად დაასუსტეს ჰანიბალი არმია და მასინისასთან ერთად კართაგენის ზურგში საერთო ფრონტი გახსნეს. ეს კი კართაგენის მარცხის ერთ-ერთი მიზეზი იყო.

*სიცილია*

II პუნიკური ომში საკმაო ყურადღება დაეთმო კუნძ. სიცილიას. თუ I პუნიკური ომი რომსა და კართაგენს შორის სიცილიის გულისთვის დაიწყო, ამჯერად, საომარი ბატალიებისგან იგი განზე რჩებოდა. I პუნიკურ ომში ტირან ჰიერონ II-ის (ძვ.წ. 270-215/4 წწ.) წყალობით ქ. სირაკუზს პრორომაული პოზიცია ეკავა. საკმარისი იყო ჰანიბალის პირველი გამარჯვებები, რომ სირაკუზის ტირანმა იჩქარა, შეწყვიტა რომთან კავშირი და კართაგენს მიემხრო. ჰიერონის მეფობა 15 თვეს გაგრძელდა. მას არ აპატიეს პოლიტიკური კურსის ცვლა და ქალაქის მოსახლეობამ იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.



*არქიმედე*

სიცილიის საკითხს რომი სიფრხილით ეკიდებოდა. იგი ყველა ხერხით ცდილობდა არ დაეშვა იქ კართაგენის დამკვიდრება. კუნძული, როგორც სტრატეგიული პუნქტი, უმსხვილეს როლს ასრულებდა ხმელთაშუა ზღვის ცენტრში. ფაქტობრივად, ვინც სირაკუზს დაეუფლებოდა, მას ექნებოდა ომის შემდგომი გაგრძელების ბერკეტი.

ჰიერონის სიკვდილმა სირაკუზში არეულობა გამოიწვია. მოსახლეობის ნაწილი დემოკრატიული წყობის აღდგენას მოითხოვდა, სხვები კი ტირანიას ემხრობოდა. ამ შინაომით ისარგებლა პროკართაგენულმა პარტიამ და ქალაქში ძალაუფლება მიიტაცა. პუნების ხელშეწყობით რომისთვის რთულ მომენტში მათ ფართოდ გაშალეს ანტირომაული კამპანია. აშკარა გახდა, რომ სიცილიის საკითხმა რომაულ მილიტარისტულ პოლიტიკაში სერიოზული სახე მიიღო. სენატმაც აღარ დააყოვნა და იქ კონსული მარცელუსი გაგზავნა. ძვ.წ. 214 წელს მარცელუსი დიდი არმიით ჩავიდა კუნძულზე და სირაკუზის გარემოცვას შეუდგა, მაგრამ ქალაქი გაძალიანდა. სირაკუზის თავდაცვას სათავეში ანტიკური სამყაროს უდიდესი მეცნიერი არქიმედე (ძვ.წ. 287-212 წწ.) ედგა.

კართაგენმაც გაგზავნა სიცილიაში არმია. რომაელები აქ ორ ცეცხლს შორის აღმოჩნდნენ, მაგრამ კართაგენელთა და სირაკუზის არმიას ჭაობის ციება დაერია და ერთიანად შეიწირა, რამაც მარცელუსი საფრთხისგან იხსნა. ამის შემდეგ რომაელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ქალაქის გარემოცვა, მაგრამ მათი შეტევები წარუმატებლად მთავრდებოდა. არქიმედეს წყალობით სირაკუზი მიუდგომელ სიმაგრედ იქცა. ლივიუსი მის შესახებ წერდა: „მეცნიერი ცისა და ვარსკვლავებზე უბრწყინვალესი დამკვირვებელი იყო, მაგრამ სახელი უფრო საომარი მანქანებისა და იარაღების გამოგონება-მოწყობით გაითქვაო“. არქიმედეს მიეწერება ლოდსარტყორცნი მანქანების გამოგონება, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ რომაელთა ფლოტს. ისინი 300-350 მეტრამდე ისროდნენ ქვებს, მაგრამ მათი ნაკლი ის იყო, რომ ახლოს მისულ ხომალდებს ნაკლებად ვნებდა. ამ ნაკლის გამოსწორება არქიმედემ ქალაქის გალავნის შიგნით ამწე მანქანებით გადაჭრა. გემის მოახლოებისას ამწეს მეშვეობით კაუჭს ხომალდის ცხვირს გამოსდებდნენ, აწევდნენ და აყირავებული ხომალდი ქალაქის გალავანს შეასკდებოდა. ანალოგიური გამოგონება მრავალი არსებობდა ანტიკურ სამყაროში, მაგრამ მსგავსი ეფექტი არცერთს იარაღს არ ჰქონდა.

სირაკუზი ხმელეთიდანაც მტკიცედ იყო დაცული, მაგრამ ქალაქის შესაძლებლობები მაინც შეზღუდული იყო. ხანგრძლივი ალყის შემდეგ, ძვ.წ. 212 წელს, სირაკუზი რომაელებს დანებდა. კონსულმა ქალაქი საძარცვავად ლეგიონერებს გადასცა. სწორედ მაშინ დაიღუპა არქიმედეც. პლუტარქეს ცნობით მეცნიერს არ გაუგია ქალაქის დაცემის მომენტი. იგი მუშაობდა ნახაზე და რომაელის მოთხოვნაზე გაჰყოლოდა, არქიმედეს პასუხის მიღებამდე უარი უთქვამს. მისი სიტყვებით გაბრაზებულ მეომარს მეცნიერი იქვე მოუკლავს. ასე ტრაგიკულად დასრულდა ანტიკური სამყაროს უდიდესი მეცნიერის სიცოცხლე. სირაკუზის დაეუფლებით რომაელებმა მთლიანად შემოიმტკიცეს სიცილია.

თანდათან ჰანიბალის ლაშქრობებმა დაკარგა ადრინდელი ეფექტი. გაქრა ძლევამოსილი სარდლის ძველი ბრწყინვალება. მას უკვე უჭირდა თავისი მოკავშირეების დაცვა-დახმარება, რაც კარგად გამოჩნდა ქ. კაპუას მაგალითზე. ყოველივეს დაემატა ძვ.წ. 209 წელს კანუზიასთან განცდილი მარცხიც. მას ჩამოშორდა ადრინ-

დელი მოკავშირეებიც. ეს კი ჰანიბალის გეგმას კატასტროფის წინაშე აყენებდა. ასეთ ვითარებაში მისი ხსნა შეეძლო მხოლოდ პირენეის ნახევარკუნძულზე დატოვებულ ჰასდრუბალს.

*ჰასდრუბალი*

II პუნიკურ ომში დიდი როლი შეასრულა ესპანეთის ფრონტმაც. იქ ერთბაშად კართაგენის ორი სარდალი იბრძოდა. ჰასდრუბალ ბარკას (ძვ.წ. ?245-207 წწ.) მოქმედების არეალი მდ. იბერის დასავლეთი ტერიტორია იყო, ხოლო ჰანონის კი მდ. იბერსა და პირენეის მთებს შორის მოქცეული პროვინცია. ასეთ ფონზე, ესპანეთში ჩასვლისთანავე გნეუს პომპეუსმა (ძვ.წ. III ს.) მიზანშეწონილად ჩათვალა კართაგენის ორივე არმიის ცალ-ცალკე განადგურება. მართლაც, რომაელმა შესძლო ჰანონის განადგურება.

ჰასდრუბალი ჰანონის სრულ განადგურებას არ ელოდა. ჯერ ერთი, იგი სრულიად მარტო დარჩა და მეორეც, იტალიისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი ტერიტორია რომაელების ხელში აღმოჩნდა. შურისძიების მიზნით ჰასდრუბალი მოულოდნელად თავს დაესხა მდ.იბერის შესართავთან მდგარ რომაულ ფლოტს და პირწმინდათ მოსპო, თუმცა შემდგომი წინსვლა ვეღარ შეძლო.


*ჰასდრუბალი*

ძვ.წ. 217 წლიდან ჰასდრუბალის წინააღმდეგ რომაელების უკვე ორი არმია იბრძოდა გნეუს და პუბლიუს სციპიონების სარდლობით. ასეთ ვითარებაში, ჰასდრუბალი დარწმუნდა ესპანეთში მის ყოფნის უპერსპექტივობაზე და კართაგენიდან დამხმარე ლაშქრის მიღების შემდეგ, დაიწყო მზადება ჰანიბალის მსგავსი მარშრუტის გასამეორებლად. გულხელდაკრეფილი არც რომაელები იყვნენ. ასეთ ვითარებაში ჰასდრუბალმა იჩქარა და მან რომაელებს ბრძოლა გაუმართა. უთანასწორო ბრძოლა მისი დამარცხებით დასრულდა. ჰასდრუბალმა ესპანეთი დატოვა და ისევ კართაგენში დაბრუნდა.

აფრიკული საქმეების მოწესრიგების შემდეგ ჰასდრუბალი ახალი არმიით და 30 სპილოთი ისევ ესპანეთს მიაშურა. მას თან ახლდნენ სარდლები: მაგონი და ჰასდრუბალ ჰისგონი. ამჯერად რომაელების წინააღმდეგ ესპანეთში პუნების სამი არმია იბრძოდა. ამიტომაც რომაელებმაც არმია გაჰყვეს და გადაწყვიტეს ცალ-ცალკე ეომათ, მაგრამ პუნებმა შეძლეს რომაელების განადგურება.

ბრძოლებში დაიღუპნენ სციპიონებიც. გამარჯვებამ ჰასდრუბა-ლი ესპანეთის მფლობელი გახადა. ამჯერად მას შეეძლო ეფიქრა რომზე ლაშქრობაზე და მანაც მისი შანსი გამოიყენა.

სციპიონის დაღუპვის შემდეგ ესპანეთში პუნების წინააღ-მდეგ საბრძოლველად გაიგზავნა კლავდიუს ნერონი. იგი იქ წარუ-მატებლად იბრძოდა, ამიტომაც ძვ.წ. 209 წლისათვის მის შემც-ვლელად გაიგზავნა გარდაცვლილი სციპიონის ვაჟი 24 წლის პუბ-ლიუსი (ძვწ. 235-183 წწ.).

ჰასდრუბალიც გაემზადა რომაელებთან გადამწყვეტი ბრძო-ლისთვის. მისთვის ნათელი იყო, რომ რომაელთა ძლევა მის ძა-ლებს აღემატებოდა, ამი-ტომ მან შეიერთა მაგო-ნის და ჰასდრუბალ ჰის-გონის არმიები და ძვ.წ. 208 წელს ისიც ალპების გავლით გაემართა იტა-ლიისაკენ. თუ ჰანიბალი ბრძოლით მიიკვლევდა




*II პუნიკური ომის ბატალიები*

გზას, ჰასდრუბალს იტალიის მიმართულებით თითქმის არავითა-რი დაბრკოლება არ შეხვდა და ძვ.წ. 207 წლის ზაფხულში მან აპენინის ნახევარკუნძულზე ფეხი შესდგა.

რომი კიდევ ერთხელ დადგა დიდი საფრთხის წინაშე. ადრე თუ მარტო ჰანიბალი აოხრებდა იტალიას, ამჯერად, იქ კართა-გენის ორი არმია იმყოფებოდა. რომაელებს უნდა ეჩქარათ, რათა პუნები არ გაერთიანებულიყვნენ. იმჟამად რომაელები დროშის ქვეშ იდგა 23 ლეგიონი. გენერალიტეტის აზრით კონსულ ნერონს დაევალა ჰანიბალის შეკავება, მაგრამ იმის გამო, რომ ჰანიბალმა არ იყო ინფორმირებული იტალიაში ჰასდრუბალის შემოსვლის შე-სახებ, კონსულმა გეგმა შეცვალა. ჰანიბალის სადარაჯოდ 7 ათასი კაცი დატოვა, თვითონ კი ჩრდილოეთისკენ კოლეგა მარკუს ლივიუს დრუზუს სალინატორთან (ძვ.წ. 254-204 წწ.) გაემართა, რა-თა ერთიანი ძალით შებმოდნენ ჰანიბალს.

ჰასდრუბალმა თავი აარიდა რომაელებთან ბრძოლას და გე-ზი უმბრიისკენ აიღო, მაგრამ მას ისინი ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. იგი გრძნობდა, რომ მისი ხსნა მხოლოდ სასწაულს შეეძლო და მა-ინც მიიღო რომაელთა გამოწვევა. ძვ.წ. 207 წლის 23 ივნისს, ჩრდ. იტალიაში, მდ. მეტავრუსთან გაიმართა გენერალური ბრძოლა

რომაელებსა და პუნებს შორის. ჰასდრუბალს დროშის ქვეშ ჰყავდა 25 ათასი ქვეითი, 5 ათასი ცხენოსანი და 15 სპილო. პუნებთან შედარებით რომაელებს ყოველმხრივი უპირატესობა ჰქონდათ. მათი არმია მოითვლიდა 47 ათას ლეგიონერს. რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად, პუნები გაათკეცებულად იბრძოდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის სიმრავლემ თავისი გაიტანა. მისთვის რთულ ვითარებაში ჰასდრუბალს ნერვებმა უმტყუნა, მან ცხენს დეზი ჰკრა და რომაული კოჰორტის ცენტრში შეიჭრა. ყოველი მხრიდან გარემოცული პუნი მთავარსარდალი დიდხანს იბრძოდა ვიდრე რომაელებმა იგი არ აკუწეს.

ბრძოლაში კართაგენის არმია განადგურდა. მათი დანაკარგი შეადგენდა 10 ათასს დაღუპულ მეომარს და ამდენივე ტყვეს. რომაელების დანაკლისიც დიდი იყო – 10 ათასი ლეგიონერი. კლავდიუს ნერონის ბრძანებით ჰასდრუბალის გვამი მონახეს, თავი მოჰკვეთეს და ჰანიბალისთვის შეინახეს. ჰასდრუბალის დაღუპვით ამოიწურა ჰანიბალის დახმარების უკანასკნელი იმედიც.



*ბრძოლა მდ. მეტავრუსთან*

*სციპიონი*

ამასობაში იტალიაში ჰანიბალის ყოფნას რომაელები თითქოს შეეჩვივნენ. პუნების მდგომარეობიდან გამომდინარე შეიცვალა ჰანიბალის სტრატეგია. თუ ადრე იგი ბრძოლას ესწრაფვოდა, ამჯერად ჰანიბალი თავდაცვითი ბრძოლებით კმაყოფილდებოდა. მან აპენინზე დაკარგა თითქმის ყველა მონაპოვარი. მისი ერთადერთი იმედი ჰასდრუბალი იყო, მაგრამ ძმის ტრაგედიამ თვალნათლივ დაანახა, რომ ომი უკვე წაგებული იყო.

ძვ.წ. 206 წელი ჰანიბალმა სრულ უმოქმედებაში გაატარა. მის წინააღმდეგ რომაელებსაც არავითარი ზომები არ მიუღიათ და არც თვითონ ართულებდა საქმეს. ჰანიბალი დადიოდა იტალიის მიწაზე, როგორც ტრაზიმენისა და კანეს ბრძოლების აჩრდილი. უკვე დრო იყო, რომ რომაელებს აქტიურ მოქმედებები დაეწყოთ. ასეთ ვითარებაში, ძვ.წ. 205 წლის კონსულმა, იბერიის გმირმა პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა, მოწინააღმდეგის განადგურების

გაბედული გეგმა წამოაყენა - საომარი მოქმედების აფრიკაში გა-დატანა.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონი პატრიციუსთა წოდებას ეკუთვნოდა. სციპიონის წინაპრები ორი საუკუნის მანძილზე ფლობდნენ კონსულის და ცენზორის თანამდებობებს. I პუნიკურ ომში იბრძოდა სციპიონთა ორი ძმა, მათგან ლუციუს კორნელიუს სციპიონი იყო პუბლიუს აფრიკელის ბაბუა. სციპიონების საუკე-თესო შენაძენი იყო მათი კეთილშობილური აღზრდა. ეს გვარი ერთ-ერთი პირველი იყო რომში ვინც ეზიარა და პროპაგანდას უწევდა ბერძნულ კულტურას.

სციპიონ აფრიკელის დაბადებაზე არსებული ლეგენდები ე.წ. „რომაული ალექსანდრიანის“ პოეტური ნიმუშია. ახალგაზრდა სციპიონის საბრძოლო ნათლობა მოხდა ძვ.წ. 218 წლისთვის კარ-თაგენისკენ მიმავალ ტიბერიუს სემპრონი-უს ლონგინუსის არმიაში. ჰანიბალურ ომში მან რამდენჯერმე გამოიჩინა თავი. მაგ., ვე-რცელეს ბრძოლაში თავისი უნარიანი მოქ-მედებით პუბლიუსმა კონსული (მამამისი – კ.ს.) გადაარჩინა. კანეს ველზე იგი მეორე ლეგიონის სამხედრო ტრიბუნის ოფიცრის რანგში იყო და თუ დავუჯერებთ გვიანდელ პოეტებს, ბრძოლის დროს მას გადაურჩენია კონსული ვარონი. პუბლიუსი იმყოფებოდა იმ 4 ათასს დამარცხებულ ლეგიონერში, რომლებმაც ბრძოლით გაიკაფეს გზა ქ. კა-ნუზიისაკენ. ამის შემდეგ, სციპიონს პირე-ნეის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ბრძო-ლებში ვხედავთ.


*სციპიონ აფრიკელი, „პაპირუსების ვილა“*

ესპანეთის დაპყრობა გახლდათ მისი პირველი დიდი მიღწე-ვა. მართალია ხუთწლიანი ესპანურ ომში ერთბაშად სამი სარდა-ლი (პუბლიუსი, პროპრეტორი – სილანუსი, მარციუს სეპტიმუსი) აწარმოებდა ომებს, მაგრამ საომარი კამპანიის სულისჩამდგმელი მაინც სციპიონი იყო. განსაცვიფრებელი იყო მისი მოქმედება ახალ კართაგენში. თავისი შემწყნარებლობით სციპიონმა შესძლო ადგილობრივ კელტიბერთა გულის მონადირება. ძვ.წ. 209/8 წელს იგი დაეუფლა ახალ კართაგენს. ამის შემდეგ, პუბლიუსი ესპანურ რაზმებთან ერთად გაილაშქრა ჰანიბალის ძმის - ჰასდრუბალის

წინააღმდეგ, რომელიც პირენეის მთების გავლით იტალიისაკენ მიიმართებოდა.

ქ. ბეკულასთან, სციპიონსა და ჰასდრუბალს შორის, გაიმართა ბრძოლა. პუნებს ტერასებზე ორ საფეხურად მოხერხებული პოზიცია ეკავათ. მათი ძირითადი ძალები ზედა პლატოზე, ხოლო მხედრები და მეისრეები ქვედა მოედანზე იყვნენ განლაგებული. პუბლიუსი ორ დღეს ყოყმანობდა დაეწყო თუ არა შეტევა, მესამე დღეს იგი ჯარს პირადად გაუძღვა. პუნებმა რომაელების შეტევებს ვერ გაუძლეს და პირენეის მღვიმეებისკენ დაიხიეს. ბეკულასთან მოპოვებულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო განამტკიცა სციპიონის სახელი.

ესპანური კამპანიის მიწურულს სციპიონმა მისთვის მოიპოვა ყველაზე მძიმე გამარჯვება. იმ მომენტში მის წინააღმდეგ ერთბაშად პუნთა 70 ათასიანი არმია იბრძოდა ჰასდრუბალ ჰისგონის ძის და მაგონის მეთაურობით. რომაელთა რაოდენობა ორჯერ ნაკლები იყო მოწინააღმდეგეზე. ქ. ილიპას სამხრეთით გაიმართა გენერალური ბრძოლა. ბრძოლა ცხენოსანთა შეტაკებით დაიწყო. სციპიონმა და ლელიუსმა შეტევა მიიტანეს მასინისას და მაგონის ცხენოსნებზე. პუნებმა მათი შეტევა მოგერიეს. ამის შემდეგ, მეომარ მხარეებს შორის ერთგვარი „დგომის“ პერიოდი დადგა. ორივე მხარეს უშედეგოდ გამოჰყავდა ბრძოლისათვის არმია. აპიანეს თუ ვერწმუნებით, ბრძოლაში პუბილუსმა ეშმაკობას მიმართა და კანეს ბრძოლის ჰანიბალის ტაქტიკა გაიმეორა. მან ჯარი ახალ რიგად განაწყო: ცენტრში ესპანელები, ხოლო რომაელები ფლანგებზე განალაგა. ბრძოლის წინ სციპიონმა წინასწარმეტყველობის სცენა გაითამაშა, რითაც მან მოახერხა არმიის ექსტაზში შეყვანა. ბრძოლაში პირად მაგალითს თვით სციპიონი იძლეოდა. რომაელების შეტევებს პუნება ვერ გაუძლეს და უკუიქცნენ. ილიპასთან ბრძოლით დასრულდა ესპანეთისთვის რომსა და პუნებს შორის




*ძვ.წ. 209 წ. - ბრძოლა ახალი კართაგენისთვის*

დავა. II პუნიკური ომის მე-14 წლისთავზე ესპანეთი რომაელებს დარჩათ.

ძვ.წ. 206 წელს, ესპანეთში ხუთწლიანი მოღვაწეობის თავზე, სციპიონი ისე რომ, არც დაელოდა შემცვლელს, საკონსულო არჩევნებისათვის რომს გაემართა. ბელონას ტაძარში მან სენატს ჩააბარა ესპანეთის დამპყრობის ანგარიში. სციპიონი უაღრესად გონივრულად მოიქცა. მან მხოლოდ ტრიუმფის გადახდა მოითხოვა, რაც სენატმა უარყო და მხოლოდ იშვიათი ცერემონიით - ასი ხარის მსხვერპლშეწირვის უფლება მიანიჭა. ამის მიუხედავად, ხალხის მხარდაჭერით, ძვ.წ. 205 წელს პუბლიუსი კონსულად აირჩიეს. მისმა თანამეწყვილემ პუბლიუს ლიცინიუს კრასუსმა ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე მას დაუთმო სიცილიაში მოღვაწეობა.

სციპიონმა განჭვრიტა სენატორთა მხრივ წინააღმდეგობა და ავანტიურაზეც წავიდა. იგი დაიმუქრა, რომ სენატის მხრიდან მისთვის უარის შემთხვევაში საკითხს გადაიტანდა სახალხო კრებაზე. კამათის მიუხედავად, სენატმა კონსულს უფლება მისცა სიცილიის არმიით სურვილისამებრ ემოქმედა, ანუ შეეძლო აფრიკაში გადაეტანა შემდგომი საომარი მოქმედებები. სამაგიეროდ, სციპიონს უარი ეთქვა სუბსიდიაზე, მაგრამ ნება დაერთო შემოწირულობების და მოხალისეების შეკრება. მაშასადამე, სციპიონი ომს წარმართავდა არა სახელმწიფოს, არამედ საკუთარი ხარჯებით.



ძვ.წ. 204-203 წლების აფრიკული კამპანია

სენატის მხრიდან არასათანადო ვიზირების მოპოვება სციპიონისთვის მაინც გამაჯვებას ნიშნავდა. საომარი ოპერაციების აფრიკაში გადაიტანის იდეამ რომში იგი უაღრესად პოპულარული გახადა. ყველას სჯეროდა, რომ მხოლოდ სციპიონი იყო ერთადერთი, რომელიც დაამარცხებდა უძლეველ ჰანიბალს. სციპიონისთვის დაიწყო შემოწირულობების შეგროვების კამპანია. მარტო ეტუსკებმა მას მიაწოდეს იარაღი, ხორბალი და საამშენებლო ტყე. 43 დღეში ააგეს 30 ხომალდიანი ფლოტი. ოპერატიულობის მიუხედავად, აფრიკული ექსპედიციის მზადებამ მთელი წელი წაიღო. ძვ.წ. 204 წლის ზაფხულში რომაელთა 40 სამხედრო და 400 სატრანსპორტო არმადა 35 ათასამდე ჯარისკაცით აფრიკისაკენ დაიძრა,

სადაც მისი მხარე დაიკავა რომის ახალმა მოკავშირემ ნუმიდიის მეფე მასინისამ (ძვ.წ. 240-148 წწ.).

ვიდრე რომი საკონსულო არჩევნების ბატალიებით იყო გართული კართაგენმა მას ახალი საფრთხე მოუმზადა. ძვ.წ. 205 წელს ჰანიბალის უმცროსმა ძმა – მაგონმა (ძვ.წ. 243-203 წწ.), ბალეარის კუნძულების გავლით იტალიას მიაღწია და გენუას დაეუფლა.

ძვ.წ. 205-204 წლები რომისთვის მაინც წარმატებული დარჩა. საქმე იმაშია, რომ სციპიონმა უტიკასთან შესძლო პუნების გაენადგურება. უკვე მისთვის უშუალოდ ქ. კართაგენისკენ გზა თავისუფალი იყო და სციპიონიც ქალაქის მიმართულებით დაიძრა. რომაელების მხარეზე მასინისას გადასვლამ კართაგენი სახმელეთო არმიისა და მოკავშირეთა გარეშე დატოვა. შექმნილმა ვითარებამ პუნები აიძულა ელჩობა გაეგზავნათ სციპიონთან, მაგრამ რომალის პოზიცია ცალსახა იყო – იგი კართაგენელების მხრიდან ითხოვდა სრულ კაპიტულაციას. მან პუნებს მძიმე საზავო პირობები შესთავაზა, რაც ითვალისწინებდა: ყველა ტყვეს დაბრუნებას, აფრიკულ ტერიტორიების და ხმელთაშუა ზღვაში მდებარე კუნძულების დათმობას, სამხედრო კონტრიბუციას, პუნების ფლოტის შემცირებას 20 ხომალდამდე და ა.შ. მოსაფიქრებლად პუნებს მიეცათ სამი დღე. სციპიონის მოთხოვნები კართაგენმა უარყო, მაგრამ დროის მოგების მიზნით, რათა ჰანიბალს მოესწრო დაბრუნება, მასთან მოლაპარაკება მაინც გააგრძელეს.


*მასინისა (მონეტა)*

ამასობაში, ძვ.წ. 203 წელს, ჩრდ. იტალიაში, ინსუბრების ოლქში, მაგონსა და რომაელებს შორის გენერალური ბრძოლა გაიმართა. მართალია რიცხობრივი უპირატესობა რომაელთა მხარეზე იყო, მაგრამ ბრძოლაში სპილოების ჩართვამ გამარჯვების სასწორი პუნების მხარეზე გადახარა. თითქოს პუნებს უნდა გაემარჯვათ კიდეც, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მაგონი ბარძაყში დაიჭრა და ცხენიდან გადმოვარდა. ამ ფაქტმა შეცვალა ბრძოლის ბედი. კართაგენის არმიამ უკან დაიხია. მაგონმა ბრძოლა მეორე დღისთვის არ განაახლა, აყარა ლაშქარი და ლიგურიაში გადავიდა. იქ მას სამშობლოსკენ წასვლის მოთხოვნით ეახლნენ კართაგენის ელჩები. მანაც არ დააყოვნა, მეომრები გემებში ჩასვა და კართაგენისკენ გაემართა, მაგრამ სარდინიის ნაპირებთან იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

პუნი ელჩები ჰანიბალთანაც გამოცხადნენ. ლივიუსის ცნობით გაბრაზებულ ჰანიბალს განუცხადებია: ახლა უკვე დაუფარავად მიწვევენ უკან ისინი, რომელთაც სურდათ ჩემი აქედან გაყვანა. ყველანაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ, უარს ამბობდნენ მაშველი ძალების და ფულის გამოგზავნაზე. ამ შემთხვევაში ჰანიბალი სავსებით სწორი იყო. ფაქტობრივად იგი დაამარცხა კართაგენის სენატის უკუქმედებებმა და შურმა. წასვლის წინ ჰანიბალმა მასთან მყოფ იტალიკებს შესთავაზა აფრიკაში წასვლა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ მისი ბრძანებით ისინი ერთიანად ამოწყვიტეს.

ჰანიბალმა აპენინის ნახევარკუნძული დატოვა. ძვ.წ. 203-202 წლების ზამთარი მან ლაშქრის შეგროვება-ორგანიზებას მოინდომა. აქ საინტერესო ფაქტიც მოხდა. მისი მზვერავები შემთხვევით შეიპყრეს რომაელებმა და ისინი სციპიონს მიუყვანეს. ქსერქსეს მსგავსად რომაელმა ისინი ლეგიონერების წინაშე ჩამოატანა და შემდგომ გაუშვა. ამ ჟესტით მან პუნებს რომაული იარაღის სიძლიერე აჩვენა.

მომენტის სირთულემ ჰანიბალი ჩააფიქრა და მან მოითხოვა სციპიონთან შეხვედრა. ჩანს, ორივე მხედართმთავარს სურდა ერთმანეთის ხილვა. დღეს ძნელია მათი საუბრის რეალური შინაარსის გადმოცემა, მაგრამ ისტორიკოსების აზრით საუბარი უნდა ყოფილიყო მშვიდობაზე. მხარეები ვერ შეთანხმდნენ საზავო პირობებზე და ორივემ ბედი ომის ღმერთს მიანდო. მეორე დღეს მოწინააღმდეგები საბრძოლველად განეწყვნენ. მოსალოდნელი იყო გრანდიოზული გენერალური ბრძოლა, რომელშიც პუნები იბრძოდნენ არსებობისათვის, ხოლო რომაელები მსოფლიო ბატონობისთვის. ამასთან, ერთმანეთს ექიშპებოდა ყველა დროის უდიდესი მხედართმთავარებიც.



*საბრძოლო სპილო*

ძვ.წ. 202 წლის 19 ოქტომბერს, ზამა-ნარაგარას მონაკვეთზე, რომაელებსა და პუნებს შორის გაიმართა გენერალური ბრძოლა. გრძნობდა რა მომენტის სიმძიმეს ჰანიბალმა მოინდომა ჩვეული ტაქტიკით - ერთი დარტყმით რომაელების დამარცხება. ამ ამოცანის შესრულებას იგი სპილოებით ფიქრობდა. ამისთვის მან არმიის წინ 80 სპილო განალაგა. თვით ლივიუსის შენიშვნით, ამდენი სპილო მანამდე არავის გამოუყვანია ბრძოლაში.

ჰანიბალის არმია გამოირჩეოდა სამხედრო წყობის განსაკუთრებული ხელოვნებით. წინა ხაზზე განლაგდნენ კელტები, ბალეარები და სხვა დაქირავებულები, რომლებსაც უნდა მიეღოთ რომაელების პირველი დარტყმა. შემდგომ, მათ მოსდევდათ კართაგენის არმიის ძირითადი ბირთვი ძველი გვარდია და ლიბიელები. მათი ამოცანა იყო დაღლილ მოწინააღმდეგეზე დარტყმის მიყენება. მესამე რიგში იდგნენ ნაკლებად სანდო იტალიელი ემიგრანტები. ისინი გადამწყვეტ როლს არ ასრულებდნენ და მათი ფუნქცია იყო დაესრულებინათ მოწინააღმდეგის განადგურება.

რაც შეეხება რომაელებს, სციპიონმა გაითვალისწინა პუნების არმიის ძლიერი და სუსტი მხარეები. კართაგენელების საპირისპიროდ სციპიონმა არმია განაწყო არა ერთიანი ფრონტით, არამედ დაჰყო წვრილ ერთეულებად - მანიპულებად, რომელთა შორის სპილოებისთვის სპეციალურად დატოვებული იყო გასასვლელები. მარცხენა ფლანგზე სციპიონმა იტალიელი მხედრებით განალაგა ლელიუსი, ხოლო მარჯვენაზე ნუმიდიელი ცხენოსნებით მასინისა. მანიპულებს შორის გასასვლელში მან მსუბუქად შეიარაღებულ ჯარისკაცები ჩააყენა, რომლებსაც დაევალათ სპილოები მოექციათ გადაჯვარედინებული ცეცხლის ქვეშ.


ზამას ბრძოლა (რომაელები - პუნები)

ბრძოლა სციპიონის გეგმით წარიმართა. შეტევა რომაელებმა დაიწყეს. ისინი ხმაურით ეკვეთდნენ პუნებს. სპილოები დაფრთხნენ, უკან დაიხიეს და თავიანთ მარცხენა ფლანგი მოშალეს. ეს მომენტი კარგად გამოიყენა მასინისამ, მოწინააღმდეგეს დაარტყა და მისი კავალერია მთლიანად მოშალა. ამასობაში, პუნებმა დიდი გაჭირვებით დააშოშმინეს სპილოები და ისინი რომაელებისაკენ მიმართეს. სპილოები ღრმად შეიჭრნენ სციპიონის განლაგებაში და დიდი ზარალიც მიაყენეს, მაგრამ გადაჯვარედინებულმა ცეცხლმა ისინი კვლავ დააფრთხო. ამჯერად, შეშინებულმა სპილოებმა კართაგენის მარჯვენა ფლანგს შეუტიეს და იქაც არევ-დარევა შეიტანეს. ამით ისარგებლა ლელიუსმა

და პუნების მარჯვენა კავალერია მოშალა. ამრიგად, ის უპირატე-სობა, რასაც ბრძოლებში კავალერიის სახით ფლობდა ჰანიბალი მისივე სპილოების წყალობით აღარ არსებობდა.

წარმატებას მიაღწია რომაელთა ქვეითმა ჯარმაც. პირველი-ვე დარტყმით მათ გატეხეს კართაგენის მეწინავე რაზმის წინააღ-მდეგობა. ამას ისიც დაემატა, რომ მეორე რიგმა დააგვიანა ბრძო-ლაში ჩაბმა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ უკან დახეულმა მოქირავ-ნეებმა ჰუნების ზურგში ხელჩართული ბრძოლა ატეხეს, მაგრამ ჰანიბალმა მოახერხა მათი გზიდან ჩამოიშორება. კულმინაციურ მომენტში ჰანიბალმა ბრძოლაში ჩაება კართაგენის რეზერვი - ვე-ტერანები. მართალია ისინი ბრწყინვალედ უმკლავდებოდნენ რო-მაელებს, მაგრამ კრიტიკულ მომენტში კართაგენის არმიას ზურ-გიდან დაარტყა ლელიუსმა და მასინისამ, რამაც პრაქტიკულად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ზამას ველზე გამარჯვება რომაელე-ბს დარჩათ.

კართაგენის უკანასკნელი იმედი - ჰანიბალის არმია უკვე აღარ არსებობდა. ზამას ველზე განისვენებდა 20 ათასი პუნი და 5 ათასი რომაელი. გამარჯვებულებს დარჩათ აურაცხელი სიმდიდ-რე, მათ შორის 132 საბრძოლო დროშა. პუნებს ისღა დარჩენოდა, რომ დათმობაზე წასულიყვნენ და მათთაც სციპონთან ელჩობა წა-რგზავნეს. სციპიონმა კარგად იცოდა, რომ მისთვის ქ. კართაგენის აღება იოლი არ იყო. ამასთან იყო საშიშროებაც, რომ ალყის გაჭი-ანურება უარყოფითად იმოქმედებდა მის რეპუტაციაზე. ასევე მო-სალოდნელი იყო ახალი მთავარსარდლის ჩამოსვლა, რომელიც მისი გამარჯვების ნაყოფს მიითვისებდა და მანაც თანმხვედრი ნა-ბიჯი გადადგა.

საზავო პირობები პუნებისთვის ერთობ მძიმე იყო. მართა-ლია კართაგენი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ რჩებო-და მხოლოდ აფრიკულ სახელმწიფოდ. რომაელებს მიჰქონდათ ფლოტი, სპილოები, 10 ათასი ტალანტი კონტრიბუცია, 100 მძევა-ლი და ა.შ. საზავო პირობებმა კართაგენის მოქალაქეები აღაშფო-თა. მაშინ ტრიბუნაზე ავიდა თვით ჰანიბალი, რომელმაც თანამო-ქალაქეებს დაუხატა ომის შემდგომი სურათი. მის სიტყვებში იყო ერთი უმთავრესის აზრი – კართაგენის ხსნა მხოლოდ საზავო პი-რობების მიღებაშია.

უნდა ითქვას, რომ ვიდრე პუნებში მიდიოდა საზავო პირობების თაობაზე კამათი, სციპიონმა, გამარჯვებული არმია აუჩქარებლად დასძრა ქ. კართაგენისკენ. მისმა ნაბიჯმა დააჩქარა მოვლენების განვითარება. სციპიონთან გამოცხადდა პუნების წარმომადგენლობა, რომლებსაც გადაეცათ რომაელების ახალი მოთხოვნები - ამჯერად კართაგენის ფლოტის შემცირება 10 ხომალდამდე, რომაელებისთვის სპილოების, 10 ათასი ტალანტი კონტრიბუციის გადაცემა, მასინისასთვის ჩამორთმეული ნუმიდიის სამფლობელოს დაბრუნება და ვალდებულება, რომ რომის ნებართვის გარეშე პუნები არ აწარმოებდნენ საომარ მოქმედებებს აფრიკაში თუ მის საზღვრებს მიღმა.

აშკარა იყო, რომ ზავი სციპიონსაც ეჩქარებოდა. სხვებისგან განსხვავებით შექმნილ ვითარებას იგი პრაგმატულად ჭვრეტდა. ლივიუსის ცნობით სამხედრო საბჭოს ყველა წევრს ითხოვდა ომის გაგრძელებას და კართაგენის საბოლოო განადგურებას, მაგრამ ომის გაჭიანურების და ამასთან დაკავშირებით არმიის ხელმძღვანელის შეცვლის საშიშროებამ, ისინი აიძულა დათანხმებულიყვნენ მთავარსარდლის პოზიციას. ძვ.წ. 201 წელს, პუბლიუს კორნელიუს სციპიონმა, რომიდან ჩამოსული წარმომადგენლების თვალწინ ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. ამით დაესვა წერტილი მეორე პუნიკური ომის მსვლელობას.

საოცარი იყო სციპიონის ბედი. მისი მამა პირველი იყო ვისთანაც გამარჯვება მოიპოვა ჰანიბალმა. ამასთან, იგი პირველი იყო ვისთანად ჰანიბალი დამარცხდა. სციპიონი უკვე დიდების ზენიტში იყო და მანაც რომში უბრწყინვალესი ტრიუმფი გადაიხადა, რომლის მსგავსი „მარადიულ ქალაქში“ არავის ენახა. თავიანთ გმირს რომაელმა ხალხმა უწოდა „აფრიკელი“ და „დიდი“.

მეორე პუნიკურ ომში მოხდა რომაულ-იტალიური ფედერაციის სიმტკიცის შემოწმება. მოკავშირეთა ნაწილი ვინც ომის დროს გადავიდა ჰანიბალის მხარეზე მკაცრად დაისაჯნენ. რომმა მოახდინა მათი მიწების კონფისკაცია, ქალაქებს ჩამოერთვა საქალაქო უფლება და ა.შ. მთლიანობაში რომაული პოლიტიკა მოკავშირეებთან ურთიერთობაში გახდა კიდევ უფრო მკაცრი. დასჯილ იტალიკებს წაართვეს მიწის 1\3 დან 2\3-მდე, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ფონდის მკვეთრი ზრდა.

